სამეცნიერო შრომათა კრებული



შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საქართველოს ეროვნული არქივი
National Archives of Georgia

წიგნში გამოყენებული ფოტოები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.

თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2025

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

კავკასიის საცენზურო კომიტეტი
(1863-1906)

სამეცნიერო შრომათა კრებული

თბილისი
2025

UDC (უაკ) 821.353.1-2
Შ-241

კრებულში შესულია შრომები, რომლებიც შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო ფონდში გამარჯვებული პროექტის (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი _FR-21-8335) – „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ XIX საუკუნის საქართველოში და რუსეთის იმპერიული მმართველობის მექანიზმები – ძირითადი პერსონალის მიერ. პროექტი შესრულებულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური განყოფილების 480-ე ფონდის („კავკასიის საცენზურო კომიტეტი“) მასალების საფუძველზე.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი დაარსდა 1848 წლის 18 დეკემბერს და იარსება 1906 წლამდე. უფრო სწორად, ის განაგრძობდა არსებობას, მხოლოდ შეეცვალა სახელი. 1905 წლის 24 ოქტომბრიდან რუსეთის იმპერიის ყველა საცენზურო კომიტეტს გადაუკეთდა დასახელება. მათ დაერქვათ „ბეჭდვითი საქმის კომიტეტები“. 1906 წლის 26 აპრილიდან საიმპერატორო განკარგულებით „კავკასიის საცენზურო კომიტეტს“ დაერქვა „ბეჭდვითი საქმის თბილისის კომიტეტი“. ამ სახელწოდებით კომიტეტი აგრძელებდა თავის საქმიანობას მთელი კავკასიის მხარის ფარგლებში მისი ლიკვიდაციის დღემდე, 1918 წლის 1 ოქტომბრამდე.

კრებულში დაბეჭდილი შრომები სხვადასხვა კუთხით განიხილავს კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობას მისი დაარსებიდან სახელის გადარქმევამდე. სტატიებში იკვეთება იმპერიული ცენზურის მიზნები და ამოცანები, ასევე ის მექანიზმები, რომელთაც იმპერია იყენებდა ბეჭდვითი სიტყვის სამართავად.

კრებულის რედაქტორი
ირმა რატიანი

პროექტის ხელმძღვანელი
თამარ შარაბიძე

პროექტის ძირითადი პერსონალი:
თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი, გოჩა კუჭუხიძე,
დოდო ჭუმბურიძე, ანა დოლიძე

დამკაბადონებელი
თინათინ დუგლაძე

სარჩევი

9 **თამარ შარაბიძე**
ცენზორთა და რედაქტორთა ურთიერთდამოკიდებულება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ანუ „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობა

Tamar Sharabidze
Interrelation of censors and editors during the second half of XIX century or the reaction of the *Caucasus Censorship Committee* to the work of editors

21 **ანა დოლიძე**
უცხოური ლიტერატურის შემოტანის სპეციფიკა რუსეთის იმპერიის მმართველობაში მოქცეულ კავკასიის ოლქის ხალხებში

Anna Dolidze
Specifics of introduction of foreign literature to the Caucasus County peoples living under Russian Empire rule

29 **ანა დოლიძე**
კავკასიის საცენზურო კომიტეტი თარგმანის ზოგიერთ საკითხზე

Anna Dolidze
Caucasian Censorship Committee on Certain Translation Issues

36 **თამარ შარაბიძე**
დრამატურგიული ცენზურა კავკასიაში
(XIX საუკუნის 60-70-იანი წლები)

Tamar Sharabidze
Dramaturgical Censorship in the Caucasus (60-70s of XIX century)

48 **თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი**
„კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ მასალებში ასახული ებრაელთა დისკრიმინაციის პროცესი და ქართული საზოგადოების მიერ „ებრაელთა გამოსარჩლების“ ფაქტი

Tamar Sharabidze, **Tamar Tsitsishvili**
The process of discrimination against Jews and the fact of "advocacy of Jews" by Georgian society reflected in the materials of the "Caucasus Censorship Committee"

58 **თამარ შარაბიძე**
„ივერია“ კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში

Tamar Sharabidze
„Iveria" in the Materials of the Caucasus Censorship Committee

68 **გოჩა კუჭუხიძე**
კავკასიის საცენზურო კომიტეტის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ *(XIX ს-ის 70-იანი წლები)*

Gocha Kuchukhidze
Certain Trends of Caucasian Censorship Committee *(70s of 19th century)*

93 **გოჩა კუჭუხიძე**
კავკასიის საცენზურო კომიტეტის 70-იანი წლებისა და 80-იანების დასაწყისის ზოგიერთი უცნობი მასალის შესახებ

Gocha Kuchukhidze
On Some Unknown Materials of 1870s and Early 1880s of Caucasian Censorship Committee

116 **გოჩა კუჭუხიძე**
ლერმონტოვის „დემონისა“ და მისი ლიტერატურული წყაროების შესახებ *(ლერმონტოვი და ბარათაშვილი)*

Gocha Kuchukhidze
On Lermontov's „Demon“ and its Literary Sources
(Lermontov and Baratashvili)

142 **გოჩა კუჭუხიძე**
ალექსანდრე ყაზბეგის *“ყველაფერი გედზედ არის“* ანუ ქვესკნელისკენ მარშით მიმავალთა გზა

Gocha Kuchukhidze
Unknown Play by Alexander Kazbegi or A Way Marching to the Hell

149 **გოჩა კუჭუხიძე**
ვინ იმალება კლდე-კანელის ფსევდონიმის მიღმა

Gocha Kuchukhidze
Who is Hiding under the Pseuodnym “Klde-Kaneli“

165 **დოდო ჭუმბურიძე**
რუსეთის პოლიტიკა საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეისა და ქართული იდენტობის წინააღმდეგ: აგენტურა და ცენზურა

Dodo Chumburidze
Imperial policy of Russia in Georgia against the national-state idea and Georgian identity: agents and Censorship

176 მანანა შამილიშვილი
ცენზორის ინსტიტუტი და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესის გამოცდილება

Manana Shamilishvili
Censor's Institute and the Experience of the Georgian Press in the Second Half of the 19th Century

189 დოდო ჭუმბურიძე
კავკასიის საცენზურო კომიტეტის ქართველი ცენზორები (XIX საუკუნე)

Dodo Chumburidze
Georgian censors of the Caucasus Censorship Committee (XIX century)

212 გოჩა კუჭუხიძე
კავკასიის საცენზურო კომიტეტი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში *(ძირითადი ტენდენციები)*

Gocha Kuchukhidze
Caucasian Censorship Committee in 80s-90s of the 19th century *(Key Trends)*

233 დოდო ჭუმბურიძე
კავკასიის საცენზურო კომიტეტის გადაწყვეტილებათა პოლიტიკური და ოდეოლოგიური კონტექსტი

Dodo Chumburidze
The Political and Ideological Context of the Decisions of the Caucasus Censorship Committee

249 ანა დოლიძე
კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდში დაცული, დასაბეჭდად აკრძალული, ი. მარუშიძის დოკუმენტური ჟანრის დაუმთავრებელი მოთხრობა – „სოლომონ ლეონიძე"

Anna Dolidze
Unfinished documentary-style story by I. Marushidze titled *"Solomon Leonidze" prohibited from publishing, is preserved in* the archives of the Caucasian Censorship Committee

257 გოჩა კუჭუხიძე
კავკასიის საცენზურო კომიტეტის ძირითადი ტენდენციები XX საუკუნის დასაწყისში

Gocha Kuchukhidze
Key Trends of Caucasian Censorship Committee in Early 20th Century

281 **თამარ შარაბიძე, გოჩა კუჭუხიძე, დოდო ჭუმბურიძე**
ცენზორის ინსტიტუტი XIX საუკუნის 50-70-იანი წლების ქართული გამოცდილების კონტექსტში

Tamar Sharabidze, Tamar Tsitsishvili, Dodo Chumburidze
Censor Institute in the context of the Georgian experience of the 50s-70s of the 19th century

315 **თამარ ციციშვილი**
ზოგიერთი საკითხი რუსეთის იმპერიული ცენზურის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში (I ნაწილი)

Tamar Tsitsishvili
Some Issues from the History of Russian Imperial Censorship in XIX Century Georgia (Part I)

327 **თამარ ციციშვილი**
ზოგიერთი საკითხი რუსეთის იმპერიული ცენზურის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში (II ნაწილი)

Tamar Tsitsishvili
Some Issues from the History of Russian Imperial Censorship in XIX Century Georgia (part II)

337 **თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი, ანა დოლიძე**
კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიზნები და ამოცანები
(მხატვრულ ტექსტთან ცენზურის მიმართების კრიტერიუმები)

Tamar Sharabidze, Tamar Tsitsishvili, Anna dolidze
The Goals and Objectives of the Caucasus Censorship Committee
(Criteria for Applying Censorship to Literary Texts)

354 **ძირითადი დასკვნები**
Main Conclusions

თამარ შარაბიძე
Tamar Sharabidze

ცენზორთა და რედაქტორთა ურთიერთდამოკიდებულება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ანუ „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობა

Interrelation of censors and editors during the second half of XIX century or the reaction of the *Caucasus Censorship Committee* to the work of editors

Annotation

Goal of any type of censorship (quite often – pseudo-goal) is protecting society. In a totalitarian state it gains different essence and scale. Its main task becomes protecting the ideology of a totalitarian state and punishing its opposers in different forms.

Caucasus Censorship Committee (1848-1906) was the main mechanism for the political and ideological control of Georgia and other nations of the Caucasus, which were part of the XIX century Russian Empire. The control mainly concerned the cultural-educational sphere, as other state institutions were under the Empire anyway.

Responsibility for the national-liberating tasks in Georgia in XIX century was taken by Georgian literature and press, therefore, censorship fought against them, killing the free opinion at its appearance. Censorship reviewed any kind of texts by Georgian writers, critics, playwrights and persons working in Georgian space in general – be it fiction, critical-publicist or scientific texts – and it was at the decision of censorship to publish, remake or to prohibit them. Not only creative freedom was restricted, but there was also pressure on national and public opinion.

Restrictions were expressed in taking out or remaking free pinion from an article or fiction work, its distortion; as punishment, a magazine could be closed down, an issue of a magazine could be banned or an editor could even be arrested. Repression censorship banned for prolonged period of time such well-known Georgian periodicals as, *Tsiskari, Iveria, Droeba, Imedi* and others; or even closed them down permanently. This happened to the first satire-humor magazine *Khumara (Joker).* Only one issue was published and the magazine was closed down; its editor Akaki Tsereteli was arrested for mocking a public servant…

In parallel with restrictions and punishments, Georgian literature, criticism, publicist work gradually transferred to defense regime and did not obey the ideological-political course of the Empire. Fiction, critical-publicist, scientific texts were being veiled, co-

ded, disguised with symbolic-allegorical images; this is well confirmed by all the materials found in the texts by Georgian classics and non-classic writers and justifying statements sent by editors to censors.

Goal of the article is to show, from the work by the *Caucasus Censorship Committee*, the interrelation of censors and editor, based on the decrees, reports by censors and justifying statements by editors.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, XIX საუკუნე, რუსეთის იმპერია

Key words: Caucasus Censorship Committee, XIX century, Russian Empire

ნებისმიერი სახის ცენზურის მიზანი (ხშირ შემთხვევაში, ფსევდომიზანი) საზოგადოების დაცვაა. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ის განსხვავებულ შინაარსსა და მასშტაბებს იძენს. მისთვის მთავარი ამოცანა ხდება ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიის დაცვა და მისი მოწინააღმდეგის დასჯა სხვადასხვა ფორმით.

„კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ (1848-1906) XIX საუკუნის რუსეთის იმპერიაში მოქცეული საქართველოსა და კავკასიის სხვა ერების პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონტროლის მთავარი მექანიზმი გახლდათ. ის აკონტროლებდა ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს ისედაც იმპერია განაგებდა.

XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ამოცანები როგორც საქართველოში, ასევე იმპერიის სხვა პროვინციებში, მწერლობამ და პრესამ იტვირთა, ამიტომ ცენზურა სწორედ მას ებრძოდა, „ჩანასახშივე“ კლავდა თავისუფალ აზრს. კავკასიის საცენზურო კომიტეტი განიხილავდა მწერლების, კრიტიკოსების, დრამატურგებისა და ზოგადად, კავკასიის სივრცეში მოღვაწე ადამიანთა, ნებისმიერი სახის ტექსტებს – მხატვრულს, კრიტიკულ-პუბლიცისტურს, სასწავლოსა თუ სამეცნიეროს და მის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული მათი დაბეჭდვა, გადასაკეთებლად უკან დაბრუნება, თუ საერთოდ აკრძალვა. იზღუდებოდა არა მარტო შემოქმედებითი თავისუფლება, არამედ ხორციელდებოდა ზეწოლა ეროვნულ და საზოგადოებრივ აზრზე.

შეზღუდვა გამოიხატებოდა სტატიიდან ან მხატვრული ნაწარმოებიდან თავისუფალი აზრის ამოღებასა და გადაკეთება-დამახინჯებაში, ხშირი იყო დასჯის მიზნით ჟურნალ-გაზეთების დახურვა, მათი რომელიმე ნომრის გაუქმება და თვით რედაქტორის დაპატიმრებაც კი. რეპრესიული ცენზურა ხანგრძლივი დროით აჩე-

რებდა ცნობილ ქართულ პერიოდულ გამოცემებს, როგორებიცაა: ,,ცისკარი“, ,,ივერია“, ,,დროება“, ,,იმედი“ და სხვ., ან საერთოდ აუქმებდა მათ. ამგვარი ბედი ეწია პირველ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალს – ,,ხუმარა“. მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა და დაიხურა, მისი რედაქტორი აკაკი წერეთელი კი დააპატიმრეს სახელმწიფო მოხელის აბუჩად აგდებისათვის...

შეზღუდვათა და დასჯათა პარალელურად ადგილობრივი მწერლობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა თანდათან თავდაცვით რეჟიმზე გადავიდა, იმპერიაში არსებულ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ გეზს არ დაემორჩილა, ამიტომაც მოახდინა მხატვრული, კრიტიკულ-პუბლიცისტური, მეცნიერული ტექსტების ვუალირება, კოდირება, სიმბოლურ-ალეგორიული სახეებით შენიღბვა; ამგვარი საქმიანობის კვალი ნათლად წარმოჩნდება ქართველ კლასიკოსთა თუ არაკლასიკოს მწერალთა ტექსტებში და აგრეთვე რედაქტორთა მიერ ცენზორის მისამართით დაწერილ გასამართლებელ განცხადებებში.

სტატიის მიზანია, „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობიდან წარმოაჩინოს ცენზორთა და რედაქტორთა ურთიერთდამოკიდებულება ცენზორთა დადგენილებების, ანგარიშებისა და რედაქტორთა „თავის გასამართლებელი“ განცხადებების საფუძველზე.

ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ წარმოვადგინოთ „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ ისტორია, მისი დაარსების მიზანი, სტრუქტურა და ამოცანები. „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ დაარსდა 1848 წლის 18 დეკემბერს. იგი თავდაპირველად ექვემდებარებოდა კავკასიის სასწავლო ოლქს. მას თავმჯდომარეობდა სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე. კომიტეტის საქმიანობა შემდგომ წლებში გაფართოვდა და გაიზარდა, რადგან იმატა ადგილობრივმა გამოცემებმა, განვითარდა ადგილობრივი ლიტერატურა, ასევე მომრავლდა თარგმანებიც, გახშირდა საზღვარგარეთიდან გაზეთების, კორესპონდენციების და სხვადასხვა დანიშნულების საგნების – სურათების, გეოგრაფიული რუკების, ხატებისა და სხვათა შემოტანა. ამ უკანასკნელთა შემოწმება მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, ვერცერთი ადრესატი ვერ მიიღებდა გზავნილს საცენზურო კომიტეტის ნებართვის გარეშე, საბაჟო პუნქტებიდან ასეთი მასალა (ბეჭდური) იგზავნებოდა პირდაპირ საცენზურო კომიტეტში, კონტროლის გავლის შემდეგ კი – ადრესატებთან.

1879 წლის 20 დეკემბრიდან კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობას დაემატა დრამატურგიული ცენზურა. კომიტეტი განიხილავდა პიესებს, ნებას რთავდა ან კრძალავდა კავკასიის მხარეში მათ სცენაზე დადგმას, ამოწმებდა აფიშებს, პიესის საცენზუროდ წარმოდგენილი ეგზემპლარის ტექსტს ადარებდა სცენაზე დადგმულისას და მათ იდენტურობას ამოწმებდა პოლიციის მეშვეობით, რომლის წარმომადგენელიც აუცილებლად უნდა დასწრებოდა სპექტაკლს. არ შეიძლებოდა იმპერიის სატახტო ქალაქებში დადგმული სპექტაკლის უნებართვოდ პროვინციის სცენაზე დადგმა, მას ხელახლა უნ-

და გაეარა კავკასიის საცენზურო კომიტეტში შემოწმება. ის, რაც იდგმებოდა სატახტო ქალაქების სცენაზე, ნებადართული არ იყო პროვინციაში.

1860 წელს კავკასიის სასწავლო ოლქი გაუქმდა, ხოლო მის დაქვემდებარებაში მყოფი საცენზურო კომიტეტი ჩამოყალიბდა ცალკე დაწესებულებად და გადავიდა სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში. 1863 წლის იანვრიდან რუსეთის იმპერიაში მოქმედი ყველა საცენზურო კომიტეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს უშუალო ზედამხედველობას დაექვემდებარა. 1867 წელს კი, სამოქალაქო დაწესებულებების საყოველთაო გარდაქმნისას, „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ შევიდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში. 1905 წლის 24 ოქტომბრიდან, ბეჭდვითი კანონის გამოსვლის შემდეგ,[1] რუსეთის იმპერიის ყველა საცენზურო კომიტეტს დაერქვა „ბეჭდვითი საქმის კომიტეტები“. „ბეჭდვითი საქმის თბილისის კომიტეტი“ თავის საქმიანობას აგრძელებდა მთელი კავკასიის მხარის ფარგლებში მისი ლიკვიდაციის დღემდე, 1818 წლის 1 ოქტომბრამდე.

როგორც ჩვენ მიერ წარმოდგენილი „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ ისტორიიდან გამოჩნდა, ეს დაწესებულება ყოველთვის სახელმწიფოს იდეოლოგიის გამტარებელი იყო და მისი ერთი უწყებიდან მეორეში გადანაცვლება ემსახურებოდა სახელმწიფოს უშიშროების დაცვას, ამიტომაც მას მუდმივად აკონტროლებდა ზემდგომი ორგანო, მისი სახელის შეცვლაც დაკავშირებული იყო პოლიტიკურ მოვლენებთან და იმპერიის მოჩვენებით მცდელობასთან, რომ შერბილებულად წარმოეჩინა იმპერიაში შემავალ ხალხთა მიმართ მკაცრი პოლიტიკური ზეწოლა.

„კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ მასალები, რომლებიც საქართველოს ეროვნული არქივის 480-ე ფონდშია დაცული, ძირითადად წარმოდგენილია 1863 წლიდან, როდესაც საცენზურო კომიტეტები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარა; ასევე, 1867 წლიდან, როდესაც „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ შევიდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში და კიდევ უფრო მეტად დაემორჩილა კონტროლს. შინაგან საქმეთა სამინისტრო არც შემდგომ იდგა შორს „საცენზურო კომიტეტისა“ თუ ნებისმიერი უწყების საქმიანობისგან და კვლავინდებურად ზედამხედველობდა მას. 480-ე ფონდის მასალებში ამის დამადასტურებელი მრავალი დოკუმენტი არსებობს. ერთ-ერთი მათგანი (480-1-43), რომელიც წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნას მთავარი სამმართველოსადმი, იუწყება იმ მოთხოვნის შესახებ, რომ მეფისნაცვლის კანცელარიის გამოცემული ყველა აქტი, უმაღლესი ბრძანებულებები, სახელმწიფოებრივი განკარგულებები, აგრეთვე სამმართველოს ყველა კომისიის მუშაობის დოკუმენტაცია უნდა გადაეგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მინისტრის მიერ შერჩეული საჭირო მასალა გამოქვეყნდეს ოფიციალურ გაზეთ „სახელმწიფო უწყებანში.“ ცხადია, რომ შინაგან საქმეთა სამმართველო და მეფისნაცვლის კანცელარია

[1] 1905 წლის ბოლოს და 1906 წლის დასაწყისში გამოიცა და ამოქმედდა კანონი ბეჭდვის შესახებ, რომელმაც რუსეთის იმპერიაში გააუქმა წინასწარი ცენზურა.

თანხმიერად აკონტროლებენ საქმიანობის ყველა სფეროს, მათ შორის, ბეჭდვით საქმესაც.

ბეჭდვით სფეროში თავისუფლება ქართველებისთვის რელიგიური კუთხითაც შეზღუდულია. იმდროინდელი მოღვაწეები, უპირველესად კი იაკობ გოგებაშვილი და განათლების სხვა მესვეურები, წუხილს გამოთქვამენ თავიანთ მრავალრიცხოვან წერილებში, რომ ქართული მართლმადიდებლობა განსაკუთრებული წნეხის ქვეშაა. მაჰმადიანები, კათოლიკეები და სომხეთის ქრისტიანები შედარებით თავისუფალნი არიან თავიანთი რელიგიის პოპულარიზაციის საქმეში. მათ შეუძლიათ, საზღვარგარეთიდან ლიტერატურის გამოწერა, მიღება, დაბეჭდვა და გავრცელება. ეს ყოველივე კი ეკრძალებათ ქართველ ქრისტიანებს, რადგან ისინი მართლმადიდებლები არიან, მართლმადიდებლური ლიტერატურა კი არსებობს რუსულ ენაზე და აღარაა საჭიროება მისი ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის. ქართული ეკლესია ექვემდებარება რუსულს, ხოლო სხვა რელიგიებს გაცილებით შეუზღუდავი უფლებები აქვთ. მაგალითად, სომხეთის კათალიკოს-პატრიარქს მთავარმართებლისაგან მინიჭებული აქვს უფლება, ეჩმიაძინის სტამბაში გამოსცეს ჟურნალი „არარატი“ და წიგნები სომხურ ენაზე საკუთარი პასუხისმგებლობით, კავკასიის საცენზურო კომიტეტის კონტროლის გარეშე (480-1-174). ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ასეთი ნებართვა არ გააჩნიათ და რელიგიური შინაარსის სტატიების დაბეჭდვაზე იღებენ როგორც სპეციალურ ნებართვას, ასევე დასაბეჭდად გაგზავნილი სტატიები მოწმდება ცენზორის მიერ და გამომცემელი საცენზურო კომიტეტიდან იღებს შემდეგი სახის წერილს: „ხელნაწერი არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლური ეკლესიის კანონებს და მისი დაბეჭდვა შესაძლებელია“, ან „ხელნაწერი დაუბრუნდეს ავტორს“, რაც ნიშნავს, რომ ის დაწუნებულია.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში მოიპოვება „სამეურნეო გაზეთის“ რედაქტორის, გიორგი წერეთლის, თხოვნა, რომ მკითხველთა სურვილით ნება მიეცეს, გაზეთში დაამატოს რელიგიური შინაარსის სტატიები, „ძველი აღქმის“ საღვთო ისტორიები, რადგან მათში აღწერილი გმირობები კეთილ ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობაზე“ (1868 ე. 19 სექტემბერი, საქმე 22 – №181). რედაქტორი საცენზურო კომიტეტში აგზავნის ამ მოთხრობათა ორ, ერთმანეთის იდენტურ, ეგზემპლიარს, რომლებიც ცენზორმა უნდა შეამოწმოს.

კავკასიის საცენზურო კომიტეტში ყოველწლიურად ივსება ჟურნალი, რომელშიც ზუსტად არის აღრიცხული განსახილველად შემოსული ნაბეჭდი თუ ხელნაწერი წიგნებისა და ნებისმიერი სახის გამოცემების სია. სიას თან ახლავს ამონაწერი, როდის და რომელი ცენზორების თანდასწრებით მოხდა საკითხის განხილვა, ასევე ახლავს რეზოლუციები, რომლებიც იწყება შემდეგი ფრაზებით: „Уведомить“, „Обявить“, „Хранить удержанния экземпляры“, „Книги видать“, „возвратить“ და ა.შ. ყველაფერი ბრძანებით კილოში.

ახალი გამოცემების რედაქტორობის მსურველები კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიისგან იღებენ ნებართვას ნებისმიერი სახის პერიოდული ორგანოს გამოცემაზე, პირობას დებენ, რომ შეასრულებენ ბეჭდვითი სიტყვის შესახებ არსებულ ყველა კანონს; თხოვნასთან ერთად, ისინი წარმოადგენენ პერიოდული ორგანოს (ჟურნალის ან გაზეთის) პროგრამას (იხ. საქმე 480-1-61, 480-1-110, „ბაქოს ფურცლის“ გამოცემის თხოვნა, თხოვნა „ცნობის ფურცელის“ დამატებაზე). თხოვნა, პროგრამა და ასევე სხვა საბუთები შეაქვთ მეფისნაცვლის კანცელარიაში. აღსანიშნავია, რომ ყოველ თხოვნას პროგრამასთან ერთად ახლავს რედაქტორის პირადობის დოკუმენტები (ატესტატი, პირადობის მოწმობა) და ხშირად ცნობა იმის შესახებ, რომ პიროვნებას (მომავალ რედაქტორს) გაკეთებული აქვს ჩუტყვავილას ვაქცინაცია. კანცელარია დოკუმენტებს აგზავნის საცენზურო კომიტეტში ასევე თხოვნით, რომელიც ბოლოვდება კანცელარიის უფროსის შემდეგი სიტყვებით, რომ ყველაფერი შემოწმდეს ცენზურის წესდების მიხედვით და მოხსენდეს მის უდიდებულესობას. ცენზორის ჩანაწერების საფუძველზე ნებართვას ან თხოვნაზე უარყოფით პასუხს ასევე კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს კანცელარია იძლევა. მისი ბიუროკრატიული აპარატი ამ ნებართვას ან უარს უგზავნის კვლავ კავკასიის საცენზურო კომიტეტს. მასში საუბარია, როდის წარდგა საქმე საცენზურო კომიტეტში და რის საფუძველზე მიიღო „დიდებული კნიაზის, მეფისნაცვლის“ ნებართვა ან უარი. ყველა დოკუმენტში ჩანს გადამეტებული პატივისცემა მეფისნაცვლისადმი და სხვა მაღალი თანამდებობის პირებისადმი; აგრეთვე, ნებართვის მიღების შემთხვევაში აუცილებლად მიეთითება რედაქტორს, რომ ზუსტად იმოქმედოს ცენზურის წესდების მიხედვით. კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის პასუხთან ერთად ზემოთ ჩამთვლილ დოკუმენტებს კავკასიის საცენზურო კომიტეტი უგზავნის ადრესატს, რედაქტორს. დოკუმენტებს თან ახლავს საცენზურო კომიტეტის თანამშრომლის წერილი, რომ საბუთებს პირადად აბარებს მას, რაზედაც ადრესატი ხელს აწერს და ამოწმებს, რომ ზემოჩამოთვლილი დოკუმენტაცია მას ნამდვილად ჩაბარდა (480-1-10). სახეზეა ბიუროკრატიული აპარატის საქმიანობის უაღრესად მოქნილი სისტემა, რომელიც თავიდან ბოლომდე აკონტროლებს არა მარტო ბეჭდვით საქმეს, არამედ ადამიანებსაც, რედაქტორებსაც. ცენზორის გრიფით „საიდუმლო“ წერილებში თავიდან ბოლომდე შესწავლილია, გაშიფრულია რედაქტორის პიროვნება, როგორ სწავლობდა ის სასწავლებელში, რა ქულები ჰქონდა მიღებული სხვადასხვა საგანში, რამდენად გონებაგახსნილი და, რაც მთავარია, კანონმორჩილი იყო (480-1-131). ცენზორთა საიდუმლო ანალიზებში ხშირად გაკრიტიკებულია პერიოდული ორგანოს მიმართულება, ეჭვქვეშ არის დაყენებული მისი სარგებლიანობა. ცენზორი ობიექტურად მიუთითებს ხოლმე, რომ პროგრამა საცენზურო დებულებას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ რედაქტორს არა აქვს მითითებული, რა იგულისხმება სიტყვებში – „და სხვა სტატიები“. საცენზურო კომიტეტი ითხოვს რედაქტორისგან ყველა დეტალის გახსნას, რომ „სხვა

სტატიებში“ რაიმე არ გაიპაროს, იმპერიისთვის არასასურველი, ხოლო მეფისნაცვლის კანცელარიას იმასაც კი ატყობინებს, რომ შენიშვნების გაცნობის შემდეგ ნაწყენი დარჩა თუ არა ესა და ეს რედაქტორი (480-1- 111);

რედაქტორები ხშირად ითხოვენ დაწუნებული პროგრამის შეცვლაზე ნებართვას. მათი თხოვნა ხელახლა გადის იმ ბიუროკრატიულ გრძელ გზას, რომელიც ზემოთ აღვწერეთ (480-1-111). მათ თხოვნას თან ახლავს ახალი პროგრამებიც, რომლებშიც გათვალისწინებულია ცენზურის მიერ მითითებული შენიშვნები.

უაღრესი სიფრთხილის მიუხედავად, ცენზორებს მაინც მოსდით შეცდომები. მაგალითად „მშაკში“ (სომხური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა 1872-1920 წლებში) დაიბეჭდა სამგლოვიარო სტატია, დასაფლავების წინ წარმოთქმული სიტყვა, მიძღვნილი მეგობრისადმი, რომელმაც თურმე თავი მოიკლა. ბარონი ნიკოლაი (მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამმართველოს უფროსი) ცენზორს სთხოვს ახსნა-განმარტებას, თუ როგორ მოხვდა მსგავსი შინაარსის წერილი გაზეთში. მისი აზრით, სტატიის დაბეჭდვა მართებული არ იყო, რადგან არყევდა ოჯახის საფუძვლის ცნებას. სამმართველოს უფროსის წერილს თან ერთვის სომხური სტატიის თარგმანი რუსულად (480-1-112). მის უდიდებულესობას, ბარონ ნიკოლაის, პასუხს სცემს „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ უფროსი, ის გარკვეულწილად იცავს ცენზორს, რომ ეს მას სპეციალურად არ გაუკეთებია და თანაც სარიტუალო სიტყვაში საცენზურო წესდება არ ყოფილა დარღვეული. მის პასუხს თან ერთვის ცენზორის ახსნა-განმარტებითი წერილიც.

ცენზორთა და რედაქტორთა ურთიერთობის წარმოსაჩენად გვინდა განვიხილოთ ერთ-ერთი საქმე, რომელშიც დაწვრილებით ჩანს ორივე მხარის საქმიანობა და ერთმანეთთან დამოკიდებულება (480-1-113). მეფისნაცვლის კანცელარია აგზავნის საცენზურო კომიტეტში შემდეგი შინაარსის წერილს: გუბერნიის სეკრეტარი ალექსანდრე დავიდოვ-ერიშოვი თხოვნით მიმართავს მთავარი სამართველოს უფროსს, რომ მიიღოს ნებართვა ამა წლის 1 სექტემბრიდან თბილისში ყოველთვიური ჟურნალის გამოსაცემად, რომლის სახელწოდება იქნება „კავკასიის სიძველენი“ („Кавказская Старина“).

სახელმწიფო მდივნის, ბატონ ბარონ ნიკოლაის, დავალებით კავკასიის საცენზურო კომიტეტში გაიგზავნა ერიშოვის თხოვნა ფორმულარული სიით, რომელშიაც შედის მისი პირადობის დოკუმენტი, „კავკასიის სიძველენის“ პროგრამა და იმ სტატიების სია, რომლებიც ჟურნალში დასაბეჭდადაა გამიზნული. კანცელარია უმორჩილესად ითხოვს მათ განხილვას საცენზურო კომიტეტის წესდების მიხედვით და მის უდიდებულესობასთან ანალიზის წარდგენას. დოკუმენტს ხელს აწერს კანცელარიის მმართველი ნ. პრიბილი (1872 წლის 11 მაისი). საქმეს ერთვის ცენზორის ანალიზი.

1872 წლის 9 ივნისს კავკასიის საცენზურო კომიტეტი კვლავ იღებს კანცელარიიდან წერილს, რომ გუბერნიის სეკრეტარს, ალექსანდრე ერიშოვს მიეცა უფლე-

ბა, გამოსცეს თბილისში თავისი პროგრამის მიხედვით ყოველთვიური ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ჟურნალი სახელწოდებით „კავკასიის სიძველენი“. საცენზურო კომიტეტის ამა წლის 19 მაისის ნებართვის №198 საფუძველზე მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ ერიშოვის თხოვნა დააკმაყოფილა იმ პირობით, თუ ჟურნალში ზუსტად იქნებოდა დაცული ამგვარი გამოცემებისათვის არსებული ყველა კანონი. დოკუმენტს ხელს აწერს მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამართველოს უფროსი, სენატორი, „სტატსკი სოვეტნიკი“ ბარონი ნიკოლაი, აგრეთვე კანცელარიის უფროსი ნ. პრიბილი. ნებართვას თან ახლავს ჟურნალის პროგრამა, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1872 წლის 1 სექტემბრიდან ალექსანდრე დავიდოვ-ერიშოვის რედაქტორობით თბილისში გამოიცემა ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ჟურნალი, სახელწოდებით „კავკასიის სიძველენი“. ჟურნალი გამოვა ყოველთვიურად წიგნის სახით 2,5-დან 4-მდე ფორმატით. ტექსტს დაერთვება ნახატები, ხედები, ფოტოები, გეგმები, რუკები და ა.შ. რუსულ ტექსტთან ერთად ჟურნალში დაიბეჭდება ისტორიული დოკუმენტების ორიგინალური ტექსტი კავკასიელთა მშობლიურ ენაზე. წლიური გამოცემის ფასი იქნება 8 მანეთი და 50 კაპიკი (გადაგზავნის გარეშე) და 10 მანეთი (გადაგზავნით).

ჟურნალში გამოიყოფა შემდეგი განყოფილებები: ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული. I განყოფილებაში შევა: ა) ისტორიული დოკუმენტები კავკასიის, ამიერკავკასიის, სპარსეთისა და თურქეთის ხალხთა შესახებ; ბ) საკამათო ისტორიული საკითხების გარჩევა, ისტორიული ლეგენდების შეფასება მშობლიურ მემატიანეთა მიერ, მათი შეფასებების კრიტიკა; გ) ადგილობრივი მემატიანეების არაცნობილი ადგილების თარგმანები; დ) ორიგინალური სტატიები აღმოსავლეთის ისტორიაზე. II არქეოლოგიურ განყოფილებაში შევა: ა) მასალები კავკასიის პირველყოფილი და წარმართული ცხოვრების შესახებ; ბ) მონასტრების, ეკლესიების, კოშკების, საფლავის ქვების, სასაფლაოების, ციხე-სიმაგრეების, ხიდებისა და სხვა ისტორიული ძეგლების აღწერა შემორჩენილი წარწერების ფოტოსურათებით; გ) მონეტების, იარაღისა და მეტალის სხვა ძეგლების აღწერა. III ეთნოგრაფიულ განყოფილებაში შევა: ა) ადგილობრივთა საშინაო და საზოგადოებრივი ცხოვრების წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების, ასევე სოფლისა და ქალაქური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნივთების, აღწერა; ბ) ამიერკავკასიაში, თურქეთსა და სპარსეთში მოგზაურობის მასალები; გ) ადგილობრივთა სიმღერები, ანდაზები, გამოცანები და ლეგენდები, გადმოცემები და ზღაპრები; დ) ადგილობრივთა თამაშობები და გართობა, წამლები და მკურნალობის მეთოდები, სამზარეულო და ა.შ. IV ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში შევა: ა) რუსული გამოცემების ბიბლიოგრაგრაფია; ბ) ადგილობრივი გამოცემების ბიბლიოგრაფია; გ) დასავლეთის გამოცემათა მიმოხილვა.

კანცელარიის მმართველი ნ. პრიბილი ხელმოწერით ადასტურებს დოკუმენტის სისწორეს. ტექსტს ორიგინალთან ადარებს და ხელს აწერს (ხელმოწერის ამოცნობა რთულია).

რუსულენოვანი ჟურნალი უთუოდ სასარგებლო დანიშნულებისაა, არაპოლიტიკური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობის, არ ეწინააღმდეგება საცენზურო კომიტეტის წესდებას, რუსულ ენაზე გადათარგმნილი ქართული ძეგლები ხელს შეუწყობს მათ პოპულარიზაციას. ამიტომაც ცენზურამ უპრობლემოდ მისცა თანხმობა რედაქტორს. აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ რუსულენოვანი ჟურნალის გაკონტროლებას ცენზორი ადვილად ახერხებს.

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა კიდევ ერთი რედაქტორობის მსურველის, ვარძელოვის, მეფისნაცვლის კანცელარიაში შეტანილი თხოვნა ბაქოში სომხურ ენაზე ყოველთვიური ჟურნალის – «Аршалуись» / „ცისკარი“ / – გამოცემის თაობაზე (480-1-131, საქმე№63). მეფისნაცვლის კანცელარიამ დაავალა საცენზურო კომიტეტს, განეხილა ვარძელოვის თხოვნა, ჟურნალის პროგრამა და მოეხსენებინა ამის შესახებ ბატონ სტატსკი-სეკრეტარ ბარონ ნიკოლაისთვის.

საქმეში დევს ცენზორის დასკვნა, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმპერიის მიზნების წარმოსაჩენად. დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია საკითხზე, რომ ბაქოს მხარის კეთილდღეობა დამოკიდებულია რუსეთთან მის შეკავშირებაზე, ამ მხარეში „რუსული ელემენტის“ გავრცელებაზე, მხარის განათლებაზე რუსული ენის დამკვიდრებით. ეს ჭეშმარიტება უკვე ცნობილია არა მხოლოდ მაღალ, არამედ საშუალო ფენის დიდი ნაწილისათვის, რომელიც არა მხოლოდ ლაპარაკობს, არამედ წერს კიდეც რუსულად. ადგილობრივთა უფრო მეტად განვითარებისათვის საჭიროა ჟურნალები და გაზეთები ადგილობრივ ენებზეც, მაგრამ მკითხველთა და პრესის გამომწერთა რაოდენობა პროვინციებში დიდი არ არის, რაც ნათლად ჩანს წაუკითხავი მასალებიდან (გაუყიდავი ჟურნალ-გაზეთებიდან). ცენზორი აღნიშნავს, რომ ამ მხარეში (კერძოდ, ბაქოში) ყველაზე დიდი მოთხოვნაა გაზეთ „მშაკზე“ (500 ცალი), რამაც ბიძგი მისცა მცხოვრებლებს სომხურ ენაზე მსგავსი ღირსების ადგილობრივი ჟურნალის გამოცემისა. ცენზორის აზრით, ეს ჟურნალი „რუსულ ელემენტს“ შეიტანს მხარეში. მისთვის გასაგებია, რომ ადგილობრივი პერიოდული გამოცემების გაზრდა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის (იმპერიისთვის – კომენტარი ჩვენია), ამიტომ მათ (პერიოდულმა გამოცემებმა) თავიანთი ხარჯით უნდა იარსებონ, მაგრამ სასურველია, რომ ამ გამოცემათა რედაქტორები იყვნენ მეტნაკლებად საფუძვლიანად განვითარებულნი და კეთილგანწყობილი ადამიანები (რა თქმა უნდა, იმპერიისადმი – კომენტარი ჩვენია). ამიერკავკასიის მხარეებში, სადაც ნაკლებად განვითარებულია რუსული ენა, რასაკვირველია, მოიძებნება ადგილობრივი ჟურნალების მკითხველები, მაგრამ სახელმწიფოს მიზანი რუსული ენის გავრცელებაა (და არა ადგილობრივთა ხელშეწყობა – კომენტარი ჩვენია). ამ მხრივ (რუსული ენის ათვისების თვალსაზ-

რისით – კომენტარი ჩვენია) ადგილობრივები ვითარდებიან, მაგრამ მაინც გონებრივად ჩამორჩენილნი არიან. ეს ჟურნალიც სწორედ მათი განვითარებისთვის იქმნება. პროვინციებში განათლების დაბალი მაჩვენებლის გამო მასობრივ ადგილობრივ გამოცემებს უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე თბილისში, რადგან აქაურ რედაქტორთა გონებრივი და მორალური ღირსებები გაცილებით მეტია. ცენზორი ადგილობრივ გამოცემათა მიმართ უნდა იყოს უფრო მეტად ყურადღებიანი და მკაცრი.

ამ ზოგად ანალიზს, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს იმპერიის მიზნებს ადგილობრივ გამოცემებთან მიმართებით, მოსდევს რედაქტორის პიროვნებისა და მისი საქმიანობის დაწვრილებითი ანალიზი. ცენზორი წერს: „ვარძელოვის თხოვნაზე ვიტყვით შემდეგს:

1. „ვარძელოვის ფორმულარული სიიდან ჩანს, რომ ის ძალიან ახალგაზრდაა. მისი განათლება შემოიფარგლება სასულიერო კურსისა და მის შემდგომ – კლასიკური გიმნაზიის დამთავრებით (1869 წელს). ნოვოროსიისკის უნივერსიტეტიდან ის გაირიცხა სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო. მისი ასაკი და არასაკმარისი განათლება არ გვაძლევს გარანტიას, რომ ის ჟურნალის კარგი რედაქტორი იქნება. ნდობას არ იმსახურებს მისი კეთილგანწყობაც. სომხურ სასწავლებელში სწავლის დროს ის არ გამოირჩეოდა „სასიკეთო კუთხით“. აქედან გამომდინარე, საცენზურო კომიტეტს მისი დანიშვნა ჟურნალის რედაქტორად მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ამიტომ ავალებს ბაქოს გუბერნატორს, ამ თანამდებობისათვის შეარჩიოს უფრო შესაფერისი კანდიდატურა, ვიდრე ვარძელოვია.

2. ჟურნალის გამოსვლის შემთხვევაში, სტატიები უნდა გამოიგზავნოს თბილისში საცენზუროდ.

3. თუ აირჩევა რედაქტორი და გაზეთი გამოვა, ყველა სტატია გაზეთის გამოსვლამდე სამი დღით ადრე უნდა იყოს წარმოდგენილი საცენზურო კომიტეტში. სტატიების გადასინჯვის შემდეგ დადგენილი ტექსტები უკან გაიგზავნება. დაბეჭდვის შემდეგ ყველა წიგნი (ნომერი) უნდა წარმოადგინონ საცენზურო კომიტეტში, რათა ზუსტად შემოწმდეს ეგზემპლართა რაოდენობა და ამის შემდეგ მიეცეს გამოსვლის ბილეთი (ნებართვა). ვალდებულება იმისა, რომ ჟურნალი არ გამოიცემა ბილეთის (ანუ ნებართვის) მიღებამდე, ეკისრება გუბერნატორს (მას ევალება ტიპოგრაფიის კონტროლიც). თუ გუბერნატრი აუხსნის გამომცემელს ამ მკაცრ მოთხოვნებს, მხოლოდ მაშინ შეეძლება კომიტეტს, დაეთანხმოს ბაქოს გუბერნატორს თხოვნაზე. მას თავის მხრივ შეუძლია ნდობით აღჭურვილ პირს ანდოს ასლი საცენზურო კომიტეტში გასაგზავნად, მასვე მიეცემა თანხმობის ბილეთი წიგნის გამოსაცემად. კომიტეტის გადაწყვეტილებით ჟურნალის ცენზურის გავლა ბაქოში არ შეიძლება, რადგან რუსულენოვან გაზეთს – „ბაქოს ფურცელი“ – ეტყობა გუბერნიის არასაკმარისი ცენზურა; მეორეც, უფრო ძნელია, ყურადღება

მიაქციო ისეთ ჟურნალს, რომლის ენა არ ესმის არც გუბერნატორს და არც მის ქვეშევრდომთა დიდ ნაწილს.

ვარძელაძის თხოვნაში მითითებულია, რომ სურთ ჟურნალის 2000 ეგზემპლარად გამოცემა, რაც საცენზურო კომიტეტს უაზრობად მიაჩნია, რადგან გამოცემის გაყიდვა კანონით ნებადართულია განსაზღვრულ ვადებში; რაც შეეხება პროგრამას, მასში არ არის არანაირი წინააღმდეგობა საცენზურო კანონთან“ (თარგმანი ჩვენია).

როგორც ვხედავთ, საცენზურო კომიტეტი რედაქტორებს ძალიან მკაცრ შეზღუდვებს უწესებს. რაც უფრო მოშორებულია მხარე ცენტრისგან, ცენზურის შეზღუდვა მით უფრო მკაცრდება. სხვა მოთხოვნებია იმპერიის ცენტრალურ ქალაქებში – მოსკოვსა და პეტერბურგში – და სხვა მოთხოვნებია შემოერთებულ პროვინციებში. რადგან თბილისი შემოერთებული პროვინციების – ამიერკავკასიის – ცენტრია, მას უპირატესობა აქვს ბაქოსთან შედარებით (ეს უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ ცენზურა თბილისს უკეთ აკონტროლებს). პრესის ბიუროკრატიული სისტემა პროვინციაში (კავკასიაში) შემდეგნაირად გამოიყურება: რედაქტორი თხოვნით მიმართავს გუბერნატორს, გუბერნატორი მის თხოვნას ამატებს თავის თხოვნას და აცნობებს მეფისნაცვლის კანცელარიას. ეს უკანასკნელი ყველა დოკუმენტს უგზავნის პროვინციის (კავკასიის) საცენზურო კომიტეტს. საცენზურო კომიტეტი სწავლობს დოკუმენტებს, რამდენად ექვემდებარება ისინი ცენზურის მოთხოვნებს და პასუხს ცენზორის დასკვნით უგზავნის მეფისნაცვლის კანცელარიას, მეფისნაცვლის კანცელარია ატყობინებს გუბერნატორს და ა.შ.

გარდა ბიუროკრატიისა, საცენზურო კომიტეტი ისეთ მოთხოვნებს უყენებს გამომცემელს, რომ მათი შესრულება თითქმის შეუძლებელია: ყველა მასალა სამი დღით ადრე უნდა იყოს საცენზურო კომიტეტში (თბილისში) პროვინციიდან ჩამოტანილი გუბერნატორის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ, მან უნდა მიიღოს თანხმობის ბილეთი, სასწრაფოდ ჩაიტანოს გადაკეთებული მასალა პროვინციაში, ამ კერძო შემთხვევაში – ბაქოში, იქ დაიბეჭდოს და შემდეგ ყველა ეგზემპლარი ისევ უნდა ჩამოიტანონ თბილისში რაოდენობის დასადასტურებლად და ეგზემპლართა ზუსტ თანხვედრაში დასარწმუნებლად, შემდეგ კი უკან წაიღონ ბაქოში გასაყიდად. და ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს მე-19 საუკუნის ტრანსპორტის საშუალებით.

იმპერია არ მალავს, რომ უპირატესობა რუსულენოვან პრესას უნდა მიენიჭოს და საერთოდ, პრესა უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ დაპყრობილ ხალხებში „რუსული ელემენტი“ შეიტანოს. რუსული პრესა ადვილად საკონტროლოცაა, ადგილობრივ პრესაში კონტროლის ბარიერს სწორედ ენა ქმნის. ამიტომ თუ დასაშვებია რუსულენოვანი ჟურნალის – „ბაქოს ფურცელი“ – ცენზურის გავლა ბაქოში, სომხურენოვანი გაზეთი აუცილებლად თბილისში უნდა შემოწმდეს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ცენზორი დაწვრილებით სწავლობს რედაქტორის ვინაობას როგორც მისი საბუთების მეშვეობით, ასევე – სხვა გზებითაც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვარძელოვის „ფორმულარში“ არ იქნებოდა მითითებული, ის კეთილსაიმედო იყო თუ არა. ადვილად მისახვედრია, რომ „კეთილსაიმედოობა“ ნიშნავს მორჩილებას, რომელსაც, გონიერებასთან ერთად, იჩენს თბილისში გამოსული პრესის რედაქტორთა უმრავლესობა. „კეთილსაიმედოობას“ ასაკი და გამოცდილებაც განსაზღვრავს.

სხვა საქმეებიდან (480-1-58; 480-100-61) აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ რედაქტორი ან ცენზორი დასასვენებლად მიდის, ამის შესახებაც უნდა აცნობოს საცენზურო კომიტეტს და მისი მოვალეობის შემსრულებელის დანიშვნაზეც თანხმობაც მიიღოს, რასაც თითქმის ერთი თვე სჭირდება.

საცენზურო კომიტეტის საქმიანობის თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი. საცენზურო კომიტეტი ყოველწლიურად ადგენს სხვადასხვა ენაზე გამოცემული (რუსული, ქართული, სომხური, ფრანგული) ბეჭდვითი პროდუქციის სიებს, რომლიდანაც ჩანს, რომ სჭარბობს რუსული და შემდგომ სომხურენოვანი პროდუქცია. ამ სიებში აღნიშნულია, თუ სად არის გაგზავნილი დაბეჭდილი წიგნები და ვინ ჩაიბარა ისინი ხელმოწერით (480-1-114). იმპერია აკონტროლებს არა მარტო იმას, თუ რა იბეჭდება, არამედ იმასაც, თუ სად რა იგზავნება და ვინ იბარებს. ამით ადგენს მოსახლეობის ინტერესთა სფეროს, რაც ეხმარება მას კონტროლში.

ჩვენ მოკლედ წარმოვადგინეთ „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობა ცენზორთა და რედაქტორთა ურთიერთდამოკიდებულების მხრივ, ბიუროკრატიული აპარატის მთელი რიგი სირთულეები, რომელთა გადალახვა უწევს პერიოდულ ორგანოსა და მის რედაქტორს თავდაპირველად იმისთვის, რომ ჟურნალმა ან გაზეთმა დღის სინათლე იხილოს, შემდეგ კი იმისთვის, რომ არ დაიხუროს. ვხედავთ, რომ მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ადგილობრივი პრესა მაინც ვითარდება და, თუ იმპერიის თვალთახედვით, ის „რუსული ელემენტის“ განმტკიცებას უწყობს ხელს მოსახლეობაში, სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი – ცოდნას, განათლებას და გარკვეულ ინფორმაციას აძლევს ხალხს, რაც საბოლოოდ მხოლოდ და მხოლოდ დადებითად მოქმედებს მასზე, ავითარებს და ამზადებს მომავალში ეროვნული მოღვაწეობისათვის. „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ ერთ-ერთი რგოლია იმპერიის ბიუროკრატიულ სისტემაში, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივთა ენებზე ბეჭდვითი საქმის განვითარებას, მაგრამ მაინც ვერ აფერხებს მას. საზოგადო მოღვაწენი, „საცენზურო კომიტეტის“ კანონის ფარგლებში, პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის მიუხედავად, სხვადასხვა გზით, მორჩილებითა თუ მოქნილობით, მაინც ახერხებენ თავიანთი ეროვნული მიზნების განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს ეროვნული არქივის, ფონდი №480-ის, მასალები.

ანა დოლიძე
Anna Dolidze

უცხოური ლიტერატურის შემოტანის სპეციფიკა რუსეთის იმპერიის მმართველობაში მოქცეულ კავკასიის ოლქის ხალხებში[1]

Specifics of introduction of foreign literature to the Caucasus County peoples living under Russian Empire rule

Annotation

The colonial policy of the Russian Empire of the 19th century was based on intense control mechanisms and strategy towards the nations under its rule (the Caucasus region in particular). One of the aspects of the identification of such political-ideological control mechanisms is a special approach to literature imported from abroad, to any type of printed products (books, magazines, manuscripts, drawings, maps, calendars, etc.), their translation and verification for a certain purpose – to what extent these materials involved the Information irrelevant to imperial/dictatorial politics.

This extremely important position for imperial rule was subject to centralized administration and was not discussed at the level of the provincial censorship/administrative cell or "Caucasus Censorship Committee"; a department of "Foreign Censorship" was created in Petersburg, which was also referred to as "Petersburg Censorship".

The mentioned censorship committee compiled alphabetical lists of permitted and prohibited foreign literature entering the empire and sent them to provincial censorship offices twice a month. The Caucasus Censorship Committee was guided by the alphabetical lists of foreign censors in issuing permission for the printing of any foreign material.

In addition, material imported into the province from abroad could also be sent by post. Any material of the printed word entering the Caucasus region, before reaching the addressee, was sent from the customs directly to the "Censorship Committee of the Caucasus", where it was translated, checked and then sent to the addressee; If the material by its essence and idea was unacceptable for the totalitarian political model, then it was "enclosed", i.e. They forbade handing it over to the addressee. Accordingly, similar literature was destroyed. And the lists of these prohibited materials were sent to the governors, and they were tasked to check the libraries, reading rooms and bookstores, through

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“, №4, თსუ გამომცემლობა, 2024 წ.

special officials, about the existence and use of this or that type of material, in order to confiscate it.

From the materials of the "Caucasus Censorship Committee" preserved in the National Archives of Georgia (Fund 480), it is clear that similar literature still reached the provinces without getting into the Petersburg department of "Foreign Censorship", and local censorship was based on internal inspection, if it did not contain an opinion harmful to the empire, it issued a consent ticket, which meant it could be printed.

As a result, a number of cases are found in the Caucasus Censorship Committee, in which the superior body of the committee – the Main Department of the Viceroy of the Caucasus – strictly warns the censors that it is not allowed to grant permission for translation and publication to materials that are not registered in the Petersburg alphabetical lists (neither permitted nor prohibited). Notwithstanding the internal censorship, the Provincial Censorship Committee shall not take any decision other than to ban it; It was also forbidden to issue a permit for the publication of materials that had entered the Empire bypassing the customs.

The materials of the Caucasus Censorship Committee – the committee's charter and circulars, as well as the correspondence of the main division of the Viceroy's Chancellery with the committee and the resolutions of the Internal Affairs Division perfectly represent the colonial character of the cultural and educational policy of Imperial Russia and its management systems; These facts reveal the history of the Georgian people's struggle for freedom of expression; Along with this, they present the principles and trends of the Russian Empire's influence and manipulation of public opinion at the time, which acquires special importance in the context of modern "information wars".

საკვანძო სიტყვები: უცხოური ლიტერატურა, შემოტანის სპეციფიკა, რუსეთის იმპერია

Keywords: foreign literature, Specifics of introduction, Russian Empire

XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა მის მმართველობაში მოქცეული ერების (კერძოდ, კავკასიის ოლქის) მიმართ მძაფრი კონტროლის მექანიზმებსა და სტრატეგიაზე იყო დაფუძნებული. ამგვარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონტროლის მექანიზმების გამოვლენის ერთ-ერთი მხარეა უცხოეთიდან შემოსული ლიტერატურისადმი, ნებისმიერი ბეჭდვითი სახის პროდუქციისადმი (წიგნი, ჟურნალი, ხელნაწერი, ნახატი, რუკა, კალენდარი და ა.შ) განსაკუთრებული მიდგომა, მათი თარგმნა და შემოწმება გარკვეული მიზნით – რამდენად შეიცავდა ეს მასალები იმპერიიული/დიქტატორული პოლიტიკისათვის შეუსაბამო ინფორმაციას.

იმპერიული მმართველობისთვის ეს განსაკუთრებულად მნიშვმელოვანი პოზიცია ცენტრალიზებულ ადმინისტრირებას ექვმდებარებოდა და ის არ განიხილებოდა მხოლოდ პროვინციული საცენზურო/ადმინისტრაციული უჯრედის, ანუ „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ დონეზე. იმპერიის დიდ ქალაქებში – პეტერბურგში, მოსკოვსა და ოდესაში შექმნილი იყო „უცხოური ცენზურის“ კომიტეტები.

ეს საცენზურო კომიტეტები ადგენდნენ იმპერიაში შემოსული უცხოური ლიტერატურის დასაშვებ და აკრძალულ საალფაბეტო სიებს და თვეში ორჯერ აგზავნიდნენ პროვინციების საცენზურო განყოფილებებში. კავკასიის საცენზურო კომიტეტი ნებისმიერი უცხოური მასალის დაბეჭდვისათვის ნებართვის გასაცემად ხელმძღვანელობდა უცხოური ცენზურის საალფაბეტო სიებით.

პროვინციებში საზღვარგარეთიდან შემოსული მასალა ხვდებოდა სხვადასხვა გზით, უმეტესად – ფოსტის მეშვეობით. კავკასიის ოლქში შემოსული ბეჭდვითი სიტყვის ნებისმიერი მასალა ადრესატთან მისვლამდე, საბაჟოდან პირდაპირ „კავკასიის საცენზურო კომიტეტში“ იგზავნებოდა, სადაც მას თარგმნიდნენ, ამოწმებდნენ და შემდეგ აგზავნიდნენ ადრესატთან; თუ მასალა თავისი არსით და იდეით მიუღებელი იყო ტოტალიტარული პოლიტიკური მოდელისათვის, მაშინ მას „აპატიმრებდნენ“, ანუ კრძალავდნენ ადრესატისათვის მის გადაცემას. შესაბამისად, ეს ლიტერატურა ნადგურდებოდა; ხოლო აკრძალული მასალების სიები ეგზავნებოდათ გუბერნატორებს და მათვე ევალებოდათ საგანგებო მოხელეთა მეშვეობით შეემოწმებინათ ბიბლიოთეკები, სამკითხველო დარბაზები და წიგნების მაღაზიები და ასეთი სახის მასალის არსებობის შემთხვევაში განეხორციელებინათ მათი კომფისკაცია.

საქართველოს ეროვნულ არქივიში (480-ე ფონდი) დაცული „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ მასალებიდან ირკვევა, რომ ამგვარი სახის ლიტერატურა მაინც აღწევდა პროვინციებში ისე, რომ არ ხვდებოდა „უცხოური ცენზურის“ პეტერბურგის, მოსკოვის ან ოდესის განყოფილებებში, ხოლო ადგილობრივი ცენზურა შიდა შემოწმების საფუძველზე, თუკი მასში იმპერიისთვის მავნებელ აზრს ვერ დაინახავდა, აძლევდა თანხმობის ბილეთს, რაც ნიშნავდა იმას, რომ მისი დაბეჭდვა და შენახვა შეიძლებოდა.

შედეგად კავკასიის საცენზურო კომიტეტში მოიპოვება არაერთი საქმე, რომელშიც კომიტეტის ზემდგომი ორგანო – კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო – მკაცრად აფრთხილებს ცენზორებს, რომ 1) დაუშვებელია თარგმანისა და პუბლიკაციისათვის ნებართვის გაცემა მასალებზე, რომლებიც პეტერბურგის საალფაბეტო სიებში არ არის რეგისტრირებული; 2) შიდა ცენზურის მიუხედავად, პროვინციის საცენზურო კომიტეტმა არ უნდა მიიღოს რაიმე სახის გადაწყვეტილება, გარდა მისი აკრძალვისა; 3) იკრძალება ნებართვის გაცემა იმ მასალათა პუბლიკაციაზე, რომლებიც საბაჟოს გზის ავლითაა შემოსული იმპერიაში.

საქართველოს ცენტრალური არქივის 480-ე ფონდში („კავკასიის საცენზურო კომიტეტი“) დოკუმენტური მასალა შენახულია ქრონოლოგიური წესით შემდეგი დასათაურებებით: პერიოდული გამოცემები, არაპერიოდული გამოცემები, შერეული შინაარსის საქმეები (პერიოდული, არაპერიოდული და სხვ.), უცხოური პრესა, ტიპოგრაფია და წიგნით ვაჭრობა, დრამატურგიული ცენზურა, ხელნაწერები. ამ მასალებიდან ჩვენ დავინტერესდით „უცხოური პრესით“. 480-1-9 საქმეში საუბარია „უცხოური ცენზურის მიერ განხილულ ნაწარმოებთა ანბანურ სიებზე“, რომლებიც გამოცემულია უცხოური ცენზურის ცენტრალური კომიტეტის მიერ და დარიგებულია გუბერნიის უფროსებთან. მათში ცალკეა გამოყოფილი უცხოეთიდან შემოსული აკრძალული წიგნების სია და მითითებულია, რომ ამ წიგნების გაყიდვა, შენახვა და გავრცელება აკრძალულია; გუბერნატორებს ევალებათ, რომ ალფავიტური სიები სწრაფად მივიდეს მაღაზიათა მფლობელებთან, სახალხო ბიბლიოთეკებსა და სამკითხველო დარბაზებში, გამავრცელებელ პირებთან და გაყიდვების ზედამხედველებთან. აქვე ვხვდებით შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებას, რომ ზემოთ აღნიშნული სიები აუცილებლად დაიბეჭდოს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ბეჭდვითი საქმის მთავარი სამართველოს ჟურნალ „წიგნის ქრონიკაში“, მის მეორე ნაწილში (როგორც მისი დამატება), სათაურით „აკრძალული წიგნების ანბანური ჩამონათვალი» და „უცხოური ცენზურის მიერ განხილული (აკრძალული) ნაწარმოებების ანბანური სიები“[1]; ამ ორივე გამოცემაზე დაიწყოს ხელმოწერები ჟურნალ „წიგნის ქრონიკის“ ოფისში, ფასით 1 მანეთი წელიწადში თითოეულ გამოცემაზე. ჟურნალ „წიგნის ქრონიკის“ გამომწერმა პირებმა მიიღონ ანბანური ჩამონათვალი და სია ჟურნალთან ერთად, მათზე ხელმოწერის გარეშე; აგრეთვე ყოველი წლის დასაწყისში ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა სამმართველომ შეადგინოს გასული წლის „აკრძალული გამოცემების კონსოლიდირებულ (მოკლე) ანბანური მაჩვენებელი“ და დაურიგოს ხელმომწერებს უფასოდ ჟურნალ „წიგნის ქრონიკის“ რედაქციის ოფისის მეშვეობით (1868 წ. 15 აპრილი) (480-1-9).

[1] „აკრძალული გამოცემების ანბანური ჩამონათვალი», რომელიც დამატებაა აკრძალული წიგნების საერთო კატალოგის (მოხსენებული დადგენილებაში ცენზურის, ბეჭდვისა და გაყიდვების შესახებ), 50-ჯერ გამოიცემოდა წელიწადში, ხოლო „უცხოური ცენზურის მიერ განხილული ნაწარმოებების ანბანური სიები“ – 12-ჯერ.

მასალებიდან ჩანს, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტი ზრუნავს იმის თაობაზე, რომ აკრძალული გამოცემა ან აკრძალული უცხოური ლიტერატურა შემთხვევით არ გაიყიდოს და არ მივიდეს მკითხველამდე, ამიტომ ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ ეს ინფორმაცია გახდეს საჯარო: აკრძალვა ეგზავნება გუბერნატორებს, რომლებიც თავის მხრივ ატყობინებენ ადგილობრივ პოლიციას. ეს უკანასკნელი ვალდებულია, თვალყური ადევნოს, რამდენად სრულდება იგი. ასევე აკრძალვა ვრცელდება ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს ჟურნალ „წიგნის ქრონიკის“ მეშვეობით, რომელშიც იბეჭდება როგორც „აკრძალული წიგნების ანბანური ჩამონათვალი“, ასევე „უცხოური ცენზურის მიერ განხილული (აკრძალული) ნაწარმოებების ანბანური სიები“. როგორც დავინახეთ, ეს სიები წელიწადში მრავალჯერ გამოიცემა: კერძოდ, „უცხოური ცენზურის მიერ განხილული ნაწარმოებების ანბანური სიები“ – 12-ჯერ. გამოცემათა სიხშირე მიგვითეთებს ცენზურის სიფხიზლეზე, რათა არ დაირღვეს იმპერიული დიქტატურის კანონი; რათა აკრძალვა სწრაფად გავრცელდეს. იმპერიული დიქტატურის მთელ ამ მექანიზმს ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა მინისტრი.

ამავე საქმეში (480-1-9) სათაურით „О пройзведениях печати на иностранных европейских языках, в везенных в Кавказский край в 1868 году“ (იმ ევროპულ ენებზე დაბეჭდილი საზღვარგარეთული ნაწარმოებების შესახებ, რომლებიც კავკასიის მხარეში შემოდის 1868 წელს) დევს ერთნაირი შინაარსისა და ფორმის მიმართვები საცენზურო კომიტეტისადმი. ისინი იგზავნება საკარანტინო და სასაწყობო საბაჟოებიდან (ფოთის, ქუთაისის, თბილისის, ამიერკავკასიის). საბაჟოები დაწვრილებით აღწერენ ჩაბარებულ ტვირთს (მის მოცულობას, წონას, ფაქტურას), აკეთებენ შემოსული წიგნების ჩამონათვალს, მიუთითებენ, თუ რა ენაზეა შესრულებული და აგზავნიან საცენზურო კომიტეტში განსახილველად.[1] ყველა საქმეს ხელს აწერს გამგზავნი პირი საბაჟოდან. საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ამ „ტვირთს“ უგზავნის მაგიდის უფროსს, ის კი ანაწილებს, ანუ კონკრეტულ თანამშრომელს ავალებს შემოსული ბეჭდური პროდუქციის განხილვას და შემდეგ ადრესატისათვის გაგზავნას. თანამშრომელი (შესაძლებელია ის იყოს მთარგმნელი) აკეთებს აღწერას და იძლევა ნებართვის ბარათს იმ შემთხვევაში, თუ წიგნის (ბეჭდური პროდუქციის) რუსეთის იმპერიაში გავრცელებას სახიფათოდ არ მიიჩნევს. ნებართვას ამტკიცებს საცენზურო კომიტეტი. მხოლოდ ამის შემდეგ მიდის გამოგზავნილი მასალა პატრონთან (წიგნების მაღაზიების მფლობელებთან, სამკითხველო დარბაზებში და კერძო პირებთან). ხშირად მიმღები პირი ისევ აგზავნის წერილს კავკასიის საცენზურო კომიტეტში, რომ მიიღო გამოგზავნილი მასალა. საცენზურო კომიტეტის მასალებში ამგვარი ბარათებიც ინახება.

[1] უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით, სულ რამდენიმე წელიწადში, შეუძლებელი გახდა აღწერა და ბეჭდვითი პროდუქცია იგზავნებოდა კსკ-ში წონის მითითებით (480-1-68).

ნებართვის დოკუმენტებს მოკლედ აწერიათ განხილვის შედეგი („ნებადართულია“ ან „აკრძალულია“), აგრეთვე თითოეულს მიეთითება შემდეგი განკარგულება: „დაუბრუნდეს მფლობელს“, „დარჩეს საცენზურო კომიტეტში“, ან „განადგურდეს პოლიციის მეშვეობით“. სპეციალურ ჟურნალში ცალკეა აღრიცხული კავკასიის საცენზურო კომიტეტში შემოსული მასალა (მოკლე აღწერით) და განხილვის შედეგად გაცემული პასუხებით.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი ვალდებულია საბაჟოებიდან შემოსული მასალა გადაამოწმოს, განხილულია თუ არა პეტერბურგის საზღვარგარეთის საცენზურო კომიტეტის მიერ, დაუშვებულია თუ აკრძალული მისი გამოქვეყნება და შენახვა. აღსანიშნავია ისიც, რომ საზღვარგარეთული ცენზურის პეტერბურგის კომიტეტიდან ანბანური სიები ჯერ ეგზავნება კავკასიის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 ეგზემპლიარად, ხოლო კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს კანცელარიას – 1 ეგზემპლიარად. შინაგან საქმეთა სამინისტროცა და მეფის ნაცვლის კანცელარიაც – ორივე – აგზავნიან მათ კავკასიის საცენზურო კომიტეტში. ასეთი დოკუმენტები მოდის თვეში რამდენჯერმე (480-1-26) და რჩება კომიტეტში. კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს კანცელარია თვეში 2-ჯერ აწვდის საცენზურო კომიტეტს პეტერბურგის კომიტეტის საზღვარგარეთული ცენზურის მიერ დადგენილ „წიგნების საალფაბეტო სიებს“ (თითოეული წიგნის შესახებ ცენზურის დასკვნით) (480-1-42). მეფისნაცვლის კანცელარია თავის მხრივ მეფისნაცვალს სთხოვს ნებართვას, რომ პეტერბურგის საზღვარგარეთული ცენზურის მიერ აკრძალულ წიგნთა ალფაბეტური სია დააგზავნოს კავკასიის მხარის სხვადასხვა დაწესებულებაში (480-1-116). საცენზურო კომიტეტი კანცელარიიდან მიღებულ სიებს უგზავნის გუბერნატორებს. ისინი მიმართავენ ადგილობრივ პოლიციას. მასალებიდან ისიც ირკვევა, რომ გუბერნატორებისათვის ამ სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღება ძნელია. მაგალითად, თბილისის გუბერნატორი მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს და უმორჩილესად ითხოვს, საგანგებო დავალებათა უფროს ჩინოვნიკს, ვიზგალოვს, როგორც მის რწმუნებულს, დაევალოს წიგნების დაწესებულებების თვალთვალი, ხოლო საცენზურო კომიტეტმა თავის მხრივ არ დატოვოს ეს ჩინოვნიკი ბეჭდვითი საქმის წესებისა და ინფორმაციის მიწოდების გარეშე (480-1-138).

აღსანიშნავია, კავკასიის საცენზურო კომიტეტში შემოდის საჩივარიც კერძო პირისგან, რომ „დაპატიმრებული“ წიგნი გადააგზავნონ პეტერბურგის საცენზურო კომიტეტში განსახილველად (480-1-42, საქმე №39), რითაც დასტურდება, რომ პეტერბურგის საცენზურო კომიტეტი კავკასიის ამავე სახელწოდების კომიტეტზე მაღლა მდგომი ორგანოა.

საცენზურო კომიტეტი ამოწმებს ნახატებსა და სურათებსაც, რომლებიც იგზავნება უცხოეთიდან. ასევე: რუკებს, ნოტებს, ფოტოებს, ხელნაწერებს. ერთ-ერთი შემმოწმებელი არის ალექსანდრე კახიანი (საქმე № 134, 1868 წლის 24 მარტი).

მასალებიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირებს ჰქონდათ უფლება, გაცნობოდნენ აკრძალულ ლიტერატურას, თუმცა ამავე დროს მათი განადგურებაც ევალებოდათ. კავკასიის საცენზურო კომიტეტში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისაგან შემოდის წერილი, რომ მიიღო წიგნები, მათ შორის ჩერნიშევსკის აკრძალული „რა ვაკეთოთ?“ (საქმე 90, 1868 წ. 24 თებერვალი)[1].

საარქივო მასალების ერთ-ერთ დოკუმენტში (საქმე 24, 1868 წ. 22 თებერვალი) ჩანს, რომ ფოთის საკარანტინო-საბაჟო ოფისიდან შემოდის საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი სომხური წიგნები (103 წიგნი). საცენზურო კომიტეტს სთხოვენ მათ განხილვას, შედეგის შეტყობინებას იმავე ოფისში და, თუ წიგნები არ მოხვდება აკრძალულთა სიაში, მათ გადაგზავნას ახალციხის საქალაქო პოლიციაში, რომელიც საბოლოოდ მიაწვდის მფლობელს. სახეზე გვაქვს ბიუროკრატიული აპარატის მთელი სისტემის საქმიანობა, რომელიც იწყება საბაჟოდან, გადადის კავკასიის საცენზურო კომიტეტში, კომიტეტიდან პოლიციაში და საბოლოოდ აღწევს (ნებართვის შემთხვევაში) ადრესატამდე, ვისთანაცაა გამოგზავნილი ესა თუ ის ბეჭდვითი მასალა. მხოლოდ 1879 წელს დაერთოთ ნება, ისიც მხოლოდ და მხოლოდ კონსულებს, რომ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი პერიოდიკა მიეღოთ საცენზურო კონტროლის გარეშე (480-1-391).

აღსანიშნავია ისიც, რომ რელიგიური წიგნების განხილვისას საცენზურო კომიტეტი უკავშირდება რელიგიურ უწყებებს და რთავს მათ საცენზურო მუშაობაში. მაგალითად, საცენზურო კომიტეტი სწერს მის უწმინდესობას, არქიეპისკოპოსს ევსეის, საქართველოს ეგზარხოსს, რომ კომიტეტი განიხილავს პასტორი ვინის შემოსულ ხელნაწერებს მთარგმნელის მეშვეობით (საქმე 22). გევორქ IV, სომხეთის კათალიკოსი, წერილს სწერს საცენზურო კომიტეტს, რომ მასთან გაგზავნილ 15 ხელნაწერში, რომელმაც შემოწმება გაიარა სამოსწავლო კომიტეტში, ზოგიერთი სიტყვა უნდა შესწორდეს (მიუთითებს ამ სიტყვებზე). ჩანს, სომხეთის კათალიკოსიც რელიგიური ლიტერატურის განხილვის მიზნით ჩართულია საცენზურო კომიტეტის საქმიანობაში. ერთ-ერთი დოკუმენტიდან (საქმე 22 – №162, 10 ივლისი 1868 წ.) ვიგებთ, რომ ცენზურამ დაუშვა ახალგაზრდებისათვის რომის კათოლიკური ეკლესიის საკითხავების დაბეჭდვა. რა თქმა უნდა, რელიგიურ უწყებებთან საცენზურო კომიტეტის თანამშრომლობა ხდება ადგილობრივი და არა უცხოეთიდან შემოსული, რელიგიური მასალების განხილვის დროსაც. 480-1-137 საქმეში – „სასულიერო შინაარსის ბეჭდური ნაწარმოებების შესახებ. 1873 წ. 20 ივნისი“ – დევს შემდეგი დოკუმენტი: საქართველოს საეგზარქოსოს სინოდის წევრი მიმართავს და ატყობინებს „კავკასიის საცენზურო კომიტეტს“, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორს, გიორგი ხელაძეს, დაევალა საცენზურო კომიტეტის

[1] ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ?“ შეტანილია აკრძალულ სიათა კატალოგში (საქმე №27, 30 იანვარი, 1868 წ.).

მიერ გამოგზავნილი, ქართულ ენაზე დაწერილი ხელნაწერის – „ალექსეი ღვთის კაცი“ – გადახედვა და ანალიზი. გიორგი ხელაძემ შეატყობინა საეგზარქოსოს, რომ ხელნაწერი არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლური ეკლესიის მრწამსს და მისი დაბეჭდვა შესაძლებელია. დოკუმენტს ხელს აწერს არქიეპისკოპოსი ევსეი, საქართველოს ეგზარქოსი. საქმეში დევს გიორგი ხელაძის არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილი დასკვნაც.

სასულიერო შინაარსის ქართული ტექსტების ცენზურირების საქმეში კავკასიის საცენზურო კომიტეტი რთავს საქართველოს ეგზარქოსს, ევსეი არქიეპისკოპოსს. სასულიერო შინაარსის ნაწარმოებები საქართველოს ეგზარქოსის ნებართვით ეგზავნება განსახილველად პროტოიერეი გიორგი ხელიძეს, რომელიც ქართული სასულიერო ლიტერატურის ცენზორია (480-1-261).

საარქივო მასალებიდან (480-1-91) ირკვევა, რომ უცხოურ ცენზურასთან დაკავშირებით კავკასიის საცენზურო კომიტეტი ხელმძღვანელობს არა მხოლოდ გამოგზავნილი ალფავიტური სიებით, არამედ თვითონაც იღებს ამ სიების შედგენაში აქტიურ მონაწილეობას, ასრულებს ტრანზიტორის როლსაც, რადგან ტრანზიტით შემოსული წიგნები მოწმდება კავკასიის საცენზურო კომიტეტში და შემდეგ იგზავნება დანიშნულებისამებრ რუსეთსა და კავკასიაში ცენზორის დასკვნებით. რუსეთის სხვადასხვა მხარისა თუ ქალაქის (პეტერბურგის, მოსკოვის, ოდესის) საცენზურო კომიტეტებს შორის აქტიური თანამშრომლობაა.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალები – კომიტეტის წესდება და ცირკულიარები, ასევე მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამმართველოს მიმოწერა კომიტეტთან და შინაგან საქმეთა სამმართველოს დადგენილებები სრულყოფილად წარმოადგენს იმპერიული რუსეთის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მისი მართვის სისტემების კოლონიურ ხასიათს; ეს ფაქტები ააშკარავებენ ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიას სიტყვის გამოხატვის თავისუფლებისათვის; ამასთან ერთად, წარმოაჩენენ რუსეთის იმპერიის მიერ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და მანიპულირების იმდროინდელი მექანიზმების პრინციპებსა და ტენდენციებს, რაც თანამედროვე ,,ინფორმაციული ომების“ კონტექსტის გათვალისწინებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი № 480.

ანა დოლიძე
Anna Dolidze

კავკასიის საცენზურო კომიტეტი თარგმანის ზოგიერთ საკითხზე[1]

Caucasian Censorship Committee on Certain Translation Issues

Annotation

In the materials of the Caucasus Censorship Committee preserved in the National Archives of Georgia (Fund 480), we have found interesting information on translation issues. These references do not concern based on what principles the translation material should be selected or how it should be translated, but what the publishers of periodicals have the right to translate and what not; and how they should have defineed those rights. Such reasoning followed the translated article *Rochefort's New Flashlight* published in the 67th issue of the *Tiflissky Vestnik* in 1874. It was translated from an American newspaper the *New York Messenger*. This news did not go unnoticed by the Main Depatment of the Caucasus Viceroy and the Chief of the Main Department, Senator, Statsky Sovetnik (State Councilor), Baron Nikolai, immediately wrote to the Caucasian Censorship Committee on July 14, 1874, about how it happened that such an article, translated from a foreign magazine, was published in *Tiflissky Vestnik* with the permission from the Censorship Committee; what rules were used when translating the article from a foreign newspaper; if this particular issue of a foreign newspaper was legally accepted in this area (Caucasus); and which the *Foreign Censorship* had no information about (480-1-182).

Foreign Censorship was one of the central divisions of the Russian Censorship Committee; was located in St. Petersburg and was referred to as the St. Petersburg Foreign Censorship Committee. The St. Petersburg Censorship Committee sends 2 copies to the Ministry of Internal Affairs of the Caucasus and 1 copy to the Main Department of the Viceroy of the Caucasus, which lists the books that are allowed or are not to be imported into Russia; it allows or prohibits reading of books imported from abroad and their republishing. Both the Ministry of Internal Affairs of the Caucasus and the Chancellery of the Viceroy send the received list (the alphabetical list of books) that have already been reviewed by the Foreign Censorship of St. Petersburg, to the Caucasus Censorship Committee. Such documents arrive every month (480-1-26) and remain in the Committee.

The Chancellery of the Main Department of the Viceroy of the Caucasus provides the Censorship Committee 2 times a month in 2 copies, the "alphabetical lists of books" permitted or prohibited by the St. Petersburg Committee for Foreign Censorship with its

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“, №3, თსუ გამომცემლობა, 2023 წ.

resolutions on each book (480-1-42). Any printed material entering the Caucasus through customs is sent to the Caucasian Censorship Committee and it makes a decision based on the lists sent by the St. Petersburg Foreign Censorship, whether to send the parcels (printed products) that have entered the customs to the addressees. If the banned book still gets into the library of a private person, the police have the right to confiscate and destroy it (480-1-135).

Due to the foreign article published in the Tiflissky Vestnik, the Caucasian Censorship Committee tries to excuse itself and sends an explanatory card to the Chancellery of the Caucasus Viceroy on July 9, 1874. The censor writes that, although the New York Messenger newspaper is not accepted in Tbilisi, but because foreign newspapers are not included in the "printing index", the censorship statute does not say anything about the printing of articles translated from foreign newspapers and such articles are neither allowed nor prohibited by the Foreign Censorship, when reviewing similar (translated) articles placed in local newspapers, the Caucasus Censorship Committee pays attention only to their content; according to the Committee, the article *Rochefort's New Flashlight* does not contain any harmful teachings, does not hurt any form of government and only serves to protect republican interests, that is why the Caucasus Censorship Committee considered for it possible to be published (480-1-182).

Baron Nikolay was not satisfied with such explanation and used all the demagoguery of the bureaucratic apparatus to justify the mistake made bythe Caucasian Censorship Committee. It is also an important fact that the Caucasus Censorship Committee is not the only organization that punishes printed media, it is subordinate to both the Ministry of Internal Affairs and the Main Department of the Caucasus Viceroy, also experiencing pressure from its superiors. Baron Nikolay in an imperative tone reminds the Caucasian Censorship Committee, subordinate to him, that foreign periodicals enter the Empire through the mail and that special lists of permitted printed products are issued (as mentioned above). These lists should have no less binding value for the Central Committee than the "index of printed matters", which may not include publications that do not fall into the hands of the Petersburg Foreign Censorship at all. If the Statute of the Censorship Committee does not say anything about articles from foreign newspapers, allowed or prohibited, this does not give the Committee any basis to allow the translation of articles from newspapers and magazines sent from abroad according to the rules established by the internal censorship; furthermore that the right to revise periodicals brought from abroad, created in European languages, is limited by the rules of the Foreign Censorship and is subject to separate inspection by the censorship.

Baron Nikolay explains the problem of the translation of articles from foreign newspapers in the Censorship Statute as follows: if a magazine or newspaper imported from abroad is not allowed to be distributed in the Empire and is not included in the catalogs of

authorized publications, this means that the article printed in them cannot be translated, no matter what the content is; however, according to the Censorship Law, even permission to print a foreign publication and distribute it to the public does not imply exemption from responsibility for the content of the translation, especially if it concerns a foreign article that cannot be presented in Russian. Baron Nikolay believes that the Caucasian Censorship Committee showed irresponsibility in this regard as well, because the content of the article – the preaching of republican ideas – was unacceptable for the Russian Empire.

Baron Nikolai suggests that after reporting all this, the Caucasus Central Committee will understand how to act in similar cases in future. He points out that the article *Rochefort's new flashlight* both by its content and by the author's clear intention, arouses republican ideas and, according to censorship rules, it should not have appeared in a "provincial newspaper". Baron Nikolay calls the Tiflissky Vestnik a provincial newspaper and draws attention to the fact that such information should not be printed in a provincial periodical.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო, თარგმანი, პრესა, „უცხოური ცენზურა“

Keywords: Caucasus Censorship Committee, Main Department of the Crown Prince oh the Caucasus, Translation, Press, “Foreign Censorship”.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში (ფონდი 480), შეგვხვდა საინტერესო ცნობები თარგმანის საკითხებზე. ეს ცნობები შეეხება არა იმას, თუ როგორი პრინციპებით უნდა იქნას შერჩეული სათარგმნი მასალა, ან როგორ უნდა ითარგმნოს იგი, არამედ იმას, თუ რისი გადმოთარგმნის უფლება აქვთ პერიოდული ორგანოების გამომცემლებს და რისი – არა; როგორ უნდა განსაზღვრონ მათ ეს უფლებები. ამგვარი მსჯელობა მოჰყვა „Тифлисский Вестник“-ის 1874 წლის 67-ე ნომერში დაბეჭდილ ნათარგმნ სტატიას – „როშფორის ახალი ფანარი“. ის გადმოთარგმნილი ყოფილა ამერიკული გაზეთიდან „ნიუ-იორკის მაცნე“. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს უყურადღებოდ არ დარჩა ეს ამბავი და მთავარი სამმართველოს უფროსმა, სენატორმა, სტატსკი სოვეტნიკმა, ბარონმა ნიკოლაიმ კავკასიის საცენზურო კომიტეტს მაშინვე, 1874 წლის 14 ივლისს, მიმართა წერილობით იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ ასეთი სტატია, უცხოური ჟურნალიდან ნათარგმნი, საცენზურო კომი-

ტეტის ნებართვით დაიბეჭდა „Тифлисский Вестник“-ში, რა წესებით სარგებლობდნენ უცხოური გაზეთიდან სტატიის თარგმნისას, მიღებულია თუ არა ამ მხარეში (კავკასიაში) კანონიერად უცხოური გაზეთის ეს კონკრეტული ნომერი, რომლის ნებართვის შესახებ „უცხოურ ცენზურას“ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია (480-1-182).

„უცხოური ცენზურა“ წარმოადგენს რუსეთის საცენზურო კომიტეტის ერთერთ ცენტრალურ განყოფილებას, ის მდებარეობს პეტერბურგში და მას პეტერბურგის უცხოურ საცენზურო კომიტეტად მოიხსენიებენ. პეტერბურგის საცენზურო კომიტეტი უგზავნის კავკასიის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 ეგზემპლიარად, ხოლო კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს 1 ეგზემპლიარად ჩამონათვალს, რომელშიც აღრიცხულია ის წიგნები, რომელთა შემოტანის უფლებაც ეძლევათ ან არ ეძლევათ რუსეთში, ის უშვებს ან კრძალავს საზღვარგარეთიდან შემოსული წიგნების მოხმარებას და მათ ხელმეორედ გამოქვეყნებას. კავკასიის შინაგან საქმეთა სამინისტროცა და მეფისნაცვლის კანცელარიაც მიღებულ ჩამონათვალს, წიგნების ანბანურ სიას, რომელიც უკვე განიხილა პეტერბურგის „უცხოურმა ცენზურამ“, აგზავნიან კავკასიის საცენზურო კომიტეტში. ასეთი დოკუმენტები მოდის ყოველ თვეში (480-1-26) და რჩება კომიტეტში.

კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარი სამართველოს კანცელარია თვეში 2-ჯერ აწვდის საცენზურო კომიტეტს 2 ეგზემპლიარად პეტერბურგის კომიტეტის საზღვარგარეთული ცენზურის მიერ ნებადართული ან აკრძალული „წიგნების საალფაბეტო სიებს“ თავისი დადგენილებებით თითოეული წიგნის შესახებ (480-1-42). კავკასიის მხარეში საბაჟოთი შემოსული ნებისმიერი ბეჭდური მასალა იგზავნება კავკასიის საცენზურო კომიტეტში და ის პეტერბურგის „უცხოური ცენზურის“ მიერ გამოგზავნილი სიების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას, უნდა გაეგზავნოთ თუ არა საბაჟოში შემოსული ამანათები (ბეჭდური პროდუქცია) ადრესატებს. თუ აკრძალული წიგნი მაინც მოხვდება კერძო პირის ბიბლიოთეკაში, პოლიციას უფლება აქვს მისი კომფისკაციისა და განადგურების (480-1-135).

„Тифлисский Вестник“-ში გამოქვეყნებული უცხოური სტატიის გამო კავკასიის საცენზურო კომიტეტი თავს იმართლებს და კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში 1874 წლის 9 ივლისს აგზავნის განმარტებით ბარათს. ცენზორი წერს, რომ, მართალია, თბილისში არ იღებენ გაზეთ „ნიუ-იორკის მაცნეს“, მაგრამ იმის გამო, რომ „ბეჭდვითი საქმის მაჩვენებელში“ არ შედის საზღვარგარეთული გაზეთები, საცენზურო წესდებაშიც არაფერია ნათქვამი საზღვარგარეთული გაზეთებიდან გადმოთარგმნილი სტატიების დაბეჭდვის შესახებ და „საზღვარგარეთული ცენზურის“ მიერ ასეთი სტატიები არც ნებადართულია და არც აკრძალული, ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული მსგავსი (გადმოთარგმნილი) სტატიების განხილვისას კავკასიის საცენზურო კომიტეტი ყურადღებას აქცევს მხოლოდ მათ შინაარსს; სტატია «როშფორის ახალი ფანარი“, კომიტეტის აზრით, არ შეიცავს არა-

ნაირ მავნე სწავლებას, არ ვნებს ხელისუფლების რაიმე ფორმას და მხოლოდ რეს-პუბლიკური ინტერესების დაცვას ემსახურება, ამიტომაც კავკასიის საცენზურო კომიტეტმა მისი დაბეჭდვა შესაძლებლად მიიჩნია (480-1- 182).

ბარონმა ნიკოლაიმ დამაკმაყოფილებლად არ ჩათვალა ეს ახსნა და ბიუროკ-რატიული აპარატის მთელი დემაგოგია გამოიყენა იმისათვის, რომ კავკასიის სა-ცენზურო კომიტეტისთვის დაშვებული შეცდომა დაესაბუთებინა. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ მხოლოდ კავკასიის საცენზურო კომიტეტი არ გამოდის ბეჭდ-ვითი საქმის ორგანოების ერთადერთი დამსჯელი ორგანიზაცია, ის ექვემდებარება როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს და ზემდგომებიდან ისიც განიცდის ზეწოლას. ბარონი ნიკოლაი იმპერატიული ტონით შეახსენებს მასზე დაქვემდებარებულ კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომ იმპერიაში საზღვარგარეთული პერიოდული გამოცემები შემოდის ფოსტის მეშვეობით, ხოლო ნებადართული ბეჭდვითი პროდუქციის შესახებ გამო-დის სპეციალური სიები (მათზე ზემოთ ვისაუბრეთ). ამ სიებს ცენტრალური კომი-ტეტისთვის არ უნდა ჰქონდეს ნაკლები სავალდებულო მნიშვნელობა, ვიდრე „ბეჭ-დვითი საქმის მაჩვენებელს“, რომელშიც შესაძლებელია არ შევიდეს ისეთი გამო-ცემები, რომლებიც პეტერბურგის საზღვარგარეთული ცენზურის ხელში საერთოდ არ ხვდება. თუ საცენზურო კომიტეტის წესდებაში არაფერია ნათქვამი საზღვარ-გარეთული გაზეთებიდან ნებადართული თუ აკრძალული სტატიების შესახებ, ეს არ აძლევს კომიტეტს არანაირ საფუძველს დაუშვას საზღვარგარეთიდან შემოტა-ნილი გაზეთებიდან და ჟურნალებიდან სტატიების თარგმნა შიდა ცენზურის მიერ დადგენილი წესებით; მით უმეტეს, რომ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი, ევრო-პულ ენებზე შექმნილი პერიოდული გამოცემების გადასინჯვის უფლება „საზღ-ვარგარეთის ცენზურის“ წესებით შეზღუდულია და ექვემდებარება ცალკე შე-მოწმებას ცენზურის მიერ. ბარონი ნიკოლაი საცენზურო წესდებაში არსებულ პრობლემას საზღვარგარეთული გაზეთებიდან სტატიების თარგმანის შესახებ ხსნის შემდეგნაირად: თუ უცხოეთიდან შემოტანილი ჟურნალი ან გაზეთი არ არის დაშვებული იმპერიაში გასავრცელებლად და არ შედის ნებადართული გამოცემე-ბის კატალოგებში, ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება მათში დაბეჭდილი სტატიის გადმოთარგმნაც, რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ის; თუმცა, საცენზურო კანონის მიხედვით, უცხოური პუბლიკაციის დაბეჭდვისა და საზოგადოებაში მისი გავრცე-ლების ნებართვაც კი არ გულისხმობს თარგმანის შინაარსზე პასუხისმგებლობის-გან გათავისუფლებას, მით უმეტეს, თუ ის ეხება უცხოურ სტატიას, რომელსაც რუსულ ენაზე ვერ წარვადგენთ. ბარონი ნიკოლაი თვლის, რომ კავკასიის საცენ-ზურო კომიტეტმა ამ მხრივაც უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, რადგან სტატიის ში-ნაარსი – რესპუბლიკური იდეების ქადაგება – დაუშვებელი იყო რუსეთის იმპერი-ისთვის. გაზეთ „Тифлисский Вестник“-ში მოთავსებული სტატია იყო თარგმანი უცხოური ჟურნალიდან „რომფორის ფანარი“, ჟურნალიდან, რომელიც მთელი მკითხ-

ველი სამყაროსათვის ცნობილი იყო, როგორც ყველაზე რადიკალური კომუნისტური შეხედულებების გამტარებელი პერიოდული ორგანო, ხოლო კონკრეტული სტატია სახელმწიფოს მართვის რესპუბლიკური ფორმისა და კომუნიზმის პირდაპირ ქებას წარმოადგენდა. ამასთანავე, საცენზურო წესდების 99-ე მუხლი ცენზორებს ავალებდა უცხოური ნაწარმოებების ცენზურის დროს უფრო მეტი ყურადღება მიექციათ ავტორის მიზნისთვის, მისი სულისკვეთებისთვის და არ მიიღოთ ავტორის გამონათქვამები ვიწრო მნიშვნელობით. ეს მითითებული იყო უცხოური ცენზურის სახელმძღვანელოშიც და, ცხადია, რომ იგივე უნდა გავრცელებულიყო უცხოური პუბლიკაციების რუსულ ენაზე თარგმანების დროსაც.

„ყველა ამ მოსაზრებასთან ერთად“, – წერს ბარონი ნიკოლაი, – მოგახსენებთ, რომ საცენზურო კომიტეტს არა აქვს საფუძველი გაუშვას რუსულად თარგმნილი სტატია ან ამონარიდი უცხოური გაზეთიდან ან ჟურნალიდან, თუ არ დარწმუნდება, რომ ჟურნალი ან გაზეთი ნებადართულია რუსეთში შემოსატანად და რომ კონკრეტული სტატიაც (ორიგინალი) ნებადართულია. საცენზურო კომიტეტში მსგავსი სტატიების განხილვა გამოიწვევს შემდეგს: გამომცემელს, რომელსაც სურს გამოაქვეყნოს ნათარგმნი სტატია თავის გამოცემაში, შეუძლია წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ ეს სტატია დაშვებულია უცხოური ცენზურის მიერ, თუმცა, ვიმეორებ, რომ მსგავსი ნებართვა ჯერ კიდევ არ აძლევს ცენზორს უფლებას, გაუშვას ეს თარგმანი შიდა ცენზურის შესახებ დადგენილი წესების გათვალისწინებით“.

ბარონი ნიკოლაი ვარაუდს გამოთქვამს, რომ ამ ყოველივეს მოხსენების შემდეგ კავკასიის ცენტრალური კომიტეტი მიხვდება, თუ როგორ უნდა იხელმძღვანელოს მან მსგავს შემთხვევებში. ის აღნიშნავს, რომ სტატია „როშფორის ახალი ფანარი“ როგორც თავისი შინაარსით, ისე ავტორის აშკარა ჩანაფიქრით აღძრავს რესპუბლიკურ იდეებს და, საცენზურო წესების მიხედვით, მას არ უნდა ჰქონდა ადგილი „პროვინციულ გაზეთში“. ბარონი ნიკოლაი „Тифлисский Вестник“-ს უწოდებს პროვინციულ გაზეთს და ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ პროვინციულ გაზეთში ასეთი ინფორმაცია არ უნდა დაიბეჭდოს.

ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი (ბარონი), ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილის – სოფიოს – მეუღლე, იყო რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 1863 წლიდან ის მუშაობდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსად. ბარონი ნიკოლაის წინაპრები საფრანგეთში მცხოვრები განათლებული შვედები იყვნენ, რომლებიც ეკატერინე II-ის მიწვევით გადმოსახლდნენ რუსეთში მემკვიდრის აღსაზრდელად. მათ ოჯახს ფინეთში უბოძეს დიდი მამულები და მიანიჭეს ბარონის ტიტული. 24 წლის ალექსანდრე თბილისში ჩამოდის და მეფისნაცვალთან იწყებს სამსახურს. მას გულწრფელად უყვარდება სოფიო ჭავჭავაძე, რაც ჩანს მამისადმი მიწერილ წერილში. ასევე უყვარს ის ქვეყანაც, რომელშიც ბედმა მიიყვანა და წერს მშობელს: „საბედნიეროდ ბედმა ამ მშვენიერ ქვეყანაში მიმიყვანა, რომელიც რაც უფრო

მეტი დრო გადის, სულ უფრო მიყვარდება და მიჩნდება სურვილი, რომ ჩემი პატარა წვლილი შევიტანო მისი კეთილდღეობის საქმეში“ (მიქაია 1978: 3).

მიუხედავად საქართველოს დიდი სიყვარულისა და თავისი არარუსული წარმოშობისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბარონი ნიკოლაი რუსი სახელმწიფო მოხელეა და ყველანაირად იცავს რუსეთის იმპერიის ინტერესებს, რომელიც უგულებელყოფს თანამედროვე სამყაროში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ რუსეთის დაპყრობილ ქვეყნებში ინფორმაციის გავრცელებას, მით უმეტეს, თუ ეს ინფორმაცია პროვინციის გაზეთში იბეჭდება. „Тифлисский вестник“-ში კი ამ დროს ისეთი ცნობილი და მასშტაბური აზროვნების საზოგადო მოღვაწეები მუშაობენ, როგორებიც არიან ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, დავით ერისთავი. ისინი ყველანაირად ცდილობენ, რომ ადგილობრივ პრესაში საცენზურო უფლებები გაუთანაბრდეს იმ წესებს, რომლებიც გამოიყენება და მოქმედებს სატახტო ქალაქებში (ჟურნალისტიკის... 1971: 347). მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას ისინი ვერ აღწევენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

მიქაია, ვ. 1978. ზოგი რამ სოფიო ჭავჭავაძე, გაზ. „მებრძოლი“, ზუგდიდი: აპრილი (№39).

ჟურნალისტიკის ... 1978. „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, ტ. II, თბილისი: გამომცემლობა თსუ.

საქართველოს... საქართველოს ეროვნული არქივის, ფონდი № 480-ის, მასალები.

თამარ შარაბიძე
Tamar Sharabidze

დრამატურგიული ცენზურა კავკასიაში
(XIX საუკუნის 60-70-იანი წლები)[1]

Dramaturgical Censorship in the Caucasus
(60-70s of XIX century)

Annotation

After the annexation of the Caucasus by Russia at the beginning of the 19th century, it is natural that a colonial policy was implemented in all areas in all the nations under the rule of the Russian Empire (in particular, the Caucasus County), one of the main pillars of which was the *Caucasus Censorship Committee* created in 1848. The Committee represented the punitive body of Tsarism, worked aside of Police and Gendarmerie and actively cooperated with them. From December 20, 1879, Dramaturgical Censorship was added to the activities of the *Caucasus Censorship Committee* by the Decree of the Viceroy of the Caucasus. The Committee reviewed literary works, allowed or forbade their staging in the Caucasus County, controlled its performance on stage, the complete compliance of the texts spoken by the actors with the text allowed by the Censors, the accents of the actors' lines and their mimes during all performances and all the posters. Dramaturgical Censorship extended not only to theater plays and their texts or performances, but also to public events that could be organized in homes or in streets. After the permission from the *Caucasian Censorship Committee*, it was necessary for a Police representative to attend all performances and events; for special seats to be allocated for them.

In the National Archives of Georgia, are fully preserved the materials depicting the activities of the *Caucasus Censorship Committee* (in Russian language; handwritten). It has not yet become the subject of scientific study from this angle:

In the 19th century, Georgian literature, press, and theater played the role of expressing national liberation tasks in Georgia. The fear of political persecution and terror constantly followed Georgian writers, critics and public figures. The official "psychic-political" censorship killed every free thought "from the rots" and, as Georgian writers wrote, the Shadow of the Censor constantly stayed at the writer's working desk. At the discretion of a censor, the Committee considered any kind of artistic, critical-publicistic or scientific texts by Georgian writers, critics, playwrights and public figures. It depended only on the

[1] სტატია დაიბეჭდა IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2024 წ.

will of a censor to remake them for publicising or to ban them outright. Eventually, not only creative freedom was restricted, but also national and public opinion was put under heavy pressure.

Georgian literature, criticism, journalism was gradually changing to defensive mode and did not obey the ideological-political path existing in the Empire. LIterary, critical-publicistic, scientific texts were veiled, encrypted, disguised in symbolic-allegorical forms; this is well seen in the texts by Georgian classical and non-classical writers. This also applies to dramaturgy. Censors receive orders from Higher Authorities (Ministry of Internal Affairs and Main Department of the Crown Prince of the Caucasus) to identify the symbolic-allegorical meaning of texts and the Censorship Committee, in turn, instructs the Police to attend all performances and observe whether there is an ironic attitude in speeches of actors or not. The Caucasian Censorship Committee is determined in every way to ban such a play in which it sees the manifestation of free thought, even if this play is staged in the theaters of the capital cities – Moscow and St. Petersburg – due to the need for different approaches to capitals and provices. In the provinces, the material that has already appeared in the capital must receive approval again, such texts must be re-submitted to the Caucasus Censorship Committee for review, in 2 copies.

Materials fully banned by censors and still unknown to the public – fiction texts, plays, critical-publicist letters, which have not seen the light of day are preserved in the National Archive. The repressive censorship suspended well-known Georgian periodicals for long (*Tsiskari, Iveria, Droeba, Imedi*) or fully banned some of them (*Khumara*), did not allow plays to be staged or requested them to be remade.

For Georgian humanitarian scientists it is essential to know what the original fiction texts were like and how they were subsequently perceived by readers or viewers in a mangled way. It is extremely important to get to know the provisions of the Caucasus Censorship Committee itself, as well as typical resolutions – circulars, censors' reports, in order to define the criteria that censors acted according to, when determining the fate of literary, critical-publicistic and dramaturgical texts.

Goal of the article is to determine the the then main principles and tendencies of the mechanisms of influence and manipulation on public opinion; to draw appropriate conclusions.

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნე, ქართული დრამატურგია, კავკასიის საცენზურო კომიტეტი

Keywords: 19th century, Georgian dramaturgy, Caucasian Censorship Committee

მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთის მიერ კავკასიის ანექსიის შემდგომ, ბუნებრივია, რომ რუსეთის იმპერიის მმართველობაში მოქცეული ერების (კერძოდ, კავკასიის ოლქის) მიმართ ყველა სფეროში განხორციელდა კოლონიური პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი იყო 1848 წელს შექმნილი „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“. კომიტეტი წარმოადგენდა ცარიზმის სადამსჯელო ორგანოს, პოლიციასა და ჟანდარმერიას გვერდით ედგა და აქტიურად თანამშრომლობდა მათთან. 1879 წლის 20 დეკემბრიდან კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით „კავკასიის საცენზურო კომიტეტში“ ცალკე განყოფილებად გამოიყო დრამატურგიული ცენზურა, თუმცა მანამდეც კომიტეტი განიხილავდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ნებას რთავდა ან კრძალავდა კავკასიის მხარეში მათ სცენაზე დადგმას, აკონტროლებდა სცენაზე მის შესრულებას, მსახიობთა წარმოთქმული ტექსტების სრულ შესაბამისობას ცენზურის მიერ ნებადართულ ტექსტთან, მსახიობთა რეპლიკების კილოსა და მიმიკებს ყველა სპექტაკლის დროს, ყველა აფიშას. დრამატურგიული ცენზურა ვრცელდებოდა არა მხოლოდ თეატრში დადგმულ სპექტაკლებსა და მათ ტექსტებსა თუ შესრულებაზე, არამედ სახალხო ღონისძიებებზეც, რომლებიც შეიძლებოდა მოწყობილიყო ოჯახებში ან ქუჩებში. აუცილებელი იყო ყველა სპექტაკლსა თუ ღონისძიებას კავკასიის საცენზურო კომიტეტის ნებართვის შემდგომ დასწრებოდა პოლიციის წარმომადგენელი, მათთვის გამოეყოთ სპეციალურად ადგილები.

საქართველოს ეროვნულ არქივში სრულადაა დაცული ,,კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობის ამსახველი მასალები (რუსულ ენაზე ხელნაწერ ფორმატში). ის დღემდე არ გამხდარა ამ რაკურსით მეცნიერული შესწავლის საგანი.

XIX საუკუნეში საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ამოცანების გამომხატველის როლი ქართულმა მწერლობამ, პრესამ და თეატრმა იტვირთა. პოლიტიკური დევნის, ტერორის შიში მუდმივად თან სდევდა ქართველ მწერლებს, კრიტიკოსებსა და მოღვაწეებს. ოფიციალური „ფსიქიკურ-პოლიტიკური“ ცენზურა კლავდა ,,ჩანასახშივე“ ყოველგვარ თავისუფალ აზრს და, როგორც ქართველი მწერლები წერდნენ, ცენზორის ჩრდილი მწერლის საწერ მაგიდასთან იყო ,,ატუზული“. ცენზორის შეხედულებისამებრ კომიტეტი განიხილავდა ქართველი მწერლების, კრიტიკოსების, დრამატურგებისა და მოღვაწეების ნებისმიერი სახის მხატვრულ, კრიტიკულ-პუბლიცისტურ თუ მეცნიერულ ტექსტებს. მხოლოდ ცენზორის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული დასაბეჭდად მათი გადაკეთება ან სრული აკრძალვა. ამგვარად, იზღუდებოდა არა მარტო შემოქმედებითი თავისუფლება, არამედ ხორციელდებოდა ზეწოლა ეროვნულ და საზოგადოებრივ აზრზე.

ქართული მწერლობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა თანდათან თავდაცვით რეჟიმზე გადადის და იმპერიაში არსებულ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ გეზს არ ემორჩილება. ხდება მხატვრული, კრიტიკულ-პუბლიცისტური, მეცნიერული ტექსტე-

ბის ვუალირება, კოდირება, სიმბოლურ-ალეგორიული სახეებით შენიღბვა; რისი საკმაო მასალაც მოიპოვება ქართველ კლასიკოსთა თუ არაკლასიკოს მწერალთა ტექსტებში. ეს ეხება დრამატურგიასაც. ცენზორები ზემდგომი ორგანოებისაგან (შინაგან საქმეთა სამინისტრო და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო) იღებენ განკარგულებას, რომ ამოიცნონ ტექსტების სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობა, საცენზურო კომიტეტი კი თავის მხრივ ავალებს პოლიციას, დაესწროს ყველა სპექტაკლს და დააკვირდეს, ხომ არ ჟღერს მსახიობთა მეტყველების კილოში ირონიული დამოკიდებულება, ან ხომ არ არის წარმოთქმული ზედმეტი რეპლიკა. კავკასიის საცენზურო კომიტეტი ყოველმხრივ მონდომებულია, თავიდანვე აკრძალოს ისეთი პიესა, რომელშიც თავისუფალი აზრის გამოვლენას ხედავს, თუნდაც ეს პიესა იდგმებოდეს სატახტო ქალაქების – მოსკოვისა და პეტერბურგის – თეატრებში, რადგან სხვადასხვა მიდგომა ესაჭიროება დედაქალაქებსა და პროვინციებს. პროვინციებში ხელახლა უნდა მიიღოს თანხმობის ბილეთი დედაქალაქში უკვე ნაბადართულმა მასალამ, კავკასიის საცენზურო კომიტეტში განსახილველად ხელახლა უნდა შევიდეს ტექსტი 2 ეგზემპლიარად.

ეროვნულ არქივშივე ცენზორთა მითითებით გადაკეთებულ ტექსტებთან ერთად დაცულია მათ მიერ საერთოდ აკრძალული და საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი მასალები – მხატვრული ტექსტები, პიესები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, რომელთაც დღის სინათლე არ უნახავს.

ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორი იყო თავდაპირველი მხატვრული ტექსტები და შემდგომ როგორი დამახინჯებით ეცნობოდა მას მკითხველი თუ მაყურებელი, უაღრესად აქტუალურია თავად „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ დებულებების, აგრეთვე ტიპური დადგენილებების – ცირკულიარების, ცენზორთა ანგარიშების გაცნობა, რათა შევაფასოთ ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ცენზორის მიერ წყდებოდა ლიტერატურულ, კრიტიკულ-პუბლიცისტურ და დრამატურგიულ ტექსტთა ბედი.

სტატიის მიზანია საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და მანიპულირების იმდროინდელი მექანიზმების ძირითადი პრინციპებისა და ტენდენციების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა.

თავდაპირველად, როცა კავკასიის საცენზურო კომიტეტში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული დრამატურგიული ცენზურის ინსტიტუტი, ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობს ცირკულიარებით. 1868 წლის 15 ოქტომბრის ცირკულიარის (საქმე №2541) მიხედვით, ბეჭდვითი საქმის მთავარი სამართველო გუბერნატორების ყურადღებას მიაპყრობს ზემოთდასახელებული ცირკულიარის დამატებაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ აუცილებელია პროვინციულმა თეატრებმა დაიცვან დადგენილი კანონები დრამატურგიული წარმოდგენებისათვის, შეამოწმონ თანდართული სიები იმ დრამატურგიული ნაწარმოებებისა,

რომელთა დადგმაც „უყოყმანოდ ნებადართულია“, ხოლო განსაკუთრებით შეამოწმონ დამატებითი სიები იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც მიჩნეულია დადგმისათვის „მოუხერხებლად“.

კავკასიისა და ამიერკავკასიის თეატრებში ასეთი დრამატურგიული ნაწარმოებების სიების დამტკიცების უფლება მიენიჭა კავკასიის მეფისნაცვალს (კან. ცენ. დადგ, 1863წ. ტ. XIV, გვ.138). ნებართვა (№ 2541) ორი დანართით დაგზავნილია კავკასიის გუბერნიის ოლქებში დანიშნულებისამებრ, აგრეთვე კავკასიის საცენზურო კომიტეტში და თბილისის თეატრების დირექციებში სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად. საქმეში ნახსენებია, რომ ის დრამატურგიული ნაწარმოებები – რომლებიც არ არის შესული დასადგმელ სპექტაკლთა სიებში და არა აქვთ ცენზორის ნებართვა, მაგრამ დადგმული იყო მისი საიმპერატორო უდიდებულესობისათვის – წარმოდგენილი უნდა იყოს მეფისნაცვლის მთავარ სამართველოში, რადგანაც კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის ბეჭდვითი საქმის მთავარი სამართველოს მოვალეობები დაკისრებული აქვს მეფისნაცვალს. აქედან გამომდინარეობს, რომ მოსკოვისა და პეტერბურგის სამეფო თეატრებში უკვე დადგმული სპექტაკლების დადგმის უფლება არა აქვს პროვინციის ადგილობრივ თეატრებს ხელახალი ცენზურის გავლის გარეშე.

1869 წლის 11 დეკემბერს კავკასიის საცენზურო კომიტეტში კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარი სამართველოს კანცელარიიდან შემოდის წერილი დრამატული ნაწარმოებების სიების შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ ამა წლის 18 ოქტომბრის შემდეგ (№ 4/42) საცენზურო კომიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი სიებით: ა) იმ დრამატული ნაწარმოებებისა, რომლებიც დასადგმელად მოუხერხებელია; ბ) ამ სიის დამატებით ვ) იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც დანამდვილებით დაშვებულია დასადგმელად და გ) რომლებიც შემდგომში დასაშვები იქნები დასადგმელად. წერილს ხელს აწერს მთავარი სამმართველოს უფროსი, სენატორი, შტატსკი-სეკრეტარი – ბარონი ნიკოლაი.

აღნიშნული საქმე საინტერესოა იმით, რომ წარმოაჩენს ბიუროკრატიული რეჟიმის მთელ სირთულეს, რაც მდგომარეობს შემდეგში: საცენზურო კომიტეტი თავად უგზავნის მთავარ სამმართველოს შემოწმებულ მასალას თავისი კომენტარებით, მთავარი სამართველო კი წყვეტს, რა უნდა იყოს დადგმული, რა – არა, და რა არის დასაშვები შემდგომში დასადგმელად, რა თქმა უნდა, თუ ავტორი მასში ცენზურის მიერ მითითებულ შესწორებებს შეიტანს. ამის შემდეგ საცენზურო კომიტეტს ევალება სიების დაგზავნა ავტორებთან, თეატრის მფლობელებთან და პოლიციის განყოფილებებთან.

1868 წელს გვხვდება ცნობები ოდესელი დრამატურგის – ოკსის – შესახებ, რომელსაც დაუწერია პიესა „რენეგატი“(„Отшепенец“). ოდესელი ცენზორი გადმოსცემს პიესის შინაარსს: მოქმედ პერსონაჟს, ეროვნებით ებრაელს, უხდება სარწმუნოების შეცვლა და მონათვლა იმის გამო, რომ ცოლად შეირთოს ის, ვინც უყ-

ვარს, თანამდებობის პირის ქალიშვილი; თანამდებობასაც ის მხოლოდ სარწმუნოების შეცვლის შემდეგ აღწევს. ცენზურამ ნაწარმოები აკრძალა იმ მიზეზის გამო, რომ მასში რუსეთი გამოყვანილია არარუს ეროვნებათა ინტერესების შემზღუდველად, რაც, ცენზორის აზრით, სინამდვილეს არ შეეფერება; პიესის დედააზრიც – რომ ებრაელი არ უნდა მოინათლოს მართლმადიდებლურად, რადგან ამით გამოიწვევს სიძულვილს როგორც რუსების, ასევე ებრაელთა მხრიდან – არასასურველ გავლენას იქონიებს ორი ერის ურთიერთობაზე, ხელს შეუწყობს იმ კარჩაკეტილობას, რომლითაც ისედაც გამოირჩევა ებრაელთა დასახლება რუსეთში (480-1-32). მასალებში არ ჩანს მიზეზი, თუ რატომ გაუზიარა ოდესელმა ცენზორმა თავისი აზრი კავკასიის საცენზურო კომიტეტს, თუმცა ნათელია, რომ რუსეთის სხვადასხვა ოლქის საცენზურო კომიტეტები ერთმანეთთან თანამშრომლობენ.

კსკ-ის მასალებიდან დასტურდება, რომ დრამატურგიული ცენზურის ცალკე განყოფილებად ჩამოყალიბებამდე პიესის დაბეჭდვასა და დადგმაზე ნებართვას საცენზურო კომიტეტი გასცემს, რასაც ადასტურებს საცენზურო კომიტეტში ნებართვის ბილეთის მისაღებად შემოსული დრამატურგიული ნაწარმოებების სიები. საცენზურო კომიტეტში აგზავნიან შეკითხვებს გუბერნატორები, გასცენ თუ არა უფლება ამა და ამ ნაწარმოების დადგმისა. ჩანს, ეს უფლება გუბერნატორებს ჰქონიათ, მაგრამ ისინი თავის მხრივ უთანხმებდნენ საცენზურო კომიტეტს და მხოლოდ კომიტეტის ნებართვის შედგომ გასცემდნენ სათანადო ბრძანებას. ოდესელი ცენზორის წერილი უნდა იყოს პასუხი კსკ-ის მიერ გაგზავნილ შეკითხვაზე, რადგან მასში თავად პიესის შინაარსზეცაა საუბარი, რომელიც კსკ-ს არ უნდა სცოდნოდა. სავარაუდოდ, კსკ-ს დაეკითხნენ პიესის დადგმის ნებართვის შესახებ, მან კი, თავის მხრივ, ოდესის საცენზურო კომიტეტს მიმართა. მსგავსი სახის შეკითხვები ხშირად მოდის კომიტეტში. მაგალითად, 1868 წელს ასტრახანის გუბერნატორი მიმართავს კსკ-ს, მისცეს თუ არა სომხურ დასს თბილისში გარკვეული სპექტაკლების დადგმის უფლება. კანცელარიას ატყობინებენ, რომ ამ პიესათა (ჩამოთვლილია ისინი) დადგმის უფლება ცენზურის მიერ ნებადართულია თბილისის თეატრებში (480-1-33). 1870 წლის დოკუმენტი (480-1-193) წარმოადგენს სიას იმ პიესებისა და საოპერო სპეკტაკლებისა, რომელთა ნებართვებიც გაიცა. 1874 წლის დოკუმენტში (480-1-193) ცალკე საქაღალდეშია გამოყოფილი „დრამატურგიული ცენზურა“, რომლის მასალები საცენზუროდ გადაეგზავნა კსკ-ის ერთ-ერთ განყოფილებას (არა დრამატურგიულს, რომელიც ჯერ ჩამოყალიბებული არ არის). 1974 წლის მასალებში (480-1-192) წარმოდგენილია იმ რუსულენოვან პიესათა სია, რომლებიც ცენზურამ აკრძალა იმ მიზეზით, რომ მათი დადგმა სცენაზე უხერხულობას გამოიწვევდა. წარმოდგენისათვის დავასახელებთ რამდენიმე მათგანს – „ელენე ტროაში“, „წარჩინებული ებრაელის ქალიშვილი რახელი“ და „რიგოლეტო“. ჩვენ არ ვიცნობთ პიესათა ტექსტებს, თუმცა ვხვდებით, რომ ნებისმიერი დეტალი (სასიყვარულო, ეროვნული თუ სოციალური სახის) შესაძლოა ცენზორს „უხერხუ-

ლობად“ მოსჩვენებოდა. 1875 წლის დოკუმენტში (480-1-231) გვხვდება ცნობა იმ ფაქტის შესახებ, რომ თბილისის გუბერნატორს კსკ-ში გადაუგზავნია თბილისის გერმანული საზოგადოების საღამოებზე დასადგმელად გამიზნულ დრამატულ-მუსიკალურ ნაწარმოებთა სია. ასეთი საქმეები თანდართული სიებით სხვა დოკუმენტებშიც გვხვდება, თუმცა დრამატურგიული ცენზურის განყოფილების ჩამოყალიბებისთანავე, 1880-იანი, განსაკუთრებით 1890-იანი, წლებიდან კსკ-ს მასალებში წარმოდგენილ სიებთან ერთად გვხვდება პიესათა ტექსტებიც რამდენიმე ეგზემპლიარად.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, მიუხედავად კსკ-ის შეზღუდვებისა, დარღვევები მაინც ხდებოდა, რასაც ადასტურებს 480-ე ფონდში დაცული მასალები. 1868 წლის ერთ-ერთ საქმეში (480-1-31) აღნიშნულია, რომ პროვინციული თეატრები არ ითვალისწინებდნენ მრავალჯერ მიცემულ შენიშვნებსა და თეატრებში პიესათა დადგმის სახელმძღვანელო წესებს. საქმესთან თანდართული 73-ე ცირკულიარი ავალებს თეატრის მფლობელებს შემდეგ პასუხისმგებლობას: 1) დაადგინონ, თუ რამდენად ზუსტ შესაბამისობაშია დადგმული პიესა ცენზურის მიერ დამტკიცებულ ტექსტთან; 2) ჩამონათვალში არშეტანილი ყველა დრამატურგიული ნაწარმოები, რომელთაც დადგმისათვის არ მიუღიათ ცენზორის ნებართვა, დროულად წარმოადგინონ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოში ხელნაწერის სახით, სუფთად და გასაგებად გადაწერილი ან გადაბეჭდილი, აუცილებლად 2 ეგზემპლიარად; 3) არ დაუშვან იმ პიესების დადგმა, რომლებიც ერთ დროს დაიშვებოდა საერთო ცენზურის მიერ, დაიბეჭდა კიდეც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გამომცემლობების მიერ, მაგრამ არა აქვთ შესაბამისი კანონით (ცირკულიარი 176) სცენაზე დადგმის ნებართვა. 4) პეტერბურგისა და მოსკოვის საიმპერატორო სცენაზე დადგმული პიესები არ გამოდგება იმის საფუძვლად, რომ მათი დადგმა ნებადართულია კერძო თეატრებისთვის; 5) საიმპერატორო თეატრის აფიშები არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ პიესა ზოგადად ნებადართულია დასადგმელად, რადგანაც მათგან ზოგიერთი ნებადართულია მხოლოდ დ მხოლოდ საიმპერატორო თეატრებში დასადგმელად, სხვა თეატრებს მათი დადგმა შეუძლიათ მხოლოდ (ტექსტის ადგილების ამოღებითა და გადაკეთებით ხელახალი ნებართვის შემდგომ. 6) სპეციფიური დადგმების ყველა აფიშა და განცხადება დაბეჭდვიდან დაუყოვნებლივ უნდა გადაუგზავნონ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს.

1872 წლის მასალებიდან (480-1-31) ჩანს, რომ ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ დრამატურგიული ცენზურის წესების დახვეწის მიზნით მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს და მოსთხოვა შემდეგი: ყველა აქამდე გამოცემული სიების ნაცვლად დაებეჭდა დრამატურგიული ნაწარმოებების ახალი და სრულყოფილი ალფავიტური სია, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა: ა)ცენზურის მიერ დასადგმელად უყოყმანოდ ნებადართული ბ) ნებადართული გამონაკლისებით და გ) დასადგმელად მოუხერხებლად მიჩნეული. სიებში წარმოდგენილი

უნდა ყოფილიყო 1872 წლის 1 ივლისამდე დრამატურგიული ცენზურის მიერ განხილული ყველა პიესა. ჩამოთვლილ სიათაგან პირველი ორი გამიზნულია იყო როგორც თეატრის მფლობელების, ასევე პოლიციის უფროსებისთვის სახელმძღვანელოდ საავტორო და სამოყვარულო სპექტაკლების სცენური დადგმებისა და მათთვის აფიშების დაბეჭდვის ნებართვისთვის. მესამე სია, აკრძალული პიესების, განკუთვნილი იყო გუბერნიის მმართველებისთვის საინფორმაციოდ. ამა წლის 1 ივლისის შემდგომ ცენზურის მიერ განხილული სპექტაკლები, როგორც უყოყმანოდ დასადგმელი, ასევე გამონაკლისებიც, შეტანილი იქნებოდა 1 სექტემბრის „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“; აკრძალული პიესების სიები არ შევიდოდა „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“, მაგრამ დაიბეჭდებოდა დროდადრო და ძველებურად გადაეგზავნებათ ინფორმაციისათვის გუბერნატორებს. მთავარი სამმართველო იმედოვნებდა, რომ ამიერიდან აღარ მოხდებოდა გადახვევა კანონის მიერ დადგენილი წესებიდან, პოლიცია ზუსტად იხელმძღვანელებდა ამ სიებით და ისე გასცემდა ნებართვებს პიესების სცენაზე დასადგმელად თუ აფიშის დასაბეჭდად; დარღვევა სამართლებრივად დაუსჯელი არ დარჩებოდა. კანონი უნდა შესრულებულიყო ყველგან ერთნაირად.

ადგილობრივი პოლიციის მოვალეობები და მოქმედების კურსი თეატრალურ წარმოდგენებთან მიმართებაში ასე განისაზღვრა: ა) ზემოთმოყვანილი უზენაესი დადგენილების (V თავი, გვ. 8-9) საფუძველზე, პოლიცია ვალდებულია დაუბრკოლებლად მისცეს ნებართვა მხოლოდ იმ პიესებს, რომლებიც შეტანილია „უყოყმანოდ ნებადართულ პიესათა სიებში“ ან „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“. ამასთანავე თეატრის მფლობელები და ის პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამოყვარულო სპექტაკლებს, პასუხისმგებელნი არიან წარმოდგენილ პიესაში არ დაირღვეს ცენზურის მიერ დამტკიცებული ტექსტი. ბ) დასადგმელად ნებადართული პიესები, რომლებიც შეტანილია სიაში „ნებადართული გამონაკლისებით“ ან ასეთივე დანიშნულების ცნობებში, რომლებიც დაბეჭდილია „მისათითებელში», უნდა გადაეცეს პოლიციას, თეატრის მფლობელებსა და იმ პირებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამოყვარულო სპექტაკლებს; ნებართვის გამცემი პოლიციის ჩინი უნდა დარწმუნდეს, რომ დადგმის დროს ზუსტად სრულდება როგორც ნებადართული პიესების ტექსტი, ასევე იმ პიესებისაც, რომლთა ტექსტიდან ზოგიერთი მონაკვეთი ცენზურამ ამოიღო. თეატრის მფლობელები და ის პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამოყვარულო სპექტაკლებს, პასუხისმგებელნი არიან სცენაზე წარმოდგენილი და ცენზორის მიერ დადგენილი ტექსტების იდენტურობაზე. გ) იმ შემთხვევაში, თუ პოლიციაში წარმოდგენილი იქნება თხოვნა, ავთენტური ეგზემპლიარის წარმოდგენის გარეშე, ცენზორის მიერ გამონაკლისებით ნებადართული პიესის დადგმის შესახებ, პოლიცია ვალდებულია მიუთითოს მთხოვნელს წესრიგისაკენ და გუბერნიის უფროსების მეშვეობით გადააგზავნინოს პიესა მთავარ სამართველოში საცენზუროდ. ეს წესი უნდა შესრულდეს ყველა შემთხვევაში,

როდესაც დასადგმელად წარმოდგენილი პიესა არ არის შეტანილი არც „უყოყმანოდ ნებადართულ“ და არც „გამონაკლისებით ნებადართულთა“ ცნობებში (რომლებიც დაბეჭდილია „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში»). დ) პიესებიდან ცალკეული სცენების დადგმის, სიმღერისა და ლექსის კუპლეტების წაკითხვის ნებართვა უპრობლემოდ მიენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია ნამდვილად დარწმუნდება, რომ ეს სცენები, ლექსები და კუპლეტები შედის იმ პიესათა რიცხვში, რომლებიც „უყოყმანოდ ნებადართულია“ და, აქედან გამომდინარე, შესულია როგორც სიებში, ასევე „მისათითებლის“ ცნობებში. რა თქმა უნდა, აფიშებზეც უნდა იყოს განმარტებული, რომელი ნებადართული პიესიდან არის წარმოდგენილი სცენები, ლექსები და კუპლეტები; ამასთანავე მათი სათაური არ უნდა იყოს თვითნებურად შეცვლილი ან მოგონილი. თუ ეს სცენები, კუპლეტები და ლექსები არ არის შესული ზემოთმოყვანილი ტიპის პიესათა სიებში, პოლიცია ვალდებულია მოითხოვოს ამ ნაწარმოებთა ცენზორის მიერ დამოწმებული, „ნებართვიანი“ ეგზემპლიარი. „გამონაკლისებით ნებადართული“ პიესებიდან ცალკეული სცენების დადგმაზე ნებართვის გაცემა აკრძალულია. ე) პოლიციის მოვალეობებში შედის თვალყურის მიდევნება იმაზეც, რომ „უყოყმანოდ დასადგმელი“ პიესების სათაურის მიღმა არ იყოს წარმოდგენილი ტექსტი „გამონაკლისებით ნებადართული“ ან ცენზურის მიერ აკრძალული ან „დასადგმელად მოუხერხებელი“ პიესებიდან. აფიშების დაბეჭდვის ნებართვის დროსაც პოლიცია უნდა დარწმუნდეს, რომ მათზე დაბეჭდილი მოქმედი პირები და პიესის ტექსტის პირები ერთი და იგივენი არიან. ასევე ვალდებულია შეამოწმოს, რომ დასაბეჭდ აფიშებზე პიესების, ცალკეული მოქმედებებისა და სურათების სათაურები არ არის თვითნებურად მოგონილი, არ არის არანაირი გადახვევა ცენზურის მიერ დამოწმებული ტექსტიდან. ვ) ამისგან დამოუკიდებლად, პოლიცია ვალდებულია თვალყური ადევნოს, რომ სცენაზე დადგმული სპექტაკლი შესრულდეს დადგენილი ტექსტიდან გადახვევის გარეშე; ტექსტიდან გადახვევის, ან ჯერ არგანხილულ, ან დადგმისათვის მოუხერხებელ პიესათა სცენაზე წარმოდგენის შემთხვევებში კანონიერად დასაჯოს დამნაშავეები. ზ) იმ თეატრალური სპექტაკლების ან მსგავსი გასართობების დაბეჭდილი აფიშები, რომლებშიც შედის სასიმღერო კუპლეტები ან წასაკითხი ლექსები, დაბეჭდვისთანავე პოლიციის მიერ დაუყოვნებლივ უნდა იქნას წარდგენილი ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოში (სტამბების მიერ წარდგენილი აფიშებისგან დამოუკიდებლად). აფიშების წარდგენის დროის გაწელვის შემთხვევაში, აგრეთვე მაშინაც, თუ პოლიცია აღმოაჩენს, რომ ზოგიერთი დაბეჭდილი აფიშა არ არის განყოფილებაში წარმოდგენილი, უნდა აღძრას დამნაშავეთა დასჯის საქმე (480-1-31).

როგორც ვხედავთ, ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოსა და კავკასიის საცენზურო კომიტეტთან ერთად დრამატურგიული ცენზურის საქმიანობაში ჩართულები არიან: შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოლქის გუბერნატორები და პოლიცია. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართვე-

ლო აცნობებს გუბერნატორებს შემდეგს: 1) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციის დაწესებულების მიერ მთავარი სამმართველოს ზემოთმოყვანილ განმარტებათა შესრულებას; დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში არ დატოვონ ამ საქმეში დამნაშავეები დაუყოვნებელი და მკაცრი დასჯის გარეშე. 2) დრამატურგიული ნაწარმოებების მთავარ სამმართველოში საცენზუროდ გადაგზავნის მოთხოვნა არ დააკმაყოფილონ მანამ, სანამ თავად არ შეამოწმებენ, შედის თუ არა დადგმის ნებართვისათვის წარდგენილი დრამატურგიული ნაწარმოები აკრძალულ პიესათა რიცხვში. ასეთ შემთხვევაში დააბრუნონ ისინი დანიშნულებისამებრ, მთავარ სამმართველოში წარმოდგენის გარეშე; ასევე ყურადღება მიაქციონ იმასაც, რომ სამმართველოში გამოგზავნილი ხელნაწერი პიესები იყოს გარკვევით და სუფთად გადაწერილი, ან დაბეჭდილი, აუცილებლად ორ ეგზემპლიარად. 3) სტამბებს დაავალონ, რომ აფიშები დაბეჭდონ ნუმერაციით (თითოეულ აფიშას მიებეჭდოს მისი თანმიმდევრული ნომერი); 4) უზრუნველყონ, რომ პოლიციის ხელმძღვანელებმა დაბეჭდვისთანავე დაუყოვნებლივ წარადგინონ აფიშები მთავარ სამმართველოში თანმხლები საბუთების გარეშე, მხოლოდ წარწერით კონვერტებზე: „ამა და ამ პოლიცმეისტერისგან ან პოლიციის ოფიცრისაგან, აფიშა №...“, ამასთანავე კონვერტზე მითითებული უნდა იყოს ის ნომერი, რომელიც აფიშაზეა დაბეჭდილი.

როგორც დავინახეთ, ტოტალიტარული სახელმწიფო თავის ინსტიტუტებს – შინაგან საქმეთა სამინისტროს, ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს, კავკასიის საცენზირო კომიტეტს, გებერნატორებს, პოლიციას; ასევე კერძო დაწესებულებების ხელმძღვანელებს: თეატრისა და სტამბის მფლობელებს – ერთმანეთის კონტროლს ავალებს, რათა ყველამ პირნათლად შესრულოს დაკისრებული მოვალეობები, აღარ მოხდეს კანონიდან გადახვევები და დარღვევები, რომელთა შემთხვევაშიც დამნაშავენი მკაცრად უნდა დაისაჯონ. და ეს ყოველივე, პოლიციური ღონისძიებანი იგეგმება, კანონის სახეს იღებს და ტარდება თეატრალურ დადგმებთან მიმართებაში.

დრამატურგიულ ცენზურას ეხება 1874 წელს მიღებული ცირკულიარი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ჩატარებული ღონისძიებების შესახებაც, რომელიც, ერთი შეხედვით, ლოიალურია. საზოგადოების თავშეყრის ადგილებში დაშვებულია დრამატურგიული წარმოდგენები, ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები, ლექციების კითხვა (480-1-262). თუმცა ცირკულიარში აღნიშნულია, რომ ამგვარი თავყრილობების დროსაც ყველაფერი 1865 წლის საცენზურო კანონის მიხედვით უნდა შესრულდეს: ნებართვის ბილეთის გარეშე სცენაზე რაიმეს დადგმა არ შეიძლება; კანონი დრამატურგიული ნაწარმოებების შესახებ არ უშვებს არანაირ გამონაკლისს კლუბებისათვის, რადგანაც დედაქალაქებისა თუ პროვინციების საზოგადოებრივ თავყრილობებზე გაცილებით მეტი მაყურებელი იყრის

თავს, ვიდრე თეატრში. ამიტომ პიესათა დადგმა ასეთ ადგილებში დრამატურგიული ცენზურის ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

აღსანიშნავია, რომ თავად შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ცნობებიდან გამომდინარე, აღნიშნული კანონი ყოველთვის ზედმიწევნით არ ხორციელდება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე მაინც იდგმება ისეთი პიესები, რომლებიც არ განუხილავს ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს და მასზე დაქვემდებარებულ დრამატურგიულ ცენზურას (საცენზურო კომიტეტს). როგორც დედაქალაქებში, ასევე პროვინციაში შეინიშნება ტენდენცია, აფიშები არ დაიბეჭდოს, რათა მთავარი სამმართველოს ბეჭდვითი საქმის განყოფილებასა და პოლიციას არ მიეცეს თვალყურის დევნების საშუალება, რაც ყოვლად დაუშვებელია. სამინისტროში თავმოყრილი ცნობებიდან ნათელია, რომ კლუბების სცენაზე არაერთხელ წაუკითხავთ ისეთი ლექსები და დაუდგამთ ის პიესები, რომლებიც დაიშვებოდა დრამატურგიული ცენზურით, მაგრამ შეუსრულებიათ ისეთი ცინიკური მეთოდებით, რომელთა მოთმენა და დაშვება საზოგადოებრივ სცენაზე ყოვლად დაუშვებელი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრო აფრთხილებს გუბერნატორებს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დადგმული სპექტაკლი არ განსხვავდება თეატრში დადგმულისაგან, ამიტომ მათი დადგმის წესები არ უნდა გამომდინარეობდეს თავყრილობათა შესახებ მიღებულ კანონებიდან. აუცილებელია კლუბებსა და საზოგადოებრივ ადგილებში სპექტაკლის დადგმა ითვალისწინებდეს სამ პირობას: 1. კლუბებმა და თავშეყრის ადგილებმა თითოეული სპექტაკლის დასადგმელად უნდა გამოითხოვონ ნებართვა ადგილობრივი პოლიციისგან; 2. კლუბებისა და მსგავს დაწესებულებათა სცენებზე არაფრით არ შეიძლება იმ პიესათა დადგმა, რომლებიც ნებადართული არ არის დრამატურგიული ცენზურის მიერ; არ შეიძლება გადახვევა ცენზურის მიერ დადგენილი ორიგინალის ტექსტიდან; 3. ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს ან სასწავლო ოლქის რწმუნებულის ხელახალი ნებართვის გარეშე აკრძალულია სცენაზე დაბეჭდილი ან ადრე ნებადართული მოთხრობების, ლექსების, კუპლეტებისა და ა.შ. მხატვრული კითხვა. 4. ყოველ სპექტაკლზე პოლიციისთვის გამოყოფილი უნდა იყოს სავარძელი, რათა მას შეეძლოს სცენის თვალყურისდევნება. 5. ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს დროულად უნდა გაეგზავნოს იმ პიესათა აფიშები, რომლებიც კლუბების სცენაზე უნდა დაიდგას.

როგორც ვხედავთ, ათწლეულის განმავლობაში საცენზურო კანონს არანაირი ცვლილება არ განუცდია. 1876 წელს (480-1-268) კიდევ ერთი კანონი შემოიღეს: აიკრძალა სხვადასხვა სახის სცენური დადგმები და მხატვრული კითხვა „მალარასიულ დიალექტზე“, ასევე მუსიკალური ნაწარმოებისათვის განკუთვნილი ტექსტების ამ „დიალექტზე“ დაბეჭდვა.

1879 წლიდან, როდესაც კავკასიის საცენზურო კომიტეტში დრამატურგიული ცენზურის განყოფილება იქმნება, ბევრად იზრდება საცენზუროდ შემოტანილ პი-

ესათა რიცხვი. ეს განპირობებულია მე-19 საუკუნის ბოლოს დრამატურგიის ჟანრის აღმავლობით. სცენა უპირველესი საშუალება ხდება ავტორის სიტყვის ხალხის ფართო მასებთან მიტანის. თეატრის აღმავლობას უფრო მოგვიანებით ხელს უწყობს კავკასიის საცენზურო კომიტეტის საკადრო ცვლილებანიც, კერძოდ, ცენზორად რაფიელ ერისთავის მოსვლა, რომელიც ყველა გემოვნებიან პიესას დადებითად აფასებს და დასადგმელად ნებართვის ბილეთს აძლევს. ავტორებიც სწავლობენ საცენზურო კომიტეტთან ურთიერთობას და სიმბოლურ-ალეგორიული სახეებით ტექსტის შენიღბვას.

დრამატურგიული ცენზურის მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ცენზურა ტექსტიდან შლის იმპერიისათვის საშიშ ფრაზებს ხალხთა თავისუფლებაზე, რევოლუცირ იდეებზე, ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, ბატონის მიერ გლეხთა სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე და ა. შ. მისთვის მისაღებია ვაჭართა ფენისა და სასამართლოს ბიუროკრატიული აპარატის კრიტიკა, ხალხთა მოძველებული ტრადიციებისა და საზოგადოებრივ მანკიერებათა სატირა, ამიტომაცაა, რომ მე-19 საუკუნის დრამატურგიულ თხზულებათა უმრავლესობა მაჭანკლობის ინსტიტუტსა და ქალის გათხოვების სამარცხვინო ტრადიციებს ასახავს, წარმოადგენს ვაჭართა, გაღარიბებულ და გადაგვარებულ თავად-აზნაურთა და სახელმწიფო მოხელეთა კრიტიკას; ეროვნული იდეები კი გადატანილია ისტორიულ დრამებში, წარსულის სახით წარმოჩნდება, რომ ცენზორთა კრიტიკას ასცდეს. მხატვრული ლიტერატურის განვითარებას წინ ვერ ეღობება იმპერიის იდეოლოგიური, მიკერძოებული, თავისი ბუნებით (ბრძანებებითა და ცირკულიარებით) მკაცრი და დაუნდობელი ცენზურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს ეროვნული არქივის 480-ე ფონდის (კავკასიის საცენზურო კომიტეტი) მასალები.

თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი
Tamar Sharabidze, Tamar Tsitsishvili

„კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ მასალებში ასახული ებრაელთა დისკრიმინაციის პროცესი და ქართული საზოგადოების მიერ „ებრაელთა გამოსარჩლების“ ფაქტი[1]

The process of discrimination against Jews and the fact of "advocacy of Jews" by Georgian society reflected in the materials of the "Caucasus Censorship Committee"

Annotation

The Georgian National Archives' Caucasian Censorship Committee collection includes a banned article from the 1901 publication *"Information Sheet"* titled *"Province"* (480-1-1694). The article, authored by Mikheil Gachechiladze, describes an incident at the Kutaisi theatre where approximately 100 policemen were injured.

The conflict arose during a performance of the renowned play *"The Children of Israel, or the Smugglers,"* presented by Omarsky. The Kutaisi audience reacted with protest: as soon as the curtain rose, whistling and shouting erupted from the crowd. The police intervened which lead to a brawl. The audience left the performance, yet the actors continued playing to an empty hall. The clash extended onto the streets between the police and the public.

The Chief of Police summoned an additional 50 mounted Cossacks, who dispersed the crowd, but the unrest persisted. Stones thrown during the altercation injured about 100 policemen. Ultimately, 130 people were arrested, including many Georgian students.

The article does not explicitly state the reason for the unrest but suggests that the play itself, titled *"The Children of Israel, or the Smugglers,"* was the likely cause. From the title, it is evident that the play addressed Jewish themes, and Kutaisi had a significant Jewish population.

Although the latter half of the 19th century saw incidents of anti-Jewish sentiment in Georgia – most notably the Surami (1850) and Kutaisi (1879) cases – these events were met with disapproval from Georgian society. Many public figures voiced their protests in the press (*"Iveria," "Droeba"*).

At the beginning of the 20th century, the *"international Jewish conspiracy"* theory gained traction in Russia. This theory falsely accused Jews of seeking to disrupt global

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა”, № 5, თსუ გამომცემლობა, 2025 წ.

social norms, seize control over governance, and dominate the world. These baseless claims were fabricated by the Russian Empire's secret police, who sought to portray revolutionary movements as part of an international Jewish conspiracy, thereby discrediting them.

Repressions against Jews were often orchestrated by inciting conflict between local populations and Jewish communities, with the government exploiting any available means, including theatrical performances. However, if a play exposed the imperial ambitions of the Russian government, it was banned throughout the empire. An example of such censorship is the prohibition of the play *"The Renegade."*

The play performed in Kutaisi was not banned; therefore, it must have expressed an opposing opinion.

In the materials of the Caucasian Censorship Committee (480-1-1696), there is also a banned article from the newspaper *"Iveria"* on the same topic. Written in the feuilleton genre, the article is lighthearted and humorous in tone. *"Iveria"* attempts to downplay the students' actions – causing unrest in the theater – by attributing them to whimsy, thus minimizing the significance of their act of "defending the Jews." This approach may have been intended to protect the students by preventing their actions from being framed as anti-state conduct before a court.

During the research, it was revealed that the leader of the student protest was the future renowned writer Niko Lortkipanidze, who sustained the most injuries during the clash. Niko and his friends were imprisoned, sparking public outrage.

In conclusion, it is important to note that the events of May 5, 1901, in Kutaisi, mark a significant moment in history. Georgian students, led by Niko Lortkipanidze, protested not specifically against Omarsky's troupe but against the antisemitism and chauvinism, propagated by the Russian Empire to incite conflict between local populations and Jewish communities.

It is commendable that, in this case, the public did not side with the state. Despite the students' actions – which involved instigating unrest and, more precisely, defending themselves against the police – being labeled as hooliganism and mere imitation of student protests in imperial university towns, the public supported the students and followed their trial with great concern.

It is difficult to ascertain the precise intent behind the critical correspondence in the newspaper *"Iveria"* – whether it was a friendly suggestion to avoid involvement in such matters or an attempt to protect the students. However, one thing is clear: the article sought to downplay the scale and importance of the event.

The press often reflects certain political stances, and its actions must be analyzed in the context of the times and various influencing factors. It is also worth noting that *"Iveria"*s editor, Ilia Chavchavadze, was personally opposed to any form of antisemitism.

As a liberal thinker, Chavchavadze considered the persecution of Jews to be a crime, attributing its cause not to religious hatred or fanaticism but to the Jews' economic strength.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ებრაელთა დისკრიმინაცია, ქართული საზოგადოება

Keywords: Caucasus Censorship Committee, discrimination against Jews, Georgian society

საქართველოს ეროვნული არქივის „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ ფონდში აღმოჩნდა 1901 წლის „ცნობის ფურცლის“ აკრძალული სტატია სათაურით „პროვინცია“ (480-1-1694). სტატიის ავტორი – მიხეილ გაჩეჩილაძე – აღწერდა ქუთაისში მომხდარ ამბავს:

„ქუთაისი. 5 მაისს, საღამოს, ქუთაისის ქალაქის თეატრში ხელმეორედ წარმოადგინეს ეხლა სახელგანთქმული ომარსკის მეთაურობით ცნობილი პიესა „ისრაილის შვილნი, ანუ „კონტრაბანდისტები“. ამ წარმოდგენამ პირველად საშინელი ზიზღი გამოიწვია საზოგადოებაში და როგორც თქვენ გაზეთში იყო გამოცხადებული, არტისტები აიძულეს შეეწყვიტათ წარმოდგენა, მაგრამ დღევანდელი დღე კი გაცილებით მაღლა იდგა მაშინდელზე არეულობით. ფარდის ახდისთანავე საზოგადოებაში გაისმა სტვენა და ყვირილი და გაგრძელდა თითქმის ხუთი წამი. ხმაურობა თანდათან გაძლიერდა, არტისტების ლაპარაკი აღარ ისმოდა, ბალკონიდან გაიყვანეს რამდენიმე სტუდენტი. არეულობა მაინც არ წყნარდებოდა და ყურთა სმენა აღარ იყო. ამ დროს პოლიცმეიტრის ბრძანებით მუსიკა დაუკრეს და ფარდაც აუშვეს. ცოტა მიწყნარდა საზოგადოება და ფარდაც ასწიეს, მაგრამ ისევ შეიქნა საშინელი არეულობა და ყიჟინა. ბალკონზე შემოცვივდნენ ყაზახ რუსები და ჯარის კაცები, შეიქმნა ხელჩართული ჩხუბი. (იარაღი არავის უხმარია); ჩხუბი გაგრძელდა ათი წამი. რამოდენიმე პირი დაიჭირეს, აგრეთვე ყველა სტუდენტები, მაგრამ ხმაურობა მაინც არ შეწყნარდა; საზოგადოება გარედ გამოვიდა და მოითხოვა ბილეთების ფულის უკანვე დაბრუნება; პოლიცმეისტერი დაჰპირდა მათ ფულის უკან დაბრუნებას, მაგრამ იგი შემდეგ აღარ გამოჩნდა; ამასობაში ფარდა ისევ ასწიეს და ცარიელ თეატრში არტისტებმა თამაშობა გააგრძელეს. ამ დროს დიდი არეულობა მოხდა ქუჩაში, მუშტი-კრივი გაიმართა პოლიციასა და ხალხს შუა. პოლიცმეისტერმა გამოიწვია 50 ცხენოსანი ყაზახ რუსი და მისი საშუალებით ცოტა ხნით გაიფანტა ხალხი, მაგრამ არეულობა მაინც არ დაწყნარდა. რამოდენიმე ქვით დაჭრილი პოლიციელი წაიყვანეს პოლიციაში. ქუჩაში გავლა ვეღარავინ

გაბედა; ასამდე კაცი დაჭრილია პოლიციაში. არეულობა დაწყნარდა მხოლოდ ღამის პირველ საათზე, დაწყებით კი ათ საათზე დაიწყო, სულ დაჭერილი იქნება 130 კაცამდე, მათ შორის არის ექიმი მხეიძე და ბევრი ქართველი სტუდენტი.

P.S. ეს წერილი დაწერილი მქონდა, რომ კიდევ 100 ყაზახი გამოიწვიეს, რადგან არეულობამ ხელ-ახლა იჩინა თავი“.

სტატიაში არაფერია ნათქვამი არეულობის მიზეზზე. ჩანს მხოლოდ, რომ მიზეზი წარმოდგენა უნდა იყოს სათაურით „ისრაილის შვილნი, ანუ „კონტრაბანდისტები“. სათაურიდან ისიც ნათელი ხდება, რომ პიესა ებრაელებს ეხება, ისინი კი ქუთაისში მრავლად სახლობენ. მართალია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ადგილი ჰქონდა მათ წინააღმდეგ მიმართულ პროცესებს, რომელთა შორის ყველაზე რეზონანსული იყო ე. წ. სურამისა (1850 წ.) და ქუთაისის (1879 წ.) პროცესები, მაგრამ ამ ფაქტებს ქართული საზოგადოება დადებითად არ შეხვედრია და პროტესტი მრავალმა საზოგადო მოღვაწემ გააჟღერა პრესაში („ივერია“, დროება“). *„ერთი უკეთესი ღირსებათაგანი ქართველი ტომისა იყო გატანა და თანასწორული შეწყნარება ყოველი რიგის ეროვნებისა და სარწმუნოებისა... ამ ნაციონალური მაღალის თვისებით მოსწონდა თავი წინაშე მთელი ევროპისა, მთელი კაცობრიობისა“,* – წერდა ანტონ ფურცელაძე. ქართული პრესა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას უპირისპირდებოდა და რელიგიურ ანტისემიტიზმს „მოსამსახურე პირების“ მოგონილად მიიჩნევდა. ზაქარია ჭიჭინაძე, ებრაელთა დიდი დამცველი, აღნიშნავდა, რომ დაპირისპირების მცდელობა ძველ საქართველოშიც არსებობდა, მაგრამ ებრაელებს ყოველთვის მფარველობდნენ ბაგრატიონები და მათი დაჩაგვრის უფლებას არავის აძლევდნენო. საქართველოში მტკიცედ სწამდათ, რომ ქართველ ებრაელებს ქრისტეს წამებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. პირიქით, მათ საქართველოს რწმენად და რელიქვიად ჩამოუტანეს ქრისტეს კვართი. მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი წმინდანია.

XX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთში ფართოდ გავრცელდა „საერთაშორისო ებრაული შეთქმულების“ თეორია, რომლის მიზანიც იყო ებრაელების ბრალდება, ვითომდა მათ სურდათ მსოფლიოს მასშტაბით არსებულის სოციალური ნორმების დარღვევა, ხალხის მართვა და მსოფლიოზე ბატონობაა. მიუკერძოებელი კვლევებით მეცნიერებმა დააგინეს, რომ ამ თეორიის ფალსიფიცირებული დოკუმენტი – „სიონის ბრძენთა ოქმები“ – 1902-1903 წლებში რუს-ფრანგმა ჟურნალისტმა მატვეი გოლოვინსკიმ შეადგინა რუსული იმპერიის საიდუმლო პოლიციის დაკვეთით. იმპერიის მიზანი იყო, რომ რუსეთში არსებული რევოლუციური მოძრაობები საერთაშორისო ებრაული შეთქმულების ნაწილად წარმოეჩინა და ამ გზით მათი დისკრედიტაცია მოეხდინა. იმპერიულ რეპრესიებს ჰქონდა შემდეგი ხასიათი: ებრაელები ორმაგად იბეგრებოდნენ მთავრობის მიერ, აკრძალული იყო მათი კარიერული ზრდა, არ ჰქონდათ უფლება დაეკავებინათ მთავრობისა და ადმინის-

ტრაციული თანამდებობები და არ ჰქონოდათ მაღალი სამხედრო წოდებები, არ შეეძლოთ მიწების დასაკუთრებაც, ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტის დროს ებრაელები სამართლდებოდნენ და კანონის მიხედვით გადასახლებით ისჯებოდნენ. რეპრესიები ხორციელდებოდა პირველ რიგში ადგილობრივ მოსახლეობასა და ებრაელთა შორის კონფლიქტის გაღვივების შემდგომ. კონფლიქტისათვის კი მთავრობა ყველა გზას იყენებდა, მათ შორის, როგორც შემდგომ დავრწმუნდებით, თეატრალურ წარმოდგენასაც, თუმცა, თუ პიესაში რუსეთის იმპერიული ზრახვები იყო მხილებული, მის დადგმას მთელი იმპერიის ფარგლებში კრძალავდნენ.

1869 წლის კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში (480-1-32) ინახება ოდესელი ცენზორის დასკვნა აკრძალული პიესის – „რენეგატის“ – შესახებ. დასკვნაში შემდეგია ნათქვამი: მოქმედ პერსონაჟს, ეროვნებით ებრაელს, უხდება სარწმუნოების შეცვლა და მონათვლა, რათა ცოლად შეირთოს ის, ვინც უყვარს, თანამდებობის პირის ქალიშვილი; თანამდებობასაც ის მხოლოდ სარწმუნოების შეცვლის შემდეგ აღწევს. ცენზორის აზრით, პიესაში რუსეთი გამოყვანილია არარუს ეროვნებათა ინტერესების შემზღუდველად, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. როგორც ვხედავთ, „რენეგატი“ აიკრძალა იმ რეპრესიების მხილების გამო, რომელთაც ცარიზმი იყენებდა ებრაელი ხალხის უფლებების ყველანაირი შეზღუდვის მიზნით. კავკასიის საცენზურო კომიტეტში ოდესელი ცენზორის დასკვნის გამოგზავნა მეტყველებს იმ ფაქტზე, იმ შეტყობინებაზე, რომ ეს ან მისი მსგავსი შინაარსის პიესა კავკასიის ფარგლებში არ უნდა დაიდგას.

ქუთაისში წარმოდგენილი პიესა – „კონტრაბანდისტები“ ანუ „შვილნი ისრაელისა“ აკრძალული არ ყოფილა; მაშასადამე, მასში საწინააღმდეგო აზრი უნდა ყოფილიყო გაჟღერებული. მართალია, კავკასიის საცენზურო კომიტეტში პიესა არ მოიპოვება, დადგმისათვის სანებართვოდ წარდგენილი, მაგრამ სავარაუდოდ მას ნებართვა მიღებული აქვს იმპერიის სატახტო ქალაქებში და პროვინციაში მისი დადგმა გუბერნატორის ნებართვითაა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ზიზღით შეხვედრია წარმოდგენას და პოლიცმეისტერსაც უთხოვნია გუბერნატორისათვის, არ დაეშვა უფლება მისი ხელმეორედ ჩვენებისა, გუბერნატორმა აკრძალვის უფლება არ გამოიყენა; ჩანს, მას არ ადარდებდა საზოგადოების აზრი და იმპერიის დავალების შესასრულელად კონფლიქტისთვისაც მზად იყო.

სტატიის დასაწყისში წარმოდგენილი პუბლიკაციიდან ცნობილი ომარსკის დასის მიზანიც ნათელია. მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელმა დარბაზი დატოვა და წარმოდგენის გამო ასეთი დიდი მასშტაბის დაპირისპირება წარმოიშვა, მსახიობებმა ცარიელ დარბაზში გააგრძელეს თამაში. ჩანს, ესეც წინასწარ დაგეგმილია, სხვა შემთხვევაში დასი ამგვარად არ მოიქცეოდა, რადგან წარმოდგენა მაყურებლისთვის იმართება და მის გარეშე თამაშს ფასი ეკარგება.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში (480-1-1696) ვაწყდებით გაზეთ „ივერიის“ აკრძალულ სტატიასაც ამავე თემაზე, ამავე პერიოდში გამოქვეყნებულს, რომელიც ფელეტონის ჟანრშია წარმოდგენილი და, აქედან გამომდინარე, მსუბუქი და იუმორისტულია, რასაც სათაურიც გვიდასტურებს – „ქუთათური ფელეტონი. შინ რომ ბავშვებს გიშიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო“. „ივერია“ ცდილობს სტუდენტების საქციელი – თეატრში გამოწვეული არეულობა – მათ ახირებას მიაწეროს და დანაშაულად არ გამოიყვანოს. აქედან ცხადი ხდება, რომ „ამრევები“ სამართლდებიან. გაზეთი იმასაც აღნიშნავს, რომ სტუდენტებთან ერთად პოლიციამ საზოგადოებასაც (1000 კაცამდე) დასდო ბრალი და ინციდენტი შეთქმულებად მონათლა. ბრალდებითი ორგანოც მკაცრად მოეპყრო სტუდენტებს, რათა პოლიციის ოქმები გაემართლებინა, სხვათა ჩვენება არც გაითვალისწინა. „ივერია“ მოხიბლულია ვექილთა – ქიქოძის, ფაღავასა და გელაზაროვის – მიერ ბრალდებულების დასაცავად წარმოთქმული სიტყვებით, რომლებიც ამტკიცებს, რომ *„ქუთათურს ადვოკატსაც შეუძლიან ლოღიკა და პსიხოლოგია მჭერ-მეტყველურად და დიდის ხელოვნებით მოიხმაროს ჭეშმარიტების დასაცველად, როცა ამას საგანი მოითხოვს, და სათავეში უკან არავინ ეწევა“* (480-1-1696).

გაზეთი ცდილობს იმ მიზეზის დადგენას, რამაც სტუდენტების აღშფოთება გამოიწვია. მათი მოქმედება არ იყო გმირობა, შერკინება ქვეყნის გამანადგურებელ სენთან, არც „ოკრიბელი გლეხის ბიჭის“ გვერდში ამოყენება ნიშნავდა სოციალურ ბრძოლას, იმის დადასტურებას, რომ „გლეხი გონებით აწეულა და მეცნიერების წარმომადგენლებთან ერთად სამშობლოს განკარგების უღელს ეწევა“ (იქვე). აქ არ იყო არც გმირობა და არც ხალხისა და სტუდენტების ერთად დგომა. სტუდენტები და ხალხი პოლიციამ შეჰყარა ერთად და ბრალდებულთა სკამზე დასვა. სტატიის ავტორი იმასაც უშვებს, რომ პოლიციისთვის „ეგებ“ თავისი „ძალ-ღონის“ გამოჩენა იყო საჭირო და ამიტომაც დასვა ერთ სკამზე ბრალიანი და უბრალო. ცნობილ მსახიობ – სარა ბერნარსაც აყრიდნენ სცენაზე კატის ლეშებსა და დამპალ ვაშლებს უმიზეზოდ, „როცა მისი წარმოდგენის კილო არ მოეწონებათ“, მაგრამ ამისთვის არავის აპატიმრებდნენ. სტუდენტების დამცველი ადვოკატის, ქიქოძის სიტყვებს, რომ „ერის შეურაცხმყოფელს და დამამცირებელს სცენას ახალგაზრდობის სპეტაკმა გრძნობამ ვეღარ გაუძლო და წამოიქუხა“ – „ივერიის“ კორესპონდენტი ამსუბუქებს (სავარაუდოდ ეს მიაჩნია ბრალდების ნაწილობრივ აღიარებად) და ახალგაზრდების გრძნობას შუშხუნას ადარებს, რომელსაც ნაყოფი არ მოაქვს და სიმოკლე ახასიათებს. ის ირონიულად შენიშნავს – *„მით უფრო გვიხაროდეს, რომ ჩვენს მამულიშვილებს ასეთი მაღალი საგანი აუღიათ საზრუნველად!..“* და გადადის ნამდვილ მიზეზზე – „ე ბ რ ა ე ლ თ ა გ ა მ ო ს ა რ ჩ ლ ე ბ ა ზ ე“. ამ ფაქტს ის რატომღაც აკნინებს, თითქოს აბაიბურებს (ვფიქრობთ, მათივე დაცვის მიზნით, რომ სასამართლოს წინაშე სტუდენტების დანაშაული ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად არ ჩაითვალოს). ის მოსე წინასწარმეტყველს იხსენებს, რომელიც „გენიოსი

და ღვთივ-განმგრძნობელი კაცი იყო, მაგრამ მისი კაცთ-მოყვარეობა ნაციონალურს ფარგალს არ გასცილებია“. და მოჰყვება მოსე წინასწარმეტყველის შეფასებას იმ კრიტერიუმით, რომ ის მხოლოდ თავისი ხალხისთვის ზრუნავდა და ფარაონების სამფლობელოში სხვა დაჩაგრულთა ბედი არ ადარდებდა. პროცესის სტუდენტებს, ავტორის შეფასებით, კოსმიურ მოქალაქეებად წარმოედგინათ თავი და არც ებრაელების გამოსარჩლებას დაერიდებოდნენ, თავიანთ „პაწია“ მამულში კი „პაწია“ უსამართლობასაც არ ებრძოდნენ. ამას მოჰყვება აკაკის ხუმრობად მონათლული სიტყვები: *„ეგ დალოცვილი ზოგიერთი ახალგაზრდები, როცა თამარ დედოფალს ცირკში ვირზე შემჯდარს გამოიყვანებენ, წუნის მაგიერ, ცირკაჩებს ტაშს უკრავენო. სხვის წამხედურობით სარრასა და რებეკასთვის გვერდების მტვრევასაც არ ერიდებიანო*“. ამ სიტყვებში გაიჟღერა აზრმა, რომ ქართველი სტუდენტების მიერ ებრაელთა გამოსარჩლება სხვათა წამხედურობით ხდება, რასაც მოჰყვა ქართული ანდაზა – *„ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროთ მიდიოდაო*“. ამ ანდაზას კვლავ მოჰყვება უკვე გაჟღერებული აზრის მტკიცება – *„თუ მართლა წამხედურობა არ იყო და საბრალმდებო სკამსა და ციხეში დამწყვდევას არ მოერიდება ვინმე, განა ცოტაა შინაობაში ასაღელვებელი, სარჩლის გასაწევი დასაცველი: გარეთ ჩვენს ტაბლას რა უნდა?“*

სტატიის ავტორი, რომელიც Amicus-ის ფსევდოიმს ამოფარებია, თითქოსდა მეგობრულად ესაუბრება მკითხველს და უზიარებს თავის განწყობას, რომ არ სჯერა ახალგაზრდობის იმის გამო, რომ ვერ ხედავს მათ აღზრდაში ისეთ ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს მათში ვაჟკაცური ბუნების განვითარების, სულიერ ზრდას, რომ ისინი ჩაგრულთა მხარეზე დადგნენ და საკაცობრიო იდეალებისათვის იბრძოლონ. და მოულოდნელად, იმის მაგივრად, რომ ახალგაზრდების ქმედება მოიწონოს, „მეგობარი“ აღზრდის პრინციპებზე გადადის. ოჯახში ბავშვს შიშისა და კრძალვის გარემოში ზრდიან, სასწავლებელში – მორჩილებასა და დისციპლინაში. აქ სტატიის ავტორი იმდენად უხვევს თემიდან, რომ ვრცლად მოაქვს სასწავლებლის დირექტორის სიტყვა, რომელიც იმ ფრაზით სრულდება, რომ სასწავლებლის მიზანია ჩამოაყალიბოს ახალგაზრდობა *„ახლანდელის წეს-წყობილების სანდო მსახურად*“. გაუგებარია მხოლოდ ერთი, თუ სტატიის ავტორი დასცინის და, რასაკვირველია, დასცინის აღზრდის წარმოჩენილ სისტემას, რადგან ირონიულად საუბრობს მასზე, მაშინ უნდა მოიხიბლოს იმ ფაქტით, რომ ახალგაზრდობა წეს-წყობილების მხასური არ არის და თავისი იდეალებიც გააჩნია. ის კი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ასეთ სისტემაში ვაჟკაცური სულის პიროვნებები ვერ გაიზრდებიან, ამიტომაც მათი საპროტესტო გამოსვლა სხვისი მიბაძვა და წამხედურობაა.

„ამ გარემოებაში აღზრდილი ახალგაზრდობის ლიბერალობა და ვაჟკაცური მზრუნველობა მხოლოდ თავის გასართობი ბავშვობაა, ცუღლუტობა და წამხედურობის ნაყოფი. და ხომ მოგეხსენებათ, წამწყმიდა წამხედურობამაო, და ვაი, თუ ჩვენი წამბაძველები ახირებულმა წამხედურობამ წაწყმიდოს“, – ამ სიტყვებით

სრულდება „ივერიაში“ დასაბეჭდად გამზადებული სტატია, რომელსაც არ ახლავს ცენზორის შენიშვნა, თუ რატომ იქნა დაწუნებული.

ჩვენი ვარაუდით, სტატია დაწერილია სტუდენტების სასარგებლოდ, რათა მათთვის თავიდან აეცილებინათ სასჯელი ამ გახმაურებულ პროცესში მონაწილეობისათვის, ამიტომაც თავად პროცესი მიმბაძველობად ჩათვალეს. ხოლო ცენზორმა სავარაუდოდ ის დაიწუნა იმპერიის სასწავლებლების საფუძვლიანი კრიტიკის გამო.

თუ რა ხდებოდა სასამართლო პროცესზე და ვინ იყო ამ გამოსვლის ორგანიზატორი საქართველოს იმდროინდელ პრესაზე დაყრდნობით დაწვრილებით აქვს აღწერილი ავთანდილ ნიკოლეიშვილს თავის წიგნებში – „ნიკო ლორთქიფანიძე“ (1992 წ.) და „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში“ (2008 წ.). მანამდე საკითხი სპეციალურად შეუსწავლიათ მ. ჯაფარიძესა და თ. ადამაძეს (ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1974 წ. №1).

სტუდენტური გამოსვლის მოთავე ყოფილა ნიკო ლორთქიფანიძე, რომელიც 1901 ხარკოვის უნივერსიტეტიდან გამოურიცხავთ სტუდენტურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის და ქუთაისში იმყოფებოდა. წამბაძველობაში სწორედ ამ ფაქტს გულისხმობდა ალბათ „ივერიის“ სტატიის ავტორი. ამ წლის გაზაფხულზე ქალაქს სწვევია ომარსკის მოხეტიალე დასი, რომელსაც მაყურებლისთვის უნდა ეჩვენებინა ვ. კრილოვასა და ს. ლიტვინას პიესის საფუძველზე შექმნილი ანტისემიტური სპექტაკლი. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ პოლიცმეისტერის თხოვნას, ხელმეორედ სპექტაკლი არ ჩაეტარებინათ, გუბერნატორის უარი მოჰყვა. მაშინ პოლიცმეისტერს თეატრში შეუყვანია პოლიციელთა დიდი ჯგუფი, რათა მაყურებელზე კონტროლი დაეწესებინა. თეატრში ყოფილა ნიკო ლორთქიფანიძეც თავისი თანამოაზრეებით. ფარდის გახსნისთანავე სტუდენტებს საშინელი ხმაური აუტეხავთ. ყველაზე მეტად თურმე ნიკო აქტიურობდა. იგი მოუწოდებდა „პატიოსან საზოგადოებას“, არ მოესმინათ *„ამ საზიზღარი პიესისათვის, რომელიც დრამატულ ხელოვნებას ჩირქს სცხებდა, ამცირებდა ერს და შეურაცხყოფდა სარწმუნოებრივ გრძნობებს“* („ივერია“, 1902 წ. № 94). *„ვინც თქვენგანი პატიოსანია, თეატრიდან უთუოდ გავა, ხოლო საზიზღარი და ფლიდი დარჩება“*, – ხმამაღლა გაიძახოდა თურმე ნიკო.

შეტაკების დროს ყველაზე მეტი ნიკოს მოხვედრია. „კვალის“ ცნობით (1901 წ. № 24), მას *„მისცვივდა რამდენიმე პოლიციელი და დაუწყო აქეთ-იქით წევა, თითქოს გახლეჩა უნდოდათ. მერე ასწიეს, ორ საჟენზე სკამების თავზე გადაისროლეს და დაცემულს ისევ დაუწყეს ცემა“.*

ნიკო და მისი მეგობრები ციხეში ჩასვეს. დაიწყო გამოძიება. სტუდენტების დაპატიმრებას ხალხის აღშფოთება გამოუწვევია. ბრალდებულთა ვექილები და ფართო საზოგადოება მათ განთავისუფლებას მოითხოვდა. *„ისინი არათუ არ ცნობდნენ მათ დამნაშავეებად, პირიქით, იქით დებდნენ ბრალს ხელისუფლებას ეროვ-*

ნული შუღლის გაღვივების გამო. ეს ფაქტი იმითაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საინტერესო, რომ სწორედ ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის ბევრ ქალაქში მძლავრი ანტისემიტური მოძრაობაა გაჩაღებული და სასტიკად დევნიან და არბევენ ებრაელებს," – წერს ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

ნიკო ლორთქიფანიძის ვექილი, მოსე ქიქოძე, სასამართლოზე პირდაპირ განაცხადებდა: *„არეულობის სახელი ასეთ პროტესტს კი არ უნდა დავარქვათ, არამედ იმისთანა პიესის წარმოდგენას, როგორიც არის „შვილი ისრაელისაო"*. ალბათ სწორედ ამიტომაც განაცხადებდა „ივერიის სტატიის ავტორი ადვოკატთა მჭერმეტყველებაზე (შესაძლოა ირონიულადაც). მიუხედავად ვექილთა მონდომებისა, სტუდენტები დამნაშავეებად ცნეს და ორი თვით ციხეში ჩასმა მიუსაჯეს, თუ ჯარიმას არ გადაიხდიდნენ, თუმცა პროკურორმა გაასაჩივრა განაჩენი, ლიბერალურად მიიჩნია და ისინი დააპატიმრეს. ნიკო ნიკოლაძეს მიუსაჯეს 3 თვით პატიმრობა, ნინიძეს – 2 თვით, კანდელაკსა და გლეხ აფხაიძეს – თითო თვით („ივერია", 1902 წ. № 94). სწორედ ამ გლეხზე წერდა „ივერია" ირონიულად:

„...ან ეგება მაყურებლებს იმ სურათის დანახვა ეინტერესებოდათ, რომ განათლების ტაძრიდან გამოსულ ახალგაზრდებისათვის რაღაც შემთხვევას ერთი ოკრიბელი, თითქმის უენო გლეხის ბიჭი, ვითარცა აჯანყებულთა წარმომადგენელი, გვერდში ამოუყენებია, და ეგ უთუოდ იმის უტყუარ ნიშნად მიგვაჩნია, ვითამც მეცნიერება უმეცრებას გვერდში ამოსდგომია, ვითამც მეცნიერება, ქრისტიანული ძმობის პრინციპით გამსჭვალული, ბეჩავის გლეხისაკენ დახრილა სინათლის შუქზე სიბნელიდგან ამოსაყვანად, ან თვით სიბნელე თავის-თავად იმდენად განათლებულა, რომ გლეხი გონებით აწეულა და მეცნიერების წარმომადგენლებთან ერთად სამშობლოს განკარგების უღელს ეწევიან" (480-1-1696).

საბოლოოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1901 წლის 5 მაისს ქუთაისში მეტად მნიშვნელოვან ფაქტს ჰქონდა ადგილი. ქართველი სტუდენტობა ნიკო ლორთქიფანიძის მეთაურობით გამოვიდა არა უშუალოდ ომარსკის დასის, არამედ ანტისემიტიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, რომელსაც რუსეთის იმპერია აჩაღებდა ადგილობრივი ხალხებისა და ებრაელების დასაპირისპირებლად. მისასალმებელია, რომ ამ შემთხვევაში ხალხმა არ დაიჭირა სახელმწიფოს პოზიცია და, მიუხედავად სტუდენტების დანაშაულისა, რაც არეულობის მოწყობასა და პოლიციაზე თავდასხმაში ან უფრო ზუსტად, მისგან თავდაცვაში, გამოიხატებოდა, და პრესაშიც მათი მოქმედება შეფასდა, როგორც ხულიგნობა და წამბაძველობა იმპერიის საუნივერსიტეტო ქალაქების სტუდენტებისა, მათ მხარეს დადგა და დიდი მღელვარებით ადევნებდა თვალს სასამართლო პროცესს. გაზეთ „ივერიის" კრიტიკული კორესპონდენცია კი, ვფიქრობთ, პროცესიდან ცოტა მოგვიანებით დაიწერა, რასაც თავად სტატიის ავტორიც აღნიშნავს დასაწყისშივე – *„პროცესის" სტუდენტების კვირა ჯერ შორს არ წასულა და ამიტომ ჩვენი ფუყი ცხოვრების ნიადაგზე ამ პროცესის გამო მკითხველებთან საუბარი მაინც და მაინც უადგილოდ არ მიგვაჩნია"* (480-1-

1696). დანამდვილებით ძნელია თქმა, ავტორის მიზანი მეგობრული რჩევა იყო სხვის საქმეში ჩაურევლობისა თუ სტუდენტების დაცვა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, Amicus-ს სურდა ამ მნიშვნელოვანი ფაქტის მაშსტაბურობის დამცრობა – *„სტუდენტების პაწაწკინტელა დანაშაულს ძალა უნებურად რაღაც გაზვიადების სამოსელი გადაეცვა, და მეორეს მხრით შინაურულად უნდა აღვნიშნოთ, რომ სტუდენტების საქციელი თეატრში შეუფერებელი და გამოურკვეველი ახირება გამოდგაო*“ (480-1-1696). ზოგჯერ პრესა გარკვეული პოლიტიკის გამომხატველია და მისი განსჯა დროისა და სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე თავად ანისემიტიზმის ნებისმიერი ფორმისა. როგორც ლიბერალი, ის ღიად ეწინააღმდეგება ებრაელთა დევნას, ამ პროცესს დანაშაულად მიიჩნევს და მიზეზად რელიგიური სიძულვილი და ფანატიზმი კი არ მოჰყავს, არამედ ებრაელთა ეკონომიკური ძლიერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

„ივერია“, 1902 წ. № 94.

„კვალი“, 1901 წ. № 24.

ნიკოლეიშვილი ავთანდილ (1992), ნიკო ლორთქიფანიძე, ქუთაისი: გამომცემლობა „საქართველო“, ქუთაისის ფილიალი.

ნიკოლეიშვილი ავთანდილ (2008), ებრაული თემა ქართულ მწერლობაში, ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი.

საქართველოს ეროვნული არქივის კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდის მასალები.

თამარ შარაბიძე
Tamar Sharabidze

„ივერია“ კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში

„Iveria" in the Materials of the Caucasus Censorship Committee

Annotation

The newspaper *Iveria*, a Georgian political and literary periodical, was founded by Ilia Chavchavadze in 1877. From 1879 to 1885, it was published as a journal, and in 1886, it was transformed into a daily newspaper. Several important records related to these events are preserved in the *Caucasus Censorship Committee*.

During the period when *Iveria* was published as a journal, the issue of closing the newspaper *Droeba* arose. In 1879, a case was initiated due to an article published in issue №191 of *Droeba*, which had not been approved by censorship (480-1-370). The owner of the printing house where the newspaper was printed, Melikov, was held responsible. The materials in 480-1-371 describe the investigation's findings, while the documents in 480-1-372 reveal the decision made by Georgian society to save the newspaper. According to these records, the Governor-General's Main Administration granted permission for the editors of *Droeba* and the journal *Iveria* (S. Meskhi and I. Chavchavadze) to publish the newspaper and journal under joint editorial management starting from January 1, 1880. Meskhi and Chavchavadze agreed to the proposed program for the newspaper (which is attached to the case files). The documents also specify the joint and separate subscription prices for both periodicals, including *Iveria*'s program.

From the presented materials, it is evident that the Governor-General's Main Administration, along with the Caucasus Censorship Committee, primarily targeted the owner of the printing house, holding him responsible as an additional censor. (According to censorship regulations, a printing house was required to verify the approval of every article; otherwise, it faced closure.) The materials also include Melikov's defense, in which he claims that he had received verbal permission for the prohibited article directly from His Majesty during a personal meeting. The documents do not reflect any penalties imposed on the editor (who defended himself), but it is likely (and in accordance with regulations) that the consequences would be either the newspaper's closure or the replacement of its editor. This explains why the two editorial teams merged – S. Meskhi assumed responsibility alongside *Iveria*'s editor, Ilia Chavchavadze, thereby saving the newspaper from closure or the appointment of an outsider as editor.

Despite this precedent, in 1886, Ilia Chavchavadze failed to comply with the censorship committee's regulations and published an announcement regarding the release of the

Iveria newspaper at Kheladze's printing house without first submitting the program to the Caucasus Censorship Committee. Case 480-1-675, which documents the inspection of Kheladze's printing house by the inspector Engalnchev and the resulting protocol, includes the announcement itself. The announcement contains detailed information about the newspaper's publication, periodicity, size, price, distribution points, subscription details, program, and the sections or rubrics it would include. Due to this announcement, a case was initiated not against Ilia Chavchavadze, but against Kheladze. The prosecutor of the Tiflis District Court filed charges specifically against him.

The materials from the Caucasus Censorship Committee are particularly interesting for their records of prohibited content, which reveal the criteria used by the censors to evaluate articles. The censorship prohibited content that reflected national sentiment, suicide, events occurring in gymnasiums and educational institutions, the empire's military operations, internal unrest within the empire, illegal actions by the police, appointments of officials, news about workers' movements in foreign countries, and so on. The empire sought to keep readers in complete isolation, preventing the development of any sense of protest.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, გაზეთი „ივერია“, აკრძალული მასალა

Keywords: Caucasus Censorship Committee, newspaper "Iveria", banned material

გაზეთი „ივერია“ – ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა – დააარსა ილია ჭავჭავაძემ 1877 წელს, 1879-1885 წლებში ის გამოდიოდა ჟურნალის სახით, 1886 წლიდან კი გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად. ამ მოვლენებთან დაკავშირებით „კავკასიის საცენზურო კომიტეტში“ დაცულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა.

„ივერიის“ ჟურნალად გამოცემის პერიოდში დადგა საკითხი გაზეთ „დროების“ დახურვისა. 1879 წელს საქმე აღიძრა „დროების“ №191 ნომერში გამოქვეყნებული, ცენზურის მიერ ნებადაურთველი სტატიის გამო (სსცა, 480-1-370). ტიპოგრაფიის (რომელშიც გაზეთი იბეჭდებოდა) მფლობელი მელიქოვი პასუხისმგებლობაში გადაეცა. სსცა-ის (480-1-371) მასალებში აღწერილია გამოძიების შედეგები, ხოლო 480-1-372 საქმეში ჩანს ის გადაწყვეტილება, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ გაზეთის გადარჩენისთვის მიიღო. დოკუმენტის მიხედვით, მეფისნაცვლის

მთავარი სამმართველო ნებას რთავს გაზეთ „დროებისა“ და ჟურნალ „ივერიას“ რედაქტორებს, რათა მათ გამოსცენ გაზეთი და ჟურნალი (ს. მესხისა და ი. ჭავჭავაძის) ერთობლივი რედაქციით 1880 წლის 1 იანვრიდან. მესხი და ჭავჭავაძე თანახმანი არიან გაზეთის შემოთავაზებულ პროგრამაზე (რომელიც საქმეს თან ახლავს). განსაზღვრულია ორივე პერიოდული ორგანოს ერთობლივი და ცალ-ცალკე ფასებიც (საქმეში დევს „ივერიის“ პროგრამაც).

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსა და მასთან ერთად კავკასიის საცენზურო კომიტეტს იერიში მიაქვთ უპირველესად ტიპოგრაფიის მფლობელზე, რითაც მას აკისრებენ კიდევ ერთი მაკონტროლებლის, ცენზორის, ფუნქციას (საცენზურო წესდებით სტამბა ვალდებულია გადაამოწმოს ნებართვა ყველა სტატიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დახურავენ). წარმოდგენილ მასალებში ჩანს მელიქოვის თავის მართლებაც, რომ აკრძალულ სტატიაზე ნებართვა მას მისი უდიდებულესობისაგან სიტყვიერად მიუღია პირად შეხვედრაზე. დოკუმენტებში არ აისახა რედაქტორის მიმართ წამოყენებული სასჯელი ამ ფაქტის გამო (რედაქტორმა თავი იმართლა), მაგრამ სავარაუდოდ (და წესდებითაც) ის გამოიხატება ან გაზეთის დახურვაში, ან მისი რედაქტორის შეცვლაში. სწორედ ამიტომ მოხდა ორი რედაქციის გაერთიანება, ს. მესხთან ერთად პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო „ივერიის“ რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ და ამით გაზეთი დახურვისაგან ან უცხო პირის რედაქტორად მოსვლისაგან იხსნა.

მიუხედავად ამ პრეცედენტისა, 1886 წელს ილიამ ვერ გაითვალისწინა საცენზურო კომიტეტის წესდება და განცხადება უკვე გაზეთ „ივერიას“ გამოსვლის შესახებ დაბეჭდა ხელაძის ტიპოგრაფიაში, კავკასიის საცენზურო კომიტეტში პროგრამის წინასწარი წარდგენის გარეშე. სსცა-ის 480-1-675 საქმეში, რომელიც წარმოადგენს ტიპოგრაფიის ინსპექტორის – ენგალნჩევის – მიერ ხელაძის ტიპოგრაფიის დასმენასა და პროტოკოლის შედგენას, ჩადებულია განცხადების ფურცელიც. მასში დაწვრილებითი ინფორმაციაა გაზეთის გამოსვლის, პერიოდულობის, ზომის, ფასის, გაყიდვის პუნქტების, გამოწერის, პროგრამის, შემადგენელი განყოფილებების – რუბრიკების – შესახებ.

განცხადების ფურცელი ასეთი სახისაა:

ქართული ყოველ-დღიური
საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი
ივერია

გამოვა ჟურნალის სამაგიეროდ 1886 წ. 1-ს იანვრიდამ ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. გაზეთი იქმნება „დროებაზედ“ უფრო მომეტებულის ზომისა

ფასი

12 თთვით... 10 მ. – კ.	6 თთვით... 6 მ. – კ.
11 „ 9 „ 50 „	5 „ ... 5. „ 25 „
10 „ 8 „ 75 „	4 „ ... 4. „ 75 „
9 „ 8 „ –	3 „ ... 3. „ 50 „
8 „ 7 „ 25 „	2 „ ... 2. „ 75 „
7 „ 6 „ 50 „	1 „ ... 1. „ 50 „

ცალკე ნომერი ი ვ ე რ ი ი ს ა ეღირება – ერთი შაური.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი, მიჰმართონ:

1) ტფილისში:
   ა) თვითონ რედაქციას: ახალ ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა №9.
   ბ) ცენტრალურს წიგნის მაღაზიას (Центральная книжная торговля): გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა.
   გ) გრიქუროვის წიგნის მაღაზიას: კუკიის ხიდის ყურზედ, ზუბალოვის სახლები
2) ქუთაისში:
   ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას
3) ბათომში:
   ბ-ს ნათაძეს, ქართულის სკოლის გამგებელს.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

ТИФЛИСЪ
ВЪ РЕДАКЦИЮ ГАЗЕТЫ «ИВЕРИЯ»

პროგრამმა გაზეთისა არის შემდეგი:

1) მეთაური წერილები
2) შინაური ამბები: საყურადღებო მოვლენანი სამმართველო და საზოგადოებრივნი
3) რუსეთის ამბები: საყურადღებო მოვლენანი სახელმწიფო და საზოგადოებრივნი
4) უცხოეთის ამბები: საყურადღებო მოვლენანი

საპოლიტიკო, სახელმწიფო და საზოგადოებრივნი

5) მოწერილი ამბები (კორესპონდენციები): შესახებ ჩვენის ქვეყნისა და უცხოეთისა.
6) სამეცნიერო ამბები: წერილები შესახებ ყოველ-გვარის მეცნიერებისა.
7) სიტყვა-კაზმული ლიტერატურა: მოთხრობები, პოემები და წვრილი ლექსები
8) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
9) ფელეტონი
10) სასამართლოს მატიანე
11) გასართობი ამბები
12) კერძო განცხადებანი

პროგრამის მიხედვით ჩამოყალიბებულია გაზეთის განყოფილებანიც, რომელთაც აქვთ შემდეგი სახელწოდებები:

1) მეთაური წერილები
2) დეპეშა
3) ახალი ამბები
4) ნაკვესი (მოსწრებული სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი).
5) მთავრობის განკარგულებანი
6) მოწერილი ამბები: ა) დაბა და სოფელი ბ)სხვა ქვეყნები
7) ნარკვევი (ჟურნალ გაზეთებიდამ).
8) სახელ-და-ხელო: (ყბად ასაღები _წყალ წასაღები ამბები).
9) რუსეთი
10) უცხოეთი
11) გასართობი ამბები: აფორიზმები ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილ კაცთა მიერ თქმულნი სხვა-და-სხვა წვრილი ამბები.
12) ბიბლიოგრაფიული ცნობანი:
13) სასამართლოს მატიანე: საყურადღებო საქმენი სასამართლოისანი
14) საკალენდრო ცნობანი:
15) მაზანდა
16) შექცევა და გართობა
17) ფელეტონი: მოთხრობები, პოემები, წვრილი ლექსები, კრიტიკა, სამეცნიერო და სხვა წერილები.
18) კერძო განცხადებანი

რედაქტორი ილია ჭავჭავაძე

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა საპერნის ქუჩაზე, თავის საკუთარ სახლებში № 4

* * *

ამ განცხადების ფურცლის დაბეჭდვის გამო საქმე აღიძრა არა ილია ჭავჭავაძის, არამედ ხელაძის წინააღმდეგ. ტიფლისის სამხარეო სასამართლოს პროკურორმა სრორედ მას წარუყენა ბრალდებები.

გაზეთის გამოსვლას მარტო კავკასიის საცენზურო კომიტეტი არ შეხვედრია ნეგატიურად. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სადაც ინახება ალექსანდრე ყაზბეგის პირადი არქივი, მოიპოვება ჩანახატი, რომელშიც მწერალი გაზეთ „ივერიის“ გამოსვლის შებრუნებულ ვერსიას გვთავაზობს. პალინდრომის ფორმით მას „აირევის“ უწოდებს და ჩანახატს განცხადების ფურცლის ფორმას აძლევს:

„აირევი“

№ 3 1/2

საუკუღმართო ყოველდღიური გაზეთი

ფასი ერთი სისულელე

მარჯვნიც მინაწერი – **ადრესი საჭირო არ არის, გაზეთი თავის თავს იპოვის.**

მარცხნივ მინაწერი – **განცხადება. გამოდის ყოველდღე, ხელის მომწერლებად ჩაითვლებიან ყველანი, ვინც თავს რითიმე გამოიჩენს.**

მივაქციოთ ყურადღება, რომ აბსურდულია ნუმერაციაც – 3 მთელი და ერთი მეორედი. სახეზეა გაზეთის გაშარჟების მცდელობა ისეთი დიდი მოღვაწის მხრიდან, როგორიც ალექსანდრე ყაზბეგია, რომელსაც დიდად აფასებდა თავად „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. ამ შემთხვევაში საქმე ყაზბეგის პირად წყენასთან უნდა გვქონდეს და არა გაზეთის გამოსვლასთან დაკავშირებულ რაიმე მოვლენასთან.

1882 წელს, „მამის მკვლელის“ გამოქვეყნების შემდეგ, ილია ჭავჭავაძეს დეტალურად შეუსწავლია მოთხრობის ტექსტი და 37 შენიშვნა გამოუყვია. ამათგან – მხოლოდ თორმეტი იყო დადებითი. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი ყაზბეგის საპოლემიკო განწყობისა ილია ჭავჭავაძესთან მიმართებით. ისიც აღსანიშნავია, რომ თავისი ჩანაწერი ყაზბეგს არსად გამოუქვეყნებია. არ იკადრა, სახალხოდ დაეცინა იმ ორგანოსათვის, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქართული მწერლობისა და პუბლიცისტიკის განვითარების საქმეში.

საყოველთაოდ ცნობილია და „ივერიის“ რედაქტორის განაცხადიდანაც ჩანს, რომ გაზეთი თემატურად მრავალფეროვანი იყო, გამოხატავდა ქართველი ხალხის ეროვნულ, სოციალ-ეკონომიკურსა და კულტურულ ვითარებას, ასახავდა როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ცხოვრებას, მეცნიერების მიღწევებს სხვადასხვა დარგში, განათლების საკითხებს (მასწავლებელთა დონეს, მათ მოსწავლეებთან დამოკიდებულებას, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში), მსუბუქ და გასართობ ამბებს და ა.შ., სატირასაც კი იმარჯვებდა სხვადასხვა თემაზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ცენზურა ხშირად ბლოკავდა დასაბეჭდად გამზადე-

ბულ მასალას. ამის არაერთი შემთხვევაა აღწერილი XIX საუკუნის მემუარულ ლიტერატურაში.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმეებიდან განსაკუთრებით საინტერესოა აკრძალული მასალა, რომლის განხილვა ადგენს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც იყენებდა ცენზურა სტატიის შესაფასებლად. ამ მასალის მიხედვით ვადგენთ იმ თემატიკას, რომელზეც იკრძალებოდა წერა. გაზეთში არ უნდა ასახულიყო ეროვნული გრძნობები, სუიციდის შემთხვევები, გიმნაზიებისა და სასწავლებლებში მიმდინარე პროცესები, იმპერიის ჯარის საბრძოლო მოქმედებები, იმპერიის შიდა არეულობები, პოლიციის უკანონო ქმედებები, თანამდებობის პირთა დანიშვნები, უცხო ქვეყნების ამბები მუშათა მოძრაობის შესახებ და ა.შ. იმპერია ცდილობდა სრულ იზოლაციაში ჰყოლოდა მკითხველი, რომ მას თავის მხრივ არ გასჩენოდა პროტესტის გრძნობა.

სამაგალითოდ მოვიყვანთ 1901 წლის გაზეთ „ივერიის“ აკრძალულ წერილებს (სსცა, 480-1-1696):

1) პირველი წერილი შეეხება „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას“, რომელიც 1901 წლის 24 აპრილს გამართულა საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილის აღნიშვნასთან დაკავშირებით. სტატიიდან ვიგებთ, რომ კრების თავმჯდომარემ, თავადმა დ. ო. ნიჟარაძემ, კრებას წინადადება მისცა, ეს თარიღი იმერეთს ქართლ-კახეთთან ერთად აღენიშნა, მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის შეერთება რუსეთის მიერ უფრო შემდგომ მოხდა. მას მხარი დაუჭირეს კრების წევრებმა. თარხან დადეშქელიანს აღუნიშნავს: *„კომისიაში ისეთები უნდა ავირჩიოთ, რომელნიც არ დაერიდებიან არც შრომას და არც ხარჯს. თუ ასე არ მოხდა, თბილისელებს ვერ დავეწევით, რადგან მათ თითქმის ყველაფერი მომზადებული აქვთო“.* აქვე დაუმატებია: *„პეტერბურგშიც მხოლოდ თბილისელები მიაჩნიათ ქართველებად, ჩვენ ქართველებად არც კი გვთვლიანო“.* ჯაბა გურიელს ამაზე განუცხადებია: *„თუ ქართველებად არავინ გვცნობს და აქამომდე არაფრად გვაგდებს, სადღესასწაულო კი არა, სატირალი გვქონიაო“.*

სტატია აიკრძალა. მიზეზი მრავალხრივი შეიძლება იყოს: 1) ეროვნული უკმაყოფილება *(„სადღესასწაულო კი არა, სატირალი გვქონიაო“);* 2) ქართველ ტომთა ერთიანობის სურვილი (იმპერია კი მათ საერთო სახელსაც კი – „საქართველოს“ და „ქართველს“ – კრძალავდა. ქართველად იწოდებოდა მხოლოდ ქართლელი, სიტყვა „საქართველო“ კი საერთოდ ამოღებული იყო ოფიციალური დოკუმენტებიდან და გეოგრაფიის სახელმძღვანელოდანაც კი; საქართველოს კუთხეებს გუბერნიებად მოიხსენიებდნენ და დოკუმენტებშიც ასე ასწორებდნენ – „საქართველოს“ შლიდნენ და მის მაგივრად „თბილისის გუბერნიასა და იმერეთს“ აწერდნენ (იხ. სსცა 480-1-684)).

2) ერთ-ერთ აკრძალულ სტატიას წარმოადგენდა პოლონური გაზეთებიდან გადმობეჭდილი ამბავი:

„ვარშავის ახალმა გენერალ-გუბერნატორმა ჩერტკოვმა სასწავლო უწყების წარმომადგენელთა – დირექტორის, პროფესორებისა და მასწავლებლების – მიღების დროს მიჰმართა ოლქის მზრუნველს ზენგერს და ჰკითხა: „იცით თუ არა, ბატონებო, პოლონური ენა?“

– არაო, მიუგო მზრუნველმა. მაშინ გენერალ-გუბერნატორმა სთქვა, „ძალიან მაკვირვებს ეს ამბავი. და განა გასაკვირველი არ არის, რომ იმ მოსამსახურეებმა, რომელთაც გავლენა უნდა იქონიონ ხალხზედ და მუდამ დაახლოვებულნი იმასთან, ამ ხალხის ენა არ იციან?“ ამ სიტყვებმა ძალიან შეაფიქრიანა თურმე ადგილობრივი მოხელენი (1901 წ. 20 მაისი)“.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია პოლონეთს შეეხებოდა (რომელიც საქართველოს მსგავსად იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო), ცენზურას არ გამოეპარა სტატიის თარგმნის მიზანი – „ინოროდცების“ (როგორც ეძახდნენ იმპერიაში შემავალ არარუს ხალხებს) სურვილი, რომ მათ ქვეყანაში ჩასულ და დამკვიდრებულ ჩინოვნიკებს ადგილობრივთა ენა სცოდნოდათ.

3) ერთ-ერთ აკრძალულ წერილში იყო ინფორმაცია გლეხის თვითმკვლელობის შესახებ, რომელსაც თურმე ვენირიული დაავადება ჰქონია. ამ შემთხვევაში აკრძალული იყო როგორც სიუციდის თემა, ასევე ინფორმაცია ვენერიულ დაავადებათა შესახებ, რაც, იმპერიული თვალსაზრისით, მოსახლეობას ნეგატიურად განაწყობდა ხელისუფლების მიმართ, რადგან ეს უკანასკნელი მათ ვერ ეხმარებოდა.

4) თელავის წმინდა ნინოს პროგიმნაზიის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი იყო სასწავლებლის სამმართველოს ორი დადგენილება. პირველი დადგენილებით – ვინც ფულს ვერ იხდიდა, სასწავლებლიდან იქნებოდა დათხოვილი. მეორე იუწყებოდა სწავლების გადასახადის გაზრდას, რაც არ ითვალისწინებდა მასწავლებლებისთვის ხელფასის მომატებას. სტატია დაწერილი იყო ფსევდონიმით „ისკანდერი“.

ცენზურა კრძალავდა სასწავლებელთა „შინაური ამბების“ გაშუქებას, რადგან ინფორმაციის გაჟღერება უარყოფითად მოქმედებდა მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამ კონკრეტულ სტატიაში კი წარმოჩნდებოდა როგორც მორალური, ასევე სოციალური ფაქტორიც – გიმნაზიის ხელმძღვანელობის არაჰუმანური დამოკიდებულება მოსწავლეთა ბედის მიმართ (გადაუხდელობის შემთხვევაში სკლიდან გაგდება) და მასწავლებელთა დაბალი ანაზღაურება.

5) კიდევ ერთ სტატიაში, რომელსაც „დაუჯერებელი ამბავი“ ჰქვია, მოთხრობილია სასულიერო სემინარიის რექტორზე, რომელიც სემინარიის დამთავრების ცნობას არ გასცემდა მანამ, სანამ კურსდამთავრებულები არ გადაიხდიდნენ იმ თანხას, რომლისგანაც სწავლების პერიოდში განთავისუფლებულნი იყვნენ კარგი სწავლის გამო. ეს იყო სემინარიელების მოტყუება და რექტორის მხრიდან უღირსი და ამორალური საქციელი.

6) აკრძალულთა რიგებში შემოდის სტატიები, რომლებშიც ოსმალეთის ამბებია აღწერილი (ხელს აწერს „არავინ“);

7) „წერილი ართვინითგან“ იუწყება, თუ როგორი ქადაგება მიმდინარეობს ქართველ მაჰმადიანებში, რომ ისინი ტოვებენ სოფლებს და ოსმალეთში გარბიან. არის პირიქითი შემთხვევებიც და, მიუხედავად მათი არსებობისა და მდგომარეობის ობიექტური შეფასებისა, ცენზურისათვის მიუღებელია ხალხის ნებისმიერი სახის უკმაყოფილების გამოხატვა რეჟიმის მიმართ.

8) მით უმეტეს, მიუღებელია და ასაკრძალი ისეთი სტატია, რომელშიც საუბარია, თუ როგორ მოკლა პოლიციამ კაცი ცემაში (ანტონაშვილის წერილი).

9) მთავრობის პირთა დანიშვნა-გადააგგილების შესახებ წერას ცენზურა ოფიციალურად კრძალავდა. ამიტომაც არც გენერალ-გუბერნატორ ბარიატინსკის მაგივრად ტიხონოვის დანიშვნის ცნობის დაბეჭდვას დაუშვებდა „ივერიაში“.

10) გარდა იმპერიის ჩარჩოებში არსებული შეზღუდვებისა, რა თქმა უნდა, იკრძალებოდა ყოველგვარი ინფორმაცია საზღვარგარეთ მუშათა მოძრაობაზე, ამიტომაც ცენზურამ არ დაუშვა „ივერიაში“ სტატიები ესპანეთსა და საფრანგეთში მომხდარ გაფიცვებზე.

11) 1901 წლის „ივერიის“ კიდეც ერთ აკრძალულ სტატიას წარმოადგენს საკმაოდ დიდი მოცულობის „ქუთათური ფელეტონი“ – „შინ რომ ბავშვებს გიშიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო“ (სსცა 480-1-1696). სტატია საინტერესოა იმით, რომ უაღრესად დიდი ოსტატობითაა დაწერილი, რაც გულისხმობს, რომ ავტორმა, რომელიც „Amicus”-ის ფსევდონიმს ამოფარებია, თან გაგვაცნო ამბავი და თან შენიღბულად, მოზომილად გამოთქვა თავისი აზრი, შიგ სხვა ამბებიც ჩაურთო. მასში აღწერილია „სტუდენტების პროცესი“, რომელიც მათ “ახირებას” გამოუწვევია. იმ დროის პრესის მიმოხილვიდან ჩანს, რომ პროცესი შეეხებოდა სტუდენტების ჯგუფის, მათ შორის – მოთავის, ნიკო ლორთქიფანიძის – დაპატიმრებას, რომლის მიზეზი ყოფილა ქუთაისში ომარსკის დასის მიერ წარმოდგენილი პიესა – „კონტრაბანდისტები“ ანუ „შვილნი ისრაელისა“. ქართველი სტუდენტობა ნიკო ლორთქიფანიძის მეთაურობით გამოვიდა იმ ანტისემიტიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ, რომელსაც რუსეთის იმპერია აჩაღებდა ადგილობრივი ხალხებისა და ებრაელების დასაპირისპირებლად. ქართველ მაყურებელს არ მიუცია დასისთვის თამაშის უფლება და ყვირილით დაუტოვებია დარბაზი. ისეთი ცემა-ტყეპა გამართულა პოლიციასა და ხალხს შორის, რომ 100-მდე კაცი დაჭრილა, 130 კაცი კი დაუჭერიათ (იხ. თ. შარაბიძისა და თ. ციციშვილის სტატია „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ მასალებში ასახული ებრაელთა დისკრიმინაციის პროცესი და ქართული საზოგადოების მიერ „ებრაელთა გამოსარჩლების“ ფაქტი“, ჟურნ. „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“, № 5)

მიუხედავად იმისა, რომ „ივერიის“ სტატიის ავტორი არ ამართლებდა სტუდენტობას, მისი მეგობრული რჩევა სხვის საქმეში ჩაურევლობა იყო, ვფიქრობთ,

წერილის ავტორი მაინც გარკვეულ პოლიტიკას იყენებდა და სტუდენტების დანაშაულის მიმბაძველობად წარმოჩენით მათი სასჯელის შემსუბუქებას ისახავდა მიზნად. სტატია აიკრძალა. ავტორის სიფრთხილემ ვერ გადაარჩინა ცენზორის მახვილ თვალს.

გაზეთ „ივერიის“ აკრძალული მასალა დღეს საშუალებას გვაძლევს, თვალყური ვადევნოთ არა მხოლოდ იმპერიული ცენზურის მიმართებას პრესისადმი, არამედ გაზეთის პოლიტიკასაც – სხვადასხვა გზით, ხან შენიღბულად, ხანაც მთავრობის გამართლებით მაინც მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია იზოლაციაში მყოფ მკითხველს და თუ საკუთარ ინტერპრეტაციას ვერ შესთავაზებს, განსასჯელად მას მიანდოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდი № 480, აღწერა 1.

სხეც – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალ. ყაზბეგის პირადი არქივი.

შარაბიძე, თ., ციციშვილი, თ., (2025): „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ მასალებში ასახული ებრაელთა დისკრიმინაციის პროცესი და ქართული საზოგადოების მიერ „ებრაელთა გამოსარჩლების“ ფაქტი“, ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“, №5.

გოჩა კუჭუხიძე
Gocha Kuchukhidze

კავკასიის საცენზურო კომიტეტის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ
(XIX ს-ის 70-იანი წლები) [1]

Certain Trends of Caucasian Censorship Committee
(70s of 19th century)

Annotation

First part of the work briefly provides history of Caucasus Censorship Committee, further, there are discussed directly the materials (documentation is preserved in Georgian State Archive; collection № 480).

Based on the archive materials, it is clear that in 60s of 19th century, the Caucasus Censorship Committee did not work very actively, its task was only clarification of the contents of literature brought from abroad. Activation can be seen from the 70s. Materials show that the customs offices detained the literature (newspapers, scientific and fiction books, as well as personal letters) and forwarded their lists to the Censorship committee for inspection.

From 70s, quantity of the literature regarded by the customs offices as doubtful increased significantly, there were cases, where the customs offices were unable to draw up the lists and they sent to the Committee the notices, specifying number of boxes of the literature and the weights of publications. Initially, the Censorship Committee was a small organization, with growth of the work scopes, the number of subdivisions and staff was increased as well. This organization, initially subordinated to Caucasian education district and further to the ministry of education, later was transferred to the ministry of internal affairs and further to the commander in chief of Caucasus.

At the Archive, there are preserved the documents, from which it is clear that everything was published with the Committee's permit. The reports were prepared about what was published by the end of certain year.

According to the documents preserved in the archive, the editors frequently complained against the Committee, as they regarded that one or another censor has unreasonable restricted publication of the materials; there were cases, where the Censorship Committee received the letters from the high state authorities, expressing dissatisfaction as certain publisher has issued some materials unacceptable for the state; there were many

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა", № 3, თსუ გამომცემლობა, 2023 წ.

cases where one or another publisher issued the articles that was not sent to the Censorship Committee for inspection.

In the period of reign of Alexander II, in Russia, there was relatively favorable attitude to the printed media. Study of the materials related to Georgia showed that Georgian patriotic forces took advantage of this and attempted to publish as much materials as possible, contributing to revival of Georgian literature, the history of Georgia. In that period, there were issued nationally-oriented magazines, newspapers, collections and, naturally, this could not be done without permission of Dimitri Bakradze. As said above, his direct duty was inspection of such materials. And once, Bakradze, nominated by Dimitri Purtseladze, then chairperson of the Censorship Committee and governor of Caucasus, was awarded by the emperor with 300 rubles. Certainly, it is doubtful that the Governor and especially the emperor could know anything about Bakradze (he was at quite low position, he was junior censor and late he was slightly promoted) and, supposedly, Purtseladze (one the civil servant but also the historian, specialist of the history of Georgia) assisted Bakradze to obtain such award, so that the latter was not regarded with distrust. In our opinion, in certain period, at Caucasus Censorship Committee, there was a group secretly engaged in national movement. Supposedly, Dimitri Purtseladze secretly assisted Dimirti Bakradze to find employment at the Committee, to contribute to the national liberation struggle…

Certainly, this group faced significant risk, as he is not able to help everyone, or, maybe, in some cases they do not desire such help… For example, the Committee put obstacles to young Niko Nikoladze, further outstanding public figure, publicist, Nikoladze. There was a doubt that Nikoladze participated in revolutionary movement, he was under gendarmery's surveillance (the Committee received a letter from the gendarmery, requesting to pay particular attention to this person). Hence, there were many cases, where nikoladze's one or another publication was rejected.

From 80s, Caucasus Censorship Committee became much stricter. They applied much stricter approach to Georgian literature as well. This resulted from change of general policies in Russian Empire, impacting the Committee's work as well.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, საარქივო დოკუმენტები
Keywords: Caucasian Censorship Committee, archival documents

კავკასიაში საცენზურო კომისიის მუშაობის შესწავლისას ამჯერად რუსეთის იმპერიაზე დაქვემდებარებულ ეროვნებათა მიმართ გატარებულ ეროვნულ და სოციალურ პოლიტიკაზე გავამახვილებთ ძირითად ყურადღებას. რუსეთის სახელმწიფოში ბევრი ერი და ეროვნება შედიოდა და ყოველ მათგანთან თავისებური მიდგომა ჰქონდა სახელმწიფოს.

პოლონეთში 1863 წლის აჯანყების გამო მკაცრ პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთი: პოლონეთის სამეფო გაუქმდა, რუსეთს უშუალოდ შეუერთდა და ვისლისპირეთის მხარე, შემდეგ კი (1875 წ.) პოლონეთის გუბერნია ეწოდა, პოლონური ენა აიკრძალა და მაღალ თანამდებობებზე რუსი ეროვნების მოხელეები ინიშნებოდნენ...

უკრაინის მიმართ დამოკიდებულება ჯერ შედარებით ლოიალური იყო, მაგრამ, რადგან შემდგომ და შემდგომ უკრაინაში ეროვნული მოძრაობა გაძლიერდა, 1863 წელს ჯერ ე. წ. „ვალუევის ცირკულარით“ (რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი პ. ვალუევი) და შემდეგ კი გერმანიის ქალაქ ბად ემსში 1876 წლის 30 მაისს მიღებული განკარგულების ძალით (იგი ისტორიაში „ემსკი უკაზის“ სახელით არის შესული) სახელმწიფოს მხრიდან სიმკაცრე დაიწყო, რაც ბეჭდვით სიტყვაზეც აისახა; „მალარასიულ დიალექტზე“ განათლების მიღება აიკრძალა, რადგან, როგორც მიჩნეული იყო, უკრაინელი ხალხი ჰეტმანის მეთაურობით რუსეთისაგან გამოყოფას ცდილობდა. „ვალუევის ცირკულარით“ უკრაინულად დაწერილი მხოლოდ სიტყვაკაზმული ლიტერატურა („изящная литература“) იქნა დაშვებული. ამ განკარგულების თანახმად, თუ სპეციალური ნებართვა არ იქნებოდა გაცემული, უცხო ენიდან უკრაინულზე თარგმნა იკრძალებოდა, არ შეიძლებოდა საზღვარგარეთიდან უკრაინულად დაწერილი წიგნების შემოტანა, დაუშვებელი იყო უკრაინული კონცერტების ჩატარება, აკრძალეს უკრაინულ ენაზე დაწყებითი სწავლება; მხატვრული ლიტერატურის გამოცემა მხოლოდ 1881 წელს დაუშვეს, რაშიც პარიზში 1878 წელს გამართული ლიტერატურის საერთაშორისო კონგრესზე (მისი ოფიციალური თავმჯომარე ვიქტორ ჰიუგო იყო) ბად ემსში მიღებული განკარგულების გაკრიტიკებამაც შეიტანა წვლილი. როგორც მიჩნეულია, სწორედ ხსენებულმა განკარგულებებმა შეუწყო ხელი იმას, რომ უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა და მისმა ცენტრმა დასავლეთ უკრაინაში გადაინაცვლა (ვერნადსკი 2006: 347-369).

ალექსანდრე II (იმპერატორობის წწ. – 1855-1881) შედარებითი ლიბერალიზმითაა ცნობილი, თუმც ეს არის პიროვნება, რომლის დროსაც ეროვნულ ენებზე სწავლება ლიტვასა და ბელორუსიაშიც დაუშვებლად იქნა მიჩნეული. ამგვარი პოლიტიკა, ცხადია, ზემოხსენებულ 1863 წლის აჯანყებას მოჰყვა, რომელმაც პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა, ბელორუსია მოიცვა...

ებრაელთა მიმართ დამოკიდებულება ამ დროს შედარებით ლოიალური გახდა. ალექსანდრე II-ის დროს რუსებთან ებრაელი ხალხის დაახლოებას ცდილობდნენ, ებრაელთა გაუცხოებას ხელს უშლიდნენ. 1859 და 1880 წწ-ის განკარგულებე-

ბით ებრაელებს ნება მიეცათ, რუსეთის ნებისმიერ ადგილას დასახლებულიყვნენ... თუმც ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ სრული ოფიციალური თავისუფლება მოიპოვეს მათ, – 1873 წელს ებრაული სკოლები, რომლებიც 1844 წელს გაიხსნა, დაიხურა, მაღალ თანამდებობებზე ებრაული ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნა არ ხდებოდა...

შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისი იყო ფინეთთან დამოკიდებულება, – იქ ნიკოლოზ I-ის დროიდან მოყოლებული მის ავტონომიას უჭერდნენ მხარს; ფინეთს ჰყავდა საკუთარი ჯარი, ჰქონდა ეროვნული ვალუტა, განათლებას ამ ქვეყანაში ფინურ ენაზე იღებდნენ...

ლიბერალიზმის სრულად უარმყოფელად ვერ წარმოჩნდებოდა რუსეთი და 1865 წლის 18 აპრილს ალექსანდრე II-მ, როგორც აღნიშნავენ ხოლმე, გაითვალისწინა „სახელმწიფო საბჭოს“ აზრი და გარკვეულწილი თავისუფლება მიანიჭა ბეჭდვით საქმეს, რაც საცენზურო საქმის რეფორმის დასაწყისი გახდა. 1863 წლის 26 იანვარს ლიტერატურისა და ჟურნალისტიკისათვის თვალ-ყურის დევნება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა და კანონმდებლობაში ახალი დაცვითი მექანიზების შემუშავება მიიჩნიეს საჭიროდ. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის თავმჯდომარის, დ. ობოლენსკის, აღნიშვნით, ბეჭდვით საქმეშიც უნდა ასახულიყო ისეთივე ლიბერალური რეფორმები, როგორც ეს სხვა სფეროებში მოხდა. 1863 წელს ობოლენსკის უკვე შემუშავებული ჰქონდა პროექტი ბეჭდვითი საქმის შესახებ, ცენზურირების მთავარი ინსტანცია „ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველო“ („Главное управление по делам печати“) გახდა და 1865 წლის 13 სექტემბერს მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმად, ცენზურისაგან უნდა გათავისუფლებულიყო სახელმწიფო და აკადემიური სამეცნიერო გამოცემები, კლასიკური ლიტერატურის ტექსტები, მათი თარგმანები... (ამ საკითხებზე იხ. მაკუშინი 2010: 94-104; პეტრუშევა 1990: 27-34; როზენბერგი, იაკუშინი 1905; ჩერნუხა 1988...)

როგორც ითქვა, იმპერიაში ყველა ხალხის მიმართ შესაბამისი პოლიტიკა ტარდებოდა და ჩვენ ყურადღებას ამჯერად უფრო იქით წარვმართავთ, რომ დოკუმენტებზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ, თუ როგორი ვითარება იყო ამ მხრივ კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში, როგორ სრულდებოდა კანონები...

ცნობილია, რომ კავკასიაში ადგილობრივი მთის ხალხებს ტრადიციათა შენარჩუნებაში არ უშლიდნენ ხელს, მაგრამ დაპყრობის შემდეგ აქ ჯარს აყენებდნენ; ხდებოდა ხალხთა გასახლებები...

საქართველოში (ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები) მიხეილ ვორონცოვისეული „დათბობის პოლიტიკა“ იმპერიის სწორედ ამ მრავალეროვნული პოლიტიკის კავკასიური ნაწილია. იმპერია ქართულ კულტურას, მით უმეტეს, ვერ აკრძალავდა და აქ გამოუშვა პიროვნება, რომელიც ხალხში სიმპათიას დაიმსახურებდა და არც იმას დაუშვებდა, რომ ეროვნული კულტურის აღორძინებას საშიში ფორ-

მები მიეღო. ატარებდნენ ისეთ პოლიტიკას, რომ აქ პოლონეთის მსგავსი მოვლენები არ განმეორებულიყო.

დაახლოებით იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ სომხეთისა (ერევნის გუბერნია) და აზერბაიჯანის (ელისავეტპოლის /განჯა/ და ბაქოს გუბერნიები) მიმართ.

1844 წელს კავკასიის მთავარმართებლად მიხეილ ვორონცოვის დანიშვნას და აქ კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული შედარებით ლოიალური პოლიტიკისა და კავკასიის რეგიონებში ეროვნული კულტურის აღორძინების დაწყებას ის შედეგი მართლაც მოჰყვა, რომ შემდგომ და შემდგომ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მეტი სიფხიზლე გახდა საჭირო, რათა ზღვარი არ დარღვეულიყო და იმპერიას გარკვეული სახის საფრთხეები არ შექმნოდა. კავკასიაში რუსეთის პოლიტიკა კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსებამდე გაცილებით ადრე ჩანს დაწყებული და ამ კომიტეტის დაარსება და მანამდე კი მთავარმართებლად ვორონცოვის გამოგზავნის ფაქტები ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის გასაგები იყო, რომ მხოლოდ იარაღის ძალით ვერ დაიხლოვებდა იმპერიაში შემავალ, კულტურათა მხრივ, სრულიად განსხვავებულ ხალხებს, რომ, ვთქვათ, ვერ გაასლავურებდა კავკასიელთა იდენტობას; რომც ჰქონოდა ამის სურვილი, წმიდად სლავურ კულტურას ვერ შეიტანდა მათში და ეს თანამედროვეობისაგან კულტურულადაც ძალიან დააცილებდა სახელმწიფოს... კავკასიასთან, კერძოდ, საქართველოსთან დაკავშირებით, ისეთი ეროვნული კულტურის გარკვეულწილი აღორძინება დაუშვეს, რომელიც ხალხის საკუთარი სახის შენარჩუნებასაც შეუწყობდა ხელს და ევროპულთან დაახლოებულ რუსულ კულტურასთანაც მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული; ამგვარი პოლიტიკა ლიბერალურ სახესაც გაუძლიერებდა რუსეთს და, ცხადია, ერთიანი სახელმწიფოს არსებობის საშიშროებას არ შექმნიდა.

ქართველი ეროვნული მოღვაწეები სათავისოდ იყენებენ რუსეთის ამ პერიოდის პოლიტიკას და ეროვნულ საქმეებს აკეთებენ. ოფიციალური განათლება რუსულენოვანია, მაგრამ, რადგან აკრძალული არ არის, უფრო და უფრო მეტი გამოდის ქართული გამოცემები, იქმნება ქართული თეატრალური დასი (1851; 1879 წელს – „ქართული დრამატული საზოგადოება“), არსდება „საადგილ-მამულო ბანკი“, რომელიც ეროვნულ საქმეებს აკეთებს, შემდეგ (1879 წ.) – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რაც, ფაქტობრივად, ერთგვარი „განათლების სამინისტროა“... ქართული ენის, საქართველოს ისტორიის სწავლება შეზღუდულია, მაგრამ მთლიანად არ წყდება (ტფილისის კლასიკური გიმნაზია, გორის საოსტატო სემინარია, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია... 1879 წელს იხსნება ქართული „სათავადაზნაურო სკოლა“ და სხვადასხვა...

კავკასიის საცენზურო კომიტეტი (იგი 1848 წელს დაარსდა) დასაწყისში არცთუ დიდ აქტიურობას იჩენდა, აქტიურობა მოგვიანებით დაიწყო და, ჩანს, გამოცემათა გაფართოებამ, მათში პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული პრობლემე-

ბის გაშუქებამ შეასრულა ერთ-ერთი უმთავრესი როლი (ამასთან, როგორც საფიქრებელია, დასაწყისში კომიტეტის სამოქმედო სპეციფიკაც ჯერ არ იყო სრულყოფილად დახვეწილი). კავკასიის სასწავლო ოლქისა და შემდგომ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს (1863 წ.), შემდეგ კი (1867 წ.) უშუალოდ კავკასიის მთავარმართებლის დაქვემდებარებაში გადასვლა თავისთავად ცხადყოფს, განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობა რომ შეიძინა კავკასიის საცენზურო კომიტეტმა.

70-ანი წლების შუა ხანებიდან უფრო და უფრო ფართოვდება კომიტეტის სამოქმედო ასპარეზი, – თუ ადრე სამი ცენზორი და თავმჯდომარე უძღვებოდნენ საქმეებს, შემდგომ შტატები გაიზარდა და, ნაცვლად მხოლოდ სამხრეთ კავკასიისა, სტავროპოლის, თერგის, ყუბანის გუბერნიების საგამომცემლო საქმიანობისადმი კონტროლიც დაევალა ამ კომიტეტს...

კომიტეტის საარქივო მასალების გაცნობიდან ცხადი ხდება, რომ დასაწყისში ძირითადად ამა თუ იმ გამომცემლისთვის გამოცემის ნების დართვითა და საზღვარგარეთიდან შემოტანილი მასალების კონტროლით არის იგი დაკავებული. მასალათა გაცნობა იმასაც გვიჩვენებს, საკმაოდ მძიმე სამუშაოს რომ ავალებენ საცენზურო კომიტეტს. ძალიან აქტიურობენ საბაჟოები, კომიტეტს უგზავნიან საზღვარგარეთიდან შემოსული, საბაჟოს მიერ პოლიტიკურად საეჭვო სახისად მიჩნეული და იქ გაჩერებული ლიტერატურის სიას და ითხოვენ ამ ლიტერატურის შემოწმებას, რომელიც მრავალრიცხოვანია და რომლის რაოდენობა შემდგომ და შემდგომ უფრო იზრდება. როგორც იგრძნობა, არაერთ საბაჟოში მიაჩნიათ, რომ ამით სახელმწიფოს წინაშე თავს გამოიჩენენ და ზედმეტად აქტიურობენ; ამასთან, ჩანს, არაკომპეტენტურობის გამო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაც აშინებთ. შესამოწმებლად გაგზავნილ სიებში ხშირად ვხვდებით ისეთ წიგნებს, რომლებიც, როგორც მათი დასახელებებიდან ჩანს, იმპერიისათვის არავითარ პოლიტიკურ საფრთხეს არ შეიცავს (480-1-40/ 1869 წ., 480- 1-215/ 1875 წ....); მაგ., სიებში ვხვდებით ისეთ წიგნებს, როგორებიცაა: ფრანგული ენის სახელმძღვანელო, გეოგრაფიული ატლასები, სურათები და ნახატები (70-იანი წწ-ის დასაწყისიდანვე დიდი რაოდენობით გვხვდება ფრანგული, გერმანული, საზღვარგარეთის რუსული ლიტერატურა და შემდგომ, მით უმეტეს, უამრავი შემოდის ევროპული წიგნები, ბროშურები და ა. შ.)... არის შემთხვევები, როცა საბაჟოზე მუსიკალური ნოტების ფურცლებია შეჩერებული (480-1-145/1873; 216/1875 წ.)... კომიტეტი ერთი განყოფილებიდან მეორეში აგზავნის უწყებებს იმის შესახებ, რომ ამა და ამ საბაჟოდან მიღებულია შესამოწმებელი ლიტერატურის სია. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საბაჟოდან გაგზავნილი, ისე კომიტეტის მიერ სხვადასხვა ინსტანციაში გადაგზავნილი, საბუთების უმეტესობა იმდენად გაკრული ხელითაა ნაწერი, რომ ხშირ შემთხვევაში მათი წაკითხვა ძალიან დიდ დროს მოითხოვს. ცენზორები ხელმოწერებს სვამენ ბოლოში, მაგრამ მათი გვარების ამოკითხვა უმეტესწილად შეუძლებელია.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ, ჩანს, საბაჟოებში განსაკუთრებით უჭირთ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შესული ლიტერატურის რაობის დადგენა; მაგ., როცა ფოთის საბაჟოში მიუღიათ დალუქული ყუთი (1869 წ.), რომელიც ირანის მოქალაქე მირზა მემედ ჰუსეინის სახელზე გაუგზავნიათ და რომელზეც, როგორც საბაჟოდან იტყობინებიან, „თათრულად“ („по татарский“) შესრულებული წარწერა ყოფილა გაკეთებული, საბაჟოში არაბული ტექსტი ვერ ამოუკითხავთ, ასოები პირდაპირ „გადაუხატავთ“ და ასეთი სახით გაუგზავნიათ კომიტეტში, მაგრამ იმდენად არასწორად არის „გადახატული“ეს ასოები, რომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ამოკითხვას შეძლებდა კომიტეტში მომუშავე სპეციალისტი. მსგავსი ვითარებაა 1873 წელს იმავე საბაჟოდან გაგზავნილ შეტყობინებაში იმის შესახებ, რომ საბაჟოში გაჩერებულია 125 დასახელების არაბული გამოცემა, რომელიც სულეიმან ნაზარს ეკუთვნის. ჩანს, ყუთზე არაბულად ეწერა ასოები, რომლებიც ენის არმცოდნეს გადაუწერია და გაუგზავნია საცენზუროდ. კომიტეტში უცდიათ ნაწერის გარკვევა, თავზე რამდენჯერმე დაუწერიათ სავარაუდო სწორი ასოები, მაგრამ მთლიანობაში, ეტყობა, მაინც ვერ ამოუკითხავთ წარწერა (ფონდი 480-1-41); არის შემთხვევა, როცა ერთერთი საბაჟოდან იტყობინებიან, რომ გააჩერეს აღმოსავლურ ენაზე დაწერილი 340 წიგნი; დაღესტნის ოლქის უფროსი იტყობინება, რომ Магомед Дабир-огли-მ თურქეთიდან მიიღო გარდაცვლილი მამის 19 არაბული წიგნი და კომიტეტს სთხოვს, გაარკვიონ, ხომ არ არის მათში რაიმე საეჭვო (480-1-143)...

საბაჟოებიდან გაგზავნილ წიგნებთან დაკავშირებით უნდა ითქვას: კომიტეტის არსებობის პირველ ხანებში თუ ძირითადად მრავალრიცხოვან სიებს უგზავნიან მას (მაგალითად, 1873 წელს 602 წიგნია დასახელებული, უმეტესად – ფრანგულენოვანები, მათ შორის – სასკოლო სახელმძღვანელოები და მსგავსი (480, 141...), სხვა შემთხვევაში წიგნებისა და ბროშურების 1100 სათაურია ჩამოწერილი (480, 1, 141...); როგორც ჩანს, რაც დრო გადის, სულ უფრო უჭირთ გამოცემების სათითაოდ აღნუსხვა. მართალია, სიების შედგენა გრძელდება (480-1-214; 215; 216...), მაგრამ მატულობს შემთხვევები, როცა მხოლოდ ყუთების რაოდენობასღა ასახელებენ (480-1-32; 143, 218...) და იმასაც ატყობინებენ კომიტეტს, თუ რამდენი ფუნტი ლიტერატურაა საბაჟოში შეჩერებული და მათ შემოწმებას ითხოვენ (480-1-145; 216...). შეიძლება ითქვას, რომ არაერთ შემთხვევაში საცენზურო კომიტეტში გარკვეულწილად ბიუროკრატიის საშუალებით იცავენ ამგვარი შრომისგან თავს, – სანამ შემოწმება მოხდება, იწერება საბუთები, რომ საბაჟოებიდან მიღებულია ესა თუ ის სია, რომ ამდენსა და ამდენს იწონის იქ გაჩერებული ყუთები და სხვადასხვა...

1869 წელს ცენზორების ორი კატეგორია ჰყავთ: ერთია აღმოსავლური ენების სპეციალისტი და მეორე – რუსულისა და ევროპული ენებისა (აღმოსავლურში, როგორც ჩანს, არაბულის, სპარსულის, თურქულ-აზერბაიჯანულის გარდა, კავკასიურ ენათა სპეციალისტებიც იგულისხმებიან); განსაზღვრულია მათი ხელფასების რაოდენობაც: „Цензору Восточных языков“ – 980 руб.; „Цензору Русского и Европейс-

ких языков“ – 980 руб.”; კომიტეტის თავმჯდომარის ხელფასი, ცხადია, გაცილებით მაღალია: „Председателю Комитета“ – 1960 руб”... კომიტეტის საარქივო ფონდებში დაცულია იმპერატორის, გუბერნატორის ბრძანებები, ოფიციალური სახის განკარგულებები; არის საბუთები მოსამართლედ ამა თუ იმ პიროვნების დანიშვნის შესახებ, შიდა ბრძანებები მივლინებაში კომიტეტის თანამშრომლის გაშვების, სამკურნალოდ მისი წასვლისა და მოვალეობის შემსრულებლად ამა თუ იმ პირის დანიშვნის თაობაზე (იმპერატორის, გუბერნატორისა და მსგავსი მაღალი რანგის საბუთები ბეჭდური სახით ინახება); საცენზურო კომიტეტში თავმოყრილია წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდომათა ოქმები (480-1-55; – 393-გვერდიანი საქაღალდე...), ოფიციალური სახის ცნობები იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ პიროვნებას პენსია დაენიშნა (480-1-52; 77; 163...), რომ მის მოვალეობას ახალი ცენზორი შეასრულებს (480-1-53), რომ ერთ-ერთი თანამშრომელი დააჯილდოვეს (480-1-233...) და რომელიღაც მათგანი კი შვებულებაში მიდის (480-1-50; 162...); გვხვდება ბრძანებები, რომლებითაც ოფიციალურ ინსტანციებს ევალებათ, რომ პეტერბურგში სახელმწიფო პრესას შეატყობინონ, თუ რა მნიშვნელოვანი ფაქტები ხდება კავკასიის ამა თუ იმ რეგიონში, რათა პრესამ ასახოს ეს მოვლენები; არქივში დაცულია ინსტრუქციები, რომლებიც ადგილობრივ პერიოდიკას ავალებს, ცენტრალური პრესიდან გადმობეჭდონ ოფიციალური ცნობები...

კავკასიის საცენზურო კომიტეტში ყოველთვის შედის განცხადებები, საიდანაც ვხედავთ, რომ ჟურნალის, წიგნის გამოცემას ითხოვენ გამომცემლები; დგება ვრცელი სიები იმ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნებისა, რომლებიც გამოვიდა ამა თუ იმ რეგიონში (ათასობით არის ხოლმე დასახელებული წიგნი, ბროშურა, გაზეთი; მაგ., – 480-1-204...), სიები გამოცემებისა, რომლებიც სხვადასხვა უწყებას გადაეგზავნა შესასწავლად (480-1-165...); არქივში გვხვდება უამრავი სია, რომელშიც ჩამოწერილია, თუ რა ლიტერატურას მიეცა გამოქვეყნების ნებართვა (480-1-22; 34; 40...); წლის ბოლოს ანგარიშებში წარმოდგენილია გამოცემები, რომლებიც საცენზურო კომიტეტის ნებართვით დაიბეჭდა... ფაქტიურად ყველაფერი, რაც ამ წლებში ოფიციალურად არის გამოსული, აღნუსხულია სიებში.

როგორც ირკვევა, კავკასიის საცენზურო კომიტეტს ისეთი თანამშრომლებიც ჰყავს, რომლებიც კომიტეტში არ მუშაობენ ცენზორებად, მაგრამ გარედან ასრულებენ ამ მოვალეობას. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ გიმნაზიის პედაგოგს სთხოვენ მასალის შემოწმებას, ან როცა გიმნაზიის დირექტორის რეკომენდაციაა საჭირო, რათა ამა თუ იმ პედაგოგმა ცენზორის მოვალეობა შეასრულოს (480-1-50); ხშირია შემთხვევა, როცა ირკვევა, რომ მასალა არ გაუგზავნია ჟურნალს ან გაზეთს საცენზუროდ, ისე დაუბეჭდავს იგი და ამის გამო სასამართლოში საქმის აღძვრას ითხოვს კომიტეტი, თუმც არ ჩანს, აღიძრა თუ არა ეს საქმე და იგივე პირები შემდეგ ჩვეულებრივად აგრძელებენ მუშაობას; საერთოდ, არცთუ ცოტაა შემთხვევა, როცა მიაჩნიათ, რომ სამართალში უნდა მიეცეს ესა თუ ის პირი...

რედაქტორები ზოგჯერ ითხოვენ განმარტებას, თუ რატომ არ გასცა ამა თუ იმ წერილზე კომიტეტმა გამოქვეყნების უფლება, სურთ მასალის დაბეჭდვა... პასუხები თითქოს დასაბუთებულია, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ხელნაწერი დასაბუთებაა ჩვენ წინაშე, რომლის წაკითხვა, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი იქნებოდა რედაქტორისთვის, რადგან ზედმეტად გაკრული ხელითაა ეს დასაბუთება დაწერილი (ამგვარი შემთხვევის ერთ-ერთ მაგალითს ქვემოთ ჟურნალ „Дпроц“-ზე საუბრისას ვნახავთ)...

კომიტეტს ხშირად რომელიმე სახელმწიფო უწყებიდანაც უჩივიან და პასუხს სთხოვენ, – მაგ., გაზეთ „კავკაზის“ 1877 წლის ივნისის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულა მცდარი ცნობა საქართველოში „კნიაზ მიხაილ ნიკოლაევიჩის“ ჩამობრძანების თაობაზე, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს გამგებელი კომიტეტის თავმჯდომარე „დმიტრი პეტროვიჩს“ (დიმიტრი ფურცელაძე იგულისხმება) პასუხს სთხოვს, თუ როგორ გაიპარა ცნობა საქართველოში (ნახსენებია Грузия) ამ პიროვნების ჩამოსვლის შესახებ, „დმიტრი პეტროვიჩი“ საპასუხო წერილში სრულიად თავდაჯერებულად და თამამად წერს, რომ გაზეთმა ეს ცნობა ტფილისის გუბერნატორისგან მიიღო და კანონის საფუძველზე გაზეთს ევალებოდა, ცენზურის გარეშე გამოექვეყნებინა იგი (480-1-155).

გამომცემლობა ზოგჯერ ძალზე გაღიზიანებული უჩივის ამა თუ იმ ცენზორს და კანონდარღვევაში ადანაშაულებს მას. მაგალითად, ზემოხსენებული „Тифлисский Вестник“-ის რედაქტორი – თავადი კონსტანტინ ბებუთოვი („Князь Бебутов“) წერილში კომიტეტის წინაშე უკმაყოფილებას გამოთქვამს ცენზორზე, რომელსაც კანონი დაურღვევია და ერთ-ერთი ნომრიდან, იმის ნაცვლად, რომ წინადადებები, რომელთა დაბეჭდვის მიზანშეწონილობა საეჭვოდ მოჩვენებია, „განსაკუთრებულ უწყებათათვის“ („особым ведомствам“) გადაეგზავნა, საერთოდ ამოუღია ისინი; ამასთან, ორ ადგილას სამი წერტილი წაუშლია (როგორც ჩანს, ეს სამი წერტილი იმაზე მიანიშნებდა, რომ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის თქმა უნდოდა, მაგრამ გახსნილად არ თქვა იგი სტატიის ავტორმა). რედაქტორი მოითხოვს, რომ სტატიის მთლიანად დაბეჭდვის ნებართვა გასცეს კომიტეტმა (480-1-168); შემდეგ გვხდება წერილი, რომელშიც უკვე თავად მეფისნაცვალთან ჩივის კონსტანტინ ბებუთოვი იმის გამო, რომ ცენზორმა მაქსიმოვიჩმა თავის განმარტებით წერილში „არაკეთილსინდისიერი“ („недобросовестный“) უწოდა ბებუთოვს და სამართალში მის გადაცემას მოითხოვს (480-1-168). არის შემთხვევა, როცა რედაქტორი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს ცენზორს, ვინც ამ გაზეთის რედაქციისათვის მიუღებელი სტატიის დაბეჭდვის უფლება მისცა სხვა გაზეთს (480-1-161).

ამა თუ იმ სახის საჩივარი კომიტეტის მიმართ სხვაც ბევრია. მაგ., იმავე „ტიფლისკი ვესტნიკის“ 1873 წლის № 125-ის მეთაურ წერილში 1873-1874 წლის კალენდრის რედაქტორი (რაბოროვსკი?) იმაში დაუდანაშაულებიათ, რომ საკუთარ თავზე ასეთი დიდი პასუხისმგებლობა აუღია (როგორც ჩანს, სასულიერო პირთა ნე-

ბართვის გარეშე დაბეჭდა კალენდრები); ხსენებული გაზეთის 1875 წლის № 65-ში დაბეჭდილა ცნობა თავად ჩოლოკაევის (ჩოლოყაშვილი) სასამართლო პროცესის შესახებ, რომელსაც სენატორი ოგოლინი უძღვებოდა, სტატიას ასეთი სათაური ჰქონია – *„რომელიც მთელი სხდომის განმავლობაში გაზეთ „მოსკოვის უწყებანს“ კითხულობდა“;* ცენზორს მთავარი სამმართველოს უფროსი საყვედურობს ასეთ სათაურს (480-1-196); სხვა შემთხვევაში მოსამართლე ეჯიბოვი შეურაცხყოფის გამო უჩივის „ტიფლისკი ვესტნიკს“ (480-1- 237)...

საერთოდ, ბევრია შემთხვევა, როცა ცენზორის ნებართვის გარეშე იბეჭდება სტატიები, ან ზოგიერთი ფრაზა, და შემდეგ ამის გამო პასუხს სთხოვენ საცენზურო კომიტეტს (საქართველოში „კნიაზ მიხაილ ნიკოლაევიჩის“ ჩამოსვლის შესახებ საუბრისას ერთი ასეთი მაგალითი უკვე ვნახეთ); მაგ., 1875 წელს „ტიფლისკი ვესტნიკის“ №89-ში დაბეჭდილა სტატია, რომელშიც ასეთი ფრაზა გაპარულა: *„ხელისუფალნი კი არ წყვეტენ საქმეს, არამედ ხალხი წყვეტს“ („не государи решают дело, а народ“).* კომიტეტში მისულია ტფილისის გუბერნატორის რამდენიმე წერილი, იქ გამართულა სხდომა, მოუსმენიათ ცენზორ მელიქ მეგრაბოვისთვის, საქმის ვითარება შეუსწავლიათ და გაურკვევიათ, რომ ეს ფრაზა ცენზორს არ დაუშვია, დამნაშავეებად ტიპოგრაფიის მფლობელები: ჩანცევი და კ-ო მიუჩნევიათ და გადაწყვეტილება მიუღიათ, საქმის კურსში ჩაეყენებინათ გუბერნატორი; ამ ყველაფრის შესახებ სხდომის ოქმი იტყობინება (480, 1, 198); ტფილისში თურქი კონსული კომიტეტში გაგზავნილი წერილით უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კომიტეტმა მისთვის მისაწოდებელი „La Turgiue“-ის 1875 წლის თებერვლის ნომერი შეაჩერა (480-1-217)...

კომიტეტის ხელში გადის ეროვნული სახის მქონე ყველა გამოცემა. მაგ., 1870 და სხვა წლების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ კომიტეტმა ნება გასცა და გამოიცა „ცისკრის“ („Заря“), „დროების“ („Время“) შემდგომი ნომრები. ანგარიშებში, როგორც სხვა დროს, ამ წელსაც არის დასახელებული სხვა გამოცემები და მრავალთა შორის – საფოს ლირიკული ოპერა, ქართული და რუსული ენების თვითშემსწავლელი, სომხურ ენაზე გამოსული ჟურნალი – „სომხური სამყარო“ („Армянский Мир“), სომხური გაზეთი – „Пчела Армении“ (გამოცემული ეჩმიაძინის ტიპოგრაფიაში), ქართული „სასოფლო გაზეთი“ („Сельская жизнь“) და სხვ.; გამოცემათა შორის დასახელებულია ასევე – „გურამოვის“ *დავითიანი* („Давитиани Гурамова“) (480-1-75) (ეს დავით გურამიშვილის „დავითიანის“ პირველი გამოცემაა).

სხვა ქალაქებშიც თანამშრომლობენ ცენზორებთან, ერთი პიესა – „განდგომილი“ („Отщепенец“) ოდესელი ცენზორისთვის გაუგზავნიათ. იგი იწერება, რომ მისი გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, მისი თქმით, პიესაში გატარებული აზრი, რომლის თანახმად, ებრაელმა მართლმადიდებლობა არ უნდა მიიღოს, ებრაული მოსახლეობა რუსეთში ისედაც ჩაკეტილია და ეს პიესა ჩაკეტილობას უფრო გააღრმავებსო (480-1-32). ჩანს, ოდესელი ცენზორის გამოცდილების გაზიარება

დასჭირვებიათ, როცა ებრაულ საკითხს ეხებოდა საქმე და მანაც კოლეგიალურად გაუზიარა კავკასიის კომიტეტს ეს გამოცდილება. მისი ცენზურა მთლიანად ეხმაურება ზემოხსენებულ სახელმწიფო გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, ებრაელი ხალხი არ უნდა განცალკევდეს.

კომიტეტის მხრიდან შემოწმება სჭირდება ქართულ საეკლესიო ლიტერატურას. მაგალითად, 1869 წელს ეგზარხოს ევსევის (იგულისხმება 1858-1877 წწ-ში საქართველოს ეგზარხოსი /ერისკაცობაში ალექსი ალექსის ძე ილინსკი) შეუმოწმებია 74 ქართული ხელნაწერი, რომელიც მოხსენიებულია როგორც „Проповеди Эпископа Гавриила“ და მისი დაბეჭდვის ნებართვაც გაუცია (480-1-37); ცხადია, გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებია აქ ნაგულისხმები); 1871 წელს იგივე ეგზარხოსი კომიტეტს სწერს, რომ ქართულ ენაზე შეიძლება დაიბეჭდოს წიგნი – „Краткое объяснение Божественной литургии священника Востокова“; აქვეა სომხური კალენდრის დაბეჭდვის ნებართვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მასში არაფერია ისეთი, სომხურ საეკლესიო კანონმდებლობას რომ ეწინააღმდეგებოდეს (480-1-83).

სომხურ ენაზე სომხური გამომცემლობის მეპატრონე საცენზურო კომიტეტს უგზავნის საეკლესიო კალენდარს, რომელშიც მთელი წლის დღესასწაულების თარიღებია აღნიშნული და ითხოვს მიეცეს ნება, რომ დროის მოგების მიზნით მანამ დაიწყოს ბეჭდვა, სანამ სასულიერო ხელმძღვანელობა შეამოწმებდეს ამ კალენდარს (480-1-32). სომხური საეკლესიო მასალის დაბეჭდვისათვის, *თუ რაიმე განსაკუთრებული საჭიროება არ არსებობს,* სომხური სასულიერო იერარქიისაგან იღებენ ნებართვას. რადგან სომხური ეკლესია სომეხთა კათოლიკოსს ემორჩილება და არა – ეგზარხოსს, ცხადია, ეს ასეც მოხდებოდა.

ამა თუ იმ ბეჭდვითი ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია, საცენზურო კომიტეტს შეატყობინოს, როცა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება ხდება რედაქციაში, რათა კომიტეტი იცნობდეს, ვინ იქნება ამ მნიშვნელოვანი მოვალეობის შემსრულებელი. მაგ., 1869 წლის 10 აპრილს გიორგი წერეთელი ატყობინებს კომიტეტს, რომ პირად საქმეებზე პეტერბურგში მიემგზავრება და „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორისა და გამომცემლის მოვალეობას „პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ სერგეი სიმონის ძე მესხს“ („студенту Петербургского Университета Сергею Семеновичу Месхи“) გადასცემს; ამას მოსდევს მისი მეორე განცხადება იმის თაობაზე, რომ ძალიან არის დაკავებული და 1870 წლისთვის მოვალეობა სერგეი მესხს უნდა გადააბაროს. 1869 წლის 20 ნოემბრით დათარიღებულ შეტყობინებაში უკვე სერგეი მესხი წერს, რომ მომავალი წლიდან თავად აიღებს მოვალეობას და იქვე აღნიშნულია, რომ კომიტეტს უგზავნის „მეტრიკულ მოწმობას წარმოშობის შესახებ“ („метрическое свидетельство о происхождении“), ჯანმრთელობის ცნობას და „პეტერბურგის ნამდვილი სტუდენტის წოდების ატესტატს” („Атестат на звание Действительного Студента Петербургского Университета“) (480-1-35). საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1870 წელს სერგეი

მესხს საცენზურო კომიტეტისთვის უთხოვია, ნება მიეცათ მისთვის, თავად გადაეწყვიტა, უცხოეთის პოლიტიკასთან დაკავშირებული რომელი მასალა გადმოებეჭდა „დროებაში“ რუსული პრესიდან და ანალიზიც თავადვე გაეკეთებინა. კომიტეტი აკმაყოფილებს მესხის თხოვნას, აღნიშნავს, რომ „კომიტეტი არ სწევს წინააღმდეგობას, თუკი ავტორი სხვა გაზეთიდან მოყვანილი სტატიის აზრს არ ცვლის და პოლიტიკურ ფაქტებს მათი ნამდვილი სახით აშუქებს“ („комитет не препятствует, если автор не изменяет смысла привадимой из другой газеты статьи и представляет политические факты в их настоящем свете“) (480-1-58); იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცენზორი წერს, – თუ ავტორი აზრს არ ცვლის, კომიტეტი არც არასდროს ყოფილა თავისუფალი ანალიზის წინააღმდეგიო.

1872 წელს უკვე თავად სერგეი მესხი სთხოვს კომიტეტს, რომ „დროების“ რედაქტორობა კირილე ლორთქიფანიძეს გადაეცეს, რადგან თვითონ საზღვარგარეთ მიემგზავრება; გიორგი წერეთელი კი ატყობინებს კომიტეტს, რომ შერყეული ჯანმრთელობის გამო („по случаю расстроенного здоровья“) იძულებულია გათავისუფლდეს მოვალეობისგან და გამოთქვამს სურვილს, რომ ჟურნალ „კრებულის“ („Сборник“) რედაქტორობა ასევე კირილე ლორთქიფანიძეს გადაებაროს (480-1-125).

1875 წლის 5 ივნისს ივანე კერესელიძე კომიტეტს სწერს წერილს, რომელშიც იტყობინება, რომ მკურნალობა ესაჭიროება და იძულებულია, ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა დროებით შეაჩეროს („приостановить“) (480-1-195).

არსებობს ისეთი სახის განკარგულებები, რომლებიც განმარტავს, თუ როგორ უნდა დაიბეჭდოს სტატიები იმპერატორის გვარის მქონე პიროვნებათა შესახებ. მაგ., მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი საცენზურო კომიტეტს ერთერთ წერილში (1874 წ.) ატყობინებს, რომ ამ გვარის მქონე პირთა მიერ რომელიმე ღონისძიებაზე ზეპირად წარმოთქმული სიტყვის დაბეჭდვა, ხსენებული წელს მიღებული კანონის თანახმად, იმპერატორის სასახლის მინისტრის თანხმობით უნდა ხდებოდეს. მიუხედავად ამ კანონის არსებობისა, გაზეთ „Тифлиский Вестник“-ის 13 აპრილის 39-ე ნომერში (1874) საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოების სხდომაზე მთავარმართებლის მიერ წარმოთქმული სიტყვა ასეთი ნებართვის გარეშე დაუბეჭდავს (მისი სახელი, როგორც ჩანს, მეფისნაცვალთან დაკავშირებული იმდროინდელი ეტიკეტის გამო, ნახსენები არ არის, წერია მხოლოდ – „Государь Великий Князь (...) Наместник“... ცხადია, დღეს ეტიკეტის დარღვევაში არ ჩაითვლება და შეიძლება ითქვას, რომ აქ მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი იგულისხმება) (480-1-167).

მასალებში გვხვდება აკრძალვები, რომლებიც მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოდან იგზავნება (ამ უწყების საშუალებით უშუალოდ არის საცენზურო კომიტეტი მთავარმართებელთან / მეფისნაცვალთან / დაკავშირებული), ხელს აწერს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სენატორი, „სტატს-სეკრეტარი“, „კნიაზი“ „ბაგრატიონ-მუხრანსკი“. 1874 წელს აუკრძალავთ 14 რუსულენოვანი პიესა, მათ შო-

რის: „Прометей или ужасные убийства“; „Елена в Трое“; „Рахел дочь благородного еврея“; „Риголетто или геройская корона и шутовская погремушка (перевод с итальянского)“. აკრძალვის მიზეზი იმითი არის ახსნილი, რომ ეს პიესები გამოსაქვეყნებლად უხერხულადაა მიჩნეული („признанные к представлению неудобными“) და, საინტერესოა, რომ გაცემულია განკარგულება, რომლის თანახმად, ამ აკრძალვის შესახებ შეტყობინებები ტფილისის თეატრალურ და კავკასიის საცენზურო კომიტეტს, ასევე, ამიერკავკასიის მთიანსა და შავიზღვისპირეთის ოლქებს უნდა გაეგზავნოს (480- 1-192); 1875 წელს მთავარი სამმართველოს უფროსი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია, გაზეთმა „კავკაზმა“ სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე დაბეჭდოს სტატიები, რომლებიც კავკასიის არმიის მოქმედებას, მის განკარგულებებსა და კავკასიის სხვა სამხედრო საკითხებს ეხება (480-1-197).

საინტერესოა, რომ სომხურ ჟურნალ „Дпроц“-ს („Դպրոց“, „სკოლა“) უარს ეუბნებიან 1875 წლის № 7-ში გამოაქვეყნოს სტატია, რომლის სათაურიც მოხსენიებულია როგორც „Исторические сведения о старых и новых народных школах“ (მასში სომხეთსა და საზღვარგარეთ მდებარე იმ სკოლებზე ყოფილა საუბარი, რომლებიც, გაზეთის თანახმად, მე-18 საუკუნიდან არსებობდა). გაზეთს თანადგომას უცხადებს არქიმანდრიტი გასტამიანცი, რაზეც მთავარი სამმართველოს უფროსი პასუხობს, რომ არ იღებს ამ შუამდგომლობას; რედაქტორს მხარს უჭერს წმიდა გაიანეს მონასტრის წინამძღვარი, – წერს, რომ სტატია ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა, რედაქტორი ითხოვს, – რადგან სტატიის ბეჭდვა დაწყებულია, მოგვეცით უფლება, შემდეგ ნომერში გაგრძელდესო, მაგრამ თანხმობას მაინც ვერ იღებენ. მთავარი სამმართველოდან მოსულია პასუხი, რომელშიც უარის დასაბუთება ისეთი გაკრული ხელითაა დაწერილი, მისი წაკითხვა ალბათ თავად კომიტეტში გაუჭირდებოდათ (480-1-211; 212). მაღალი ინსტანციიდან მისული წერილის მთავარ აზრს კომიტეტის თანამშრომელი შედარებით ნაკლებად გაკრული ხელით წერს ხოლმე და, ჩანს, უმეტესწილად ამ საბუთს აცნობენ მომჩივანსა და მთხოვნელს... საჭიროების შემთხვევაში ალბათ უშუალოდ იმ მაღალი ინსტანციის ხელნაწერსაც აჩვენებენ მომთხოვნს... კომიტეტიდან გაგზავნილი წერილები ასლების სახითაა შენახული.

საქმეებში დაცულია ცნობები, რომლებიც იმავე ჟურნალს Дпроц-ს ეხება. 1875 წელს მას სხვა წერილის აკრძალვის მიზეზს განუმარტავენ; სამმართველოდან მისული განმარტება (№116) ამჯერადაც ძალიან ძნელად წასაკითხი კალიგრაფიითაა შესრულებული, კანცელარიაში შედარებით გარკვეული ხელნაწერით არის ახსნილი, რომ, როცა გამოსაცემად კვლავ ნებადართულ ჟურნალ Дпроц-ს უარი ეთქვა სტატიის („Епархияльные инспектори духовного ведомства“) დაბეჭდვაზე, მთავარი სამმართველოს ეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სტატია, როგორც დასაბუთებაშია აღნიშნული, განსაკუთრებული განკარგულების გაცემის შემთხვევის გარდა, არც სხვაგან უნდა დაიბეჭდოს (მათ შორის არც – ჟურნალ „არარატში“), 1875

წლის 5 მარტს „მისმა იმპერატორობითმა ბრწყინვალებამ“ (იგულისხმება მეფისნაცვალი) დააკმაყოფილა (480-1-200). ასეთი პასუხით იცილებენ ჟურნალის რედაქციას.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1875 წელს მთავარი სამმართველო საცენზურო კომიტეტს სწერს, რომ საჭიროა კომიტეტმა ტფილისში გამომავალი გაზეთების ცენზურირებისთვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია შეადგინოს; კომიტეტს შეახსენებენ, რომ ოფიციალური პირის შეურაცხყოფა დაუშვებელია; ამ საბუთში ვკითხულობთ, რომ მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ინება, რამდენიმე მოსაზრება გამოეთქვა („изволил высказать некоторые мысли“), მაგ., მასში ნათქვამია, რომ რედაქციათა შორის გაუგებრობის ჩამოვარდნის დროს კომიტეტმა 1868 წლის 137-ე მუხლის შესაბამისად უნდა იმოქმედოს (480-1-220); იმავე წელს მთავარი სამმართველოდან იტყობინებიან, რომ დაუშვებელია, ზოგი ჩინოვნიკი მივლინებაში წასვლის წინ ავანსებს რომ ითხოვს (480-1-219)... იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამუშაო დეტალები ბოლომდე ჯერაც არ არის დახვეწილი.

480-1-221 მასალებში (1874 წ.) იმპერატორის მანიფესტთან ერთად დაცულია საბუთები იმის შესახებ, რომ ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-ფელდცეიხმეისტერი ვლასტოვი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო თანამდებობიდან გადადგა, რომ ბაქოს სასამართლოს პროკურორად დანიშნეს ნიკოლოზ (Николай) ჭიჭინაძე; აქვე სხვა მრავალ საბუთთან ერთად ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ზემოხსენებული დიმიტრი ფურცელაძე (ცნობილი მეცნიერი, ავტორი ნაშრომებისა: „ქართული საეკლესიო გუჯრები“, „სათავადაზნაურო გუჯრები“, „საგლეხო გუჯრები“, „კახეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი“, „ბოდბის მონასტრის აღწერა“, „დღესასწაულნი საქართველოს ეკლესიისა“, „ანდერძი ანტონ კათალიკოსისა“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით“... დ. ფურცელაძე იყო სასულიერო სემინარიის პროფესორი, მთიელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, კავკასიის მეფისნაცვლის მრჩეველი, კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საქმეთა გამგებელი და სხვ.); იგი სახელმწიფო მოხელეც არის, ისტორიკოსიც, ქართულ მწერლობას იცნობს, ჩანს, ენდობიან, მისაღებად მიაჩნიათ მისი კანდიდატურა და მალე კომიტეტის თავმჯდომარედაც ნიშნავენ; აღნიშნულია ხელფასიც (480-1-228); 221-ე საქაღალდეში ვხვდებით აგრეთვე ბრძანებას იმის შესახებ, რომ „სტასკი სოვეტნიკი“ ბაქრაძე მთავარ სამმართველოსთან არსებული *არქეოგრაფიული კომისიის* მუდმივ წევრად ინიშნება.

480-1-226 მასალებში გვხვდება დ. ბაქრაძის (Дм. Бакрадзе) წერილი (1875 წლის 7 თებერვალი), რომლითაც იგი „ალექსანდრ პეტროვიჩ მაქსიმოვიჩს“ სთხოვს, რომ კომიტეტის თავმჯდომარესთან (ე. ი. დიმიტრი ფურცელაძესთან) გაუწიოს შუამდგომლობა კომიტეტში მუშაობის დაწყების ნებაზე; აქვეა გაურკვეველად ხელმოწერილი შუამდგომლობა კომისიის წარმომადგენლისა („представитель комисии“)

იმის თაობაზე, რომ შუამდგომლობის ავტორი ვერავითარ ხელისშემშლელ ფაქტორს ვერ ხედავს და დ. ბაქრაძეს უმცროსი ცენზორის თანამდებობაზე ნიშნავენ (აქვეა 1875 წლის 4 მაისს შედგენილი საბუთი, რომლის თანახმად, სახელმწიფო პალატა კომიტეტს სთხოვს, რომ „სტატსკი სოვეტნიკ“ ბაქრაძეს დაენიშნოს ხელფასი 146 რუბლი და 33 კაპიკი); შემდეგ კი არის ახალი შუამდომლობა, რომ დიმიტრი ბაქრაძე „რუსული და ევროპული ენების უფროს ცენზორად“ დაინიშნოს („старшим цензором русского и европоейских языков“) (480-1-226); მანამდე გვხვდება ცნობა (1873 წ.), რომელიც მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზეა დაწერილი კომიტეტს ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ (ხელმოწერა არ იკითხება); იგი აღნიშავს, რომ კომიტეტს თანამშრომლები არ ჰყოფნის და რომ ერთი ადამიანისთვის ძალიან ძნელია ამ საქმის გაძღოლა, – „ხსენებულ თანამდებობაზე 23 წელი მუშაობდა დიდი ავტორიტეტის მქონე ცენზორი კაიტმაზოვი, რომელიც, ავტორიტეტით სარგებლობდა ადგილობრივ მწერალთა შორისო“ („У туземных писателей“) – და მთავარი სამმართველოს უფროსს სთხოვს, რომ ადგილობრივ და აღმოსავლურ ენათა მცოდნე უმცროსი ცენზორის ადგილზე მიიღონ სრულიად სანდო („вполне благонадежный“) პიროვნება „კოლეჟსკი სოვეტნიკი“ ბაქრაძე, რომელიც ამ სპეციალობის მქონე ცენზორს დახმარებას გაუწევს. აღნიშნულია, რომ ბაქრაძე კაიტმაზოვს (ხსენებული ცენზორის მიწვევით) არაერთხელ მიხმარებია მუშაობაში და რომ იგი ქართული ენის ცენზორის მოვალეობას ასრულებდა ხოლმე. წერილის ავტორი დასძენს, რომ ბაქრაძეს განათლება სასულიერო აკადემიაში აქვს მიღებული და იგი აქ ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ მწერლად არის მიჩნეული და დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს მათ შორის („он считается здесь одним из лучших грузинских писателей и пользуется между ними большим авторитетом и уважением“). როგორც მთავარი სამმართველოს უფროსი წერს: „ბაქრაძემ განმიცხადა, რომ მზად არის, თავისი თავისუფალი დრო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ქართულ ენაზე არსებული თხზულებების ცენზურირებას მოახმაროს, მით უმეტეს, რომ ეს მისგან დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს, რამდენადაც თავისთვისაც კითხულობს ყველაფერს, რაც ამ ენაზე იწერებაო; გამომდინარე აქედან, ვშუამდგომლობ, რომ „კოლეჟსკი სოვეტკინკმა“, ბატონმა ბაქრაძემ, ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე არსებული გამოცემების ცენზურირებაში დახმარება გასწიოსო“ (480-1-160). სხვა საქაღალდეში არის ცნობა, რომლიდანაც ცხადი ხდება, რომ კომიტეტის თავმჯდომარეს ატყობინებენ, აღმოსავლური ენების ცენზორის, აწ განსვენებული, კაიტმაზოვის მეუღლეს პენსია რომ უნდა დაენიშნოს – 500 რუბლი წელიწადში (იმისი ნახევარი, რასაც განსვენებული კაიტმაზოვი ხელფასის სახით იღებდა) და მიეცეს აგრეთვე დახმარება („пособие“). კაიტმაზოვის ქვრივი მოხსენიებულია როგორც ქეთევან (Кетеван) კაიტმაზოვა (480-1-163). თავად კაიტმაზოვი ადრე აღმოსავლურ ენათა განყოფილების თანამშრომელი ყოფილა, სხვა ენებთან

ერთად, სომხურიც სცოდნია და დამსახურებისათვის 1869 წელს ჯილდოც მიუღია (480-1-78).

კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ცხადია, *მხოლოდ ამკრძალავი დაწესებულება არ არის*, – იგი *გამოცემების ნებადამრთველიც გახლავთ* და ცენზორებს და, მით უმეტეს, მის ხელმძღვანელს ამ წლებში დიდი ეროვნული საქმის ფრთხილად კეთების საშუალება ეძლევათ, რაც საკმაოდ დიდ რისკთანაც არის დაკავშირებული, რადგან, მიუხედავად ვორონცოვისდროინდელი შედარებითი „დათბობის“ პოლიტიკისა, როგორც ითქვა, ზედმეტის კეთების უფლებას არ იძლევიან.

ამ საბუთებში საინტერესო ისტორია იკვეთება და ქართველ პატრიოტთა განსაკუთრებული მოღვაწეობის კვალიც ჩნდება. 70-იანი წლების დიდძალი საბუთების გაცნობისას არ შემხვედრია არცერთი ცნობა, რომლიდანაც დავინახავთ, რომ ცნობილ ქართველ ისტორიკოსს – დ. ბაქრაძეს უარყოფითი შეფასება დაეწეროს რაიმე ეროვნული მასალის შესახებ*;* სამაგიეროდ გვხვდება ვრცელი სიები დასაბეჭდად მიზანშეწონილი წიგნებისა, რომელთა შორის, ცხადია, ძალიან ბევრია ისეთი, რომელიც საქართველოს ეხება და გასაგებია, რომ *ამ ნაშრომებზე დაბეჭდვის ნებართვას უმეტესწილად დ. ბაქრაძე აწერდა ხელს* (რადგან ეს იყო მისი პირდაპირი მოვალეობა). ცენზორთა გვარები, როგორც ამა თუ იმ წერილის დადებითად შემფასებლისა, უმეტეს შემთხვევაში არ ჩანს, დ. ბაქრაძის, როგორც კონკრეტული წიგნის მიმართ დადებითად განწყობილი ცენზორის გვარი, ჯერჯერობით შეგვხვდა მხოლოდ ერთხელ, – 1876 წელს მისთვის საცენზუროდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები გადაუციათ და მას გაუცია დაბეჭდვის ნება (480-1-265); ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის 1876 წელს გამოცემული კრებული; არაა შეუძლებელი, რომ გახმაურებული სახელის მქონე პოეტის შემოქმედების მთლიანად წარმოჩენის წინ მისი შემოქმედების ცენზურირება სადღაც მაინც საჭიროდ მიუჩნევიათ და დიმიტრი ბაქრაძემ წარმატებით გაართვა ამ საქმეს თავი (ბარათაშვილის შემოქმედებაში, ამ მხრივ, შესაძლოა, „ბედი ქართლისა“ იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის საკითხებს ეხება ეს პოემა); საერთოდ, *ეროვნულ საქმიანობაში დიმიტრი ფურცელაძის განსაკუთრებული როლი იკვეთება როგორც დიმიტრი ბაქრაძის ხელშემწყობისა* (ცხადია, ამ კონტექსტში შესასწავლია დიდი დამსახურების მქონედ ცნობილი ცენზორის – კაიტმაზოვის /ივანე ყაითმაზაშვილი/ საქმიანობაც); დ. ფურცელაძე ასევე ისტორიკოსია და ჩვენ წინაშე ვლინდება პიროვნება, რომელიც ცდილობს, საქართველოს ისტორიის შესწავლასა და ქართული მწერლობის აღორძინებას ხელი შეეწყოს და ისეთი ადამიანები მიიზიდოს ცენზურირების საქმეში, რომლებიც ასეთი ფასეული წიგნების გამოცემის საქმეში გვერდით დაუდგებიან და მათი დამსახურება სათანადო დაფასებას საჭიროებას. ვფიქრობ, *კავკასიის საცენზურო კომიტეტში დიმიტრი ფურცელაძის და სხვა ადამიანების გავლენით 70-იან წლებში მოქმედებას იწყებს ქართული კულტურის აღორძინებისათვის ხელ-*

შემწყობი პატრიოტული ჯგუფი და, მიუხედავად იმისა, რომ იქნებ ზოგი არც იწონებდა საცენზურო კომიტეტში დ. ბაქრაძის და შემდგომ სხვა ეროვნულ მოღვაწეთა მუშაობის ფაქტს, ამგვარ მოღვაწეებსაც უნდა ვუმადლოდეთ, რომ ისტორიოგრაფიამ და მწერლობამ მე-19 საუკუნეში ამგვარ სიმაღლეებს მიაღწია, – *მათი ხელმოწერით იბეჭდებოდა ქართული პატრიოტული წიგნები, სხვაგვარად ისინი დღის სინათლეს ვერ იხილავდა.* ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: დ. ბაქრაძეს დიდი თანამდებობა არ უკავია (ჯერ უმცროსი ცენზორია, შემდეგ უფროს ცენზორად გადაჰყავთ), მიუხედავად ამისა, „ჩინებულ-გულმოდგინე სამსახურისთვის“ („за отлично-усердную службу“) 1876 წელს მას 300 რუბლით აჯილდოებენ; ჯერ მისი ბიოგრაფიული ცნობებია ჩამოწერილი, შემდეგ კი კომიტეტიდან მთავარ სამმართველოში სწერენ, რომ დიმიტრი ბაქრაძემ (რატომღაც მოხსენიებულია ოდნავ არქაიზებული ფორმით როგორც Дмитрий Бакрадзе, Сын Захарьева) არაოფიციალურ ცენზორად მუშაობა 1871 წელს დაიწყო და შემდეგ კი გვხვდება ბრძანება, რომლის თანახმად, ხელმწიფე იმპერატორი მას 1876 წლის 20 დეკემბერს დიდი „კნიაზის“, კავკასიის მთავარმართებლის შუამდგომლობითა და კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოწმობით („Государь Император по ходатайству Великого Князья Наместника Кавказского и Удастоверению Кавказского Цензурного Комитета“) სხვასთან ერთად აჯილდოებს (480- 1-281). ცხადი ხდება, რომ რიგითი ცენზორის ასეთი მაღალი რანგის დაჯილდოებაში უშუალოდ დიმიტრი ფურცელაძის ხელი ურევია, მისი შუამდგომლობაა აქ მთავარი (პირდაპირ, სრულიად გარკვევით წერია ჯილდოს მიცემის შესახებ კომიტეტის თანხმობის შესახებ), რადგან მეფისნაცვალი კომიტეტის თავმჯდომარის გარეშე არ გაწევდა ასეთ შუამდგომლობას მისთვის იქნებ სრულიად უცნობი და უმნიშვნელო თანამდებობის მქონე პირის მიმართ. 1871 წელს მუშაობაზე იმიტომ ჩანს ყურადღება გამახვილებული, რომ პირადად დ. ფურცელაძის პროტეჟედ არ იქნას დ. ბაქრაძე მიჩნეული და გადაწყვეტილების სამართლიანობაში ეჭვი არავინ შეიტანოს. ცხადია, 300 რუბლი ამ შემთხვევაში ბევრს არაფერს ნიშნავს, – მთავარია, რომ ნდობა ძალიან უძლიერდება დ. ბაქრაძეს და მხოლოდ ეროვნულ საქმეს რომ აკეთებს და სხვაგვარი ქმედება რომ არ ჩანს საქმეებში, *ეს დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია.* ჩანს, *დ. ფურცელაძის ხელშეწყობით* ეროვნულ საქმეთა საკეთებლად რომელიღაც ჯგუფი იწყებს საცენზურო კომიტეტში მოქმედებას; თუ შეიძლება ასე ითქვას, შეპარებულები არიან ისინი კომიტეტში, საკმაოდ სარისკო საქმეს აკეთებენ და მათი ამ ღვაწლის დავიწყება არაფრით არ შეიძლება. მსგავსი მაგალითები სხვა პერიოდებზე საუბრის დროსაც შეგვხვდება... აქვე დავძენ: შემდგომში საჭირო იქნება განხილვა იმ ცალკეული კონფლიქტური სიტუაციებისა, რომელიც დ. ბაქრაძესა და ეროვნული სულისკვეთების მქონე სხვა პირებს ამა თუ იმ მასალის დაბეჭდვას დროს მოსდით, – საჭიროა შესწავლა, თუ რა გახდა კონფლიქტის მიზეზი, გასათვალისწინებელია, მაგალითად, ის გარემოება, რომ დ. ბაქრაძეს დიდი შრომა მოუწევდა იმისთვის,

რომ ესა თუ ის მასალა, ვიტყვი ასე, „გაეპარებინა“ დასაბეჭდად და ზოგჯერ, შესაძლოა, ავტორისეული სათქმელის შეფარვის მიზნით, რაიმეს შეცვლა მოეთხოვა მისგან...

თუმც, ცხადია, ყველა პრობლემის გადამწყვეტად არ გვევლინება ეს ჯგუფი; რევოლუციური იდეების მიმართ მისი დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია და ეს საკითხი ცალკე შესწავლას საჭიროებს... მაგ., ხსენებული პერიოდის კავკასიის საცენზურო კომიტეტში არიან თანამშრომლები, რომლებიც ძალზე უნდობლად უყურებენ ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძეს და გამოცემებს, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული:

1875 წლის 9 სექტემბერს ნ. ნიკოლაძეს კომიტეტისგან მოუთხოვია, რომ 1877 წლის პირველი იანვრიდან გამოეცა კრებული „Капризы Пера“; როგორც კომიტეტის საბუთშია აღნიშნული, ნიკოლაძეს ჰქონია სურვილი, კვირაში ერთხელ გამოსულიყო ეს კრებული, რომლის ფასი 20 კაპიკი იქნებოდა (წელიწადში – 4-დან 6 რუბლამდე) და ჩანცევის ტიპოგრაფიაში დაიბეჭდებოდა; იქვე აღნიშნულია, რომ ნიკოლაძე ითხოვს, ნება მიეცეს, კრებულში მხოლოდ საკუთარი ნაშრომები მოათავსოს და წერია, რომ 1870 წელს მან უკვე გამოთქვა სურვილი, გამოეცა პერიოდიკა „Обзор“... ნ. ნიკოლაძის თხოვნასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში კომიტეტიდან გაგზავნილია თავმჯდომარის შეტყობინება იმის შესახებ, რომ 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ნიკოლაძე პეტერბურგის არეულობაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მისდამი მოწყალება მაინც იქნა გამოცხადებული და 1864 წელს საზღვარგარეთ წასვლის ნება მიეცა; აღნიშნულია, რომ იგი ჟენევაში რუს ემიგრანტებთან (განსაკუთრებით ელპიდინთან) სხვადასხვა „ჭუჭყიანი“ („грязных“) პოლიტიკური ბროშურებითა და შემდეგ კი რევოლუციური ხასიათის მქონე ფურცლებით („листов“) იყო დაკავებული, რომ ჟენევაში ფსევდონიმით – Никифор Г** ანტისამთავრობო ბროშურა – „Правительство и молодое поколение“ გამოსცა და, აქედან გამომდინარე, დიდმა თავადმა, მეფისნაცვალმა, შეუძლებლად მიიჩნია, რაიმე სახის გამომცემლურ საქმიანობასთან მისი დაშვება და ამასთან მთავარი სამმართველოს უფროსმა მოითხოვა, რომ კომიტეტმა ფხიზლად ადევნოს თვალი („иметь бдительный надзор“) ნიკოლაძეს, რათა მან რაიმე სახის უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ლიტერატურულ ჟურნალებსა და გაზეთებზე; ბოლოს წერია, რომ ახალი აკრძალვის შემთხვევაში იგი წამებული გმირის მანტიაში გაეხვევა („Новый отказ придал бы ему несвойственное значение опасного героя-страдальца“), მას უნდა, რომ სახელი შეუცვალოს გამოცემას (რომელიც ადრე უკვე აეკრძალა) და ძველი საქმეები განაგრძოს, ამიტომ, თუ დიდი თავადი მეფისნაცვალი ნებას დართავს, შეიძლება მივცეთ უფლება, რომ გამოსცეს კრებული, რომელიც საცენზურო მოთხოვნებს დამორჩილებული იქნება და სახელად „Капризы Пера“ კი არა, არამედ „Наблюдатель“ დაერქმევაო; ბოლოში, ამჯერად უკვე 1876 წლით დათარიღებულ უწყებაში (დიდხანს

ულოდინებიათ ნიკო ნიკოლაძე, სანამ ოფიციალურ პასუხს გასცემდნენ), რომელიც მთავარი სამმართველოდან არის კომიტეტში გაგზავნილი. მასში ვკითხულობთ, რომ „მისმა ბრწყინვალებამ“ (ე. ი. მეფისნაცვალმა) ნიკოლაძის თხოვნის დაკმაყოფილება „არ ინება“ (480-1-232).

კომიტეტისათვის ცნობილია, რომ ნიკოლაძე აქტიურად თანამშრომლობდა ციურიხში ქართველ სტუდენტთა მიერ დაარსებულ საზოგადოებასთან სახელით – „უღელი“. 1873 წელს ტფილისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსი (წერილს ხელს ჟანდარმერიის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ს. ესაძე აწერს) საცენზურო კომიტეტს, პირადად „ალეკსანდრ პეტროვიჩს“ („Милостивый Государь Александр Петрович“) ატყობინებს, რომ ნიკოლაძემ სცადა, ციურიხიდან შემოეტანა 47 დასახელების აკრძალული წიგნი და ბროშურა, აგრეთვე საზოგადოება „უღელის“ („Ярмо“) მიერ 1873 წლის 12 მარტს გამართული სხდომის ქართულენოვანი ოქმები და ითხოვს, ამ ოქმების ასლები რუსულ თარგმანთან ერთად ჟანდარმერიაში გაუგზავნონ; ჟანდარმერიის წარმომადგენლის აღნიშვნით, „მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ“ („состоящий под надзором“) ყოფილ სტუდენტ ნიკოლაძეს ციურიხიდან შემოუტანია ლითოგრაფიული დანადგარი („литографический станок“) და ხსენებული წარმომადგენელი ითხოვს აცნობონ, კონკრეტულად რისთვის გამოიყენება ეს დანადგარი (480-1,-142).

მასალებიდან ვხედავთ, რომ ნიკო ნიკოლაძე მაინც არ ნებდება და ხალხისათვის რევოლუციური იდეების მიწოდების სხვადასხვა გზას ეძებს. საარქივო ფონდის (480-1- 300) საქმეში ვკითხულობთ, რომ ცნობილ ქართველ *ეროვნულ მოღვაწე* არისტო ქუთათელაძეს (ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს გორის, შემდეგ – ხონის სემინარიებში, ტფილისის სასწავლო ინსტიტუტის თანამშრომელს; ავტორს ნაშრომებისა: „პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა“, „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“, „სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის“, „საზოგადო გეოგრაფია“, „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან“, „არხეოლოგიური მოგზაურობა“, „სოფელი მარტყოფი და ხელთუქმნელი ღვთაების ისტორია“ და სხვადასხვა) 1877 წელს საცენზურო კომიტეტისათვის უთხოვია ნებართვა, გამოეცა კრებული სახელით „Физиономия войны“, – მასში მხოლოდ ერთი ავტორის სტატიები იქნება დაბეჭდილი და, თუ ამისი საჭიროება იარსებებს, ავტორის ვინაობასაც შეგატყობინებთო; ჩანს, საეჭვო სტატია წარუდგენია, ამიტომ 5 აგვისტოს მისგან (იხსენიებენ როგორც Аристотел Кутателадзе) სტატიის ავტორის ვინაობის დასახელება მოუთხოვიათ და 6 აგვისტოს ქუთათელაძე ერთგვარად ფამილარული ტონით (ალბათ კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს) იწერება, რომ ავტორი ნ. ნიკოლაძეა („Имя автора сочинении (...) никто иной, как Н. Я. Николадзе“) და არწმუნებს კომიტეტს, რომ გაუგებრობა აღარ მოხდება და ნიკოლაძის სტატიები საცენზურო კომიტეტის ან მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ ჯერ კიდევ მათი კორექტირებისას იქნება განხილული (იმაში კი არ მიიჩნევს თავს დამ-

ნაშავედ, რომ ნიკოლაძესთან აპირებს თანამშრომლობას, – არამედ პირობას დებს, რომ მომავალში მისი, როგორც ავტორის, გვარის მოხსენიება არ დაავიწყდება); ჩანს, პირველი სტატიის გაგზავნისას ავტორის ვინაობის დამალვა უცდიათ... კრებულის სათაური „Физиономия войны“ /„ომის ფიზიონომია“ (ისევე, როგორც „Капризы Пера“ / „კალმის ახირებანი“) ნ. ნიკოლაძის მოფიქრებულს ჰგავს.

ნ. ნიკოლაძის შესახებ არქივში იძებნება ამ პერიოდის სხვა ვრცელი მასალებიც, რომელთა შესახებაც, ვეცდები, სხვა დროს ვისაუბრო...

კავკასიის საცენზურო კომიტეტს რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადამიანების მიმართ განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა ევალება.

ზემოხსენებულ № 480-1-232 საქაღალდეში არის საინტერესო ცნობები, რომლებშიც, როგორც ითქვა, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ნიკოლაძის შესახებ დაწერილი წერილია დაცული და, ამ წერილში *თითქოსდა, სასხვათაშორისოდ* იმაზეცაა მსჯელობა, რომ შესასწავლია, რამდენად ახდენს მოსახლეობაზე ლიტერატურული სახის გაზეთები ზეგავლენას. ჩანს, გასაგები ხდება, რომ თანდათან საშიშ ფორმებს იღებს მხატვრულ ლიტერატურაში გამოთქმული იდეები, შიშობენ, რომ მასში სახელმწიფოსათვის საშიში რევოლუციური აზრებიც გაიპარება.

ამრიგად, 70-იან წლებში ბიუროკრატია ძალიან ძლიერია საცენზურო კომიტეტში. საბაჟოებიდან შესული თუ ადგილობრივი პერიოდიკისა და იმგვარი წიგნების გაცნობა ევალებათ, რომლებიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ არიან პიროვნებები, რომელთაც ნდობით არ ეკიდებიან და მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული...

ასევე ყურადღებას იმსახურებს არქივში დაცული საბუთები იმის თაობაზე, რომ სომხურ გაზეთში – „Мшак“ („Работник“), „Надз“ („Опыт“), „Арарат“ და სხვებში გადაჭარბებული მნიშვნელობა („преоблодающее значение“) აქვს მინიჭებული ვაჭრობაში სომხური მოსახლეობის როლს, რომ ეს ყველაზე მეტად ამ გაზეთებისთვისაა დამახასიათებელი („она распростанена здесь более других“); მთავარ დამნაშავედ ამაში „ტიფლისკი ვესტნიკია“ გამოყვანილი, მასთან ერთად კრიტიკულად არის განხილული გაზეთი „კავკაზი“, წერილში ვკითხულობთ, რომ „ტიფლისკი ვესტნიკმა“ „კავკაზზე“ მეტ წარმატებასაც კი მიაღწია და ეს – მაშინ, როცა არც მეწინავე სტატიები აქვს, არც – ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკა და, როგორც აქ არის აღნიშნული, არც მთავარ საკითხებს ეხება ეს გაზეთი (იგულისხმება ოფიციალური პოლიტიკური ხასიათის წერილები); „ტიფლისკი ვესტნიკი“ სკანდალურ წერილებს იბეჭდავს სხვა გაზეთებიდან, არ შეუძლია, რომ ამ მხარეში რუსული სიტყვა და რუსული აზრი წამოსწიოს წინო („поднять в крае русское слово и русскую мысль“); წერია, რომ იგი ფაქტიურად ცარიელი ფურცელია („это представляет чистый лист бумаги“), რომ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და სომხური ინფორმაციის გავრცელებისათვის სხვა გაზეთებისათვის ასპარეზის შექმნაში სწო-

რედ იგია დადანაშაულებული („открывает простор преоблодания армянскому“...). შემდეგ მოყვანილია მაგალითი, – მაშინ, როცა რუსეთის საზოგადოებრივი ყურადღება აღმოსავლეთის საკითხებმა მიიპყრო, სომხურ ლიტერატურაში მხოლოდ იმგვარი სახით ჰპოვა ამ საკითხებმა გამოხმაურება, რომ თურქეთის სომხეთზე დაბეჭდეს სტატიებიო; ტფილისურმა რუსულმა გაზეთებმა კი ასეთ დროს იმაზე მეტი ვერაფერი დაინახეს აღსანიშნავი, რომ ალექსანდროვის ბაღში სლავიანთა სარგებლობისათვის სეირნობა გაიმართა და მაზრიდან შემოწირულობები გამოიგზავნაო („было гуляние в пользу славян и из уезда прислали пожертвования“); ბოლოს არის დასკვნა, რომლიდანაც ზუსტად ვერ ირკვევა, ითხოვს, თუ არა თავმჯდომარე (ხსენებული წერილის ავტორი) ამ გაზეთის დახურვას და ახლის დაარსებას, მაგრამ წინადადება ისეა დაწერილი, რომ, გასაგები იყოს, – თუ განახლება არ მოხდა გაზეთისა, მის დახურვას წინ არაფერი დაუდგება, – წერილში ვკითხულობთ, რომ „ყველა ამ მდგომარეობის შეჯამებას საცენზურო კომიტეტი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ რუსულ ენაზე ახალი პერიოდული გამოცემა არის საჭირო“ („Сумма всех этих обстоятельств приводит Цензурный Комитет к заключению Ного-го повременного издания на русском языке“).

„ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორი ბებუთოვი (გაზეთის ადმინისტრატორი დ. ერისტოვია; ტიპოგრაფია – ჩანცევისა), იძლევა ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ 1876 წლის 144-ე ნომერში ცენზურის გარეშე დაიბეჭდა მასალები და აქვე საუბარია იმის თაობაზე, რომ მომავალში გაშუქდება მხარის ლიტერატურულ-პოლიტიკური ცხოვრება (480-1-236). როგორც ჩანს, ეს არის გამოპასუხება კომიტეტის თავმჯდომარის კრიტიკაზე. ამ ყოველივეს ცალკე საგანგებო მსჯელობის საგნად არ ხდიან, მაგრამ კრიტიკაც ხდება და მასზე პასუხიც არის გაცემული. თავმჯდომარე გონიერი პოლიტიკოსი და დიპლომატია, იგი იმ გარემოებაზე აკეთებს ძირითად აქცენტს, რომ რუსულ პოლიტიკას კარგად არ აშუქებს „ტიფლისკი ვესტნიკი“ და ამით ხელს უწყობს იმგვარი ტენდენციის გაძლიერებას, რომ სხვა გამოცემებმა მხოლოდ ერთი ეროვნების მოსახლეობის სავაჭრო თუ სხვა საქმიანობაზე გაამახვილონ ძირითადი ყურადღება და საქართველოს ცხოვრებაში კი მხოლოდ არასერიოზული საქმიანობის შესახებ რომ წერენ, ამაზეც ახერხებს ყურადღების გამახვილებას; როცა ალექსანდროვის ბაღში სეირნობაზე წერს და, როგორც ვხედავთ, იქვე სლავიანთა სარგებლობას ახსენებს, ეს კარგად მეტყველებს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის პიროვნებაზე (ცხადია, დიმიტრი ფურცელაძეზეა საუბარი) და იმდროინდელი სახელმწიფო იდეოლოგიის თავისებურებებზეც იძლევა მსჯელობის ძალზე ფართო კონტექსტში განვრცობის საშუალებას...

ცნობილია, რომ „ტიფლისკი ვესტნიკთან“ ნ. ნიკოლაძეც თანამშრომლობდა, მაგრამ ამ გაზეთთან დაკავშირებით მისი გვარი ხსენებული წლების საცენზურო მასალებში ჯერჯერობით არ შემხვედრია.

„ტიფლისკი ვესტნიკის“ საქმეებში მეფისნაცვალი არის უშუალოდ ჩართული. საქაღალდე 480-1-240-ში დაცულია 1876 წელს კომიტეტის თავმჯდომარესთან გაგზავნილი ანგარიში იმის თაობაზე, რომ შეჩერდა იმ ყველაფრის ბეჭდვა, რაც მეფისნაცვალმა აკრძალა; იქვე, როგორც ჩანს, იმისათვის, რომ პრესაში განხორციელებულმა ცვლილებებმა განსაკუთრებული რეზონანსი არ შეიძინოს, აქცენტი კონკრეტულ წერილებზეა გადატანილი, რაც ასევე იმსახურებს ყურადღებას, – წერია, რომ მეფისნაცვალმა აკრძალა წერილები, რომლებიც „ტიფლისკი ვესტნიკში“ უნდა გამოქვეყნებულიოყო, რომ ერთი ეხებოდა ჟელეზნოვოდსკის მინერალური წყლების ჯგუფის მუშათა და სხვა თანამშრომელთა საჩივარს, მეორე – ქართულ გაზეთ „დროებიდან“ გადმობეჭდილ სტატიას, რომელშიც გურიის მოსახლეობის მდგომარეობაზე იყო საუბარი და მესამე კი – სვანეთში რაზმის მოქმედებას („действия нашего отряда в Сванетии“); შემდეგ ვხედავთ, რომ შეტევა ამ გაზეთზე ისევ გრძელდება, – კომიტეტში მოუწვევიათ კრება, რომლზეც აღუნიშნავთ, რომ „ტიფლისკი ვესტნიკი“ კორექტირებულ მასალას გვიან აგზავნის კომიტეტში და წინადადება მიუციათ მისთვის, რომ დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდე მოასწროს მასალის გაგზავნა (480-1-251); გაზეთს რაღაც შეურაცხყოფისათვის უჩივის რომელიღაც „ნადზორნი სოვეტნიკი“ (480- 1-252); ერთ-ერთი გიმნაზიის დირექტორიც უჩივის ამ გაზეთს; გუბერნატორი კი უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ხსენებულ გაზეთში ცენზურის გარეშე იბეჭდება მასალები (480-1-253).

1876 წელს მეფისნაცვალს კომიტეტიდან ატყობინებენ, რომ „ტიფლისკი ვესტნიკმა“ შეცვალა სარედაქციო პოლიტიკა, რომ იგი ხსენებული წლის პირველი იანვრიდან ყოველდღიურად გამოდის (ბებუთოვის თხოვნა ამ ნებართვის შესახებ დაცულია საქაღალდეში – 480-1-201); აქვე წერია, რომ გაზეთი გადავიდა „კალმის ამხანაგობის“ („Товарищество по пере“) ერისტოვისა და „К-о“-ს მფლობელობაში და, გამომდინარე აქედან, კანონის შესაბამისად, თანხის გაზრდის უფლებაც მიეცა გაზეთს; ამ საბუთების მიხედვით, თურმე მთელმა რედაქციამ ისურვა ცვლილება, – ამიერიდან ყველა მოვლენა გაშუქდებაო; ფულადი პრობლემებით ხსნიან ძველ შეცდომებს; რადგან გადაწყვეტილა ეს პრობლემები, ახლა ყველაზე უწინარეს, ორი დღით ადრე, „ტიფლისკი ვესტნიკი“ აწვდის მოსახლეობას ცნობებს და, რამდენადაც ეს გაზეთი და „კავკაზი“ ერთმანეთის მეტოქეები არიან, მანაც უნდა გამონახოს საკუთარი გზაო; აღნიშნულია, რომ უფრო მეტი ენერგიულობა და სერიოზულობა მართებს „კავკაზს“, რომ გაზეთმა უნდა ასახოს კანონებში მომხდარი ცვლილებები, ოფიციალური ბრძანებები, კავკასიის ყოფითი ამბები, ცნობები ვაჭრობის შესახებ; აქვე ნათქვამია, რომ მან *უნდა გააშუქოს ისტორია, რომელიც მოგონებებში და არქივებშია* შემონახული; შემდეგ რუსული ქრონიკების, რუსული განათლების, უცხოური ამბების ასახვის აუცილებლობაზეა საუბარი, ნათქვამია, რომ ფელეტონებსაც დაბეჭდავს გაზეთი... აქვეა მითითებები – რუსეთიდან „დიმიტრი პეტროვიჩის“ (ფურცელაძის) სახელზე გამოგზავნილი; როგორც ჩანს, ამ და სხვა მითი-

თებათა საფუძველზე კომიტეტში თვითონვე შეუდგენიათ სახელმძღვანელო გეგმა, რომლის თანახმად, გაზეთმა მიმდინარე ყოველდღიური მოვლენები, კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები უნდა განიხილოს; წერია, რომ უნდა შეეხოს *ეთნოგრაფიას, კულტურას,* ეკონომიკას, *კავკასიის ისტორიას,* ამასთან დაკავშირებით *დაბეჭდოს არქივებიდან ამონაწერები, ხანში შესულთა მოგონებები,* აქვე აღნიშნულია, რომ საჭიროა რუსეთში მიმდინარე მოვლენები გააშუქოს, რუსული და უცხოური პრესიდან პოლიტიკური ცნობები გადაბეჭდოს და სხვადასხვა; შემორჩენილია კომიტეტში დაწერილი სახელმძღვნელოს ის ხელნაწერი, რომელიც შემდგომში ალბათ დაზუსტდა; ფურცელი გადასათეთრებელია, რამდენიმე ადგილას წითელი ფანქრით არის გადახაზული; მაგ., ასეა წაშლილი წინადადება „Русское обозрение, Хроника русской жизни... корреспонденции из Петербурга“, ერთგან წითელი ფანქრით ჩაუმატებიათ სიტყვები: „сочинения преимущественно о Кавказе“ (480-1-258); *შესწორება კომიტეტის მაღალი თანამდებობის პირის მიერ უნდა იყოს გაკეთებული (საფიქრებელია, რომ დიმიტრი ფურცელაძეა ეს პიროვნება).* აქვე უნდა ითქვას, რომ 1876 წელს უკვე გამკაცრებულია ბეჭდვით სიტყვასთან დამოკიდებულება, მაგ., ამ წელს მეფისნაცვალი ბრძანებს, რომ სია ყველა იმ ლიტერატურისა, რაც უცხოეთიდან შემოდის, განსახილველად საცენზურო კომიტეტს უნდა გადაეგზავნოს, არსებობს იმ მასალების სია, რომლის გადმობეჭდვა არ შეიძლება უცხოეთის რუსული პრესიდან (480-1-260).

„ტიფლისკი ვესტნიკსა“ და „კავკაზზე“ თითქოს ჩერდება მძაფრი შეტევა, თუმც ჩივილი მაინც გრძელდება, მაგ., ტფილისის პროკურორი უჩივის „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორს, რომ რომელიღაც სტატია საავადმყოფოს და სასამართლოს რვაწლიანი რეფორმის შესახებ არასწორად დაბეჭდა და მის სამართებლივ პასუხისმგებლობაზე წერს (480, 1, 259).

საარქივო მასალებში გვხდება ცნობა ერთი წიგნის გამოცემის ისტორიის შესახებ. 1866 წლის 24 იანვარს ნება დაურთავთ, რომ დაბეჭდილიყო „სარკე თქმულთა“; „მილოსტივი გოსუდარ“ ივან ლაზარევიჩს სწერენ, რომ გამომცემლობაში გაურკვეველ მიზეზთა გამო წინასიტყვაობა დაიკარგა, რომ წიგნი მზად არის გამოსაცემად, მაგრამ წინასიტყვაობა აკლია და წერილის ავტორი 1870 წლის მაისში იტყობინება, რომ ხელნაწერიდან თავიდან გადაწერს შესავალს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დაბეჭდვის ნებართვა უკვე გაცემულია, ვერც გამომცემლობა და ვერც ქუთაისის საგუბერნიო ტიპოგრაფიაა ვერ დაუშვებს, რომ საცენზურო კომიტეტის ნებართვის გარეშე დაიბეჭდოს ეს შესავალი; ამის შემდეგ კი წერილის ავტორი სთხოვს „მოწყალე ხელმწიფე ივან ლაზარევიჩს“, ნება დართოს შესავლის დაბეჭდვისა და პირადად იღებს თავზე პასუხისმგებლობას, რომ ყოველ ასოს და წერტილს („до буквы и до точки“) ისეთი სახით აღადგენს წინასიტყვაობაში, როგორითაც ადრე უკვე მიეცა მას გამოქვეყნების უფლება; ამას მოსდევს ქუთაისის საგუბერნიო ტიპოგრაფიაში გაგზავნილი წერილის ასლი, რომელშიც წერია, რომ საცენ-

ზურო კომიტეტს „აქვს პატივი“, აცნობოს გამომცემელს, ვისი გვარიც მოხსენიებულია როგორც Кокра-швили, დაბეჭდოს ბროშურა სახელწოდებით „სარკე თქმულთა“, რომელიც თეიმურაზ მეორეს ეკუთვნის („Сарке Ткмулта Теймураза 2-го“ (480, 1, 62; გვ. 9)).

თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა“ გრიგოლ ქოქრაშვილის გამომცემლობაში (ქუთაისი) 1870 წელს გამოვიდა. ამ საბუთებიდან ირკვევა, რომ წინასიტყვაობის დაკარგვის გამო 4 წლით დაგვიანებულა მისი გამოცემა. ძნელი გასაგებია, ამდენი წელი რად დასჭირდა ახალი ნებართვის თხოვნას და, საერთოდ, მართლა ეს იყო თუ არა დაგვიანების მიზეზი.

1877 წელს ფოთის საბაჟოდან იწერებიან, რომ შეასრულებენ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 3 მაისს გაცემულ განკარგულებას და შიდა მიმოწერის ასლებს საცენზურო კომიტეტს გადაუგზავნიან (480, 1, 299); საერთოდ, კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სახელმწიფოში ბეჭდვითი საქმის მიმართ განსაკუთრებული გამკაცრება 1875 წლიდან იწყება, რაც, ცხადია, იმ ზემოხსენებულ რეფორმასთანაც არის კავშირში, რომლის დროსაც (1874 წ.) გაფართოვდა კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობა და მისი საშტატო შემადგენლობა გაიზარდა.

გამკაცრებასთან დაკავშირებით ყურადღებას გავამახვილებ 480-1-298 საქაღალდეში დაცულ ცნობებზე (მათი ნაწილი დაკარგულია), – კავკასიის საცენზურო კომიტეტს „სამხედრო ცენზურიდან“ („Военная Цензура“) 1879 წლის 6, ასევე 15 ივნისს, ატყობინებენ, რომ გაზეთებში სამხედრო ცენზურის გვერდის ავლით არ უნდა დაიბეჭდოს ისეთი სტატიები, ტელეგრამები, რომლებიც სამხედრო საკითხებს ეხება და ერთ გამოცემას მხოლოდ იმ გამოცემიდან ეძლევა მასალის გადაბეჭდვის უფლება, რომელსაც „სამხედრო ცენზურისაგან“ აქვს ამისი ნებართვა მიღებული; 1880 წლის 8 ივლისს გუბერნიის უფროსთან შინაგან საქმეთა სამინისტროს ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველოდან გამოგზავნილია კონფიდენციალური წერილი (წერილს აწერია „Конфиденцияльно“), რომელშიც გუბერნატორს აფრთხილებენ, რომ არ დაიბეჭდოს სტატიები, რომლებიდანაც გამოჩნდება, რომ ჩინეთის საზღვრებთან, ამურისპირეთში, მდებარე დამცავი ძალები სუსტია... ამ საბუთების ნაწილი, როგორც ითქვა, არ არის შემონახული, რაც, შესაძლოა, შემთხვევითი არც იყოს.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მუშაობის თავისებურებათა შესახებ ბევრის თქმა არის შესაძლებელი, ამჯერად მოკლე დასკვნებით სჯობს შემოფარგვლა:

დასაწყისში კომიტეტის მუშაობა განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩევა, რაც იმ ფაქტით უნდა იყოს გამოწვეული, რომ სამოქმედო გეგმები ჯერაც არ არის ბოლომდე დახვეწილი; ამ პერიოდში უფრო აქტიურობენ გარედან, რითაც საბაჟოები სხვებზე მეტად გამოირჩევიან; კომიტეტში ძლიერია ბიუროკრატია; კავკასიის ცალკეულ ეროვნებებთან მუშაობა 70-იან წლებში, ჩანს, ჯერაც დამუშავების

პროცესშია, საქართველოში ამ მხრივ შედარებითი დათბობის პერიოდი დგას, დაშვებულია ეროვნული ისტორიის, ეთნოგრაფიის შესწავლა, რითაც სარგებლობენ ადგილობრივი ეროვნული ძალები და ქართული კულტურის აღორძნებისათვის იწყებენ ზრუნვას; 70-იან წლებში ამ მიმართებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიმიტრი ფურცელაძის, დიმიტრი ბაქრაძისა და სხვათა მოღვაწეობა, რომელთა შორის მყოფთა არაერთი სახელი ალბათ ჯერაც გამოსავლენია. საცენზურო კომიტეტს განსაკუთრებული სიფხიზლე რევოლუციურად განწყობილ პირთა მიმართ ევალება. XIX ს-ის 70-იანი წლების შუალედიდან საცენზურო მუშაობა შედარებით მკაცრდება. ეს სიმკაცრე შემდგომში განსაკუთრებით სიძლიერეს მიაღწევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვერნადსკი გ. (2006), „Считаю себя украинцем и русским одновременно" (Ab Imperio, 2006, №4);

მაკუშინი ლ. (2010), Закон о печати 6 апреля 1865 г. // Известия Уральского государственного университета. 2010. № 1 (71);

პეტრუშევა ნ. (1990), Учреждение Главного управления по делам печати (1865 г.) и начало его деятельности, Книжное дело в России во второй половине XIX – начале XX в. Вып. 4, Ленинград;

როზენბერგი ვ., იაკუშინი ვ. (1905) Русская печать и цензура в прошлом и настоящем. Москва;

ფირსოვი ვ. (2000), Фирсов В. Государственное законодательное регулирование деятельности библиотек. Глава 2. СПб.;

ჩერნუხა ვ. (1988), Правительственная политика в отношении печати, 60-е – 70-е годы XIX века, Ленинград.

გოჩა კუჭუხიძე
Gocha Kuchukhidze

კავკასიის საცენზურო კომიტეტის 70-იანი წლებისა და 80-იანების დასაწყისის ზოგიერთი უცნობი მასალის შესახებ[1]

On Some Unknown Materials of 1870s and Early 1880s of Caucasian Censorship Committee

Annotation

The article studies the materials that ar kept at the National Archive of Georgia in the collection of Caucasian Censorship Committee.

The Committee's archive includes various materials, for example, the plays, unknow for wide circles of the society of Georgian writers: Alexander Kazbegi, David Dadiani, Kote Kipiani, Aghalo Tutaev (Tutashvili) and others; some of plays were banned by the Committee, as they found in them the contents unacceptable for the Russian state.

In the Committee's archive there is the manuscript written by famous Georgian poet – Akaki Tsereteli. This is his lecture, discussing Rustaveli's "Knight in the Panther's Skin". We have compared the texts of manuscript with the published one and found that there are significant differences between them.

Archive materials have revealed the fact unknown to the wide society: in 1878 famous Georgian public figure Niko Nikoladze has challenged to a duel Dimitri Purtseladze, the chairman of the Censorship Committee; the latter has refused.

In the article, we publish the photos of several Georgian manuscripts.

In the archive there were also found the paintings unknown to the society by Mikhail Chemodanov, the illustrator, widely known in 19th century Europe and later, unfortunately, forgotten; we publish few of his paintings and intend to publish whole set of the discovered illustrations.

We intend to discuss the work of Caucasian Censorship Committee of the later period in the further articles.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, საარქივო დოკუმენტები
Keywords: Caucasian Censorship Committee, archival documents

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალში „ქართული წყაროთმცოდნეობა", გამომცემლობა „უნივერსალი", ტ. XXV, 2023 წ.



ჟურნალ „გუსლიში“ დასაბეჭდად მომზადებული და ცენზურის მიერ აკრძალული ერთ-ერთი ილუსტრაცია

ნახატი, რომელიც წინამდებარე სტატიას წავუმძღვარე, ტფილისში 1881-1882 წლებში გამომავალ და შემდეგ გაუქმებულ სატირულ ჟურნალ „გუსლიში“ უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ საცენზურო კომიტეტს სხვა მასალებთან ერთად აუკრძალავს; სურათზე გამოხატულ კაცს გაზეთის პუბლიკაციები არ მოსწონს, მერე ხვდება დაწუნების მიზეზს და ამბობს: – *ა, გასაგებია, „ნებადართულია ცენზურის მიერ“*... ხსენებული ჟურნალი კავკასიის საცენზურო კომიტეტმა აკრძალა; წარმოდგენილ სტატიაში ამ კომიტეტის მუშაობის რამდენსამე ტენდენციას შევეხები.

ნაშრომში, რომელიც XIX ს-ის 70-იანი წლების კავკასიის საცენზურო კომიტეტს შეეხებოდა (კუჭუხიძე 2022-2023: 75-112), აღნიშნული გვქონდა, რომ რუსეთის იმპერიის ეროვნული პოლიტიკა სხვადასხვა რეგიონში ერთმანეთისგან განსხვავებული იყო: პოლონეთის 1863 წლის აჯანყებამ, რომელმაც პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა, ბელორუსია მოიცვა, რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის გამკაცრება გამოიწვია... პოლონეთის სამეფო გაუქმდა და 1875 წელს კი გუბერნია გახდა; უკრაინაში 1863 და 1875 წლების განკარგულებებით „მალარასიულ დიალექტზე“ სწავლა აიკრძალა, მასზე მხოლოდ სიტყვაკაზმული ლიტერატურის („изящная литература“) წერა იქნა ნებადართული და უცხო ენებიდან თარგმნა – არა; ეროვნულ ენებზე სწავლა ბელორუსიაში და ლიტვაშიც აკრძალეს... ებრაელებს ამ დროს ნება მიეცათ, იქ დასახლებულიყვნენ, სადაც მოისურვებდნენ, თუმც ებრაული სკოლები დახურეს; ფინეთის მიმართ შედარებით ლოიალური დამოკიდებულება იყო, ამ ქვეყანას ჰყავდა საკუთარი ჯარი და განათლებასაც ფინურ ენაზე ღებულობდნენ.

ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან დაკავშირებით ერთგვაროვანი პოლიტიკა ასევე არ ჰქონდათ, – ტრადიციათა შენარჩუნებაში არ უშლიდნენ ხელს, მაგრამ დაპყრობის შემდეგ ჯარს უყენებდნენ; ხდებოდა ხალხთა გასახლებები (ამ საკითხებზე იხ. მაკუშინი 2010: 94-104; პატრუშევა 1990: 27-34; როზენბერგი, იაკუშკინი 1905; ჩერნუხა 1988...).

იმპერია ქართულ კულტურას ისე არ უყურებდა როგორც განსაკუთრებული ადათ-წესების მქონე მთის ხალხთა სამშობლოს და ამ კულტურას, მით უმეტეს, ვერ აკრძალავდა; ხელისუფლებამ აქ გამოუშვა პიროვნება, რომელიც თავისი ხასიათის გამო სიმპათიას დაიმსახურებდა და იმასაც მიადევნებდა თვალს, საშიში ფორმები არ მიეღო კულტურაზე ქართველთა ზრუნვას და, რაც ძალიან აშინებდათ, რევოლუციური იდეები არ გავრცელებულიყო ხალხში. მსგავსი ვითარება იყო სომხეთსა და აზერბაიჯანში. იმპერატორი ალექსანდრე II, როგორც ცნობილია, ლიბერალური პოლიტიკის გატარებას ცდილობდა, იმპერიისათვის ისიც გასაგები იყო, მრავალსაუკუნოვან ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულსა თუ სხვა კულტურებს წმიდად სლავურად რომ ვერ გადააქცევდა (თან ამ დროს თავად რუსული კულტურა ევროპულზე იყო ორიენტირებული) და, როგორც ამას კავკასიის საცენზურო კომიტეტის საარქივო მასალათა შესწავლაც ცხადჰყოფს, 70-იან წლებში ეროვნულ კულტურას გარკვეულწილი თავისუფლება ეძლევა, ყოველ შემთხვევაში, ალექსანდრე II-ის მკვლელობამდე (1881 წ.) ასეთი სურათი ჩანს. მასალების გაცნობა იმ აზრსაც ბადებს, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტში იკრიბება წრე იმ მოღვაწეებისა, რომლებიც შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით სარგებლობენ და კომიტეტის თავმჯდომარის – დიმიტრი ფურცელაძის შემწეობით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ეროვნული კულტურის აღორძინებაში (ხსენებულ საკითხებზე ვრცლად ვმსჯელობ წერილში, რომელიც ქვემოთ არის დასახელებული და ამჯერად სიტყვას ძალიან არ განვავრცობ).


СТАРШІЙ ЦЕНЗОРЪ
ТУЗЕМНЫХЪ И ВОСТОЧНЫХЪ
ЯЗЫКОВЪ
КАВКАЗСКАГО
ЦЕНЗУРНАГО КОМИТЕТА.
Тифлисъ

კავკასიის საცენზურო კომიტეტის ერთ-ერთი ცენზორის ხელნაწერი

ცხადია, იმპერიაში სრული თავისუფლება არაა შექმნილი, – შესაძლოა, ისეთი იდეები შეიპაროს ჟურნალ-გაზეთებსა თუ წიგნებში, ამა თუ იმ ეროვნული კულ-

ტურის აღორძინების იდეას სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის მოსაპოვებლად აჯანყების საჭიროებასთან რომ დააკავშირებს; აღმოსავლური და ადგილობრივი, ე. ი. კავკასიის, ხალხთა ენების (“туземные языки”) სპეციალისტთაგან განსაკუთრებულ ყურადღებიანობას მოითხოვენ (ამ ენათა სპეციალისტის, როგორც ხელმოწერიდან ირკვევა, უფროსი ცენზორის, სოლომონ მელიქ-მეგრაბოვის, ერთ-ერთი ხელნაწერი წარმოდგენილია ჩვენს სტატიაში) და კომიტეტში მომუშავე ყველა ეროვნულ ადამიანს დიდი სიფრთხილე ესაჭიროება, რათა მსგავსი იდეები არ მოხვდეს გამოცემებში, რაც ეროვნული კულტურის საქმეს დააზარალებს და კომიტეტიდან ამ პიროვნებათა გაძევებას და პასუხისმგებაში მიცემას გამოიწვევს (ამ საკითხებზე იხ. კუჭუხიძე 2022-2023); კომიტეტში განსაკუთრებულ სიფრთხილეს, ცხადია, ისეთი მასალების მიმართ იჩენენ, სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის კრიტიკასთან და, მით უმეტეს, რევოლუციასთან რომ არის დაკავშირებული.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებს შორის ვხვდებით ცნობას (480, 1, 221), რომლიდანაც ირკვევა, რომ 1874 წელს კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დიმიტრი ფურცელაძე ინიშნება. უნდა ითქვას, რომ ეს პიროვნება დღეს ფართო საზოგადოებისთვის ერთგვარად მივიწყებულია,[1] მაშინ როცა ეკუთვნის ნაშრომები: „ქართული საეკლესიო გუჯრები“, „სათავადაზნაურო გუჯრები“, „საგლეხო გუჯრები“, „კახეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი“, „ბოდბის მონასტრის აღწერა“, „დღესასწაულნი საქართველოს ეკლესიისა“, „ანდერძი ანტონ კათალიკოსისა“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით“. ფურცელაძე იყო სასულიერო სემინარიის პროფესორი, კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საქმეთა გამგებელი. იყო ასევე კავკასიის მეფისნაცვლის მრჩეველი. მართალია, ჩინოვნიკი გახლავთ იმპერიისა, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ისტორიკოსი, ქრისტიანობის გავრცელებისათვის მზრუნველი ადამიანია, სრულიად უეჭველია, რომ ჩვენ წინაშეა თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი... ამავე საქაღალდეში ვხვდებით ბრძანებას იმის შესახებ, რომ „სტასკი სოვეტნიკი“ ბაქრაძე 1875 წელს უმცროს ცენზორად დანიშნულა (480, 1, 226).

არც ამ გვარის ხსენებამ უნდა შეაშინოს მკითხველი; – ეს არის ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე; ჯერჯერობით არ შეგვხვედრია ცნობა, რომლიდანაც დავინახავდით, რომ ეროვნულ საქმესთან დაკავშირებით რაიმე უარყოფითი მოემოქმედოს მას, – პირიქით, **ვხედავთ, ყოველნაირად ხელშემწყობი რომ არის ეროვნული საქმეებისა** და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დიმიტრი ფურცელაძეს სპეციალურად მიუყვანია იგი კომიტეტში სამუშაოდ, რათა რამდენიმე სხვა ადამიანთან ერთად ქართველ მწერალთა გამოქვეყნება გაეადვილებინა... საინტერესოა ერთი ფაქტი: 1881 წლის საბუთიდან (480, 1, 499) ვხედავთ, რომ თავად ბაქრაძის ნაშრომს, დასაბეჭდად გამზადებულ ტექსტს, ქართულად (ცენზურირების შემდეგ ქართულ ენაზე განკარგულების გაცემა, როგორც წესი, არ ხდებოდა)

აწერია: *„ბაქრაძის ისტორიის ბოლო ამოაწყეთ“;* მისი რომელიღაც საისტორიო ნაშრომის დაბეჭდვა შეუჩერებიათ; მიზეზი ჯერ უცნობია.

კავკასიის მთავარმართებლის მთავარ სამმართველოში გაგზავნილ ერთ-ერთ სარეკომენდაციო წერილში წერია, – ბაქრაძე კარგად იცნობს ქართულ მწერლობას და მზად არის, უხელფასოდ გასწიოს ცენზორობა, ამ საქმეში ადრეც მიხმარებია ცნობილ ცენზორ კაიტმაზოვსო (480, 1, 160); მთავარ სამმართველოში რეკომენდაციის გაცემა კომიტეტის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე ვერ მოხდებოდა; ჩანს, თავმჯდომარე განსაკუთრებულად ზრუნავს დიმიტრი ბაქრაძეზე, – 1876 წელს მთავარმართებლის შუამდგომლობითა და საცენზურო კომიტეტის მოწმობით იმპერატორს („Государь Император по ходатайству Великого Князья Наместника Кавказского и удастоверению Кавказского Цензурного Комитета“...) სხვასთან ერთად 300 მანეთით დაუჯილდოვებია ბაქრაძე (480, 1, 281). ცხადია, ასეთი პირისგან დაჯილდოება ფურცელაძის სურვილის გარეშე ვერ მოხდებოდა; *ფურცელაძე, კაიტმაზოვი (ყაითმაზაშვილი), ბაქრაძე და ალბათ სხვებიც ის პიროვნებები არიან, ეროვნული საქმის წინსვლას რომ უწყობენ ხელს და, როგორც ითქვა, ზოგი მათგანი ეგებ სპეციალურად ამ საქმისათვისაა საცენზურო კომიტეტში მიყვანილი; თუმც სოციალისტურ-რევოლუციურ იდეათა მიმართ მეტად უარყოფითი დამოკიდებულება რომ აქვს დიმიტრი ფურცელაძეს, ეს აშკარაა;* ცხადია, ეროვნული დამოუკიდებლობის მისაღწევად რაიმე სახის დაუმორჩილებლობის იდეასაც მკაცრად შეეწინააღმდეგება; შესაძლოა, ამ ეტაპზე კულტურის აღორძინება და სხვა ეროვნულ საქმეთა ჩუმად კეთება მიაჩნია საქართველოს გადარჩენის გზად.

70-იანი წლების დოკუმენტებში დაცულია ცნობები, რომლებიდანაც ვხედავთ, რომ ფაქტობრივად მთელი ეროვნული ლიტერატურა ცენზორთა ხელში გადის; საცენზურო კომიტეტის ნებართვით გამოდის: „ცისკარი“, „დროება“... პირველად იბეჭდება გურამიშვილის „დავითიანი“ (480, 1, 75); ნიკოლოზ ბარათაშვილის კრებულის დაბეჭდვაზე პირადად დიმიტრი ბაქრაძე ღებულობს პასუხისმგებლობას, – ერთ-ერთ საბუთში (480, 1, 265) ვხედავთ, რომ მისი რეცენზირებით, ანუ პასუხისმგებლობით, მისულა ეს კრებული მკითხველთან; საერთოდ, ცენზორთა გვარები იშვიათად ჩანს (გაურკვეველ ხელმოწერებს არ ვგულისხმობ), შემონახულ საბუთში კი კომიტეტის მიერ ხაზგასმითაა აღნიშნული, ბაქრაძის უშუალო ნებართვით რომ იბეჭდება ბარათაშვილი; ალბათ არაერთი ისეთი კითხვა გააჩინა დიდი პოეტის შემოქმედებამ, რუსეთთან საქართველოს დამოკიდებულების საკითხს რომ შეეხებოდა და ესეც იქნება მიზეზი, აღნიშნული რომ არის, ვინ იყო პოეტისთვის „მწვანე შუქის ამნთები“. მასალები, რომლებიც საქართველოს ისტორიასა და ფოლკლორს ეხება, კომიტეტში მოწმდება და 70-იანი წლების მასალათა გაცნობისას ჯერ არ შეგვხვედრია ცნობა, რომლიდანაც გაირკვევა, რომ ეროვნული სულისკვეთების გამო შეეჩერებინოთ რომელიმე, რაც, ცხადია, დიმიტრი ფურცელაძისა და მის თანამოაზრეთა დამსახურებაცაა; სამაგიეროდ უხვად გვხვდება

ცენზორთა დასკვნები, რომლებითაც იკრძალება ისეთი ნაშრომები, რომლებიც, ქვეყანაში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რევოლუციურ განწყობას ბადებს; საცენზურო კომიტეტში განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ნიკო ნიკოლაძის მიმართ: ჟანდარმერიიდან იწერებიან, რომ ამ პიროვნებაზე, როგორც რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულზე, ზედამხედველობაა დაწესებული და კომიტეტისგან ითხოვენ, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ და არ გაეპაროთ მისი სტატიები (480, 1, 142; 480, 1, 232...); იციან, რომ, ხშირად თუ გაცხადებულად მოითხოვს საგამომცემლო მუშაობის უფლებას (480, 1, 232...), არაერთ შემთხვევაში თავისი პიროვნების შეფარვას ცდილობს ნიკოლაძე; 1877 წელს ეროვნული მოღვაწეობით ცნობილ პედაგოგს – არისტო ქუთათელაძეს (ავტორს ნაშრომებისა: „პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა“, „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“, „სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის“, „საზოგადო გეოგრაფია“, „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან“, „არხეოლოგიური მოგზაურობა“, „სოფელი მარტყოფი და ხელთუქმნელი ღვთაების ისტორია“...) უთხოვია კომიტეტისთვის ნებართვა, გამოეცა პერიოდული კრებული – “Физиономия войны” („ომის ფიზიონომია“), რომელშიც მხოლოდ ერთ ავტორს უნდა ებეჭდა წერილები; „თუ საჭიროა, ავტორსაც შეგატყობინებთო“, – ამასაც დასძენს ქუთათელაძე; ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ არ იკითხავდნენ ავტორის ვინაობას, მაგრამ უკითხავთ და ქუთათელაძე ასეთ პასუხს იძლევა: „Имя автора сочинении (...) никто иной, как Н. Я. Николадзе“; არც მეტი, არც ნაკლები, ნ. ი. ნიკოლაძეა ავტორიო, – ისე „თამამად“ წერს, იგრძნობა, იმგვარი შთაბეჭდილების მოხდენა უნდა, თითქოს დარწმუნდა, რომ „გამოსწორდა“ ნიკოლაძე, რომ სახელმწიფოსათვის მოსაწონი სტატიების დაბეჭდვას აპირებს „Физиономия Войны“-ში, ვითარების იმგვარად წარმოჩენას ცდილობს ქუთათელაძე, ვითომც, უბრალოდ, ვერ გაითვალისწინა, ავტორის ხსენებაც აუცილებელი რომ იყო განცხადებაში და პირობას დებს, რომ მომავალში მოიხსენიებს ხოლმე ავტორს; მეგობრული ტონით წერს, მაგრამ კრებულის გამოცემის უფლებას მაინც ვერ ღებულობს (480, 1, 300).

ხსენებული ფაქტისა და იმის შესახებ, ფურცელაძეს უარყოფითი დამოკიდებულება რომ ჰქონდა ნიკოლაძის მიმართ, ადრეც ვწერდი (კუჭუხიძე 2022-2023: 99-102), დოკუმენტზე დაყრდნობით იყო ნაჩვენები, თუ როგორ ითხოვს ნიკო ნიკოლაძე, გამოსცეს კრებული სახელად „Капризы Пера“ („კალმის ახირებანი“), რაზეც ფურცელაძე მთავარ სამმართველოს, რომელიც ბეჭვით საქმეებთან დაკავშირებით უშუალოდ მეფისნაცვალს ემორჩილება, უგზავნის წერილს და აღნიშნავს, რომ ნიკოლაძე სტუდენტობის დროიდანაა შემჩნეული რევოლუციური იდეებით გატაცებაში, რომ ჟენევაშიც რევოლუციური ბროშურებისა და ფურცლების გამოცემით იყო დაკავებული; წერს, რომ მეფისნაცვალმა დაუშვებლად მიიჩნია საგამომცემლო საქმიანობასთან მისი დაშვება და რომ ადრე მთავარი სამმართველოს უფროსმაც მოითხოვა, ფხიზლად იყოს კომიტეტი, რათა ზეგავლენა არ მოახდინოს ნიკოლაძემ

ჟურნალ-გაზეთებზე; იქვე ვკითხულობთ, რომ, თუ დიდი თავადი (მეფისნაცვალი იგულისხმება) ნებას დართავს, იმ შემთხვევაში შეიძლება მიეცეს ნიკოლაძეს ისეთი კრებულის გამოცემის უფლება, რომელიც საცენზურო მოთხოვნებს დაემორჩილება და „Капризы Пера“ კი არა, – „Наблюдатель“ („მეთვალყურე“) დაერქმევა; 1876 წლის უწყებაში, რომელიც მთავარი სამმართველოდან გაუგზავნიათ კომიტეტში, ვკითხულობთ, რომ „მისმა ბრწყინვალებამ“ (მეფისნაცვალმა) „არ ინება“ ნიკოლაძის თხოვნის დაკმაყოფილება (480, 1, 232).

მასალებს შორის აღმოჩნდა ნიკოლაძისა და ფურცელაძის ურთიერთობის ამსახველი ერთი საინტერესო საბუთი, რომლიდანაც ირკვევა, რომ **1878 წელს ნიკო ნიკოლაძეს დუელში გამოუწვევია დიმიტრი ფურცელაძე**. ამ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე უკმაყოფილებას გამოთქვამს ნიკოლაძე, რომ მუშაობისათვის ცოტა დროს აძლევს კომიტეტი (480, 1, 333); ჩანს, ამ და სხვა ფაქტების, საერთოდ, მისდამი უარყოფითი დამოკიდებულების გამო მალე მოხდა შემთხვევა, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო, – ხსენებული წლის 21 ივლისს ნიკოლაძეს სეკუნდანტები გაუგზავნია ფურცელაძისთვის; შემონახულია ამ უკანასკნელის მიერ მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლისა და ტფილისის გუბერნატორის სახელზე იმავე დღეს დაწერილ განცხადებათა ასლები (480, 1, 235); ავტორი იტყობინება, რომ *გაზეთ „დროების“ რედაქტორმა – ნიკოლაძემ დილით 11 სთ-სა და 30 წთ-ზე ბინაში გაუგზავნა სეკუნდანტები: თავისი რედაქციის თანამშრომელი და ერევნის პოლკის (“Эриванский полк”) პოდპორუჩიკი* (ხელნაწერი გაკრული ხელითაა შესრულებული და გვარები ძნელად იკითხება; შესაძლოა, აქ ნახსენები არიან: *სლიდორსკი* და პოდპორუჩიკი *მალოვი*); რედაქციის თანამშრომლად მოხსენიებული პიროვნების გვარის დაბოლოება გადაუშლია ფურცელაძეს და ასოები ჩაუმატებია (ორ ადგილასაა ასე გაკეთებული), – ჩანს, კარგად არ ახსოვდა ამ სეკუნდანტის გვარი და მერე დააზუსტა; *„მე არ მივიღე დუელში გამოძახებაო“ (“вызова я не принял”)* – წერს იგი და დასძენს, რომ *„ნიკოლაძე კომიტეტის სხვა წევრებსაც არაერთხელ სახალხოდ დამუქრებია მოკვლით“* (ერთ-ერთ ტექსტში, იქნებ, უპატივცემულობის ხაზგასასმელად პატარა ასოთი დაუწერია გვარი, – *“николадзе неоднократно и публично угрожал смертельно и другим членам Комитета”;* თუმც, ყოველთვის არ იქცევა ასე), – *„გთხოვთ, ზომები მიიღოთ და შემატყობინოთ ამ საქმის შესახებო“* – წერს ფურცელაძე.

იმპერიის სამსახურშია დიმიტრი ფურცელაძე, დიდი თანამდებობა უკავია და ვერ ვიტყვი, რომ სასარგებლოს არაფერს უკეთებს ამ იმპერიას; *რევოლუციური იდეების წინააღმდეგი რომ არის და ნიკოლაძე რომ მართლა არ უყვარს, ეს ფაქტიც უეჭველი ჩანს; ამასთან,* **ეროვნული სულისკვეთება რომ ძლიერია მასში და დიდი დიპლომატიც რომ არის**, *ვფიქრობ, არც ამის უარყოფა შეიძლება;* ადრეც ვწერდი (კუჭუხიძე 2022-2023: 103-105) და ახლა მოკლედ გავიმეორებ: საქაღალდე 480, 1, 232-ში აღნიშნულია, რომ სომხური გაზეთი – „Мшак“ („Работник“), ჟურნალი „Ара-

рат“ კავკასიაში ვაჭრობის საქმეთა მიმოხილვისას ძირითადად სომხური მოსახლეობის როლზე ამახვილებენ ყურადღებას და ამაში მთავარ დამნაშავედ ფურცელაძეს გამოჰყავს გაზეთები – „ტიფლისკი ვესტნიკი“ და „კავკაზი“, რომლებსაც, მისი სიტყვით, მეწინავე სტატიები არ აქვს, არ შეუძლია, რუსული სიტყვა და რუსული აზრი წამოსწიოს ამ მხარეში („поднять в крае русское слово и русскую мысль“), მხოლოდ სკანდალურ წერილებს ბეჭდავს და სომხურ გაზეთებსაც ცუდ მაგალითას აძლევსო; ტფილისური გაზეთების შესახებ წერს, რომ, მაგალითად, ერთხელ იმაზე მეტი ვერაფერი დაუნახავთ აღსანიშნავი, რომ ალექსანდრეს ბაღში სლავიანთა სარგებლობისათვის სეირნობა გაიმართა და მაზრიდან შემოწირულობები გამოიგზავნა („было гуляние в пользу славян и из уезда прислали пожертвования“) და სომხურ გაზეთებში კი რუსეთ-თურქეთის ომის დროს მხოლოდ ოსმალეთის სომხეთზე დაწერეს წერილებიო; ასე რომ, თითქოს ძირითადად იმპერიის ინტერესებით ხელმძღვანელობს დიმიტრი ფურცელაძე, მაგრამ სინამდვილეში ის უფრო აინტერესებს, ქართული ცხოვრების შესახებ გაცილებით სერიოზულ პრობლემებზე რომ იწერებოდეს (თან სხვათათვის მაგალითის მთავარ მიმცემად „ტიფლისკი ვესტნიკს“ წარმოაჩენს, რითაც, საერთოდ, ტფილისური გაზეთის განსაკუთრებულ ღირსებასაც უსვამს ხაზს), ცდილობს, რომ გაზეთებს ქართული ეკონომიკაც არ დარჩეთ მხედველობის მიღმა, არაერთმა კი მეტი სერიოზულობა გამოიჩინოს; სიტყვა *სლავების* ხსენებაც მრავალგვარი განზოგადების საშუალებას იძლევა, – რუსეთიდან კავკასიაში ევროპული კულტურა უფრო ვრცელდება, ვიდრე – სლავური და **ფურცელაძეც, როგორც კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე, ეტყობა, სწორედ ამ პოლიტიკას უწყობს ხელს.**

ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, საინტერესოა 1876 წლის შემდეგი ცნობები (480, 1, 201): მეფისნაცვალს ატყობინებენ, რომ „კავკაზმა“ ფინანსური პრობლემებით ახსნა, უპირველესად არასერიოზული თემებით რომ იყო დაკავებული და გამოსწორების პირობა დადო. ჩანს, პირველად მაინც მთავარი სამმართველოდან მივიდა კომიტეტში საყვედური გაზეთის გამო, კომიტეტმა გააფრთხილა გაზეთი, თანაც ეროვნული მიზნებისათვის გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა და შემდეგ ანგარიში ჩააბარა მთავარ სამმართველოს, რომ „ტიფლისკი ვესტნიკი“ გამოსწორების გზაზეა და ახლა აუცილებელია, გაზეთი „კავკაზიც“ გამოსწორდეს, – კანონებში მომხდარი ცვლილებები, ოფიციალური ბრძანებები და ვაჭრობის ამბები მანაც სრულყოფილად უნდა ასახოსო; იქვე, თითქოს სასხვათაშორისოდ, თან როგორც სავსებით ბუნებრივი საჭიროება, ისიცაა ნათქვამი, რომ გაზეთს ევალება გააშუქოს კავკასიის ისტორია, რომლებიც მოგონებებსა და არქივებშია შემონახული... აქ გვხვდება „დმიტრი პეტროვიჩის“ (ფურცელაძის) სახელზე რუსეთიდან გამოგზავნილი მითითებები, რჩევები. ჩანს, ამ და სხვა მითითებათა საფუძველზე კომიტეტში თავადვე შეუდგენიათ სახელმძღვანელო გეგმა, რომლის თანახმად, „კავკაზს“ ევალება ასახოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები; გეგმის

ავტორი სწორედ აქ დასძენს, რომ *გაზეთის* **მოვალეობაში შედის შეეხოს ეთნოგრაფიას, კულტურას, კავკასიის ისტორიას, ეკონომიკას, დაეყრდნოს არქივების მონაცემებს, ხანში შესულთა მოგონებებს**... არქივში შემორჩენილია კომიტეტში დაწერილი სახელმძღვნელოს ის ხელნაწერი, რომელიც შემდგომში ალბათ დაზუსტდა; ფურცელი გადასათეთრებელია, რამდენიმე ადგილი წითელი ფანქრითაა გადახაზული; მაგ., **წაშლილია სიტყვები – „Русское обозрение, Хроника русской жизни... корреспонденции из Петербурга", ერთგან კი წითელი ფანქრით ჩამატებულია: „сочинения преимущественно о Кавказе"** (480, 1, 258); *შესწორება კომიტეტის მაღალი თანამდებობის პირის მიერ იქნება გაკეთებული,* სრულიად ნათელია, რომ, იმპერიისაზე მეტად, *ეროვნული პრობლემები აინტერესებს ამ საბუთის დამწერს* **(არა მარტო ქართული, არამედ ზოგადად – კავკასიური; უნდა, რომ კავკასიის ხალხთა ისტორია აისახოს, ოღონდ – ობიექტური***), ფაქტობრივად არაა საეჭვო, დიმიტრი ფურცელაძის მიერ რომ იქნება გეგმაში ცვლილებები შეტანილი და, საერთოდ,* **ის უნდა იყოს გეგმის ავტორი** *(მთავარ სამმართველოში საცენზურო კომიტეტიდან გაგზავნილ ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს თავმჯდომარე დაამტკიცებდა);* გავიმეორებ ზემოთქმულს, – იმპერიის სამსახურში დგას დიმიტრი ფურცელაძე, „ხარკის გადასახდელად" და დიპლომატიის საჭიროებიდან გამომდინარე კარგ სიტყვებს არ დაიშურებს იმპერიისთვის, მაგრამ **ეროვნულ საქმეებსაც რომ ემსახურებიან ისიცა და მისი თანამდგომებიც, ეს უეჭველია** და მათი დამსახურებაც არ ეგების დავიწყებას.

მასალების გაცნობა ცხადჰყოფს, რომ 70-იანი წლების დასაწყისში და მანამდე განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩევა კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ამ დროს უფრო აქტიურობენ საბაჟოები, რომლებიც წიგნების, ბროშურების, წერილების სიებს უგზავნიან კომიტეტს და სთხოვენ მას, გაარკვიოს, რა არის მისაღები და რა – ასაკრძალავი. სიები იმდენად დიდია, რომ მისი რაობის სწრაფად გარკვევა შეუძლებელია და კომიტეტიდან, ჩანს, დროის მოსაგებად საბაჟოებს პასუხობენ, რომ მიიღეს ეს სიები... ცენზორები დასაბეჭდად გამიზნული მასალის რეცენზირებისას გაკრული და ძნელად წასაკითხი ხელით წერენ (შესაძლოა, – იმიტომ, რათა მომჩივანი ვერ გაერკვეს, რა არ მოსწონს მასალაში ცენზორს); ჩანს, ბევრი რამ ფორმალურად მოწმდება, მაგრამ *რევოლუციური ლიტერატურის მიმართ კი განსაკუთრებული სიმკაცრეა გამოჩენილი;* ხაზგასმით უნდა ითქვას: *აჯანყების, დაუმორჩილებლობის შიში ძლიერი რომ არის ქვეყანაში, საცენზურო კომიტეტის დოკუმენტებიდან კარგად ჩანს.*

ხსენებული წლების მასალა ძალიან დიდია, დასახელებულ სტატიაში (კუჭუხიძე 2022-2023) არაერთ საკითხზე მქონდა მსჯელობა, ქვემოთ 70-იანი და 80-იანი წლების დასაწყისის კიდევ ზოგიერთ ფაქტზე გავამახვილებ ყურადღებას და უფრო სრულყოფილად კი სხვა დროს ვეცდებით საუბარს.

კომიტეტში ამ ხანების დოკუმენტია შორის გვხვდება მთავარი სამმართველოს ბრძანება, რომლის თანახმად, მაღაზიებში გასაყიდად შეპარებული ლიტერატურა უნდა ამოიღონ (480, 1, 322); იტყობინებიან, რომ იგზავნება სია დრამატული ნაწარმოებებისა (სია არაა შემონახული); ამოსაღებადაა მიჩნეული გერმანულიდან თარგმნილი წიგნი – „Очерки и картины Иоганна Шерра, Типография Родзевича; Москва, 1877), მავნე (“вредная”) წიგნადაა იგი სახელდებული; ამავე საქაღალდეში არის საბუთი, რომლითაც გუბერნატორს ატყობინებენ (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, – „შეახსენებენ“), რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1877 წლის ნოემბრის განკარგულებით ჯარისკაცთა დისლოკაციის შესახებ რაიმე ცნობის დაბეჭდვა აკრძალულია და რომ ეს ბრძანება ისეთ გამოცემებსაც ეხება, როგორებიცაა “Правительственный Вестник“ და “Русский Инвалид” (480, 1, 322); აქვე დაცულია ცნობა, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ კომიტეტში საგანგებო მსჯელობა გაუმართავთ გაზეთ “Голос”-ის 96-ე ნომერში გამოქვეყნებული იმ განცხადების გამო, რომელიც „ანნა მიხაილოვნას“ გამოუქვეყნებია და რომელშიც გამოუთქვამს მზადყოფნა, ბინაზე მიეღო მხატვრები (დასახელებულია მისამართიც; – ჩანს, სხდომის დროს დაინტერესდნენ მისამართით...) და „ნატურშიცობა“ გაეწია ხელოვანთათვის (მიუჩნევიათ, რომ შიშვლად პოზირება იგულისხმა ანნა მიხალოვნამ და ხელოვნების მსახურება ნაკლებად აინტერესებდა); გადაუწყვეტიათ, რომ *დისციპლინისა და ზნეობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე (“в интересах дисциплины и нравственности”)* მსგავსი განცხადებების გამოქვეყნება აეკრძალათ. კომიტეტიდან გუბერნატორს სწერენ, რომ გაზეთმა “Вестник Народной Помощи”-მ დიდი როლი უნდა შეასრულოს ჯარისა და ხალხის დაახლოებაში, დაჭრილთა დახმარებისაკენ უნდა მოუწოდოს ხალხს და მცდარი ინფორმაცია არ გამოაქვეყნოს; გუბერნატორს ატყობინებენ, რომ საჭიროა დაიბეჭდოს გაზეთი „Летучий Военный Листок”, რომელშიც დაჭრილთა საჭიროებებზე მოთავსდება ცნობები... საზღვარგარეთის პრესიდან მასალის გადაბეჭდვის დროს განსაკუთრებული სიმკაცრეა სახელმწიფოში დაწესებული (დოლიძე 2022-2023).



ხელნაწერი აღალო თუთაევის პიესიდან

არქივში არის მასალა, რომელშიც კავკასიის საცენზურო კომიტეტს 1875 წელს მთავარი სამმართველოდან ატყობინებენ, რომ ქუთაისის გუბერნატორის ბრძანებით იქ არსებული ერთერთი სტამბის დახურვა გადაწყდა, რომ სტამბის მეპატრონე იაკობ როზენბერგი მუშაობის უფლების გაგრძელებას ითხოვს (წერია ასე: „по просьбе еврея Якова Розенберга“) და მთავარი სამმართველო არ მიიჩნევს საჭიროდ ამ სა-

კითხში ჩარევას (რადგან ეროვნებაზეა ყურადღება გამახვილებული, ჩანს, ნაციონალურ საკითხთან ყოფილა რომელიღაც პრობლემა დაკავშირებული; – 480, 1, 289); როგორც 1877 წლის ერთ-ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, ფოთი-ტფილისის რკინიგზის სამმართველო იტყობინება, რომ ამიერიდან შეასრულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1877 წლის 3 მაისის განკარგულებას და სამსახურებრივ კორესპონდენციას გადაუგზავნის ხოლმე კავკასიის საცენზურო კომიტეტს (480, 1, 299); სხვა დოკუმენტში გამოთქმულია უკმაყოფილება იმის გამო, რომ კონსტანტინეპოლში 1876 წელს ერთ სპარსულენოვან გაზეთში დაწერილა, საბერძნეთში რუსეთის გემის გამოჩენას სიხარულით რომ შეხვდა მოსახლეობა (480, 1, 380); 1879 წელს მირზა მუსტაფა ახუნდოვი, რომელიც, ჩანს, ოფიციალური თანამშრომელი არაა კომიტეტისა და აზრის გამოთქმას კი სთხოვენ მას, იწონებს ფაქტს, რომ ტფილისის ერთ-ერთ გაზეთში (მოხსენიებულია როგორც – татарская газета "Зия", თურქულენოვანი გაზეთი იგულისხმება) სპარსი უპოვარი მოსახლეობისთვის საავადმყოფოს გახსნის შესახებ იტყობინებიან, მაგრამ უარყოფითადაა შეფასებული სტატია, რომელშიც ავტორი ცუდად ახასიათებს ერთ-ერთი ხალხის წარმომადგენლებს, – წერს, რომ ალკოჰოლს ეტანებიან ისინი და მთვრალ მდგომარეობაში მყოფნი სხვადასხვა დანაშაულს სჩადიან (480, 1, 388).

არქივში დაცული მხატვრული ლიტერატურული ძეგლებიდან **ფართო საზოგადოებისათვის უამრავი რამ არის უცნობი**, ესენია: გამოუქვეყნებელი პოემა, – წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი, ქართული და რუსულენოვანი პიესების ხელნაწერები (უმეტესი მათგანის გამოსაქვეყნებლად დაწყებულია მუშაობა); აქ არის: ალ. ყაზბეგის, დ. ერისთავის, აღალო თუთაევის (თუთაშვილი), კ. ყიფიანის, დ. მესხის, გ. კალანტაროვის, გ. კლიმოვსკის, ნ. აშენოვის, ზ. ოსეტროვის, ა. სტაპენიანის და სხვათა პიესები, თარგმანები (480, 1, 412; 480, 1, 439; 480, 1, 441; 480, 1, 442; 480, 1, 443; 480, 1, 444 , 480, 1, 538; 480, 1, 539; 480, 1, 540; 480, 1, 542; 480, 1, 542, 480,1, 543; 480,1, 480, 1, 545; 480; 1, 546...), რომელთაგან ზოგი აუკრძალავთ, ან დაბეჭდვისათვის გაუმზადებიათ, გაუგზავნიათ კომიტეტისთვის, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო არ დაბეჭდილა ისინი; ზოგი მხოლოდ დადგმის ნებართვისთვისაა გაგზავნილი... ვეცდებით, ცალკე წერილებში შევეხოთ ხსენებულ საკითხებს, ამჯერად კი მხოლოდ ერთს დავძენ:

გავრცელებულია აზრი, რომ ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც დრამატურგი, არ იყო ძლიერი მწერალი; ვფიქრობ, ამ შეხედულებას გადახედვა ესაჭიროება; მაგ., არქივში მივაგენით უცნობ პიესებს, რომელთა შორის ვოდევილებიცაა (იმხანად კომედიას და, კერძოდ, ვოდევილს უფრო აქვს თავისუფლება მინიჭებული, თუმც ტრაგედიებიც იგზავნება კომიტეტში...), ერთ-ერთი პიესა, რომელიც ***აკია*** (**და არა *აკაკია*, როგორც ჩვეულებრივ წერდა ხოლმე ყაზბეგი**) *მოჩხუბარიძის* ფსევდონიმითაა დაწერილი და რომელსაც *„ყველაფერი ბედზედ არის"* ჰქვია (ამ პიესასაც მალე იხილავს მკითხველი), ჩვეულებრივი ვოდევილია და, თუ მას ისე წავიკი-

თხავთ, რომ ხსენებული ჟანრის სპეციფიკას არ გავითვალისწინებთ, გაუგებარი დარჩება ნაწარმოების ღირსება და – ისიც, რომ **ამ ჟანრის სპეციფიკას კარგად იცნობს ყაზბეგი** და **ნიჭიერი დრამატურგიც არის**; პიესის დასაწყისში ვხედავთ კაცს, რომელიც რაღაცას წერს, შემდეგ მონოლოგს იწყებს იგი:

„უნდა გითხრათ, რომ მე ახალი შეხედულების კაცი ვარ... დიახ, ნამდვილად! ამის მიზეზით მე ჩემს ცოლს წებას ვაძლევ, რაც უნდა, ისა ქნას და სადაც უნდა, იქ იაროს... მე არა ვარ ეჭვიანი!“

როცა პერსონაჟის მეტყველებაში შეიმჩნევა თუნდ ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც წინადადებაში ბუნებრივ სახეს ვერ ღებულობს, რადგან კარგად ჩანს, რომ მხოლოდ იმისთვისაა დაწერილი, რათა მკითხველსა თუ მაყურებელს პერსონაჟის ხასიათის ან პიესის ამ ეპიზოდის შინაარსის გაგება გაუადვილოს, თუ სიტყვა ან წინადადება პერსონაჟის მეტყველებას ხელოვნურ სახეს აძლევს და შესამჩნევი ხდება, მხოლოდ მაყურებლის გასაგონად რომ იწერება (ზოგჯერ *ყოველგვარი მხატვრული დატვირთვის გარეშე* ხმამაღლა რომ დააწყებინებენ ხოლმე პიესის ავტორები ფიქრებს პერსონაჟს, რათა ადვილად გააგებინონ მაყურებელს ამ პერსონაჟის ჩანაფიქრი და შინაგანი განწყობილება, მსგავს მოვლენას ვგულისხმობ), ცხადია, ეს მწერლის უნიჭობაზე მეტყველებს; მაგრამ ვოდევილში დასაშვებია ამგვარი სტილი; იქ პერსონაჟს თავისუფლად შეუძლია, არ დამალოს, მხოლოდ მაყურებლისთვის გასაგონად რომ ლაპარაკობს, შეუძლია უშალოდ მაყურებელს მიმართოს ისეთი სტილით, რაც, ვთქვათ, დრამაში დრამატურგის უნიჭობად წარმოდგება; ყაზბეგი ამ და სხვა შემთხვევებში სწორედ ვოდევილის სპეციფიკას ითვალისწინებს და ასე აშარჟებს იმდროინდელ „თანამედროვე“ ადამიანებს, რომლებისთვისაც ზნეობას ფასი დაუკარგავს.

მასალების შესწავლა ცხადჰყოფს, რომ 80-იანი წლებიდან კომიტეტში სულ უფრო აქტიურდება და მრავალმხრივ მკაცრდება მუშაობა, *ეროვნული და რევოლუციური იდეები ხშირად ერთმანეთს უახლოვდება და ესეც უნდა იყოს ამ სიმკაცრის გაძლიერებისა და ეროვნული სულისკვეთების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების შესუსტების მიზეზი.* 80-იანი წლების საცენზურო კომიტეტის მუშაობის შესახებ ცალკე ნაშრომებია დაწერაა საჭირო, ამჯერად მხოლოდ მათი დასაწყისის ზოგიერთ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას:

კომიტეტში 1881 წელს გაგზავნილ დოკუმენტებს შორის ინახება საქაღალდე (480, 1, 489), რომლის გარეკანზეც ვკითხულობთ: “**Литературные лекции о Борсовой коже Ш. Руставели**”, შემდეგ ასეა აღნიშნული: “**автор не указан**” (ნახულია 2023 წლის 15 მაისს); ამ საქაღალდეში **აკაკი წერეთლის ხელნაწერი აღმოჩნდა**; ერთ-ერთ ფურცელზე, როგორც ჩანს, მოგვიანებით გაკეთებული მინაწერიცაა – *„აკაკი წერეთლის ავტოგრაფია“*.

არქივში ლექციის პირველი ნაწილია შემონახული. ლექცია 1881 წლის მარტში დაიწერა და „აკაკის კრებულის“ 1898 წლის მე-5 და მე-6 ნომრებში დაიბეჭდა;

აკაკიმ იგი ტფილისში, არწრუნის თეატრში, 1881 წლის 19 მარტს წაიკითხა და ლექციების ანგარიში „დროებაში“ გამოაქვეყნა (1881, № 10); ეკატერინე გაბაშვილი იგონებს, რომ ეს ლექციები 1887 წელს ასევე ტფილისში რუსულ ენაზეც წაიკითხა აკაკიმ („ლიტერატურული საქართველო“, 1938, №10), რასაც საქვეყნოდ ცნობილი პოლემიკა მოჰყვა; ლექციები გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ წერილში – „აკაკი წერეთელი და ვეფხის-ტყაოსანი“ („ივერია“, 1887, №№75, 76, 77), – არ დაეთანხმა ავტორს, რომლის თანახმად, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქართველ ტომთა წარმომადგენელნი არიან, რასაც აკაკის პოლემიკური პასუხები მოჰყვა ჯერ ცალკე ბროშურაში – „რამდენიმე სიტყვა ბატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ ვეფხის-ტყაოსნის გამო“ (1887, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა), შემდეგ – ზემოხსენებულ ჟურნალ „აკაკის კრებულში“ (1898, №5, 6); (წერეთელი 1960: 411-412).

აკაკის ტექსტს ამჯერად **უმთავრესად** დავუკვირდები როგორც *საცენზუროდ გაგზავნილ ვარიანტს:* საინტერესოა, რა თავისებურებებით გამოირჩევა იგი, მოჩანს თუ არა სადმე ცენზორის მიერ წითელი ხაზები გასმული, რაც იმის აღსანიშნავად კეთდებოდა, რომ მიუღებელია წინადადებაში რაღაც, არის თუ არა ცენზორის მინაწერი; საერთოდ, როგორი განწყობილებით დაწერილის შთაბეჭდილებას ტოვებს ფურცელი (წარმოდგენილ სტატიას ავტორის ხელნაწერთა ფრაგმენტებსაც ვურთავ).



აკაკი წერეთლის ხელნაწერი

ხელნაწერი სამუშაო ფურცლების შთაბეჭდილებას ტოვებს, ავტორს არ გადაუთეთრებია იგი. *შესაძლოა, ლექციის წაკითხვის შემდეგ,* მით უმეტეს, რომ დაბეჭდვას აპირებდა და ევალებოდა, კომიტეტიდან მოითხოვეს ამ გახმაურებული ლექციის გაგზავნა და შეასრულა აკაკიმ ეს მოვალეობა, თუმც დიდი მონდომება რომ არ გამოუჩენია, ამაზე ავტორისეული გადახაზულობებითა და ჩამატებებით სავსე ფურცლის გაგზავნის ფაქტი მიანიშნებს. ცენზორის მიერ ფურცელზე წითელი ხაზი არსად ჩანს. ეტყობა, მკაცრად არ განუხილავთ ლექცია. ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ იმ თვალსაზრისით არც შეუმოწმებიათ იგი, რისი დაბეჭდვა შეიძლებოდა და რისი – არა, იქნებ ძირითადად იმით დაინტერესდნენ, რამ გამოიწვია აჟიოტაჟი, რატომ აკრიტიკებდა ქართველებს (ცხადია, – სიყვარულით) მათი დიდი პოეტი, რატომ დაესხნენ მას თანამემამულეები თავს. საუბარმა ქართველთა უარყოფით

თვისებებზე, რაც *დრო-ჟამის მიერ მოტანილად მიაჩნია აკაკის,* შესაძლოა, ინტერესი გამოიწვია კომიტეტში. ეს ლექცია ერის ხასიათის შესწავლაშიც მიეხმარებოდა იმპერიის მესვეურებს (სხვა საკითხია, რამდენად სწორია აკაკისეული ანალიზი).

აკაკი წერეთლის მუშაობის პროცესი შეიძლება გაცოცხლდეს ჩვენ თვალწინ ამ ხელნაწერზე დაკვირვებისას და საცენზურო კომიტეტის მიმართ მისი დამოკიდებულების რაგვაროვნებაც გამოჩნდეს კიდევ ერთხელ; მრავალმხრივაა აკაკის ეს ტექსტი საყურადღებო და არაერთ შემთხვევაში სხვადასხვა კუთხიდანაც შევხედავ მას.

ცნობილია, რომ ლექციას აკაკი წერეთელი იწყებს „იგავ-არაკით“, რომელშიც ყვება ამბავს ერთი „ისპანიელი“ მონადირისა, რომელმაც ტყის მცველს ღამის გათევა სთხოვა და, როცა ამ მცველმა სახელი ჰკითხა, იმდენი სახელი წარმოთქვა მონადირემ, ტყის მცველს ეგონა, ბევრი სტუმარი ეწვია და ამდენი ადგილი კი არ ჰქონდა ქოხში; ეს ამბავი საქართველოს ბედს აგონებს აკაკის, – მის სამშობლოსაც, ამ მონადირის მსგავსად, ბევრი სახელი ჰქვია, – ხან იბერიას ეძახიან მას, ხან გეორგიასა და სხვასა და სხვას და ამიტომ არ იცნობს მსოფლიო; ტექსტის კითხვისას, მის დასაწყის ნაწილში, აკაკი წერეთლის ის სერიოზული და, ამავდროულად, კვიმატი განწყობილებაც იგრძნობა, წერის დროს რომ ჰქონია დაუფლებული; *დაბეჭდილ* ტექსტში ვკითხულობთ:

„ტყის მცველმა ჰკითხა – ვინ ხარო? და მონადირემ უპასუხა: მე ვარ... დონ-ხოსე-მარია-დე-ტრავანოს-დე-ცესპოლოს დე-კორდოვა-მარკიზ-დი-ტროს-მონტეს და სხვა. ერთი სიტყვით ორმოც სახელამდი ჩამოუთვალა“ (წერეთელი 1960: 66).

ხელნაწერში შემდეგი იკითხება:

„მონადირემ უპასუხა: მე ვარ პეტრე – პავლე – სვიმეონ – იზანე – ალოიზ დომინიკო – უხსანციასკი (? – გ. კ.) *და სხვ. და სხვა“.*

სახელები გამოუგონია აკაკის, შემდეგ შავი მელნით, როგორ ჩანს, – უკვე დაწერილ ტექსტში, წაუშლია ეს სახელები და მათ ზემოთ დაუწერია:

„მე ვარ... დონ ხოსე – მარია – დე ლოპეზ – დე ტრავანოს – დე ცესპოდოს – დე კორდოვა – მარკიზ დი ტროს – მონტეს და სხვ. ერთის სიტყვით ორმოც სახელამდი ჩამოუთვლია“.

ალბათ გაიაზრა, რომ მოციქულთა სახელების ხსენება სახუმარო კონტექსტისთვის არ იქნებოდა შესაფერისი და სხვა სახელები ჩამოუწერია მონადირისა.

ხელნაწერისა და დაბეჭდილი ტექსტების მონაცემთა შესახებ ამა თუ იმ ასპექტიდან მსჯელობა ცალკე ნაშრომებშია საჭირო, ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას:

„თურქ–სელჯუკნი არა ერთ გზის მოზვირთებულან საქართველოზედ ჩინგის ყაენების, ლანგ თემურების და მათის მძვინვარე ნოინების წინამძღოლობით“.

დაბეჭდილ ტექსტშია – *„წინამძღოლობით“* და არა – *„წინამძღოლობით“;* სიტყვა *„თურქნის“*შემდეგ დაწერილი მძიმე წაუშლია და ტირე (არა – დეფისი) დაუწერია აკაკის; ძნელია დაზუსტებით თქმა, *„ჩინგის ყაენების“* წერია თუ – *„ჩინ-*

გისყაენების“; სიტყვა *„თემურ“* ასევე წაუშლია და დაუწერია: *„ლანგ თემურ“*; პრომეთეს ახსენებს, – წერს, რომ ის იყო *„ისეთივე ზვიადი და შეუპოვარი, როგორც თვით კავკასიის ქედი“* და ვხედავთ, *რომ* სიტყვა *„ზვიადი“* შემდეგაა ჩამატებული; ერთგან დაუწერია *„პრომეტეოსს გვიხატავს საქართველო“,* შემდეგ *„საქართველო“* წაუშლია, დაუმატებია: *„კავკასიის ქედს ფეხთით გაშლილი, ტანჯული მრავალ გვარად და წამებული“* და ამის შემდეგ თავიდან დაუწერია სიტყვა – *„საქართველო“;* ერთგან თუ *„პრომეტეოსს“* წერს, სხვა შემთხვევაში *„პრომეთეოსისთვის“* იკითხება *(„არ დარჩენილა ხალხი, რომელსაც როგორც შავ ყორანს პრომეთეოსისთვის, საქართველოსთვის არ ჩაევლოს გულ-ღვიძლში ხელი“);* ტექსტი ასეთი სახით დაუბეჭდავს აკაკის:

„იმ ისპანიელი მონადირისა არ იყოს, ერთი სახელწოდება თავის დღეში არა ჰქონია. ეძახდნენ: მოსოხი, მესხი, იმერი, ამერი, ივერია, კოლხიდა, ალბანია, გეორგია, გრუზია, კარდოანი, თობალი, ხალიბი, მაკრონი, ქართლი და სხვ. და სხვ.“ (წერეთელი 1960: 68);

ჩვენ წინ მდებარე ხელნაწერში ვკითხულობთ:

„ერთი წოდება თავის დღეში არა ჰქონია... ამას ეძახდნენ: გოგი (ეს სიტყვა გადაშლილია; – გ. კ.), *მოსოხი, მესხი, იმერი, ამერი, ივერია* (სიტყვა „ივერია“ წინადადების ზემოთ არის ჩამატებული; წინადადების თავზე სიტყვა „იბერიაც“ ჩაუმატებია და მერე ორი ხაზით გადაუშლია იგი; – გ. კ.), *კოლხიდა, ალბანია, გეორგია, გრუზია, ქართლი* (სიტყვა „ქართლი“ წაუშლია; – გ. კ.), *კარდანი, თობალი, ხალიბი, მაკრონი* (ეს ბოლოხსენებული ოთხი სიტყვა წინადადების ზემოთ არის ჩამატებული; – გ. კ.) *და სხვ. და სხვ.“*

ამჯერად „ქართლთან“ და „ალბანიასთან“ დაკავშირებული საკითხები იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს; „ქართლი“, შესაძლოა, იმიტომ წაშალა, რომ ეს საკუთრივ ქართულ წყაროებში მოხსენიებული ლექსემაა და უცხოელები ნაკლებად იცნობდნენ ამ სახელით აღმოსავლეთ საქართველოს; „ალბანია“ რომ ქართლი არ იყო, ეს, ცხადია, იცოდა აკაკი წერეთელმა, – საფიქრებელია, რომ, როგორც მას მიაჩნია, უცხოურ წყაროებში ქართლი და ალბანეთი ზოგჯერ ერთმანეთშია არეული და ამიტომ ახსენა ეს სიტყვა.

ისევე, როგორც ლექსში – „ჩანგური“, საქართველოს „ჩანგურის“ სიმებს უდარებს აკაკი („ჩანგურთან“ ერთად „ჩონგურსაც“ ახსენებს, ასეა დაბეჭდილ ტექსტშიც):

„როდესაც ეს სიმები ცალ-ცალკე, თავ-თავის საკუთარ ხმებითა ჟღერენ ერთსა და იმავე დროს შეერთებულად, შეთანხმებულად, მაშინ მოისმის სასიამო გარმონიული სამუსიკო ძლიერი რამ ხმა“ (დაბეჭდილ ტექსტშია: *„საკუთარი ხმითა ჟღერენ ერთსა და იმევე დროს, შეერთებულათ, შეთანხმებულათ“;* – წერეთელი 1960: 71).

ხელნაწერში ვკითხულობთ:



აკაკი წერეთლის ხელნაწერი

„როგორც ჩონგურს სიმები, ისე საქართველოს სხვა და სხვა მხარეები, სხვა და სხვა კუთხეები აქვს მიბმული: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, ლაზისტანი“...

ამის შემდეგ დაუწერია *„და სხვა და სხვ.“*, მაგრამ, ეტყობა, უფრო მეტი მხარის ხსენების სურვილი მოეძალა დუტუ მეგრელთან დაცული თანამიმდევრობით სახელთა ჩამოთვლისას, წაუშლია სიტყვები: *„და სხვა და სხვ.“* და საქართველოს ორი კუთხეც უხსენებია: *„ფშავი, ხევსური და სხვ. და სხვ.“;* შემდეგ ასე განაგრძობს აკაკი:

„თვითეულს ამ მხარეთაგანს სხვა და სხვა ბუნების გავლენით, თავის საკუთარი ჩვეულება, ზნე და საკუთარი ცხოვრების პირობაები აქვს. კერძოთ, ცალცალკე ძალასა და მნიშვნელობას მოკლებული“ (ჯერ დაუწერია სიტყვა *„მოკლებულად“,* რომელიც წაუშლია; *„მოკლებული“*-ს ნაცვლად წერებულა *„მოკლებულია“* და ბოლოკიდური *„ა“* წაუშლია; დაბეჭდილ ტექსტშია *„მოკლებულნი“;* წერია „პირობები“ (წერეთელი 1960: 71); ხელნაწერში, როგორც ვნახეთ, – *„პირობაები“* იკითხება.

ავტორს სხვაც, არაერთი, შესწორება აქვს გაკეთებული:

„არ შემიძლია გაკვრით არ მოვიხსენიო, რომ საქართველოს ძველად ჭირში გამაგრება და სრულიად აღმოუფხვრელობა ამ სხვადასხვა ფერობის ბრალი იყო“.

სიტყვები: *„ძველად ჭირში გამაგრება“* შემდეგ არის მიწერილი იმ სიტყვების თავზე, რომლებიც გადაუშლია აკაკის: – *„ძველი ძლიერება“.*

შემდეგ ვკითხულობთ:

„დაბლა ბარში სიცხე უდგათ, მაღლა მთაშიდ ყინვა იყო“.

სიტყვა *„ბარში“* ჩამატებულია; ეწერა *„ზამთარი ჰქონდათ“,* რაც წაუშლია აკაკის; დაბეჭდილ ტექსტშია:

„მაღლა, მთაში ყინვა იყო“ (წერეთელი 1960: 72).

როგორც ითქვა, მუშაობის პროცესი ცოცხლდება ჩვენ თვალწინ აკაკი წერეთლისა და ამითაც არის საინტერესო ხელნაწერების მონაცემთა დეტალური გაცნობა; ხსენებულ საკითხებზე ამჯერად ვრცლად აღარ ვისაუბრებ, ერთ გარემოებაზე კი, ვფიქრობ, საჭიროა ყურადღების გამოკვეთა:

აკაკი, ისევე, როგორც ლექსში – „ავადმყოფი“, წერს, რომ საქართველოს სძინავს, რომ არ მომკვდარა და მხოლოდ ისვენებს; როგორც ჩანს, ზეპირად ახსოვს და ოდნავი სახეცვლილებით მოჰყავს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები ლექსიდან – „არ უკიჟინო სატრფოო“ *(„მინდა, რომ მზე ვიყო – ქვეყნის მნათობი და ქვეყნის განმაცხოველებელი, სალამოს მიტომ ჩავიდეო, რომ შევისვენო, შევასვენო ბუნება და მეორე დღეს უფრო ძლიერად ამოვიდე და უკეთ გავანათლო ქვეყანა“* (დაბეჭდილ ტექსტშია – *„გავანათო ქვეყანაო“);* ამ ადგილებში ყურადღებას იპყრობს ლექციის ეს ადგილი, რომელიც ამგვარად არის გამოქვეყნებული:

„ამ უკანასკნელი საუკუნის დასაწყისს დაიძინა საქართველომ, მაგრამ ეს ძილი არის სამკურნალო, დროებითი შესვენება“ (წერეთელი 1960: 72).

ხელნაწერიდან ვხედავთ, რომ სიტყვები – *„ამ უკანასკნელი საუკუნის დასაწყისს“* მერე ჩაუმატებია აკაკის, ისინი მის მიერ წაშლილი ამ გადახაზული სიტყვების თავზეა დაწერილი:

*„ეს ოთხმოცი წელიწადია რაც რუსეთის წყალობით დაიძინა საქართველომ, მაგრამ ეს ძილი არის სამკურნალო, დროებითი შესვენება“ (*გვ. 3ა).

ჟურნალ „გუსლიში“ დასაბეჭდად გამზადებული და ცენზურის მიერ აკრძალული ერთ-ერთი ილუსტრაცია (მხატვარი – მიხეილ ჩემოდანოვი)

ეს შესწორება, განსხვავებით ესპანელი მონადირის სახელთა ჩამოთვლისას გაკეთებულისა, შავი მელნით არაა შეტანილი, წერის პროცესში, ან დაწერიდან ძალზე ახლო პერიოდში, გაკეთებულს ჰგავს; აქ გამოკვეთილად უნდა ითქვას: – *ვერ ვიტყვი, რომ ცენზურის შიშით ასწორებს ამ ადგილას რაიმეს აკაკი, – ცენზორთა შიში რომ ჰქონდეს, ალბათ ისე დაწერდა, რომ არც წარმოჩენილიყო შესწორებები...* შიში რომ ძალიან არ აწუხებს, ეს, როგორც ზემოთაც ითქვა, იქიდანაც ჩანს, გადაუთეთრებელი, სამუშაო ფურცლები რომ არის გაგზავნილი კომიტეტში.

საინტერესოა ისიც, ძილის შესახებ სხვა ცვლილებებიც რომ გაუკეთებია პოეტს: *„დღემდის ეძინა“* (*„ეძინა“* შემდეგაა ჩამატებული), *„მოსვენებაში იყო, ეძინა“* (აქ წაუშლია

ბოლოხსენებული სიტყვა – *„ეძინა“*), *ზოგიერთებმა ეს ძილი სიკვდილად მიიღეს, ხელი აიღეს იმისგან, უარს ყვეს არა თუ მისი წარსული და მომავალი, – მისი ენაც კი დაივიწყეს. მაგრამ დღეს დროთა ვითარების შემწეობის ვშ* (ძნელი სათქმელია, რად წერია *„ვშ“*, – რა სიტყვის დაწერას აპირებდა აკაკი; – გ. კ.) *ახლად იღვიძებს საქართველოს ყოველი კუთხე“* (ამ ადგილას, შესაძლოა, სიტყვაა გამორჩენილი და უნდა ეწეროს „შემწეობის ძალით“, ან – „შემწეობით“, ან – რაიმე სხვა... დაბეჭდილ ტექსტშია *„შემწეობით ახლათ იღვიძებს“* (წერეთელი 1960: 72); – ენათმეცნიერების კუთხითაც არის საინტერესო აკაკის ხელნაწერისა და დაბეჭდილი ვარიანტის შედარება, – საყურადღებოა, რომ, როგორც ეტყობა, „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნების დროს შეიცვალა სიტყვა ასეთი სახით („ახლათ“), ხელნაწერში კი (არა – ყველგან) *ვითარებითი ბრუნვის იმ ნიშანს ხმარობს აკაკი, დღეს ნორმად რომ არის მიჩნეული.*

რაც შეეხება ამ წლების ზოგიერთ სხვა დოკუმენტს:

კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივში ინახება დოკუმენტები, რომელიც ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონეა; ეს არის **სატირული ჟურნალი „გუსლის“ აკრძალული მასალები** (480, 1, 498). როგორც ზემოთ ითქვა, „გუსლი“ ტფილისში 1881-1882 წლებში გამოდიოდა, რედაქტორი იყო რუსი პოეტი და მთარგმნელი ივან თხორჟევსკი (1843-1910). 70-იან წლებში იგი მეუღლესთან ერთად ტფილისში დასახლდა და გამოსცემდა სატირულ ჟურნალს – „ფალანგა“, რომელიც 1881 წელს აკრძალეს და თხორჟევსკიმ იმავე წელს დააარსა რუსულენოვანი ჟურნალი – „გუსლი“, რომლის აკრძალვის შემდეგ რედაქტორობდა სხვა ჟურნალს – “Аргонавт”; არქივში შემონახულია „გუსლის“ რედაქციის მიერ გამოსაცემად უკვე გამზადებული ანაბეჭდები (ეტყობა, რომ კიდევ ერთხელ შესატანი კორექტურული შესწორებები-ღა სჭირდებოდა მას), რომელიც აუკრძალავთ... რედაქციასთან თანამშრომლებდნენ: ნიკო ნიკოლაძე, დავით ერისთავი...

ჟურნალში გაშარჟებულია განათლების სისტემა, ჩინოვნიკურ სამყაროში გამეფებული ცხოვრების წესი, სიღარიბე; რევოლუციის მიმართ სიმპათიაშიც დებენ ჟურნალს ბრალს; ხალასი იუმორია მასში და სერიოზული განწყობაც გაიელვებს ხოლმე. როგორც ვამჩნევთ, იმპერია აღმოსავლური დესპოტური ტიპის სახელმწიფოდაა წარმოჩენილი და ძლიერი ევროპეიზმის მოსურნეა რედაქცია (ეს უძრაობა აქ წარმოდგენილ იმ აკრძალულ მრავალფიგურიან ნახატშიცაა წარმოჩენილი, რომელსაც ახლავს წარწერები: “Замедление свободного движения” /„თავისუფალი მოძრაობის შენელება“, “Величественный покой / Начало движения” – „დიდებული სიმშვიდე / მოძრაობის დასაწყისი“); საქაღალდეში ინახება ერთი გვერდი ფელეტონისა, რომელშიც იწყება თხრობა იმის შესახებ, თუ როგორ ინატრა ერთმა „მგრძნობიარე ჩინოვნიკმა“, ახალი უფროსის მიღება და ძველის გაცილება ერთდროულად რომ ხდებოდეს და ამ, როგორც ტექსტშია ნათქვამი, „ღრმააზროვან შეხედულებას“ იმით ხსნის, რომ გაცილების გამო „ცრემლთა ღვრა“ და შეხვედრისგან გამოწვე-

ული „აღტაცება“ ერთდროულად იქნება გამოხატული და დროცა და ენერგიაც ნაკლები დაიხარჯება; თან, ახალი უფროსი გაიგებს, ტირილი კარგად რომ ეხერხებათ თანამშრომლებს და სამსახურის მომავალი დატოვების შიში იმდენად არ დატანჯავს... სატირულ პიესაში „რუსლანის შეხვედრა თავთან“, რომელიც, ცხადია, პუშკინის „რუსლან და ლუდმილაზე“ რემინისცენციითაა დაწერილი, დახატულია მთვარით განათებული მინდორი, რომელზეც აღმოსავლეთისაკენ გადახრილი ფოთლები მოჩანს (“листы растущие в восточном направлении”, ომონიმური მნიშვნელობა მიუციათ აქ სიტყვისთვის “листы”, – მცენარის ფოთლებსაც გულისხმობს ამ წინადადებაში სიტყვის ასეთი ფორმა და – ქაღალდის ფურცლებსაც) და შემდეგ ვხედავთ, რომ ლაპარაკია გაზეთებზე: “Московские Ведомости”, “Рус. Киевлянин”, “Минута” და სხვ.); მინდორში ადამიანის უზარმაზარი თავია წამომართული (ფრჩხილებში ახსნილია, რომ ეს გახლავთ „ლიტერატურული თავი“), რომელზედაც ბუები, ზარნაშორები, ვამპირები და სხვანი, მსგავსნი, დაბუდებულან; მალე შემოდის გმირი რუსლანი და უეცრად სიმღერას იწყებს იგი და სიმღერის სიტყვებიდან ცხადი ხდება, აღმოსავლური უმოქმედობა (“нега”), არაფრის კეთების სურვილი და უდაბნოსეული სიზანტე რომ გამეფებულა ამ მიძინებულ გარემოში: “Я внимаю больше восточной неги верный раб” (აქვე უნდა ითქვას, – რუსული არქაიზმები, სასაუბრო მეტყველება და სიტყვათქმნადობანიც გვხვდება ამ ტექსტებში); მერე მგზნებარედ ამას შესძახებს გმირი რუსლანი: “О, поле, поле!” (ისევ პუშკინის სიტყვათა ნაწილის გამეორებაა: “О поле, поле, кто тебя усеял мертвыми костями”; პუშკინისეული რუსლანი ბოროტი ჩერნომორის მიერ დახოცილ ადამიანთა ჩონჩხებს შეჰყურებდა, – მინდვრად მიმობნეულთ, „გუსლისეული“ რუსლანი კი, როგორც შემდეგ ვნახავთ, სახელმწიფო სისტემის მიერ განადგურებულ მეცნიერებას ხედავს); მთვლემარე თავი, „ჩერნომორის“ მიერ მოკვეთილი და მაინც ცოცხლად დარჩენილი, თვალთ წამოახელს, – „ვინ ხარო“, – ეკითხება გმირს, რომელიც თაყვანსა სცემს ბრძენ თავს და მიუგებს, რომ ლუდმილასთან ერთად ეახლა და მისგან რჩევის მიღებაზე ოცნებობს; და მაშინ დამოძღვრავს მას თავი, – ურჩევს, ნოტა „დო“ ცხვირში იმღეროს გმირმა რუსლანმა (მეტი „სიბრძნის“ გაღება უკვე აღარ ძალუძს)...


Перестанемте пожалуйте
Покорямся-ка терпѣнію;
Подождемъ-ка:—счастье явиться
Къ намъ по щучьему велѣнію.
Минетъ все; пройдутъ всѣ болѣзни;
Знаю я натуру русскую:—
Всѣ она забудетъ горести
За полштофомъ и закускою...
Если-жъ вдругъ скандалы шумные,
Подлость, ложь, инстинкты звѣрскіе,
То вѣдь есть-же люди умные:
Есть Суворинъ, есть Мещерскіе...
Вспоминать не надо радостей...
Времена, ей богу, славные:
Впереди вѣдь много радостей...
Не тужите, Православные!

ჟურნალ „გუსლიში“ დასაბეჭდად გამზადებული და აკრძალული ლექსი

აკრძალულ მასალათა შორის ლექსებიცაა:

***

Не одобрая наши темы
Нам предложили ряд реформ,
“Давайте вы без лиц поемы,
Давайте образа без форм”.

***

Гусляры это исполняют;
Но вряд-ли толку много в том;
“В тумане то предполагают,
что каждый хочет видеть в нем”.

მიხეილ ჩემოდანოვის ილუსტრაცია

ამ ლექსიდან ირკვევა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ, „გუსლიართა“ თქმით, მათ მიმართ.

აქ გვხდება ლექსი, რომელშიც სატირაზე მეტად სევდაა გამოხატული (“как струны, натянуты нервы больные”), მასში ასევე მიჩნეულია, რომ აღმოსავლეთის სახელმწიფოს ჰგავს რუსეთი და უდაბნოს ქვიშაში აქვს თავი ჩარგული (“и взор свой с тревогой вперив на восток / старается глубже зарыться в песок”); ერთ-ერთ ლექსში (მისი ფოტოცაა ამ სტატიაში წარმოდგენილი) ირონია ჭარბობს; გვხვდება ლექსი (“Песня Узника”), რომელსაც ბოლოში ა. დნეპროვსკი აწერია და ფრჩხილებში კი აღნიშნულია – “С Волгарского”; მასში თავისუფლებაზე პატიმრის ოცნებაა გამოხატული და იუმორი არ ჩანს: “Но на воле, как божия птица, / Я-б запел песню чуждую” (“чуждую”-ს გვერდით ცენზორს რატომღაც სიტყვა “мухи” მიუწერია...); ლექსებს შორის გვხვდება ერთი, რომელშიც ტფილისის მიმართ პატივისცემა იგრძნობა (ჟურნალის შემოქმედებს ცოტა ხანს მაინც მიეცათ აქ მუშაობის საშუალება...), მაგრამ აღნიშნულია, რომ „გუსლის“ შესახებ ჭორები მოდის და ტფილისიც მღელვარებით უსმენს ამ ჭორებს (“Тифлис внимает волнуясь”)...

ერთ-ერთ წერილში ნათქვამია, რომ ოდესის სახელგანთქმულ, ძველი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტში სამსახური დაატოვებინეს ისეთ დიდ მეცნიერებს, როგორებიც არიან: მეჩნიკოვი, პრეობრაჟენსკი, პოსნიხოვი, გამბაროვი, კოვალევსკი, რომლებიც სულის შემხუთველ გარემოს (ენის მიტანა, დაბეზღება...) ვერ შეეგუვნენ და, ნამდვილ მეცნიერთა ნაცვლად, „საცოდავი კომპილატორები“ (“жалкие компи-

латоры") და „გამოცდილი საქმოსნები" ("опытные дельцы") გააბატონეს იქ; ჩამოთვლილია მათი გვარები... აღნიშნულია, რომ ხუთი სტუდენტი დაბრუნების ნებართვის გარეშე გააძევეს უნივერსიტეტიდან და თორმეტს კი სწავლის უფლება შეუჩერეს; არც ამ სტატიას ახლავს იუმორი და ისიც, ისევე, როგორც მთელი მასალა, აკრძალულია; როგორც ჩანს, სწორედ ამ კონკრეტულ მასალათა განხილვის შემდეგ დაუხურავთ „გუსლი".

ტალანტით სავსე ადამიანთა მიერ არის მომზადებული ეს ჟურნალი და დიდი ნიჭი ჩაუხშვიათ მისი აკრძალვით.

ჟურნალის თანამშრომელთა შორის არაერთია ნიჭიერი ილუსტრატორი; ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას:

იმხანად რუსეთისა და მთელი ევროპული მასშტაბით ძალზე ცნობილი იყო დიდი ტალანტის მქონე მხატვარი – მიხაილ ჩემოდანოვი (1856-1908), რომელიც ასევე ჩამოსულა ტფილისში, „გუსლიში" ილუსტრაციებს ბეჭდავდა და განათლების დონეს, სოციალურ მდგომარეობას, საერთოდ, სახელმწიფოს ჩამორჩენილობას აშარჟებდა (წინამდებარე სტატიისთვის დართულ ერთ-ერთ ილუსტრაციაში, რომელიც ჩემოდანოვს ეკუთვნის, სწორედ სიღარიბის და ასეთი ყოფისაგან გაქცევის სურვილით აღსავსე ის ადამიანები არიან დახატულნი, გამხდარ ცხენშებმულ ურემზე რომ ცდილობენ მოთავსებას და ყველანი კი ვერ ეტევიან... ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების" პერსონაჟის მიბაძვით რომ ვთქვათ, ასეთი ურმებითა და „პოვოსტკებით" სიარულის გამოა, შორს რომ „არის წასული" სახელმწიფო).

მხოლოდ მხატვარი არ ყოფილა მიხაილ ჩემოდანოვი, – ექიმი იყო, რუსეთში სამეცნიერო სტომატოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლადაა ცნობილი; შემონახულია ისტორიული მნიშვნელობის მქონეა მისი სამეცნიერო ნაშრომები; სამედიცინო წიგნებს ასურათებდა კიდეც.

რევოლუციურ იდეათა მხარდამჭერადაა მიჩნეული ეს პიროვნებაც.

ტფილისიდან წასვლის შემდეგ პოლიტიკური ხასიათის ილუსტრაციების ხატვის გამო რუსეთში დააპატიმრეს, საკანში პლევრიტით დაავადდა და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გამართვამდე გაათავისუფლეს, მალე გარდაიცვალა.

როგორც ილუსტრატორს, ჩემოდანოვს, ჰქონდა ფსევდონიმები: **დობრომისლოვი, მ. ლილინი, ლილინი, ემჩე, იქსი, იგრეკი, ი. გრეკი, სტრუნა, ჩერვი**...

ძალზე შთამბეჭდავია, მაგალითად, ერთ-ერთი ნახატი, რომელიც, აშკარაა, რომ, „გუსლიში" დასაბეჭდად გამზადებული „რუსლანის" ილუსტრაციაა **(საქართველოს ეროვნულ არქივში შემონახული**, სხვათა მსგავსად, **აქ გადარჩენილი** ეს ნახატიცაა წარმოდგენილი წინამდებარე სტატიასთან ერთად), – ვხედავთ: მიწაზე მდებარე უზარმაზარ თავს, – მოკვეთილს, რომელსაც ქუდზე აწერია "**Alma mater**", მის წინ გაშოტილ მოკლულ კაცს (იგულისხმება, რომ უნივერსიტეტში და, საერთოდ, ქვეყანაში დამყარებულმა მძიმე სულიერმა ატმოსფერომ მოკლა იგი სულიერად, ან იქნებ – სიტყვა „მოკვლის" პირდაპირი მნიშვნელობით), გაღვიძებული

მიხეილ ჩემოდანოვის ილუსტრაცია

თავიდან აფრენილ ყვავებსა თუ ყორნებს, მიწაზე მიმოყრილ წიგნებს (ბოტანიკის, ზოოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა სახელმძღვანელოებს) და სამ კაცს, რომელთაგან ერთს ხელები მინდვრისაკენ გაუშვერია და, როგორც პუშკინზე ალუზიით გაკეთებული წარწერა გვამცნობს, ამბობს: “О, поле, поле, кто тебя усеял?”; ანუ იგულისხმება, რომ კლავენ მეცნიერებას ისეთი „კომპილატორები“ და „საქმოსნები“, როგორებზედაც ზემოთ ითქვა.

ჟურნალ „გუსლიზე“ საუბრით დავიწყე სტატია და მისითვე დავასრულებ: კავკასიის საცენზურო კომიტეტის დოკუმენტებს შორის სხვაც უამრავი ფასდაუდებელი მასალა შეგვხვდა; ამჯერად სტატიის მოცულობის გამო შეზღუდულები ვართ და სიტყვას აღარ გავაგრძელებ; მასალების შესწავლა და დამუშავება გრძელდება და იმედია, მკითხველამდე მალე მოაღწევს ისინი.

შენიშვნა

1. ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XV-XVI გაერთიანებულ ნომერში დიმიტრი ფურცელაძის მოღვაწეობის შესახებ სტატია აქვს გამოქვეყნებული შ. მათითაშვილს (მათითაშვილი 2013/2014: 81-87).

გამოყენებული ლიტერატურა:

დოლიძე 2022-2023: ა. დოლიძე, კავკასიის საცენზურო კომიტეტი თარგმანის ზოგიერთ საკითხზე, კონფერენცია „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა"; ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 24. 12; 2022; სამეცნიერო კრებული „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა", №3, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ვერნადსკი 2006: Г. Вернадский, "Считаю себя украинцем и русским одновременно" (Ab Imperio, 2006, №4). https://muse.jhu.edu/pub/178/article/561011/pdf (ნანახია 01.07. 2023)

კუჭუხიძე 2022-2023: გ. კუჭუხიძე, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ (XIX ს-ის 70-იანი წლები); კონფერენცია „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა"; ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 24. 12; 2022; სამეცნიერო კრებული „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა", №3, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მათითაშვილი 2013/2014: შ. მათითაშვილი, დიმიტრი ფურცელაძე ახალი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის სათავეებთან, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XV-XVI, თბილისი: „უნივერსალი".

მაკუშინი 2010: Л. Макушин, Закон о печати 6 апреля 1865 г.; Известия Уральского государственного университета. № 1 (71).

პატრუშევა 1990: Н. Патрушева, Цензурная Реформа в Расии 1865 г. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Ленинградий Государственный Университет.
https://viewer.rusneb.ru/ru/000199_000009_000135902?page=1&rotate=0&theme=white (ნანახია 01.07. 2023)

როზენბერგი, იაკუშკინი 1905: В. Розенберг, В. Якушкин, Русская печать и цензура в прошлом и настоящем. Москва. https://archive.org/details/libgen_00296992/page/n1/mode/2up (ნანახია 01.07. 2023)

ფირსოვი 2000: В. Фирсов, Государственное законодательное регулирование деятельности библиотек. Глава 2. Санкт-Петербург.

ჩერნუხა 1989: В. Чернуха, Правительственная политика в отношении печати, 60-е – 70-е годы XIX века, Ленинград: Наука.

წერეთელი 1960: ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, XII, სარედაქციო კოლეგია: გიორგი აბზიანიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ასათიანი, იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, შალვა რადიანი; თბილისი: „საბჭოთა საქართველო",

გოჩა კუჭუხიძე
Gocha Kuchukhidze

ლერმონტოვის „დემონისა“ და მისი ლიტერატურული წყაროების შესახებ

(ლერმონტოვი და ბარათაშვილი) [1]

On Lermontov's „Demon“ and its Literary Sources

(Lermontov and Baratashvili)

Annotation

In the literary studies, there is accepted the view, according to which, poems *"The Novice", "Demon"* by Mikhail Lermontov were influenced by the legends heard in Georgia, as well as people and nature of this country.

Levan Asatiani, Irakli Andronikov, Iakob Balakhashvili based on the historical documents, regarded that during his visits to Georgia, Lermontov was a frequent guest in the family of Alexander Chavchavadze (a Georgian poet); based on the archive documents, Irakli Andronikov considers as actually undoubted fact that in 1837, a young Georgian poet Nikoloz Baratashvili and Mikhail Lermontov have met one another in Chavchavadze's family…

It is accepted that Lermontov wrote the sixth version of the poem *"Demon"* in 1838, after departure from Georgia. In this version, action takes place in Georgia and there, instead of the nun, there is described the other woman, Tamara, with whom the Demon fall in love and, as he physically approaches her, the woman dies; previous versions significantly differ from the sixth one…

Out particular attention was attracted by the fact that to the nun's question, who is the stranger, the Demon answers directly: *"I am a Demon!"*

In the sixth version, to the same question, Demon answers that he is the one, who secretly, sometimes in her dreams, used to come to the woman and to whom Tamara used to listen sometimes; i.e., in this version, in psychological view, the woman's character is described in the different way – it is shown that the woman heard the Demon's tempting thoughts; before she understood, whose thoughts these were, they even attracted her and that's why the Demon came to her.

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა", № 4, თსუ გამომცემლობა, 2024 წ.

In our article, we discuss the verse written by Baratashvili in 1836 *"Secret Voice",* where the poet applies to the secret voice, heard in his dreams, asking, who is he, whether he is a good power or evil… based on the verbal and content similarities, we offered the view that Baratashvili has familiarized Lermontov with his verse and this has influenced formation of the final version of *"Demon"…*

In the work, based on the offered examples, there is demonstrated that there are some reminiscences to Lermontov's *"Demon"* in Baratashvili's art as well. As the stances mentioned in 1837, were not published yet and they are only in Lermontov's early manuscripts (when the full version of the poem was published, Baratashvili was already dead), there appears the hypothesis that in 1837, Lermontov had one of manuscripts of the poem in Georgia with him and showed it to Baratashvili or, possibly, told him what he later wrote in the poem…

The view emerges that Lermontov and Baratashvili could have close creative relations and in studying of their biographies, in my opinion, the above facts should be necessarily taken into consideration.

According to Irakli Andronikov, Lermontov's *"Demon"* has greatly influenced formation of world psychological prose; this poem acquires psychological load, when it became apparent that Demon lived in Tamara's thoughts before, she heard his tempting voice before he appeared in front of her. As mentioned, such voice that, in the poet's words, could belong to the evil soul, it is clearly heard in Baratashvili's verse *("Secret Voice");* if we discuss Lermontov's influence on the world literature, then we should remember that Baratashvili, a great romanticist poet, who died very young, have made is contribution to development of psychological prose as well.

At the end of the article is published the Georgian translation of Lermontov's *"Demon"* (part of the poem), manuscrift of wich is kept in the National Archives of Georgia.

საკვანძო სიტყვები: ლერმონტოვი, პოემა „დემონი", ბარათაშვილი, ლექსი „ხმა იდუმალი"

Keywords: Lermontov, poem „Demon", Baratashvili, verse „Secret Voice"

მიხეილ ლერმონტოვის პოემაში – „დემონი“ კეთილი ანგელოზი ასე მიმართავს ბოროტ სულს – მას, ვინც უმანკო ასულ თამარზეა შეყვარებული:

Дух беспокойный, дух порочый,
***Кто звал тебя** во тьме полночной?*

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი გავიხსენოთ:

*სულო ბოროტო, **ვინ მოგიხმო** ჩემად წინამძღვრად?*

„დემონი“ პირველად ნაწყვეტების სახით გამოქვეყნდა 1842 წელს (ჩანაწერები 1842: 187-201); იმავე წელს სანკტ-პეტერბურგში იგივე ვარიანტი დაიბეჭდა პოემისა (ლექსები 1842: 163-197) და **მასში ის ნაწილი არ გამოქვეყნებულა, რომელშიც კეთილი ანგელოზი ხსენებულ სიტყვებს ეუბნება დემონს** (პოეტმა რამდენჯერმე განაახლა პოემა, მეექვსე, ძირითადი, ვარიანტი, როგორც მიჩნეულია, 1838 წელს დაწერა; შემდეგ კიდევ გაამდიდრა ტექსტი (ლერმონტოვი 1989: 649; ანდრონიკოვი 1997: 597-598...); ლერმონტოვმა საქართველოში ყოფნის შემდეგ მეექვსე ვარიანტში გადაიტანა მოქმედება ამ ქვეყანაში და **სწორედ მასში ისმის ანგელოზის სიტყვები: “дух порочый, /Кто звал тебя”** (ყველა რედაქცია). ნიკოლოზ ბარათაშვილმა **1843 წელს** დაწერა „სულო ბოროტო“; „დემონის“ **მთლიანი** ვარიანტი ავტორის გარდაცვალების შემდეგ, **1856 წელს, დაიბეჭდა**, შესაბამისად, **ვარაუდი**, რომ **გამოქვეყნებული ვარიანტიდან** გადაეღო ფრაზა („**სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო**“) **ირიცხება**.

ირაკლი ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი), რომელსაც ვრცლად აქვს შესწავლილი ლერმონტოვის ცხოვრება და შემოქმედება (ანდრონიკოვი 1939; ანდრონიკოვი 1948; ანდრონიკოვი 1951; ანდრონიკოვი 1955...), ბევრს წერს იმის შესახებ, თუ როგორი გავლენა მოახდინა ლერმონტოვის შემოქმედებაზე საქართველომ (ანდრონიკოვი 1997: 440; 453; 456-461; 619...), ქართულმა ფოლკლორმა; პოეტი ფეხით დაიარებოდა დარიალის ხეობაში, ეცნობოდა ხალხურ ლექსებსა და თქმულებებს; მკვლევარი იმოწმებს ბესარიონ ბელინსკის, რომლის თანახმად, საქართველო პოეზიის სამშობლოდ ექცა ლერმონტოვს (ანდრონიკოვი 1997 : 417-418; 483) და აღნიშნავს, რომ კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა პოემა. ბევრი მწერალი წერს, რომ საქართველომ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ლერმონტოვზე და ამ შთაბეჭდილებებით არის გამდიდრებული პოემა „დემონიც“, რომელიც მონაზვნისა და დემონის დიალოგზე იყო აგებული და რომელშიც საქართველო შემოვიდა შემდეგ და დოკუმენტური სიზუსტით დაიხატა ეს ქვეყანა; როგორც მიჩნეულია, ლერმონტოვმა საქართველოდან წასვლის შემდეგ, რუსეთში ყოფნისას, განაახლა „დემონი“ (ანდრონიკოვი 1997: 409).

ანდრონიკოვი ეთანხმება ისტორიკოსსა და ლიტერატურათმცოდნე პავლე ვისკოვატოვს, რომლის თანახმად, ლერმონტოვმა საქართველოში ქართული ლეგენდები შეისწავლა (ვისკოვატოვი 1887: 124), მაგრამ არ იზიარებს შეხედულებას

იმის შესახებ, რომ **მარტო** სწავლობდა პოეტი ამ ლეგენდებს, – აღნიშნავს, რომ ლერმონტოვმა ქართული არ იცოდა, რუსულად კი ადგილობრივ მცხოვრებთაგან ცოტა ლაპარაკობდა და ამიტომ მიაჩნია, რომ რუსულის მცოდნე იმ ქართველებთან ექნებოდა პოეტს ურთიერთობა, რომლებიც საქართველოზე ესაუბრებოდნენ და დეტალურად აცნობდნენ აქაურ რეალიებს (ანდრონიკოვი 1997: 306).

ირაკლი ანდრონიკოვი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ნიჟეგოროდის ცნობილი დრაგუნთა პოლკი, რომელშიც პოეტი საქართველოში ყოფნისას (1837 წ.) მსახურობდა, **წინანდალთან ახლოს იდგა და რომ ამ პოლკში ადრე ალექსანდრე ჭავჭავაძე მსახურობდა** (ანდრონიკოვი 1997: 309); მკვლევარი გვაცნობს სხვა მეცნიერთა მონაცემებს, მოჰყავს ციტატა ისტორიკოს ვასილი პოტტოს ნაშრომიდან, რომელშიც აღნიშნულია, რომ **პოლკში გამოჩნდა ალექსანდრე ჭავჭავაძე და ლერმონტოვი მისი საშუალებით დაუახლოვდა ქართველებს, რასაც ჭავჭავაძის ოჯახში მიღებული სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია უწყობდა ხელს** (პოტტო 1893: 152-154), რომ პოლკის მეთაურად დ. ბეზობრაზოვის დანიშვნის შემდეგ უფრო გახშირდა ჭავჭავაძეთა მამულში პოლკის წევრთა სტუმრობა (პოტტო 1894: 50); მეცნიერებაში აღნიშნულია, რომ ამ ოჯახში ქართულ ტრადიციებსა და ევროპულ ცხოვრებას ერთად ხედავდნენ სტუმრები (ყიფიანი 1886: 178) და პეტერბურგის ამბებსაც აქედან იგებდნენ (ფადეევი 1897: 116). ანდრონიკოვი გრ. დადიანის მოგონებებზე დაყრდნობით წერს, რომ რუსული არისტოკრატია, ფლიგელ-ადიუტანტები, ლეიბ-გუსარები, პრეობრაჟენელები აქ იყრიდნენ თავს და რომ, რუსეთიდან ჩამოსული, ჭავჭავაძის ოჯახში იკრიბებოდა ყველა (ცაიშვილი 1940 : 395). ანდრონიკოვის აღნიშვნით, ეს მხოლოდ **ნაწილია** მოგონებებისა (ანდრონიკოვი 1997: 308).

მკვლევარი იხსენებს პროსკოვია ახვერდოვას (არსენიევა), – ფიოდორ ახვერდოვის (ერთხანს ტფილისის გუბერნატორის) ცოლს (ამ საკითხებზე იხ. ბალახაშვილი 1964) და გვიჩვენებს, რომ მის ოჯახში სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ: პუშკინი, გრიბოედოვი, კუხელბეკერი, დეკაბრისტები... აქ იყო ხოლმე მაიკო ორბელიანი, – **სულიერი მეგობარი ნიკოლოზ ბარათაშვილისა** (ანდრონიკოვი 1997: 311-316). ხსენებულ ნაშრომში წყაროებზე დაყრდნობით წარმოჩენილია, **რომ პროსკოვია ახვერდოვასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახები ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან**, რომ გრიბოედოვი ისეთი ახლო მეგობარი გახლდათ ახვერდოვასი, რომ ყოველდღე იმყოფებოდა მის სახლში და რომ ნინო ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის ქორწინებაში, როგორც ხალხში ამბობდნენ, პროსკოვიას ხელი ერია (ანდრონიკოვი 1997: 310-314); ალექსანდრე ჭავჭავაძეს სურდა, რომ ევროპული განათლება ჰქონოდათ შვილებს და თავისი ასულის – **ნინოს აღზრდა-განათლება მთლიანად პროსკოვიას მიანდო.** ანდრონიკოვი აქ პიოტრ ბარტენიევის ნაშრომს ეყრდნობა (ბარტენიევი 1881: 177-178); როგორც პროსკოვიასათვის გრიბოედოვის მიერ მიწერილი წერილიდან ირკვევა, ნინოს და თვითონ დედასავით უყვარდათ პროსკოვია (გრი-

ბოედოვი 1881: 188; ანდრონიკოვი 1997: 311) და დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ალექსანდრეს ასული ეკატერინე და პროსკოვია მთელი ცხოვრების განმავლობაში მეგობრობდნენ (ანდრონიკოვი 1997: 319).

ანდრონიკოვის ნაშრომში დადგენილია, რომ **ახვერდოვა მიხეილ ლერმონტოვის ნათესავი, მისი გარედეიდა** („**троюродная тетка**") იყო, ლერმონტოვის ბებია გახლდათ პროსკოვიას საკმაოდ ახლო ნათესავი („**троюродная сестра**"); საარქივო მონაცემიდან ირკვევა, რომ ლერმონტოვის ბებიის სხვა ნათესავს გენერალ ვოლხოვსკისთვის უთხოვია, ყურადღება მიექციათ საქართველოში გასახლებული მიხეილისთვის და მკვლევარი სავსებით საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ ახვერდოვასთანაც გაატანდა წერილს ლერმონტოვის ბებია თავის შვილიშვილს (ანდრონიკოვი 1997: 323). ლერმონტოვი, როგორც მიჩნეულია, პუშკინის დაღუპვის შემდეგ დაწერილი ლექსის (მისი პირველი ვარიანტის) გამო იყო დასჯილი (იმ პუშკინისა, რომელიც თარგმნა და ასე უყვარდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს), რაც მიხეილისა და ამ ოჯახის სიახლოვეს ასევე შეუწყობდა ხელს.

ირაკლი ანდრონიკოვი ყურადღებას ამახვილებს ლერმონტოვის ნათესავისა და მეგობრის – აკიმ შან-გირეის დაკვირვებაზე, რომლის თანახმად, „დემონის" იმ ადგილას, რომელშიც თამარის საქმროზე წერია: „Он сам, властитель Синодала", უზუსტობაა. შან გირეი აღნიშნავს, რომ საქართველოში სინოდი („**Синодал**") არ არის, მაგრამ არის წინანდალი ("**Цинундалы**") და თავადი ჭავჭავაძის სასახლე (სუშკოვა 1870: 388-389); ჩანს, პოეტს ალექსანდრე ჭავჭავაძეზე უთხრეს, რომ წინანდლის სასახლის გამგებელია იგი. ლერმონტოვს თავის პერსონაჟზე უთქვამს იგივე, მაგრამ ტექსტში შეცდომით „**властитель Синодала**" ჩაუწერია; ეს გარემოებაც მიგვანიშნებს ჭავჭავაძის ოჯახთან ლერმონტოვის სიახლოვეზე;[1] ანდრონიკოვი პოტტოს ნაშრომზე დაყრდნობით იმასაც წერს, რომ წინანდალში ცხენოსანთა შეჯიბრებები ეწყობოდა და ამანაც მოახდინა ლერმონტოვზე ზეგავლენა, როცა „დემონში" ბრძოლის სცენა ასახა (პოტტო 1893: 156). მკვლევარი დასძენს, რომ ხალხის ჩაცმულობაც, პეიზაჟებიც კახეთიდან გადაიღო პოეტმა და ამ გარემოებებიდანაც წარმოაჩენს, ჭავჭავაძეთა გარემოსთან ახლოს რომ ყოფილა ლერმონტოვი (ანდრონიკოვი 1997: 323-324).

ანდრონიკოვი სვამს კითხვას, თუ რატომ არ შემოინახა ამის შესახებ ცნობები წერილებმა და აღნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებიც ხშირად არიან ერთად, წე-

[1] აქ ერთიც უნდა ითქვას: თუ ადრე შეცდომით დაწერა, ცხადია, შემდეგ გაიგებდა ლერმონტოვი, რომ არც რომელიმე სასულიერო ცენტრის ფაქტობრივი გამგებელი იყო ჭავჭავაძე და არც მის სასახლეს იხსენიებდა ვინმე „სინოდალად", მაგრამ, რადგან პოემის სიუჟეტმა არ მოითხოვა, კონკრეტულად წინანდალსა თუ იქ არსებული სასახლის გამგებელზე ყოფილიყო თხრობა, ჩანს, რაიმე სხვა მნიშვნელობით დატოვა ეს სიტყვა... თუ შეცდომამ გამოიწვია პირველად ამ სიტყვის დაწერა, აქედან ისიც ხდება ცხადი, პოემის განსავრცობად საქართველოშიც რომ აკეთებდა ლერმონტოვი ჩანაწერებს.

რილებს არ სწერენ ერთმანეთს (ანდრონიკოვი 1997: 332-336), ამასთან, როგორც ქ-ნი დრანსეს მოგონებებიდან ირკვევა, 1854 წელს წინანდლის მამული შამილის მე-ომრებმა გადაწვეს და მთელი ბიბლიოთეკა დაიწვა (დრანსე, 1858; ანდრონიკოვი 1997: 330); ის, რომ ლერმონტოვი უეჭველად მოხვდებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში არა მხოლოდ **როგორც პოეტი**, არამედ – **როგორც ნათესავი ახვერდოვასი**, არც ეეჭვება ანდრონიკოვს და დასძენს, რომ, უბრალოდ, **ვერც შეძლებდა, თავისი ნათესავის – პროსკოვიას უახლოესი მეგობრების – ჭავჭავაძეებისა და გრი-ბოედოვის ოჯახში არ მოხვედრლიყო ლერმონტოვი** (ანდრონიკოვი 1997: 322-325).

მკვლევართა თვალთახედვის არეში (ანდრონიკოვი 1955; ბალახაშვილი 1964...) მოქცეულია ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი – არსებობს ლერმონტოვის **ავტოგრაფი** 1837 წლისა (საისტორიო მუზეუმი), ფურცელი, რომელზეც პოეტს თავისი ლექსი „Спеша на север из далека" დაუწერია და რომლის ერთ-ერთ გვერდზე წერია: „**маико мая**" („მაიკო მაია"; საარქივო მონაცემების თანახმად, პატარა ასოები და-უწერია მას სახელთა დასაწყისში); როგორც მიჩნეულია, მაიკო და მაია იგივე **მაიკო და მაია ორბელიანები** უნდა იყვნენ (ანდრონიკოვი 1997 : 332-336; ბალახაშვილი 1967: 244-245...). ანდრონიკოვის აზრით, ისინი ტფილისში, ალექსანდრე ჭავჭავა-ძესთან ყოფნისას, უნდა ენახა ლერმონტოვს და დამახსოვრების მიზნით ჩაეწერა ამ ასულთა სახელები (შემდეგ ლექსი დაუწერია ამავე ფურცელზე) (ანდრონიკოვი 1997: 335) და, როცა გავითვალისწინებთ, რომ ჭავჭავაძეებთან ახლოს მყოფი მაიკო ორბელიანი გარებიძაშვილი და სულიერი მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი-სა, უფრო დამაჯერებელი ხდება მკვლევართა მიერ გამოთქმული აზრი, რომ **ბარათაშვილი და ლერმონტოვი ასევე შეხვდნენ ერთმანეთს**... ანდრონიკოვის აღნიშვნით, თუ მაიკო ორბელიანი გაიცნო, შესაძლოა, გრიგოლ ორბელიანსაც შეხ-ვდა ლერმონტოვი და ჭავჭავაძეთა სახლში, სხვა სტუმრებთან ერთად, ნახა 21 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც იმხანად უკვე შესანიშნავ ლექსებს წერ-და (ანდრონიკოვი 1997: 336; 353-356). ლევან ასათიანი მიიჩნევს, რომ საქართვე-ლოში ნიკოლოზ I-ის სტუმრობისას, მის საპატივცემულოდ გამართულ ბალზე, უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ლერმონტოვი და ბარათაშვილი (ასათიანი 1937: 74) და ამ აზრს იაკობ ბალახაშვილი იზიარებს (ბალახაშვილი 1940: 140); ხსენე-ბული მკვლევარები წერენ იმის შესახებ, რომ საერთო ნაცნობები და მეგობრები ჰყავდათ ამ პოეტებს (ასათიანი 1937: 74-80; ბალახაშვილი 1941).

ამრიგად, ნაშრომებში იკვეთება აზრი, რომ საქართველოში ერთმანეთს შეხ-ვედრიან ლერმონტოვი და ბარათაშვილი, მოყვანილი ისტორიული ფაქტები სა-ფიქრებელს ხდის, რომ თავისი ნათესავის, ჭავჭავაძეების ოჯახთან ახლოს მყოფი პროსკოვიას საშუალებით მართლაც გაეცნობოდა ლერმონტოვი ჭავჭავაძის ოჯახს, რომელთანაც ახლოს იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი; ამჯერად ძირითადად იმ კუ-თხიდან არის საჭირო ძიება, თუ მოჩანს ამ ურთიერთობის კვალი ლერმონტოვისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში.

ჭავჭავაძის ოჯახში გაგონილი ამბებიც თუ აისახა ლერმონტოვის შემოქმედებაში, იმისი დაზუსტებაც იქნება საჭირო, კონკრეტულად ვინ იყვნენ, რას უყვებოდნენ მოსაუბრენი პოეტს; იქ მყოფი შთამბეჭდავი ადამიანები რომ მოახდენდნენ მასზე ზეგავლენას, არ არის საეჭვო; ასეთი ადამიანიც შეასრულებდა განსაკუთრებულ როლს იმ ფაქტში, მოქმედება საქართველოში რომ გადაიტანა პოეტმა და **ახალი ფსიქოლოგიური შტრიხები რომ შემატა პოემას** (კეთილი ანგელოზისა და დემონის დიალოგი; პოემაში გატარებული აზრი, რომლის თანახმად, ადრე **ყურს მიუგდებდა ხოლმე ეს ასული დემონისგან შთაგონებულ აზრებს**; დემონს ღმერთთან დაბრუნების ფიცის დადებას სთხოვს თამარი და თითქოს აპირებს უკეთური სული ღვთისკენ მოქცევას /„Я отрекся от гордых дум”/, მაგრამ არ ძალუძს ეს...); ცხადია, მხოლოდ ბუნება, ლეგენდები, ხალხის ჩაცმულობა ვერ გახდებოდა ამ ცვლილებათა მიზეზი. როცა „დემონის“ შინაარსს ცვლის, შესაძლოა, რომელიმე ფაქტი განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ლერმონტოვზე. **იქნებ ისეთ ადამიანთან უხდება შეხვედრა, დიდი ტალანტით რომ გამოირჩევა და შეუძლია, იმგვარი რამ უთხრას, ზემოქმედებას რომ მოახდენს მასზე**... ვფიქრობ, საჭიროა, ამ კუთხიდან თავად პოემას დავაკვირდეთ:

„დემონის“ იმ ვარიანტებში, რომლებიც საქართველოში ლერმონტოვის **ჩამოსვლამდეა** დაწერილი, მონაზონი დემონისადმი (ამ შემთხვევაში – „უცნობის“ („Незнакомец”) მიმართ დასმულ კითხვაზე: „Кто ты?”, ასეთ პირდაპირ პასუხს ისმენს: ***„Я демон!“;*** შემდეგ გამოკვეთილად ამბობს უკეთური სული, რომ პატიებას არ შეევედრება ღმერთს და მონაზვნისაგან სიყვარულს ითხოვს; იმ დიალოგში კი, რომელიც **საქართველოში ყოფნის შემდეგ** განავრცო ლერმონტოვმა, თამარი (ასული, ადრე მონაზვნად რომ იყო წარმოდგენილი) ასე მიმართავს უცნობ სულს: ***„Тебя послал мне ад иль рай?“*** და როცა პოემის ადრინდელ ვარიანტთა მსგავსად უმეორებს კითხვას: “Кто ты“, ასეთ პასუხს ღებულობს: ***„Я тот, которому внимала*** / *Ты в полуночной тишине, /**Чья мысль душе твоей шептала,** /Чью грусть ты смутно отгадала, /* ***Чей образ видела во сне.*** */Я тот, чей взор надежду губит“...*

ანუ, როგორც ვხედავთ, პოემის მეექვსე ვარიანტში თამარს კითხვაზე – „**ჯოჯოხეთმა მოგაგზავნა ჩემთან თუ სამოთხემ?**“ – ესმის პასუხი, რომ მის წინაშე იგია, **ვისგან შთაგონებულ აზრებსაც ყურს უგდებდა ადრე, ვისი ხმა სიზმარშიც ესმოდა ხოლმე**...

როგორც ვხედავთ, არ იცის თამარმა, რომელ ძალას ეკუთვნოდა ეს ხმა, შიშითაა სავსე; თითქოს გაცნობიერებულად არასოდეს მიუხმია მისთვის, მაგრამ ასეთი ხმისთვის ადრე ყურის მიგდების გამო გარკვეულწილად დადანაშაულებულიც არის იგი პოემის მეექვსე ვარიანტში; ლერმონტოვის მიერ საქართველოში ყოფნის შემდეგ პოემაში შეტანილი ეს **ახალი ფსიქოლოგიური შტრიხი** ძალიან ახლოა იმ სულისკვეთებასთან, ბარათაშვილის მიერ **1836** წელს (ე. ი. საქართველოში ლერმონტოვის ჩამოსვლამდე) დაწერილ ლექსში – „**ხმა იდუმალი**“ – რომ არის ასახული

და რომელშიც ასე ამბობს პოეტი: *„**ვისი ხმა არის ეს საკვირველი?** / რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?“* (ბარათაშვილი 1968: 90-91)... შემდეგ გვაგებინებს პოეტი, რომ **სიზმარშიც** ესმის ეს თანამდევი ხმა და სწადს, გაიგოს, **კეთილი ძალისაა იგი თუ – ბოროტის**:

*მას აქეთ **ხმა რამ თან სდევს ყოველთა***
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!
*ცხადად თუ **სიზმრად**, იგი მე მარად*
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად:
***ანგელოზი ხარ**, მფარველი ჩემი,*
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი,
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომასწავებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
(ბარათაშვილი 1968 : 90-91)

ვფიქრობ, ერთ-ერთი უპირველესი იმპულსი, რამაც პოემის ეს ეპიზოდი შეაცვლევინა ლერმონტოვს, ბარათაშვილის ზემოხსენებული სტრიქონებიც უნდა იყოს; **„ხმა იდუმალის“ ავტორი ის არის,** ვისაც ჯერ ვერ გაურკვევია, ვინ წარმოცხადებულა მის წინაშე – **კეთილი ანგელოზი თუ – მაცდური ძალა**, ვისი ხმა დასდევს **სიზმრად**; კარგად ჩანს, რომ პოემის მეექვსე ვარიანტში (საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად განვრცობილში), **წინა ვარიანტებისგან განსხვავებით**, ასული **ბარათაშვილივით** ეკითხება უცნობ სულს: – ***“Тебя послал мне ад иль рай?”*** *(„**ანგელოზი ხარ**, მფარველი ჩემი,/**ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი**“)* და პოემის **ძველი ვარიანტებისეული მოკლე პასუხისაგან განსხვავებით** *(„Я демон!”),* **ამჯერად** უკვე ისეთ პასუხს იღებს, **ბარათაშვილის ლექსში რომ ისმის**; რადგან „ხმა იდუმალში“ ჩანს, სულის სიღრმეებში **ყურს რომ მიუგდებდა ხოლმე პოეტი იდუმალ ხმას**, რომ **სიზმრადაც** ჩაესმოდა იგი და ლერმონტოვთანაც ვხედავთ, რომ ასულს (ამჯერად უკვე – თამარს) **სიზმრად („во сне”) ეჩურჩულებოდა („шептала”) თურმე ეს ხმა** და, როგორც ბოროტი სული ამბობს, თამარიც **უსმენდა („внимала”)** მას. სულისკვეთებათა სიახლოვე და **სიტყვიერი პარალელები** აშკარად საფიქრებელს ხდის, რომ **ბარათაშვილის „ხმა იდუმალის“ შთაგონებით** არის ეს პასაჟი **განვრცობილი** და ის სავარაუდო სურათიც იწყებს წარმოჩენას, როგორ უნდა მომხდარიყო ეს შთაგონება; თუ აშკარა შეიქმნება, რომ ბარათაშვილსაც გაეცნო ლერმონტოვი, ის აზრიც დასაშვები გახდება, რომ თავად ბარათაშვილისგან მოისმინა ეს სიტყვები ლერმონტოვმა, რომ მართლაც ჭავჭავაძის მამულში, თუ სხვაგან, შეხვდნენ ისინი ერთურთს და საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბარათაშვილმა სტუმარ პოეტზე.

ბარათაშვილმა ბრწყინვალედ იცოდა რუსული ენა და არ გაუძნელდებოდა, თავისი ლექსი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე პოეტურად წარმოეთქვა რუსულად; ჩანს, ქართულად საუბრისას რუსული ფრაზების ჩართვაც სჩვეოდა, – გრიგოლ ორბელიანთან 1837 წელს გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: *„უნდა ვა-*

ღიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужних мечтаниях და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური"; 1843 წელს მიწერილ მეორე წერილში სხვა რუსულ ფრაზებთან ერთად, როგორც ეს პავლე ინგოროყვას აქვს შენიშნული, ლერმონტოვის ციტატითაც ესაუბრება პოეტი თავის ბიძას: *„სხვა რა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები, и вообще здесь И грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды"* (ბარათაშვილი 1968: 169; 183) და შესაძლებელია იმისი წარმოდგენა, თუ როგორი იქნებოდა ბარათაშვილისა და ლერმონტოვის ის შეხვედრა, რომელიც იქნებ მართლაც წინანდალში მოხდა... შეიძლება დავუშვათ მოსაზრება, რომ „ხმა იდუმალი" ბარათაშვილის გარეშე გაიცნო ლერმონტოვმა, რომ ეკატერინე ჭავჭავაძემ თუ მაიკო ორბელიანმა უთარგმნეს ეს ლექსი (თუ ახლოს გაიცნო პოეტმა ისინი) და ლერმონტოვმა ასე გარდაქმნა თავისი „დემონი", მაგრამ გაუგებარია, რა შეუშლიდა პოეტების ურთიერთობას ხელს და უფრო მგონია და ის სურათი უფრო იღებს რეალურად მომხდარის სახეს, რომლიდანაც მოჩანს, თუ როგორ აცნობს წინანდალში, ან სადმე სხვაგან, ლერმონტოვი ბარათაშვილს თავის სტრიქონებს „დემონიდან", **რომლის განახლებაზეც ალბათ უკვე ფიქრობს საქართველოში ყოფნისას**, როგორ ახსენდება ამ დროს ბარათაშვილს თავისი **„ხმა იდუმალი"** (რომელშიც უცნობი სულის წინაშე დაახლოებით ასეთივე კითხვაა დასმული ვინაობის შესახებ) და რუსულად წარმოთქვამს თავის სტრიქონებს და მისი სიტყვები, რომლითაც ეკითხება პოეტი იდუმალ სულს, **კეთილი ძალაა თუ – მაცდური**, როცა ეუბნება ამ სულს, რომ **მისი ხმა ჩაესმის სიზმრად** და სულ თან სდევს იგი, შთაბეჭდილებას ახდენს ლერმონტოვზე და, ყაზბეგის მთისა და მონასტრის ხილვასთან ერთად, **ეს ლექსიც ეხმარება ამ ეპიზოდის განვრცობაში**...

ვფიქრობ, „ხმა იდუმალს" ზემოქმედება მოუხდენია ლერმონტოვზე და აქ **სხვა აზრიც იბადება:** როცა „დემონის" შინაარსს გაეცნობა ბარათაშვილი, როცა ალბათ გოეთეს „ფაუსტიც" და ბაირონის „მანფრედი" და „კაენიც" ახსენდებათ საუბრისას, როცა ბარათაშვილი მონაზვნისათვის დემონის მიერ ნათქვამ პასუხს მოისმენს („**Я демон!**") და კიდევ უფრო ღრმად გაიაზრებს, უკეთურ სულს რომ ეკუთვნის ეს „იდუმალი ხმა" (რაც ალბათ მანამდეც იცოდა), ანუ – იმას, რომლისთვისაც არასოდეს მოუხმია, გარდა იმისა, რომ გააცნობს ლერმონტოვს თავის ლექსს, თავისუფლად შეუძლია, სტუმრის თანდასწრებით უკეთური სულისაკენ მიმართული ასეთი ფრაზაც წარმოთქვას ამ ერთდროულად სევდიანმა და ხალისიანმა, სუფთა და ლერმონტოვის პოემისეული **ანგელოზურის მსგავსი** სულის მქონე ახალგაზრდამ (მან, ვინც „ხმა იდუმალში" არა ამპარტავნულად, არამედ ერთგვარი „ბავშვური" სიწრფელით ამ სიტყვებს წერს: *„ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა / შეუწყალისა სინიდისისა?.. /მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა, /მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა!*) – „**Кто звал тебя**", ასე მიმართოს **„სიზმრებში" წარმოსახულ დემონს** (ალბათ ერთგვარი არტისტიზმით, იქნებ – ჭავჭავაძის სალონში ყოფნისას...) და,

თუ ეს ფრაზა, „ხმა იდუმალთან“ ერთად, შთაბეჭდილებას მოახდენს სტუმარზე, შეიქმნება წინაპირობა, **ხსენებული სიტყვებითაც გაამდიდროს პოემა** (ჩდება იმპულსი, **დემონთან მრისხანებით მოსაუბრე ანგელოზი** შემოიყვანოს პოემაში და ამ **ანგელოზს** წარმოათქმევინოს **ბარათაშვილისეული** ფრაზა /მხატვრული თვალსაზრისით აუცილებლად არის შესასწავლი, **რა გახდა პოემის ამ ეპიზოდში ანგელოზის შემოყვანის იმპულსი**; აქ სწორ მხატვრულ ანალიზს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება...) და **თავად ბარათაშვილმა კი შემდგომში ახალი ლექსი – „სულო ბოროტო“ დაწეროს** (თუ ჯერ არ აქვს დაწერილი მისი, ჩვენთვის უცნობი, ვარიანტი), რომელიც ამ სიტყვებით დაიწყება: *„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო“...* **„სულო ბოროტო“ „ხმა იდუმალის“ შინაგანი გაგრძელება ჩანს** და შეგვიძლია დავუშვათ მოსაზრება, რომ **ბარათაშვილია** ამ ფრაზის პირველწარმომთქმელი (ხსენებულ საკითხს ქვემოთაც შევეხები).

1836 წელს ბარათაშვილის მიერ დაწერილი **„ხმა იდუმალის“ მიერ შთაგონება აშკარად იგრძობა ლერმონტოვის პოემის მეექვსე ვარიანტში**; საინტერესოა ისიც, რომ, ჯერ თუ სინდისის „**საშფოთველოს**“ უწოდებს ამ ხმას ბარათაშვილი და შემდეგ ამბობს, რომ, შესაძლოა, ბოროტ ძალას ეკუთვნოდეს იგი, ლერმონტოვთან **მშფოთვარე**, სიმშვიდედაკარგულ, მოუსვენარ (*„Дух **беспокойный**“*) სულად არის ამ ხმის პატრონი (მის შემთხვევაში, უმანკო ასულთან მისულის) წარმოჩენილი და **„ხმა იდუმალთან“ ლერმონტოვის პოემის სიახლოვე აშკარად ჩანს**[1]; ამასთან, **ცხადად ვხედავთ იმასაც, ერთმანეთს რომ ემთხვევა ამ ორი პოეტის სხვა სიტყვები** (რომ ფაქტობრივად **იდენტურია ისინი**), რომლითაც ბოროტ სულს მიმართავენ (*„**Зачем** ***тебя*** *звали“, – „**Кто** **звал** **тебя**“*) და, რადგან იმ დროს არც ლერმონტოვის პოემასა და არც ბარათაშვილის რომელსამე ლექსში არ წერია ეს სტრიქონები, საფუძვლიანი ხდება მოსაზრება, რომ **ამ პოეტთა ურთიერთობისას უნდა იყოს დაბადებული ფრაზები, რომლებიც შემდეგ ორივეს შემოქმედებაში აისახა**; ბარათაშვილს იმაზე დაფიქრება, რომ „ხმა იდუმალი“ მაცდურ სულს ეკუთვნის, როგორც ითქვა, სხვა ასეთ ფიქრსაც მოჰგვრიდა, – „ვინ მოუხმო მას“ და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, შესაძლოა, გამართლებული იყოს, მივიჩნიოთ, რომ პირველს სწორედ მას წარმოეთქვა ეს სიტყვები, რამაც შთაბეჭდილებას მოახდინა ლერმონტოვზე და, ბარათაშვილისეულ „ხმა იდუმალთან“ ერთად, ისინიც გახდა საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებათა აღმძვრელი (*„**Кто** **звал** **тебя**“,* – ამბობს ანგელოზი და მერე ამ სიტყვებს სტროფის ბოლოს მეორედ წერს ლერმონტოვი... განსაკუთრებული შთაბეჭდილებიდან აღძრული იმპულსით გაჩენილს ჰგავს ხსენებული ფრაზა);

---

[1] ამჯერად პოემა „დემონზეა“ საუბარი, მაგრამ მაინც დავძენ, რომ, შესაძლოა, სხვა შემთხვევებშიც მოიძებნოს ბარათაშვილთან ლერმონტოვის სიახლოვე; მაგ. „ხმა იდუმალის“ გამოძახილი ჩანს ლერმონტოვის მიერ **1838 წელს** დაწერილ ლექსში – „Гляжу на будущность с боязнью”: *„И, как преступник перед казнью,/ **Ищу** **кругом** **души** **родной**“;* ბარათაშვილი: *„**ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი,*** (...) *მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ“;* „მხვედრი“ ანუ – დამნახავი, მცნობი, გამგები მეგობარი.

„ხმა იდუმალის“ კვალი ცხადად რომ ჩანს ლერმონტოვთან და ამ პოეტთა მიერ ბოროტი ძალისაკენ მიმართული სიტყვებიც (*„Кто звал тебя“, „ვინ მოგიხმო“*) რომ უკავშირდება ერთმანეთს, ფაქტია და, აქედან გამომდინარე, სულ უფრო ძლიერდება მოსაზრება, რომლის თანახმად, **ამ პოეტების შეხვედრის ადგილებში, ეკატერინე თუ ნინო ჭავჭავაძეების, მაიკო ორბელიანის მახლობლად უნდა ვეძიოთ მათი აღმოცენების საწყისები;**[1] ყოველ შემთხვევაში **„ხმა იდუმალისა“ და „დემონის“ ურთიერთმიმართების საკითხის კვლევისას საქართველოს კვალი აშკარად იკვეთება**[2].

მაიკო ორბელიანის შესახებ დავძენ: საყოველთაოდაა ცნობილი ლეგენდა, თუ ნამდვილი ამბავი, რომლის თანახმად, საქართველოში 1837 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მყოფ ნიკოლოზ I-ს ბალზე ყოფნისას ნინო ჭავჭავაძე, გრაფინია სიმონიჩი და მაიკო ორბელიანი მოეწონა და ერთ-ერთთან ღამის გათევა მიესურვა; ამ ისტორიას თუ ვერწმუნებით, იმჟამად იქ მყოფმა მლიქვნელებმა მიუყვანეს იმპერატორს 19 წლის მაიკო, რის შემდეგაც აირია ამ ასულის ცხოვრება, ვეღარც დაოჯახდა (თუმც არ მიუტოვებია საქმროს...), დაავადმყოფდა და ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვლა კიდეც; ზემოთ ვნახეთ, როგორი სიყვარულით წერს ლერმონტოვი – „**маико**“; თუ ეს რეალურად მომხდარი, ან გამონაგონი, ამბავი ლერმონტოვმაც შეიტყო, მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა პოეტზე იგი და სავარაუდო ხდება, რომ მაიკო ორბელიანის თავს გარდამხდარ ტრაგედიასაც დაუკავშირა მან პოემა, რომ **თამარში მაიკო ორბელიანის ისტორიაც ასახა** და ისე გადააკეთა პოემა, რომ მკაფიოდ წარმოჩენილიყო, წინა ვარიანტებისეული ასულისგან განსხვავებით, ვნებას ფიზიკური სიახლოვის წუთებშიც რომ არ აჰყვა, **ბოლომდე უარზე რომ იდგა** თამარი და **დემონისგან ძალადობის ფაქტი** ნათლად დაენახა მკითხველს;

---

[1] უკეთური ძალისადმი მიმართულ ამ სიტყვებთან დაკავშირებით – *„Кто звал тебя“* – არც ის აზრია გამოსარიცხი, ლერმონტოვის მიერ საქართველოში გაკეთებული ჩანაწერი ენახა ბარათაშვილს. ლერმონტოვი ხატავდა ხოლმე აქ და, ალბათ, პოემის განსაახლებლად ჩანაწერებსაც გააკეთებდა; თუმც, გავიმეორებ, უპირველესად იმ ანალიზის გაკეთებაა საჭირო, რომლიდანაც პოემის ამ ეპიზოდში დემონთან მოსაუბრე ანგელოზის შემოყვანის **ძირითადი** იმპულსი გამოჩნდება;

[2] აქ სხვათა შორის დავძენ, რომ „ხმა იდუმალის“ ინტონაცია, ვფიქრობ, ახლოა პუშკინის მიერ **1830 წელს** დაწერილ და **1841 წელს** გამოქვეყნებულ ლექსთან – „Стихи сочинненые ночью во время бессонницы...": ***“Парки бабье лепетанье, /Спящей ночи трепетанье, /Жизни мышья беготня... /Что тревожишь ты меня? /Что ты значишь скучный шепот”... („პარკას ბუტბუტს, – ხმას დედაბრულს, / ღამის ძილში ძრწოლას ფარულს, / თაგვივით სულ მიდ-მოდებას... / შეშინება ჩემი რად გსურს! /ამ სევდიანს, – რა გწადს ჩურჩულს“...*** მხატვრული თარგმანის ცდა ჩვენეულია); **თუ ეს ლექსი უცნობი იყო ბარათაშვილისთვის**, სიახლოვე პოეტთა **გარკვეულწილი** სულიერი ნათესაობით უნდა აიხსნას... საინტერესოა აგრეთვე, რომ, თუ არ ვცდები, ლერმონტოვზე (და, იქნებ, – ბარათაშვილზეც) **შორეული** ალუზია დიდი ხნის შემდეგ ანა კალანდაძესთანაც ჩნდება: *„რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა? /რა ჩურჩული?.. დამდაგველი, მწველი... /ლამის სახლში შემომეჭრას თუთა, /ლამის წელზე შემომხვიოს ხელი“*... თითქოს მთელი გარემო მაცდურად, „დამდაგველად“ და „მწველად“ ეჩვენება პოეტ ქალს (ვფიქრობ, ერთ კონტექსტშია ეს ლექსები განსახილველი; თუმც, ცხადია, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ანა კალანდაძის ლექსისეული **საერთო განწყობილება** მაინც განსხვავებულია)...

იბადება მოსაზრება, რომ ურთიერთსიახლოვის ეპიზოდში მაიკოს დაამსგავსა პოეტმა თამარი (ადრე დაწერილი ის პასაჟები, რომელთა თანახმად, ცდუნების მიუხედავად, ბოლოს სულიერად გადარჩა ასული, უკვე მიესადაგებოდა მაიკოს სახეს; მეექვსე ვარიანტში განვრცობილია ასულის შეწყალების ეპიზოდი); იბადება მოსაზრება, რომ მაიკოს ისტორიაც უნდა ახდენდეს პოემისეული ასულის სახის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას, ხოლო **დემონი, ბოროტი სული**, უმანკო თამარის მაცდუნებელი ბნელი ძალა, გადაკეთებულ ვარიანტში უპირველესად **ნიკოლოზ I-ის სახესთან ხდება დაკავშირებული**, მისიც და **იმ დამონავებულთა კრებსით სახედაც ჩნდება, ასე რომ გაიმეტეს, ამ ისტორიის თანახმად, მაიკო ორბელიანი**; დემონის წინაშე მარტოდ დარჩენილ თამარს ჰგავს ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერი მეგობარი, ის, ვინც ვერავინ დაიცვა 1837 წლის 11 ოქტომბერს, იმ დღეს, როცა სამხედრო კორპუსის მეთაურის სახლში ბალი გამართეს... შესაძლოა, ლეგენდაა მაიკოს ისტორია, მაგრამ შეგვიძლია დავუშვათ მოსაზრება, რომ გაეგონა ეს ლეგენდა და მასაც მოეხდინა ზემოქმედება პოეტზე, რომელიც, **რბილად რომ ვთქვა**, სიყვარულით არ იყო განწყობილი იმპერატორისა და ხელისუფლების მიმართ (არსებობს აზრები, რომ ეს პერსონაჟი /დემონი/ პროტესტის, თავისუფლებისაკენ სწრაფვის /გორკი/, „ცასთან ამაყი ბრძოლის“ /ბელინსკი, მიხ. ბოტკინი/ განმასახიერებელია... ლენინსაც ჰყვარებია „დემონის“ კითხვა (ანდრონიკოვი 1997: 605-606; 622-623); (ლერმონტოვი 1989: 647); ბოროტებას მართლაც ხედავდა პოეტი ხელისუფლებაში, მაგრამ, ვფიქრობ, **ეს კონკრეტული პერსონაჟი** ხელისუფლებასთან ბრძოლის კი არა, – **თავად მთავარი ხელისუფლის ალეგორიულ სახესთან არის დაკავშირებული, ყოველ შემთხვევაში ასე ხდება პოემის მეექვსე ვარიანტის დაწერის შემდეგ)**[1].

საქართველოში მიღებულ ამა თუ იმ შთაბეჭდილებასთან ერთად ბარათაშვილის „ხმა იდუმალიც“ რომ გამხდარა „დემონის“ შექმნის იმპულსი, ვფიქრობ, ეს აზრი გასათვალისწინებელია, ამასთან, ბარათაშვილიც რომ იღებს შთაგონებას ლერმონტოვისგან, არც ამ აზრის უარყოფა შეიძლება: *„**И ад нам будет стоить рая**” იმ* ვარიანტებშიც უწერია ლერმონტოვს, **საქართველოში ჩამოსვლამდე** რომ არის შექმნილი და ქართველი პოეტის სიცოცხლეში **ჯერ რომ არ იყო გამოქვეყნებული**; ბარათაშვილი წერს: *„**და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გადამიქცევდი**“;* იგივე ითქმის სტრიქონებზე: *„**Оставь меня, о дух лукавый!**”, „**განვედი ჩემგან, ჰოჲ,***

---

[1] საყურადღებოა, რომ იმ ეპიზოდში, რომელშიც დემონისგან ღვთისკენ მოქცევის ფიცსა და **შებრალებას** ითხოვს, ასე მიმართავს თამარი ეშმაკს: *„О! **пощади! Какая слава**? /Ужели **небу** я дороже/ Всех, не замеченных тобой? /**Они**, увы! **прекрасны тоже**”...* ფაქტობრივად ამბობს, რომ **ზეცაში**, დემონისგან შეუმჩნეველი, ასევე მშვენიერი, ასულები არიან და თამარის იქ წაყვანა არ სჭირდება დემონს. **ქვესკნელის მეუფეს** ეუბნება ასული ამას მაშინ, როცა იცის, **ზეცაში (ცათა სასუფეველში) რომ არ მკვიდრობს იგი** და არც მიწიერ ვნებათა დამაკმაყოფილებელი ასულები იმყოფებიან ცათა წიაღებში; იბადება მოსაზრება, რომ **ბინარული აზრია ამ სტრიქონებში** ჩადებული, რომ **მეტაფორულად** არის ნახსენები „**ზეცა**“ და **იმპერატორის გარემოსა და მის გარემომცველებზე მიგვანიშნებს იგი**;

მაცდურო, სულო ბოროტო!“ და ამ თითქმის იდენტურ სიტყვიერ პარალელებზე ფიქრისას იბადება მოსაზრება, რომ ლერმონტოვის პოემასაც აღუძრავს ბარათაშვილისთვის შთაგონება ან ავტორის მიერ ზეპირად წარმოთქმული ფრაზებით, ან – ხელნაწერის საშუალებით (ცხადია, ამ წერილში პლაგიატურ ზეგავლენაზე არსად არაა საუბარი, იგულისხმება ისეთი ზეგავლენა, რომელსაც სულისკვეთებათა სიახლოვე ბადებს და სიტყვათა გამეორების გარეშეც რომ ადვილი შესამჩნევია ხოლმე (სიტყვათა გამეორებასაც ხშირად ვხედავთ დიდ მწერალთა შემოქმედებაში; მსგავს განწყობილებას, პირად საუბრებს გაუცნობიერებლადაც შეუძლია მსგავსი ფრაზების დაბადება და ამას პლაგიატობას ვერ დავარქმევთ); ამგვარი ზეგავლენა სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ლიტერატურასა და ხელოვნებაში; სკოლებს, მიმდინარეობებს და ჟანრებს აყალიბებს იგი); ხსენებულ საკითხზე საუბრისას ისიც შეგვიძლია დავუშვათ, რომ საქართველოში პოემის ძველი ხელნაწერები ჰქონდა ლერმონტოვს წაღებული და გააცნო ისინი ბარათაშვილს.[1]

სანამ წინამდებარე წერილის დასკვნით ნაწილზე გადავიდოდე, ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით აქვე შევეხები ლერმონტოვის „დემონის“ იმ ქართულ თარგმანს, რომლის ხელნაწერი საქართველოს ეროვნული არქივის საცენზურო კომიტეტის მასალათა ფონდში (480-1-701) არის შემონახული.

თარგმანი გასცენიერებულია, ახლავს რემარკები. იგი 1885 წელს, როგორც ჩანს, სცენაზე დადგმის უფლების მოსაპოვებლადაა კომიტეტში ჩაბარებული. თარგმნილია მხოლოდ ის ნაწილი, რომელშიც ანგელოზი, თამარი და დემონი ლაპარაკობენ. ანგელოზი ბარათაშვილისეული „სულო ბოროტოს“ მსგავსი სიტყვებით მოუწოდებს დემონს, თავი დაანებოს თამარს: *„სულ ბოროტო, სულო ცოდვილო, /ვინ მოგიხმო შენ ბნელში შვაღამის“...* დემონი არ ემორჩილება და ანგელოზი ტოვებს იქაურობას. დემონი ელაპარაკება თამარს, სიყვარულს ეფიცება, თამარი არ ემორჩილება, მაგრამ მაინც უსმენს და ლოცვას ვეღარ ახერხებს. დემონი კოცნის მას, რასაც ვერ იტანს და კვდება თამარი. ბოლოს ჩნდება ანგელოზი და მრისხანედ აძევებს დემონს. იგულისხმება, რომ ცდუნების პირას დადგა ასული (ქართული თარგმანის მიხედვით, მწველ ვნებას არ აჰყოლია და სრული სიახლოვე არ ჰქონიათ მას და დემონს), მაგრამ გადარჩა მისი სული. ორიგინალიდან ჩანს, რომ სამოთხეში აღიყვანა უფალმა იგი და თარგმანშიც იგულისხმება, რომ განეშორა თამარს დემონი...

---

[1] თუ დავუშვებთ, რომ ადგილობრივმა ფოლკლორმა დაანათესავა ლერმონტოვისა და ბარათაშვილის, ვთქვათ, ეს ფრაზები – *„Кто звал тебя”;* „ვინ მოგიხმო“, მაშინ ისეთი ლეგენდა იქნება მოსაძებნი, რომელშიც თავად ეშმაკი ჰპირდება უმანკო ასულს წუთისოფლურ სიკეთეს და რომელშიც ეს ასული, ან მისი ერთ-ერთი მფარველი, ლექსად, პროზად ან პროზაულ მონათხრობზე დართული შთამბეჭდავი პოეტური სტრიქონებით (მაგ., ხალხური შელოცვის მსგავსი ასეთი სიტყვებით – „ავო სულო ვინ მოგიხმო.“) მიმართავს ეშმაკს; მაგრამ ამგვარი ლეგენდის მსგავსი რამ არსად ჩანს და უფრო **პოეტთა ურთიერთობაშია მათი შემოქმედების სიახლოვის მიზეზები საძებნელი**.

საქაღალდის გარეკანზე არქივარიუსის მიერ მიწერილიაა: „Демони“ (Демон) Драматические сцены по поеме Лермонтова /перевод Н. Н. (ტაბ.1). **ხელნაწერის გარეკანზე** გაკრული ხელით წერია: *„დემონი /დრამატიული სცენა ლერმონტოვის პოემითგამ თარგმნილი ანან“/„ან ან“* (შესაძლოა, აქ ბოლოში ორი **ნ** ასო არც ეწეროს (ტაბ. 2). ჯერჯერობით დაზუსტებით იმისი თქმაც რთულია, ერთად წერია თუ ცალ-ცალკე ეს ასოები. **ხელნაწერის პირველ გვერდს** თუ ვერწმუნებით, უნდა მივიჩნიოთ, რომ არა „ანან“ („ან ან“), არამედ ასეთი, ერთი შეხედვით, ძნელად გასაგები სიტყვები, თუ სიტყვათა შემოკლებანი წერია აქ – **„ად ად.“** (ტაბ. 3) (ისინი შემდეგ არის ტექსტზე მიწერილი...); გამომდინარე ამ ფაქტებიდან, არქივის ერთ-ერთ თანამშრომელს, ეტყობა, არ დაუჯერებია, რომ მთარგმნელი ამ უცნაური სახელის მქონე პიროვნება – „**ანან**“ (**„ან ან“**), **ან „ად ად.“** არის და გარეკანის წარწერისთვის ხაზი გადაუსვია (ტაბ. 1).

ხელნაწერის პირველ გვერდზე (**ხელნაწერისეული გარეკანის** გარდა, ტექსტი მთლიანად ე. წ. უჯრებიანი რვეულის ფურცლებზეა დაწერილი), მის მარცხენა ზედა კუთხეში, ვკითხულობთ: „დემონი“ (ასოები **დე** ქვემოდან ხაზგასმულია და მასში, ტექსტისათვის დამახასიათებელი კუთხოვანი **ო**-ს ნაცვლად ორკბილა **ო** წერია; **ამ სიტყვის** კალიგრაფია ძირითადი ტექსტისა და მასზე შემდგომ გაკეთებული მინაწერებისაგან განსხვავებულია; შემდეგ აქაც ვკითხულობთ: *„დრამატიული სცენა ლერმონტოვის პოემითგან თარგმნილი* ***ად ად.“*** */მოქმედნი პირნი: კნიაჟნა თამარ. ანგელოზი. დემონი“* (სიტყვაში „პოემითგან“ ქაღალდის მარჯვება კიდე გადაკეცილია, მაგრამ აქ მაინც იკითხება ასო **ნ**-ს ქვედა მონახაზი; – ტაბ. 3).

უაღრესად საყურადღებოა ერთი გარემოება: როგორც ითქვა, **ხელნაწერის პირველ გვერდზე** ვკითხულობთ: *„თარგმნილი* ***ად ად.“*** ნაადრევი დასკვნისაგან თავს შევიკავებ (თუმც, აქვე დავძენ, რომ გამორიცხული არაფერია), მაგრამ აღვნიშნავ, რომ ამ ფურცელზე, თუ არ ვცდები, *ნიკოლოზ გარათაშვილი* ყოფილა დასახელებული მთარგმნელად; **სიტყვა „თარგმნილის“ შემდეგ მთარგმნელის სახელი საშლელით არის წაშლილი**, მაგრამ წაშლილობის კვალი ჯერაც ჩანს (ტაბ. 3); ხელნაწერის რედაქტორს სწორედ წაშლილი სიტყვების ნაცვლად დაუწერია ეს – „**ად ად.**“ (ბოლოში მუქი წერტილია დასმული); წაშლილ ადგილას მკრთალად შემდეგი ასოები იკითხება: **თ** (მუქად მიწერილი პირველი **ა**-ს ქვემოთ), **ტ** (მუქად მიწერილი მეორე **ა**-ს ქვემოთ), **ტ** (მეორე მუქი **დ**-ს ქვემოთ); მუქი წერტილის შემდეგ, თუ სწორად ვკითხულობ, გაკრული ხელით წერია: „**ილისა.**“ (ბოლოში ყველა გრაფემა გადაბმული ჩანს და პირველ **ი**-ს ერთკბილა **ლ**-სთან გადაბმის ხაზი ქვემოთ აქვს ჩამოწეული (აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში ერთკბილიანი **ლ**-ც გვხვდება და სამიანიც); მუქ წერტილთან, ჩვენგან მის მარცხნივ, ვხედავთ ასოს, რომელიც წაშლის შემდეგ ქართულ **ბ**-საც დამსგავსებია და – ერთკბილა **რ**-საც; ამ გრაფემის მარჯვნივ მოჩანს მარჯვენა მხარეს ბოლოჩამოხრილი ხაზი, რაც შესაძლოა, **ტირე**

იყოს; ყველა ამ წაშლილი ასოს ბოლოს **მკრთალი წერტილი** შეინიშნება; თუ **ბ** გვაქვს აქ და არა – **რ**, მაშინ ცხადია, რომ წაშლილ ადგილას იკითხება:

„**თ ტ ტ ბ-ილისა.**“

თუ სწორია ეს წაკითხვა, საფიქრებელი ხდება, რომ წაშლამდე აქ წერებულა სიტყვები: „**თავადი ტატო ბ-ილისა**“ და შემოკლების გათვალისწინების შემდეგ აქ უნდა წავიკითხოთ: „**თარგმნილი თავადი ტატო ბარათაშვილისა**“ (არ ჩანს საფუძველი, მივიჩნიოთ, რომ სიტყვა „თავადი“ „ქარაგმულად“ იყო დაწერილი.).

ჯერჯერობით ძნელია გადაჭრით თქმა, თითქოს ნიკოლოზ ბარათაშვილს რაიმე კავშირი ჰქონდეს ამ თარგმანთან. როგორც ითქვა, მაშინ, როცა „დემონის“ ბოლო ვარიანტი გამოქვეყნდა (1856 წ.), გარდაცვლილი იყო ბარათაშვილი, ეს თარგმანი კი პოემის დასრულებული ვარიანტიდანაა შესრულებული; თუ **გამოქვეყნებული** ვარიანტიდან არის იგი თარგმნილი (და არა – ხელნაწერიდან), მაშინ, ცხადია, ირიცხება ვარაუდი, რომ ბარათაშვილი იყოს მთარგნელი; ამ ხელნაწერის ავტორი (მომავალი სპექტაკლის რეჟისორი? ვინმე – სხვა?), შესაძლოა, დარწმუნებული იყო, ბარათაშვილს რომ ეკუთვნის თარგმანი, მაგრამ წაუშლია მისი სახელი და, როგორც კალიგრაფიაზე **წინასწარი დაკვირვება** ცხადყოფს, თავისსავე ხელნაწერში თავადვე დაუწერია „**ად ად.**“, რაც იქნებ სრულ უაზრობას არც წარმოადგენდეს და „ჯოჯოხეთს“ (**ад**) ნიშნავდეს (აზრი, რომ აქ, შესაძლოა, ჯოჯოხეთი იგულისხმებოდეს, თამარ შარაბიძემ მომაწოდა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ მას); არ არის შეუძლებელი, რომ წინარე ტექსტში ბარათაშვილი იყო მთარგმნელად დასახელებული, რაც გადაიტანა თავის ხელნაწერში გადამწერმა, მაგრამ შემდეგ რომელიღაც პიროვნებამ აიძულა ამ გვარ-სახელის წაშლა, – არწმუნებდა მას, რომ ბარათაშვილი ვერ იქნება მთარგმნელი, რადგან 1856 წელს აღარ იყო იგი ცოცხალი, რომ სახელის ამგვარი ფორმით დაწერაც არ მოუწონა მას (ბარათაშვილი არ წერდა ასე – *თავადი ტატო*), წააშლევინა მთარგმნელის მანამდე დასახელებული ვინაობა და გადამწერმაც ეს „**ად ად**“ იქნებ გაღიზიანებულმა დაწერა წაშლილი სიტყვების ადგილას და შემდეგ ტექსტზე დართულ გარეკანზეც გაიმეორა იგივე (ხელნაწერის გარეკანისეული წარწერა ძირითადი ხელნაწერის ავტორის მიერ შესრულებულს ჰგავს და **უფრო ის არის საფიქრებელი**, რომ ოდნავ განსხვავებული ფორმით **დ** ასოები წერია **ხელნაწერის გარეკანზე** /ორი თავგახსნილი **დ** და არა – **ნ** ასო, თითქოს ნერვიული ხელით რომ ჩანს შესრულებული)... **მთარგმნელად დასახელებული პირის ვინაობის წაშლის ფაქტი სხვადასხვაგვარად შეიძლება აიხსნას და ეს შესასწავლი საკითხია**...

ამ საკითხებზე მსჯელობისას ასეთი კითხვაც ისმება: – შეეძლო თუ არა ბარათაშვილს ხელნაწერში ენახა **პოემის სრული ვერსია**, რომელიც, როგორც მიჩნეულია, რუსეთში დაწერა ავტორმა? ზემოთ ითქვა, რომ „დემონი“ ხელნაწერებით ვრცელდებოდა გამოქვეყნებამდე (ანდრონიკოვი 1997: 606); როგორც ლევან ასათიანი წერს, *«პანაევის სიტყვით „ლერმონტოვის ლექსს პოეტის სიკვდილზე **ათეული***

ათასობით *(ხაზგასმა ჩვენია; გ. კ.) ეგზემპლარს იწერდნენ, კითხულობდნენ და იზეპირებდნენ“* (ასათიანი 1937: 71) (პუშკინზე დაწერილი ლექსი იგულისხმება), ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მიუწვდებოდა „დემონის“ ხელნაწერზე ხელი ბარათაშვილს? ვთქვათ, ჭავჭავაძეთა იმ ბიბლიოთეკაში ხომ არ ინახებოდა იგი, შამილის მეომრებმა რომ გადაწვეს?

თარგმანი სკრუპოლუზურად უნდა შედარდეს ორიგინალის მეექვსე ვარიანტს და პოემის სხვა ვერსიებს, შესაძლოა, პოემის რამდენიმე სტროფი თარგმნა ბარათაშვილმა და შემდეგ შეივსო ეს თარგმანი (მართალია, ერთი მთარგმნელის ხელიდან გამოსულის შთაბეჭდილებას ტოვებს თარგმანი და რემარკებიც ორგანული ნაწილია ამ გასცენიერებული ეპიზოდებისა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს შესაძლოობას, ბარათაშვილის მიერ თარგმნილი სტრიქონებიც იყოს ტექსტში ჩართული.). არც ის არის შეუძლებელი, რომ ადრეული ხელნაწერიდან გადამწერს, ან ადრინდელი ხელნაწერის ავტორს, თარგმანის პირველი სტრიქონებისა და ბარათაშვილის „სულო ბოროტოს“ დასაწყისი სტრიქონების მსგავსებამ აფიქრებინა, დიდი ქართველი პოეტი რომ არის ამ თარგმანის ავტორი (მსგავსება ქვემოთაც გვხვდება: თარგმანი: – *„განვედი ჩემგან, სულო შემცდარო!“;* ბარათაშვილი: – *„განვედი ჩემგან, ჰოდ, მაცდურო, სულო ბოროტო“*), მაგრამ იქნებ სხვა მიზეზიცაა, თუ არ ვცდები, ბარათაშვილის სახელი და გვარი რომ ფიგურირებს აქ? იქნებ რაიმე გამონაკლისმა გამოიწვია, ვგონებ, სახელი *ტატო* რომ იკითხება ამ ხელნაწერში? სტილის თვალსაზრისით ყოველი სტროფი არის შესასწავლი; ენა არ ჰგავს ბარათაშვილისას (ვთქვათ, სიტყვა – *„შვაღამე“*), თუმც, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თავის ლექსს სხვაგვარად წერს ნიჭიერი ადამიანი და თარგმანში კი განსხვავებულია მისი ენა; გასარკვევია, ვის ეკუთვნის პირველი გვერდის დასაწყისში **განსხვავებული ხელით** დაწერილი **სიტყვა „დემონის“**, ძირითადი ტექსტისა და, ასევე, პოემის ტექსტისეულ შესწორებათა ავტორის **კალიგრაფიები**, ყოველივეს დასაზუსტებლად ექსერტიზის დახმარებაა საჭირო. ამ ხელნაწერის აღწერისას საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგი ასო მუქად იკითხება და ხშირ შემთხვევაში კი ეს ტექსტის გასწორების მიზეზით არ არის გამოწვეული, – ადრევე დაწერილი სიტყვები მოჩანს ზოგან მუქად და ზოგან მკრთალად, რაც, ჩანს, ხელნაწერის სიძველის ბრალია... ზემოთ, ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას, საილუსტრაციოდ წერილზე ტაბულების დართვა გახდა საჭირო; ამას გარდა, მკითხველისთვის კალიგრაფიებისა და ხელნაწერის ზოგადი სურათის გასაცნობადაც საინტერესოა ისინი: ინტერესს იმსახურებს, მაგალითად, ის, რომ მე-3 გვერდზე დემონის ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: *„ამპარტავნებით მტვერში ჩავაგდე ყოვლი ყოფილი“* (ტაბ. 4); ლექსემა „**მტვერში**“ შესწორებულია, ადვილად არ იკითხება, მაგრამ ორიგინალთან შედარება ცხადჰყოფს, რომ სწორედ ეს სიტყვა წერია აქ: *„Я все былое бросил **в прах**”* (იხ. ტაბ. 4; თავად პოემისეული ხელნაწერის რაგვარობის უკეთ გასაცნობად – ტაბ. 5).

მრავალმხრივ არის ეს ტექსტი შესასწავლი. ბარათაშვილს რომ უყვარდა ლერმონტოვი, იქიდანაც ვხედავთ, თავის წერილში ლერმონტოვის ციტატითაც რომ ესაუბრება გრიგოლ ორბელიანს; ბარათაშვილზე საუბრისას მეცნიერებაში აღნიშნულია, რომ *„პუშკინმა და ლერმონტოვმა, ბაირონმა და მიცკევიჩმა, დერჟავინმა და კუკოლნიკმა, ბარიატინსკიმ და მარლინსკიმ დიდი გავლენა მოახდინეს თბილისის ახალგაზრდობაზე“* (ბალახაშვილი 1940: 127; დასახელებულია – საბჭოთა ხელოვნება 1937 №1...); ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არის შეუძლებელი, რაიმე აკავშირებდეს ამ თარგმანთან ბარათაშვილს.

მთარგმნელი ცდილობს, ახლოს იყოს ორიგინალთან; ტექსტში გვხვდება რომანტიკოსთათვის დამახასიათებელი ანჟანბემანი... სტილი საკმაოდ განსხვავდება, ვთქვათ, 1852 წელს „ცისკარში“ **ლ. ი.**-ის (ლუკა ისარლოვი) ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლექსისგან – „განსაცდელი“: *„სულო მაცთურო, რათ მამევლინე? /და განსაცდელად წარმომედგინე? /რათ ამირიე მე განსვენება?“* (ცისკარი 1852 : 7) (ამ ლექსის დაწერის თარიღი არ არის ჟურნალში აღნიშული); თარგმანის ენას არც ისარლოვის კვალი ეტყობა და ჯერჯერობით არც – სხვისა იცნობა, ჯერ ვერ ვიტყვით, ვის ეკუთვნის გადმოქართულებული ტექსტი და კალიგრაფიები (საჭიროა, იმდროინდელი ქართველი დრამატურგებისა და, საერთოდ, თეატრალურ მოღვაწეთა, ასევე – ისარლოვის, თავად ბარათაშვილის კალიგრაფიებს შეუდარდეს ამ ხელნაწერის ძირითადი ტექსტი და მინაწერები), მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურის ისტორიისთვის ძალზე საინტერესო თარგმანი და ხელნაწერია ჩვენ წინაშე; **მთარგმნელად დასახელებული პიროვნების წაშლისა და ამ ასოების („ად ად.“) მიწერის ფაქტი ხდის მას განსაკუთრებულად საინტერესოს.**

დავუბრუნდები წერილის ზედა ნაწილში გამოთქმულ ძირითად მოსაზრებას:

საფიქრებელია, რომ ლერმონტოვი და ბარათაშვილი მართლაც გაეცნენ ერთმანეთს საქართველოში, რომ ერთიმეორის **ნაწარმოებებს მათ გამოქვეყნებამდე უკვე იცნობდნენ და, თუ ლერმონტოვის შემოქმედებამ მართლაც შეასრულა როლი რუსული ფსიქოლოგიური და, აქედან გამომდინარე, მსოფლიო ფსიქოლოგიური პროზის განვითარებაში, როგორც ამას ირაკლი ანდრონიკოვი მიიჩნევს** (ანდრონიკოვი 1997: 631), **თუ პოემა „დემონიც“ არის ამ წვლილის გამღები, მაშ, ბარათაშვილის „ხმა იდუმალიც“ ყოფილა იგი, რასაც ჩუმად, შეუმჩნევლად, თავისი წილი კვალიც დაუტყვია ამ ჟანრის მწერლობისთვის**.

ბოლოს მკითხველს ვთავაზობთ პოემა „დემონის“ ზემოხსენებულ ქართულ თარგმანს:

დემონი

დრამატიული სცენა ლერმონტოვის პოემითგამ
თარგმნილი ***ად ად.***

მომქმედნი პირნი: კნიაჟნა თამარ, ანგელოზი,[1] დემონი.

ფარდა აიხდება, მოჩანს მონასტრის სენაკი. ბნელა. ტახტზედ, ღრმა ფიქრებში ჩასული, ზის თამარი, მარცხნივ მოთამაშეთაგან, ამავე მხრით, გამოდის ანგელოზი, თეთრი ნათელი ადგია და ტახტთან მოდის. მეორეს მხრით ამოდის დემონი უცებ. წითელი ნათელი ადგია. მწყრალად შეჰყურებს ანგელოზს. ორივე ერთად გამოჩნდებიან. პაუზა.

ანგელოზი */დემონს./*
სულო ბოროტო, სულო ცოდვილო,
ვინ მოგიხმო შენ ბნელში შვაღამის![2]
მაცდურო, ცუდო, ღვთისგან დევნილო,[3]
შენი მორწმუნე აქ არვინ[4] არის.
ჯერ არ უსუნთქვამს ბოროტს ამასთან,
ჩემ სიყვარულთან, ჩემ წმინდებასთან,
შენსა ბიწიერ ბილიკს ნუ იჩენ![5]
დემონი */მკაცრად/*
ეს ჩემი არის!
დაეხსენ, წადი, ეს ჩემი არის!
გვიან მოსულხარ[6] შენ მის მფარავად,[7]
აქ მსაჯულება შენი არ გადის!
აღსავსე გულზე ამპარტავნების
მე დავიჩნიე ჩემი ბეჭედი.
აქ ვიუფლებ და მალხენს იმედი!

---

[1] ხაზგასმები ყველგან ხელნაწერისეულია;

[2] კითხვის ნიშანი ძახილის ნიშნითაა გადაკეთებული; ჩვენ მიერ შეტანილი ორთოგრაფიული შესწორებები არ გვაქვს შენიშვნებში გამოტანილი;

[3] ამ ადგილას მთარგმნელის მიერ არის ჩამატებული ტაეპი: „მაცდურო, ცუდო, ღვთისგან დევნილო“... აქ ლექსემა „ცუდი“ „ყალბს“, „ფუჭს“ უნდა ნიშნავდეს, ისეთი მნიშვნელობისა ჩანს, როგორიც ბარათაშვილის „მერანშია“: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის“... (ფუჭად არ ჩაივლის სულის-კვეთება...);

[4] ხელნაწერში – „არა ვინ“; სიტყვაში – „არა“ ბოლო **ა** გადახაზულია;

[5] ხელნაწერშია: – „?!“; საყურადღებოა, რომ აქ არ არის თარგმნილი სიტყვები: “**Кто звал тебя?**”;

[6] „მოსულ ხარ“; მსგავსი ფორმა ქვემოთაც გვხვდება („მე შენ **მიყვარ ხარ**, შენ გემონები!“);

[7] აქ საშლელით არის წაშლილი ორი სიტყვა; ერთ-ერთია „მფარავა**თ**“ (ამოკითხვა შესაძლებელია), იგი ქვემოთ დაწერილი, ასევე წაშლილი სიტყვის ზემოთ, წერია; ამ წაშლილ სიტყვათა ნაცვლად მუქი ასოებით მიწერილია – „მფარავა**დ**“;

/უჩვენებს ხელით, რომ ანგელოზი მოშორდეს. ანგელოზი თავ-ჩაღუნული, პირზედ ხელებით მიფარებული, გადის ნელა. დემონი თვალს გააყოლებს. პირველად[1] დემონის ხმაზედ თამარი გამოერკვე-ვა და შიშით შესცქერის დემონს./

თამარი */როცა ანგელოზი გავა/*
ოჰ... ვინა ხარ შენ? საშიშარმა ხმამ
უცებ დამაფრთხო, გონს ვერ მოვედი;
მოგზავნილი ხარ ჯოჯოხეთიდამ,[2]
თუ სამოთხიდან ჩემთვის მოხვედი?
მითხარი, ვინ ხარ?
დემონი */ახლოს მიიწევს/*
მშვენივროზა ხარ!
თამარი */შეჰყვირებს/*
მაგრამ სთქვი, ვინ ხარ, პასუხი გამე![3]
დემონი
ვინა ვარ? ვაჰ მე!
მე ის ვარ, ვისაც შენ ყურს უგდებდი
შუა ღამისა იდუმლობაში,
ის ვარ, ვინც შენს აზრს ვუჩურჩულებდი,
ვის აზრებს ბნელათ შენ გამოსცნობდი,
ვისიც სახესა სჭვრეტდი სიზმარში.
მე ის[4] ვარ, ვინცა იმედსა[5] ღუპავს,
რა რომ იმედი აღყვავილდება.
მე ისა ვარ, ვინც არავის უყვარს[6]
და ყველა სწყევლის, ვინც კი იზრდება!
რაა ჩემთვის სვლა საუკუნების!
მე ვჟლეტ მიწიერს, – ჩემსა მონებსა,
მეფე ვარ ცოდნის და თვით – უფლების,
მტერი ქვეყნის და ზეცის გუნდების. */დაეყრდნობა ფეხებთან და კოცნის/*
მაგრამ მჭვრეტ, – ვკოცნი შენსა ფეხებსა!
მე მოგიძღვენ შენ შესაბრალები
ლოცვა პირველის სიყვარულისა,

---

[1] ხელნაწერში – „პირველი“(?);
[2] ხელნაწერისეული – „ჯოჯოხეთიდა**მ**“ შესწორებულია ფორმით – „ჯოჯოხეთიდა**ნ**“;
[3] კითხვის ნიშანი ძახილის ნიშნით არის შეცვლილი;
[4] „ისა“შეცვლილია როგორც – „ის“;
[5] ხელნაწერში – „იმედს“;
[6] სტრიქონის ბოლოს წერტილია წაშლილი;

მსოფლიო პირველ[1] გრძნობის, ტანჯვების,
ოხვრა[2] პირველი ჩემის სულისა,
ოჰ! შემიბრალე, მისთვის გაწუხებ. *<u>/თამარი წამოდგება და უნდა გაშორდეს. დემონი ხელს დაუჭერს/</u>*
მე კეთილობას და თვით ზეცასა
შენ ერთის სიტყვით კვლავ დამიბრუნებ!
ტრფობისა შენის სამოსს წმინდისა
რა შევიმოსავ, იქვე წარვსდგები,
როგორც ბრწყინვალე ანგელოზები.
ოჰ! ყური მიგდე, კვლავ გევედრები,
მე შენ მიყვარხარ, შენ გემონები!!
<u>თამარი</u> */ხელების ქნევით/*
განვედი ჩემგან, სულო შემცდარო!
დაჩუმდი, არ მწამს მე სიტყვა მტრისა!.. *<u>/გაიქცევა და ხატების წინ დაიჩოქებს /პაუზა/</u>*
ველარ ვლოცულობ, ოჰ! მაცხოვარო!...
რაღაც მომწყვლელის საწამლავითა
ჩემი სუსტი ჭკვა მრთლად აღვსილია... */მიუბრუნდება დემონს და ცრემლებით/*
მისმინე! მღუპავ! ეს ნამდვილია, –
შენი სიტყვები ღვივა ალითა,
მითხარ, თუ რისთვის შეგყვარებივარ?
<u>დემონი</u>
რისათვის, ტურფავ? ვაჰ! ჩემ ცხოვრებას!
არ ვიცი, რაღაც აღვსებილი[3] ვარ
ახლის სიცოცხლით, ვგრძნობ აღტაცებას,
დანაშაულის ჩემის თავიდან
ეკლის გვირგვინი გარდავიხადე;
ამპარტავნებით მტვერში ჩავაგდე
ყოვლი ყოფილი, და იმა დღიდან
ჩემი სამოთხე და ჯოჯოხეთი
შენ თვალებშია, ხარ ჩემი ღმერთა.[4]

---

[1] ფურცლის ქვედა კიდე ჩამოხეულია, სიტყვა ძნელად იკითხება; ორიგინალშია – „Земное **первое** мученье";

[2] ორიგინალისეულ ვარიანტებშია – „И **слезы** первые мои" („და ჩემი პირველი **ცრემლები**"); საინტერესოა, რომ ბარათაშვილის სტილს ესადაგება სიტყვა „ოხვრა";

[3] სიტყვაზე „ავსებილი" **ღ** (а**ღ**ვსებილი) ზემოდანაა ჩამატებული; ამ სიტყვის წინ წერია ტირე, რომელიც ხაზით არის გადაშლილი;

[4] ხელნაწერში „ღმერთი" შეცვლილია როგორც „ღმერთა";

ოჰ! რომ შეგეძლოს, გაიგებდე მრთლათ
რა მწარე არის ჩემი წვალება
მრთლათ საუკუნოთ, თანაუგრძნობლად.
ტანჯვა და თუ თვით სიამოვნება... */<u>მიდის თამართან, – თამარი შორდება და გადავა მეორე მხრით</u>/*

<u>თამარი</u>
რათ მინდა ცოდნა შენის დარდების?
აწ დაასრულე ჩივილი, კმარა,
შენ დააშავე...
<u>დემონი</u>
შენთან ხომ არა?
<u>თამარი</u> */შიშით/*
გაგვიგონებენ, დაჩუმდი ერთი...
<u>დემონი</u> */უცებ წინ წამოიწევს/*
ჩვენ მარტონი ვართ!!
<u>თამარი</u> /გაექანება თავის ტახტისკენ/
და[1] მაღლა ღმერთი?
<u>დემონი</u>
რისთვის მოიცდენს ჩემზედა ხედვას,
ის ზეცას უვლის, არ დასდევს მიწას.
<u>თამარი</u> */უცქერის გაშტერებული/*
ჯოჯოხეთისა ტანჯვა, დასჯები?
<u>დემონი</u> */უცებ მიუახლოვდება/*
რა არის? იქ შენ ჩემთან იქნები!!
<u>თამარი</u> */შესძახებს/*
ვინც გინდა, იყო */უფრო წყნარად/,*
ჩემო კეთილო!
მოსვენება რა განზედვნე გულით,
მე ყურს გიგდებ შენ, მწარედ დასჯილო,
უნებლიეთად იდუმლის ლხინით.
მაგრამ თუ ენა შენი ჭრელია
და მით ვარ შენგან მოტყუებული,
ოჰ! შემიბრალე! რა სახელია,
აბა, რათ გინდა შენ ჩემი სული?
ნუთუ[2] მართლა მე მეტად მაფასებ

[1] ლექსემა „და“ ჩვენი ჩამატებულია;
[2] „ნუ თუ“; ასეთივე ფორმა ქვემოთაც გვხვდება („ნუ თუ არც ფიცი“...);

ყველაზე შენგან შეუმჩნევლებზედ[1]
და მისთვის სულსა უდროოთ მტაცებ,
ხელს მაღებინებ ქალწულობაზე!
არა, მომეც მე მტკიცე ფიცები. /*ხელს გაუწვდის ხვეწნის ნიშნათ/*
მითხარ, შენ გჯერა, რომ ვიტანჯები,
შენ ხედავ სუსტსა ქალის ფიქრებსა?
უნდოთ ვსასოებ სულში შიშებსა...
მაგრამ შენ ყველას სცნობ და გაიგებ,
და თქმაც არ უნდა, რომ შემიბრალებ?
შემფიცე ეხლავ... კეთილის მტრობა
დააგდო დღესვე, იმოწმე ღმერთი!
ნუთუ არც ფიცი, აღარც პირობა
დაურღვეველი არ არს არც ერთი? /*დაღლილი და აღელვებული დაეშვება ტახტზედ.*/

დემონი

ვფიცავ პირველ დღეს ქვეყნის შექმნისას,
უკანასკნელსა ვფიცავ მის დღესა,
ვფიცავ სირცხვილს ცრუ მეტყველებისას,
და სიმართლის ჟამს უნეტარესსა,[2]
შეჩვენებისა ვფიცავ მწარ გრძნობას,
მოკლე ოცნებებს გამარჯვებისას,
ვფიცავ პირველსა შენსა გაცნობას
და კვლავ საზაროს განშორებასა.[3]
ბედს ხელ-ქვეითის ჩემის ძმებისას,
ანგელოზების საკრძალავსა ხმლებს
და უძინარი ჩემის მტრებისას.
ვიფიცავ ზეცას და თვით ჯოჯოხეთს,
მიწიერს წმინდას შენსა სახელსა,
შენს შემოხედვას, უკანასკნელს, ერთს,
მარგალიტის მსგავს პირველ შენს ცრემლსა.
უცოდველთ შენთა ბაგეებთ სუნთქვას,
თმასა მღელვარეს, აბრეშუმეულს;
ვიფიცავ ტანჯვას და ნეტარებას,

[1] სიტყვაში – „შეუმჩნევლებზედ“ ბოლო **დ** ხაზით არის გადაშლილი;

[2] ხელნაწერში „უნატარესსა“ შეცვლილია ლექსემით – „უნეტერესსა“; ორიგინალშია „Клянусь позором преступленья / И вечной правды торжеством”;

[3] ხელნაწერშია – „განშორებას“;

ვფიცავ უმაღლეს ჩემსა სიყვარულს –[1]
მომმაგდა შარა მე შურის ძებნის,
უარი ვყავი მე ძველსა ტანჯვებს;[2]
დღეიდან შხამი ბოროტის ენის
არავის სმენას აღარ შეარყევს!
მინდა, რომ ზეცას მე შევურიგდე,
მინდა მიყვარდეს, მინდა ვილოცდე!
მე ნებიერი, მე ეთერისა,
ვარსკვლავებთ ზემო გიჩენ საშვებელს,
იქ შენ იქნები მეფე ქვეყნისა,
იქ მეგობრობის გიკმევ საკმეველს!
გროვას სულებთა, ჩემ ქვეშევრდომებს
მე მოვიყვან შენ ფეხებთან წინა,
მხევლებს მსუბუქებს და ჰაეროვნებს
ფეშქაშათ გიძღვნი, მზა მყავს შენთვინა.
შენთვისვე ვარსკვლავს აღმოსავლისას
მოვხვდი მე გვირგვინს, ოქროს ნაჭედსა,
ავართმევ ყვავილთ ცვარს შვაღამისას,
მითი მოგირწყავ არე-მარესა,
სხივსა წიაღის მზის დასავლისა
წელზე შეგარტყამ, ეგრე მოგაწყობ,
სუნთქმითა წმინდის სუნელებისა –
შენ ახლო-მახლო ჰაერს დავათბობ,
ყოველწამ[3] იყვას საამო ხმებით
მე შენსა სმენას გავახალისებ.[4]
კოშკსა აგიგებ სულ ფირუზებით,
ქარვის ჩარდახით შეგიმკობინებ,
მე ჩავეშვები ზღვის უფსკრულებში,
ყოველს კარგს ქვეყნის შენ მოგცემ ხელში.
ოღონდ გიყვარდე...

/გადახვევს ხელებს და კოცნის. იმ წამს თამარი დაიკივლებს და გაუვარდება დემონს ხელიდან მკვდარი. სცენა სრულებით დაბნელდება. მოისმის ქუხილი, – ანგელოზი გამოჩნდება, სინათლით მოსილი, და მრისხანეთ უჩვენებს დემონს გასვლას. ცოცხალი სურათი. ფარდა ნელა დაეშვება/.

---

[1] ბოლოში წერტილი ტირეთია შეცვლილი; ორიგინილთან შედარება ცხადჰყოფს, რომ შესწორება გამართლებულია, – „Клянусь любовию моей**:** /Я отрекся от старой мести”;

[2] „ტანჯვას“ შეცვლია სიტყვით – „ტანჯვებს“;

[3] „ყოველ წამ“;

[4] ფურცლის ზედა კიდე ჩამოხეულია, იკითხება „გავა.....ლისებ; აქ რომ „გავახალისებ“ წერებულა, ამას პოემის ორიგინალი ადასტურებს: „Твой слух лелеять буду я”.

ტაბ.1.



ტაბ.2.

ტაბ.3.



ტაბ.4.



ტაბ. 5.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდრონიკოვი ი. (1939), Андроников И. Жизнь Лермонтова, М.-Л. : „Детиздат";

ანდრონიკოვი ი. (1948), Андроников И. Лермонтов. Новые разыскания, Москва: „Советский писатель";

ანდრონიკოვი ი. (1951), Андроников И. Лермонтов, Москва: „Совесткий писатель";

ანდრონიკოვი ი. (1955), Андроников И. Лермонтов в Грузии в 1837 году, Москва: „Совесткий писатель";

ანდრონიკოვი ი. (1997), Андроников И. Лермонтов. Исследования и Находки, Москва: „Художественная Литература". http://feb-web.ru/feb/lermont/critics/and/and-001-.htm?cmd=p (29.11. 2023); ნაშრომი პირველად 1964 წელს გამოიცა.

ასათიანი ლ. (1937), ლერმონტოვი და ჩვენი ქვეყანა, ჟურ. „ჩვენი თაობა", №9.

ბალახაშვილი ი. (1940), ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში, საუკუნის პირველი ნახევარი, დოკუმენტური ნარკვევი, თბილისი: „საბლიტგამი";

ბალახაშვილი ი. (1941), ლერმონტოვის ქართველი ნაცნობები, თბილისი : „სახელგამი";

ბალახაშვილი ი. (1964), ახალი ფურცლები ლერმონტოვის ცხოვრებიდან, თბილისი: „საბჭოთა საქართველო";

ბალახაშვილი ი. (1967). ბარათაშვილის ცხოვრება, თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება";

ბარათაშვილი ნ. (1968), თხზულებანი, თხზულებათა ტექსტი დადგენილია პავლე ინგოროყვას მიერ, თბილისი: „საბჭოთა საქართველო".

ბარტენიევი პ. (1881), Бартенев П. Б. К биографии Грибоедова. „Русский архив", кн. I.

დრანსე (1858): Пленницы Шамиля. Воспоминания г-жи Дрансе. Перевод с францзуского Е. Дзюбинского. Тифлис.

გრიბოედოვი ალ. (1881), Грибоедов Ал. Письмо к П. Н. Ахвердовой от 29 июня 1828 г. – "Русский архив", кн. II.

ვერულავა თ. (2009), მიხეილ ლერმონტოვი და საქართველო, ბურუსი-Burisi, თენგიზ ვერულავა, Tengiz Verulava https://burusi.wordpress.com/2009/09/08/lermontov/ (29.11. 2023)

ვისკოვატოვი პ. (1887), Висковатов П. А. Михаил Юрьевич Лермонтов, "Русская старина", 1887, № 10.

ლერმონტოვი მ. (1989), Лермонтов М. Ю. Полное собрание стихотворений в двух томах, Том 2. Стихотворения и поемы. Л. : "Советский писател";

ლერმონტოვი მ. (1957), დემონი, აღმოსავლური თქმულება, თარგმნა რევაზ თვარაძემ, თბილისი: „სახელგამი".

ლექსები (1842), Стихотворения М. Лермонтова, Часть II. СПБ: Типография Ильи Глазунова и комп.

https://books.google.ru/books?id=L14AAAAAcAAJ&pg=PA163&hl=ru№v=onepage&q&f=false)

პოტტო (1893): Потто В. История 44-го драгунского Нижегородского полка, т. II. СПб

პოტტო (1894): Потто В. История 44-го драгунского Нижегородского полка, т. IV СПб

IV. СПб.

საისტორიო მუზეუმი: Тетрадь автографов Лермонтова („Чертковской библиотеки”) в Отделе письменных источников Государственного Исторического музея в Москве, ф. 445, № 227 ал. 44;

სუშკოვა (1870), Записки Екатерини Александровны Хвостовой, рожденной Сушковой. Матерлиалы для биографии М. Ю. Л:ермонтова, 1812-1841; СПБ. https://books.google.ru/books?id=0vVDAAAAYAAJ&pg=PR1№v=onepage&q&f=false (29.11. 2023)

ჩანაწერები (1842), Отечественые записи; т. 22, № 6. https://books.google.ru/books?id=-FYFAAAAQAAJ&pg=PA187№v=onepage&q&f=false; (29.11. 2023)

ფადეევი (1897): «Воспоминания Андрея Михайловича Фадеева», ч. II, Одесса;

ცაიშვილი სოლ. (1940), მასალები ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, კრებ. ლიტერატურის მატიანე, წიგნი 1-2; თბილისი: საქ. სსრ. ლიტერატურის მუზეუმი.

ცისკარი (1852): ცისკარი, ქართული სიტყვიერებათი ჟურნალი, 1852, № 5.

ყველა რედაქცია: Демон, в разных редакциях; http://lermontov.info/text/demon_other.shtml

ყიფიანი დ. (1846): Кипиани Д. Некролог А. Г. Чавчавадзе. — «Кавказ», 1846, № 5.

გოჩა კუჭუხიძე
Gocha Kuchukhidze

ალექსანდრე ყაზბეგის *„ყველაფერი ბედზედ არის“* ანუ ქვესკნელისკენ მარშით მიმავალთა გზა[1]

Unknown Play by Alexander Kazbegi or A Way Marching to the Hell

Annotation

In the National Archive of Georgia, in particular, in the collection of *Censorship Committee* (late 19th and early 20th centuries), there is preserved vast materials, thousands of pages, from which we can see, how the materials for publication were considered in this Committee; which were further banned and publishing of which was prohibited; it turned out that the books about the patriotic themes in Georgia did not cause such fear in the *Censorship Committee* as the ones expressing revolutionary ideas.

Committee stored numerous lays that should have been born in Georgian theaters. Mostly, these were the vaudevilles, less dealing with the politics and the permits for their staging were issued in majority of cases.

Among the plays, we found the vaudeville by famous Georgian writer – Alexander Kazbegi. Its title sounds in Georgian as: "ყველაფერი ბედზედ არის" (*Everything Depends on Fate)* the play title can be translated also as *"Things are Going Well as well);* there is maintained Alexander Kazbegi's manuscript, sent by him to the *Censorship Committee* for issuance of the permit for staging; the mentioned play was never published.

In the play, there is used the lifestyle of certain part of the society of that time. The characters are people, regarding that in the modern family, the wife and husband, if they do not desire to be regarded as being behind the times, they should have the lovers – the wife should accept her husband's unfaithfulness and the husband – his wife's, sometimes, they should be formally show jealousy, as the etiquette of contemporary life required so in their opinion but in reality, they should not bother about this. In the vaudeville we can see not only such wife and husband but also their servants, teacher of their children, liver of the wife… all of them flirt and talk about their love, while separately they blame one another and face to face they praise each other… in the end of the play they all sing together and there are such words in the song: *going to the depths* and when in the final

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა", № 4, თსუ გამომცემლობა, 2024 წ.

scene, they sing this song on the stage, the characters leave, creating the impression that they go towards the hell, to the depth.

Alexander Kazbegi was a great prose-writer, but he is not recognized as a great dramatist. The article provides discussion of the vaudeville genre and there is noted that the writer was well aware in the specific nature of the mentioned genre and without taking into consideration that one or another of his plays is adjusted to the specific nature, we cannot understand that he was quite good writer in this sphere as well.

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ყაზბეგი, უცნობი პიესა
Keywords: Alexander Kazbegi, unknown play

საქართველოს ეროვნული არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდის მასალებზე მუშაობისას შეგვხვდა ხელნაწერი (480-1-442; 1880 წ.), პიესა, რომელსაც *„ყველაფერი ბედზედ არის“* ჰქვია და რომელიც ხელმოწერილია ფსევდონიმით – *„აკია მოჩხუბარიძე“;* შემონახულია ავტორისეული ხელნაწერი, რომელიც ფართო მკითხველისთვის უცნობია. ცხადია, ლიტერატურის მოყვარულთათვის გასაგებია, რომ ჩვენ წინაშეა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოები (ჩვეულებრივ, *„აკაკია მოჩხუბარიძის“* ფსევდონიმით წერდა იგი, – ამ შემთხვევაში *„აკია“* აურჩევია ფსევდონიმის პირველ ნაწილად /ფსევდონიმების ლექსიკონსაც ამდიდრებს ეს პიესა); ავტორს სათაურის ქვემოთ დაუწერია – *„კომედია ვოდევილი“.*

ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც დრამატურგი, არ არის მიჩნეული ისეთი მაღალი დონის მწერლად, როგორადაც მისი აღიარებული პროზაული ნაწარმოებებით (მოთხრობებით) ვიცნობთ, ამასთან მკითხველთა ფართო საზოგადოება არ იცნობს ამ პიესას, ამიტომ მოკლე ანალიზს გავაკეთებთ მისას და ვეცდებით, მკითხველს მივცეთ საშუალება, პიესის გაცნობის შემდეგ თვითონ შეაფასოს, რამდენად სწორია ამ ნაწარმოების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება (ტექსტი უკვე მომზადებულია გამოსაცემად და იმედია, მალე გამოქვეყნდება იგი. ალექსანდრე ყაზბეგის, ასევე სხვა მწერალთა, უკვე გამოქვეყნებული, მაგრამ დავიწყებული და ხელნაწერებში შემონახული პიესები, რომლებიც არ იყო დაბეჭდილი, იხ. გამოცემებში: უცნობი ყაზბეგი 2018; შარაბიძე, ციციშვილი 2022; შარაბიძე, ციციშვილი 2023; აქვე დავძენთ, რომ ამა თუ იმ ავტორის უამრავი პიესა და პიესის თარგმანია საქართველოს ეროვნული არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდში დაცული და გამოქვეყნებას საჭიროებს ისინი; ამჟამად ამ ფონდის მასალებს სწავლობს სამეცნიერო ჯგუფი

თამარ შარაბიძის, თამარ ციციშვილის, დოდო ჭუმბურიძის, მანანა შამილიშვილის, ანა დოლიძისა და წინამდებარე წერილის ავტორის შემადგენლობით).

პიესას ექვსი მოქმედი პერსონაჟი ჰყავს: ცოლ-ქმარი – თამარი და დიმიტრი, მათი შვილების მასწავლებელი – მარი, თამარის საყვარელი – გრიგოლ გუნდრუ-აშვილი, მოსიკა და ლიზა – თამარისა და დიმიტრის მოსამსახურეები.

მე-19 საუკუნის ეს ადამიანები კომიკური სახით არიან გამოყვანილნი. ავტო-რი გვიჩვენებს, რომ განათლებულებად და ცივილიზებულებად მიიჩნევენ ისინი თავს და მორალის ცნება კი საერთოდ დაკარგული აქვთ (დიმიტრი მარის ეტრფის, ხოლო თამარი – გრიგოლს; გრიგოლი თამარის საყვარელიცაა და ლიზასაც ეფი-ცება ერთგულებას, მარიც სატრფოა მისი; აქ დახატული ყველა ქალი გრიგოლს აღიარებს თავის გულთამპყრობელად).

კომედიად აქვს ყაზბეგს ეს პიესა სახელდებული, ასე წარმოაჩენს მას, მაგრამ, ვიტყოდი, რომ, უფრო ტრაგი-კომედია დაუწერია ავტორს.

მოქმედება ერთი ოჯახის ცხოვრების ჩვენების ფონს არ სცილდება და ამ ოჯახის მაყურებლები ხედავენ, რომ ცოლმა და ქმარმა იციან ერთმანეთის ღალა-ტის შესახებ და არ დარდობენ ამის გამო, რადგან ჰგონიათ, რომ თანამედროვე ოჯახში ასე უნდა იქცეოდნენ და რომ ამგვარი საქციელი ცივილიზებულობის ნი-შანია (საზრუნავად მატერიალური კეთილდღეობა უფრო მიაჩნიათ); პიესის ტრა-გი-კომიკურობა ნელ-ნელა ძლიერდება, მკითხველი და მაყურებელი შემდეგ და შემდეგ იგებენ, მოღალატე ცოლის საყვარელი ამ ცოლის მოსამსახურესთან რომ ცდილობს სასიყვარულო ურთიერთობის დამყარებას, რომ არც მოსამსახურეა მაღალი ზნეობის პატრონი და მისი შეყვარებული მოსიკა კი უმწეოდ შეჰყურებს მომხდარს... პიესაში თითქოს ერთგვარი ჯაჭვური რეაქციით ნელ-ნელა ჩნდებიან ზნეობრივად დეგრადირებული ადამიანები; ალექსანდრე ყაზბეგის თანახმად, ეს მე-19 საუკუნის რეალობაა.

პიესის სათაური – *„ყველაფერი ბედზედ არის“* ერთმნიშვნელოვანი არ არის. ერთი მხრივ, ტრადიციული მნიშვნელობით შეგვიძლია გავიგოთ მისი შინაარსი – პიესის გმირები ბედით ხსნიან ყველაფერს (კარგსაც და ცუდსაც), რაც მათ ცხოვ-რებაში ხდება და ამით პასუხისმგებლობას იცილებენ თავიდან (არაქრისტიანული საქციელია, როცა ადამიანი მუდამ ბედს მიაწერს თავის წარუმატებლობასა თუ წარმატებას და ავიწყდება, რომ ქრისტე იგია, ვინც ბედისწერისაგან ათავისუფლებს ადამიანს); სათაური იმაზეც მეტყველებს, თვითკმაყოფილებით რომ არიან პერსო-ნაჟები შეპყრობილნი, მიაჩნიათ, რომ ბედნიერად აქვთ ცხოვრება აწყობილი და თითქოს არც ის ადარდებთ, რომ შესაძლოა ქვესკნელისაკენ წაიყვანოს ისინი ამგ-ვარმა ცხოვრებამ; პიესის გმირები ყალბად ჩხუბობენ ხოლმე, ფიქრობენ, რომ განათლებულმა ცოლ-ქმარმა ეჭვიანობა უნდა გამოხატოს, წესი და მიღებული ეტიკეტი იმასაც მოითხოვს, რომ ყალბად იჩხუბონ და იკამათონ... სწორედ ასე ხდება პიესაში – „კონფლიქტური“ სიტუაციები იქმნება ცოლ-ქმარსა თუ მოაშიკეთა

და ერთმანეთის მეტოქეთა შორის, ბოლოს კი, რადგან მიაჩნიათ, რომ განათლებული და პროგრესული ადამიანები თავისუფლებას უნდა აძლევდნენ ერთი-მეორეს, „რიგდებიან“ პერსონაჟები, „მეგობრული“ და „თავისუფლების“ მაღიარებელი ადამიანები უგებენ ერთმანეთს, „განათლებულობის“ სულს პატივს სცემენ და ბოლოს „საზეიმო ნოტათი“ სრულდება პიესა – სპექტაკლის დასასრულს გრიგოლი სპექტაკლის გმირებს მწკრივად აყენებს, წინ მიუძღვის და ასე მღერის (ანუ, როგორც ყაზბეგი იტყვის, *„მღეროდს“*):

ყველაფერი ბედზედ არის:[1]
დამდაბლება, ამაღლება,
ეცად ასვლა, ქვესკნელს ჩასვლა,
ოულოდნათ ტრფიალება!

ამ „საზეიმო“ მარშით მიდიან მწკრივში მყოფნი (ყაზბეგის სიტყვით, *„მუზიკა უკრავს, სხვები ბანს აძლევენ და მიდიან“*), მიდიან, მიემართებიან, ტოვებენ სცენას და ისმის გრიგოლ გუნდრუაშვილის მიმყოლთა „ბანი“, – მათი უცნაური და შავბედითი მოძახილი – *„ააააააააააა“.* თითქოს ქვესკნელისკენ მიემართებიანო ყველანი ერთად... ეტყობა, ამის წარმოჩენა სურს ავტორს, ასეთ განწყობილებას ტოვებს სიმღერის სიტყვები – „ქვესკნელს ჩასვლა“ და, საერთოდ, ამგვარი ფინალი („ზეცად ასვლაც“ ჟღერს სიმღერაში და ალბათ იგულისხმება, რომ მაყურებლები თვითონ უნდა მიხვდნენ, ზეცად მაღლდებიან თუ ქვესკნელისაკენ მიჰყავს ცხოვრების ასეთ წესს ადამიანები, პერსონაჟთაგან დატოვებული სცენა ამ წუთისოფელს ასახიერებს ალბათ); ვფიქრობ, პიესის დასასრულს განსაკუთრებით კარგად მოჩანს მწერლის ნიჭი და ისიც, თუ რა არის მისი მთავარი სათქმელი (როცა ლექსის შინაარსს გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ ბოლო ეპიზოდში სიტყვა „ბედი“ ერთმნიშვნელოვანი გაუხდია ყაზბეგს, რომ არა – ბედნიერების, არამედ მხოლოდ ბედის (ამ შემთხვევაში – შავი ბედის) მნიშვნელობა მისცემია მას. ქვესკნელისაკენ წამყვანი ბედი საკუთარი თავისთვის თავადვე შეუქმნიათ პიესის გმირებს და აგრძელებენ ამ გზაზე სვლას).

ალექსანდრე ყაზბეგს, როგორც ითქვა, სათაურთან თავადვე აღუნიშნავს, ვოდევილი რომ არის ეს პიესა. ნაწარმოების გაცნობისას ცხადი ხდება, რომ ავტორი კარგად იცნობდა ხსენებული ჟანრის სპეციფიკას: ვოდევილის პერსონაჟს შეუძლია, ხმამაღლა იფიქროს, მიმართოს მაყურებელს; პერსონაჟის ხმამაღალი ფიქრი, თუ განსაკუთრებულ მხატვრულ დატვირთვას არ შეიცავს იგი, ვთქვათ, დრამატულ პიესაში უნიჭობად აღიქმება, ასეთ პიესაში ხმამაღალი ფიქრები, რომლებიც იმისათვის არის წარმოთქმული, რომ უცბად გაერკვეს მაყურებელი პერსონაჟის ზრახვებსა თუ ვითარებაში, რაც ამ პერსონაჟის გარშემო ხდება, ხელოვნურ სახეს იძენს და მწერლის ნიჭიერებაზე არ მეტყველებს, ვოდევილში კი დასაშვებია იგი;

[1] ხელნაწერში არა – ორწერტილი, არამედ მძიმეა დასმული.

ვოდევილში ხშირად მღერიან და ცეკვავენ კიდეც პერსონაჟები... თუ ამ სპეციფიკას არ გავითვალისწინებთ, შესაძლოა, იმდენად მაღალი შეფასება არც მივცეთ პიესას, როგორსაც იმსახურებს იგი; თუ ისეთი თვალით წავიკითხავთ ამ ნაწარმოებს, როგორც – ჩვეულებრივ დრამატულ პიესას, მის ღირსებასაც ნაკლებად დავინახავთ... ვფიქრობ, სწორეს ეს გარემოება იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც დრამატურგი, თავის დროზე ნაკლებად დაფასდა, არადა, ჩვენი აზრით, ამ პიესიდანაც დავრწმუნდებით, საკმაოდ დიდ ნიჭს რომ იჩენდა მწერლობის ამ დარგშიც და კარგად რომ ერკვევოდა თეატრალური მწერლობის სპეციფიკაში; იქნებ იმედი ჰქონდა, რომ გაითვალისწინებდნენ ვოდევილის ჟანრის სპეციფიკას და ესეც იყო მიზეზი, პიესის სათაურთან „ვოდევილი“ რომ მიაწერა ავტორმა, ეწადა გაეადვილებინა მაყურებლისთვის პიესასთან ახლოს მისვლა.

„ყველაფერი გედზედ არის“ იმ დროს არის დაწერილი, როცა აღორძინებას იწყებს ქართული თეატრალური ცხოვრება და მაყურებელი სულ უფრო ემატება თეატრს. თუ ამ პერიოდის რეპერტუარს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ კომედიას, კერძოდ, ვოდევილს, განსაკუთრებით ეძლევა სცენაზე დასადგმელი თავისუფლება და ალექსანდრე ყაზბეგი ცდილობს ისარგებლოს ამ შესაძლებლობით და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მიმდინარე მოვლენებში; კომედიის გარდა, იგი წერს პიესას, რომელიც ქეთევან დედოფალს ეძღვნება და რომლის ადრინდელი ვარიანტი, სათაურით „კონსტანტინე ბატონიშვილი“, საცენზურო კომიტეტში ასევე არის დაცული, მაგრამ მწერალმა კარგად იცის, შედარებით მსუბუქი ჟანრი, კომედია, ასევე რომ უნდა დამკვიდრდეს ქართულ თეატრში; იგი ცოტა მეტ ხალისსაც შეიტანს პოლიტიკური ვითარების გამო ისედაც დამძიმებულ სულიერ გარემოში (ჩანს, მიაჩნია, რომ თეატრში კომედიების სანახავად როცა დაიწყებს ადამიანი სიარულს, გარკვეულწილად შეიცვლება მისი ხასიათიც, – უფრო თავისუფალი გახდება იგი... ეს ის დრო არის, როცა თეატრში სიარული და მსახიობობა არცთუ კარგ ტონად აღიქმება საზოგადოების ზოგიერთ ნაწილში...) და ამავდროულად ადვილად ილაპარაკებს მწერალი იმ საჭირბოროტო საკითხებზე, ქვეყნის წინაშე რომ დგას.

ორიოდე სიტყვა ალექსანდრე ყაზბეგის ენისა და კონკრეტულად ამ პიესის ტექსტის შესახებ: ის ხელნაწერი, რომელიც საქართველოს ეროვნული არქივის ფონდშია დაცული, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ძირითადად დასადგმელად და თეატრში სამუშაოდ არის იგი დაწერილი (დადგმის ნებართვის მისაღებადაა იგი საცენზურო კომიტეტში ჩაბარებული). აქედან გამომდინარე, ტექსტში გვხვდება ზოგიერთი უზუსტობა, ზედმეტი ბრჭყალები, ძახილის ნიშნები, სიტყვის დანაწილება *(„ერთ გაშად, ხელ მეორეთ, თავის უფლათ“...);* ორთოგრაფიულ სიზუსტეს დიდ ყურადღებას არ აქცევს ავტორი, შესაძლოა, ერთ შემთხვევაში საერთოდ არ დასვას მძიმე, მეორეში კი უადგილოდ იხმაროს იგი; ზოგჯერ მხოლოდ კითხვით ნიშანს წერს წინადადების ბოლოს (არადა იმ დროისათვის მეტ-ნაკლებად მიღებული ნორმების მიხედვითაც ამ ადგილას კითხვისა და ძახილის ნიშნის ხმარება უფრო სწორი იქნებოდა) და სხვაგან კი ამ ორსავე ნიშანს წერს; არის შემთხვევა,

როცა ჯერ ძახილის, შემდეგ კი კითხვის ნიშანს სვამს იგი (ეს წესი სხვა ავტორთა ხელნაწერებშიც გვხვდება, ემოციის თავისებურებაზე მეტყველებს იგი...); ყურადღებას იქცევს ფაქტი, რომ პერსონაჟი ერთ შემთხვევაში მოხსენიებულია სახელით მარი, მეორეში კი როგორც – მერი; პიესის დასაწყისში მარიზე (მერიზე) შეყვარებული პერსონაჟი დიმიტრი ამბობს: *„რა, პოეტიკური სახელია მარი!... რამთვენის ალერსიანი სიტყვით შეიძლება ეს სახელი გადაცვალოს კაცმა!.. მარი, მერი, მაშო, მაშიკო... მარუნა, მარუსია... მაშენა!... არა, მარტო სახელს შეუძლიან კაცის გაგიჟება“.* აქ პერსონაჟი ახსენებს სხვადასხვა სახელს, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც გვხვდება ხელნაწერში, როცა არა პერსონაჟის, არამედ ავტორისეულ ტექსტშია (რემარკებში) ამა თუ იმ სახელის ფორმები განსხვავებულად წარმოდგენილი და ამ დროს საჭიროა, ზუსტად განისაზღვროს, ავტორმა განზრახ, მხატვრული დატვირთვის გამო გააკეთა ასე, თუ მექანიკური შეცდომა მოუვიდა (მაგ., თეორიულად ხომ შეიძლება, ავტორი იხსენიებდეს თავის პერსონაჟს ერთხელ როგორც „თამარ“, მეორედ – სახელით „თამრო“ და ამას სპეციალური მხატვრული დატვირთვა ჰქონდეს – ავტორიც ალერსით იხნებიებდეს თავის პერსონაჟს... შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ პერსონაჟივით ავტორსაც ალერსის სურვილი მოსძალებია და, მარისთან ერთად, მერისაც უწოდებს თავის პერსონაჟს... თუმც, შესაძლოა, მექანიკური შეცდომაც იყოს, ან სამუშაო ფურცლებში ისე, უბრალოდ, ალერსიანად იხსენიებდეს ალექსანდრე ყაზბეგი თავის პერსონაჟ მარის, იგივე – მერის და გამოსაქვეყნებელ ვარიანტში კი არ მოქცეულიყო ასე...); საჭიროა, ზუსტად ვიცოდეთ ავტორის მოქმედების მიზეზი, ამიტომ მსგავს შემთხვევებზე მომავალში იქნება მეტი დაკვირვება საჭირო; ტექსტში, დიალოგებისას, მთავარი პერსონაჟის სახელის შემდეგ წერტილებია დასმული, ეს მხოლოდ სახელის შემოკლების ნიშანი არ უნდა იყოს, იგი ტირეს მოვალეობასაც ასრულებს; საინტერესოა, რომ ავტორი წინადადების ბოლოს ზოგჯერ სამ წერტილს წერს, ზოგჯერ – ოთხს, ზოგჯერ – მეტს; როგორც ჩანს, ეს იმისი შედეგია, რომ მისთვის ამ შემთხვევაში სამი წერტილის დასმის დადგენილი წესი არ არსებობს; თუმც, არც ის არის გამორიცხული, ასე ვთქვათ, ემოციური მრავალწერტილი იყოს ეს, – რომ, რაც მეტი ემოციაა წინადადებაში ჩადებული, მით მეტ წერტილს წერდეს ავტორი... ჩვენ უფრო ვფიქრობთ, რომ გრამატიკულად დაუდგენელი წესების გამო იქცევა ყაზბეგი ასე (საინტერესოა, რომ საერთოდ მრავალწერტილს ხშირად ხმარობს ავტორი.) ამგვარი საკითხები სპეციალურ ანალიზს საჭიროებს და დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია, საგანგებოდ შეისწავლოს ეს საკითხი. ტექსტში ყველგან ასე წერია: *„გამოსვლა 1“, „გამოსვლა 2“* და ა. შ... ცხადია, ეს პიესა იმ დროს იწერება, როცა ქართული ენის ნორმები, გრამატიკული ფორმები ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და არც ისაა გასაკვირი, რომ ეს ვითარება ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებშიც იყოს ასახული. საინტერესოა, რომ თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელის გადმოცემისას ავტორი ხან სახელობითი ბრუნვის ნიშნით (ი ხმოვნით) აბოლოებს ამ სახელებს, ხან ამ ნიშნის გარეშე წერს მას (გრიგოლ – გრიგოლი).

მწერლის ენის შესახებ დამატებით დავძენ: მეტყველება ყოველი პერსონაჟისა თავისებურია. ერთი პერსონაჟი თუ იმ დროისათვის მეტ-ნაკლებად მიღებული გრამატიკული ნორმების ცხადი დარღვევით მეტყველებს (მაგ., შეხვდებით ასეთ ფორმასაც – „თქვენი ჭირიმეთ“), მეორე „ლიტერატურული“ ენით ცდილობს საუბარს, რათა თავის „განათლებულობას“ გაუსვას ხაზი; კოლორიტით მკვეთრად გამოირჩევა ზემოხსენებული „მოსიკას“ (მოსე) იმერული მეტყველება, რითაც უფრო მრავალფეროვანი ხდება ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟთა ენა; ვფიქრობ, დიალექტოლოგ ენათმეცნიერათვისაც საინტერესო იქნება ეს ნაწარმოები.

ირმა რატიანის აღნიშვნით, *„როგორც ყველა დიდ მწერალს“,* ალექსანდრე ყაზბეგსაც *„ბევრი რამ დარჩა დაუწერელი, დაუმთავრებელი, დაუბეჭდავი... ზოგი რამ მისი პირადი ცხოვრების აუწყობლობით მოხდა, ზოგიც – ცენზურის დაუნდობელმა მაკრატელმა შეიწირა. ნურც, ე. წ. მივიწყებულ ტექსტებს გამოვტოვებთ: ერთხელ ოდესღაც დაბეჭდილთ და მერე – ბედის ანაბარად მიტოვებულთ... ასეთი ბევრი მომხდარა ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაში“* (რატიანი 2018 : 14); ასეთივე ბედი ეწია ამ პიესასაც, ალექსანდრე ყაზბეგის ხსენებული ვოდევილი, როგორც ვხედავთ, თითქმის საუკუნენახევარია ელის მკითხველთან შეხვედრას და ვიმედოვნებთ გაითვალისწინებს ვოდევილის სპეციფიკას და, ამდენად, თბილად მიიღებს ჩვენი საუკუნის მკითხველი დიდი მწერლის ამ უცნობ ნაწარმოებს.

შესაძლოა, ჩვენი ეპოქისათვისაც აქვს სათქმელი მწერალს და ესეც არის მიზეზი, ხმა რომ მოგვაწვდინა იმ ქვეყნიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვოდევილი: Vaudeville, entertainment; written and fact-checked by The Editors of Encyclopaedia Britannica; https://www.britannica.com/biography/George-Jessel-comedian (11.12.2023);

რატიანი ი. (2018), წინათქმა წიგნზე – „ნაცნობი და უცნობი ყაზბეგი, 170“*;* პროექტი „ნაცნობი და უცნობი ყაზბეგი“, პროექტის ხელმძღვანელი – მაკა ელბაქიძე, მთავარი რედაქტორი – ირმა რატიანი, შემდგენლები: ელისაბედ ზარდიაშვილი, ნანა ლატარია; თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ISBN 978-9941-8-0434-2;

შარაბიძე თ., ციციშვილი თ. (2022), „ქართული დრამატურგია, ქრესტომათია, უცნობი და ნაცნობი ტექსტები“, *ნაწილი პირველი;* რედაქტორები: ნანა გონჯილაშვილი, მაკა ელბაქიძე; პროექტის ხელმძღვანელი – ირმა რატიანი; თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; თბილისი: გამომცემლობა თსუ. ISBN 987-9941-36-05-1;

შარაბიძე თ., ციციშვილი თ. (2023), „ქართული დრამატურგია, ქრესტომათია, უცნობი და ნაცნობი ტექსტები“, *ნაწილი მეორე;* პროექტის ხელმძღვანელი – ირმა რატიანი; რედაქტორები: ნანა გონჯილაშვილი, მაკა ელბაქიძე, თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: გამომცემლობა თსუ. ISBN 987-9941-36-05-1.

გოჩა კუჭუხიძე
Gocha Kuchukhidze

ვინ იმალება კლდე-კანელის ფსევდონიმის მიღმა?[1]

Who Was Hidden behind the Pseudonym of Klde-Kaneli?

Annotation

In the archive of *Caucasian Censorship Committee,* there were discovered two verses, submitted in 1886 to the Censorship Committee for obtaining of publication permit with Tiflis (present day – Tbilisi) Georgian newspaper – *Theatri* /"Theater"/ (1885-1891), as the author, there was indicated *Klde-Kaneli* (pseudonym); under this pseudonym, there is written by the censor the surname *Palavandishvili.* Censorship has banned publication of these verses.

Creative-stylistic analysis of the verses and their study in historiographic respect, provide basis to offer that their author is Georgian romantic poet Nikoloz Baratashvili (1817-1855). One of the verses contain insulting words, by means of which, the author accuses the addressee for great sin.

In is known that Baratashvili and his friends, when they studied at the gymnasium, used to send the verses written by Baratashvili that were not signed, to the high-rankers of the state, among which, there was Tiflis governor of that time – Nikoloz Palavandishvili (1790-1855) (these verses were lost). Young people accused the mentioned persons for revealing of 1832 Georgian plot (the conspirators' aim was to liberation of Georgia from Russian Empire through rebellion). The students of gymnasium accused Palavandishvili for revealing of the conspiracy. From the memoires of the public figures of that period, it becomes clear that gendarmerie has identified the author of the verses sent to the governor and because of this, they even intended to exclude Baratashvili from gymnasium.

Caucasian Censorship Committee has banned publication of the delivered verses with "Theatre" on the grounds that they did not comply with the paragraphs 6 and 9 of the statute of Censorship Committee (paragraph 6 prohibited publication of the texts, which allowed free interpretation and in which the readers could find the ideas inacceptable for the state; and according to the paragraph 9, there was prohibited publication of the texts that was insulting for the state and officials).

In our opinion, it is not excluded that the verses maintained at the National Archive were the ones sent by Baratashvili and his friends to the governor; supposedly, the copies of the verses were kept by Palavandishvili, as he was well known for his fondness of literature, as collector of manuscripts and bibliophile (he even attempted to found the library in Tiflis), his archive included the verses and later (in 1886), the persons associated to the

[1] დაბეჭდილია ჟურნალში „განთიადი" № 3-4; 2024 წ.

mentioned newspaper attempted to publish them. Naturally, persons, desiring to publish the verses could not disclose that these were the verses sent by Baratashvili and his friends to the governor, or, possibly, they did not even know that the verses were written by Baratashvili; therefore, we supposed that they simply noted to the Committee that the verses were from Palavandishvili's archive and, in our opinion, one of these circumstances can explain the fact that in the end of verses, the censor has written surname *Palavandishvili.* The censor has noticed that the verse was insulting for high official and, as can be seen from his record on the page, on the basis of paragraphs 6 and 9 he has banned both verses written by *Klde-Kaneli.*

The issue is still under research: the archives classified in that period, containing data about the significant events of that period in the Empire that were not made publicly available; possibly, one of such archives contain the record that Baratashvili, representative of famous family (descendant of Georgian king, Erekle II, nephew of Grigol Orbeliani /1804-1883/, general, serving to the Russian Empire) has sent insulting verse to governor of Tiflis and because of this, they nearly excluded him from gymnasium, but the representatives of local government protected him from such punishment.



საქართველოს ეროვნული არქივის კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდში გვხვდება საქაღალდე (480-1-718; 1886 წ.), რომელშიც გაზეთ „თეატრში" დასაბეჭდად მომზადებული მასალებია დაცული. აქ ინახება ხელნაწერები და აწყობილი ტექსტები, რომელთა გამოქვეყნებისათვის ნებართვა არ არის გაცემული. საქაღალდეში ისეთი მასალებიცაა, რომლებიც ფსევდონიმებით არის დაბეჭდილი და ფურცლებზე ხელით არის მიწერილი, თუ ვის ეკუთვნის ფსევდონიმი. რადგან კომიტეტისთვის მასალის წარდგენისას რედაქციებს ავტორის ვინაობის დასახელება მოეთხოვებოდათ, ჩანს, რედაქციას მიუწერია ეს გვარები.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ ლექსებზე, რომლებიც ***კლდე-კანელის*** ფსევდონიმით არის დაწერილი; ფსევდონიმის ქვემოთ შავი მელნით მიუწერიათ გვარი – ***ფალავანდიშვილი*** (გაკრული ხელით თითქოს *„ფალავანლიშვილი“* წერია, მაგრამ ეს იმ კალიგრაფიის თავისებურებით აიხსნება, რომელიც ხელნაწერებში ხშირად გვხვდება; *კლდელ-კანელთან* გვარის მიწერის ფაქტი, ერთეული შემთხვევა არ არის, – ამგვარ მინაწერს, აშკარად ჩანს, რომ – **იმავე კალიგრაფიით გაკეთებულს**, ვთქვათ, *ნიკოლოზ რაზიკაშვილის* ფსევდონიმის ქვემოთაც /ლექსი – „სიმღერა“/ ვხედავთ, – *„ბაჩანას“* ქვემოთ მიწერილია – *„რაზიკაშვილი“*... ეს სრულიად გამორიცხავს აზრს, რომლის თანახმად, *კლდე-კანელთან* მიწერილი *„ფალავანდიშვილი“*, შესაძლოა, ლექსის ავტორის ფაქსიმილე იყოს). როგორც რუსული მინაწერიდან ირკვევა, ამ ლექსების დაბეჭდვა კომიტეტს საცენზურო წესდების საფუძველზე შეუჩერებია...

ტექსტი, ეტყობა, **ძველი ხელნაწერიდანაა აწყობილი**, – გადაბეჭდვა გაძნელებია ამწყობს, საფიქრებელი, რომ **ისეთი არავინ (არც ავტორი და არც – ვინმე სხვა) ჰყავდა გვერდით, ვინც სიტყვებს სწორად წაუკითხავდა და ტექსტის ამა თუ იმ ადგილის აზრს კარგად გააგებინებდა** (შეცდომა იმდენია, რომ დადგენა დასჭირდა დაბეჭდილ ტექსტს და მის დასადგენად კვლავაც იქნება მუშაობა საჭირო... სხვათა შორის, ამ ფაქტიდანაც ჩანს, ლექსის ავტორს რომ არ ეკუთვნის ფაქსიმილე, – ასეთი უხეში შეცდომებით სავსე ტექსტს ავტორი არავითარ შემთხვაში არ მოაწერდა ხელს).

ერთ-ერთი ლექსის დასაწყისი თითქმის ზუსტად ემთხვევა *ნიკოლოზ გარათაშვილის* ლექსის *(„ვპოვე ტაძარი“)* სიტყვებს:

„ვპოვე ტაძარი“...

ვპოვე[1] ტაძარი, შესაფარი, უდაბნოს მდგარი,[2]
მაგრამ მის ჭვრეტამ ამიტეხა გულის ზარზარი:
მუნ არ ღუვოდა ტკბილ ამოფსკვნით დავითის ქნარი,
არც სპეტაკ ფრთეთა მოფარფატე[3] ანგელოზთ ზარი!..

ურწმუნო კლანჭით აღმოფხვნილა ხატთა შუქ-ფენა,
აღმოფხვნილა და წარწყმედილა ღვთიური[4] ლხენა
ზართა მაღალთა... ჟანგ[5] წაკრულა გარძიმის ბრჭყვენა
და გულს განგმირავს ლოდთ წარწერის[6] ობოლი ენა!..

მგესლავთა უხამსთ,[7] შემზარველთა, უცვნიათ გინად,
უცვნიათ პატრონ-დაკარგული და უქმი თვისად,
და მოგონებაც ძარღვში უვლის მუნ მიმტყდარს ყინვად,[8]
რომ ამის დახსნა უფლისა ძეთ დაუჯდეთ[9] ძვირად!..

დაუჯდათ ძვირად?.. რაო მერე, თავი წააგეს?
მაგრამ დიდება უკვდავი მით აღიმცენარეს![10]
ჩასძახე ირგვლივ[11] სევდით მოცულს მწუხრ არე-მარეს
და თავს გაცნობებს მათთა სულთა როგორც მოწამეს...

შობის ვარსკვლავმან, წინ მავალმან ჩემმან, საფარი
აქ ამიჩინა?.. დამამკვიდრა მწირად ასარი?[12]
თუ ვანთხევ ცრემლთა ლოდთა ზედან, ვით ღირსი არი,
თორე სიამე – საგულისი შეიქმნა მკვდარი!..

და რას ვეძიებ? რას ვაქნევ[13] აქ, სქელ და[14] მკვდარ ბნელში?
ნუთუ[15] სიცოცხლე ცოცხლობს ჩემი ამ მკვდარ კედლებში,
სად ცოცხლადა ვარ ჩამარხული, ვით სამარეში?[16]
ვერა... ვერ ვპოვე მიზანი მე მკვდარ სიცოცხლეში!..

მეორე ლექსი ვნახოთ *–კლდე-კანელის* ფსევდონიმით დაწერილი:

ღმრთის-შობელს

აღსავსე გლოვით, ცრემლთა თოვით მჭვრეტ თვალთ ჩინოვით,[17]
ჰოი, უბინოვ,[18] დედა-ღმრთისავ[19] ტკბილი ძის ჯვარცმით![20]
ამ[21] სულს უმანკოს და ღრმას შენსას მხედვრის[22] მიოხრვით[23]
აღენთო ნაზი სიბრალული სხივ-მფენი მადლით?

არისღა მხედვრი შენი სულდგმულ?![24] შავთა დროთ ლტოლვამ
შემუსრა იგი და შესვარა[25] ცრემლთა მოფონვამ!
და რა შესძინა მას ძლიერი მშვენებით შობამ,
თუ ასე მწარეთ დასცა მეხი მომაკვდაობამ?

განა ეს არის თეთრი დღე და წუთის ცხოვრება
და მათთა შვებათ ჭირთა ზვავით დაბოლოება?
რას შეიცავს[26] აწ ჩემისათვის?!..[27] რა არის შვება,
არა თუ ოღონდ თვალთ მაცდური ამაოება?

ჰოი, უბიწოვ, უკეთ[28] უწყი, – მწირს თვისი თავი
რაღად[29] უნდ აჩნდეს, სად შენს კრულ მხვედრს იგუდავს მწვავი[30]
და მადლმა შენმა ვერ მოაძრო მას ბედი შავი,
ოდეს ვეშაპებრ შესაყლაპად უქმენდა სვავი?..

არ აღვირეცხო შენზე ტკბილი, ღრმა სასოება?..
უკუღმა წავა ხომ აწ ჩემი იქ წარმოება,
სად ყველაფერი[31] არის ოღონდ[32] ამაოება,
სად, რაცა ჩნდება, შავ-ბნელ ბედქვეშ[33] ყვავილებრ სჭკნება?[34]

დასჭკნა ყვავილი ჩემი გულის, რა აღვიჩინე,
თავი და შხამი ცხოვრებისა ყრმის ნდობით ვიცნე.
აწ რას ველდე[35] მე?.. რასღა[36] მომსცხებს უტეხი სიმხნე,
ოდეს მხვედრს,[37] ჰოი, დედაო ღმრთის, შენც ვერ ელხინე?[38]

დამშთა ფიალით სიმწუხრისა გოლომდინ დასმა...[39]
შემრისხა გედმან და მიტია ანგელოსთ დასმა,[40]
ვაჰ, ნეტარების მხარეც სასო-წარტყვევნის[41] გასრმა
მოსრა რწმენისთვის და ურწმუნოდ მქნა ხვედრმა[42] შავმა!

ინტონაცია, ლექსიკა, ავტორის სულიერი განწყობა ძალიან ახლოსაა *ნიკოლოზ გარათაშვილის* ლექსებთან (*კლდე-კანელი: – „განა ეს არის თეთრი დღე და წუთის ცხოვრება / და მათთა შვებათ ჭირთა ზვავით დაბოლოება?“; გარათაშვილი: – „ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას ყმაწვილ-კაცობას?“; კლდე-კანელი: – „რა არის შვება, / არა თუ ოღონდ თვალთ მაცდური ამაოება?“; გარათაშვილი: – „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი, / თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი“... კლდე-კანელი* ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ლექსში ცოდვილად მიიჩნევს თავს, *გარათაშვილი* „ძე შეცდომილად“ მოჩანს ლექსში – *„ჩემი ლოცვა“;* უნუგეშობას ჩივის *„სული ობოლის“* ავტორი და უნუგეშოდაა შთენილი იმ ლექსების დამწერიც, *კლდე-კანელი* რომ აურჩევია ფსევდონიმად; „შავი ბედი“ აწამებს *კლდე-კანელს („და მადლმა შენმა ვერ მოაძრო მას ბედი შავი“)* და ზუსტად ამ სიტყვებს ახსენებს *გარათაშვილი,* როცა *„მერანს“* წერს: – *„მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს“;* სიტყვიერი პარალელი და სულისკვეთებათა სიახლოვე სხვაც ბევრია, ერთი სულიდან მომავალს ჰგავს *გარათაშვილისა* და *კლდე-კანელით* ხელმოწერილი ლექსები... **ვინ არის *ფალავანდიშვილი,* რომლის სახელით კომიტეტში ჩაბარებული ლექსები ასე ჰგავს *გარათაშვილისას?***

ვფიქრობ, ლიტერატურულ ცხოვრებასთან ახლოს მყოფი *ფალავანდიშვილი* ეს იგივე *ნიკოლოზ ფალავანდიშვილი* უნდა იყოს, – ძმა *იესე ფალავანდიშვილისა. ნიკოლოზ ფალავანდიშვილი* 1832-1837 წლებში ტფილისის გუბერნატორი იყო, **იგი ბიბლიოფილობით, წიგნებისა და ხელნაწერების შემგროვებლობით, გახლდათ სახელგანთქმული**... რადგან *გარათაშვილის* ეპიგონი პოეტი, გვარად *ფალავანდიშვილი,* ცნობილი არ არის, იბადება კითხვა, – მართლა ვინმე *ფალავანდიშვილის* მიერაა დაწერილი ეს ლექსები, თუ ხელნაწერთა შემგროვებლისა და ბიბლიოფილის – *ნიკოლოზ ფალავანდიშვილის* კოლექციაში ინახებოდა, რომ შემდეგ გაზეთის რედაქციის ხელში მოხვდა და ამ ფაქტმა გამოიწვია, *ფალავანდიშვილი* რომ მიაწერეს ფსევდონიმის ქვემოთ? საფიქრებელია, რომ არ იცოდნენ, ვინ იყო ავტორი და, რადგან ფსევდონიმის ქვემოთ ვინმეს გვარის დასახელება იყო საჭირო, ხელნაწერთა მფლობელის გვარი მიაწერეს; თუ ჩაეძიებოდნენ ცენზორები, თავს ისე მოაჩვენებდნენ, ვითომ ეგონათ, რომ კოლექციონერის დასახელებაც საკმარისი იყო

(მსგავსი შემთხვევა შეგვხვედრია საცენზურო კომიტეტის მასალებში)... ამჯერად სიტყვას არ გავაგრძელებ და პირდაპირ ვიტყვი, – ვფიქრობ, იბადება **მოსაზრება**, რომ ***ნიკოლოზ ბარათაშვილის*** **ლექსებია ჩვენ წინაშე, – ისინი, რომლებიც ტფილისის გუბერნატორის, – ხელნაწერთა მოყვარულისა და შემგროვებლის – *ნიკოლოზ ფალავანდიშვილის* კოლექციაში და შემდგომ კი გაზეთის რედაქციაში მოხვდა**. იმდროინდელი **ისტორიული ფაქტების შესწავლა** სრულიად ნათლად მიგვანიშნებს, რომ **სწორედ ასე უნდა იყოს**:

ცნობილია, რომ 1833 წელს *ნიკოლოზ ბარათაშვილმა* და მისმა მეგობრებმა: *ლევან მელიქიშვილმა* და *პეტრე ბაგრატიონმა* ტფილისის გუბერნატორს, – *ნიკოლოზ ფალავანდიშვილს* ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების გამომხატველი (ამჟამად – დაკარგულად მიჩნეული) პოეტური სტრიქონები გაუგზავნეს. *პავლე ინგოროყვას* თანახმად, *„საფიქრებელია, რომ ლექსში (...) საუბარი ყოფილა იმ გამცემლობაზე, რომელმაც გამოიწვია 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნა“* (პავლე ინგოროყვა, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი; თბილისი, 1983; გვ. 55); მკვლევარის აღნიშვნით, შეთქმულების გაცემის გამო გაგულისებულნი იქნებოდნენ ყმაწვილები, რაც ლექსშიც აისახებოდა (*ინგოროყვა* ერთი ლექსის გაგზავნაზე წერს); შეთქმულების გამცემები იყვნენ *იესე ფალავანდიშვილი* და მისი ძმა – *ნიკოლოზ ფალავანდიშვილი,* რომელმაც უმაღლეს ხელისუფლებას აცნობა შეთქმულების შესახებ, *იესე ფალავანდიშვილს* ძმამ უბიძგა შეთქმულთა გაცემისკენ და, ცხადია, ყმაწვილების განსაკუთრებული რისხვა სწორედ მისკენ იქნებოდა მიმართული; *ნიკოლოზ ბარათაშვილს* ხელი არ ჰქონია მოწერილი თავის სტრიქონებზე, ჟანდარმერიას უძებნია გუბერნატორთან გაგულისების გამომხატველი ნაწერის გამგზავნი და, როცა გარკვეულა, 15-16 წლის ყმაწვილები რომ იყვნენ ეს გამგზავნები, საქმისათვის შემდგომი მსვლელობა არ მიუციათ და მათთვის „ჭკუის სწავლება“, კერძოდ, ფიზიკური დასჯა, მშობლებისთვის მიუნდვიათ; *ნიკოლოზი, ტატო,* მამამისს, თუ იონა მეუნარგიას ვერწმუნებით, იმით გახარებულს, რომ გიმნაზიის არ გაურიცხეს შვილი, როზგით უცემია იგი.

პავლე ინგოროყვას ყურადღების ქვეშ მოექცა ფაქტი, რომლის თანახმად, *პეტრე ბაგრატიონს აკაკი წერეთლისათვის* ნათქვამი ჰქონია, რომ ყმაწვილ *ნიკოლოზ ბარათაშვილს* ასეთი ხასიათის ლექსები სხვა დროსაც დაუწერია. ამის შესახებ *ინგოროყვა იონა მეუნარგიას* გარდა, ცხადია, *აკაკის* „ჩემს თავგადასავალზე“ დაყრდნობით ამახვილებს ყურადღებას (ინგოროყვა, იქვე; გვ. 68).

ლექსი, რომელიც ზემოთ წარმოვადგინე („ვპოვე ტაძარი“), გარკვეულწილად ბუნდოვანი ჩანს, მაგრამ, როცა დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ წმიდა იდეისათვის რომელიღაც წამებულებზე წუხილი და ხელისუფლების მიმართ განრისხებაა გამოხატული და, ვფიქრობ, **1832 წლის მოვლენები ჩნდება მასში**; საფიქრებელი ხდება, რომ, შესაძლოა, ***კლდე-კანელით*** **ხელმოწერილი სწორედ ეს ლექსი –**

„ვპოვე ტაძარი“ იყოს ის, ფალავანდიშვილისათვის რომ გაუგზავნიათ ყმაწვილებს; წარმოდგენილ ორსავე ლექსში ვხედავთ სევდას იმის გამო, რომ ადამიანები პატიოსნებას ღალატობენ, რაც პესიმისტურ განწყობას უქმნის *კლდე-კანელს;* მისი განწყობილებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა ადამიანი მოჩანს ამ ლექსებში, რაც პირდაპირ იქიდანაც დასტურდება, რომ *„ყრმის ნდობას“* ახსენებს ერთ-ერთ მათგანში ავტორი. ყურადღებას ის გარემოებაც იქცევს, რომ *კლდე-კანელისეული* „ვპოვე ტაძარის“ სიტყვები – „**მგესლავთა უხამსთ**“ ძალიან ჰგავს *გარათაშვილის* გამოთქმას „**ავის ენისა გესლი**“ (დაბეზღება... ლექსი, რომელშიც ეს სიტყვებია ნახსენები, *გრიგოლ ორბელიანთან* გასაგზავნ წერილში ჩაწერა *გარათაშვილმა*), *პავლე ინგოროყვას* სიტყვით: *«„ნ. გარათაშვილი, იგონებს რა იასე ფალავანდიშვილის ამ გამცემლობას, „ავის ენისა გესლს“, (...) სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი / წაგართო ავის ენისა გესლმან“»* (ინგოროყვა; იქვე; გვ. 55...); როგორც ვნახეთ, *კლდე-კანელის* სახელით ხელმოწერილ ლექსში ავტორი გვეუბნება, რომ *„მგესლავთა“* ბინად ქცეულ ტაძარში იმყოფება და წუხს იმ ადამიანთა გამო, ვინც *„თავი წააგეს“* და ვისაც იქნებ *„დაუჯდათ ძვირად“ „ამის“* (ე. ი. – ტაძრის) *„დახსნა“*, მაგრამ თავის დამშვიდებას იმითი ცდილობს, რომ ამ გმირებმა *„დიდება უკვდავი მით აღიმცენარეს“. როცა ნიკოლოზ ფალავანდიშვილთან გარათაშვილის* სტრიქონთა გაგზავნის ისტორიას გავიხსენებთ, ძალზე კონკრეტული სურათი გადაგვეშლება თვალწინ ამ ლექსიდან და საფიქრებელი გახდება, რომ პირადად გუბერნატორ *ფალავანდიშვილს* მოუწოდებს საცენზურო კომიტეტში გაგზავნილი ლექსის ავტორი, სევდით მოსილ არე-მარეს ჰკითხოს და ის მიუგებს, წმიდა მოწამეებად რომ შეიქმნენ „ტაძრის“ გასათავისუფლებლად მებრძოლები: *„ჩასძახე ირგვლივ სევდით მოცულს მწუხრ არე-მარეს / და თავს გაცნობებს მათთა სულთა როგორც მოწამეს...“*... **თუ ეს სწორედ ის ლექსია, რომელიც ახალგაზრდა *ნიკოლოზ გარათაშვილს* დაუწერია და ხელნაწერთა მოყვარულისა და მათი შემგროვებელი გუბერნატორის – *ნიკოლოზ ფალავანდიშვილისათვის* გაუგზავნიათ ყმაწვილებს, მაშინ სრულიად უეჭველია, 1832 წლის შეთქმულები რომ არიან აქ ნაგულისმევნი და ტაძარი კი, რომელსაც უწმიდური ძალები, ეშმაკები, დაპატრონებიან და რომლის დასახსნელადაც უბრძოლიათ გმირებს, საქართველოა.** საქართველოს გასათავისუფლებლად თავშეწირული და წმიდა მოწამეებად ქცეული ადამიანები მოჩანან ამ ლექსში (შეთქმულთა ნაწილს სიკვდილი მიესაჯა, შემდეგ გადასახლებით შეეცვალათ სასჯელი) და ლექსიდან ასეთ ადამიანთა დანახვაცაა მიზეზი, რატომაც მიმაჩნია, რომ *გარათაშვილისა* და მისი მეგობრების მიერ *გუბერნატორთან* გაგზავნილი სტრიქონები უნდა იყოს ჩვენ წინაშე (მიუხედავად იმისა, რომ აკრიტიკებდა ყმაწვილი, უთუოდ შეინახავდა მის ლექსებს წიგნებსა და ხელნაწერებზე შეყვარებული *ნიკოლოზ ფალავანდიშვილი,* – იგი, შეთქმულებაში ვის ჩაბმასაც შეეცადა *იესე ფალავანდიშვილი;* ვერ აიყოლიეს, მაგრამ ცხადია, თანამგრძნობელად ეგულე-

ბოდათ შეთქმულებს *ნიკოლოზ ფალავანდიშვილი*)... *კლდე-კანელით* ხელმოწერილი „ვპოვე ტაძარი“ ძალიან ახლოა *გარათაშვილის* იმ ლექსთან, ამავე სახელით რომ იცნობენ ხალხში, მაგრამ, თუ უეჭველი შეიქმნება, რომ *გარათაშვილისაა* ორივე, **ერთი ლექსის ორ ვარიანტად კი არა, დამოუკიდებელ ქმნილებებად უნდა მივიჩნიოთ ისინი** (ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდები).

ხსენებულ ლექსებზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას ერთი ფაქტი იქცევს: – 1832 წლის ისტორია, როგორც ვნახეთ, ბუნდოვნად მოჩანს *კლდე-კანელის* ფსევდონიმით შექმნილ ერთ-ერთ ლექსში („ვპოვე ტაძარი“) და ეს კი **ბუნებრივ, – ერთ განსაკუთრებულ ვითარებასა და დროში დაწერილის სახეს აძლევს მას**; **მომდევნო დროთა გადასახედიდან** (XIX ს-ის 80-იან წწ-საც ვგულისხმობ) **ისე ბუნდოვნად აღიქმება ლექსში აღწერილი მოვლენა, სპეციალური შესწავლის გარეშე რომ ვერ ამოიცნობა** და ეს კი უკვე ძალზე საინტერესო ფაქტია, – **სწორედ ეს ბუნდოვანებაა საინტერესო და მრავლისმეტყველი ფაქტი**, – იმ ადამიანის სახე ჩნდება ლექსიდან, ვინც **არა 1886 წლის ახლო პერიოდში, არამედ გაცილებით ადრე** ცხოვრობდა და ვისი ნაწერიც სწორედ **იმ ადრეულ ხანაში იქნებოდა ადვილად გასაგები**; რომელიღაც ისეთი მოვლენის გამო სულიერად გამწარებული ადამიანი ჩნდება *კლდე-კანელით* ხელმოწერილ სტროფებში, **ლექსის დაწერის დროს ახალი მომხდარი რომ არის** (ვისაც **მაშინ** მიმართა თავისი სტრიქონებით, მაშინვე მიუხვდებოდა იგი ნათქვამს); ეს ლექსები „თეატრში“ დასაბეჭდად 1886 წელს წარუდგენია კომიტეტისთვის რედაქციას (ყოველ შემთხვევაში ამ წლის იანვარში ჩანს იგი რეგისტრაციაში გატარებული) და, რადგან **ხსენებული წლის ახლო პერიოდში ვერ ვხედავთ ასეთ განსაკუთრებულ ისტორიულ მოვლენას**, ვერც – იმ ადამიანებს, რომელთა შესახებაც მიაჩნდათ, რომ „ძვირად დაუჯდათ“ თავიანთი რომელიღაც საქვეყნოდ ცნობილი და თავგანწირული ნამოქმედარი და რომლებმაც განსაკუთრებულად დიდი იდეისათვის თავი გაწირეს და წამებულებად შეიქმნენ, ეს ფაქტიცაა მიზეზი, გაცილებით ადრეული პერიოდისკენ, – 1832 წლისა და იმდროინდელი შეთქმულებისკენ რომ მიგვიდის ფიქრები (როცა 1832 წლის მოვლენებთან დაკავშირებით წავიკითხავთ ამ ლექსს, ბუნდოვანება ჩამოშორდება, სრულიად ნათელი და გასაგები გახდება ავტორის კონკრეტული სათქმელი და მთელი თავისი სრულყოფილებითა და ბრწყინვალებით დაგვენახება ლექსი)...

იმ აზრთან დაკავშირებით, რომ, შესაძლოა, მაინც ეპიგონის დაწერილია ეს ლექსები, ან *გარათაშვილის* მიერ 1841 წელს დაწერილ „ვპოვე ტაძართან“ ლიტერატურული გამოპასუხებაა ზემოთ განხილული პირველი ლექსი, შემდეგი უნდა ითქვას:

ეს ვერ იქნება ეპიგონის შემოქმედების ნაყოფი, – არ გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ***გარათაშვილის* სიცოცხლეში** ან **შემდეგ** დაწერა მან ისინი. იმ დროს, როცა **ჯერ არ იყო გამოქვეყნებული** დიდი პოეტის ლექსები, რომც ენახა

ვინმე ეპიგონს ის რამდენიმე ხელნაწერი, ნათესავებისა და მეგობრებისთვის რომ ჰქონდა პოეტს გაგზავნილი და ნაჩუქარი, არ გადაიწერდა ამ ხელნაწერთაგან არაფერს, მით უმეტეს, – მთელ სტრიქონს, რადგან ასე მოქცევა, ფაქტობრივად **ეპიგონობა კი არა** – ლიტერატურული **ქურდობაა** და ამგვარ საქციელს ვერ გაბედავდა იგი (მათ შორის, **ვერც – *ზაქარია ფალავანდიშვილი,*** – *გარათაშვილის* თანაკლასელი, **არც იკადრებდა** /მომიტევოს ამ ადამიანის სულმა, ასეთ კონტექსტში რომ მიწევს მისი ხსენება/ და, ასეც რომ მომხდარიყო, ვერ გაბედავდა ამგვარ საქციელს, არ ექნებოდა აზრი ამგვარად მოქცევას, რადგან *გარათაშვილის* ლექსებს კარგად იცნობდნენ მისი ახლობლები (*გრიგოლ ორბელიანი, გარბარე ვეზირიშვილისა... მაიკო ორბელიანი, ეკატერინე ჭავჭავაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, ლევან მელიქიშვილი, პეტრე ბაგრატიონი...* სხვანი და სხვანი...).

ვერც იმას ვივარაუდებთ, რომ არსებობდა რომელიმე ეპიგონი, რომელსაც სხვა სათქმელი ჰქონდა და **სხვა დროს**, – ***გარათაშვილის*** **ლექსების გამოქვეყნების შემდეგ**, ამ პოეტის მიბაძვით სცადა მკითხველამდე თავისი სათქმელის მიტანა (არცთუ ნიჭიერი ადამიანები იქცევიან ხოლმე ასე, არადა, ძალიან ნიჭიერი და განათლებული ჩანს ამ ლექსების ავტორი)... აქ ისევ ზემოთქმულს დავუბრუნდები:

როგორც ითქვა, დაკვირვების შემდეგ ცხადად ჩანს, **რომელიღაც დიდი უბედურების შესახებ** რომ წერს ავტორი, – ისეთზე, **ლექსის დაწერის დროს ახალი მომხდარი რომ არის** და რის გამოც სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი ავტორი... ჩვენ, როგორც ვნახეთ, 1832 წლის შეთქმულების ანარეკლს ვხედავთ ამ ლექსში და მიგვაჩნია, რომ **ვერც მოგვიანო ხანებში**, – იმ დროს, როცა **უკვე გამოქვეყნებული იყო *გარათაშვილის* პოეზია**, ვერ დაიწერებოდა ასეთი ლექსი, ამ შემთხვევაში, როგორც ითქვა, ბუნდოვანება არ ექნებოდა მას, **მომდევნო დროში მცხოვრებ მკითხველთა უმეტესობისათვის გაუგებარ მოწამეთა სულებზე** არ იქნებოდა საუბარი, მით უმეტეს, რომ **1832 წლის შეთქმულთა უმეტესობა სამშობლოში დაბრუნდა** და მოგვიანებით (**თანაც – ისე, რომ ძნელი გასაგები ყოფილიყო, ვისზეა საუბარი**), არავინ იტყოდა მათზე, – **მოწამეებად შეიქმნენო**, მათ სულებზე არ დაიწყებდა წერას... ტექსტზე დაკვირვება აშკარას ხდის, კონკრეტულ დროში მომხდარ კონკრეტულ მოწამეებზე რომ წერს ავტორი გაგულისებით და ზოგადად ოდესღაც სამშობლოსათვის წამებულ მოწამეებად ქცეულ ადამიანებზე, ვთქვათ, ცოტნე დადიანსა თუ 300 არაგველზე რომ არაა ამ სტრიქონებში საუბარი... *გარათაშვილის* პოეზიის გამოქვეყნების შემდეგ დაწერილსაც არ ჰგავს ეს ლექსი და, ვიმეორებ, ცხადად იბადება შთაბეჭდილება, რომ **დიდი მოვლენიდან ახლო პერიოდშია იგი შექმნილი**, – იმ დროს, როცა სამშობლოს პატრიოტებს სიკვდილით დასჯის საშიშროება ელოდათ.

ის ვარაუდიც დაუშვებლად მოჩანს, რომლის თანახმად, პოეტის გარდაცვალების შემდეგ, ანუ იმ დროს, როცა უკვე გამოქვეყნებული იყო მისი პოეზია, *გარათაშვილზე* **ლიტერატურულ გამოპასუხებად** დაიწერა ეს ლექსები, – ასე იმიტომ

ვფიქრობ, რომ *კლდე-კანელის* ფსევდონიმით დაწერილ ლექსში *გარათაშვილის* ამ სახელით ცნობილი ლექსისაგან **სრულიად განსხვავებული სათქმელი** ისმის და **დიდი პოეტისადმი**, უკვე გარდაცვლილისათვის, **მიმართული გამოპასუხების მსგავსი არაფერი ჩანს მასში**, – *ნიკოლოზ გარათაშვილი* 1841 წელს შექმნილ ლექსში ზეციური სასუფევლის შესახებ წერს, – მასზე, რომელშიც *დავითის* ქნარის ხმა და „ციურ დასთა გალობის ზარი“ ისმის... შემდეგ ლექსიდან ვხედავთ, რომ, როგორც თვითონ მიაჩნია, მცდარად ემსახურებოდა ღმერთს, რომ *„გუნდრუკის ნაცვლად“* თავის წმიდა სიყვარულს შესწირავდა მას, ლექსში ის აზრია გამოხატული, რომ სატრფოსადმი სიყვარულზე გადაიტანა პოეტმა მთელი ყურადღება, ფიქრობდა, რომ ის მიიყვანდა ღმერთთან, რომ სამოთხე აქ, წუთისოფელში, „უდაბნოში დაშენებული“ ეგონა, სატრფოსადმი სიყვარულით აღსავსე ახალგაზრდას სამოთხეში წარმოედგინა თავი, მაგრამ არ გაუმართლა ამ სიყვარულმა და, როცა უარჰყო სატრფომ, სამოთხის შეგრძნებაც გაუქრა, მოხდა ისე, რომ უმეტესწილად სატრფოსადმი სიყვარულს მინდობილი უღვთო „უდაბნოში“, წუთისოფელში, აღმოჩნდა, ვეღარ იგრძნო ის ზეციური სასუფეველი, აქ „დაშენებულად“ რომ ეჩვენებოდა... *კლდე-კანელის* სახელით დაწერილ ლექსში კი **ამქვეყნიურ ცხოვრებას აღნიშნავს „ტაძარი“**, აქ, ამ სამყაროში, *„ამ მკვდარ კედლებში“,* ცხოვრობს ავტორი, უჭირს გაძლება, რადგან რომელიღაც დიდი უბედურება უნახავს მასში; ერთგან იმასაც ვხედავთ, ღმერთზე რომ იწყებს რამდენსამე სტრიქონში ფიქრს, ამბობს, რომ, თუ ისე იცხოვრებს, როგორც საჭიროა, როგორც *„ღირსი არი“, თუ მოსეს* მიერ დაწერილ მცნებებს მიყვება *(„თუ ვანხთხევ ცრემლთა ლოდთა ზედან ვით ღირსი არი“),* მაშინ გადარჩება იგი... **ძირითადი სათქმელი** კი ისაა ლექსისა, რომ „მკვდარ კედლებს“ შორის იმყოფება ავტორი და უჭირს აქ გაძლება, ვეღარ ძლებს იმ ქვეყანაში, იმ „ტაძარში“, რომელსაც ეშმაკები დაპატრონებიან... **აქ ღვთის სასუფეველზე არ არის ლაპარაკი**... სრულიად **შეუძლებელია იმ ვარაუდის დაშვებაც, რომ ხსენებულ ლექსში ნახსენებ „ტაძარში“, შესაძლოა, სასუფეველს გულისხმობდეს ავტორი** და ამბობდეს, რომ მასში, ზეციურ „ტაძარში“, არც ანგელოზთა ზარისა და არც დავითის ქნარის ხმა არ ისმის, ასეთ მკრეხელს რომ ვერ ვხედავთ ლექსში, ეს თუნდა ზემომოხმობილი იმ სტრიქონებიდან ჩანს სრულიად ნათლად, რომელშიც ავტორი **მოსეს ლოდებზე ცრემლთა დაღვრის საჭიროების შესახებ წერს**; აქ უფრო იმას ვხედავთ, რომ ამ ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოს გათავისუფლებაში ხედავდა ადამიანი იმედს და დაჰკარგვია ეს იმედი და ეშმაკების მიერ დაპატრონებულად ხედავს სამშობლოს... *კლდე-კანელით* ხელმოწერილ ლექსში აქ, ამ ქვეყანაში, მყოფი ადამიანი წუხს, ეშმაკები რომ დაპატრონებიან ტაძარს (სამშობლოს), **1841 წელს დაწერილი „ვპოვე ტაძრისაგან“ სრულიად განსხვავებული სათქმელი** ისმის ამ ლექსში... გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, მიუღებელი ჩანს ის აზრი, რომ *გარათაშვილს,* ჯერაც ცოცხალს, დაუწერა ეს ლექსი ვინმემ, ვთქვათ, *ზაქარია ფალავანდიშვილმა,* და ვერც იმ აზრს გავი-

ზიარებ, რომ უკვე გარდაცვლილს მიმართა მას ვინმემ ამ სტრიქონებით, – ვიმეორებ: **სრულიად სხვა აზრია გაზეთ „თეატრში“ გაგზავნილ ლექსში გამოთქმული და ვერაფრით ვერ ვიფიქრებთ, რომ *გარათაშვილთან* გამოხმაურებაა იგი**.

ვერც იმ აზრს დავუშვებთ, რომ სათაურსა და პირველი სტრიქონის დასაწყისში ბრჭყალების დასმამ შეგვიძლია გვაფიქრებინოს, რომ *გარათაშვილზე* რემინისცენციაა აქ გაკეთებული; **ბრჭყალების დასმა რემინისცენციად ვერ გამოდგებოდა იმ დროს, როცა გამოქვეყნებული არ იყო და ფართო საზოგადოება არ იცნობდა *გარათაშვილის* პოეზიას**, მისი ლექსების **გამოქვეყნების შემდეგაც ვერ გამოადგებოდა მე-19 საუკუნის ავტორს ბრჭყალები ალუზიად, რადგან მეტი მინიშნება იქნებოდა საჭირო** (მით უმეტეს, რომ 1841 წელს დაწერილი **ლექსი უსათაუროა**, ხალხში იცნობენ მას სახელით „ვპოვე ტაძარი“... ერთ-ერთ არაავტოგრაფიულ ვარიანტში /S – 1540/ მას „ფანტაზია“ ჰქვია; – *ნიკოლოზ გარათაშვილი,* თხზულებანი, ტექსტი დადგენილი პავლე ინგოროყვას მიერ; 1965; გვ. 250) და, **რაც მთავარია, მეორე ლექსში ვერავითარ ბრჭყალებს ვერ ვხედავთ** და აქ მინიშნების შესაძლოობაზე საუბარიც კი ზედმეტი იქნება... ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ისიც არის საფიქრებელი, რომ *გარათაშვილის* ლექსთან სიახლოვეს რედაქციაშიც შეამჩნევდნენ, შესაძლოა, მიიჩნიეს, რომ ალუზიაა *კლდე-კანელის* ფსევდონიმით ხელმოწერილ „ვპოვე ტაძარში“ და სათაურში ბრჭყალები (და მასზე – სამი წერტილი) მათ დაამატეს; ან იქნებ მსგავსების გამართლება სცადეს ამ ნიშანთა დასმით; ნაბეჭდი ტექსტიდან იგრძნობა, რომ სათაურის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა გამოჩენილი, – ალბათ მასზე და ლექსის დასაწყისზე გაამახვილებინეს ტექსტის ამწყობს ყურადღება; ჩანს, ამ მხრივ გამოუჩენია გულისყური, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ლექსის დასაწყისში დასმული ბრჭყალების დახურვაც დავიწყებია და შემდეგ კი უამრავი შეცდომა მოსვლია ამწყობს.

შესაძლოა, მოგვეჩვენოს, რომ ისეთი მძაფრი გაგულისება არ არის ხსენებულ ლექსში გამოხატული, რომლის გამოც, ისე მკაცრად დასჯიდნენ ყმაწვილებს, რომ როზგით ცემაზე დათანხმება მოუწევდა *მელიტონ გარათაშვილს*... მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლექსებთან ერთად, შესაძლოა, **რაიმე წერილიც (იქნებ – პასკვილური ხასიათის) გაგზავნეს ყმაწვილებმა** (არ არის გამორიცხული, რომ **ამ ლექსების სახით *ფალავანდიშვილთან* გაგზავნილი კორესპონდენციის მხოლოდ ნაწილია არქივის ამ ფონდში შემორჩნილი),** რაც დიდ საშიშროებას შექმნიდა და ამიტომ გახდა მამა იძულებული, სხვათა მოსაჩვენებლად მაინც შეგუებოდა ამგვარ სასჯელს (დასჯის პროცესშიც ისე მოაჩვენებდა ირგვლივ მყოფთ თავს, ვითომც ძალიან უნდოდა, გამეტებულად დასჯილიყო ტატო); ისიც აშკარად ჩანს, რომ ცდილობს ავტორი, გარკვეულწილად მაინც დელიკატური იყოს და მრავალთათვის საცხადო შეურაცხყოფა არ მიაყენოს ადამიანს (უფროს-უმცროსთან ურთიერთობის წესებსაც დაიცავდა ეს არისტოკრატი ყმაწვილი, მით უმეტეს, რომ, რაც არ უნდა იყოს, გუბერნატორს უგზავნიდა ლექსებს), მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ მაინც **ძა-**

ლიან მკაცრად სწერს თავის ადრესატს, რასაც, შესაძლო იყო, მეტი სასჯელი მოჰყოლოდა ხელისუფლების მხრიდან და, **ამ მოსალოდნელობასთან შედარებით**, ფიზიკური ცემა (გარეგნულად – სასტიკი სახით გამოხატული, სინამდვილეში კი იქნებ – **მოჩვენებითი სისასტიკით აღსრულებული**) მსუბუქ სასჯელად მოეჩვენებოდათ მშობლებს (*პეტრე გაგრატიონის* მშობლებმა ისიც მოახერხეს, რომ პეტერბურგში გააპარეს შვილი და გადარჩა იგი სასჯელს, *ლევან მელიქიშვილი* დაისაჯა თუ არა საერთოდ, ეს უცნობია); საშიშროება საკმაოდ ძლიერი იყო, – ხსენებული ლექსიდან აშკარად ჩანს, მაინც საკმაოდ მკაცრად რომ წერს ავტორი, შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად დელიკატურად თავშეკავებული წერის მცდელობისა, მაინც ვერ მალავს სიმკაცრეს და ფაქტობრივად, ვიტყვი ასე, „**მიწასთან ასწორებს**“ თავის ადრესატს: *„დაუჯდათ ძვირად?.. რაო მერე, თავი წააგეს?/ მაგრამ დიდება უკვდავი მით აღიმცენარეს, / ჩასძახე ირგვლივ სევდით მოცულს მწუხრ არე-მარეს /და თავს გაცნობებს მათთა სულთა როგორ მოწამეს“*... თითქოს ერთგვარი თავშეკავებულობით წერს, მაგრამ ძალიან ძლიერი მრისხანება მაინც ჩნდება ლექსში და ეს განსაკუთრებით ცხადად იგრძნობა ადრესატისადმი მიმართვის იმ სიტყვებში, რომლებიც ზემოთ წერია და რომლებშიც ტაძრის დამპატრონებელი უხამს, „**შემზარველ**“ **მგესლავებსა** და **იმ ერთ ადამიანზეა** საუბარი, რომელსაც „ძარღვში ყინვად უვლის“ იმაზე ფიქრი, თუ **როგორ დაუჯინოს „უფლისა ძეთ“ ტაძრის დახსნაზე ფიქრი ძვირად**; სახარების ენით თუ ვიტყვით, „**იქედნეთა ნაშობთა**“ და „**მგესლავთა**“, „**გველთა**“, შორის იხსენიებს ავტორი ამ ადამიანს, – **მეტი სიმკაცრე როგორღა უნდა გამოეხატა**, ვხედავთ, რომ ვეღარ დაუმალავს აღშფოთება და **ფაქტობრივად გველი** უწოდებია მისთვის და სახელმწიფოსაგან საშიშროება უთუოდ დაემუქრებოდა ავტორს... ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ლექსში უფრო სასოწარკვეთა მოჩანს, – თითქოს სინდისის გაღვიძება სწადია ლექსის დამწერს (კეთილშობილ ადამიანს) იმ კაცის სულში, ვისაც ადრე ენდობოდნენ და ვინც მოღალატე გამოდგა...

ვფიქრობ, **ბარათაშვილისეული „ვეპოვე ტაძარი“ კლდე-კანელის სახელით დაწერილი ლექსის გაგრძელებაა** და, რაც ძალიან საინტერესოა, – ***ბარათაშვილის* სულიერი ბიოგრაფიის *ერთი პერიოდი* ჩნდება, ჩემი აზრით, მათი დახმარებით**; ჩვენ წინაშე ასეთი **სავარაუდო** სურათი იხატება: ყმაწვილ პოეტს, ტატოს, სამშობლოს გათავისუფლების იმედი ჰქონია, დაუკარგავს ეს იმედი, დაუწერია პესიმისტური სტრიქონები, რომლებიც გუბერნატორისთვის გაუგზავნია მეგობრებთან ერთად და გაგულისებულს ისეთი ფსევდონიმიც მოუფიქრებია, მაინც გაუტეხელობასა და იმედზე რომ მიანიშნებს (ღვთიური სასწაულის იმედი აქვს... ფსევდონიმს მოხსენების ბოლოს შევეხები); წუთისოფელი, ეს „მკვდარი კედლები“ გაუსაძლისი გახდომია და უკვე ამ ლექსში ცათა სიმაღლეთაკენ, მოსეს მცნებებისკენ წარუმართავს ფიქრები; შემდეგ გადის ცოტა დრო და მთაწმიდაზე ყოფნისას, შემოღამებისას, წერს ლექსს, რომელიც გარდამტეხია მის სულიერ ბიოგრაფიაში და **ზეციური სასუფევლისკენ მართლა იწყებს პოეტი სწრაფვას**... შემდეგ, წლების განმავლობაში,

სატრფოსადმი სიყვარული ასაზრდოებს, „ჩვენი ყოფის, წუთისოფლის“ ამაოებაზე ფიქრიც იპყრობს ხოლმე (მაგ., მტკვრის პირას ყოფნისას), მაგრამ მაინც დარწმუნებულია, ცათაკენ რომ აამაღლებს ეს სიყვარული, ზეციურ განცდას ჰგვრის იგი, მაგრამ არ უმართლდება სიყვარულში და შემდეგ კი რწმუნდება, რომ „ვერღა აუგებს“ **ასეთი** სიყვარული ტაძარს, ვერ აამაღლებს სულიერად; თავს იდანაშაულებს, მიაჩნია, რომ **არასწორად ემსახურებოდა ღმერთს**, რომ ძირითადად **მხოლოდ** სატრფოსაკენ ისწრაფვოდა, ეგონა, რომ წუთისოფელში, ამგვარი სიყვარულის მეოხებით ღვთაებრივი ტაძარი დაშენდა მისთვის და, როცა გაუქრა სატრფოს სიყვარულის იმედი, როცა დაინახა, რომ ვერ ეღირსა საპასუხო გრძნობას, დაენგრა ეს ტაძარი და ისევ „უდაბნოში“, წუთისოფელში, მოქცეულად იგრძნო თავი... *კლდე-კანელის* ფსევდონიმით დაწერილი ლექსი **ძალზე ორგანულად ჯდება *ნიკოლოზ გარათაშვილის* სულიერ ბიოგრაფიაში**, – ჯერ სამშობლოს გათავისუფლების იმედი დაუკარგავს პოეტს, შემდეგ ცათა სიმაღლეთაკენ დაუწყია ლტოლვა, შემდეგ კი, **როგორც თვითონ ფიქრობს**, მცდარად, ღვთისგან დაცილებულად, უცხოვრია (მიაჩნია, რომ ღმერთი და სატრფო ერთმანეთის მსგავსად არ უყვარდა... სახარების თანახმად, ღვთისა და ადამიანის სიყვარული მსგავსია ერთმანეთისა; მათე; 22: 37-39) და ისევ „უდაბნოს“ (წუთისოფლის) ტყვეობაში აღმოჩენილა თავისი ცხოვრების იმ პერიოდში.

1832 წლის შემდეგ დიდი სტრესი მოხდა ყმაწვილთა ცხოვრებაში (სიკვდილით დასჯა ელოდათ შეთქმულებს, ჟანდარმერია ეძებდა გუნერნატორთან ლექსების გამგზავნებს, იქნებ გარკვეულწილი მოჩვენებითობით, მაგრამ ფიზიკურად საჯაროდ სცემეს ყმაწვილი *გარათაშვილი*... გიმნაზიის გარეთ დატოვებას უპირებდნენ ყმაწვილებს... *გარათაშვილი* დაპატიმრებულიც იყო ორი კვირის განმავლობაში) და **ჩარჩებოდა ისინი** (განსაკუთრებით „ვპოვე ტაძარი“, მისი პირველი სტრიქონები) ***ნიკოლოზ გარათაშვილს* მახსოვრობაში**; ალბათ არც ჰქონდა გაგზავნილ ლექსთა პირები შენახული, ან პოლიტიკური მიზეზების გამო არ იწერდა იმ რვეულებში, რომლებსაც ახლობლებს ჩუქნიდა ხოლმე და **ამ ადრეულ ლექსებში გამოხატული საერთო განწყობილება კი, ჩანს, დამახსოვრებია**, სიტყვები ***„ვპოვე ტაძარი უდაბნოდ მდგარი“* გამჯდარი ექნებოდა სულში** და შემდეგ, როგორც ჩანს, **უკვე განსხვავებულ დონეზე** ახალი ლექსი დაწერა ამგვარი დასაწყისით... ეს ლექსი *გარათაშვილის* სხვა ლექსთა **გაერთიანების შედეგი**, თუ თანამედროვე ტერმინით ვიტყვით, – **მათი „დაიჯესტი“ კი არა**, არამედ ის **ერთ-ერთი საფუძველი** ჩანს, **შემდგომ** დიდი პოეტის მიერ დაწერილ **სხვადასხვა ლექსში რომ აისახა**... საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ერთ ადრინდელ ხელნაწერში (**ავტოგრაფში**; – ბარათაშვილი, თხზულებანი... გვ. 263) წერია „უდაბნოს მდგარი“ და არა – „უდაბნო**დ** მდგარი“, – ვხედავთ, რომ **ამ ფორმასაც უარსებია *გარათაშვილის* ცნობილი ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში** და, ჩანს, *კლდე-კანელის*

სახელით შემორჩენილი **ადრეული ლექსის ანაბეჭდმაც სწორედ ეს ფორმა** შემოგვინახა.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ, გავიმეორებ, რომ შეიძლება **დაისვას საკითხი**: – ***ნიკოლოზ გარათაშვილის* ადრინდელი სტრიქონები ხომ არ გვაქვს არქივის ამ ფონდში შემორჩენილი?** ერთი მხრივ *გარათაშვილისა* და მისი მეგობრების მიერ *ნიკოლოზ ფალავანდიშვილთან* 1832 წლის შეთქმულების გაცემის გამო გაგულისების გამომხატველი სტრიქონების გაგზავნის **ისტორიული ფაქტი**, მეორე მხრივ – საცენზურო კომიტეტის არქივში დაცული ლექსები, რომლებთანაც გვარი *ფალავანდიშვილი* წერია და რომელთაგანაც ერთ-ერთში 1832 წლის მოვლენათა გამო გაგულისებულსა და სევდით სავსეს, მეორეში კი უფრო მეტად სასოწარკვეთილ ავტორს ვხედავთ, **ცხადად იძლევა საფუძველს, *ნიკოლოზ ფალავანდიშვილის* არქივიდან მომდინარედ და *გარათაშვილისად* მივიჩნიოთ ზემოგანხილული ლექსები**, რომლებიც მსოფლმხედველობით, სტილითა და სიტყვიერი პარალელებით ძალიან ახლოა ამ დიდი პოეტის პოეზიასთან (ისიც საფიქრებელი ხდება, რომ არა – ერთი, არამედ *გარათაშვილის* ორი ლექსი, და იქნებ **წერილიც** /ვთქვათ, – პასკვილური ხასიათის/ გაუგზავნიათ ყმაწვილებს გუბერნატორისთვის); **საყოველთაოდაა მიღებული წესი**, რომლის თანახმად, ამა თუ იმ კრებულში შედის ქმნილება – როგორც **ავტორის სავარაუდო ნაწარმოები** და ძიების **ამ ეტაპზე** ხსენებული ლექსებიც სწორედ ამ „სტატუსს“ იმსახურებს; არაერთი რამ არის დაკარგული პოეტის შემოქმედებიდან („ივერიელნი“, „ასტრა“, თარგმანები...) და არ არის გამორიცხული, ზოგი რამ მომავალშიც გამოჩნდეს**...**

ცნობილია *ნიკოლოზ გარათაშვილის* ფსევდონიმი – ***მირიან ივერი;*** ზოგჯერ ინიციალების აღნიშვნას სჯერდებოდა პოეტი; შესაძლოა, მისი ადრინდელი ფსევდონიმი ***კლდე-კანელიც*** იყო (კლდე *პეტრე მოციქულისებურ* რწმენასა და გაუტეხელობაზე უნდა მიანიშნებდეს /სიმონს პეტრე, კლდე, დაარქვა უფალმა/, *კანა* კი ის ქალაქი იქნება, რომელშიაც სასწაული მოახდინა მაცხოვარმა /წყალი ღვინოდ გარდაქმნა) და არაა გამორიცხული, რომ ამ სახელით დაწერილი სტრიქონებით (ადრეული, დღემდე უცნობი, მშვენიერი ლექსებით) *ნიკოლოზ გარათაშვილმა* მოგვაწვდინა ზენა სოფლიდან ხმა.

მინაწერი: ზემოთაც ითქვა და, საერთოდ, ცნობილია, რომ *ნიკოლოზ გარათაშვილს* არაერთხელ დაუწერია ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ პროტესტის გამომხატველი ლექსები (იაკობ ბალახაშვილი, ბარათაშვილის ცხოვრება; თბილისი, 1967; გვ. 118-126; ი. ბალახაშვილს განსაკუთრებული ყურადღება აქვს გამახვილებული ზემოხსენებული *პეტრე ბაგრატიონის* შემდეგ სიტყვებზე: *„ნ. გარათაშვილი ლექსებს წერდა, ლ. მელიქიშვილი გადამწერი იყო და მე კი კონვერტებს ვამზადებდი. ამნაირად შემზადებულ ლექსებს ვგზავნიდით მთავარმართებლის, დიდკაცობის და ზოგიერთ დიდვაჭრების სახელზედ...“;* გვ. 121; 1832 წლის

მოვლენებთან დაკავშირებით *ბარათაშვილის* თანაკლასელი *გრ. გურიელი* შემდეგს წერს: *ნიკოლოზ ბარათაშვილს „ბევრი ლექსები აქვნდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი, იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ის იყო, ეს დაიწყო და გამჩხრეკავნიც მოვიდნენ. სასტიკად გაჩხრიკეს ყველაფერი, მერე ნ. ბარათაშვილს სხვადასხვა ლექსებს უჩვენებდნენ და ჰკითხავდნენ, რომ ეს ლექსი შენი დაწერილიაო? ნ. ბარათაშვილი ყველაფერზე უარს ეუბნებოდა";* გვ. 123); ხსენებული საკითხების კვლევისას საფიქრებელი ხდება, რომ დიდ მოხელეებთან გაგზავნილ სხვა ლექსებშიც არანაკლები გაგულისება იყო გამოხატული (იქნებ სხვა, – უფრო მკაცრი ტონით დაწერილი ლექსები გუბერნატორ *ფალავანდიშილსაც* გაუგზავნეს) და არა მხოლოდ აქ წარმოდგენილი ლექსები, არამედ სხვებიც (იქნებ – უფრო ადრე, ან მოგვიანებით გაგზავნილები) გახდა მიზეზი იმისა, დასჯა რომ გადაწყდა ყმაწვილებისა... იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხვდა ეს ლექსები გაზეთ „თეატრის" რედაქციაში, დავძენ: *ნიკოლოზ ფალავანდიშვილისათვის* გაგზავნილ ლექსებზე ალბათ ადვილად მიუწვდებოდა ხელი *ნიკოლოზისა და იესეს* ძმისშვილს, *ზაქარია ფალავანდიშვილს,* რომელიც ტფილისის ბიბლიოთეკის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ და სავარაუდოა, რომ თავისი ბიძის არქივიდან სწორედ მან წამოიღო აქ წარმოდგენილი ლექსების ხელნაწერები, რომ ბიბლიოთეკის რომელსამე ფონდში (რომელსაც იქნებ არა *ნიკოლოზ,* არამედ – *ზაქარია ფალავანდიშვილის* ფონდის სახელით, ან – სახელითაც, იცნობდნენ...) ინახებოდა ისინი, რომლებიც შემდეგ „თეატრის" რედაქციაში მოხვდა და ბოლოს კი საცენზურო კომიტეტის არქივში ჩაიკეტა...

და კიდევ ერთი: კითხვებზე უფრო ზუსტი პასუხის მისაღებად აუცილებლად არის სანახავი რუსეთსა ან საქართველოში არსებული ის არქივები, რომლებშიც, შესაძლოა, მეფის რუსეთის დროს გასაიდუმლოებული საბუთები მოიძებნოს; ვფიქრობ, საიდუმლო სამსახურების ყურადღების ქვეშ აუცილებლად მოექცეოდა ის ფაქტი, რომ გენერალ *ორბელიანის* დისწულმა, *მეფე ერეკლეს შთამომავალმა,* და მისმა *დიდგვაროვანმა მეგობრებმა* სახელმწიფოს მიმართ უკმაყოფილების ამსახველი ლექსები გაუგზავნეს ტფილისის გუბერნატორს, რომ სხვა დროსაც აგზავნიდნენ ცნობილ პიროვნებებთან ასეთ ლექსებს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ აპატია მათ ეს დანაშაული და შენახული იქნება ამ მოვლენების ამსახველი დოკუმენტები; შესაძლოა, იმის შესახებაც იყოს ცნობა, თუ რა ფსევდონიმით გაუგზავნა ცნობილი გენერლის დისშვილმა ეს კონკრეტული ლექსები გუბერნატორს... არ არის შეუძლებელი, სხვა ლექსების შესახებაც აღმოჩნდეს დოკუმენტები...

დასკვნის სახით უნდა ითქვას: ჩვენ წინაშე ძალზე საინტერესო ფაქტია და აუცილებელია გაირკვეს, ვინ იგულისხმება ფსევდონიმის ქვემოთ მიწერილ გვარში – *ფალავანდიშვილი* და ვინ არის ამ შესანიშნავი ლექსების ავტორი – *კლდეკანელი.*

შენიშვნები:

1. ლექსის დასაწყისში ბრჭყალის გახსნის ნიშანია დასმული; 2. ტექსტში – „უდაბნოს მდგარია“; აწყობისას სხვა კორექტურული შეცდომაცაა დაშვებული, – სიტყვაში – „უდაბნოს“, ქართული **ო** ასოს ნაცვლად, ლათინური, თუ რუსული, **o** არის დაბეჭდილი (ქვემოთ, შენიშვნებში, ბრჭყალებში ის სიტყვები იქნება მოთავსებული, რომლებიც კომიტეტში შენახულ ტექსტში გვხვდება); 3. დაბეჭდილია – „მოფარფალე“, რაც *მოფრიალეს* უნდა ნიშნავდეს... 4. „მღვთიური“; 5. „ჯანგ“; 6. იგულისხმება ქვის ფილები, რომლებზეც მოსე წინასწარმეტყველმა ღვთის მცნებები დაწერა; 7. „უხავსთ“; 8. „ყინვრად“; 9. „დაუჯდათ“; 10. „აღიმცენარედ“; 11. „ირგვრივ“; 12. „ეს არი?“; ჩანს, *ასარი* იქნებოდა ხელნაწერში; ეს სიტყვა ზოგადად ფულის ყველაზე მცირე ერთეულის მნიშვნელობით იხსენიება ხოლმე; გვხვდება სახარებაში (ლ. 12: 6); ლექსში სულიერად დამცრობილი ადამიანის მეტაფორადაა ნახმარი; 13. „ვიქნევ“; 14. „სქელდა“; 15. „ნუ თუ“; 16. „სამაინეში“; თეორიულად არაა გამორიცხული, განდეგილი ბერივით სავანეში ცოცხლად ჩამარხვას გულისხმობდეს ავტორი და იქნებ ტექსტში უნდა დადგინდეს ლექსემა – *სავანეში;* 17. „ჩანოვით“; *ჩინოვი (თვალთა ჩინოვი),* ეტყობა, პოეტის ნეოლოგიზმია და *მზერას, თვალთა ნათლის ჩენას* ნიშნავს; 18. შესაძლოა, აქ უნდა დადგინდეს ლექსემა – *უბიწოვ,* მაგრამ, რადგან ეს სიტყვა ქვემოთ, მეოთხე სტროფშიც, არის ნახსენები და ამ სტროფში კი იესოს შობაზე წერს პოეტი, ვფიქრობ, კორექტურული შეცდომა არაა ამ შემთხვევაში და იოსებთან ერთად ბეთლემში ბინის გარეშე დარჩენილი და თავშესაფრის მძებნელი ღვთისმშობელი იგულისხმება (თუ კიდევ რატომ შეიძლება, *უბინო* ეწოდოს ღვთისმშობელს, ამის შეს. იხ. მე-20 შენიშვნა); 19. „დედაღვრთისავ“; 20. „ჯვარ ცმით?“; გარდა იმისა, რომ სიტყვა ორ ნაწილად არის გაყოფილი, ტაეპის ბოლოს კითხვის ნიშანია დაბეჭდილი; ხელნაწერში ალბათ ძახილის ნიშანი ეწერა გაკრული ხელით (ოდნავ მოხრილი შვეული ხაზი და ქვემოთ – წერტილი) და იგი კითხვის ნიშნად ამოიკითხა ტექსტის ამწყობმა; არადა, სწორედ ძახილის ნიშნის დაწერაა აქ მართებული: – *უბინო* იმის გამოც შეიძლება ეწოდოს, რომ იესოს ჯვარცმის შედეგად (მისი ჯვარცმით!) ისევ მარტოდ, უოჯახოდ, *უბინოდ* დარჩა ღვთისმშობელი, – იგი, ვინც მერე იოანე მახარებელმა წაიყვანა შინ; ცხადია, ისიც იგულისხმება, რომ უპირველესად ადამიანთა გულებში უნდა ჰქონდეს დედა ღვთისას ბინა; 21. „ან სულს“; 22. შესაძლოა, ტექსტი ასე უნდა დადგინდეს: – *შენის მხედვრის (ე. ი. შენი მაყურებლის);* 23. „მიოვოხვრით“; ან *განადგურება (მიოხვრა),* ან *ოხვრა* უნდა იგულისხმებოდეს აქ; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხატის წინ მდგარი პოეტი ხატისგან წამით თავს მიიქცევს და ისე ოხრავს; 24. სიტყვის ბოლოს ჯერ ძახილის, შემდეგ კითხვის ნიშანი და ბოლოს კი წერტილია დასმული; ძახილისა და კითხვის ნიშნების გამოყენებით სიმძაფრეს მატებს ნათქვამს პოეტი, – *სიბრალული აღგეძრა ჩემ მიმართ?* – ეკითხება ღვთისმშობელს და შემდეგ ისევ კითხვის ფორმით დასძენს: – *და არის კი შენი მხედველი* („მხედვრი შენი“) *სულიერად ისევ ცოცხალი?!* 25. „შეხვარა“; 26. „შეიცვავს“; 27. „ჩემია თავის?!“; *ჩემის თავის?!;* 28. „უჭეთ“; 29. „რაღადა“; 30. „წვავი“; ჩანს, იგულისხმება, რომ პოეტს გუდავს, ახრჩობს *მწვავი* (მწარე ცეცხლის აღმგზნებელი, მწველი ძალა, ეშმაკი); თუმც, არაა გამორიცხული, რომ აქ უნდა წავიკითხოთ – *იგულავს მწვავი* (დაგულებული ჰყავს, ჯოჯოხეთის ალში დაწვას უპირებს); 31. „ყველასფერი“; 32. „ოღონდა“; 33. „ბედ ქვეშ“; 34. „სჭვნება“; 35. „რას ველოდე მე?“; *რას ველოდო, რისი იმედი უნდა მქონდეს;* 36. „რას“; 37. „მხვდეს“; 38. ვფიქრობ, დაახლოებით ეს აზრია გამოთქმული: – *როცა შენკენ მხედველმა შენითაც ვერ მიიღო შვება, შენც კი ვერ ანუგეშე,* „შენც ვერ ელხინე“ მას; 39. ე. ი. – *შესმა, დალევა* (სახარებისეული რემინისცენცია გეთსიმანიის ბაღში მამა ღმერთის მიმართ იესოს ლოცვის შესახებ; ლ. 22: 42); 40. ტაეპის ბოლოს ორი წერტილია დასმული; 41. „სოსო-წარტყვევნის“; 42. „მხვედრმა“.

დოდო ჭუმბურიძე
Dodo Chumburidze

რუსეთის პოლიტიკა საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეისა და ქართული იდენტობის წინააღმდეგ: აგენტურა და ცენზურა

Imperial policy of Russia in Georgia against the national-state idea and Georgian identity: agents and Censorship

Annotation

From its inception, the Russian Empire pursued territorial expansion to the south, viewing Georgia as an integral part of its future domain. Beginning with the reign of Peter I, the Tsarist government systematically advanced this objective through the deployment of agents and strategic preparations. Following the annexation of Georgia, a stringent censorship policy was implemented to suppress national identity and eradicate the concept of Georgian statehood from public consciousness. The Russian authorities sought to fully integrate Georgia into the empire by restricting intellectual freedom, instilling fear, and promoting ideological conformity. Governance was highly centralized, with all information concerning individuals who opposed imperial policies being reported directly to the emperor. As a result, maintaining control over developments in Georgia remained a priority of Russian foreign policy. The Russian censorship apparatus actively suppressed any acknowledgment of the contributions of Georgian monarchs, as such narratives contradicted imperial ideology. The regime propagated the notion that Georgian kings had failed in their leadership and had voluntarily ceded the country to Russia, which, in turn, ensured its stability and progress. Any literary or artistic expressions that reflected resistance to Russian rule were systematically removed from public discourse. Works imbued with national liberation themes were excluded from theatrical performances and censored from newspapers and magazines. This ideological suppression was a central focus of the Caucasian Censorship Committee in Georgia, which sought to eliminate any challenges to the imperial narrative.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის პოლიტიკა, ქართული იდენტობა, აგენტურა, ცენზურა.

Keywords: Russian politics, Georgian identity, agency, censorship.

რუსეთის იმპერია ჩამოყალიბებიდანვე ცდილობდა საზღვრების გაფართოებას სამხრეთით და საქართველოს თავის მომავალ სივრცეში მოიაზრებდა. ამ მიზნის განხორციელებისთვის საჭირო ნიადაგს იმპერიული ხელისუფლება პეტრე პირველიდან მოყოლებული ნელ-ნელა ამზადებდა. ეს ხდებოდა იმპერიის აგენტურის საშუალებით, დაპყრობის შემდეგ კი ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობის წაშლისა თუ მისი მეხსიერებიდან სახელმწიფოებრივი იდეის გაქრობისათვის საჭირო საცენზურო პოლიტიკით. იმპერიაში სრული ინკორპორაციის მიზანს რუსეთის ხელისუფალნი თავისუფალი აზროვნების გაკონტროლებით, ადამიანების დაშინებითა და კონფორმისტებად მათი ქცევის საშუალებით აღწევდნენ. იმპერია ცენტრიდან იმართებოდა და იმპერატორთან მიდიოდა ყველა ინფორმაცია იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც იმპერიული პოლიტიკის მიმართ წინააღმდეგობრივ მოქმედებას ამჟღავნებდნენ. საქართველოში, ისევე როგორც სხვა დაპყრობილ ქვეყნებში, მიმდინარე მოვლენების გაკონტროლება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენდა (*საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 2016:73-82).*

ჯერ კიდევ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, რუსეთის მოხელეები, იმპერიულ ხელისუფლებასთან დაახლოებული უცხოელი მეცნიერები და მოგზაურები, თავად რუსული არისტოკრატიის ის წარმომადგენლები, რომლებიც კავკასიაში ჩამოდიოდნენ, აშკარად რუსეთის ინტერესებისთვის მუშაობდნენ. თავიანთი მოღვაწეობითა თუ შემოქმედებით ისინი უმეტესად გამოხატავდნენ შოვინისტურ დამოკიდებულებას ქართული ეთნოკულტურული ღირებულებებისადმი, ეხმარებოდნენ რუსული იმპერიული ინტერესების განხორციელებას, საფრთხის ქვეშ აყენებდნენ ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეას. ეს ხალხი ნიადაგს ამზადებდა საქართველოს მომავალი დაპყრობისათვის, განსაკუთრებით ეს პროცესი ერეკლე II -ის დროს დაიწყო და გიორგი XII -ის მეფობაში გააქტიურდა. ამის უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებიდან (*აქტები 1878:343-345).*

პავლე პოტიომკინმა 1782 წლის შემოდგომაზე თავისთან გამოიძახა ერეკლეს კარზე მყოფი ექიმი და უფლისწულთა აღმზრდელი, წარმოშობით უნგრელი, იაკობ რაინეგსი, უბოძა მას პოლკოვნიკის ჩინი და მისცა საიდუმლო დავალება – წაექეზებინა ერეკლე II, – ეთხოვა რუსეთისთვის მფარველობა. რუსეთის საიმპერატორო კარის დავალებით მას უნდა ჩაენერგა ერეკლეს შვილებში რუსეთის სიყვარული, რათა შემდეგში მათ ლოიალობა გამოეჩინათ საქართველოს სამეფოსადმი იმპერიის მიერ გატარებული ოკუპანტური პოლიტიკის მიმართ.

რუსული იმპერიული ცენზურა, მართალია, ქართლ-კახეთის სამეფოს ოკუპაციის პირველ ხანებში ჯერ ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული არ იყო, მაგრამ მისი ხელი ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა, ცენზურა ებრძოდა ქართველი

ერის იდენტობას, ცდილობდა მის გარუსებას და რუსიფიკაციის პროცესში ყველა აკრძალული თუ ლეგალურად შემოტანილი ძალადობრივი ხერხის გამოყენებას.

მთავარმმართებლებთან არსებული კომიტეტები სპეციალური დავალებით სწავლობდნენ მოსახლეობის განწყობასა და შემოქმედებითი ელიტის აზროვნებას, ამ კონტროლის შედეგად მიღებული ინფორმაციები მიდიოდა კავკასიის მთავარმართებელთან, ის კი ამ ინფორმაციებს უმაღლეს ხელისუფალს, თავად იმპერატორს აცნობებდა. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შედგენილი აქტების მრავალტომეულში ბევრი ამგვარი ინფორმაციაა.

> 1802 წლიდან მოყოლებული ქართველი თავადაზნაურობა, ქვეყნის პოლიტიკური ელიტა პოლარიზებული იყო: რუსული ორიენტაციის მომხრენიც კი ხვდებოდნენ, რომ ოკუპანტი ეროვნული ცხოვრების ნიშან-წყალსაც არ ტოვებდა, ის ყველა სფეროს მისწვდა და ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამართა. ვინც უკმაყოფილება გამოთქვა, რეპრესირებულნი და გადასახლებულნი იქნენ, დასმენების შიშით აშკარა უკმაყოფილების გამოხატვას ვერავინ ბედავდა. ამის შედეგი იყო ის, რომ 1804 წელს საქართველოს უზენაესი მთავრობის კანცელარიაში უცნობმა პირებმა დატოვეს ანონიმური ბარათი, სადაც საკუთარი პროტესტი და მოთხოვნები გაახმოვანეს. როგორც ამ რამდენიმეპუნქტიანი დოკუმენტიდან ჩანს, მისი შემდგენლები უმაღლესი ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებსაც სურდათ დაკარგული პრივილეგიების აღდგენა და შენარჩუნება. ამის მიუხედავად, დოკუმენტი ამხელდა იმ პოლიტიკას, რომელაც რუსულმა ხელისუფლებამ ქართველების ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების გასანადგურებლად მიმართა (გუგუშვილი, 1964:407).

ცენზურა მკაცრად მოქმედებდა ანტირუსული აჯანყებების დროსა და მომდევნო ხანაში. 1837 წელს, როდესაც საქართველოში პირველად ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი – ნიკოლოზ პირველი, ცენზურა ყველას და ყველაფერს აკონტროლებდა. მოვლენების თვითმხილველის, შემდეგში კავკასიის საცენზურო კომიტეტის „მრისხანე ცენზორის“ – ლუკა ისარლოვის მოგონებებით ნათლად ჩანს, თუ რა მასშტაბის იყო ცენზურა, როგორ ცდილობდა რეჟიმი, რომ მშვიდობიანად ჩამთავრებულიყო ეს ვიზიტი (ისარლოვი 1899:181-186).

ამავე პერიოდში მთავარმართებელი გრიგოლ როზენი (1831-1837), რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო მმართველობის შემოღებას საქართველოში და მკაცრი სამხედრო მართვის მომხრე იყო, წერდა: *„იმისთვის, რომ ნახევრადველური ხალხები მიეჩვიონ რამდენადმე მაინც სამოქალაქო მმართველობის წესებს, საჭიროა არა ახალი წესების შემოღება, არამედ უკვე შემოღებულის განმტკიცება. უწესობათა და ბოროტმოქმედებათა აღკვეთისთვის საჭიროა არა გარდაქმნები, არამედ დაუცხრომელი ყურადღება და მოქმედება“.* როზენის მმართველობის დასასრულს მოხდა სწორედ საცენზურო პოლიტიკის გამკაცრება.

ბეჭდური პრესის ცენზურის ისტორიის დასაწყისად შეგვიძლია 1837 წლის 23 დეკემბერი მივიჩნიოთ, როდესაც რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, სტამბიდან გამომავალი წიგნების ცენზურა დაევალა საქართველოს მთავარმართებლის უწყებას, ცენზორებად კი თბილისის გიმნაზიის მასწავლებლები დაინიშნნენ.

მაშინ, როდესაც საიდუმლო პოლიცია თუ ცენზორებად დანიშნული ადამიანები ყველა მოქალაქეში დამნაშავესა და ხელისუფლების მტერს ეძებდნენ, თავად ხელისუფლება ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ხალხის უკმაყოფილებისათვის. 30-იანი წლების ბოლოს საქართველოში მოვლენილმა სენატორმა ჰანმა მიზად დაისახა კავკასიის მმართველობაში ეროვნული ნიშნის საბოლოოდ მოსპობა და იმპერიის სტრუქტურებთან ასიმილაცია. ამის შედეგები ქართველი ხალხისთვის მძიმე აღმოჩნდა, რასაც რუსი ისტორიკოსი ვ. ივანენკო ასე აღწერს: *„რეფორმამ საყოველთაო დრტვინვა გამოიწვია, ჩიოდა ხალხი, ჩიოდნენ მოხელენი, ჩიოდა და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა თვით გოლოვინი. საშინელმა ფორმალიზმმა მოიცვა მთელი სახელმწიფო სისტემა. ვერავინ ვერ ბედავდა მიეცა თხოვნა მაზრის უფროსისთვისაც კი უბნის მსაჯულის გარეშე. გურიაში აჯანყებამ იფეთქა; ოსეთსა და ბელაქანში მღელვარება მოხდა; ყველგან ყაჩაღთა ბრბო გაჩნდა. აშკარა ყაჩაღი სასამართლოდან გამართლებული გამოდიოდა კანონით გათვალისწინებული ბოროტმოქმედების დამამტკიცებელი ფორმალური საბუთების უქონლობის გამო“* (ივანენკო, 1901).

1843 წელს კავკასიაში სამოგზაუროდ ჩამოსული პრუსიელი ბარონი ავგუსტ ფონ ჰაქსტაუზენი დაუფარავად წერდა აქ არსებულ საშინელ მდგომარეობაზე, განსაკუთრებულ აქცენტს ის ქართველი ხალხის ბედზე აკეთებდა. *„ამიერკავკასიაში გაავრცელეს რუსეთში არსებული კანონები და განკარგულებები, უწყებათა სახელწოდებები, მათი საქმეების მსვლელობა...მმართველობისა და ადმინისტრირების ფორმების ცენტრალიზაცია სავსებით შეესაბამება სახელმწიფოს მაღალ ფენებში გავრცელებულ „ველიკორუსულ“ ხასიათს... ის, რაც „ველიკოროსიისთვის“ სავსებით მისაღებია სისტემის თვალსაზრისით, მიუღებელია და სულაც დამღუპველი ბალტიისპირა გერმანული პროვინციებისა და კავკასიის ქვეყნებისთვის... ყველგან უხეშად ესმოდათ კანონები და ადმინისტრირება, რომლებსაც თვითონ შეჩვეული იყვნენ... მთელი მმართველობა გასამხედროებული იყო; ყოველგვარი საჩივარი გამგებელ გენერალთან მიდიოდა... რუსები ერეოდნენ ადგილობრივთა ცხოვრების წესებში... ეს იწვევდა ზიზღს თითქმის ყველა კავკასიის ხალხში რუსული მმართველობის მიმართ... ქვეყანაში, სადაც მხოლოდ სამხედრო მმართველობაა, ამას მოჰყვება გაუთავებელი ბოროტმოქმედება და წვალება!.. რუსული არმია მრავალი წელია უცვლელად გარნიზონის მდგომარეობაშია დაპყრობილ ქვეყანაში!.. მთელი მმართველობა სამხედრო ძალას ემყარება, რის გამოც ქვეყანა ოხრავს, მაგრამ არმია, განსაკუთრებით კი ოფიცრები, ჯიუტად იცავენ მას. ეს მათ ინტერესებშია! ... ძველი და ახალი მოგზაურები ბევრს ლაპარაკობენ ტრანს-*

კავკასიაში გაბატონებულ ბოროტმოქმედებებზე, მოსყიდვებზე, ძალადობაზე, ყოველგვარ ინტრიგებზე. მეც საკმაოდ მესმა ამის შესახებ... მმართველ სამხედროთათვის ტკბილი იყო განუკითხავად ემართათ მილიონები, შედეგები კი საკმაოდ სავალალოა: ნაყოფიერი საქართველო, მშვიდობის მიუხედავად, წინ არ მიდიოდა“ (ჰაქსტაუზენი, 2011).

როდესაც რუსეთში გამოვიდა ჰაქსტაუზენის ნაშრომი, ცენზურამ იქიდან ამოიღო სწორედ ეს ადგილები, რუსი მოხელეებისა და იმპერიის შოვინისტური პოლიტიკა კავკასიასა და საქართველოში მხოლოდ გერმანულ გამოცემაში დარჩა.

ხელისუფლების იდეოლოგები კავკასიას რუსეთის ხელში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და ყოველნაირად ასხამდნენ ხოტბას აქ მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს. სახელისუფლო პოლიტიკის „ სიმართლეს“ სრულიად განსხვავებული „მეორე სიმართლე“ უპირისპირდებოდა. სწორედ ამის ასახვას ცდილობდნენ სამოციანელთა მიერ დაარსებული ქართული დემოკრატიული პრესის ორგანოები, რის გამოც საცენზურო კომიტეტის რისხვა არ სცდებოდათ. აზრის ყოველგვარი თავისუფლად გამოვლენა მკაცრი სასჯელით ისჯებოდა, იქნებოდა ეს რედაქტორის მოხსნა, ბეჭდური ორგანოს დახურვა თუ სტატიის ავტორის დაჯარიმება-დაპატიმრება.

სახელისუფლო პრესა ემსახურებოდა იმპერიის ასიმილატორულ პოლიტიკას და ამტკიცებდა ენათა და ხალხთა შერწყმის პროგრესულობასა და მომავალში აუცილებლობას. ამას აკეთებდა „კავკაზი“ და სხვა ოფიციალური ორგანო. პეტერბურგის გაზეთში გამოქვეყნებული ერთ-ერთი, ძალზე შოვინისტურ, „ინოროდცული“ და ქართველი ხალხის საწინააღმდეგოდ გამიზნული სტატიით მიღებულ კულტურულ შოკს ვერ გაუძლო გაზეთმა „დროებამ“ და მისმა რედაქტორმა – სერგეი მესხმა, პრინციპული პასუხი გასცა „ახალ თეორეტიკოსთა“ წარმომადგენელს, რითაც ცენზურის ყურადღება „დაიმსახურა“. „პეტერბურგელი კორესპონდენტის“ წერილი გადმობეჭდა „თბილისის მოამბემ“. რუსული იდეოლოგიის მსახური კორესპონდენტი საზოგადოებას უსვამდა კითხვას: *„რა უფრო სასურველი და სასარგებლო იქნება კავკასიის ხალხებისათვის, იმათი ცალკე, განსხვავებული გვარტომობით და ხალხებათ დარჩენა, თუ ერთის რომელისამეზე დაახლოება, ყველასი ერთად, ერთ ხალხად შეერთება“*, რაზეც თავადვე პასუხობდა. მისი ლოგიკა მთლიანად მცირე ერების წინააღმდეგ იყო მიმართული და იმ შოვინისტურ-იმპერიულ ნარატივს შეიცავდა, რაც რუსი იდეოლოგებისთვის ბუნებრივად იყო დამახასიათებელი. ეს იყო პატარა ერების დიდთან შერწყმის იმპერიული თეორია. ამგვარი აზროვნებით აღშფოთებული მესხი დაუფარავად აკრიტიკებდა კორესპონდენტს (მესხი 1863: 183). მის აღშფოთებას ზრდიდა ქართულ პრესაში ამგვარი შოვინისტი რუსი კორესპონდენტის სტატიის გადმობეჭდვის ფაქტი, მით უმეტეს, უკომენტაროდ, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ქართული გაზეთი რუსი იდეოლოგის შეხედულებას იზიარებდა. ამ და სხვა გაბედული ნაბიჯების

გამო, რასაც ქართველ სამოციანელთა ბეჭდური ორგანოები ავლენდნენ ქართველი ხალხის კულტურისა და ისტორიის წარმოსაჩენად, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი და სხვა ქართველი მოაზროვნეები ცენზურისგან სასტიკად იდევნებოდნენ. მთავარი ის ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეა იყო, რისი დაცვაც და განხორციელებაც ამ მოღვაწეებს სურდათ, იმპერია კი საქართველოს არა როგორც სახელმწიფო ერთეულს, როგორც რუსეთის გუბერნიებს, ისე მოიხსენიებდა, ქართველ ხალხს კი არა დიდი წარსულის მქონე ხალხად, არამედ მხოლოდ ტერიტორიაზე მცხოვრებ „ინოზემცებად“ და „ინოროდცებად“ განიხილავდა.

საქართველოს დაპყრობამდე არსებული საცენზურო პოლიტიკა თუ ძირითადად დასაპყრობ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ქმედებას აკონტროლებდა, დაპყრობის შემდეგ, ძირითადად კი საცენზურო კომიტეტის ინსტიტუციური მოწყობის საშუალებით, იმპერიული ხელისუფლება აკონტროლებდა ადამიანთა აზრს, უზღუდავდა მას თავისუფლად გამოხატვის საშუალებას.

რუსულ პოლიტიკას რომ ყველა იმპერატორი ერთნაირ მიზანს უსახავდა დაპყრობილ ხალხთა მიმართ, ეს კარგად ჩანს იქიდანაც, რომ საცენზურო პოლიტიკა ერთგვარად გამკაცრდა რეფორმატორი იმპერატორის – ალექსანდრე II-ს დროს, როდესაც, პირიქით, ეს პოლიტიკა უფრო უნდა შერბილებულიყო და ლიბერალური აზროვნებისთვის მეტი გასაქანი მიეცა. 1865 წელს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის – ვალუევის ინიციატივით შემუშავდა „დროებითი წესები ბეჭდვით ნაწარმოებთა შესახებ“, რითაც ცენზურა აშკარად პოლიტიკური შინაარსის გახდა. ის ძირითად დირექტივებს იღებდა თვითმპყრობელობის უშუალო დამცველი ორგანოსგან – შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან. ამ კანონით, ყველა გამოცემას უნდა გაევლო წინასწარი ცენზურა, მხოლოდ პეტერბურგსა და მოსკოვში შეიძლებოდა უცენზუროდ გამოქვეყნებულიყო ტექსტი, არანაკლები 20 ნაბეჭდი ფურცლისა (გიორგაძე1928: 277).

კავკასიის საცენზურო კომიტეტიც ამ დებულების მიღებამდე (1865) ისევე, როგორც მთელ იმპერიაში, ემორჩილებოდა განათლების უწყებას და მას პირადად მეფისნაცვალი აკონტროლებდა. მეფისნაცვლის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ (1882) კავკასიის საცენზურო კომიტეტი დაუმორჩილდა უშუალოდ პეტერბურგში არსებულ ბეჭდვითი საქმის სამმართველოს, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო აკონტროლებდა.

როდესაც ხდებოდა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი ცალკეულ პირთა მიმართვა პერიოდული ორგანოს გამოცემაზე, ეს საკითხი რამდენიმესაფეხურიან შესწავლას ექვემდებარებოდა. ჯერ ადგილზე სწავლობდნენ სხვადასხვა სახელისუფლო ორგანოს ჩართულობით (ჟანდარმერია, სასამართლო და სხვ.) მომავალი რედაქტორისა და გამომცემლის პოლიტიკური სანდოობის საკითხს და დასკვნას აგზავნიდნენ პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებასა და სხვა საბუთებთან ერ-

თად პეტერბურგში. საქართველოდან გაგზავნილი მიმართვის დოკუმენტი ხშირად იყო ტენდენციური, შეიცავდა ცრუ ინფორმაციებს ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანებზე, რის გამოც პეტერბურგი უარს ამბობდა მთხოვნელისთვის გაზეთის ან ჟურნალის გახსნაზე. ამგვარი უარი და საეჭვო დასკვნები მისცეს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე მდგარ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც სხვადასხვა დროს ითხოვეს პრესის ორგანოების დაარსება. ესენი ყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, ბესარიონ ღოღობერიძე, ივანე მაჩაბელი და სხვ.

ეროვნული იდენტობის მთავარ გამოხატულებას – მშობლიურ ენას – ცენზურა ისეთივე ბრძოლას უცხადებდა, როგორც თავად ქართველობას: ქართველებად არ იხსენიებდნენ დასავლეთ საქართველოს მკვიდრ ქართველებს, ასევე იყო ენაც, ქუთაისს მეგრელების დედაქალაქად და აქაური ხალხის ენად მეგრულს მოიხსენიებდნენ კავკასიის საცენზურო კომიტეტის არაქართველი ცენზორები. ეს იყო ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული იმპერიის პოლიტიკური ექსპანსიისა და შოვინისტური დამოკიდებულების მკაფიო გამოხატულება. ამის ერთი მაგალითი, რაც კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდმა შემოგვინახა არის დოკუმენტი, რომელიც ეხება ქუთაისელი მოქალაქის, – „ნადვორნი სოვეტნიკ“ კანდელაკის – განცხადებას ქუთაისში, ქართულ ენაზე, გაეხსნა სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „სიტყვა“. კანდელაკის განცხადებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო დასკვნაში ვკითხულობთ: *„კანდელაკს სურს გამოსცეს გაზეთი ადგილობრივ ქართულ ენაზე. ეს სურვილი სავსებით გასაგები ვერ არის. ადგილობრივი ენა ქუთაისში მეგრულია, რომელიც, როგორც ქართული, აფხაზური და სვანური, ეკუთვნის ივერიის ენათა ჯგუფს. მეგრულ ენას არა აქვს თავის მწერლობა და მეგრელები ხმარობენ ქართულ ანბანს.“ გარდა ამისა, – წერდა საცენზურო კომიტეტი, – ქუთაისში არც მკითხველებია. იქ ამჟამად გამწვავებული ბრძოლაა ბანკის პარტიებს შორის და ერთი რომელიმე გამოიყენებს გაზეთს თავის მიზნებისთვისო*“ (სცსა 480, საქმე 340_ 31 ა).

ამ მიმართულებით ქართველი ერის წინააღმდეგ რუსულ პოლიტიკას ასახავს მრავალთაგან კიდევ ერთი დოკუმენტიც: 1885 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტში განიხილეს 1882 წელს დაბეჭდილი „საქართველოს მოკლე გეოგრაფია“. ტექსტში სიტყვა „საქართველო“ ყველგან გადახაზულია და ცენზორის ხელით ჩაწერილია „თბილისისა“ და „ქუთაისის გუბერნია“, ვინაიდან სიტყვა „საქართველო“ სახელმწიფოებრიობასა და წარსულს მოაგონებდა, ახალგაზრდობას უნდა დაევიწყებინა იგი და თავი რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივი გუბერნიების მკვიდრად ეგრძნო. მოვიტანთ ცენზურის მიერ შესწორებული „საქართველოს მოკლე გეოგრაფიის“ შესახებ საცენზურო კომიტეტში გაკეთებულ ჩანაწერს: ავტორის ტექსტს ახლავს ცენზორის შესწორება: „მოკლე გეოგრაფია საქართველოსი“, ცენზორს ასე აქვს ჩასწორებული: „მოკლე გეოგრაფია ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებისა“; ავტორს ეკუთვნის წინადადება: „საქართველოს შეადგენს შემდეგი

ნაწილები“, რაც ცენზორმა ამგვარად ჩაასწორა: „ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიას შეადგენს შემდეგი ნაწილები“... წინადადება – „დასავლეთი საქართველო“ შეცვლილია სიტყვით – „იმერეთი“, „აღმოსავლეთ საქართველო“ – სიტყვით – „ქართლ-კახეთი“. სიტყვა „საქართველო“ ამოშლილია წინადადებაში – „საქართველოს მთები, მდინარეები, მცენარეები, ცხოველები და ნიადაგი“. წინადადებაში – „თავისუფლება და დამოუკიდებლობა“ სიტყვა „დამოუკიდებლობა“ ამოშლილია (გიორგაძე 1928: 255; სცსა 480, საქმე 148).

ხელისუფლებას უნდოდა ქართული ჟურნალისტიკის ეროვნული პათოსის ჩაკვლა, მისი განვითარების შეფერხება. ამ მხრივ საინტერესოა დასკვნა, რომელიც საცენზურო კომიტეტმა გააკეთა ნიკო ღოღობერიძის თხოვნაზე – ჟურნალ „მოამბის“ დაარსების შესახებ. დასკვნაში ნათქვამია, რომ ილიას „ივერიას“ აღარ ჰყავს ბევრი მკითხველი, ქართველები გატაცების ხალხია, მალე მოწყინდებათ სიახლე, თანაც არ ჰყავთ ამ ჟურნალისთვის გასაძღოლი ძალები, თუ უფლებას არ მივცემთ, უფრო გაღიზიანდებიან, იტყვიან, რომ სომხებს ვუჭერთ მხარს, რადგან მათ ამ ტიპის ჟურნალი აქვთ. მივცეთ გამოცემის ნება და შემდეგ საცენზურო კომიტეტის საშუალებით ვიმოქმედოთ მასზეო (სცსა, ფონდი 480, აღწ. 2, საქმე 1239).

ცენზორები კრძალავდნენ ქართველი ერის წარსულისა და თანამედროვე პრობლემების საჯაროდ გამოტანას, მათი წინადადებით იხურებოდა გაზეთები, სჯიდნენ რედაქტორებსა და გაბედულ პუბლიცისტებს. ძველი პრესის ბევრ ნომერში ვხვდებით ცარიელ გვერდებს, რაც უმკაცრესი ცენზურის შედეგია. საცენზურო კომიტეტის მასალებში ჩანს, ხელისუფლებამ როგორ არ მისცა ნიკო ნიკოლაძეს ნებართვა – გამოეცა გაზეთები „რიონი“ და „კანდელი“ ქართულ ენაზე. მიზეზად „ობზორის“ რედაქტორობისას მისი ურჩობა და ცენზურისგან აკრძალული წერილების დაბეჭდვა დასახელდა.

1882 წელს საცენზურო კომიტეტმა უარი უთხრა აკაკის ქართულ ენაზე ყოველკვირეული გაზეთის – „გზის“ გამოცემაზე იმის გამო, რომ გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნებული წერილებით პოეტმა გაამჟღავნა თავისი „ლიტერატურული მიმართულება“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ცენზურა აკაკის ანტისახელმწიფოებრივ აზროვნებაში ადანაშაულებდა. 1885 წელს მთავარმართებელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ივანე მაჩაბლის გაზეთ „დროების“ რედაქტორობიდან გადაყენების შესახებ. მინისტრმა უპასუხა, რომ ივანე მაჩაბლის გადაყენების შემთხვევაში სხვა რედაქტორი დაინიშნებოდა, ნამდვილი რედაქტორობა კი ისევ მას ექნებოდა, ამიტომ უმჯობესი იყო ცენზურას კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინა მისი წერილები და საეჭვო აზროვნების აღმოჩენის შემთხვევაში, პასუხისგებაში მიეცა (სცსა, 480, 403, ფ. 42).

ხელისუფლების მიერ მაჩაბლის დევნა კარგად ჩანს საარქივო დოკუმენტის ამ ნაწყვეტიდან: *„სანამ „დროების“ რედაქციის სათავეში დგას თავადი მაჩაბელი, გაზეთი არ შეცვლის არც თავის მიმართულებას და არც თავის ხერხებს, რომელსაც*

ეხლა იყენებს. ამის გამო კომიტეტი მივიდა დასკვნამდის, თავად მაჩაბლის მოცილების შესახებ გაზეთის რედაქტორობისგან...“

ცენზურა ყველაფერს, რაც საქართველოსა და ქართულ სახელმწიფოებრიობას ეხებოდა, მიუღებლად თვლიდა და გამოსვლის ნებას უკრძალავდა. ამას მოწმობს თუნდაც ბაჩანას (ნიკო რაზიკაშვილი) ლექსის აკრძალვა თბილისის საცენზურო კომიტეტის ცენზორის მიერ. ლექსი გაზეთ „თეატრისათვის “ დაიწერა, ის ჯერ ამ გაზეთიდან, შემდეგ კი გაზეთ „დროებიდან“ ამოიღო ცენზურამ, რომელსაც სწორედ ქართველი ხალხის ის იმედიანი და საპროტესტო კონტექსტი არ მოეწონა, რაც ამ ლექსში იდო:

„ვინა თქვა საქართველოზე –
ეგ არის, ლომი კვდებაო,
ჩაუხდა გედის ვარსკვლავი
და აღარ ამოხდებაო,
თავს დასტრიალებს ყორანი,
დასჩხავის ზედი-ზედაო“...
(სცსა 480, საქმე 282).

თითოეულ გამოჩენილ მწერალსა და პუბლიცისტს საცენზურო კომიტეტთან ურთიერთობის მთელი ისტორია ჰქონდა. მხოლოდ აკაკი რომ ავიღოთ, გადავხედოთ მის მიერ რუსი ჩინოვნიკების კრიტიკასა და პამფლეტებს, გასაგები გახდება ის მწვავე რეაქცია, რასაც ცენზურა იჩენდა მისი ტექსტების მიმართ, რომელთა პათოსი რუსული იმპერიული პოლიტიკის დაგმობით იყო სავსე. ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა და ქართველი ერის ჩაგვრა აკაკიმ გადმოსცა სტატიაში – „სიმართლე“, რომელიც თავის დროზე ვერ გამოქვეყნდა, პოეტმა ყურადღება გაამახვილა პეტრე I-ის დაპყრობით გეგმებზე, მისი მემკვიდრეების პოლიტიკაზე. სტატია მთელი ისტორიაა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა XVIII საუკუნის ბოლოს, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა-დამონებისა, იმპერიული ბატონობის ხერხების თანმიმდევრობით გადმოცემაა (წერეთელი, 2010: 98-113).

„ეკატერინე II ... მიხვდა, რომ კავკასიაში ფეხის ჩასადგმელად კავკასიონის დაპყრობაა საჭირო. იმას კი ისე ვერ დაიპყრობს, თუ საქართველო ან მტრობით, ან მოყვრობით არ ჩაიგდო როგორმე ხელში. მაგრამ სამტრო მიზეზი რომ არა ჰქონდა რა, მელური მოყვრობა მოინდომა!... ღენერალ-პორუჩიკმა პოტიომკინმა ითხოვა მეფე ერეკლეს ქალი, ანასტასია ბატონიშვილი და პირობასა სდებდა, რომ დუშეთში დაესახლებოდა, ჩამოიყვანდა რუსის ჯარს და დარიალის ხეობას გაამაგრებდა, რომ მტერი ველარ შემოსულიყო. აქ განზრახვა სულ სხვა იყო: უნდოდა, რომ გახსნილი გზით შემოეყვანა რუსები საქართველოში, რაც ძალადობით შეუძლებელი იყო! – მეფე მიუხვდა ამ ვერაგულ განზრახვას და იუკადრისა: უბრალო გენერალი

როგორ მიბედავს ქალის თხოვასო, უარი შეუთვალა და აღარ მოხდა საქმე. მაშინ რუსეთი სხვა გზას უნდა შედგომოდა, რომ განზრახული აზრი სისრულეში მოეყვანა და კიდევაც მალე მიეცა შემთხვევა“ (წერეთელი, 2010: 103).

ამას მოსდევდა ტოტლებენის ქმედების აღწერა. პოეტის აზრით, იმ დროს, როდესაც რუსეთმა (1768 წელი) ომი გამოუცხადა ოსმალეთს, „საქართველოს მდგომარეობა გამოვარგისებული იყო“. აღმოსავლეთში ქართულ სამეფოს ჭკვიანი მეფე ერეკლე განაგებდა, დასავლეთს კი „სოლომონ დიდი, კაცი სახელგანთქმული და შორსმჭვრეტელი“, რომელიც ერეკლე მეფეს მხარს უბამდა ყოველ ეროვნულ საქმეში. აქ ერეკლეს გადაწყვეტილებასაც ეხებოდა პოეტი და საკმაოდ სწორ კონცეფციას აყალიბებდა: *„ამ დროს გარეგან მოუსვენრობას, შინაგან განხეთქილებას და ერეკლეს ღრმა მოხუცებულობას ზედ დაერთო სნეულებაც და ყოველივე ამან იქამდი მიიყვანა გმირი მეფე, რომ მოასურვა რუსეთთან შეერთება, მაგრამ ისეთი კი არა, როგორსაც დღეს ვხედავთ. იმას უნდოდა, რომ სამეფო ხელშეუშლელი ყოფილიყო და მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში დამორჩილებოდა რუსეთს“* (იქვე).

რა თქმა უნდა, ამგვარი თვალსაზრისი და მსჯელობა რუსეთის ცენზორებისთვის სრულიად მიუღებელი იყო. ქართული სახელმწიფოსა და მისი მეფის დამსახურებაზე წერა იმპერიულ იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა. ის საყოველთაოდ ავრცელებდა აზრს, რომ ქართველმა მეფეებმა ვერ მოუარეს ქვეყანას და ის რუსეთს გადასცეს, ამ უკანასკნელმა კი მას მშვიდობიანი ცხოვრება მოუტანა და განავითარა. ცენზურას არ სურდა ქართველ ხალხში წინააღმდეგობრივი სულისკვეთების არსებობის ასახვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ამისთვის ამოიღო თეატრალური დადგმის რეპერტუარიდან ალექსანდრე ყაზბეგის „ბატონიშვილი კონსტანტინე“, რომელშიც მწერალმა ისტორიული რეალობა გადააკეთა და კახეთის მეფის – ალექსანდრე მეორის მოღალატე, მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე შაჰაბასის ოპონენტად და სამშობლოს ინტერესთა დამცველად აქცია (სცსა, 480-1-1577).

სწორედ ამგვარ აზროვნებას ებრძოდა კავკასიის საცენზურო კომიტეტი საქართველოში. ყველა მხატვრული ტექსტი, რომელიც პრესიდან ცენზურის მიერ იყო ამოღებული, ეწინააღმდეგებოდა იმპერიულ იდეოლოგიასა და სახელმწიფო პოლიტიკას. მათში რუსი ცენზორების მიერ ქართველ ხალხში არსებული და იმპერიული პოლიტიკის სისასტიკეს გადარჩენილი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და თავისუფლების იდეა იკითხებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

აქტები 1878: Акты Собранные Кавказского Авхеографической Комиссией , т. VII (б) , под редакцией А. Берже, Тифлис, 1878.

გიორგაძე 1928: გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1866-1905 წლებში, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1928.

გუგუშვილი 1964: პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტომი 1, თბილისი, 1964;

ივანენკო 1901, ვ. ივანენკო, „ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობა“, ტფილისი, 1901

ისარლოვი 1899: Письма о Грузии, Л. С. Исарлова, издание З. Чичинадзе, Тифлис, 1899 г.

მესხი 1863: სერგეი მესხი, თხზულებანი 3 ტომად, შედგენილი იოსებ ბოცვაძის მიერ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 2016: დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII_XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით)“, წიგნი II, გამომცემლობა „მერიდიანი “, თბილისი, 2016.

სცსა, ფონდი 480, აღწ. 2, საქმე 1239, – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, საცენზურო კომიტეტის ფონდი № 480, აღწერა 2, საქმე 12309;

წერეთელი, 2010: აკაკი წერეთელი, უცნობი პუბლიცისტიკა, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.

ჰაქსტაუზენი, 2011, ავგუსტ ჰაქსტაუზენი საქართველოს შესახებ, თარგმნა გია გელაშვილმა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2011

მანანა შამილიშვილი
Manana Shamilishvili

ცენზორის ინსტიტუტი და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესის გამოცდილება

The Institute of Censorship and the Experience of the Georgian Press in the Second Half of the 19th Century

Annotation

The work „Censor's Institute and the Experience of the Georgian Press in the Second Half of the 19th Century" is based on archival research and describes the punitive policy of the Caucasian Censorship Committee in the second half of the 19th century in Georgia. Among the urgent goals of Russian metropolis was the governance of the invaded nations by its conditions and rules that would have resulted in the total assimilation of those nations. The Russian imperialism established a strong censorship institution to achieve this goal that enabled it to strictly control the entire thinking space of the occupied country. This fact, first and foremost, concerned writers and publicists.

Georgian press underwent special scrutiny, since the print periodicals of that period served the purpose of strengthening national-liberation movement. Due to this fact, Georgian press was thought to be fostering the perception of the nation as "an imaginary unity". We can call this process "print capitalism" (based on Benedict Anderson's theory) and consider it as one of the major factors of forming national identity in Georgia.

The study of the rich documentary materials preserved in the archives of Georgia made it possible to delineate those major aspects through which the tsarist regime managed to govern social opinion and demonstrate prompt and strict reaction on any anti-governmental expression. The observation of the oppressed periodicals restricted by the censor's institute, the analysis of the experience of publicists and of concrete cases, enabled us to create an overall picture of the politics of the Russian Tsarist regime, as depicted through the prism of Georgian media discourse.

The presented research was carried out within the framework of the grant project „The Censorship Committee of Caucasus in the 19th century Georgia and the mechanisms of Russian Imperial Governance" funded by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რუსული იმპერიალიზმი, მე- 19 საუკუნის ქართული პრესა, ქართული „ბეჭდური კაპიტალიზმი", ბრძოლა სიტყვის თავისუფლებისთვის.

Keywords: Censorship Committee of Caucasus, Russian Imperialism, the Georgian Press of the 19th Century, Georgian „Print Capitalism", fight for the freedom of speech.

ჯონ მილტონი გამოხატვის თავისუფლების შესახებ თავის გენიალურ სიტყვაში ცენზურის წინააღმდეგ რომ ილაშქრებდა, არაერთ საგულისხმო არგუმენტს იშველიებდა ოპონენტთა დასარწმუნებლად. ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებდა იმ გარემოებას, რომ ცენზორობას არცთუ მაღალი გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირი თუ მოინდომებდა, რომლის ინტელექტსა და გემოვნებაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული საცენზურო პროდუქციის ბედი. შესაბამისად, მივიღებდით ამ გემოვნებაზე მორგებულ მდარე შემოქმედებით სტანდარტებს, ხარისხზე კი სამუდამოდ უნდა ჩაგვექნია ხელი (მილტონი 2020: 367-373). სადღეისოდაც აქტუალური ეს დაუვიწყარი გამოსვლა, დიდი მოაზროვნის მიერ ინგლისის პარლამენტის წინაშე 1644 წელს თქმული, ჩვენს შემთხვევაში განსხვავებულ აქცენტს იძენს.

მილტონის ვარაუდის საპირწონედ, საქართველოში ცენზორობას არ თაკილობდნენ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მოღვაწეები და თვით მწერლებიც კი. უმთავრესი მიზეზი მატერიალურ მხარეში უნდა ვეძიოთ. იმ დროს სახელმწიფო სამსახურში თუ არ იყავი, შემოსავალიც არ გექნებოდა და ხშირად უსადილოდაც დარჩებოდიო, – იგონებდა აკაკი წერეთელი. მისივე თქმით, ყველაზე დაუნდობელი ცენზორი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ყოფილა. მან კარგად იცოდა შემოქმედების თავისებურებები და ისეთ დაფარულ აზრებსაც ამოიცნობდა თურმე, ავტორს საგულდაგულოდ შენიღბული რომ ეგონა. ცენზორად რაფიელ ერისთავსაც უმუშავია და თავის დროზე ეს თანამდებობა ანტონ ფურცელაძესაც კი უთხოვნია. ერთხელ ევროპიდან ახალდაბრუნებული ალექსანდრე სარაჯიშვილისთვისაც შეუთავაზებიათ ცენზორობა, თანაც დიდი ამბით, შუამავლობა კი თვით აკაკის მოუწადინებია. სინდისიერ ახალგაზრდას ამგვარი შეთავაზება შეურაცხყოფად მიუღია და ასეთი პასუხი გაუცია კავკასიის საცენზურო კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარისთვის, დიმიტრი ფურცელაძისთვის: „ჯერ ისე პალაჩობაც რა არის, რომ გრძნობა-გონების პალაჩად დავდგეო“. ამ ამბის შემდეგ ყოველთვის პატივისცემას ვგრძნობდი მის მიმართო, – შენიშნავდა აკაკი (წერეთელი 1996: 339).

ცენზორის ინსტიტუტის შემოღების გადაწყვეტილება ცარისტული რუსეთის სადამსჯელო პოლიტიკის ნაწილი იყო. საქართველოში დიდი გაქანება მიეცა ამ სამსახურის მუშაობას. დასტურად ისევ აკაკის სიტყვებს მოვიხმობთ: „ჩემ სიცოცხლეში, ცხადად თუ სიზმრად, ერთი რამ მაფრთხობდა ყველაზე მეტად და საფლავშიც ქარ-ცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ „ცენზორზე“. ვინც მომსწრე არ არის და არ გამოუცდია, იმას მარტო გაგონებით წარმოდგენაც არ შეუძლია მისი, თუ რა იყო წინეთ ის საოცარი „ცენზურა!“ (წერეთელი 1963: 335).

რუსეთის თვითმპყრობელობის ყოვლისმომცველმა წნეხმა, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, გააძლიერა ქართველთა ეროვნულობის განცდა და ეროვნული დამოუკიდებლობის სურვილი, რაშიც პრესას მიუძღოდა დიდი წვლილი. იმპერიალისტური პოლიტიკა უპირველესად ენობრივი ფორმებით ხორ-

ციელდება, ამიტომაც შედიოდა რუსეთის მეტროპოლიის გადაუდებელ ამოცანათა რიგში დაპყრობილი ხალხების საკუთარი ერის პირობებითა და წესებით მართვა, რაც საბოლოოდ სრული ასიმილაციით უნდა დამთავრებულიყო. თუკი სხვა დაპყრობილ ქვეყნებში ეს პროცესი მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა, საქართველოში მას წინ ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა.

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, ქართულ ენაზე პერიოდული გამოცემების დაარსება იმპერიალისტური მიზნების რიგში შედიოდა. საქმე ის გახლავთ, რომ საზღვრისპირა რეგიონებში საკუთარი წარმატებული საომარი ოპერაციების (როგორც ვიცით, რუსეთმა ამ საუკუნეში თურქეთთან არაერთი ომი გადაიხადა) სათანადო პოპულარიზაციისთვის იმპერიას ბეჭდური სიტყვა ესაჭიროებოდა. თქმა არ უნდა, ნებისმიერი იმპერიის განმტკიცებისთვის ნაწერ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ რომმა ელიტის მიერ კონტროლირებული წერილობითი სიტყვის გავრცელებით შეძლო გამხდარიყო იმპერია, როდესაც იგი მთავრობის ხალხთან დამაკავშირებელ ძირითად საშუალებად იქცა. რომის იმპერიის სოციალური და სამთავრობო სტრუქტურები სწორედ დამწერლობის გავლენით ფორმირდებოდა (ინისი 1950: 29).

უთუოდ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში არათუ რუსული, მშობლიურ ენაზე წერა-კითხვაც ცოტამ იცოდა. ასიმილანტის ენას მეტ-ნაკლები სრულყოფილებით მხოლოდ სამხედრო სამსახურში მყოფი ქართული ელიტის ნაწილი ფლობდა (რუსიფიკატორული პოლიტიკის შორსმიმავალ გეგმებში, ცხადია, კეთილსაიმედო, იდეოლოგიურად დასაყრდნობი ფენების მომზადება შედიოდა. იმხანად სამხედრო სასწავლებლები ამ მიზნით იხსნებოდა). აღნიშნულ მიზეზთა მოძიებით ნათელი ეფინება იმ ვითარებას, რამაც აიძულა თვითმპყრობელობა ქართულენოვანი პრესის აღმოცენების უნებლიე ხელშემწყობი გამხდარიყო.

ქართველი მწერლებისა და პუბლიცისტების, საზოგადო მოღვაწეების ძალისხმევას მოჰყვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და ჟურნალ-გაზეთების დაარსება, რამაც ხალხში განათლების დონის ამაღლებას შეუწყო ხელი. თავის მხრივ, ეს მცდელობები ავითარებდა კომუნიკაციას, რაც დიალოგურობის, საზოგადოებისთვის ფორუმის შეთავაზების პერსპექტივას ბადებდა და შესაბამისად, ნაციის, როგორც „წარმოსახვითი ერთობის“ ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. სწორედ „ბეჭდური კაპიტალიზმი” უნდა მივიჩნიოთ საქართველოში ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად (ვეყრდნობით ბენედიქტ ანდერსონის თეორიას). მართალია, იმ პერიოდში ქართულ კაპიტალიზმზე საუბარი საფუძველს მოკლებულია, მაგრამ ტერმინი აღსანიშნის თვისებრიობაზე ხაზგასასმელად მოვიხმეთ და არა კონკრეტული მოვლენის აღმნიშვნელად. საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის ხანგრძლივი და ხელოვ-

ნურად შეწყვეტილი პროცესი „პრეკაპიტალიზმის“ სახელითაც შეგვიძლია მოვიხსენიოთ (შამილიშვილი 2011: 453).

ავხსნით, რა მოიაზრება „ბეჭდური კაპიტალიზმის“ ცნებაში. როგორც ვიცით, ბეჭდვის ტექნოლოგია ნიშნებისა და ტექსტების უსასრულო რეპროდუცირების საშუალებას გვაძლევს, კაპიტალიზმი კი – მათი ფართოდ გავრცელებისას. ამ გზით, ნაბეჭდი სიტყვის მეშვეობით ბეჭდური კაპიტალიზმის განვითარება კომუნიკაციის ახალ სისტემას ქმნის და შესაბამისად, ითხოვს ენის უნიფიცირებას, ანუ გაცვლისა და კომუნიკაციის ერთიან სისტემას. საერთო ლიტერატურულ ენაზე ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვის ყოველდღიური პრაქტიკების შედეგად იქმნება მკითხველთა წრის ერთგვარი მთლიანობა, რაც ნაციის ერთიანობის წარმოდგენას იძლევა (ანდერსონი 2021: 17-21).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით რეფორმის შემდგომ საქართველოში, საგამომცემლო საქმიანობა საგრძნობლად ვითარდება. ნაბეჭდი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების სახით ჩნდება მასობრივი მოხმარების პირველი პროდუქტები. იზრდება ტიპოგრაფიათა, პერიოდულ გამოცემათა რიცხვიც. უკვე 90-იანი წლების მიწურულს პერიოდულ გამოცემათა ოდენობა მკვეთრად იმატებს, მათ შორის ყოველდღიური გამოცემებისაც. შესატყვისად, პრესის ბაზრის განვითარება ხელს უწყობს მკითხველთა წრის, პუბლიკის, როგორც ნაციის “წარმოსახვითი ერთობის” ჩამოყალიბებას. გაზეთის კითხვა თანადროულობის, საზოგადოების დაშორიშორებულ წევრთა შეკავშირების განცდას აჩენს. სწორედ ბეჭდვითი გამოცემებისა და მკითხველი პუბლიკის კომუნიკაციურ ველში ფორმირდება, განიხილება ნაციის, ნაციონალური იდენტობის, ნაციონალური ინტერესების კონცეფციები. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე საკუთარი თვალსაზრისის დაფიქსირებით საზოგადოების განსხვავებული ჯგუფები ცდილობენ განსაზღვრონ, რა არის ქართველობა, სად გადის მისი ზღვარი, როგორია ნაციისა და იმპერიის ურთიერთმიმართება, სად იწყება ნაციონალური ისტორია და ასე შემდეგ... (ანდერსონი 2021: 67-73).

თუკი პირველი ქართული გამოცემები თითქმის ანალოგი იყო იმხანად გამომავალი რუსულენოვანი პერიოდიკისა და ძირითადად ცარისტული რეჟიმის აპოლოგიით შემოიფარგლებოდა, შემდგომში, ახალი თაობის მზრუნველობით თითქოსდა წელმომაგრებული, უსასტიკესი ცენზურისგან იდევნებოდა და ერთი მეორის მიყოლებით იხურებოდა („ცენზორს სუნის აღება სცოდნია“ – ილია, „ტვინმაისტერი“ – აკაკი, „გადინ“ – ივ. მაჩაბელი). ცენზურას მართლაც ჰქონდა დიდი საზრუნავი, რაც სამწერლო პუბლიცისტიკის ერთი უმთავრესი თავისებურებით იყო გამოწვეული. ის, რისი თქმაც შეუძლებელი იყო ღიად, საგაზეთო ტექსტებში შეფარვით, მეტაფორულად, სტრიქონებს შორის იკითხებოდა. ასე რომ, მწერალს ყოველთვის ჰქონდა რაღაც საშველი, თვით უმკაცრესი ცენზურის პირობებშიც კი. რასაც ვერაფრით ვიტყვით ჟურნალისტზე, რომელიც მკაცრ მიზანს ისა-

ხავს: მოაწესრიგოს წარმოსახვა და ფაქტების კონსტატაციაზე დამყარებული იმგვარი ნაწარმოები შემოგვთავაზოს, რომელსაც მოცემულ მომენტში საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანა და მისთვის საჭირბოროტო პრობლემების აქტუალიზება შეუძლია. ზოგადად, ეს განასხვავებს ჟურნალისტურ შემოქმედებას მხატვრულისაგან.

სწორედ ამიტომ საუბრობდნენ ხშირად წმინდა მხატვრული ტექსტებით მწერალი-ჟურნალისტები, როდესაც ცენზურის მიერ აზრგამოცლილი პუბლიცისტური სიტყვით საზოგადოებამდე სათქმელის მიტანა ვერ ხერხდებოდა. ამ გზით ისინი მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებას აძლიერებდნენ და კიდევ უფრო ეფექტურად აღწევდნენ მიზანს. გავიხსენოთ აკაკის „განთიადი“, მისივე აკრძალული ლექსი „ხანჯალი“, რომელიც ივ. მაჩაბელმა „ლუკა ისარლოვის“ ხელმოწერით დასტამბა და მთელ ქალაქში გაავრცელა, სამაგიერო რომ მიეზღო ევროპული ყაიდის პირველი ქართული გაზეთის – „დროების“ – მესაფლავე ცენზორისთვის. აკაკიმ ისარლოვს პამფლეტიც მიუძღვნა:

„იყო ერთი მაიმუნი,
ეძახოდნენ ლუკა-მელას,
ზურგს ეკიდა ქვეყნის წუნი,
ულოკავდა ფეხებს ყველას…“
(კალანდაძე 1987: 566)

კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობის ამსახველი მასალები არაერთ საყურადღებო დოკუმენტს შეიცავს. კომიტეტის დაკვირვების არეალი იმდენად ფართოა, რომ არცერთი საკითხი არ რჩება ყურადღების მიღმა. ეროვნულ-პატრიოტულ თემატიკასთან ერთად, ხელმძღვანელობა განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება რელიგიური შინაარსის, ოჯახური ღირებულებების ამსახველ ტექსტებს. ერთ ასეთ მაგალითად შეგვიძლია მოვიხმოთ თბილისში გამომავალ სომხურ გაზეთ „მშაკში“ დაბეჭდილი გამოსათხოვარი სიტყვა, რომელიც მეგობარს გარდაცვლილი მეგობრის დასაფლავებისას წარმოუთქვამს.[1] არქივში დაცულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მოცემული სიტყვა ძირს უთხრიდა ოჯახის საფუძვლებს. ამის მიზეზი განმარტებულია მთავარი სამმართველოს უფროსის, ბარონი ნიკოლაის, მიერ საცენზურო კომიტეტისადმი მიწერილ წერილში. აღმოჩნდა, რომ გარდაცვლილს თავი მოუკლავს. ბარონ ნიკოლაის აზრით, თვითმკვლელი მეგობრის დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვა „მშაკში“ არ უნდა დაბეჭდილიყო, რადგან არყევდა ოჯახის საფუძვლის ცნებას. აქვე ბარონი ნიკოლაი ცენზორს სთხოვდა განემარტა, როგორ მოხვდა მსგავსი შინაარსის წერილი გაზეთში, როგორ მიიღო მან ცენზორის ნებართვა. აღნიშნულ დოკუმენტს ერთვის სტატიის თარგმანიც.

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 480, აღწ. 1, საქმე № 112

რელიგიურ თემატიკასთან დაკავშირებით კიდევ ერთი შემთხვევა იქცევს ჩვენს ყურადღებას. 1868 წლის 19 სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტში ვეცნობით გიორგი წერეთლის წერილს, რომელიც მას „სამეურნეო გაზეთის“ რედაქტორის რანგში კავკასიის საცენზურო კომიტეტისთვის მიუწერია. გაზეთის მესვეური თხოვნით მიმართავს კომიტეტს, ნება დართონ, რელიგიური თემატიკის ამსახველი მასალა დასტამბოს გაზეთის ფურცლებზე და ამ თხოვნას სოფლის მოსახლეობის სურვილით ხსნის. გიორგი წერეთელი შენიშნავს, რომ ეს თხოვნა არ ეწინააღმდეგება გამოცემის მიზნებს და აკონკრეტებს, რა შინაარსის წერილებზე სურს მკითხველის ყურადღების გამახვილება. უპირატესობას ანიჭებს მონოგრაფიებს ძველი აღთქმის საღვთო ისტორიებიდან, რადგან მიაჩნია, რომ მათში აღწერილი გმირობები და განცდები კეთილ ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობაზე.[1]

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ცენზორობას ჩვენში ბევრი ეტანებოდა. ზოგი სისასტიკით იყო გამორჩეული. ერთ-ერთი მათგანი ივანე ყაითმაზოვი (ყაითმაზაშვილი) გახლდათ, ნოე ჟორდანიას მიერ ნახსენები. აკაკი წერეთლის „მოგონებაშიც“ ყაითმაზოვი დახასიათებულია კარგ ადამიანად, მაგრამ სასტიკ ცენზორად: *„მესამოცე წლებში, რომ რუსეთიდან დავბრუნდი, ქართული ენის ცენზორად დამიხვდა ყაითმაზაშვილი. როგორც კაცი, კარგი იყო, მაგრამ როგორც ცენზორი კი – აუტანელი; მშიშარა, ფრთხალი და სასტიკი. მით უფრო, რომ ქართული საცენზურო არ იცოდა“* (წერეთელი 1963: 335). „დროების“ პირველი რედაქტორი გიორგი წერეთელი კირილე ლორთქიფანიძეს წერდა: *„ძალიან გეხვეწები, წერილებში აზრები დაფარო ისე, რომ ბეც ყაითმაზოვის თვალებს არ შეეჩეხოს, თორემ უეჭველად ამოშლის და სტატიას ძალა დაეკარგება“* (წერეთელი 1926: 412).

საქართველოს ეროვნულ არქივში ჩვენ მიერ მოძიებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ივანე ყაითმაზაშვილს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ჰქონია. 1871 წლის 2 მაისის განცხადებაში იგი კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს, ალექსანდრე მაქსიმოვიჩს, წერდა: *„შერყეული ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, აუცილებლად მესაჭიროება აბასთუმანში გამგზავრება და მინერალური წყლებით მკურნალობა, რის გამოც მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ თქვენი უფლებამოსილებით დამრთოთ ნება, რომ მომავალი თვის 20 რიცხვიდან მომცეთ 28 დღიანი შვებულება და აგვისტოს ბოლომდე აბასთუმანში ყოფნის უფლება“* (რუსულიდან თარგმანი ჩვენია – მ.შ.).[2] იმავე წლის 21 მაისის დოკუმენტი ყაითმაზოვის შვებულებაში დათხოვნასა და მის ნაცვლად სომხური და ქართული გამოცემების ცენზორებად ბასტამოვისა და დიმიტრი ბაქრაძის დანიშვნას გვატყობინებს.[3] როგორც ირკვევა, ყაითმაზოვს გული აწუხებდა, დიდხანს იმკურნალა, მაგრამ ბოლოს მაინც უმტყუნა: *„ეს გულკეთილი ცენზორი მართ-*

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 480, აღწ. 1, საქმე 22_№ 181.

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 480, 100, 61a, საქმე № 19, გვ. 5, 7.

[3] იქვე, 21 მაისი, 1871წ.

ლა გულის ფრიალმა გადაიტანა. ვენას წავიდა საექიმოდ და იქ უეცრად გაუსქდა გული“(წერეთელი 1963: 337) .

როგორც იმდროინდელი პუბლიცისტები იხსენებდნენ, სასტიკ, მაბეზღარ ცენზორთა გვერდით უფრო ლმობიერებიც არსებობდნენ. ამბობდნენ, პართენ გოთუას დროს ამოისუნთქა მწერლობამო; სხვასთან შედარებით, რაფიელ ერისთავსაც არა უშავდაო. მაგრამ ლუკა ისარლოვის (ისარლიშვილის) სახელი ყველაზე დაუნდობელ და საშიშ ცენზორთა შორის მოიხსენიებოდა. საარქივო მასალებზე მუშაობის პერიოდში ყველაზე ხშირად სწორედ გაზეთ „დროების“ შესახებ გვხვდებოდა ინფორმაცია. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი გვამცნობდა, რომ 1883 წლის 22 აპრილს სერგეი მესხს „დროების“ რედაქტორობა ნიკ. ქანანოვისთვის გადაუცია, ხოლო 23 მაისს, მისივე თხოვნით, რედაქტორის უფლებები ივ. მაჩაბელს მიუღია.[1]

„დროებისა“ და ივანე მაჩაბლის სახელები ერთმანეთს გადაეჯაჭვა და ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ამ მხრივ არც წინამორბედ რედაქტორებს ჰქონიათ ნაკლები გამოცდილება, მაგრამ ამ მნიშვნელოვანი გამოცემის დახურვა სწორედ ივანეს სახელს უკავშირდება. როგორც ილია ამბობდა, „კარგი კალმის პატრონი“ ახალგაზრდა მაჩაბელი ენერგიულად შეუდგა საქმეს და თავისი პრინციპულობით მალევე მიიქცია ცენზორთა ყურადღება. თუკი სერგეი მესხი „დროების“ გადასარჩენად შედარებით ფრთხილ და მოქნილ სარედაქციო პოლიტიკას ატარებდა, მაჩაბელმა კიდევ უფრო გააძლიერა გაზეთის მამხილებელი პათოსი და აიმხედრა ხელისუფლება.

1885 წლის 24 აპრილს ცენზურამ აკრძალა ბაჩანას ლექსი „სიმღერა“ – „ვინა სთქვა საქართველოზედ, ეს არის ლომი ჰკვდებაო“. ცენზურის თვალის ასახვევად პოეტმა ლექსს შენიშვნა დაურთო, ძველ დროს შეეხებაო. მაინც არ გასჭრა ამ ხერხმა, ისარლოვმა ლექსის დაბეჭდვა შეაჩერა. იმავე წლის 6 აგვისტოს საცენზურო კომიტეტმა მთავარმართებლის შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა: *„გაზეთ „დროების“ რედაქტორი ი. მაჩაბელი განუწყვეტლივ განაგრძობს საცენზუროდ ისეთი მასალების წარმოდგენას, რომლებიც გამსჭვალული არიან მთავრობის მიმართ მტრული სულისკვეთებით, ადგილობრივი ადმინისტრაციისა და სასწავლო უწყების მეთაურთა მკვახე გმობით და, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მასალებს ცენზურა კრძალავს, ალეგორიული, მაშასადამე, ცენზორისთვის მისაღები ფორმით, ათავსებს თავის გაზეთში და იმ ადგილებში, იმ წრეებში, რომლებიც რედაქციას ჰყავს მხედველობაში, გამაღიზიანებელ და მავნე შთაბეჭდილებას იწვევს“* (კალანდაძე 1987: 103).

უნდა ითქვას, რომ „დროება“ თავისი მიზანდასახულობით, სარედაქციო პოლიტიკით, ერთიანი ეროვნული დისკურსის შექმნის მცდელობით ერთ-ერთი გამორჩეული გამოცემა იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მისი დამაარსებლები

[1] იქვე, ფონდი 480, აღწ. I, საქმე №552, გვ. 13, 17.

და რედაქტორ-გამომცემლები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პეტრე მელიქიშვილის, ოჯახის წევრები გახლდნენ. გაზეთის ამაგდარი რედაქტორი სერგეი მესხი, რომელიც 14 წელი უძღვებოდა „დროებას“, პეტრეს დის, ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილის მეუღლე იყო. კეკეც აქტიურად მონაწილეობდა საგაზეთო საქმიანობაში. „დროების“ შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე მელიქიშვილების უფროსმა ძმამ, სტეფანემ, რომელმაც გაზეთის ტექნიკურ მხარეზე იზრუნა. მან ვენაში სპეციალურად ჩამოასხმევინა შრიფტი, რომელიც დღემდე „ვენურითაა“ ცნობილი. შემდგომშიც სტეფანე ხელმძღვანელობდა საგამომცემლო საქმეს „მელიქოვი და კომპანიის“ სახელით.

საარქივო დოკუმენტებში მოიპოვება ახალგაზრდა სერგეი მესხის გაზეთ „დროების“ რედაქტორად დანიშვნის შუამდგომლობა, რომელსაც გაზეთის პირველი რედაქტორი გიორგი წერეთელი აწერს ხელს. 1869 წლის 10 აპრილს კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი მიმართულ განცხადებაში ვკითხულობთ:

„ქართული გაზეთების „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორის
თავად გიორგი ექვთიმეს ძე წერეთლის
განცხადება

მაქვს რა საჭიროება, გავემგზავრო პეტერბურგში პირადი საქმეების გამო, გადავცემ ზემოხსენებული გაზეთების რედაქტორისა და გამომცემლის მოვალეობას პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს სერგეი სიმონის ძე მესხს. ვაცნობებ რა ამის შესახებ საცენზურო კომიტეტს, უმორჩილესად გთხოვთ, რომ ყველა საქმეზე, რაც ზემოხსენებულ გამოცემებს ეხება, მიმართოთ ბატონ მესხს, როგორც დროებით შემსრულებელს ამ ორი გაზეთის რედაქტორის მოვალეობისა, ჩემი არყოფნის მთელი დროის მანძილზე.

ქართული გაზეთების „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორი
თავადი გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი
თბილისი, 1869 წ., 10 აპრილი“.[1]

აღნიშნულ განცხადებას მოსდევს გიორგი წერეთლის კიდევ ერთი – იმავე წლის 20 ნოემბრით დათარიღებული განცხადება, რომელშიც იგი სერგეი მესხს, „დროების“ რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელს, ისევ უხანგრძლივებს დაკისრებულ მოვალეობას და კიდევ ერთი წლით, მთელი 1870 წლის მანძილზე გადასცემს მას დროებითი რედაქტორის უფლებამოსილებას. [2]

ამავე საქმეში მესამე დოკუმენტად წარმოდგენილია თავად სერგეი მესხის განცხადება, რომელშიც იგი ადასტურებს მზაობას, მიიღოს გიორგი წერეთლის

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 480, აღწ. I, საქმე № 35, გვ.12.
[2] იქვე, გვ. 13.

შეთავაზება და გაუძღვეს გაზეთს მთელი 1870 წლის მანძილზე. სერგეი მესხის განცხადება თარიღდება ისევ 20 ნოემბრით. მოვიხმობთ სრულ ტექსტს:

„ქართული გაზეთის „დროების“ დროებითი რედაქტორის,
ამჟამად სტუდენტის, სერგეი მესხის
განცხადება

მაქვს პატივი, ვაცნობო კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომ თავად გ. წერეთელთან შეთანხმებით, მომავალი 1870 წლიდან ვიღებ საკუთარ თავზე ქართული გაზეთის „დროების“ რედაქტორობას იმავე პროგრამით, რაც მის დროს იყო. ამასთანავე, წარმოგიდგენთ ჩემს დოკუმენტებს: დაბადების მოწმობას, მოწმობას წარმომავლობის შესახებ, სამედიცინო ცნობას და სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის ატესტატს.

გაზეთ „დროების“ რედაქტორი
სერგეი მესხი
თბილისი, 1869 წ., 20 ნოემბერი“.[1]

წარმოდგენილ საქმეში დაცულია კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის, მაქსიმოვიჩის, მიმართვა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსისადმი. 1869 წლის 23 ნოემბრით დათარიღებულ დოკუმენტში გადმოცემულია საქმის არსი, ნათქვამია, რომ სერგეი მესხი თავად ასრულებს მთელ სარედაქციო სამუშაოს მას შემდეგ, რაც გ. წერეთელმა დროებით რედაქტორად დანიშნა.[2] აღნიშნული საქმის წარმოება დასრულდა 1870 წლის 19 მარტს. ხელისუფლებამ სერგეი მესხს ამავე წლის სექტემბერში დაუმტკიცა რედაქტორობა.

განუზომლად დიდია სერგეი მესხის ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკის წინაშე. მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული „დროებასთან“, რომელსაც მთელი თავისი ენერგია შეალია. სერგეი მესხის დამსახურება და წვლილი ეროვნულ საქმეში, ქართული ევროპეიზმის იდეის პოპულარიზაციაში ცალკე საუბრის თემაა, აქ მხოლოდ პეტრე უმიკაშვილის საოცრად ემოციურ და მართალ სიტყვებს მოვიხმობთ მის დასახასიათებლად: *„სერგეი მესხის შრომის დამფასებელი მასალა თვით „დროებაა", რომელსაც ის ჰმართავდა... ამ გაზეთის თავგადასავალი ს. მესხის თავგადასავალია, მათი ჭირი და ლხინი ერთია და იგივეა“* (ბოცვაძე 1968).

ჩვენ მიერ მოძიებული კავკასიის საცენზურო კომიტეტის მორიგი, ამჯერად 1868 წლის 12 სექტემბრის, ოქმი სტეფანე მელიქიშვილის საქმის განხილვას ეძღვნება. ოქმით ცნობილი ხდება, რომ სხდომას თავმჯდომარეობდა ა. პ. მაქსიმოვიჩი, ესწრებოდნენ ცენზორები: სამოქალაქო მრჩეველი ნ. ლ. კოსიტმაზოვი და კოლეგიის მრჩეველი დ. ნ. კოვალენსკი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიის საცენზურო

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 480, აღწ. I, საქმე № 35, გვ.13.
[2] იქვე, გვ.14.

კომიტეტში წარმოებდა ჟურნალი, რომელშიც ზუსტად იყო აღრიცხული განსახილველად შესული ნაბეჭდი თუ ხელნაწერი წიგნებისა და ნებისმიერი სახის გამოცემების სია. სიას თან ახლდა ამონაწერი, როდის და რომელი ცენზორის თანდასწრებით მოხდა საკითხის განხილვა. ახლდა ასევე რეზოლუციები, რომლებიც იწყებოდა კატეგორიული ტონის შემცველი ამგვარი სიტყვებით: „Уведомить“ („ეცნობოს“), „Обявить“ („გამოცხადდეს“), „Хранить удержанния экземпляры“ („შეინახოს ჩამორთმეული ეგზემპლარები“), „Книги видать“ („გაიცეს წიგნები“), „возвратить“ („დაბრუნდეს“) და მსგავსი.

ზემოხსენებულ ოქმში ნათქვამია, რომ 6 სექტემბერს კავკასიის საცენზურო კომიტეტს თანხმობა მიუცია სტეფანე მელიქიშვილისთვის ბროშურის – „სომხეთის სამყარო“ – დაბეჭდვის თაობაზე. როდესაც დაბეჭდილი ეგზემპლარი მიუღიათ, გადაფურცვლისას კანცელარიის თავმჯდომარეს მასში ჩადებული ფურცელი უპოვია. ფურცელზე დაბეჭდილი ყოფილა „თურქი სომხების ჰიმნი“. აღმოჩნდა, რომ მისი დაბეჭდვა მხოლოდ სპეციალური წინასიტყვაობით იყო დასაშვები. ცენზორთან წარდგენილ დანარჩენ ეგზემპლარებში მსგავსი ფურცელი ვერ იპოვეს.

საცენზურო კომიტეტი განმარტავდა, რომ ბატონმა სტეფანემ ის დაბეჭდა უნებართვოდ, წინასიტყვაობის გარეშე, ამ სახით მის დაბეჭდვას კი ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევდა. კომიტეტმა მაშინვე მოსთხოვა ახსნა-განმარტება ტიპოგრაფიის – „მელიქოვი და K“ – თავმჯდომარეს. ოქმში წარმოდგენილია ტიპოგრაფიის თავმჯდომარის ახსნა-განმარტება. მასში ნათქვამია, რომ ის შეცდომაში ბატონმა სტეფანემ შეიყვანა, დაარწმუნა, რომ ამ ჰიმნის დაბეჭდვა ნებადართული იყო ცენზურის მიერ, მის გადაბეჭდვას კი გართულება არ უნდა მოჰყოლოდა და დააბეჭდინა 400 ეგზემპლარი. საცენზურო კომიტეტმა უბრძანა ტიპოგრაფიის ხელმძღვანელს, სასწრაფოდ ჩამოერთმია ბატონი სტეფანესთვის ყველა ეგზემპლარი. მალე თვით ბატონი მელიქოვი (მელიქიშვილი) გამოცხადდა კომიტეტში. ოქმში აღნიშნულია, რომ „საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის კითხვებზე სტეფანე პასუხობდა მისთვის დამახასიათებელი გაბედულებით. მან კატეგორიული უარი თქვა უკანონოდ დაბეჭდილი ფურცლების კომიტეტში მიტანაზე, ასევე – ჰიმნის ავტორის დასახელებაზე“.[1]

ოქმის მიხედვით, კომიტეტმა მხედველობაში მიიღო საფრთხე, რაც შესაძლოა ამ ფურცლების გავრცელებას მოჰყოლოდა და რადგან დამნაშავემ უარი განაცხადა ეგზემპლარების კომიტეტში საკუთარი ნებით მიტანაზე, პოლიციას დაავალა მათი ჩამორთმევა. [2]

აღნიშნული დოკუმენტი ნათლად ასახავს იმ რთულ ვითარებას, რომელშიც მაშინდელი პრესის მუშაკებსა და გამომცემლებს უწევდათ საქმიანობა. საცენზურო კომიტეტი ნაბიჯსაც არ ტოვებდა გაუკონტროლებლად და მყისიერად რეაგირებდა

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 480, აღწ. I, საქმე № 30, გვ. 30.

[2] იქვე.

ყველა დარღვევაზე. მედიის „ურჩი“ წარმომადგენლები, მიუხედავად უდიდესი წნეხისა, რეჟიმს მაინც უწევდნენ წინააღმდეგობას ყველა შესაძლო ხერხით. ზემოაღნიშნული ფრაგმენტი დასტურია ამგვარი შეუპოვრობისა. ამ საქციელით მელიქიშვილების მეცენატი ოჯახის გამორჩეულმა წარმომადგენელმა ღირსეული პასუხი მიაგო ხელისუფლების ლაქია, მაბეზღარ ცენზორებს.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მელიქიშვილების ოჯახის წევრები საცენზურო კომიტეტის სამიზნეებად იქცნენ. მორიგი დოკუმენტით, რომელიც 1968 წლის 10 ოქტომბრითაა დათარიღებული, ვეცნობით სტეფანე მელიქიშვილის განცხადებას, რომელიც მას საცენზურო კომიტეტის სახელზე შეუტანია. გამომცემელი თხოვნით მიმართავს კომიტეტს, შეუმცირონ გაზეთ „დროების“ ტრანსპორტირების მაღალი გადასახადი. ნათქვამია, რომ გაზეთი ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილში იგზავნება, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. აგერ უკვე მესამე წელია, რაც მე გამოვცემ ქართულ გაზეთს „დროებას“, – წერდა სტეფანე მელიქიშვილი.[1] კომიტეტში მის მიმართ ისედაც არ იყვნენ კეთილგანწყობილები და, ცხადია, არც ახლა დაუკმაყოფილეს თხოვნა. გამომცემელს უარი ეთქვა შეღავათზე, რაც იმავე წლის 26 დეკემბრის დოკუმენტითაა დადასტურებული.

მოგვიანებით, მე-19 საუკუნის მიწურულს, ცენზორის ინსტიტუტი ისე ფხიზლად ვეღარ მოქმედებდა, როგორც ადრე. ამ გარემოებას ნათლად წარმოაჩენს ნოე ჟორდანიას გაზეთ „კვალში“ (1893-1904) მოღვაწეობის პერიოდი. 1898 წლიდან ქართველი მარქსისტების პირველი ლეგალური გამოცემა ცენზურის ნებართვით გამოდიოდა. როგორც გაზეთის მესვეური იგონებს, პირდაპირი მოწოდების გარდა, აქ ნებისმიერი აზრი თავისუფლად იბეჭდებოდა. მიზეზს კი ორი გარემოებით ხსნის: *„საცენზურო კომიტეტს ქონდა სპეციალური ცირკულარი პეტერბურგიდან, ყურადღება მიაქციონ განსაკუთრებით ნაციონალური ხასიათის პროპაგანდას. უმთავრესად ლექსები ხვდებოდა ამ ბრძანების მსხვერპლი. ჩვენი პროპაგანდა კი იყო უმთავრესად ეკონომიკურ-სოციალურ-ისტორიული ხასიათის და ცენზურა დიდ ყურადღებას არ აქცევდა. მეორეც, ცენზორი იყო ახალგაზრდა კაცი გ. ჟურული, რიგიანი ხასიათის და ლიბერალურად განწყობილი. მარქსიზმის არა იცოდა რა და ცირკულარის ფარგლებში რჩებოდა. ერთხელ კი შემომჩივლა, – თქვენი გულისთვის ახლა შრომა მომემატა, დამავალეს მარქსიზმი შეისწავლეო. რასაკვირველია, ვერაფერი შეისწავლა და განაგრძობდა ცენზოროზას აღებული ხაზით“* (ჟორდანია 1990: 35-36).

ამ დაუფარავ ირონიაში ცხადად ჩანს ცარისტული რეჟიმის უხერხემლობა, სიტლანქე, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილზე მიჯაჭვულობა, რითაც კარგად ისარგებლეს ქართველმა მარქსისტებმა. ინერციით მოქმედი საცენზურო კომიტეტი კი ძველებურად გასცემდა ნებართვებს და პატრიოტული ლექსები უფრო აფრ-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 480 – I – 17.

თხობდა, ვიდრე კარსმომდგარი მარქსისტული იდეოლოგია. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ქართულ შემოქმედებით სივრცეზე ცენზურის გავლენა მაინც ძლიერი იყო. მაგალითად, 1892 წელს გაზეთ „თეატრიდან“ საცენზურო კომიტეტში შესული შვიდი სტატიიდან ექვსი ცენზურას აუკრძალავს. დავით კეზელი ირონიულად შენიშნავდა: *„იმ მდგომარეობაში, რომელშიც ეხლა საზოგადოდ ლიტერატურა არის ჩავარდნილი, შინაურ საქმეებზედ იმის მეტის სხვა არაფრის თქმა არ შეიძლება, რომ „მუხას ვაშლი ასხიაო“* (კალანდაძე 1987: 567).

ამგვარად, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მედიაგარემოზე თვალის მიდევნებამ ნათლად გამოკვეთა რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის სადამსჯელო ხასიათი. ცარისტულმა რეჟიმმა საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოპოვებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ მექანიზმად კავკასიის საცენზურო კომიტეტი გამოიყენა – ცენზურის ქვეშ მოაქცია მთელი ქართული მწერლობა და საგამომცემლო საქმე. ჩვენამდე მოღწეული საარქივო დოკუმენტები ცხადად წარმოაჩენს იმ შემხუთველ ვითარებას, რაც ცენზორის ინსტიტუტის შემოღება-გაძლიერებამ გამოიწვია. სიტყვის ჯალათები თავისუფალი, საღი აზრის გამოხატვის ნებისმიერ მცდელობას დაუნდობლად ებრძოდნენ.

წარსულის ამ მძიმე გამოცდილებაზე რეფლექსირება სადღეისოდ დამატებით დატვირთვას იძენს და გვახსენებს, რაოდენ მნიშვნელოვანია სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა. და რომ ეს მარადიული ბრძოლაა, რომელსაც ყოველ ეპოქაში ჰყავს თავისი ცენზორები და მასთან მებრძოლები. ჩვენი მცდელობაც ამ ბრძოლის ამსახველი ერთი ფურცელია, რომელიც კიდევ ერთხელ გვახსენებს, რა დიდი ძალისხმევის ფასად მოვიპოვეთ ყველაზე მთავარი – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და რომ მას ნიადაგ სჭირდება დაცვა და მოფრთხილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდერსონი 2021: Anderson, B., Imagined communities: Reflections on the origin and spread of nationalism (Revised ed.). Verso. https://nationalismstudies.org/wp-content/uploads/2021/03/Imagined-Communities-Reflections-on-the-Origin-and-Spread-of-Nationalism-by-Benedict-Anderson-z-lib.org_.pdf ბოლო ნახვა: 13.02.2025.

ბოცვაძე 1968: ბოცვაძე ი. „სერგეი მესხი და 70-80-იანი წლების ქართული პრესა“, თბილისი: „განათლება“, 1968.

ინისი 1950: ინისი ჰ. „იმპერია და კომუნიკაციის საშუალებები“, 1950.

კალანდაძე 1987: კალანდაძე ალ. „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. V, თბილისი: „განათლება“, 1987.

მილტონი 2020: მილტონი ჯ. „არეოპაგიტიკა“ (თარგმნა გია ჭუმბურიძემ); წიგნში „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2020.

ჟორდანია 1990: ჟორდანია ნ. ჩემი წარსული. თბილისი: „სარანგი“,1990.

შამილიშვილი 2011: შამილიშვილი მ. „ქართული ევროპეიზმი – მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის „პოლიტიკური მწერლობის“ ანტიკოლონიური კონცეფცია“, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

წერეთელი 1963: წერეთელი აკაკი. თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად (1950-1963), ტომი XIV, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1963.

წერეთელი 1926: წერეთელი გიორგი. თხზულებანი, ტ. I, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1926.

დოდო ჭუმბურიძე
Dodo Chumburidze

კავკასიის საცენზურო კომიტეტის ქართველი ცენზორები (XIX საუკუნე)[1]

Georgian censors of the Caucasus Censorship Committee (XIX century)

Annotation

The purpose of the Caucasus Censorship Committee, as one of the powerful institutions of the Russian imperial state, was to control and limit free thought, not to allow the nations living in the Caucasus to prevent the process of complete assimilation of the conquered peoples, to fight, even in a peaceful way, for the preservation of national identity and the restoration of lost statehood. The Caucasus Censorship Committee faithfully fulfilled the requirements of the highest authority of the empire (the emperor himself), such state institutions as: the Supreme Senate, the Ministry of Internal Affairs, the Main Division of the Printed Word, the Caucasus Educational District, the Administration of the Caucasus. The committee acted in accordance with political threats: when international and local events became tense, the committee's censorship policy became stricter, individual publications, magazines and newspapers were banned, complete control was imposed on imported literature and various cultural artifacts (icons, statues, paintings, church literature and items of non-Orthodox content and so on.). A particularly strict policy was applied to culturally more advanced people. In this situation, Georgia was under the outstanding focus of the Censorship Committee.

The Caucasian Censorship Committee was limited to two censors at the time of its establishment: one served the cases in Russian and European languages, the other – the cases and literature in the local Caucasian and Eastern languages (Turkish, Persian, Arabic, etc.).

The career started with the position of junior censor and after serving, the rank of senior censor was given. The promotion from the junior to the senior censor position was completely dependent on the level of the censor's work performance, his reliability, integrity. Conformism with the authors should have been completely excluded. Censors had strictly defined duties: they had to censor literature in Russian, European or Eastern

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“, № 4, თსუ გამომცემლობა, 2024 წ.

languages. They were tasked with critically examining printed or pre-printed materials and issuing permits for them in accordance with existing censorship statutes.

The Censorship Committee was a well-organized bureaucratic apparatus that not only controlled the printing business, but also all the people involved in it. In the inscriptions of the archival fund (Fund 480) there are many documents with biographical data of people whose activities were either connected to the censorship committee or to the literature that the committee checked. It seems that the authorities were interested in all the details of the lives of these people. Such materials, obtained from censors or their superior bodies, are protected in the fund under the label "secret". Information sought on all editors, staff censors, and authors of censored material was secretly collected, analyzed, and passed on to other authorities. People under suspicious were often tried in court, and were either fined or imprisoned.

In general, approaches to authors of different ethnicities mostly varied. Where the cultural element was stronger and the liberating ideas were manifested in the anti-government movement – rebellions or conspiracies, the censorship was much more careful towards them, scrupulously researched their thoughts, and was critical of their interpretation of political events. The abovesaid makes it clear, what kind of interest and approach would be taken by the Caucasus Censorship Committee towards the Georgian press and literary circles. In this context, if we look at the activity of the censors of Georgian ethnicity, it will become clear that they could not easily gain the trust of the government, for this they had to show full collaboration or conformism with the governmental interests, or great dexterity and ability not to act against the national interests in such a difficult situation, to somehow save the newly established Georgian liberal press from closure and destruction, to protect Georgian writers and cultural workers involved in the liberation movement from repression.

In the article, we will touch on the work of several Georgian censors. They are: historians: Dimitri Purtseladze and Dimitri Bakradze, writer and public figure – Rafiel Eristavi, journalist and poet Luka Isarlov (Isarlishvili).

All of them worked in the second half of the 19th century and made a certain contribution to the spread of Georgian journalism, historical thinking and national liberation ideas.

საკვანძო სიტყვები: საცენზურო კომიტეტი, ქართველი ცენზორები, რუსეთის იმპერია, დემოკრატიული პრესა, ნაციონალური პროექტი;

Keywords: Censorship Committee, Georgian Censors, Russian Empire, Democratic Press, National Project.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსების მიზანი და ამოცანები

კავკასიის საცენზურო კომიტეტის, როგორც რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ძლიერი ინსტიტუტის, მიზანი იყო გაეკონტროლებინა და შეეზღუდა თავისუფალი აზრი, არ მიეცა საშუალება კავკასიაში მცხოვრები ერებისათვის, ხელი შეეშალათ დაპყრობილ ხალხთა სრული ასიმილაციის პროცესისათვის, ებრძოლათ, თუნდაც მშვიდობიანი გზით, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. კავკასიის საცენზურო კომიტეტი ერთგულად ასრულებდა იმპერიის უმაღლესი ხელისუფლის (თავად იმპერატორის) და ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტების მოთხოვნებს, როგორებიც იყო: უმაღლესი სენატი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველო, კავკასიის სასწავლო ოლქი, კავკასიის ადმინისტრაცია. კომიტეტი მოქმედებდა პოლიტიკური საფრთხეების შესაბამისად: როდესაც საერთაშორისო და ადგილობრიოვი მოვლენები იძაბებოდა, კომიტეტის საცენზურო პოლიტიკაც მკაცრდებოდა, იკრძალებოდა ცალკეული გამოცემები, ჟურნალ-გაზეთები, სრული კონტროლი წესდებოდა შემოტანილ ლიტერატურასა და სხვადასხვა კულტურულ არტეფაგზე (ხატები, ქანდაკებები, მხატვრობის ნიმუშები, არამართლმადიდებლური შინაარსის საეკლესიო ლიტერატურა და ნივთები და ა. შ.). განსაკუთრებული მკაცრი პოლიტიკა ტარდებოდა კულტურულად უფრო დაწინაურებული ხალხის მიმართ. ამ ვითარებაში საქართველო სარგებლობდა საცენზურო კომიტეტის გამორჩეული „ყურადღებით“.

საცენზურო კომიტეტს მხარდაჭერა ჰქონდა არა მარტო სამოქალაქო უწყებების, არამედ საქართველოს საეგზარქოსოს მხრიდანაც. ამას ორი მიზეზი განაპირობებდა: 1. საეგზარქოსოს მიერ გატარებული ანტიქართული პოლიტიკა და 2. რევოლუციურ-ათეისტური ლიტერატურის მომძლავრება და ეროვნული ძალების დაპირისპირება რუსეთის საეკლესიო პოლიტიკასთან. ამგვარი სიტუაციის შესაბამისად, ცენზურა გაძლიერდა მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში, ხოლო ქართველი ცენზორების მოღვაწეობა საცენზურო კომიტეტში ფრთხილი და დაფარული გახდა. ქართველი სწავლულები ყველანაირად არიდებდნენ თავს კომიტეტში მუშაობას, თუმცა, ზოგიერთი მათგანი მიზანმიმართულადაც ცდილობდა საცენზურო კომიტეტში შეღწევას, ამ გზით ახლადფეხადგმული ქართული დემოკრატიული პრესის დახმარებასა და მხარდაჭერას, ცენზურის სასჯელისგან ავტორების გადარჩენას. სტატიაში რამდენიმე ქართველი ცენზორის მოღვაწეობას შევეხებით. ესენია: ისტორიკოსები – დიმიტრი ფურცელაძე და დიმიტრი ბაქრაძე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე – რაფიელ ერისთავი, ჟურნალისტი და პოეტი ლუკა ისარლოვი (ისარლიშვილი).

ყველა ესენი მე-19 საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდნენ და გარკვეული წვლილიც შეიტანეს ქართული ჟურნალისტიკის, საისტორიო აზროვნებისა თუ

განმათავისუფლებელი იდეების გავრცელება-განვითარებაში, იმ პოლიტიკის განხორციელებაში, რასაც კავკასიის საცენზურო კომიტეტი ემსახურებოდა.

როგორი იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსებამდე რუსული ცენზურის ისტორია საქართველოში?

რუსული ცენზურის ისტორია კავკასიასა და საქართველოში ოფიციალურად მე-19 საუკუნის შუახანებიდან იწყება, კერძოდ, 1848 წლიდან, როდესაც დაარსდა კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რომელიც იყო რუსეთის შოვინისტურ-კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი სახელისუფლო ინსტიტუტი კავკასიასა და საქართველოში. თუმცა, რუსული ცენზურის წინარეისტორია უფრო ხანგრძლივია და იმპერიული შინაარსით კიდევ უფრო დატვირთული, რადგან მისი მიზანი საქართველოს დაპყრობამდე და რუსეთის საქართველოში დამკვიდრების პირველ პერიოდში გაცილებით რთული იყო, კერძოდ: ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება, წინააღმდეგობრივი მოძრაობის ჩახშობა-შესუსტება, მთელი საქართველოს ინკორპორაცია იმპერიულ სივრცეში, მხარის რუსიფიკაცია.

როდესაც ვეცნობით უამრავ მასალას, რომელიც საქართველოში რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოგზავნილ სპეციალური დავალებების მქონე პირთა სადაზვერვო საქმიანობას ასახავენ, დაწყებული პეტრე დიდიდან, დამთავრებული პავლე და ალექსანდრე იმპერატორების მიერ გამოგზავნილ პირთა საქმიანობით, ვხვდებით, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების გაკონტროლება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენდა.

რუსეთის საცენზურო პოლიტიკა აკონტროლებდა ყველაფერს, რითაც იმპერიას უნდა შეენარჩუნებინა დაპყრობილი ქვეყანა, შეესწავლა მისი ყველა მოქალაქის განწყობა-მისწრაფებები, დაესაჯა ის, ვინც წარსულისკენ მიბრუნებას გაბედავდა, მოეხდინა მოსახლეობის სრული ასიმილაცია და სამუდამოდ ჩაეკლა ხალხში დამოუკიდებლობის იდეა.

საქართველოს დაპყრობამდე რამდენიმე ხნით ადრე სპეციალური მივლინებით წარმოგზავნილი მოხელეები ეცნობოდნენ ადგილობრივ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას, ქმნიდნენ ნიადაგს ქვეყნის დაპყრობისათვის, მთავარმართებლებთან არსებული კომიტეტები სპეციალური დავალებით სწავლობდნენ მოსახლეობის განწყობასა და შემოქმედებითი ელიტის აზროვნებას, (კოვალენსკი, კნორინგი, მუსინ-პუშკინი და სხვ.). ამ კონტროლის შედეგად მიღებული ინფორმაციები მიდიოდა კავკასიის მთავარმართებელთან, ის კი ამ ინფორმაციებს უმაღლეს ხელისუფალს, თავად იმპერატორს, გადასცემდა. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შედგენილი აქტების მრავალტომეული ამგვარი ინფორმაციებით სავსეა.

მოსახლეობაზე დამყარებული სრული კონტროლით შედგენილმა სპეციალურმა დასკვნამ განაპირობა 1831 წელს საიდუმლო პოლიციის შექმნა, რაც სხვა

არაფერია, თუ არა სრული ცენზურის დაწესება ქართველი ხალხის მოქმედებასა და სურვილებზე (ჭუმბურიძე, კიკნაძე, ქოქრაშვილი, სარალიძე, 2016: 73-82; შარაბიძე, კუჭუხიძე, ჭუმბურიძე, 2023: 183).

საქართველოს სამეფო კარის ცენზურასა და კონტროლს რუსი მოხელეების მიერ კარგად ასახვენ კავკასიური აქტები (Акты, 1878 : 343). მოვლენების თვითმხილველის, შემდეგში კავკასიის საცენზურო კომიტეტის „მრისხანე ცენზორის“ – ლუკა ისარლოვის მოგონებებით ნათლად ჩანს, თუ რა მასშტაბის იყო ცენზურა 30-იანი წლების ბოლოს (ისარლოვი 1899 : 181-186).

ქართული ბეჭდური პრესის ცენზურის ისტორიის დასაწყისად შეგვიძლია 1837 წლის 23 დეკემბერი მივიჩნიოთ, როდესაც რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, სტამბიდან გამომავალი წიგნების ცენზურა დაევალა საქართველოს მთავარმართებლის უწყებას, ცენზორებად კი თბილისის გიმნაზიის მასწავლებლები დაინიშნენ.

მართალია, ცენზურა იყო და სასტიკი ფორმებიც ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ დროს საქართველოში ცოტა ნაბეჭდი პროდუქცია გამოდიოდა, 40-იანი წლების ბოლომდე მას კავკასიის გენერალ-გუბერნატორი ადევნებდა თვალყურს. სპეციალური კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსებას ხელისუფლება საჭიროდ არ თვლიდა.

კავკაასიის საცენზურო კომიტეტის ისტორიის შესწავლის დონე

კავკასიის საცენზურო კომიტეტის, როგორც რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების ერთ-ერთი გავლენიანი ინსტიტუტის, საქმიანობა დღემდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. სხვადასხვა ასპექტით, განსაკუთრებით ქართული კულტურისა და განათლების სხვადასხვა კონტექსტით მისი გადაწყვეტილებები და ზემოქმედების ფორმები კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების განვითარებაზე ბევრჯერ არის განხილული მკვლევართა მიერ. ეს ეხება ტროფიმე ხუნდაძის, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, სერგეი მესხის, კალისტრატე ცინცაძის და სხვა ავტორების მონოგრაფიებს, მოგონებებსა და პუბლიცისტურ ნარკვევებს, ასევე: პაატა გუგუშვილის, ო. თაქთაქიშვილის, დ. მალაზონიას და სხვა ავტორების შრომებს, სადაც კულტურის სხვადასხვა დარგის, კავკასიის საცენზურო კომიტეტის პოლიტიკისა და ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურის მიმართ სახელისუფლო დამოკიდებულებაა აღნუსხული. ჩვენი მიზანია განვიხილოთ საცენზურო კომიტეტის ქართველი ცენზორების საქმიანობა, მათი მისწრაფებები და ამოცანები, რაც აქამდე ცალკე შესწავლის საგანი არ ყოფილა.

რა იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსების მიზეზები 1848 წელს?

1848 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, რაც უკავშირდებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ისტორიულ მოვლენებს.

1. 1848 წლების ევროპის ქვეყნებში მომხდარმა რევოლუციებმა შეაშინა რუსეთის ხელისუფლება. მან გადაწყვიტა ხელი შეეშალა ევროპიდან შემოსული იდეებისა და ლიტერატურის შესაძლო გავრცელებისათვის, მითუმეტეს, რევოლუციებში ჩართვამ რუსეთს „ევროპის ჟანდარმის“ სახელი მოუპოვა და შეარყია მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. შესაძლო მოვლენების თავიდან აცილების სურვილმა აიძულა საიმპერიო ხელისუფლება დაეარსებინა კავკასიის საცენზურო კომიტეტი.
2. მიმდინარეობდა ხანგრძლივი კავკასიური ომი შამილის მეთაურობით, რომელიც რუსეთის იმპერიას აზანზარებდა და მის მიერ კავკასიის საბოლოოდ დაუფლებას საფრთხეს უქმნიდა. ასეთ დროს მკაცრი საცენზურო პოლიტიკის ამოქმედებით იმპერიული ხელისუფლება გამორიცხავდა „ინოზემცებში“ თავისუფალი აზრის დაშვებას;
3. კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსება დაემთხვა მეფისნაცვლობის ინსტიტუტის შემოღებასა და კავკასიის მხარის პირველ მეფისნაცვლად მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის გამოგზავნას. მართალია, ვორონცოვი ლიბერალად და ევროპული ტიპის მმართველად იყო მიჩნეული, მაგრამ სინამდვილეში ისიც იმპერიულ პოლიტიკას ატარებდა, ოღონდ განსხვავებული „რბილი“ ძალით, პარალელურად ყოველნაირად ცდილობდა წინააღმდეგობრივი ძალების შესუსტებას, ანტიიმპერიულ ქმედებათა პრევენციას, რაც საცენზურო კომიტეტის მიზნებითა და ამოცანებითაც კარგად გამოჩნდა;
4. კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსება, ვფიქრობთ, ქართველი ხალხის იმ განმათავისუფელებელი მოძრაობის აქტიურობის შედეგიც იყო, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე დაიწყო, 40-იან წლებამდე არ შეწყვეტილა და საკმაოდ ასუსტებდა რუსეთის პოზიციებს კავკასიაში.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი ამ ინსტიტუციისთვის ხელისუფლების მიერ დაკისრებულ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა: მისი საშუალებით რუსეთის ხელისუფლება ატარებდა იმგვარ საცენზურო პოლიტიკას, როგორსაც პოლიტიკური ვითარება ითხოვდა, აკონტროლებდა ყველაფერს, რითაც იმპერიას უნდა შეენარჩუნებინა დაპყრობილი კავკასიური ქვეყნები.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის ადმინისტრაციული მოწყობა, შტატები და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანი

კავკასიის საცენზურო კომიტეტი დაარსებისას შემოიფარგლებოდა ორი ცენზორით: ერთი რუსულ და ევროპულ ენებზე არსებულ საქმეებს ემსახურებოდა, მეორე – ადგილობრივ კავკასიურ და აღმოსავლურ – (თურქულ, სპარსულ, არაბულ და სხვ) ენებზე არსებულ საქმეებსა და ლიტერატურას.

კარიერა იწყებოდა უმცროსი ცენზორის შტატით და დამასახურების შემდეგ ენიჭებოდა უფროსი ცენზორის წოდება. დაწინაურება უმცროსიდან უფროსი ცენზორის შტატამდე სრულად იყო დამოკიდებული ცენზორის მიერ სამუშაოს შესრულების დონეზე, მის კეთილსაიმედოობაზე, პრინციპულობაზე. კომფორმიზმი ავტორებთან მთლიანად უნდა ყოფილიყო გამორიცხული. ცენზორებს ჰქონდათ მკაცრად გაწერილი მოვალეობანი: მათ ევალებოდათ ნაბეჭდი ან დასაბეჭდად გამზადებული მასალების კრიტიკულად შესწავლა და არსებული საცენზურო წესდების თანახმად მათზე ნებართვების გაცემა. საცენზურო კომიტეტი იყო კარგად ორგანიზებული ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც არა მარტო ბეჭდვით საქმეს აკონტროლებდა, არამედ ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩართული იყო ამ საქმეში. საარქივო ფონდის ანაწერებში (ფონდი 480) არის ბევრი დოკუმენტი იმ ადამიანთა ბიოგრაფიული მონაცემებით, რომელთა საქმიანობა ან საცენზურო კომიტეტს უკავშირდებოდა, ან იმ ლიტერატურას, რომელსაც კომიტეტი ამოწმებდა. ჩანს, რომ ხელისუფლებას ამ ადამიანთა ცხოვრების ყველა წვრილმანი აინტერესებდა. ამგვარი, ცენზორებისგან, ან მათი ზემდგომი ორგანოებისგან მოძიებული, მასალები ფონდში დაცულია გრიფით – „საიდუმლო“. ყველა რედაქტორის, საშტატო ცენზორისა თუ გასაცენზურებელი მასალის ავტორების შესახებ მოძიებული ინფორმაციები სიდუმლოდ იკრიბებოდა, ანალიზდებოდა და სხვა ინსტანციებში გადადიოდა. ხშირად საეჭვო ადამიანების საქმე სასამართლოში ირჩეოდა, მათ ან ფულადი ჯარიმა ან პატიმრობა ესჯებოდათ.

ზოგადად, მიდგომები სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების ავტორებზე სხვადასხვა იყო. იქ, სადაც კულტურული ელემენტი უფრო ძლიერი იყო და განმათავისუფლებელი იდეებიც ანტისახელისუფლებო მოძრაობაში – აჯანყებებსა თუ შეთქმულებებში გამოიხატებოდა, ცენზურა მათ მიმართ გაცილებით ფრთხილობდა, სკურპულოზურად იკვლევდა მათ ნააზრევს, კრიტიკულად უდგებოდა პოლიტიკური მოვლენების მათეულ ინტერპრეტაციას. აქედან ცხადია, კავკასიის საცენზურო კომიტეტის მხრიდან ქართული პრესისა და სალიტერატურო წრეებისადმი როგორი ინტერესი და მიდგომები იქნებოდა.

ამ კონტექსტში თუ შევხედავთ ქართველი ეროვნების ცენზორთა მოღვაწეობის თემას, ცხადი გახდება, რომ ამ მხრივ ხელისუფლების ნდობის მოპოვება მათ არცთუ ადვილად შეეძლებოდათ, ამისთვის სახელისუფლო ინტერესებთან ან სრუ-

ლი კოლაბორაცია თუ კომფორმიზმი უნდა გამოეჩინათ, ან დიდი მოხერხება და უნარი, რომ იმგვარ რთულ ვითარებაში ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ არ ემოქმედათ, როგორმე გადაერჩინათ ახლადფეხადგმული ქართული ლიბერალური პრესა დახურვა-განადგურებისგან, რეპრესიებისგან დაეცვათ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული ქართველი მწერლები და კულტურის მოღვაწენი.

როგორ ირჩეოდა კადრები კავკასიის საცენზურო კომიტეტში

საცენზურო კომიტეტის კადრები განსაკუთრებული ყურადღებით ირჩეოდა. შტატების ეთნიკურ შემადგენლობაზე დაკვირვებით, ქართველები აქ იშვიათად ხვდებოდნენ, თუმცა ძირითადი შესამოწმებელი მასალები ქართულენოვანი იყო. განსაკუთრებით ეს კომიტეტის დაარსების ადრეულ ეტაპზე შეინიშნება. თავმჯდომარეებად, მცირე გამონაკლისს გარდა, ძირითადად რუსი ეროვნების ადამიანები იყვნენ. კომიტეტის მუშაობა გააქტიურა საქართველოში განმათავისუფლებელი იდეების გავრცელების ახალმა მასშტაბმა, 60-იანელთა ნაციონალური პროექტის განხორციელებისათვის საზოგადოების აქტიურმა ბრძოლამ.

საცენზურო კომიტეტმა მკაცრი პოზიცია დაიჭირა ეროვნული იდეოლოგიის, ისტორიის აქტივაციის, ქართული ენისა და ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების წინააღმდეგ, გაჩნდა ნაციონალური პროექტის ოთხი მიმართულების – ეროვნული სკოლა, ბიბლიოთეკა, პრესა და სტამბა – დაზიანების ცდები, კავკასიის საცენზურო კომიტეტის განმასხვავებელი (შედარებით მკაცრი) საცენზურო პირობები რუსეთის მსგავსი ტიპის ორგანიზაციებისაგან.

ეროვნულ-განმათავისუფლბელი მოძრაობის ქართველმა ლიდერებმა კომიტეტში საკუთარი ინტერესების დამცველი ცენზორების შეყვანა სცადეს. ამ მხრივ გამორჩეულია ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – რაფიელ ერისთავის, ისტორიკოს დიმიტრი ფურცელაძის, კავკასიის საცენზურო კომიტეტის უფროსი არქივისტის – ივანე რატიშვილისა, ღულაძისა და სხვათა მოღვაწეობა (480-1-98, ფ.1-2). ასევე, კომიტეტში მოღვაწე ქართველი ცენზორები იყვნენ: ლუკა ისარლოვი (ისარლიშვილი), ივანე ყაითმაზოვი (ყაითმაზაშვილი) და სხვ. მათ შორის აღსანიშნავია დიმიტრი ფურცელაძის, როგორც საცენზურო კომიტეტის ერთადერთი ქართველი თავმჯდომარის, საქმიანობა.

საცენზურო კომიტეტის ქართველი თავმჯდომარე დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძე

დიმიტრი ფურცელაძე იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის ერთადერთი ქართველი თავმჯდომარე, რომელსაც უხდებოდა იმ მკაცრი პოლიტიკის გატარება თავისუფალი სიტყვისა და აზროვნების წინააღმდეგ, რომელიც კომიტეტს ევალე-

ბოდა. მართალია, ეს ადამიანი განათლების დონითა და საქართველოს კულტურული ფასეულობებისადმი გამორჩეული პატივისცემით იყო განმსჭვალული, მის დროსაც ცენზურა აგრძელებდა იმ დამოკიდებულებას, რომელიც რუსი მმართველების დროს ჰქონდა და რომელიც კომიტეტის სამოქმედო დებულებით იყო გათვალისწინებული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მას კავკასიის რუსულ ხელისუფლებაში ჰქონდა ერთგული მოხელის სახელი, ყოველთვის საპასუხისმგებლო სამოხელეო თანამდებობაზე იმყოფებოდა, ჰქონდა „ნადვორნი სოვეტნიკის“, „ტაინი სოვეტნიკის“, „სტატსკი სოვეტნიკისა“ და სხვა საპატიო ტიტულები.

ფურცელაძის მოკლე ბიოგრაფია ამგვარია: დაიბადა 1825 წელს სიღნაღში. მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები დეტალურად უცნობია. ვიცით, რომ დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია 1849 წელს და გაანაწილეს თბილისის სასულიერო სასწავლებლის უმაღლესი განყოფილების მასწავლებლად; ორი წლის შემდეგ მიანიჭეს კანდიდატის ხარისხი და გაამწესეს თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორად; 1853 წელს თავისივე თხოვნით გაათავისუფლეს სასულიერო წოდებიდან, დანიშნეს ტიტულოვან მრჩევლად და უბოძეს მაგისტრის ხარისხი; 1860 წლიდან კავკასიისა და ამიერკავკასიის სამოქალაქო მოწყობის მოხელეა; იგი ზედამხედველობას უწევდა ეკლესიებს და სასულიერო საქმიანობას მთიან რეგიონებში; 1864 წლიდან მუშაობს კავკასიის მეფისნაცვალთან, სადაც დიდი მთავრის დავალებით განაგებს კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეებს; კარგადაა ცნობილი, რომ ეს საზოგადოება არა მარტო სარწმუნოებრივ, არამედ იმპერიულ-პოლიტიკურ კონტექსტში საქმიანობდა. 1868 წელს ფურცელაძე დაინიშნა მრჩევლის თანამდებობაზე განსაკუთრებულ დავალებათა IV კლასის მოხელედ; ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას; მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „ქართული საეკლესიო გუჯრები“, „სათავადაზნაურო გუჯრები“, „საგლეხო გუჯრები“, „კახეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი“, „ბოდბის მონასტრის აღწერა“, „დღესასწაულნი საქართველოს ეკლესიისა“, „ანდერძი ანტონ კათალიკოსისა“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით" და სხვა.

საარქივო დოკუმენტის თანახმად, 1875 წელს განსაკუთრებულ დავალებათა IV კლასის მოხელე დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძე კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა.

დიმიტრი ფურცელაძის მოღვაწეობისას რამდენჯერმე მოხდა ქართული და საქართველოში გამომავალი რუსული პრესის შეჩერება, მთავრობისთვის პოლიტიკურად საშიში სტატიების ამოღება, პრესისა და წიგნების აკრძალვა. ამის მაგალითია 1879 წლის 5 დეკემბრის განკარგულება გაზეთ „დროების“ აკრძალვის შესახებ (სცსა, 480, აღწ.1, საქმე 377, ფ. 1-5). მართალია, ფურცელაძე იყო საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე, მაგრამ მას მიცემული ჰქონდა სხვა დიდი დავალებაც – რუსეთის იმპერიის არქეოლოგთა V ყრილობის მოსამზადებელი სამუშაობის ჩატარე-

ბა, რადგან იყო ამ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. როგორც ჩანს, იმ დროს, როდესაც „დროების“ გამოცემა შეაჩერა საცენზურო კომიტეტმა, ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა სხვა, რადგან მთავარსამმართველოს კანცელარიის გამგე მას ეკითხებოდა, უნდა მიეცათ თუ არა სამართალში გაზეთის რედაქტორი მესხი, რომელმაც დაბეჭდა აკრძალული სტატიები. სერგეი მესხის თვალსაზრისი საქართველოში ნამდვილი ისტორიის დაწერის შეუძლებლობის შესახებ, რასაც ის მეფის საცენზურო პოლიტიკას უკავშირებდა, სწორედ ამ დროს იყო დაწერილი იმ მოვლენების გამო, რისი საბაბიც მას კავკასიის საცენზურო კომიტეტთან ურთიერთობის ცუდმა გამოცდილებამ მისცა. ამ ერთი შემთხვევის გარდა, მესხის სამართალში მიცემის საკითხი სხვა დროსაც ბევრჯერ დადგა, მისი ნიჰილიზმიც ამან განაპირობა. აი, რას წერდა მესხი ცენზურისა და ობიექტური ისტორიის დაწერის შეუძლებლობის შესახებ: „*1800 წლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ისტორიის დაწერა ხეირიანად და პატიოსნად არ მოხერხდება. ცენზურა ნებას არ მისცემს. მმართებლობა ნებას არ მისცემს იმისთანა ისტორიის დაბეჭდვისას, რომელშიაც ყველა იმის მოქმედებისა და განკარგულებების (საქართველოში) ქება არ იქნება, რომელშიაც გამოთქმული არ იქნება ის აზრი, რომ რუსეთთან შეერთებით საქართველოს ბედნიერი და ნეტარი ცხოვრება მიენიჭაო და ამისთანა ისტორია, სარგებლობის მაგიერ ვნებას მოიტანს. მართალი გითხრათ, ჩვენი ისტორიით ძნელად შეიძლება იმის დამტკიცება და ჩვენება, რომ ძველად, ჩვენი მეფეების ხელში, საქართველო უფრო ბედნიერ მდგომარეობაში იყოს, ვიდრე ახლა_ რუსეთის მფარველობაში. უბედურ საქართველოს მშვიდობით, ბედნიერად და კაცურად თითქმის არასდროს არ ღირსებია ცხოვრება. მაგრამ წარსულ დროს ის უპირატესობა მაინც ჰქონდა, რომ ხალხი სხვა ხალხისაგან დამოუკიდებელი იყო და იმედი ჰქონდა, რომ თავის გაჭირვებულ, გაძაღლებულ ცხოვრებას დღეს თუ არა, ხვალ შეიცვლიდა“*. როდესაც გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სერგეი მესხის პუბლიკაციებს ვეცნობით, მათი სულისკვეთებიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რატომ იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტი ასე აგრესიული მისი და „დროების“ საგამომცემლო პოლიტიკის მიმართ, რატომ ეხებოდა ცენზურის სადამსჯელო პოლიტიკა მის „მსუსხავ“ კრიტიკას.

საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში დიმიტრი ფურცელაძე ჩართული იყო არქეოგრაფიულ საქმიანობაში, კრებდა და აქვეყნებდა საქართველოს ძველი ისტორიის ამსახველ მასალებს რუსეთის საიმპერიო მეცნიერებათა აკადემიის მიერ თბილისში 1882 წელს ჩასატარებელ არქეოლოგთა მე-5 ყრილობისათვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საისტორიო მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. ეს მასალები იყო მის მიერ 1880-1881 წლებში გამოცემული ქართველ გლეხთა, თავადაზნაურთა და საეკლესიო სიგელ-გუჯართა კრებულები (ფურცელაძე 1881), რომლებშიც უმნიშვნელოვანესი ცნობე-

ბი იყო საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლასობრივი სტრუქტურების შესწავლისათვის.

დიმიტრი ფურცელაძემ ჯერ კიდევ 1862 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილი საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ, რომელშიც ნათლად გამოკვეთა ის აქტუალური პრობლემები, რომლებიც საეკლესიო ისტორიის ობიექტური შესწავლისათვის არის საჭირო. წერილის შესავალში მკვლევარი წერდა, რომ 1851 წელს წმინდა სინოდმა განკარგულება გამოსცა ეპარქიის საეკლესიო-ისტორიული და სტატისტიკური აღწერილობის შესახებ, რის გამოც საქართველოს სასულიერო მმართველობამ მას დაავალა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედგენა დასაბამიდან 1811 წლამდე. ის თვლიდა, რომ მის სხვა სამსახურებრივ ვალდებულებებთან ერთად, ამასთანავე იმიტომ, რომ საქართველოში ყველა საეკლესიო საბუთი არ იყო და ამ მასალების მოძიებას დიდი დრო სჭირდებოდა, ის ამის ბოლომდე და სრულყოფილად გაკეთებას ვერ შეძლებდა, იმედოვნებდა, რომ მომავალში სხვა სწავლულები დაასრულებდნენ მის მიერ დაწყებულ შრომას. ავტორი თხოვდა მკითხველებს, საკითხის ირგვლივ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, ბეჭდური სახით წარედგინათ რედაქციისათვის.

ზოგადად, როდესაც დიმიტრი ფურცელაძის მეცნიერულ ნააზრევსა თუ პრაქტიკულ მოღვაწეობას, მათ შორის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდს, ვაფასებთ, არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ის ან ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროექტის ფარგლებში აზროვნებდა, ანდა მისი პრაქტიკული ღვაწლი უახლოვდებოდა თერგდალეულთა მოღვაწეობის მასშტაბებს. ის იყო თვითმპყრობელობის უერთგულესი მოხელე. რა თქმა უნდა, ამით იგებდა და საკმაოდ დიდი წვლილი შეჰქონდა არქეოგრაფიულ საქმიანობასა და სამეცნიერო მოღვაწეობაში, მაგრამ მისი მეცნიერული ინტერპრეტაციები, ისტორიული მოვლენების მისეული შეფასებები იყო სრულიად მიუღებელი, არაობიექტური და იმპერიული იდეოლოგიით ნაკარნახევი. ამის რამდენიმე მაგალითს მოვიტან: 1. მან პირველმა მოგვცა საქართველოს ეკლესიის ისტორიის ქრონოლოგია, მაგრამ ეს ქრონოლოგია დააფუძნა რუსეთის ისტორიის გარდამტეხ თარიღებს და არა საქართველოს ისტორიის გამორჩეულ მოვლენებს. მაგალითად: „მონღოლთა ბატონობის უღელი, დ. ფურცელაძის თქმით, XV საუკუნეში იქნა გადაგდებული. მონღოლთა ბატონობის დასასრულად დ. ფურცელაძეს თემურ-ლენგის ლაშქრობის პერიოდი მიაჩნია, (თუმცა, როგორც ცნობილია, საქართველოში ამ დამპყრობელთა ბატონობა მეფე გიორგი V ბრწყინვალის დროს დასრულდა). შესაძლებელია, სტატიის ავტორის მიერ რუსი და ქართველი ხალხების ერთ ბედქვეშ გაერთიანების მცდელობას ჰქონდეს ადგილი (რუსეთში მონღოლთა ბატონობა XV საუკუნეში სრულდება. ამ ფაქტს აღნიშნავს მკვლევარი მათითაშვილიც. 2. განიხილავს რა ძნელბედობის ხანაში აღმოჩენილ ქართული ეკლესიის მდგომარეობას, დიმიტრი ფურცელაძის შემაჯამებელი აზრით, *„დაცემის გზაზე დამდგარ საქარ-*

თველოს ეკლესიას მხსნელად რუსეთის ძლევამოსილი ეკლესია მოევლინა“. რა თქმა უნდა, ამგვარი თვალსაზრისი რუსეთის ერთგულ მოხელეს თუ ექნებოდა, გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა უკვე ამ დროს, უფრო ადრე თუ არა, კარგად იცოდნენ, როგორ წაართვა რუსეთმა დიდი ისტორიისა და ტრადიციის მქონე საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ავტოკეფალურობა და სინოდის მმართველობის ქვეშ მოაქცია, მის სათავეში სინოდის ობერპროკურორი და არა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო. სხვა რომ არაფერი, ამის გამო მოხდა ის დიდი სახალხო აჯანყება დასავლეთ საქართველოში 1819-1820 წლებში, „საეკლესიო ბუნტის“ სახელით რომ მოინათლა.

დიმიტრი ფურცელაძე მხოლოდ 1811 წლიდან, სინოდის ხელში მისი გადასვლიდან, მიიჩნევს საქართველოს ეკლესიას გადარჩენილად და ძლიერების გზაზე დამდგარად. ეს ყველაზე რეაქციული აზრია, რაც კი შესაძლოა იყოს მრავლტანჯული საქართველოს ეკლესიის შესახებ, მითუმეტეს, რუსი ეგზარქოსების მიერ გატარებული საეკლესიო პოლიტიკის პირობებში.

რა თქმა უნდა, საქართველოს ეკლესიის ამგვარი პერიოდიზაცია და ამ პერიოდების მსგავსი დახასიათება ობიექტურ ისტორიულ რეალობას არ შეესაბამება და დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიას ის სრულიად განსხვავებული მოდელით აქვს წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ფურცელაძემ დააყენა საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციის აუცილებლობის საკითხი, რასაც ამ დროისთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

დიმიტრი ფურცელაძე მთელი შეგნებით იბრძოდა საცენზურო კომიტეტში მოხვედრილი რევოლუციური შინაარსის მქონე ლიტერატურისა და მათი ავტორების წინააღმდეგ. ცნობილია მისი რთული ურთიერთობის შესახებ ნიკო ნიკოლაძესთან, რომლის ყველა წამოწყებასა და თხზულებას ის ეჭვის თვალით უყურებდა, რაც უკავშირდებოდა შვეიცარიაში ქართული საზოგადოების – „უღელის“ – საქმიანობაში მისი და მისი დების მონაწილეობის ისტორიას, ნიკოლაძის ჩერნიშევსკისთან მჭიდრო კავშირს, ევროპიდან შემოტანილი რევოლუციური ლიტერატურის მასთან დაკავშირებულ ისტორიებს. იმ დროისთვის მიღებულ დუელსაც კი ჰქონდა ადგილი დიმიტრი ფურცელაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის.

მიუხედავად ყველაფრისა, დიმიტრი ფურცელაძესაც კი, იმპერიის ამ უერთგულეს მოხელეს, ჰქონდა გარკვეული დისკომფორტი საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობისას, ეჭვი და პრეტენზიები ხელისუფლების მხრიდან მის მიმართაც იყო გამოთქმული. მაგალითად, მან საყვედური მიიღო გაზეთ „კავკაზის“ 1877 წლის ივნისის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული მცდარი ცნობის გამო საქართველოში „კნიაზ მიხაილ ნიკოლაევიჩის“ ჩამობრძანების თაობაზე; მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს გამგებელი კომიტეტის თავმჯდომარე „დმიტრი პეტროვიჩს“ პასუხს სთხოვდა, თუ როგორ გაიპარა ცნობა საქართველოში ამ პიროვნების ჩამოსვლის შესახებ, „დმიტრი პეტროვიჩი“ საპასუ-

ხო წერილში სრულიად თავდაჯერებულად და თამამად წერდა, რომ გაზეთმა ეს ცნობა ტფილისის გუბერნატორისგან მიიღო და კანონის საფუძველზე გაზეთს ევალებოდა, ცენზურის გარეშე გამოექვეყნებინა იგი (ფონდი 480-1-155). პასუხი გუბერნატორს უნდა ეგო, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლება რუს გუბერნატორს კი არა, ქართველ ჩინოვნიკს თხოვდა პასუხს.

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე – რაფიელ ერისთავი (1824-1901) საცენზურო კომიტეტში

კავკასიის საცენზურო კომიტეტში 1889-1896 წლებში ცენზორად მუშაობდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი. რაფიელ ერისთავი დიმიტრი ფურცელაძის თაობის ისტორიკოსი იყო. მან დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა არა მხოლოდ გამორჩეული სამოხელეო ბიოგრაფიით, რაც რეალურად ჰქონდა, არამედ თავისი შესანიშნავი შემოქმედებით, ეროვნული სულისკვეთების პოეზიითა და მოღვაწეობის იმ მრავალმხრივობით, რაც 60-იანელთა თაობის წარმომადგენლებს ახასიათებდა. ამან ის ერთგავარად ჩამოაშორა კონსერვატორული მიმართულების მოღვაწეთა ფრთას და ბუნებრივად ჩააყენა 60-იანელთა რიგებში. მიუხედავად იმისა, რომ მისი თაობის დიმიტრი ფურცელაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველოლოგიის დარგების მეცნიერებად ჩამოყალიბებაში, ბევრი ეროვნული საქმის ინიციატივაში, მრავალი მიმართულების დარგის განვითარებაში, მან მაინც ვერ შეძლო ქართველ სამოციანელთა რიგებში ჩადგომა რაფიელ ერისთავის მსგავსად.

რაფიელ ერისთავი, მართალია, მაღალ სამოხელეო თანამდებობებზე იმყოფებოდა, მაგრამ ყოველთვის სწორად აფასებდა ისტორიულ პროცესებს, მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული საისტორიო აზროვნების განვითარებაში, დაწერა წერილები სამეგრელოს, რაჭის, იმერეთის შესახებ, ჩაიწერა და გამოსცა ძვირფასი ეთნოგრაფიული მასალები თუშ-ფშავ-ხევსურების ყოფაზე, მარი ბროსესთან კავშირში მოსკოვისა და პეტერბურგის საცავებში აღმოაჩინა რამდენიმე დოკუმენტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, რასაც დღესაც ქართული ისტორიოგრაფიისათვის ძვირფასი წყაროს მნიშვნელობა აქვს და სხვ. მარი ბროსესთან მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. 1847 წლის სექტემბერში, საქართველოში მყოფი ბროსე სტუმრობდა მის ოჯახს სოფელ მატანში. რაფიელის მამამ, დავით ერისთავმა, თავისი იმ დროისთვის უჩვეულოდ მდიდარი ბიბლიოთეკით მოხიბლა დიდი ფრანგი ორიენტალისტი, მისი აღტაცება რაფიელისა და მისი უმცროსი დის – ანას (იმპერიაში ცნობილი გენერლის – ნიკო ჭავჭავაძის მეუღლე) ნაკითხობასა და განათლების დონესაც გამოუწვევია.

1889-1896 წლებში უსახსროდ დარჩენილი რაფიელ ერისთავი იძულებული გახდა სახელმწიფო სამსახურს დაბრუნებოდა (ჯაგოდნიშვილი 1986: 12). ამ დროს

საცენზურო კომიტეტში განთავისუფლდა ცენზორის ადგილი, რომელიც მანამდე ქართველი საზოგადოებისათვის მრისხანე ცენზორს – ლუკა ისარლოვს – ეჭირა. 1889 წლის 2 მარტს 65 წლის ასაკში მან გავლენიან ქართველ მოღვაწეთა მხარდაჭერით მიიღო ეს ადგილი – ადგილობრივ და აღმოსავლურ ენებზე გამოცემათა ცენზორის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე რაფიელ ერისთავმა დაჰყო 7 წელი – 1896 წლის 12 ოქტომბრამდე.

პატრიოტი პოეტისათვის ცენზორად მუშაობა ცარისტული რუსეთის მძიმე რეჟიმის პირობებში ძნელი საქმე იყო; ამის შესახებ ლიტერატორი თედო სახოკია იგონებს: *„რაფიელ ერისთავი იძულებული გახდა, მიუხედავად მოხუცებულობისა, ისევ სახელმწიფო სამსახური ეძებნა. მისი ხნოვანების შესაფერისი სამსახურის შოვნა იმ დროს მეტად გაჭირდა. პირდაპირ შიმშილს ებრძოდა პოეტი. გამოჩნდა ქართული ენის ცენზორის ადგილი საცენზურო კომიტეტში. მაშინ ცენზოროზას მეტად ცუდი სახელი ჰქონდა. ისარლიშვილის დროის ცენზოროზის სუსხი ქართულ ლიტერატურას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დავიწყებული. ამ ხელობას ისე უყურებდნენ, როგორც ადამიანის გონების ჯალათობას, სულთამხუთაობას. მაგრამ ულუკმაპუროდ დარჩენილ მოხუცებულ პოეტს სხვა გზა არ ჰქონდა: იკისრა ცენზოროზა. ვერავინ იტყოდა, რაფიელ ერისთავის ცენზოროზის დროს ქართულ ლიტერატურასა და ქართველ ლიტერატორებს გასჭირებოდეთ. ნებით თუ უნებლიეთ ბევრჯერ უღალატნია რაფიელ ერისთავს თავისი მოვალეობისთვის; ამისთვის ბევრჯერ საყვედურიც შეხვედრია უფროსებისგან, მაგრამ ყველაფერს ითმენდა, ოღონდ ქართველობა მომდურავი არა ჰყოლოდა“* (სახოკია 2021: 238-239).

რაფიელ ერისთავის ცენზოროზის პერიოდი (90-იანი წლები) ხასიათდება თვითმპყრობელური ხელისუფლების ახალი შეტევებით ხალხის თავისუფლებაზე. მაშინდელი საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე, ჟანდარმერიის საიდუმლო აგენტი გაკელი დევნიდა ყოველივე პროგრესულს ნაციონალურ ჟურნალ-გაზეთებში. „ივერიის“ გარშემო შემოკრებილ ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი (აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, დავით ერისთავი, ი. მანსვეტაშვილი, გრ. ყიფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ალ. ნანეიშვილი, ნ. ხიზანაშივილი და სხვა) ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გამუდმებით მთავრობის საიდუმლო მეთვალყურეობაში იმყოფებოდნენ.

1894 წელს ილია ჭავჭავაძის შესახებ თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნია პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტში. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ი. ჭავჭავაძე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქართველებსა და სხვა თავისუფლად მოაზროვნე ხალხებს შორის, სათავეში უდგას ნაციონალურ მოძრაობას საქართველოში, იგი მართავს საიდუმლო კრებებს, სადაც მსჯელობენ საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებზეო. მუშაობის ასეთ მძიმე პირობებში რაფიელ ერისთავმა გამოიჩინა გამჭრიახობა და მისი

ცენზორობის 7 წლის მანძილზე არა ერთი და ორი ეროვნული საქმე დაგვირგვინდა წარმატებით. ერის აღიარებული ბელადი ილია ჭავჭავაძე რაფიელ ერისთავს „ივერიის“ შეფად თვლიდა კავკასიის საცენზურო კომიტეტში. ამის დამადასტურებელია ილიას ერთი წერილი რაფიელის სახელზე. „ივერიის“ ერთი ნომრისათვის” განკუთვნილ მიხეილ ნასიძის სატირულ ლექსში „ახალი იავნანა“ საცენზურო კომიტეტს ამოუშლია ლექსის ბოლო სტრიქონი – „მნოღოე ლეტაო“. ილია სთხოვს რაფიელ ერისთავს, აღადგინოს ლექსში წაშლილი სიტყვები, *„გეფიცები,* – წერს ილია, – *ამ ლექსს წაუშლელადა თვითონ ლუკა სტეფანეს ძეც (ისარლიშვილი) კი დაუბრკოლებლივ გაუშვებდა. თქვენი ჭირიმე, ლექსს ნუ წაახდენთ. პასუხისგება ჩემი იყოს, თუ ვინმემ რამ შეჰნიშნოს“.*

რაფიელის დახმარებით, საცენზურო კომიტეტს ილიას თხოვნა დაუკმაყოფილებია და მ. ნასიძის ლექსი უცვლელად დაიბეჭდა 1890 წლის ოქტომბერში („ივერია“, № 225).

რაფიელ ერისთავის მომსწრე ალ. ჯაბადარი ასე ახასიათებს მის ცენზორობას: *„რაფიელ ერისთავი გულით და სულით მოწადინებული იყო როგორც კარგი ქართველი და მსურველი სამშობლოს კულტურული განვითარებისა, რამდენადაც შეეძლო ხელი შეეწყო საზოგადოებრივი საქმიანობის წინსვლისათვის. ერთხელ შინაურულად მითხრა: „მე არ ვიცი ცენზორად როდემდე ვიქნებიო. თუ საეჭვო რამე გაქვთ დასაბეჭდი ცენზურის მხრივ, საჩქაროთ წარმოადგინეთ ცენზურაში, სანამ იქა ვარო“* (ვაშაყმაძე 1962 : 103).

ალ. ჯაბადარი საინტერესო ცნობას გვაწვდის ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა გამოცემასთან დაკავშირებითაც. ჯაბადარმა და ლადო აღნიაშვილმა მოამზადეს გამოსაცემად ალ. ყაზბეგის 4 ტომი, იგი საცენზუროდ გადაუციათ ქიშმიშოვისათვის, რომელსაც 4 ტომი ორ ტომზე დაუყვანია. რაფიელ ერისთავის რჩევით, ყაზბეგის ნაწარმოებთა გამოცემისათვის თხოვნა გაგზავნეს პეტერბურგის საცენხურო კომიტეტში, საიდანაც დადებითი პასუხი მიიღეს. *„რაფიელ ერისთავმა,* – აღნიშნავს ა. ჯაბადარი, – *განგებ წაუყრუა იმ ამბავს, რომ ყაზბეგის ნაწარმოებთა ერთი ნაწილი თბილისის ცენზურამ დაიწუნა და ყაზბეგის ნაწარმოებების გამოცემას თვითონ მისცა ვიზა“.*

ამ გამოცემაში დრამატული თხზულება – „კონსტანტინე ბატონიშვილი“ – ცენზურას ამოუღია ალექსანდრე მოჩხუბარიძის (ყაზბეგის) გამოცემიდან. საქართველოს საისტორიო არქივის საცენზურო ფონდში (ფონდი №480) ინახება ცენზურისგან დაწუნებული ხელნაწერი – ალექსანდრე მოჩხუბარიძის (ალესანდრე ყაზბეგი) პატრიოტული დრამა 5 მოქმედებად, 1899 წელი. 1899 წელი პიესის დაწერის თარიღი რომ ვერ იქნება, ცხადია. ყაზბეგი 1893 წელს გარდაიცვალა. უეჭველია, საქმე რაფიელ ერისთავის გამოსაცემად გამზადებული ყაზბეგის ოთხტომეულიდან ამოღებულ პიესას ეხება, ყაზბეგის ეს ხელნაწერი ინახება საცენზურო კომიტეტის 480-ფონდში (აღწერა 1, საქმე 1577, ფ. 1-59). პიესა ეხება კახთა მეფის – ალექ-

სანდრე მეორის – პერიოდს, სპარსული ორიენტაციის კახელ უფლისწულს, კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს, რომელიც შაჰ-აბასის ინტერესებს იცავდა საქართველოს სამეფო ტახტზე და უპირისპირდებოდა იმ დროისათვის პროგრესულად მიჩნეულ მამის პრორუსულ პოლიტიკას. მთავარი მოქმედი გმირები არიან: ხალხის წინამძღოლი მებრძოლი ქაიხოსრო ომანიშვილი და მისი ძმადნაფიცი, ხევსური გმირი გორჯასპი. ისინი მსჯელობენ შექმნილ ვითარებაზე, იმაზე, რომ რჯულის გამყიდველები მამულსაც ადვილად გაჰყიდდნენ და საჭიროდ თვლიდნენ მათთვის ხელის შეშლას. *„კონსტანტინემ რჯული და სარწმუნოება გაჰყიდა და მამულსაც ადვილად გაჰყიდის, იმას რა საქმე უნდა ჰქონდეს ქართველებთან!“* _ დაბეჯითებით ამბობს გორჯასპი. მწერლის მთავარი აქცენტი სარწმუნოების დაცვასა და ნამდვილ მამულიშვილობის მტკიცებას ეძღვნება. ორივე გმირი დარწმუნებულია, რომ *„ვინც პატივის მისაღებად სარწმუნოებას უღალატებს, ის მამულს, ძმას, ნათესაობასაც არ გაიხელთებს“* (ფონდი 480, აღწ. 1. საქმე 1577, ფ, 3). სცენაზე შემოდის მესამე გმირი – მეფის სპასალარი შერმაზინი, რომელიც სახალხო გმირებისთვის არ ინანებს საქებარ სიტყვებს, ამბობს, რომ საქართველო მათნაირი ადამიანებით არის ბედნიერი. პიესის ჰეროიკული სულისკვეთება, გმირთა პორტრეტის ხატვის სტილი და თითოეული მონოლოგის ისტორიულ-ეროვნული კონტექსტი ზუსტად ჯდება ეპოქის სულისკვეთებაში, იმ ეროვნულ იდეალთა ლიტერატურული და თეატრალური ხორცშესხმის მოდელში, რაც 60-იანელთა იდეოლოგიამ მოიტანა. ეროვნული შემართება, სახელმწიფოებრივი ცნობიერება და თავგანწირვა მისი დაცვისათვის – ეპოქის მთავარი ნიშანი გახდა. საცენზურო კომიტეტი ამ კონტექსტებს იაზრებდა და იმის მიხედვით აჩერებდა წიგნის ბეჭდვისა თუ სცენაზე სპექტაკლის განხორციელების საქმეს, მთავრობის იმპერიულ-კოლონიური, ასიმილატორული მიზნებით მოქმედი ხელისუფლება როგორ მოთხოვნებსაც აყენებდა მათ მიმართ.

ხალხსაც და ქართველ მეფეებსაც მთავარი მოსაფრთხილებელი ქრისტიანული რჯული და რწმენა ჰქონდათ, ამიტომ მიისწრაფვოდნენ ერთმორწმუნე ახალი პატრონისკენ, ფიქრობდნენ, თუ ამას შეინარჩუნებდნენ, სამშობლოსა და ქართველობასაც აღარავითარი საფრთხე აღარ ექნებოდა. რამდენად იქნებოდა ეს რწმენა და მისი განხორციელებული რეალობა საქართველოს გადარჩენისთვის საკმარისი, ამას დრო გამოაჩენდა, იმ დროს კი, როდესაც ეს ამბები ხდებოდა, ან თუნდაც ალექსანდრე ყაზბეგის მიერ მასზე პიესა იწერებოდა, მამულიშვილებს თავიანთი რწმენის შეუვალობაში ეჭვი არ ეპარებოდათ. ყაზბეგი არღვევს ისტორიულ სინამდვილეს და მოკლულებად ალექსანდრესა და მის უფროს ვაჟს, ქეთევანის მეუღლე დავითს ასახელებს. საუბარია 1605 წლის ძეგამის ტრაგედიაზე, როდესაც გამუსლიმანებულმა და შაჰ-აბასის ერთგულმა ქართველმა ბატონიშვილმა კონსტანტინემ მამა – კახეთის მეფე ალექსანდრე II, მისი უმცროსი შვილი გიორგი პატარა ვაჟთან და მომხრეებთან ერთად დახოცა იმის გამო, რომ მეფემ რუსი ელჩები მიიღო.

ამ დროს დავითი 5 წლის გარდაცვლილი იყო. ის ლეკებთან შეტაკებაში დაიღუპა. შესაძლოა, დავითის მკვლელობა მწერალს სპეციალურადაც დაეკავშირებინა ამ ტრაგედიასთან, რათა სპექტაკლში ქეთევანის როლი კიდევ უფრო გააქტიურებულიყო.

ბრძოლა და საქმე, ნათელსა და ბნელს შორის არჩევანი, ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა მთავარი არჩევანი იყო და პიესის ავტორიც ამას აკეთებს. მისი გმირი ხალხს მიმართავს, რომ ყველა მათგანის მოვალეობა სამშობლოსთვის ზრუნვაა. მწერალი ქვეყნის გადარჩენის, სიწმინდისა და მაღალი მორალის დასაცავად აუცილებელ გზად ბრძოლას ხედავს, ბრძოლაში კი ლიდერის როლს განსაკუთრებულად გამოყოფს. ამგვარი ლიდერი მისთვის ქეთევან დედოფალია, რომლის მიმართვა თანამემამულე მებრძოლებისადმი ქართველი ქალის სიმამაცის, მებრძოლი სულისა და შეუპოვრობის მაგალითია. მან იცის თავისი ქვეყნის ისტორიული წარსული, ის ფასეულობები, რომელთაც ამ ქვეყნის არსებობა დაჰფუძნებია, იცის უფლება-მოვალეობანი თითოეული ქართველისა და საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობის მთელ სიმძიმეს; ამან მისცა ძალა მასაც და მის ქვეყანასაც, რომ გადარჩენილიყო, სულიერ სიკვდილს აცდენოდა და მარადიულ ყოფაში გადასულიყო. ისტორიულ სინამდვილეს არღვევს მწერალი თავად კონსტანტინეს მიმართაც. კონსტანტინე სინამდვილეში 1606 წელს კახელების აჯანყებას შეეწირა, მაგრამ ყაზბეგი გადაარჩენს მთავარ გმირს, რათა უკეთ გვიჩვენოს მისი სახე, გმირის მეტამორფოზა მოღალატე ქართველიდან თვითკრიტიკულად განწყობილ, მონანიე ადამიანამდე, რომელმაც შეიცნო საკუთარი მოღალატეობრივი ქცევაც, დანაშაულიც, ზნეობრივი დაცემაც მოინანია და მტერს, რომელსაც ემსახურებოდა, ქეთევანის გადარჩენა სთხოვა საკუთარი სიცოცხლის ფასად. ის შაჰის ხელით კვდება, მაგრამ სიკვდილამდე რამდემიმე წუთში ასწრებს უთხრას მას თავისი სათქმელი, პროტესტი გამოთქვას ქართველი ხალხის მიმართ მის დაუნდობელ პოლიტიკაზე.

რა იყო ამ პიესაში ისეთი, რამაც ცენზურისთვის მიუღებელი გახადა?

პირველ რიგში, ეს იქნებოდა სამშობლოსა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ეროვნული გმირების თავგანწირვა, სახელმწიფოებრიობისადმი ქართველთა დიდი ერთგულება, რაც ქეთევანისა და მისი ქვეშევრდომების საქციელში იკვეთება. რაც შეეხება კონსტანტინე ბატონიშვილს, ეს სპარსული ოროენტაციის გმირი ცენზურისთვის მისაღები ვერ იქნებოდა, ქართველებისთვის ის იმდენად დიდი მოღალატის დამღას ატარებს, მისი მორალური კათარზისის ამბავი არც რაფიელ ერისთავს მოეწონებოდა, მით უმეტეს, საცენზურო კომიტეტის იდეოლოგია რუსეთის საწინააწმდეგოდ მოქმედი სპარსული ორიენტაციის ისტორიული პირის დადებითად გამოკვეთას ვერ შეურიგდებოდა, ვფიქრობ, აქ ცენზორისა და ხელისუფლების თვალსაზრისი ბუნებრივად დაემთხვეოდა ერთმანეთს...

ამიტომ იყო, რომ შემდეგ გამოცემებში, ეს დრამა სათაურშეცვლილი დაიბეჭდა და მას მას „კონსტანტინე ბატონიშვილის“ ნაცვლად „ქეთევან დედოფალი“ ეწოდა. ასევე, დიდი რისკით მისცა რაფიელ ერისთავმა ვიზა მამია გურიელის ლექსების წიგნის გამოქვეყნებას, სხვა ჟურნალ-გაზეთების ცალკეულ ნომრებს, რომელთაც სხვები ატყვევებდნენ. ამ პოზიციაზე სამსახურის დროს რაფიელ ერისთავს სახელმწიფო ჯილდოც მიუღია: წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენი (1892).

1895 წელს საცენზურო კომიტეტს კირილე ლორთქიფანიძემ წარუდგინა მამია გურიელის (მ. ფაზელის) თხზულებანი, რომელიც დასკვნისათვის რაფიელ ერისთავს გადასცეს. რაფიელ ერისთავი შესამჩნევი მზრუნველობით მოეკიდა მ. გურიელის ლექსების კრებულს და დაბეჭდვის ნებართვა გასცა 1896 წლის 16 მარტს. აღნიშნულ კრებულში რაფიელს გაუსწორებია ისეთი ადგილები, ყურადღება გაუმახვილებია ისეთ საკითხებზე, რაც ნაკლებად შედიოდა ცენზორის მოვალეობაში (სტილი, ენა, ლექსის მხატვრულობა), სამაგიეროდ, მას დაბეჭდვის უფლება მიუცია მთავრობის საწინააღმდეგო პატრიოტული ლექსებისათვის.

რაფიელ ერისთავი შესაძლებლობის ფარგლებში გვერდს უვლიდა ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათის წერილებს. ასეთი „წაყრუება“ ძვირად უჯდებოდა მოხუც პოეტს და რამდენჯერმე მიუღია შენიშვნა. ცნობილია, რომ რაფიელ ერისთავის ცენზორობის პერიოდში (1889-1896 წწ.) „ივერია“, ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების ფართო პროპაგანდით. ეს გარემოება შენიშნული ჰქონდა მთავრობას, რასაც „ივერიის“ 8 თვით დახურვა მოჰყვა კიდეც (1896 წლის 10 მაისიდან, ვიდრე 1897 წლამდე).

1896 წელს „ივერიის“ თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი „სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდან“. წერილის ავტორი გმობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებულ სწავლების რუსიფიკატორულ რეჟიმს, „ივერიის“ მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკისა და კერძოდ, ამ ფელეტონის გამო კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ჰაკელი 1896 წლის 17 აპრილს საიდუმლოდ ატყობინებდა მთავარმართებლის გენერალ ადიუტანტ შერემეტიევს, რომელმაც იმავე წლის 30 აპრილის სხდომაზე საგანგებოდ განიხილა „ივერიისა“ და მისი რედაქტორის – ი. ჭავჭავაძის „მიერ მთავრობის საწინააღმდეგოდ წარმოებული მუშაობა: „ივერია“ მისწრაფებას ამჟღავნებს მოსწავლე ახალგაზრდობაში დაუმორჩილებლობისა და ზიზღის გრძნობა გააღვივოს რუსი მღვდლისა და მასწავლებლებისადმი, ასეთი ხასიათის სტატიები მოგვევლინა გაზეთ „ივერიის“ თებერვლის თვის №№39, 40, 41-ში ფელეტონად, შემდეგი სათაურით: „სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდან“... რომელნიც პირდაპირ მოუწოდებენ მოწაფეებს დაუმორჩილებლობისა და ბრძოლისაკენ. გაეცნო რა ამ სტატიების შინაარსს, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ სასტიკი საყვედური გამოუცხადა ქართული ენის ცენზორს, რო-

მელმაც წინდაუხედავობით ნებართვა გასცა მათი დაბეჭდვისათვის, რისთვისაც გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელს *„თავ. ი. ჭავჭავაძეს მითითება მიეცა, რომ მის გაზეთში სკოლის ახალგაზრდობისადმი მიმართული უღირსი პროპაგანდის წარმოებას შესაძლოა მოჰყვეს მეტად დამღუპველი და გამოუსწორებელი შედეგები და გამოიწვიოს ახალი უწესობანი თბილისის სასულიერო სემინარიის კედლებში. ამ დოკუმენტში რაფიელ ერისთავის გვარი შემთხვევით არ არის დასახელებული, მაგრამ იგულისხმება, რომ ქართული ენის ცენზორი, რომელსაც „ივერიისადმი“ წაყენებული ბრალდების გამო 1896 წლის 2 აპრილს საყვედური გამოეცხადა, მხოლოდ რაფიელ ერისთავი შეიძლებოდა ყოფილიყო“* (ვაშაყმაძე 1962: 102-105).

უნდა ვივარაუდოთ, რომ, გარდა ამ ოფიციალური სასტიკი საყვედურისა, რაფიელ ერისთავი უთუოდ ბევრ უსიამოვნებას ითმენდა სამსახურში, ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ რაფიელ ერისთავის სასტიკი გაფრთხილება (1896 წლის 2 აპრილი) „ივერიის“ ფურცლებზე მთავრობის საწინააღმდეგო წერილების ბეჭდვის გამო და „ივერიის“ 8 თვით დახურვა (1896.წ. 10 მაისს) ერთსა და იმავე დროს ხდება. ასეთ მძიმე ატმოსფეროში მუშაობა თანდათან აუტანელი ხდებოდა რაფიელისათვის. სასტიკი საყვედურის გამოცხადებისთანავე, 1896 წლის აპრილში, „მან თხოვნა შეიტანა იმპერატორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის სახელზე სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, რომელშიც, რასაკვირველია, მოტივად სხვა მიზეზს ასახელებდა: *„30 წელზე მეტია,* – აღნიშნავდა რაფიელი ამ განცხადებაში, – *ვარ სახელმწიფო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე. ამჟამად ვმუშაობ ცენზორად ქართული გამოცემის ხაზით. ჯანმრთელობის დასუსტებისა და მოხუცებულობის გამო აღარ შემიძლია ამ საპასუხისმგებლო სამსახურის შესრულება, ამისათვის გთხოვთ გამათავისუფლოთ სამუშაოდან და დამინიშნოთ პენსია. ამასთანავე, მოგაგონებთ, რომ ჩემს კმაყოფაზე არის ორი ქალი. მამული (ქისტაურში) დიდი ხნის უყურადღებობის გამო განადგურდა და შემოსავალს აღარ იძლევა.“*

რაფიელ ერისთავის თხოვნა ცოტა მოგვიანებით დააკმაყოფილეს და 1896 წელს 12 ოქტომბრიდან სამსახურიდან გაათავისუფლეს. თუ გავითვალისწინებთ რაფიელ ერისთავის მძიმე ეკონომიურ პირობებს ამ წლებში, დავინახავთ, რომ მიუხედავად მოხუცებულობისა, იგი ჩვეულებრივ მდგომარეობაში სამსახურს თავს არ გაანებებდა, ვინაიდან ჯამაგირი ერთადერთი შემოსავლის წყარო იყო მისი ოჯახისათვის, ამას ადასტურებს რაფიელის არაერთი თხოვნა მთავრობის სახელზე პენსიის დანიშვნისა და ქისტაურის მამულის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ...

ერთი ცხადია, საცენზურო საქმიანობაში ჟანდარმერიის ჩარევამ, რასაც „ივერიის“ დახურვაც მოჰყვა, გადააწყვეტინა რაფიელს თავი დაენებებინა სამსახურისათვის. ამ მოსაზრებას სხვათაშორის ადასტურებს ჟურნალ „მოაბეში“ 1901 წელს დაბეჭდილი „შინაური მიმოხილვა“. არქივში დაცულ დოკუმენტებზე დაკვირვება

გვარწმუნებს, რა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა რაფიელი ცენზურისთვის გადაცემულ ტექსტებს, ყოველ გვერდზე აკეთებდა წითელი ფანქრით წარწერებს, ცდილობდა, გაყიდვიდან არ ამოეღოთ ის გამოცემები, რომელთა დაბეჭდვა უკავშირდებოდა საზოგადოებისთვის ცნობილი მწერლების – იოსებ იმედაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა სახელებს.

დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) საქმიანობა საარქეოგრაფიო კომისიასა და კავკასიის საცენზურო კომიტეტში

დიმიტრი ბაქრაძე გამორჩეული სახელია მე-19 საუკუნის ქართველ მოაზროვნეთა შორის. მისმა საისტორიო თხზულებებმა დასაბამი მისცა საისტორიო აზრის ქცევას მეცნიერებად, ხოლო მისმა ექსპედიციებმა ოსმალეთის იმპერიაში მოქცეულ ისტორიული საქართველოს ტერიტორიებზე მანამდე უცნობი ფაქტებით გაამდიდრა ჩვენი ისტორიოგრაფია. ის ჭეშმარიტი მამულიშვილი, ილიას თანამოაზრე და მასთან დაახლოებული ადამიანი იყო. ჰქონდა უდიდესი ავტორიტეტი არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპისა და რუსეთის აკადემიურ წრეებში. ილია ჭავჭავაძე მასთან ახლო ურთიერთობით ადევნებდა თვალყურს არა მარტო ქართული არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ნუმიზმატიკის და სხვა ისტორიის დამხმარე დისციპლინების მდგომარეობას, არამედ ევროპული ისტორიოგრაფიის სიახლეებს, მიდიოდა მის არქეოლოგიურ გათხრებზე, იმოწმებდა მის თვალსაზრისებს მაშინ, როდესაც შოვინისტ რუს და სომეხ მეცნიერებს ეკამათებოდა საქართველოს ისტორიული წარსულის გაყალბების გამო. მისი საშუალებით, ილიამ იცოდა ყველა ის სიახლე, რაც ქართველოლოგიის შესწავლას უკავშირდებოდა ევროპელ მეცნიერთა მიერ. ეს იყო ცნობილი მეცნიერების_ სენ-მარტენის, კლაპროტის, ლენორმანის, მარი ბროსესა და სხვათა ნააზრევი. სწორედ ილიას რჩევითა და სურვილით დაუკავშირდა მეცნიერი საცენზურო კომიტეტის საქმიანობას. ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით, ის პირდაპირ შეაგზავნა „დროების“ საგამომცემლო ჯგუფმა ამ კომიტეტში ეროვნული საქმის სასარგებლოდ ცენზურის გამოსაყენებლად (დუმბაძე 1850: 21).

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, 1871 წელს დიმიტრი ბაქრაძე უკვე მუშაობს საცენზურო კომიტეტში და ცენზორ ყაითმაზოვს ცვლის შვებულების დროს (480, 1, საქმე 100, ფ. 1-2). როგორც ირკვევა, საცენზურო ფონდში დაცული დოკუმენტით, ეს უნდა ყოფილიყო დროებითი სამუშაო, ვფიქრობ, ის საამისოდ ანაზღაურებასაც მიიღებდა, თუმცა ისტორიკოს მამია დუმბაძეს მიაჩნია, რომ ის ნებაყოფლობით, უხელფასოდ ასრულებდა ამ სამუშაოს, რადგან ეს დავალება „დროების“ სარედაქციო ჯგუფისგან ჰქონდა ამ გაზეთის ცენზურის შემოტევებისგან დაცვის მიზნით. ბუნებრივია, საქმის კეთების მიზნით ამ მართლაც გამორჩეულ ისტორიკოსსა და მოღვაწეს ყველა ფორმით ებრძოლა. საარქივო დოკუმენტებით ასევე ჩანს,

რომ 1873-1875 წლებში დიმიტრი ბაქრაძე იმ დროისთვის ცნობილ პუბლიცისტთან ნიკოლოზ ბერძნიშვილთან ერთად თანამშრომლობდა კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველო-ამიერკავკასიაში მეფის რუსეთის გაბატონების დროიდან მოყოლებული საარქივო საბუთების გამოცემას. ეს კომისია ძირითადად მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, მოხელეთა საქმიანობასა და ომებში მონაწილეობას აღწერდა. ეს ადამიანები კომისიაში შეყვანილი იქნენ ქართულენოვანი საბუთების თარგმანისათვის. დიდწილად მათი დამსახურებაცაა, რომ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შედგენილი აქტების მრავალტომეულში (13 ტომი) ჩვენი ისტორიისათვის მეტად ძვირფასი და საჭირო მასალები მოხვდა. ამ გამოცემაში, რომელიც იმპერიული ხელისუფლებისგან დაიგეგმა, დღეს ყველაზე მასშტაბური და სანდო წყაროებია ჩვენი ისტორიოგრაფიული კვლევებისთვის.

კომისიაში მუშაობის დროს დაასრულა ბაქრაძემ კაპიტალური ნაშრომი „Кавказ в древних памятниках христианства“. ეს ნაშრომი „აქტების“ მეოთხე და მეხუთე ტომებში გამოქვეყნდა, რისთვისაც დიმიტრი ბაქრაძემ რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებისთვის ხელისუფლებამ საჭიროდ ცნო საქართველოში პრესისთვის განსაკუთრებული ცენზორის საშტატო ერთეულის დაწესება. იმ დროს ქართული გამოცემების ცენზორობა შეთავსებული ჰქონდა მელიქ-მეგრაბოვს, რომელმაც ქართული ენა კარგად არ იცოდა, რაც კიდევ უფრო ართულებდა პრესის საქმეს მაშინ, როდესაც ხელისუფლება მას „ახალი მიმართულების“ გამო მკაცრად ექცეოდა. ენის უცოდინარ ადამიანთან ძნელი იყო ქართველ რედაქტორ-გამომცემელთა ურთიერთობა. ამ დროს ბაქრაძე უკვე გამოცდილი იყო ამ მიმართულებით მუშაობაში, როგორც ვნახეთ, ის შტატგარეშე ცენზორად რამდენიმე წელი მუშაობდა (დუმბაძე 1950 : 43).

დიმიტრი ბაქრაძის ფაქტორი ამ თანამდებობაზე ნაყოფიერი და სასარგებლო აღმოჩნდა. მან ბევრჯერ გადაარჩინა ქართული პრესა სასტიკი ცენზორის განჩინებისგან. საცენზურო კომიტეტში დიმიტრი ბაქრაძე შტატით მუშაობდა 1875-1878 წლებში ქართული ენის უმცროსი ცენზორის თანამდებობაზე. 1875 წლიდან ის ინიშნება შტატის თანამშრომლად, უმცროს ცენზორად (480, 1, 226 საქმე, ფ 3-22.).

ამ ხნის მანძილზე ბაქრაძე ანელებდა ცენზურის შეტევებს ქართულ გამოცემათა წინააღმდეგ, კომიტეტში ბევრჯერ გათავისუფლდა უფროსი ცენზორის ადგილი, მაგრამ დიმიტრი იქ გვიან გადაიყვანეს თავისი ჰუმანური ბუნებისა და ცენზურის საქმეში გამოჩენილი დათმობების გამო. ისტორიკოსი მამია დუმბაძე დიმიტრი ბაქრაძეზე დაწერილ წიგნში მიუთითებს, რომ ბაქრაძე ლიბერალობის გამო ბოლომდე უმცროს ცენზორად დატოვეს, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. როგორც ჩვენ ვნახეთ საცენზურო კომიტეტის საარქივო ფონდში, დიმიტრი ბაქრაძემ მიიღო უფროსი ცენზორის თანამდებობაც და გარკვეულ ნდობასა და პატივისცემასაც

იმსახურებდა რუსეთის კავკასიურ ხელისუფლებაში. რამდენჯერმე მიიღო ფულადი ჯილდო და პრემიაც.

საბოლოოდ მან თავად დატოვა ეს თანამდებობა. საარქეოგრაფიო კომისიაში, თბილისის სასამართლო პალატასა თუ საცენზურო კომიტეტში მუშაობისას მას არ შეუწყვეტია ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობა, გარდა კაპიტალური ნაშრომისა – „კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები“, ის აქტიურად ბეჭდავდა წერილებს პრესაში, ეხმაურებოდა საზოგადოებისთვის საინტერესო თემებს, მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს.

ლუკა ისარლოვი (ისარლიშვილი) (1814-1893)

ყველაზე რთულ პერიოდში, პოლიტიკური რეაქციისა და რუსეთის იმპერიული ხელისუფლების თავაშვების ჟამს, 1881-1888 წლებში კავკასიის საცენზურო კომიტეტში ცენზორად და მდივნად მსახურობდა ქართველი, მაგრამ სულისკვეთებით ნამდვილი რუსი, ხელისუფლების უსაზღვროდ ერთგული და მორჩილი მოხელე – ლუკა სტეფანეს ძე ისარლოვი (ისარლიშვილი). ის 1814 წელს დაიბადა და 1893 წელს გარდაიცვალა. იყო მესხეთიდან გადმოსახლებული ქართველი კათოლიკეების შთამომავალი. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად, დაასრულა გიმნაზია 1833 წელს. დატოვა მოგონებების წიგნი – „პისმა ა გრუზიი“. მასში ნამდვილად იკითხება ის მკაცრი ჟანდარმერიული სულისკვეთება, რომელსაც იმპერია კავკასიაში ნერგავდა. თუმცა ის პირდაპირ ამ ვითარებას სახელს არ არქმევდა. სხვადასხვა დროს მსახურობდა ქუთაისის, გორის, ახალციხის ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, საგანმანათლებლო და სასამართლო ინსტანციებში. ის ხელისუფლების ოფიციალური პოლიტიკის იმდენად ერთგული ადამიანი იყო, უპირისპირდებოდა ყველა დიდ ეროვნულ საქმესა და მოღვაწეს. მათ შორის იყვნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი და სხვ. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ის ქართულ ჟურნალ-გაზეთებს უკრძალავდა ნებისმიერი ისეთი მასალის გამოქვეყნებას, რომელიც არ ეთანხმებოდა გაბატონებულ სახელმწიფო იდეოლოგიას. თანამედროვენი მას მიაწერენ გაზეთ „დროების“ დახურვის ინიციატივას. მის მიერ აღწერილი რუსი იმპერატორის – ნიკოლოზ პირველის ჩამოსვლა თბილისში და მიღების ცერემონია, რაც ამ დროს გაიმართა, სწორედაც დაუნდობელი და მკაცრი ცენზორის, იმპერიის უერთგულესი მეხოტბისა და მაამებლის თვალით დანახული და აღწერილი სურათია. იმპერატორი მისთვის უმაღლესი ქმნილებაა (ფადიშაჰი), რომელსაც თაყვანს სცემენ და ეს, მისი აზრით, ბუნებრივიცაა, სამყაროს ყველა კუთხის მცხოვრებნი, *„რომლის ერთ ნიშანზეც კი მაღალი მთები იწყებენ ძრწოლას და ვისი თვითეული სიტყვაც კი ადამიანებს ანიჭებთ სიცოცხლესა თუ სიკვდილს, გედნიერებასა თუ უბედურებას*“. ისარლოვის სტილი და ემოცია ნათლად მეტყველებს მის ცნობიერებასა და ხელისუფლების მიმართ გასაოცარ ლოიალობასა და კომფორმიზმზე.

ისარლოვის, როგორც სასტიკი და ქართული ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ცენზორის შესახებ უამრავი მასალაა მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლურ და პუბლიცისტურ ტექსტებში. ის ავტორთა მიერ ნამდვილი ჟანდარმის სახელით მოიხსენიება.

ამრიგად: მე-19 საუკუნეში კავკასიის საცენზურო კომიტეტში მოღვაწე ეს რამდენიმე ცენზორიც მიუთითებს საცენზურო პოლიტიკის ხასიათსა და იმპერიულ ბუნებაზე, რასაც, მართალია, ხელს ვერ უშლიდნენ ქართველი ცენზორები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ცდილობდა უფრო ასატანი და ნაკლებად დამაზიანებელი გაეხადა ეს პოლიტიკა ქართული ლიტერატურისა და კულტურის მიმართ, ზოგი კი ნამდვილ გმირობას იჩენდა, რათა თავისუფალი აზრი ხელისუფლების გაკონტროლებისგან გადაერჩინა.

გამოყენებული ლიტერატურა:

აქტები (1878) – Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею, Под редакцией А. Берже, თბილისი;

დუმბაძე მ. (1950), ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი: აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა;

ვაშაყმაძე შ. (1962), რაფიელ ერისთავი, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო;

„ივერია“, № 225, – გაზეთი „ივერია“, 1890 წელი;

ისარლოვი ლ. (1899), Письма о Грузии . Соч. Л.С. Исарлова,Тифлис;

სახოკია თ. (2021), ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი : გამომცემლობა „არტანუჯი“;

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდი № 480, აღწერა 1, საქმე 377.

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდი № 480, აღწერა 1, საქმე 98, ფ. 1-2.

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდი № 480, აღწერა 1, საქმე 1577, ფ. 3.

სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდი № 480, აღწერა 1, საქმე 226, ფ. 3-22;

ფურცელაძე დ. (1881), Д. П. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты: (материалы для пятаго Археологическаго съѣзда), Тифлисъ; **Д. П. Пурцеладзе** – Грузинские церковные гуджари (грамоты), Материалы для пятого Археологического сьезда, составиль Д.П. Пурцеладзе, Тифлис;

შარაბიძე თ., კუჭუხიძე გ., ჭუმბურიძე დ. (2023), „ცენზორის ინსტიტუტი XIX საუკუნის 50-70-იანი წლების გამოცდილების კონტექსტში“, ჟურნალი „სჯანი“, თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია;

ჭუმბურიძე დ., კიკნაძე ვ., ქოქრაშვილი ხ, სარალიძე ლ., (2016), საქართველო- რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, თბილისი: „მერიდიანი“;

ჯაგოდნიშვილი (1986), რაფიელ ერისთავი, თბილისი: „ნაკადული“.

გოჩა კუჭუხიძე
Gocha Kuchukhidze

კავკასიის საცენზურო კომიტეტი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში
(ძირითადი ტენდენციები)[1]

Caucasian Censorship Committee in 80s-90s of the 19th century
(Key Trends)

Annotation

Purpose of the article is to study the key trends characteristic to the Caucasian Censorship Committee in 80s-90s of the 19th century. In our earlier works we have admitted that in the 70s of the mentioned century, in Caucasus, particularly in Georgia, the national policies implemented by the Russian Empire, compared with some other countries included into the Empire was relatively loyal and the strictest measures were oriented mostly against the introduction and dissemination of the revolutionary ideas in the country and from the second half of 80s and 90s, this politics changed and Russian state showed particular care to prevent transformation of the national aspirations into the forms dangerous to it; frequently, national and social issues in Georgian literature are combined, social issues appeared in the art of Georgian writers and national liberty was directly related to the social theories. While in the art of many writers the national and social issues are close to one another, in Georgian literature there can be also noticed that there is some confrontation between the figures that are purely national and those, for whom the revolutionary ideas are closer than the national ones and for the Empire both these directions were unacceptable and in our opinion, this was the key reason of strict measures.

This article is based on less studied archive documents of the Caucasian Censorship Committee preserved at Georgian National Archive. Archive data of the 19th century, materials banned by the censors clearly show that the policies of 70s of the said century dramatically differs from the policies characteristic fort 80s-90s.

At the archive, there is preserved the letter belonging to famous Georgian poet, Akaki Tsereteli; here were also found numerous documents that, regarding the worldview and style, can, very likely, belong to great Georgian national figure, prose writer and poet Ilia Chavchavadze; that are the materials that were intended for publication with newspaper “Iveria”, banned by the Censorship Committee. In the work we offered that maybe,

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალში „ქართული წყაროთმცოდნეობა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, ტ. XXVI, 2024 წ.

these works were not written by Chavchavadze, but as he was the editor in chief of "Iveria", it is clearly assumable that the editor has worked on the mentioned articles and, perhaps, in agreement with the authors, he has edited them; though, there is the article in the archive as well that is written from the first person and contains biographical facts related to Ilia Chavchavadze and hence, there is the need to carefully study these articles, to clarify, whether some of them are authored by Ilia Chavchavadze.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, მე-19 საუკუნე.
Keywords: Caucasian Censorship Committee, 19th century

კავკასიის საცენზურო კომიტეტის XIX საუკუნის 70-იანი და, ნაწილობრივ, 80-იანი წლების დასაწყისის საერთო ტენდენციათა შესახებ საუბრისას (კუჭუხიძე 2022-2023; კუჭუხიძე 2023) ყურადღება იმ გარემოებაზე მქონდა გამახვილებული, რომ ხსენებული პერიოდის საქართველოში სოციალურ თემატიკაზე წერას კრძალავენ, მაგრამ ეროვნული კულტურის აღორძინებაზე ზრუნვას ძალიან არ უშლის ხელს რუსეთის იმპერია; ვორონცოვის დროს აქ გატარებული „დათბობის პოლიტიკა" იმპერიის პოლიტიკის ნაწილია და ქართველი მოღვაწეები სარგებლობენ იმ ხანებში შექმნილი ვითარებით, რითაც ქართული კულტურის აღორძინებას ეწყობა ხელი (რუსეთის პოლიტიკა დაახლოებით მსგავსია სომხეთსა და აზერბაიჯანში; იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ყველა ხალხის მიმართ მკვეთრად განსხვავებულ ეროვნულ პოლიტიკას ატარებს იგი); კავკასიის საცენზურო კომიტეტის საბუთების გაცნობა ცხადჰყოფს, რომ აქ მოღვაწეობენ ადამიანები (დიმიტრი ფურცელაძე /კომიტეტის თავმჯდომარე/, დიმიტრი ბაქრაძე, ივანე ყაითმაზაშვილი და სხვანი), რომლებიც თავიანთ მხრივ ხელს უწყობენ ეროვნული სულისკვეთების ლიტერატურის ბეჭდვას; თუმც, მიუხედავად ვორონცოვისდროინდელი და შემდგომი წლების პოლიტიკის შერბილებისა, ხელისუფლების წარმომადგენელთა სიფრთხილე მაინც ძლიერია, რადგან იმპერია, ცხადია, იმის საშიშროებასაც კარგად ხედავს, რომ ეროვნული კულტურისათვის ზრუნვის დროს, შესაძლოა, ნაციონალიზმის აღორძინებამ და აჯანყების იდეებმა (1832 წლის მსგავსმა მოვლენებმა) იჩინოს აქ თავი; საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დიმიტრი ფურცელაძე (საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ 1875 წლის 6 სექტემბერს დაინიშნა) ცდილობს, მთელ კავკასიაში შეეწყოს ხელი ეროვნულ კულტურათა აღორძინებას, ოღონდ, – ისე, რომ კავკასიის ქვეყანათა ისტორია ობიექტურად იქნას შესწავლილი, – იმგვარად არ დაიწეროს ისტორია, თითქოს საქართველოს მცირე როლი ჰქონდეს შესრულებული კავკასიის პოლიტიკასა თუ კულტურაში. ისტორიის

ობიექტურად შესწავლისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, როგორი ჩანს კომიტეტში მომუშავე არაერთი ადამიანი გარედან და რის შესახებ მეტყველებს ის იმხანად ხშირ შემთხვევაში გასაიდუმლოებული მასალები, რომლებიდანაც შიგნიდან ვხედავთ ამ ადამიანთა მოღვაწეობის მრავალ ნიუანსს. ერთი რამ აუცილებლად არის გასათვალისწინებელი, – ფაქტობრივად ყველაფერი, მცირე გამონაკლისის გარდა, რაც XIX საუკუნის 70-იან და, ცხადია, შემდგომ წლებში ქვეყნდება, იქნება ეს ილიას, აკაკის, ვაჟას, გოგებაშვილის, ყაზბეგისა თუ სხვათა ნაღვაწი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ხელში გადის, მისი ნებართვით იბეჭდება საისტორიო და ეთნოლოგიური გამოკვლევები, ადრეულ პერიოდში ქართულ ენაზე ძნელია სპექტაკლების დადგმა, მაგრამ შემდგომ იდგმება პიესები და, როცა ქართული და, საერთოდ, კავკასიის ქვეყანათა კულტურის აღორძინების ისტორიას ვიკვლევთ, კომიტეტში მომუშავე იმ პატრიოტულად განწყობილი ადამიანების როლი, რაც ხშირად სახელმწიფოსათვის საეჭვო ნაწარმოებთა საზოგადოებამდე „გაპარებასა“ და მათთვის „მწვანე შუქის ანთებაში“ გამოიხატება, არ უნდა დავივიწყოთ; მათი ღვაწლიც იმ ადამიანების გვერდით არის განსახილველი, ვინც უშუალოდ ქმნიდნენ ქართულ კულტურას... ხსენებულ მოღვაწეთა შესახებ ზემოხსენებულ წერილებშია ვრცელი მსჯელობა და ამჯერად აღარ ვისაუბრებ მათზე.

80-იანი წლებიდან პოლიტიკური ვითარება ცვლილებას იწყებს, – ქართულ მწერლობაში ასახული ეროვნული და სოციალური იდეები სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს, რევოლუციური იდეები იჭრება და ძლიერდება მასში და ხსენებულ პერიოდსა და 90-იანებში ამ მიმართებით უფრო და უფრო მკაცრდება საცენზურო კომიტეტი და დიმიტრი ფურცელაძისა თუ დიმიტრი ბაქრაძის მსგავს ადამიანებს ნაკლებადღა აქვთ იქ მუშაობისა და ეროვნულ საქმეთათვის ზრუნვის საშუალება. წმიდად ეროვნულ და რევოლუციურ სულისკვეთებათა ერთმანეთისაგან გარჩევა საკმაოდ რთული საქმეა და კომიტეტი უკვე ეროვნულის მიმართაც იჩენს უნდობლობას (როცა ქართველი მწერლები უკმაყოფილებას გამოხატავენ ამა თუ იმ ცენზორის მიმართ, აუცილებელია გავერკვეთ, – სოციალური საკითხების მომძლავრების საშიშროებას ხომ არ ხედავს ცენზორი რომელიმე მწერლის ნაღვაწში) და იმ ისეთ პატრიოტს, რომელსაც კომიტეტში ხსენებულ წლებში ისევ უხერხდება მუშაობა, საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდება უწევს, რათა „ვერ შენიშნოს“ და დაბეჭდვის უფლება გასცეს იმგვარ ლექსსა თუ მოთხრობაზე, სტატიაზე, რომელშიც, შესაძლოა, საეჭვო რამ შენიშნოს ცენზურამ; საყოველთაოდ არის ცნობილი რაფიელ ერისთავის სიტყვები, რომლებსაც ალექსანდრე ჯაბადარი იგონებს:

„მე არ ვიცი, ცენზორად როდემდე ვიქნები, თუ საეჭვო რამე გვაქვთ დასაბეჭდი ცენზურის მხრივ, საჩქაროდ წარმოადგინეთ ცენზურაში, სანამ აქ ვარო“ (ბიოგრაფიები 2004: 41-42).

რაფიელ ერისთავს „ლმობიერი ცენზორი“ შეარქვეს ლიტერატორებმა.

1883 წლის 30 ივნისს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ მანამდე მთავარი სამმართველოს კანცელარიის გამგედ ნამუშევარი კონსტანტინ იაკიმოვი ინიშნება (480-1-581). მთავარი სამმართველო უშუალოდ მეფისნაცვალს ემორჩილება და, ცხადია, ადრეულ წლებში სასულიერო სემინარიის პროფესორად ნამუშევარი (თუმც, ასევე – მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე ნამსახურევი) დიმიტრი ფურცელაძის ადგილას იაკომივის დანიშვნა პოლიტიკის შეცვლასთანაც იქნებოდა დაკავშირებული. ასეთი ცვლილებისთვის მზადება უფრო ადრეც შეინიშნება, ვთქვათ, – მაშინ, როცა (1881 წ.) ისეთი პიროვნება მოჰყავთ ცენზორად, როგორიც თავისი სიმკაცრით ცნობილი ლუკა ისარლოვია (ისარლიშვილი). 1883 წლის ერთი დოკუმენტიდან (480-1-583) ვგებულობთ, რომ ცენზორები: ისარლოვი და მონასტირცევი საიმპერატორო ჯილდოებზე წარუდგენიათ; როცა გავიხსენებთ, როგორი თავგამოდებით ცდილობდა ლუკა ისარლოვი, სახელმწიფოსათვის თავისი ერთგულება დაენახვებინა, ამ ფაქტიდანაც გასაგები ხდება, ყველასათვის სააშკარაოს რომ ხდიან, როგორ ახალისებენ ისარლოვის მსგავს პირებს. დიდი თანამდებობა არ ეკავა ისარლოვს (უმცროსი ცენზორი იყო და ერთხანს კომიტეტის მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა), მაგრამ, როცა გავიხსენებთ, როგორ უშლიდა იგი ხელს ილიასა და აკაკის, როგორ შეუკვეცა ილია ჭავჭავაძეს „აჩრდილი“, არ დაბეჭდა მისი „მუშა“, „გაზაფხული“, „ელეგია“, ცხადად ჩანს, რომ სოციალური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მოტივების მოძიება იყო მისი ძირითადი მოვალეობა, ეს აშინებდა, და რომ ამიერიდან ასეთ თანამშრომლებს ენთებათ „მწვანე შუქი“ კომიტეტში.

1886 წლის საარქივო მასალების გაცნობიდან ვხედავთ, რომ გაზეთ „თეატრის“ 1886 წლის მე-5 და მე-6 ნომრებში დაბეჭდილა ისეთი ფრაზები, რომლებიც ცენზურის მიერ აკრძალული იყო; ისარლოვის ხელნაწერში ვკითხულობთ:

«В газете “Театр” в статье “сказания Беруа”, бѣрუას ნაამბობი, напечатаны места, запрещнныя цензурою; именно „ვაი-ვაგლახის ცხოვრებისა = бедственной жизни”»... „და შემოჰკრა ქრისტესიას მუშტი“; „კაცი ტირილისაგან ვერ შეიმაგრებდა თავსა“ (480-1-724).

ამ სიტყვების უმეტესობა მართლაც არის ხსენებული ჟურნალის მე-5 ნომერში დაბეჭდილი (თეატრი 1886: 44-47); მასში გადმოცემულია 90 წელს გადაცილებული კაცის ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ უბრძანა ბატონ-ყმობის გადავარდნამდე ბატონმა ღარიბ გლეხ ქრისტესიას, საკუთარი მოსავლის დაბინავებაზე არ ეზრუნა და ბატონისათვის მიეხმარებინა თავისი ხარები, როგორ სცემა იგი ამ ბატონმა, რის შემდეგაც გარდაიცვალა ქრისტესია; ლუკა ისარლოვი უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ხსენებული წინადადებები, აკრძალვის მიუხედავად, მაინც დაიბეჭდა გაზეთში (არადა, ასაკრძალავი არაფერია „ბერუას ნაამბობში“, – მასში უფრო ის არის ნაჩვენები, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნამდე იყო ძნელი ცხოვრება და შემდეგ კი გაიოლდა იგი); ისარლოვი არ იწონებს იმ ფაქტს, რომ ხსენებულ ნომერში

დაბეჭდილია აკაკი წერეთლის ლექსი „მუშური“ (*„ყანაო, მუშის სამოთხევ, გლეხის დიდებავ, ყანაო!“),* უარყოფითად არის განწყობილი ხალხური ლექსის მიმართ, რომელიც არის *„ქართლში შეკრებილი სოსიკოსაგან“* და რომელშიც ნათქვამია: *„წუხელის ვნახე სიზმარი, /შენი ვაჟი-კაცობისა: /ალის ახალუხი გეცვა, /შიგნით მოვი პერანგისა“... „სანადიროთ წასულიყავ, /მტრები გეხოცა ქართლისა“ (*480-1-724); ეს ლექსი „თეატრის“ მე-5 ნომერშია დაბეჭდილი (თეატრი 1886: 50).

„თეატრში“ გამოქვეყნებულია (თეატრი 1886ა: 59) ერთი სახუმარო, თუ პირიქით, – ტრაგი-კომიკული ლექსი: – *„ეთერიანთ ქალი ვიყავ, /ჯეთერიანთ პატარძალი; /ჯორის საძებნელად წაველ, /ხელში დავიჭირე ტარი. /ვენახების ბოლოს ჩაველ, /იქ დამიხვდა რუსის ჯარი. /ერთმა რუსმა დამიჭირა, /თურმე იყო აფიცარი“;* ძნელი სათქმელია, რის თქმა უნდა ამ ლექსის ავტორს, რა დაემართა მასში წარმოდგენილ ქალს, მაგრამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მისი გამოქვეყნების გამო არ გამოხატავს ისარლოვი უკმაყოფილებას, რასაც აქ წარმოდგენილი სხვა ლექსების მიმართ, როგორც ვნახეთ, ვერ ვიტყვით...

საერთოდ, საკმაოდ ბევრი ხალხური ლექსია კომიტეტის არქივებში; გასარკვევია ამ ლექსთა ბედი, უცნობია მიაღწიეს თუ არა მათ მკითხველამდე, ან, თუ მიაღწიეს, რა ვარიანტები არსებობს მათი (მათგან არაერთია ისეთი, მხატვრული თვალსაზრისითაც რომ იმსახურებს ყურადღებას), მაგრამ იმის თქმა უკვე შესაძლებელია, ცალკეული პიროვნებების მიერ რომ მკაცრად კონტროლდება ისინი; „ჩასაფრებული“ ცენზორი ბევრს ისეთს იპოვიდა იმდროინდელ მოღვაწეთა შემოქმედებაში, დამპყრობელის მიმართ უკმაყოფილება რომ არის გაპარებული და აკრძალავდა მათ... მაგ., დიდი გარჯა არ დასჭირდებოდათ იმის მისახვედრად, რომ მინიშნებებითაა დაწერილი ლექსი „პოეტი“, რომელიც დიმ. გრემელის ფსევდონიმითაა ხელმოწერილი (ეს გახლავთ დიმიტრი ჯანაშვილის ფსევდონიმი):

მახსოვს, ერთხელ თვალი მოვკარ
ყარიბ მგოსანს ჩრდილოეთში,
დიდს ქალაქში ქუჩა-ქუჩა
დადიოდა თარით ხელში...
(...)
მე, სამხრეთელს, მომეწონა
სამხრეთელის მგოსნის მღერა...
ნაცნობ გრძნობამ გული იპყრო
და საამოთ ამიძგერა...
(...)
მაგრამ უცხო ხალხის გული
სიმღერამ ვერ მიიზიდა, –
და სულ ყველა ჩრდილოელი
საწყალს მგოსანს გვერდს უვლიდა...

ესე ხვედრი ელის პოეტს,
თუ მაღლიდამ უცქერს ხალხსა, –
და მის კვნესას, ოხვრას, ჭმუნვას
არ ადევნებს ყურს და თვალსა...

თუ ის მელნად არა ხმარობს
ხალხის ცრემლსა და ნაღველსა
და თავის ჰანგს ამსახურებს
პირადს გრძნობებს და სურვილსა...
(...) (480-1-718).

პოეტის დანიშნულებაზე 60-იანელთა, ილიასა და აკაკის, შეხედულების ერთგულია ამ ლექსის ავტორი (აკაკის პირდაპირი გავლენაც ჩანს მასში: *„გულსა მკრა და ამიძგერა“;* – აკაკის „გაზაფხული“); „პოეტი ხალხს რომ უნდა ემსახუროს, ამაზე ვწერო“ – ბოლო სტროფებით ალბათ ამ საშუალებით უნდოდა ლექსის გაპარება დიმიტრი ჯანაშვილს, მაგრამ „ჩრდილოეთის“ ხსენება საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ სხვა სათქმელი დაენახა აქ ცენზორს („ჩრდილოელი“ მაღლიდან უცქერს „სამხრეთელს“) და აეკრძალა ეს ლექსი.

საცენზურო კომიტეტში დაცულ დოკუმენტებს შორის უამრავი ისეთი პიესაა, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია; როგორც 70-იან წლებსა და 80-იანების დასაწყისში, შემდგომაც ძალიან ბევრი დრამატული ნაწარმოები იწერება (უმეტესობა მხოლოდ დადგმის უფლების მოსაპოვებლად იქნება კომიტეტში გაგზავნილი) და მათი შესწავლა ძალზე დიდ დროსა და მუშაობას საჭიროებს; აქ ვხვდებით: დ. მესხის (480-1-1452), კ. მესხის (480-1-1453), კ. ბაქრაძის (480-1-1463) და სხვათა ძალზე ბევრ პიესას, პიესების თარგმანებსა და მათ გადმოქართულებულ ვერსიებს... პიესების მხოლოდ ჩამოთვლაც კი დიდ ადგილს მოითხოვს... გარდა იმისა, რომ ბევრ მათგანს მხატვრული ღირებულება მაღალი აქვს, ისტორიოგრაფიისათვისაც არის საინტერესო და ენათმეცნიერების, ფოლკლორისა და მეცნიერების სხვა სფეროების ასპექტებიდანაც იმსახურებს ყურადღებას; იმდროინდელი იდიომები გვხვდება ამ პიესებში და ესეც საყურადღებოა...

დავუბრუნდეთ ისარლოვის ხელში მოხვედრილ მასალებს, იგი წერს (480-1-724):

„В №6-ой газеты (...) напечатаны слова Запрещенные цензурою, именно в стихотворении Зима, в 5-ом куплете „Вокруг все дремлет, нахождение (სიტყვა მნელად იკითხება; გ. კ.) *всего окружающего порабощено адскою силою“... „запрещено слово адскою“...*

ამ ნომერში, აკრძალვის მიუხედავად, მართლაც დაბეჭდილა ლექსი „ზამთარი“, რომლის ავტორია რ. ალისუბნელი (რაჟდენ ჩიკვაიძე):

მიდამო სთვლემავს, არა რა იძვრის,
ირგვლივ ყველაფერს ჩასძინებია.
მდებარეობა მთლად არე-მარის
ჯოჯოხეთურ ძალს დამონებია.
(თეატრი 1886ა: 57)

ჩანს, პოლიტიკური მინიშნება დაუნახავს აქ ცენზორს. შემდეგ ისარლოვს მოჰყავს სხვა მაგალითიც და ამბობს, რომ ცენზორის შენიშნვები გათვალისწინებული არ იქნა. ლუკა ისარლოვი, ეტყობა, ერთი მხრივ, თავს იზღვევს, აგებინებს ხელმძღვანელებს, რომ თავად შეასრულა მოვალეობა (შესაძლოა, გამოქვეყნებული მასალის შესახებ ანგარიშის წარდგენაც ევალება), მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ კომიტეტის რომელიმე ცენზორს უპირისპირდება, იქნებ – მას, ვისაც ასევე ევალებოდა აკრძალულ სიტყვებზე პასუხისგება და არ შეასრულა მოვალეობა; ამგვარი საქციელით იქნებ თანამშრომელთა სისუსტისა და თავისი სიმტკიცის წარმოჩენასაც ცდილობს.

როგორც ვხედავთ, ისარლოვი არ იწონებს ნაწარმოებებს, რომლებშიც ქვეყანაში შექმნილ სოციალურ გაჭირვებაზე წერენ და ეროვნულ-გამათავისუფლებელ და რევოლუციურ სულისკვეთებასაც უახლოვდება. ვერ ვიტყვით, კერძოდ ვინ აკრძალა, მაგრამ 1888 წელს აკრძალულ მასალებს შორის არის მოქცეული დიმიტრი მაჩხანელის ლექსი *(„მთასა დიდს, მაღალს, ტყიანსა /მგელკაცს გაქონდა ღრიალი, /წაველ და დედა ვუტირე, /ჰარალო, თარელ თურალი“)* (480-1-865); ივანე ქავ-ძის (ივანე ქავჭარაძის) ირონიული ლექსი *(„დიდის ტანჯვით გავისტუმრეთ, /გუშინ ძველი დეკემბერი – /და ახალს წელს კრძალვით ველი, /სათხოვარი მაქვს მე ბევრი: /მას ვსთხოვ – ტანჯვა მოგვიმატოს, /თან წაიღოს სიხარული, /შური-მტრობა ჩვენ გვაჩუქოს, /მოგვაშოროს სიყვარული.(...) ლიტერატორთ რიცხვსა უკლოს /და უმატოს უქმ-მჭამლებთა, /მამა შვილსა გადემტეროს, /ამუსვრინოს ძმები ძმებსა. /მაგრამ უფრო ამას ვსთხოვ – სულ წაგვართვას თვით უფლება, /მონებაა ჩვენი სატრფო, /უიმისოდ გული კვდება“)* (480-1-801; 1887 წ.); აქვე დაცული, 1880 წლის 10 ივნისს დაწერილი, 6-სტროფიანი ლექსი, რომლის ავტორი დასადგენია *(„ქართლის ბედი დაიბურდა, /ყური უგდევით კვნესასა, /ოსტატნი ეუბნებიან / – ჩემი გერჩიოს შენსასა“...).*

ლუკა ისარლოვი 1881 წლის პირველ დეკემბერს მივიდა კომიტეტში სამუშაოდ და 1888 წელს გათავისუფლდა. არქივის ერთ-ერთ საქაღალდეში შემონახულია საბუთი (480-1-914), რომლიდანაც ირკვევა, რომ უმცროს ცენზორ ისარლოვს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის თვითონ უთხოვია პენსიაზე გასვლის ნებართვა და მისთვის წელიწადში 1000 რუბლი დაუნიშნავთ პენსია. ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ, როგორც ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს „სტატსკი სოვეტნიკი“, იგი მანამდეც იღებდა პენსიას – წელიწადში 423 რუბლსა და 85 კოპეიკს; კომიტეტში ისარლოვის თხოვნის საფუძველზე გაგზავნილ წერილში აღნიშნულია,

რომ, 1876 წლის 355-ე და 497-ე მუხლების თანახმად, თუ 19 წელი არ უმსახურია პიროვნებას კომიტეტში, ამ ოდენობის პენსიის დანიშნვა დაუშვებელია, მაგრამ ისარლოვის პატიოსნებას და ასაკს პატივს ვცემთ და გთხოვთ, დაუნიშნოთ ასეთი რაოდენობის პენსიაო; კომიტეტის თავმჯდომარე საპასუხოდ იწერება, რომ 1889 წლის 23 იანვრიდან ისარლოვს დაენიშნა პენსია – 1000 რუბლი. საქმეებში ინახება დოკუმენტი 1888 წლისა (480-1-915), რომლიდანაც ირკვევა, რომ პენსიაზე გასული ისარლოვი „რაფაელ ერისტოვს“ შეუცვლია (რაფიელ ერისთავი). საყურადღებოა ამავე საქაღალდეში დაცული ერთ-ერთ დოკუმენტი, რომელსაც აწერია „Конфиденциально“ და რომლიდანაც ირკვევა, რომ რაფიელ ერისთავისათვის ცენზორად დანიშვნის შუამდგომლობა თავად „ბაგრატიონ-მუხრანკის“ გაუწევია...

საცენზურო კომიტეტის ფონდში (480-1-1419; 1897 წ.) დაცულია კრებულ „Кавказская жизнь“-ში გამოქვეყნების ნებართვისათვის კომიტეტში გაგზავნილი ანაბეჭდი, – რუსულენოვანი სტატია, რომლის სათუარია *„Григорий Арцруни и т-г Кутюль – Грузинофоб;* სათაურის ქვემოთ აღნიშნულია, რომ ეს არის *„Краткое извлечение, в точном переводе из грузинской газеты „Иверия“ за 1877“;* იქვეა ინიციალები: *„Ш. Д.“.*

სტატიას წამძღვარებული აქვს გრიგოლ ორბელიანის ლექსის („სხვა საქართველო სად არის“...) რუსული თარგმანი.

„Где Грузия другая? В какой иной стране гостеприимнее народ, отважнее, преданый земле родной. Черные дни не изменили ею стального сердца. Все также он энергичен и песней борется со зладейкой – судьбой“.

ლექსის ავტორად თარგმანის ბოლოში შეცდომით მიწერილია *„Кн. А. Чавчаваде“*; ხსენებული რუსულენოვანი სტატიის ავტორის ვინაობა ასეთ ფსევდონიმშია მიმალულია, – *Senex* („მოხუცი კაცი“; ლათ.).

ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის“ მონათესავე ეს რუსულენოვანი სტატია ასევე აუკრძალავთ, – კომიტეტის საცენზურო ტიტულზე მიწერილია:

„(...) в виду того, что статья лишь может служить на стремительную повестку(,) напечатание воспретить“.

ხელს კომიტეტის თავმჯდომარე და ამ კომიტეტის მდივანი აწერენ; მდივანი – სოლომონ მელიქ-მეგრაბოვი კავკასის საქმეთა სპეციალისტი იყო და საფიქრებელია, რომ ეს სტატიაც უშუალოდ მან განიხილა.

ცხადია, თვალში საცემია, რომ „ივერიაში“ დაბეჭდილ ქართულ ტექსტს ლექსი არ აქვს წამძღვარებული. Senex-ის (ორიგინალში – ვაკელის) ფსევდონიმით დაწერილი და ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“ კუტულის ერთი წერილის შინაარსს გადმოგვცემს და ბუნებრივია, რომ სიახლოვე მათ შორის დიდია (ვაკელი: *„კუტულის მოჰწონს მშვენიერნი სომეხთ მოსწავლე ქალების თვალები, თუმცა მათის სახის სილამაზეზე კი ბოდიშს იხდის, უკაცრავოთაო“;* „ქვათა ღაღადი“: *„კუტული ქებით იხსენიებს მშვენიერ თვალებს სომხის მოსწავლე ქალებისას, თუმცა სახის ერთობ სილამაზეზე-კი ბოდიშს იხდის, უკაცრაოდაო“;* ვაკელი: *„ხანდისხან კი ჰსჩივის უფ. კუტული, რომ ეს არის იმ გვარ შექცევისაგან დავბრუნდიო, და კალამისათვის ვერ მომიკიდია ხელიო, ასრე არეული მაქვს ჰაზრებიო“;* „ქვათა ღაღადი“: *„კუტული სჩივის, ერთ ამისთანა ლხინიდამ ისე შეზარხოშებული დავბრუნდი შინაო, რომ კალმისათვსი ვერ მომიკიდნია ხელი, ისე ამიერია თავში აზრებიო“*...); უფრო საყურადღებო ის არის, რომ კუტულის წერილთან დამოკიდებულებაში, ავტორისეულ კომენტარებში, გვხვდება თანხვედრა, – ვაკელის სახელით ხელმოწერილ წერილში თუ იმას წუხს ავტორი, რომ ქართველი გენერლები არ უხსენებია კუტულისთვის არწრუნს, „ქვათა ღაღადშიც“, მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატიონი და ანდრონიკაშვილი არიან ნახსენები, ეროვნული თავმდაბლობის გამო მაინც არ არიან ჩამოთვლილნი სხვა ღირსეული გენერლები; ილია ჭავჭავაძე ჩოლოქსა და ქართველთა სხვა გმირულ ბრძოლათა ადგილებს ახსენებს და ჩოლოქი (ჩოლოყი) ვაკელის სახელით გამოქვეყნებულ წერილშიცაა დასახელებული. ჩვენ ცენზურის კომიტეტში გაგზავნილი და მანამდე „მნათობში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორის ვინაობაზე ახალი აზრის გამოთქმას *საკითხის საგანგებოდ შესწავლამდე* არ ვაპირებთ, უეჭველად ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „მნათობისა“ და კომიტეტში შემონახული წერილები ილია ჭავჭავაძის ხელშია გავლილი და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ, როგორც რედაქტორს, თავისი ხელი დაეტყო ილიას მათთვის... აქვე დავძენ: *საყურადღებოა, რომ ცენზურის მიერ Senex-ის რუსულენოვანი*


По журналу Цензурнаго Комитета 28 Окт. 97
определено: въ виду того, что [illegible]
напечатаніе воспретить
Председатель Комитета [illegible]
Секретарь [illegible]

კავკასიის საცენზურო კომიტეტის უარი Senex-ის წერილის დაბეჭდვის შესახებ

წერილის აკრძალვის შემდეგ ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის“ რუსული თარგმანი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (ჭავჭავაძე 1902)... ხსენებული ფაქტები ერთმანეთთან ჩანს დაკავშირებული და ყველა ეს საკითხი საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

ილია ჭავჭავაძის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული საქაღალდე 480-1-1475-ში *(«О запрещенных по постановлению Кавказского цензурного комитета к напечатанию статьях для газеты „Иверия“»)* მოთავსებული მასალები 1898 წლისა. მასალების ნაწილი მთლიანად არ არის შემორჩენილი, ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე ფურცელი გვხვდება ამა თუ იმ წერილისა.

ი. კახელის (ილია ზარაფიშვილის?) ფსევდონიმით დაწერილ და „ივერიისათვის“ ცენზურის მიერ აკრძალულ მასალაში ვკითხულობთ:

„ვერ იქნა, ვერ გამოცხვა ხალხის ბედის კვერი და ვერ ამოჩუხჩუხდა ღარიბების ბედის წყარო! მაგრამ საიდან და როგორ ელირსება ჩვენი გლეხ-კაცობა ამ ბედნიერებას, როცა ცხოვრების ხაბაზნი და ბედის წყაროს მეურვენი ვითომ-და თავისის თანამდებობის ერთგულებით რაც შეუძლიათ, თონეს ცეცხლს და წყაროს, ქვა ღერღს აყრიან, ისედაც მშიერსა და მაშვრალს ხალხს ერთი ორად უძნელებენ სიცოცხლეს“...

ი. კახელი შემდეგ *სასამართლოს საქმეების ზუსტი მონაცემების* ცოდნით გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, რომ *„წარსულს წელს უკანასკნელ თვეში თიანეთის სასამართლოში გაირჩა ორმოც-და ხუთზე მეტი საქმე გლეხობის მიერ სატყეო დებულების დარღვევის შესახებ“*, რომ გლეხები ხის უკანონო ჭრის ბრალდებით დააჯარიმეს, დაწვრილებით გვიამბობს ამბავს იმის შესაებ, თუ როგორ უკანონოდ გადაახდევინეს ერთ გლეხს ჯარიმა ხის მოჭრის გამო, რომლის მოსაჭრელადაც უკვე გადახდილი ჰქონდა ფული...

ხსენებულ საქაღალდეში (480-1-1475) შემონახულია ასეთი ცნობა:

„ერთ სტამბოლელ სომეხს, ხელობით მეჩექმეს ს. ბ-იანყას, ჰყავს სახლში მოსამსახურედ 10 წლის სოფლელი ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ესმის თავისის სარწმუნოების ძალა. ამით უსარგებლნია ამ ბატონს და ეს ქალი ყოველ დღე სომხის ეკლესიაში დაჰყავს და სომხის ეკლესიაშივე უზიარებია კიდეც. აგრეთვე ასწავლიან სომხურს ლოცვებს და სცდილობენ ქართული დაავიწყონ“...

შემდეგ წერია, რომ, თუ სიმართლეა ეს ამბავი, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს იგი.

1898 წლის საქაღალდის ფურცლებს შორის არის წერილი, რომელშიც ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თელავის მოსწავლეები იუბილეს უხდიან „აბელას“ და ერეკლე მეფე კი, ვინც აქ სხვა ეროვნების ხალხი დაასახლა, დავიწყებიათ; მე არ მდომებია იუბილეს გადახდა, მაგრამ მეფე ერეკლეს პანაშვიდის გადახდაც არ გახსენებიათო; აი, ამონარიდები წერილის შემორჩენილი ნაწი-

ლიდან (სათაური – *„მართალი თუ გნებავთ, ეს* არის“; ანაბეჭდში გაპარული კორექტურული შეცდომები ჩვენი გასწორებულია):

«უმრავლესობა დღესაც პატივით და თაყვანისცემით იგონებს ერეკლეს სახელს (...). მე არ ვიცი, ვინ გამოაცხადა სომხურს გაზეთებში, რომ 8 თებერვალს თელავის საზოგადოებას სურს, აბელას იუბილე გადაუხადოსო, არც ის ვიცი, რას ნიშნავს სიტყვა „საზოგადოება“, ის კი ძალიან კარგად ვიცი, რომ ხან ამ სიტყვით აღნიშნავენ ხოლმე ორ ან სამ პირს (...) და (...) რომ მეცა, რომელსაც სიზმრადაც არ მზმანებია იუბილე, საზოგადოებაში ურევივარ და ჩემისთანები ათასია».

კომიტეტში გაგზავნილ საქაღალდეებში გვხვდება ისეთი ფრაზები, ილიას სტილს რომ გვაგონებს და ეს ფაქტები, გარდა იმისა, რომ, შესაძლოა, რედაქტორის მიერ ავტორისთვის თავისი აზრების (ან წერილში ამა თუ იმ წინადადების ჩართვის) შეთავაზებამ გამოიწვია, *თუკი ზოგიერთი წერილი თავად ილიას არ ეკუთვნის,* შეიძლება იმით აიხსნას, რომ ავტორები წერენ ილიას მიბაძვით და ერთერთი მათგანი საკუთარ თავს გულისხმობს პირველ პირში წერისას; ამა თუ იმ წერილის ავტორობასთან დაკავშირებული საკითხის ნათელსაყოფად არაერთი მოღვაწის სხვადასხვა გამოცემაში უკვე გამოქვეყნებული წერილების მოძიება და *მათი პირადი ბიოგრაფიების გათვალისწინება იქნება აუცილებელი...*

„ცნობის ფურცელში“ დასაბეჭდად გამზადებულ და 1898 წელს აკრძალულ მასალათა შორის არის ნაშრომები (480-1-1474), რომლებიც არასწორად დაუბეჭდავთ (არის შემთხვევა, როცა ერთ ფურცელზე სხვადასხვა წერილია გადაბმულად აწყობილი); საქაღალდის გარეკანზე ჩვენთვის უცნობ პიროვნებას შემდეგ (ჩანს, – მოგვიანო ხანაში, – საბჭოთა პერიოდში) მიუწერია: *„ი. ჭავჭავაძის იუბილეს გადადების გამო“;* ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ:

„აბა მიბრძანეთ ერთი, რა თავისთვის, ან საზოგადოებისთვის გამოსადეგად ატარებს ბევნი ჩვენთაგანი დროს, რომ ის ღირსი იყოს მილოცვისა. დიახ, დალოცვილს ჩვენს საქართველოს ისე ცოტა მოღვაწე ჰყავს, როგორც თავისთვის, აგრეთვე საზოგადოებისთვის, იმდენი მოღალატე ჰყავს თავის წინაპართა ანდერძებისა, რომ მათი ხანგრძლივი ამ ნაირი სიცოცხლე იქნება საწამლავი მომავალი შთამომავლობისა (...). გავიხედოთ ერთი უკან და ანგარიში მივსცეთ ჩვენს თავს, – რა მოგვიტანა წარსულმა 1897 წელმა, აი რა: შურიანობა, ორგულობა, ორპირობა, კაცთა კვლა, ქურდობა და ავაზაკობა, ფლანგვა, სიზარმაცე, სიღატაკე, სიცრუე და ამასთან ამპარტავნება (...). ეხლანდელ დროში, არამცთუ მემამულეებმა, არამედ სასოფლო სკოლის მოწაფეებმაც კი შეიტყვეს, რომ სადღაც რუსეთში არსებობს სახელმწიფო ბანკი, რომელიც ღებულობს მამულებს და ბოლომდე ფულს აძლევს. გამოელვიძა ყველას, ვისაც მამა-პაპის ოფლითა და მწუხარებით შეძენილი მამულები უშრომელად ხელში ჩაუვარდა, ვალში ვარდება, რომ ამ დალოცვილ ბანკს მიწა-წყალი და სახლ-კარი მალე ჩააბაროს. ღებულობს ათი და ასი ათასობით ფულებს და შემდეგ, რადგანაც სოფლის ჰაერს ვერ იტანს, სოფლის პური და მჭადი კუჭს

უფუჭებს, ყურძნის წმინდა წვენი თავს ვერ ერევა და რადგანაც რა(იმე) ავადმყოფობას ამჩნევს თავს, ჰქირაობს სასტუმროს რამდენიმე ნომერს“...

ამავე საქაღალდეში გვხვდება ანაბეჭდი, რომელშიც წერია:

„მოკეთეს პირში უძრახეო“ ნათქვამია, და მისთვის, იმედია, მომიტევებთ, თუ რამ ამ გაასში საწყენი წამომცდა. რა საჭიროა პოლიტიკა, პირ-მოფერება. მერწმუნეთ, ვინც ჩვენს ნაკლულოვანებას არ შეგვნიშნავს, ის ჩვენი მტერია და ის ღირსი არ არის სიყვარულისა და პატივისცემისა, განა რომელი მამაა ან ძმა, რომელიც თავის სისხლსა და ხორცს არ შენიშნავს მის ნაკლულოვანებას, რომელს მამას არ ეტკინება გული, რომლის შვილიც იღუპება, უმჯობესია ჩემმა გამასწოროს, ჩემმა მაძაგოს, ვიდრე უცნობმა და გარეშემ დამცინოს“...

სხვა საქაღალდეში (480-1-724) დაცულია კომიტეტში 1886 წელს გაგზავნილი წერილი, რომლიდანაც („მთიულის“ ფსევდონიმით დაწერილში) პირდაპირ ვხედავთ, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი „ივერია“ არის გაკრიტიკებული (ეს წერილიც იმ საქაღალდეშია მოთავსებული, რომელსაც გარეკანზე არქივარიუსის მიერ მიწერილი აქვს: *«О докладе цензора Исарлова о напечатании топографией Меликова в №5 и 6 газеты „Театр“ мест, не дозволенных цензурой в корректурных листах»;* თუ ხსენებული წერილიც ისარლიშვილის მიერ არის აკრძალული, ამ შემთხვევაში ოდნავ სხვა კუთხით ჩნდება იგი); სტატიის ავტორი ირონიით წერს იმის შესახებ, რომ *„ზოგიერთ პატრიოტთა მხურვალე ფანტაზია იქამდე მიდის, რომ ამტკიცებენ, ვითომც იბერნი, ადამზეც უწინარეს შექმნას ღმერთსა“,* რომ ზოგის მტკიცებით, *„იბერნი მაშინვე გაჩნდნენ ქვეყანაზედ, როდესაც ბაბილონის შენებისათვის ღმერთმა ენები აურია და ხალხი აქეთ-იქით დაიფანტაო“...* შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველი მართლაც ძველი ერია *(„რა დროს არიან იბერნი გაჩენილნი ქვეყანაზედ, ამ კითხვის გამოკვლევა ჩვენ ძმათა ჯანაშვილებისათვის მიგვინდვია; ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იბერნი ერთი უძველესი ხალხთაგანი არიან და ამ ცოდნას სრულებით ვსჯერდებით“);* შემდეგ იწყება ილიასა და „ივერიის“ ძაგება: *«არც ახალ წელიწადს ღამეს დაბადებული ყმაწვილი, რომელსაც ილიამ ჰრქვა „ივერია“, გახლავთ ახალი, ამას ეხლა, როგორც ჩვენი პოეტი ამბობს: „და აღზდგა შენი ივერი /ფენიქსებრ განახლებული“?, ისე მოუვიდა, თორემ მიმრქმელმა ილიამ დიდი ხანია, რაც დაბადა ამ სახელით ქართული გამოცემა»...* შემდეგ წერია, რომ გაზეთს მკითხველი არ ჰყავდა, რომ ნიკო ნიკოლაძემ მკაცრად გააკრიტიკა მისი არქაული ენა, რომ მკითხველის ნაკლებობა ილია ჭავჭავაძემ იმითი ახსნა, რომ *„ქართველს კაცს კვირაობით ბაღებში ქეიფი უყვარს და საკითხავად არა სცალიაო“;* ავტორი წერს, რომ ამის გამო *«საკვირაო გაზეთი ყოველ-თვიურ ჟურნალად გადააქციეს“, „ხმები ისმოდა, რომ ჭავჭავაძე მთლად მოსპობას უპირებს ჟურნალსაც, მაგრამ ზედ მოუსწრო „დროების“ მოსპობამ და ყოველ დღიური გაზეთის კითხვას შეჩვეული ქართული საზოგადოება უსაზრდოვოთ დარჩა, ამ შემთხვევაში ისარგებლა ჟურნალის რედაქტორმა და სასიკვდილოდ გამზადებული გამოცემა განახლდა».*

როგორც ვხედავთ, ავტორი არა მხოლოდ საქართველოს ისტორიას, ილიას, არამედ მოსე ჯანაშვილსა და სხვა ისტორიკოსებსაც ირონიით უყურებს (საქართველო ახალშობილ იესოსთან, ილია ჭავჭავაძე კი ილია მიმრქმელად არის წოდებული; გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: *„შენი ივერი /აღსდგეს ძლიერი“* არასწორად არის ციტირებული და არასწორ კონტექსტშია წარმოჩენილი); ილია ჭავჭავაძეს, მის „ივერიას“ საქართველოს ისტორიის „დაძველება“, ფანსტასტიკა რომ არ სჩვეოდა, ამას მტკიცებაც არ სჭირდება და, სანამ სხვა წერილში ავტორის ვინაობას დავაზუსტებდეთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ის ადამიანია, რომლისთვისაც იმხანად უფრო სოციალური თეორიებია მთავარი, რაც ასევე მიუღებელი იყო სახელმწიფოსთვის...

ერთ-ერთ საქაღალდეში (480-1-1475; 1898 წ.) ყურადღებას იქცევს „ფელეტონი“, რომელიც „ივერიაში“ უნდა დაბეჭდილიყო და რომელსაც ჰქვია: „მოკლე ამბავი ყაჩაღის ცხოვრებიდგან“ (ავტორი არ არის მითითებული); აქვეა *მ. ფარცხნალის* ფსევდონიმით (სოფ. *ფარცხნალი* უნდა იგულისხმეობდეს) დაწერილი წერილის ფრაგმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხონის სემინარიაში არისტო ქუთათელაძის მოღვაწეობის დროს დიდი ყურადღება ექცეოდა *„ქართულს გრამატიკას, საქართველო ისტორიას ვრცლად“:*

«არჩევდნენ ჩვენი საუკეთესო მწერლების თხუზულებებს. მაგალითად გარათაშვილის თხუზულებას, ორბელიანისას, „კაცია ადამიანს“, აკაკის ლექსებს მოსწავლენი გატაცებით კითხულობდნენ და სწავლობდნენ ზეპირად, ერთის სიტყვით, ამ დროს სემინარიაში ქართულის ენის კათედრა არსებობდა»;

აღნიშნულია, რომ ქუთათელაძის წასვლის შემდეგ:

„ქართული ენის სწავლა მარტო დედა-ენამდე დაიყვანეს, გაჰქრა ხსენება ქართული სიტყვიერებისა, საქართველოს ისტორიისა და გრამატიკისაც. არამცთუ ქართველ მწერლების ნაწარმოებების კითხვა, არამედ ქართული გაზეთის კითხვაც-კი შეუძლებელი შეიქმნა, ქართულს ენას ალუკ ჩალუკად დაუწყეს ყურება“...

შემდეგ გამოთქმულია იმედი, რომ ეროვნულ საქმეს ხონში არისტო ქუთათელაძის მოსწავლე ტ. თაბუკაშვილი (ჩანს, *ტრიფონ თაბუკაშვილი* იგულისხმება) გამოასწორებს.

480-1-1411-ე (1897 წ.) საქაღალდეში „კვალსა“ და „ჯეჯილში“ დასაბეჭდად გამზადებული და აკრძალული სტატიებია თავმოყრილი; „ვინმე აზნაური“ წერს, რომ 1896 წლის 19 ნოემბერს *„ზუგდიდიდან გზა(დ) მომავალმა გ-ნმა ოლქის ინსპექტორმა ზავადსკიმ დაათვალიერა სოფელი ხელი“;* მისთვის თარჯიმნის საშუალებით მიუმართავთ: – *„ჩვენს შვილებს საღმრთო წერილისა და და სარწმუნოებისა მეტათ ბუნდი წარმოდგენა აქვთო; ამიტომ გთხოვთ, ჩვენ სამშობლო ენას, ქართულს, ნება-დართოთ სკოლებში და საღმრთო წერილი, როგორც რუსულათ, ისე ქართულათ ასწავლოთ“*, ზავადსკიმ თურმე *„თავაზიანად უთხრა მთხოვნელებს“:*

„სამურზაყანოელები ხომ თქვენი მოძმეები არიანო, და იმათ სამრევლო სკოლებშიც ქართულს ენას არ ასწავლიანო, ეს რომ სარწმუნოებას აკლებდეს, უწმინდესი სინოდი არც კი ინებებდა ამასო და თქვენთვის, მეგრელებისთვი(ს), მაინც ქართული ენა ისეთია, როგორც ლათინური“.

„ამაზე რა პასუხს მისცემდნენ!“ – ასე ასრულებს წერილს „ვინმე აზნაური“; გასაგებია, რომ კუთხური დაყოფის პოლიტიკას ემსახურება ეს ზავადსკი და იმდენად შორს მიდის, რომ „სამურზაყანოელებს“ მეგრელების „მოძმეებად“ იხსენიებს.

მარი ფალავანდიშვილის წერილი (480-1-1411), ჩანს, „ჯეჯილში“ დაბეჭდვის უფლებისათვის გაუგზავნიათ კომიტეტში; ავტორი წერს, რომ აღარც მშობლები და აღარც სკოლები აღარ ზრუნავენ, ქართულად რომ მიიღონ ბავშვებმა განათლება, რომ უცხო ენების სწავლებაზე აქვთ ძირითადი ყურადღება გადატანილი, სკოლებშიც *„განდევნილია სამშობლო ენის საშვალებლით ბავშის გონების განვითარება და რა მიახწევს ყმაწვილი მესამე-მეოთხე კლასამდის, გონება სუსტდება და ველარ განაგრძობს სწავლას“...*

1898 წლის ერთ-ერთი მასალიდან (480-1-147) ვგებულობთ, რომ *„ოდესმე მდიდარი მცხეთის საპატრიარქო ტაძარი დიდად სამწუხარო მდგომარეობაშია და თუმცა მოხდა განსაახლებლად ფულის შეკრება მთელს რუსეთში, აგერ მეორე წელიწადია (...), მისი შეკეთება-განახლება ჯერ კიდევ არ დაიწყო“,* რომ *„ხობის მონასტრის ტაძარიც, რომელშიც დაცულია ქრისტიანე ერის ერთი უდიდესი სიწმინდეთაგანი, ინგრევა“;* წერია, რომ ახტალის მონასტერში 1825 წლამდე ახტალის მიტროპოლიტები ცხოვრობდნენ, რომ ეს მონასტერი 1826 წელს ყოფილმა ეგზარხოსმა გააუქმა, რომ საფარისა და ზარზმის მონასტრები დათმობილი აქვთ *„ათონის რუს ბერებს, რომელთაც ღვთის მსახურება სლავიანურს ენაზედ შემოიღეს“,* რომ *„ქართველნი ბერნი გარბიან ათონს, ივერიის უდაბნოში, სადაც მათ იძულებულს არ ჰყოფენ ღვთის მსახურების გარდახდას სლავიანურსა და ბერძნულ ენებზედ“;* საყურადღებოა ცნობა, რომ *„იქ ამ ჟამად ქართველი ბერი 60-მდე იქნება“;* სტატიის თანახმად, იმ საბაბით, რომ ხალხი ეკლესიაში არ დადის (სტატიის ავტორი ლიტურგიაში სლავური ენის შემოღებით ხსნის ამ ფაქტს) *„სამღვდელოების უზრუნველ-საყოფად“* 800-მდე ტაძარი და 15-მდე მონასტერი გააუქმეს, რომ ეგზარხოს ვლადიმერის სურვილი ყოფილა, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიების ან შეერთება, ან იმერეთის ეპარქიაში გაერთიანება და ის, რომ *„ეპისკოპოსად რუსი (...) ყოფილიყო დანიშნული“,* რომ, რაც გაბრიელ ქიქოძე გარდაიცვალა, იმერეთის ეპარქია *„აგერ უკვე ორს წელიწადზედ მეტია, დაქვრივებულია და ბევრი მეცადინეობა დასჭირდება ახალს ექსარქოსს, რომ დაამშვიდოს ათასის სახით მოფენილ ხმათაგან აღშფოთებული ქართველი სამწყსო“;* ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ახალ ეგზარხოსად ფლაბიანეს დანიშვნის შემდეგ იმერეთის კათედრა ქართველ ეპისკოპოსს გადაეცემა, რომ *„საარქიელო კათედრა, რომელიც ფრიად ჰაერმავნე და ციებ-ცხელებიანს – ქ. ფოთში იმყოფება, ჭყონდიდ-მარტვილში“* იქნება გადატანი-

ლი და აღდგება გურიის ეპარქია; აღნიშნულია, რომ *„აგერ უკვე ხუთი წელიწადია, რაც სუხუმის ეპარქიის სამეგრელოს ეკლესიებში ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვა აღკრძალულია“;* ბოლოს კი ავტორი წერს, რომ *„რუსულმა საეკლესიო წესებმა ვერ მოიკიდა ფესვი ქართველთ ეკკლესიებში“,* რომ ამ წესებმა *„მხოლოდ განაძლიერა სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესია, რომელიც იმდენად ჰყვავის, რომ ცოტ-ცოტა ხელთ იგდებს უკვე დაცალიერებულ და გედის ანაბარად მიტოვებულ ქართველთა ძველის-ძველ მონასტრებსა და ეკკლესიებს“*.

ამავე საქაღალდეში მოთავსებულია მასალა, რომელშიც ავტორი ოდნავი ირონიით, მაგრამ უფრო გულისტკივილით, წერს:

«სოფ. აგეთი: გედისაგან მოძულებულ აქაურ გლეხობას კიდევ ერთი ახალი ახირებული გეგარა დაედვა ეგრეთ წოდებული „ცოცხის გეგარა“. ეს გეგარა აქაური სოფლის სკოლის მასწავლებლის გამოგონილი გახლავთ. სკოლაში ორასამდე მოსწავლე გავშია; ამათგან 160-მა უკვე მიუტანა მასწავლებელს თითო შეკვრა ცოცხი, დანარჩენი ორმოცი შეგირდი თვალცრემლიანი გაყარეს სკოლიდან. ყველას გვეცა ეს ახალი მოვლენა, ნუ თუ ახალი კანონია გამოცხადებული ამ უცნაური „ცოცხის“ გეგარის შესახებ? საწყალი შაგირდების მშობლები გამწარებულნი არიან და არ იციან, რა მოუგვარონ ამ საქმეს»...

კომიტეტში გადაცემულია ერ. გენძეხაძის (ჩანს, – გაზეთ „კვალის“ აქტიური თანამშრომლის) წერილი (480-1-1411), რომელშიც აღნიშნულია, რომ განჯასთან ახლოს მდებარე სოფელ ბაღმალარში ადგილობრივი „ბეგები“ ეგზეკუციას აწყობენ და საშინელ მდგომარეობაში ამყოფებენ ხალხს... როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ საქართველო, განჯაც შემოსულა ქართველ მოღვაწეთა ყურადღების არეში და ვხედავთ იმასაც, რომ სოციალური საკითხები სულ უფრო იწევს წინ. ჟურნალი „ჯეჯილი“ და გაზეთი „კვალი“ მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, ერთი ეროვნულ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას, მეორე უფრო – სოციალურზე, საცენზურო კომიტეტი კი ეროვნულსაც უკვე უნდობლად უყურებს. ქართველთა შორის კი ეს ორი მიმართულება ხშირ შემთხვევაში ცილდება და უკვე უპირისპირდება კიდეც ერთმანეთს; ხოლო სახელმწიფო ორივეს უპირისპირდება...

განათლების საკითხებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს კომიტეტში 1886 წელს გაზეთ „თეატრიდან“ გაგზავნილი სტატია (480-1-718), რომელიც *ჩივან-თუბნელის* ფსევდონიმით არის დაწერილი (ანაბეჭდ ტექსტზე ხელით, როგორც ჩანს, რედაქციის მიერ მიწერილია *ი. ჯაჯანაშვილი,* რითაც ირკვევა, თუ ვის ეკუთვნია ეს ფსევდონიმი); ავტორი წუხს, რომ ახალგაზრდებს ნამდვილი ცოდნის მიღება აღარ უნდათ და მათი მთავარი მიზანი საზღვარგარეთ იმ საბაბით წასვლაა, ვითომც დაბრუნდებიან და ასე უფრო გამოადგებიან სამშობლოს; არ სჯერა ამისი ავტორს და წერს: *„დარწმუნებული ვარ, რომ რომლებსაც აქ გული აქვთ აცრუებული, ვერც არაფერს იქიდგან გადმოიტანს, რადგან იგი იმოდონათ არ არის კანონიერად განვითარებული, რომ იგი შეიგნოს“*... ხსენებულ გაზეთში საცენზუროდ

გადაცემულია *გაჩანას, შიო მღვიმელის (ამ შემთხვევაში ზაყელის ფსევდონიმი დაუწერია მას* ლექსი, რომელიც, ჩანს, ამ სიტყვების გამო აუკრძალავთ: *„მაინც შევძახებ ქვეყანას, – დაიცა გათენდებაო“*...), მრავალი ავტორის ლექსები...



აკაკი წერეთლის ხელნაწერი, – „აკაკის კრებულის“ გამოცემის ნებართვის მისაღებად საცენზურო კომიტეტში გაგზავნილი თხოვნა

საცენზურო კომიტეტის არქივში აკაკი წერეთლის არაერთი იმდროინდელი ნაშრომია დაცული, რომელსაც წინამდებარე სტატიაში ვეხები (480-1-1458; 480-1-1461; 480-1-1462...). აკაკისა და საცენზურო კომიტეტის ურთიერთობასთან დაკავშირებით არაერთი რამ არის საინტერესო; – მაგ., როგორც ირკვევა, ჟურნალის, გაზეთის ან წიგნის გამოსაცემად ფასის დასადებადაც კომიტეტის ნებართვა იყო საჭირო: აკაკის მიერ კომიტეტში გაგზავნილ თხოვნაში (480-1-1409), რომელიც 1897 წლის 25 თებერვლით არის დათარიღებული, აკაკი საცენზურო კომიტეტს მთავარ სამმართველოსთან შუამდგომლობას სთხოვს *(„прошу Цензурный Комитет ходатайствовать пред Главным Управлением по делам печати“)*, რათა მაქსიმე შარაძის სტამბაში თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ „აკაკის კრებული“ გამოსცეს და წერს, რომ მასში დაბეჭდავს თავის როგორც ძველ, ასევე ახალ ნაწარმოებებს და ხალხური შემოქმედების ნიმუშებს და ფასს 6 რუბლს ადებს (1897 წლის 4 იანვრით დათარიღებულ წერილში იტყობინება, რომ ფასის განსაზღვრისას მხედველობიდან გამორჩა, სხვა ქალაქებში ხელმომწერებთან კრებულის გაგზავნა დამატებით ხარჯებს რომ საჭიროებს და ითხოვს, ნება მისცენ, 7 რუბლად გაყიდოს „კრებული“); პოეტი თავის მისამართსაც დაზუსტებულად უთითებს:

„г. Тифлис.
жительство (...)
Вера, Габаевский пер. д. №4“.

ერთ-ერთ წერილში (480-1-1409) აკაკი ითხოვს ნებართვას, რომ სხვა ავტორთა *მხოლოდ ბელეტრისტული სახის* ნაწარმოებებიც გამოაქვეყნოს:

„(...) Имею честь Всепокоренейше просить Главное Управление по делам печати дозволить мне в издаваемом мною ежемесячном сборнике „Кребули“ иногда помещать и чужия произведения чисто белетристическия, как старых так и новых писателей, а также и критико-библиографическия заметки.

Князь Акакий Ростомович Церетели“

(არქაული რუსული ასოები აქ და სხვა ტექსტებშიც ჩვენი ამოღებულია).

საინტერესოა, რომ პირველ წერილში ის ადგილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ შარაძის სტამბაში გამოიცემა კრებული, ლურჯი ფანქრით არის გახაზული და ბოლო აბზაცს, ჩანს, ცენზორის მიერ ორი ასევე ლურჯი ხაზი აქვს ჩამოსმული; გახაზულია სხვა სიტყვებიც (იხ. წინამდებარე სტატიაზე დართული ფოტო); ერთ-ერთ წერილში აკაკი ითხოვს, რომ ამიერიდან კრებული დეკანოზ ღამბაშიძის (დავით ღამბაშიძე) სტამბაში გამოსცეს და მასზეც ცენზორის წითელი ხაზია გავლებული იმ ადგილას, სადაც წერია, თუ სად უნდა გამოიცეს კრებული; ამ შემთხვევაში ეს ხაზები აკრძალვას არ ნიშნავს, – გამომცემლობასა და ფასზე გაუმახვილებია ცენზორს ყურადღება; ამავე საქაღალდის სხვა დოკუმენტში სამმართველოდან იტყობინებიან, რომ ხსენებული კრებული პერიოდულ გამოცემებს არ მიეკუთვნება და, ამდენად, ცენზურირებას იგი 116-ე სტატიისა და I დადგენილების საფუძველზე უნდა დაექვემდებაროს; ამ საქაღალდის მასალებიდან და „აკაკის კრებულის“ უკვე გამოსული ნომრებიდან ჩანს, რომ თხოვნა ფასის შესახებ დაუკმაყოფილებიათ (აკაკის კრებული 1897: 48...).

აღსანიშნავია, რომ 1897 წლის 27 ივნისს მთავარი სამმართველოდან კომიტეტში მისულია შეტყობინება, რომლის თანახმად, „აკაკის კრებული“ იქ მკაცრად შემოწმებულა *(„было строго проверено“)* და აკრძალულა ლექსი „ვედრება“ („Мольба“)... საქაღალდეში მოთავსებული ეს და სხვა მასალები, აკაკის წერილებზე ცენზორთა მინაწერები, განკარგულებები მომავალში ცალკე ვრცლად შესწავლასა და განხილვას საჭიროებს...

სანამ სხვა საკითხებზე გადავიდოდე, დავუბრუნდები ილია ჭავჭავაძის შესახებ საუბარს და თამაზ ჯოლოგუას გამოკვლევიდან ციტატების მოხმობით ამჯერად უკვე აკაკი წერეთელთან ერთად მოვიხსენიებ ილიას; ავტორს მოჰყავს 1882 წლის 17 აგვისტოს აკაკის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვა:

„ძველადაც, საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავისის თავ-განწირული მამულიშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიც, იმედია, თქვენი შვილები, თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამოურჩებიან. ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი ილია ჭავჭავაძე“ (ჯოლოგუა 2013: 379).

მკვლევარი იხსენებს ილიას ვრცელ წერილს, *«რომლითაც იგი აკაკის 1886 წლის განახლებულ „ივერიასთან“ სათანამშრომლოდ იწვევდა»* (ჯოლოგუა 2013: 379-380) და ასევე აღნიშნავს, რომ:

„ივერიას“ ცენზურასთან ბრძოლაში უხდებოდა მუშაობა. (...) ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ცენზურა არა მარტო დასაბეჭდად გამზადებული ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთის წაშლას ან გადაკეთებას, არამედ მთელი ტექსტის ამოღებას მოითხოვდა“ (ჯოლოგუა 2013: 281);

ამავე ნაშრომში მკვლევარი წერს:

«1890-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ „ივერია“ ფაქტობრივად ახალგაზრდებს გადასცა, იგი არსებითად არც ერეოდა გაზეთის სარედაქციო პოლიტიკაში და მხოლოდ გამომცემლის ფუნქციით შემოიფარგლებოდა» (ჯოლოგუა 2013: 382).

რაც უფრო ვუახლოვდებით მე-20 საუკუნეს, მით უფრო ძლიერდება სოციალურ თემებზე წერის სურვილი. 1900 წლის მასალებში გვხვდება აკრძალული წერილი, რომელშიც მარქსიზმზე დადებითად არის საუბარი, ერთგვარ „პოეზიადაც“ კი არის იგი წარმოდგენილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მეცნიერულად არც სწავლობდა უმეტესობა ამ მიმდინარეობას და გაურკვეველი განახლების იმედით იყო შთაგონებული:

„Медовый месяц марксизма безусловно внес много поэзии в настроении русской публики. Можно сказать, что именно это поэзия, поэзия и надежда, – а не идей, были самым сильным оружием молодого марксизма“ (480-1-1603);

წერილში ქართული პუბლიცისტიკა ჩამორჩენილად არის წარმოდგენილი იმის ბრალდებით, რომ სოციალურ საკითხებს ნაკლებად ეხება.

კომიტეტის არქივში ვხვდებით მასალებს, რომლებიდანაც ვხედავთ, რომ ერიდებიან ისეთი წერილების, ცნობების გამოქვეყნებას, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებში მომხდარ კრიმინალურ შემთხვევებს შეეხება. ცხადია, სურთ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს ქვეყანაში ძირითადად წესრიგია, ამასთან, აკრძალულია პრესაში ჭორების (მე-20 საუკუნიდან გავრცელებული ტერმინით თუ ვიტყვით, – „ყვითელ პრესის“) გავრცელება (ამგვარი პოლიტიკა ადრიდანვე იყო დამახასიათებელი სახელმწიფოსთვის); მაგ., ერთ ფონდში (480-1-727; 1886 წ.) ვხედავთ, რომ მთავარი სამმართველოდან კომიტეტის მიმართ იმის გამოა საყვედური გამოთქმული, რომ დაიბეჭდა მასალა, რომელშიც იტყობინებიან, რომ ერთ-ერთი პოდპოლკოვნიკის სახლში ხანძარი გაჩნდა; მსგავსი მაგალითების მოყვანა სხვაც შეიძლება:

1900 წლის მასალებში გვხვდება, ცნობა იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უმცროსმა მოანგარიშემ უფროს მოანგარიშეს ორჯერ ესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, მსუბუქად დაჭრა იგი, მაგრამ შემდეგ საკუთარ თავს ესროლა ორჯერ და თვითმკვლელობით დაასრულად სიცოცხლე (480-1-1603)...

იკრძალება ისეთი მასალების ბეჭდვა, რომლებში მოყვანილი ფაქტების მართებულობა ოფიციალური ორგანოების მიერ არ არის დადასტურებული; მაგ. „Тифлиский листок“-ის ერთ-ერთ ნომერში უნდა დაბეჭდილიყო ცნობა იმის შესახებ, რომ, როგორც „სოჩიდან“ იტყობინებიან, მოულოდნელად გაუჩინარებულა ამ „ოკრუგის“ უფროსი ა. ს. გლაგოლევი (480-1-1688; 1901 წ.), მომდევნო საქაღალდეში კი (480-1-1689) ფურცლებს შორის გვხვდება იმავე წელს აკრძალული მასალა, რომლის თანახმად, ეკატერინბურგიდან იტყობინებიან, რომ ერთ-ერთ ქალაქში ვაჭარ იაკოვლევს უცვნია სოჭიდან გაქცეული გლაგოლევი, რომელიც თურმე მარცვლეულს ყიდულობდა; ეს ვაჭარი ამბობს, – „გლაგოლევმა ის საბუთები მოიპარა, რომლის საფუძველზე პენსია უნდა დამნიშვნოდაო“; გლაგოლევი ახლა მთავარ „ჰაუპტვახტშია“ დაპატიმრებულიო, – ვკითხულობთ ანაბეჭდში (პირველად დასახელებულ მასალაში *ს. ა.* გლაგოლევია დასახელებული „სოჩის ოკრუგის“ უფროსად, მეორეში იგი მოხსენიებულია როგორც *გ. გ.* გლაგოლევი); უამრავ დოკუმენტს შორის გვხვდება ცნობა (480-1-1688), რომელშიც ნათქვამია, რომ აუქციონის კონტროლიორის ბინაში გარდავლილი იპოვეს 17 წლის ქალიშვილი, რომელსაც გორის ქალთა გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული; აკრძალულია დაბეჭდვა უწყებისა, რომ ტფილისში, მამა დავითის მთის მახლობლად თავი მოიკლა ანტონ კოზლოვმა, რომელმაც დატოვა ბარათი, რათა მის სიკვდილში არავინ დაადანაშაულონ (480-1-1475; 1898 წ.); ამავე მასალებს შორის არის ქართულენოვანი ცნობა იმის შესახებ, რომ გორში, ყაზარმებთან, მოუკლავთ რაზმის კაპიტანი ვარანკოვი; მკვლელი ყოფილა ვინმე ღოღობერიძე, როგორც ჩანს, – ასევე ოფიცერი, რომელსაც ტომარაში ჩაუდია მოკლულის გვამი და ორი ჯარისკაცისთვის უბრძანებია, მტკვარში ჩაეგდოთ ტომარა; ჯარისკაცები მიხვდნენ, ტომარაში გვამი რომ იყო, არ ასრულებდნენ ღოღობერიძის ბრძანებას, მაგრამ დაემუქრა ღოღობერიძე და შეასრულეს ჯარისკაცებმა ბრძანებაო; იქვე წერია: *„ვარანკოვს წვრილი ცოლ-შვილი დარჩენია. ღოღობერიძე წარმოსადეგი ვაჟი კაცია“* (480-1-1475; 1898 წ.); არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ პირის რაიმე თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ არაოფიციალური შეტყობინების შესახებ ცნობის დაბეჭდვას კრძალავენ, მაგ., აკრძალულია ცნობა, რომ ბაქოს ღვთისმეტყველების მასწავლებელი ტფილისის ქალთა გიმნაზიაში, ხოლო ბაქოს რეალური სასწავლებლის მათემატიკის მასწავლებელი ტფილისის ვაჟთა გიმნაზიაში მასწავლებლებად გადაუყვანიათ (480-1-1698; 1901 წ.); შესაძლოა, მიიჩნიეს, რომ უნდა განმარტებულიყო, კერძოდ, რომელი ღვთისმეტყველების მასწავლებელი იყო იგი, ვინც ჯერ ბაქოში მუშაობდა და შემდეგ ტფილისში გადმოიყვანეს სამუშაოდ... უკვე მე-20 საუკუნეს ვეხებით, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ 1901 წლის მასალებში (480-1-892) იკრძალება შემდეგი ცნობების გამოქვეყნება:

„როგორც შევიტყეთ (‘как мы слышали’) კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ინსპექტორმა ე. მ. მამინაშვილმა ახალა თანამდებობა მიიღო“; „როგორც იტყობინებიან“ (‘как сообщают’), ბატონ თხორჟევსკის უფლება მიეცა, დააარ-

სოს ყოველდღიური გაზეთი „არგონავტი“ (480-1-1689); ივან თხორჟევსკიმ 1901 წელს მართლაც დაიწყო „არგონავტის“ გამოცემა, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება აუკრძალავთ, – შესაძლოა, სიტყვები *„как мы слышали“* და *„как сообщают“* არ მოეწონათ, – ოფიციალური წყარო არ არის დაზუსტებული, რაც „ყვითელი პრესის“, დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებას უწყობს ხელს; ამავე საქაღალდის ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ აკრძალულია „Тифлиский листок“-ში გამოქვეყნდეს მასალა, რომლიდანაც იტყობინებიან, რომ სპექტაკლ „Контрабандисты“-ზე დასასწრებად ბილეთები მხოლოდ მათ მიეცემა, ვინც წინასწარ იყო ჩაწერილი; 1898 წელს „Кавказский листок“-ში არ დაუშვიათ ცნობა იმის შესახებ, რომ, – როგორც გადმოგვცეს („Нам передауит“), 1897 წელს ბორჯომის სადგურში ყოფნისას იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნამ უკმაყოფილება გამოუთქვა სადგურის პოლიციის „პრისტავ“ ბალაბანსკისა და სამოქალაქო „პრისტავ“ ხერხეულიძეს იმის გამო, რომ პირველი ბრილიანტებით მოჭედილი საკინძეებით, მეორე კი სახელმწიფო ღერბგამოსახული ოქროს საათითა და ოქროს ძეწკვით იყო დამშვენებულიო (480-1-1479); ამავე გაზეთში დასაბეჭდად გაუგზავნიათ ცნობა, რომელშიც წერია: – *„ყური მოვკარით („Мы слышали“), რომ რომელიღაც არცთუ ძალიან ჭკვიანი ადამიანების ჯგუფმა“ („кружок каких-то не очень умных людей“)* ემილ ზოლას მისწერა, – *„პრომეთეს ქვეყნიდან თავს ვხრით თქვენ წინაშე, რომელსაც ეკლის გვირგვინი დაგედგათ სამართლიანობისათვის ბრძოლის გამო“,* ემილ ზოლასათვის გაგზავნილ ამ სულელურ ტელეგრამაში *(„В этой глупой телеграмме“),* თუ ის მართლა გაგზავნილია *(„если она действительно послана“),* ანარქიზმი და მითოლოგიური არეულობაცაა, – მასში კავკასიის მთაზე მიჯაჭვული პრომეთე არარატის მთაზე მიჯაჭვულად არის წარმოჩენილიო.

1900 წელს (480-1-1602) „Черноморский Вестник“-ისათვის აუკრძალავთ, „Русская мысль“-იდან გადაებეჭდა სტატია გერცენზე, რომელიც მწერლისა და მალვიდა ფონ-მეიზენბერგის ურთიერთობას შეეხება; გერმანელი მწერალი ქალი თავისი ქალიშვილის მასწავლებლად სდომებია გერცენს, მიმოწერა ჰქონია მასთან, ვაჟი ავად მყავს, თვითმკვლელობაზე ვფიქრობ, პოეზია მასულდგუმლებსო – სწერდა თურმე გერცენი ნობელიანტ მწერალს...

კავკასიის საცენზურო კომიტეტზე მაღლა დგას სამხედრო ცენზურა, ამ ფაქტის საილუსტრაციო მაგალითები ადრე შესრულებულ წერილშიც მქონდა მოტანილი (კუჭუხიძე 2022), დამატებით შეიძლება ითქვას, რომ 1891 წელს სამხედრო ცენზურა საყვედურს გამოთქვამს კომიტეტის მიმართ იმის გამო, რომ გასული წლის ნომრებში „Тифлискй листок“-მა სამხედრო ცენზურის ნებართვის გარეშე კავკასიის მსროლელი „დრუჟინის“ შესახებ გამოაქვეყნა ცნობა; საყვედურს იმის გამოც გამოთქვამენ, რომ გაზეთ „Кавказ“-ში (№ 146) კაპელმეისტერ მაშნერის მიერ გამართულ კონცერტზე საუბრისას არ იყო ნათქვამი, შტაბის უფროსის ნებართვით რომ გაიმართა ეს კონცერტი (480-1-914).

მასალათა შორის ძალიან ბევრი დოკუმენტია, მრავალი კუთხით არის იგი შესასწავლი, ამჯერად მეტი საუბრის საშუალება აღარ გვაქვს და სხვა საკითხებზე ცალკე წერილებში იქნება საუბარი საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა:

აკაკის კრებული 1987: აკაკის თვიური ჟურნალი, კრებული ,№1; თფილისი, სტ. მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

ბიოგრაფიები 2004: „ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები“, შემდგენლები: ოლეგ გოლიაძე და ელისო ნიჟარაძე, თბილისი, „ლიტერა“.

თეატრი 1886: თეატრი, საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი; №5.

თეატრი 1886ა: თეატრი, საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი; №6.

ივერია 1877: ივერია, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი; №30.

ივერია 1877ა: ივერია, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი; №31.

კუჭუხიძე 2022-2023: კუჭუხიძე, გ. კავკასიის საცენზურო კომიტეტის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ (XIX ს-ის 70-იანი წლები); – „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა", №3; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კუჭუხიძე 2023: კავკასიის საცენზურო კომიტეტის 70-იანი წლებისა და 80-იანების დასაწყისის ზოგიერთი უცნობი მასალის შესახებ; – „ქართული წყაროთმცოდ-ნეობა“, XXV; ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

ჭავჭავაძე 1902: И. Г. Чавчавадзе, Армянские ученые и вопиющие камни; перевод с грузинкого Н.И. Алексеева-Месхиева; Тифлис, Типография грузинского издательского товарищества.

ჯოლოგუა 2013: ჯოლოგუა, თ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე); თბილისი, „არტანუჯი“.

დოდო ჭუმბურიძე
Dodo Chumburidze

კავკასიის საცენზურო კომიტეტის გადაწყვეტილებათა პოლიტიკური და იდეოლოგიური კონტექსტი[1]

The Political and Ideological Context of the Decisions of the Caucasus Censorship Committee

Annotation

The purpose and activities of the Caucasus Censorship Committee were informed by the political events unfolding both within the empire and internationally, between 1848 and 1917. The censorship policy changed in response to the development of these events. Establishment of the Caucasus Censorship Committee was largely caused by the significant reverberations of the revolutions in the countries of Europe, the Caucasus War, and the uprisings in Georgia, which had been conquered by Russia. The reforms of the 1860s and 1870s, as well as the assassination of the Russian emperor in 1881, brought new emphases, intensifying imperial censorship along with political reactions. The formation of the Triple Alliance – Germany-Austria-Hungary military bloc led to the imposition of strict censorship on artifacts and printed materials coming from these countries into the Russian Empire. Similar developments unfolded in the context of imperial and world events at the turn of the 20th century. Russian censorship particularly harshly targeted the spread of ideologies from the West, actively preventing their influence on the peoples conquered by the empire. These ideologies included socialism, liberalism, constitutional democracy, anarchism, federalism, autonomy, and others. Books and brochures by Western authors that expressed these ideas were pursued, banned, and often destroyed in whole editions, throughout the empire, and especially by the Caucasus Censorship Committee.

A significant part of censorship policy also involved banning printed literature of religious content as well as ecclesiastical objects. The policy was applied not only to other-than-Christian but also to Orthodox Christian literature. Materials about Dukhobors, Old Ritualists, and other sects were removed from newspapers. The laws of the Russian Empire legitimized the persecution against Catholics, as they were considered “spies of Europe.” Literature and artifacts brought into the Caucasus were checked at customs in places like Tbilisi, Batumi, Baku, Julfa, and others. Those who brought in prohibited mate-

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა” № 5, თსუ გამომცემლობა, 2025 წ.

rials, translators, or authors were handed over to law enforcement bodies and often severely punished. For the purpose of illustrating the situation, the article is primarily based on documents attached to the cases of the Caucasus Censorship Committee fund (№480) stored in the National Archives of Georgia.

საკვანძო სიტყვები: საცენზურო კომიტეტი, რუსეთის იმპერია, დემოკრატიული პრესა, ნაციონალური პროექტი;

Keywords: Censorship Committee, Russian Empire, Democratic Press, National Project.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიზანიც და საქმიანობაც დამოკიდებული იყო იმ პოლიტიკურ მოვლენებზე, რომელიც 1848-1917 წლებში როგორც იმპერიის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, ვითარდებოდა. საცენზურო პოლიტიკა იცვლებოდა ამგვარ მოვლენათა განვითარების შესაბამისად. მაგალითად მოვიტანთ მისი შექმნის დროს ევროპაში მიმდინარე რევოლუციებისა და კავკასიაში რუსეთთან გაჩაღებული დიდი ომის ფონზე მკაცრი ფორმით ცენზურის შემოღების აუცილებლობას. ამას ემატებოდა დაპყრობილ საქართველოში მომხდარი აჯანყებების შემდეგ ერში არსებული უკმაყოფილება და ნიჰილიზმი (შარაბიძე, კუჭუხიძე, ჭუმბურიძე, 2023: 24).

60-70-იანი წლების რეფორმებმა, იმპერატორის მკვლელობამ 1881 წელს ახალი აქცენტები შეიტანა და პოლიტიკურ რეაქციათან ერთად იმპერიული ცენზურა გაამძაფრა. გერმანია-ავსტრია-უნგრეთის სამხედრო ბლოკის გაფორმებამ რუსეთის იმპერიაში ამ ქვეყნებიდან შემოსულ არტეფაგებსა და ნაბეჭდ მასალაზე მკაცრი ცენზურის დაწესება გამოიწვია. იგივე მოვლენები ვითარდებოდა მე-20 სუკუნის დასაწყისის იმპერიული და მსოფლიო მოვლენების ფონზე (ჭუმბურიძე, 2024: 376-37).

განსაკუთრებული სიმკაცრით რუსეთის საცენზურო პოლიტიკა ექცეოდა დასავლეთიდან შემოსული იდეოლოგიების გავრცელებას, ყოველნაირად უშლიდა ხელს იმპერიის დაპყრობილ ხალხზე მათი ზეგავლენის მოხდენას. ამ იდეოლოგიებში შედიოდა: სოციალიზმის, ლიბერალიზმის, კონსტიტუციურ-დემოკრატიული, ანარქიზმის, ფედერალიზმის, ავტონომიის და სხვ. იდეები. დასავლელი ავტორების ის წიგნები და ბროშურები, რომლებიც ამ იდეებს გამოხატავდნენ, მთელი იმპერიის მასშტაბით, განსაკუთრებით კი კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ, იდევნებოდა, იკრძალებოდა და ხშირად მთელი ტირაჟით ნადგურდებოდა.

პოლიტიკური სანდოობა

პოლიტიკური სანდოობა განსაზღვრავდა ბეჭდვითი ორგანოს გახსნისა თუ რედაქტორ-გამომცემლის სტატუსის მიღების თაობაზე ნებართვის მიღებას. ეს კარგად ჩანს არა მარტო ცნობილი მოღვაწეებისა და ხელისუფლებასთან კრიტიკულად დამოკიდებული, არამედ ჩვეულებრივი ადამიანების ბიოგრაფიიდან. ამის ბევრი მაგალითია საცენზურო კომიტეტის არქივში დაცულ წყაროებში. ერთ-ერთი ეხება თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის ყოფილი პედაგოგის არტემ გრიგორის ძე ყარაგოზოვის განმეორებით თხოვნასა და ახსნა-განმარტებას მისი ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოსადმი. ყარაგოზოვს სურვილი ჰქონდა თბილისში გამოეცა გაზეთი „ხოსკი“ (სიტყვა) სომხურ ენაზე. ვრცელ წერილში ჩანს, როგორ ცდილობს გაზეთის გახსნაზე უარის მიღების შემდეგ ეს ადამიანი, დაუმტკიცოს საცენზურო ზედამხედველობას, რომ ის სანდო და ქვეყნისთვის სასარგებლო პიროვნებაა. ეს საკმაოდ ვრცელი წერილი ნათლად ავლენს საცენზურო კომიტეტის გავლენისა და ადამიანთა მისადმი მორჩილების მასშტაბს:

„ჩემს თხოვნაზე 1886 წლის 11 დეკემბერს მივიღე წინადადება №8264 ჩემი თხოვნის დამატებად სამმართველოში მიმეტანა დამოწმებული ფორმულარული სიის ასლი ჩემი ნამსახურობის შესახებ. ამის პასუხად, მაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ 1899-1903 წლებში ვიყავი სომხური ენის მასწავლებელი ტფილისის მეორე გიმნაზიაში, მაგრამ რამდენადაც კავკასიის სასწავლო ოლქის სასწავლო დაწესებულებების მიერ ეროვნული ენების მასწავლებლად მუშაობა არ ითვლება მისაღებად, მე მოკლებული ვარ შესაძლებლობას შევასრულო ბეჭდური საქმიანობის მთავარი სამმართველოს მოთხოვნა ზემოთხსენებული ფორმულარული სიის წარდგენის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის ნაცვლად, მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის ხელმძღვანელობისაგან მოცემული მოწმობა. ამასთან მაქვს პატივი, აგიხსნათ, რომ დაგეგმილი გამოცემის განზრახვა არის ჩვენი ძვირფასი სამშობლოს, რუსეთის, გულწრფელი, გულითადი სიყვარული და სურვილი, უმაღლესი რუსული კულტურა და რუსული განათლება გავავრცელო არარუსი (ტუზემეც) მოსახლეობის გულში, განსაკუთრებით, სპარსეთის სამეზობლოში, რათა ის კეთილშობილ რუს ხალხთან ერთად შეგნებულად და უეჭველად, გულწრფელი სიყვარულით, როგორც ოდითგან, დაკავშირებული იყოს უძლიერესი იმპერიის თვითმპყრობელ ტახტთან. დამაკავშირებელი გზების გარდა, ასევე აუცილებელია მრავალეროვანი ხალხების გულწრფელი კეთილგანწყობა ახლადგაჩენილი სავაჭრო საქმიანობისა და რუსეთის ინტერესების მიმართ. ასეთ უშუალო კეთილგანწყობას, მასწავლებლების გარდა, ხელი შეუძლია შეუწყოს კერძო პრესამ. მე რუსეთში დავიბადე, ის ჩემი საყვარელი სამშობლოა, სპეციალური განათლება მივიღე რუსულ სამთავრობო-სასწავლო დაწესებულებაში, სანქტ-პეტერბურგის

სამასწავლებლო ინსტიტუტში. ამიტომ პირად ცხოვრებაში მე დავდიოდი და დავდივარ იმ მიმართულებით, რომლითაც აღმზარდეს ჩემმა ძვირფასმა მასწავლებლებმა და დამრიგებლებმა, სრულიად რუსული სულისკვეთებით. არ მიმაჩნია ზედმეტად იმის მითითებაც, რომ მე მქონდა შესაძლებლობა მემუშავა და დიდი სიყვარული და ერთგულება დამემტკიცებინა სამშობლოსადმი 12-წლიანი მუშაობის შემდეგ თბილისის მეორე ვაჟთა სასწავლებელში, უკვე 10 წელი მაქვს ნამუშევარი კერძო სასწავლებელში, ვატარებ იქ რუსეთის სამთავრობო მიმართულებას.

ჩემი სამართლიანი ლიტერატურული საქმიანობა უნდა ჩაითვალოს ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელებად. მსურს რა ჩემი კალმით დავეხმარო დაბნეულ ბნელ კლასს თავისი ნამდვილი ინტერესების გარკვევაში. მგონია, რომ მხოლოდ ბეჭდური ორგანოს საშუალებით არის შესაძლებელი შთააგონო სწორი აზრები და მკითხველში გააღვივო მოვალეობის გრძნობა რუსეთისა და მისი ხელისუფლების მიმართ. ამგვარად, მჭიდრო კავშირი სკოლასა და ბეჭდურ სიტყვას შორის აშკარაა. როგორც სკოლა, ისე პრესა უნდა შთააგონებდნენ სამართლიანობას, სიმართლის სიყვარულს, ჰუმანიზმს, გაუქროს ველური ინსტიქტები, გაუჩინოს მიდრეკილება პატიოსანი შრომის მიმართ. ზემოთნათქვამის გათვალისწინებით, მე ცენზურისა და ბეჭდვითი სიტყვის წესების 117-ე, 118-ე და 119-ე პარაგრაფების გათვალისწინებით (გამოცემული 1890 წელს), მაქვს პატივი, მოწიწებით ვთხოვო ბეჭდვითი საქმის მთავარ მმართველს, დამრთოს ნება, გამოვცე ზემოთმოთხოვნილი ყოველდღიური გაზეთი „ხოსკ“ (სიტყვა) თბილისში. გაზეთის გამოცემის მთელ პერიოდში მე დავიცავ ზემოთ დასახულ მიზანს და მკაცრად დავემორჩილები ბეჭდურ სიტყვასთან დაკავშირებულ კანონებსა და განკარგულებებს.

პასუხისმგებელი რედაქტორისა და გამომცემლის წოდებას საკუთარ თავზე ვიღებ. საკუთარი გამოცემის ბეჭდვას ვაპირებ კავკასიის მთავარმმართებლის ტიპოგრაფიაში...“ (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1357, ფურც.12-13).

საცენზურო კომიტეტში ხვდებოდა ის ნაბეჭდი მასალაც, რომელსაც კერძო პირები ჩუქნიდნენ დიდი თანამდებობის მოხელეებს, განსაკუთრებით თუ ეს მთავარმართებლებს, მეფისნაცვლებს ან რომანოვების ოჯახის წარმომადგენლებს ეხებოდა. მაგალითად, ცენზურას შეუმოწმებია და დაუტოვებია კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მიხეილ პავლეს ძე რომანოვისთვის საჩუქრად მირთეული, მხურვალე წარწერით დამშვენებული წიგნი „ცნობები კავკასიაში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების შესახებ“, 1896 წელი, 30 ნოემბერი (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1369, ფურც. 62).

ხელისუფლების მიერ ასეთი ბიოგრაფიის მქონე ადამიანებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს, თუ როგორ იდევნებოდნენ გამოჩენილი პუბლიცისტები და საზოგადო აქტივისტები. ისინი ზნეობრივი რეპრესიების ქვეშ ჰყავდა საცენზურო კომიტეტს. ამის მაგალითებს წარმოადგენდა 1879 წელს „გაზეთ „დროების“ 249-ე ნომრის მთელი ტირაჟის კონფისკაცია და მისი

რედაქტორის – სერგეი მესხის – პასუხისგებაში მიცემა; ასევე, 1888 წელს ცნობილი მწერლისა და მოღვაწის – იონა მეუნარგიასთვის – გრიგოლ ორბელიანზე საჯარო ლექციის წაკითხვის აკრძალვა. ამ ფაქტს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს – კირილე პეტრეს ძე იანოვსკის – თბილისის სამხედრო გუბერნატორი აცნობებდა (სცსა, ფ. 107, აღწ. 3, საქმე 4965, ფ. 10).

ცენზორებს პოლიტიკურად იმდენად არასანდოდ მიაჩნდათ ქართველი რედაქტორები და პუბლიცისტები, ქართველი რეჟისორები, რომ პეტერბურგსა და მოსკოვში დაბეჭდილი სტატიების გადმობეჭდვასა თუ იქ დადგმული პიესის დადგმას საქართველოში სასტიკად კრძალავდნენ. სცენაზე დასადგმელი პიესები თავად საცენზურო კომიტეტს უნდა შეერჩია. ამაზე ბევრი საარქივო დოკუმენტი მიუთითებს, ერთ-ერთია ბეჭდვითი საქმის მთავარსამმართველოს უფროსის – პოხვისნევის – ხელმოწერილი მიმართვა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი (სცსა, ფ.480, საქმე 31, ფ.7-8).

რაც შეეხება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთ ღირსეულ წარმომადგენელს, ქართველ სამოციანელთა პირველი თაობის აქტიურ მოღვაწეს – სერგეი მესხს, კავკასიის საცენზურო კომიტეტს მის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია პუბლიცისტის გარდაცვალებამდე (1883 წ.). მაგალითისთვის მოვიტანთ 1882 წელს საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის – მოგილევსკის – ბრძანებას სერგეი მესხისთვის ადმინისტრაციული წესით რედაქტორის მოვალეობის ჩამორთმევის შესახებ (სცსა, ფ. 480აღწ. 1, საქმე 610, ფ. 1). მესხის გარდაცვალების შემდეგ ახალი რედაქტორიც – ივანე მაჩაბელი – ცენზურისგან მუდმივად იდევნებოდა (ხუნდაძე, 1939 : 57).

საბაჟოებიდან კავკასიის საცენზურო კომიტეტში შემოტანილი წიგნები და ნივთები, მხოლოდ დასკვნის შემდეგ გადაეცემოდა გამომწერებს, ან „დაპატიმრებული“ ნადგურდებოდა. ამ დროს ბევრი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი შემოდიოდა კავკასიის რეგიონში, მათ შორის – საქართველოში. მათი გამომწერები იყვნენ როგორც ორგანიზაციები, ასევე – კერძო პირები. გამომწერთა შორის ხშირად იყვნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვ. მთავარი საბაჟოები იყო თბილისში, ბათუმში (სასაწყობო-საკარანტინო კანტორა), ასეთივე იყო ბაქოში, ჯულფაში და სხვაგან.

ამ საბაჟოთაგან ზოგი პირველი კლასის საბაჟოს წარმოადგენდა, რაც მიუთითებდა საბაჟოს მაღალ დატვირთვაზე, საზღვარგარეთიდან აქ პირდაპირი გზით მასალების შემოტანაზე. ამგვარი პირველი კლასის საბაჟოებად ითვლებოდა ბაქოსა და ბათუმის საბაჟოები.

საბაჟოზე შემოსულ მასალას ცენზურის შემოწმების გარეშე ვერ გადასცემდნენ გამომწერს. ეს პროცესი ზოგჯერ უსაშველოდ ჭიანურდებოდა, ზოგჯერ სულაც იკარგებოდა გაგზავნ-გამოგზავნის პროცესში გამოწერილი მასალები, რაც იწვევდა

იმ პირთა პროტესტს, რომელთაც ამ ყველაფერში გარკვეული გასამრჯელო გადაიხადეს. ამის მაგალითებად შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი შემთხვევები:

1. ბაქოს საბაჟო საკარანტინო კანტორა 1896 წლის 13 აგვისტოს ითხოვდა კავკასიის საცენზურო კომიტეტის ადმინისტრაციისაგან, რომ ბერნის სახელზე არსებული წიგნები და შავი ხელნაწერები შეემოწმებინა და, რასაც საჭიროდ ჩათვლიდა, უკან დაებრუნებინა. ამას მოჰყვა საცენზურო კომიტეტის ცნობა, რომ ზოგ ეგზემპლიარს აბრუნებდნენ უკან. ჩანს, ზოგიერთი ცენზურამ ამოიღო და თავისთან დაიტოვა (სცსა, ფ. 480, საქმე 1372, ფ. 5-9);

2. 1896 წლის 12 ივლისს ბათუმის სასაწყობო საკარანტინო კანტორა თხოვს კავკასიის საცენზურო კომიტეტს, შეამოწმოს 1 ყუთი ბეჭდვითი მასალა და, თუ არაფერი აღმოჩნდება ცენზურის საწინააღმდეგო, არ დატოვოს ის უყურადღებოდ და გადასცეს სავაჭრო სახლს – „პოლაკი და კომპანია“ (სცსა, ფ. 480, საქმე 1372, ფ. 69).

3. იგივე საბაჟოს ხელმძღვანელობა 1896 წლის 14 ოქტომბერს საცენზურო კომიტეტს თხოვს შეამოწმოს განსაკუთრებული გზავნილი მუსიკალური ნოტებისა და გადასცეს მოქალაქე სტატსკოვსკაიას (სცსა, ფ. 480, საქმე 1372, ფ. 109).

4. ბათუმის საბაჟო ითხოვს კვაკსიის საცენზურო კომიტეტისგან კერძო მოქალაქის – ივანე გრიგოლის ძე ხაჩატუროვის – მიერ საზღვარგარეთიდან გამოწერილი 10 წიგნის შემოწმებას (აქედან 6 – უცხო ენაზე იყო, 4 – საზღვარგარეთ რუსულ ენაზე დაბეჭდილი), შემოწმებული და სანდოდ მიჩნეული ლიტერატურის გამომწერისთვის გადაცემას (სცსა, ფ. 480, საქმე 1372, ფ. 147).

ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც გზავნილის მიმღები იყო თბილისელი, თუ ეს ასე არ იყო, მაშინ უკან უნდა გადაგზავნილიყო შემოწმებული მასალა საბაჟოში, რაც ხშირად იწვევდა უთანხმოებას გამომწერთა შორის. ზოგჯერ მასალები იკარგებოდა, ჩიოდნენ და ითხოვდნენ დაკარგულის ანაზღაურებას. მაგალითად, 1896 წლის 5 დეკემბერს ყარსის ოლქში მცხოვრები პედაგოგი ეფილიადოვი წერდა საცენზურო კომიტეტს, რომ რამდენიმე თვე ელოდებოდა კონსტანტინოპოლიდან გამოწერილ ბერძნულენოვან სასულიერო ლიტერატურას, რის გარეშეც მოწაფეებთან ვერ მუშაობდა და უკვირდა, რატომ დაიგვიანა ასე დიდი ხნით ამ ლიტერატურამ; აზუსტებდა, რომ 3 თვის წინათ გადაიხადა საჭირო ფული (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1372, ფ. 188).

ამავე საქმეზე საცენზურო კომიტეტს მიმართა მღვდელმა გ. ს. ხარიტონოვმა 1897 წლის 22 თებერვალს. მის მიმართვაში ნათქვამია, რომ ეფილიადოვის გამოწერილი წიგნები, როგორც ამას საცენზურო კომიტეტი იტყობინებოდა, თითქოს 1896 წლის 7 დეკემბერს გადაეცა კომპანია „ნადეჟდას“; მიმართეს ამ კომპანიას და პასუხად მიიღეს, რომ „არავითარი წიგნები მათ არ გადასცემიათ“. მღვდელი საცენზურო კომიტეტისგან ითხოვდა აღნიშნული საქმის გარკვევას (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1372, ფ. 271).

რელიგიური ნიშნით აკრძალვები

საცენზურო პოლიტიკაში საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა რელიგიური ნიშნით ნაბეჭდი ლიტერატურისა თუ საეკლესიო ნივთების აკრძალვას. ეს ეხებოდა არა მარტო არაქრისტიანულ, არამედ მართლმადიდებლური ხასიათის სასულიერო ლიტერატურას. გაზეთებიდან იღებდნენ მასალებს დუხობორების, რასკოლნიკების და სხვა სექტების შესახებ (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1400, ფ. 71-75).

განსაკუთრებით იდევნებოდა კათოლიკური შინაარსის წიგნები და საეკლესიო ნივთები. ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებული იერიში მიიტანა კათოლიკური სარწმუნოების მიმდევართა მიმართ. რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაციამდე საქართველოში კათოლიკე მისიონერებს განსაკუთრებული პატივით იღებდნენ სამეფო კარისა და დიდებულთა ოჯახები, მათ აღსაზრდელად აბარებდნენ შვილებს, ასაქმებდნენ სხვადასხვა დარგში მათი პროფესიული ცოდნისა და უნარების გამოცდილებით. ამის საპირისპიროდ, რუსეთის იმპერიაში მე-18 საუკუნის 30-იანი წლებიდან არსებობდა აკრძალვა მართლმადიდებლებისთვის კათოლიკური რწმენის მიღებისა. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ ეს კანონი საქართველოზეც გავრცელდა. ხელისუფლება კათოლიკე მისიონერებს ევროპის სახელმწიფოთა ჯაშუშებად მიიჩნევდა, რის გამოც იდევნებოდა კათოლიკობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ლიტერატურა.

ცნობილია, რომ პეტერბურგის საცენზურო კომიტეტს ჰქონდა სასულიერო საცნობარო განყოფილებაც, რომელიც ამოწმებდა სასულიერო ხასიათის ლიტერატურას, საგალობლებსა და სხვა ტიპის ჩანაწერებს რელიგიურ თემებზე (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1387, ფ. 7).

XIX ს-ის 20-50-იან წლებში რუსეთის იმპერიაში დაიწყო ანტიებრაული, (ანტისემიტური) კამპანია, რაც საქართველოში ისტორიულად არასდროს მომხდარა. XIX ს-ის 30-იან წლებში მეფის მთავრობამ საქართველოდან ყველა ებრაელის გასახლება დააპირა, მაგრამ ამის შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა. XIX ს-ის 50-70-იან წლებში საქართველოში ქრისტიანი მოსახლეობისა და ებრაელების დაპირისპირების პოლიტიკა ისევ გააქტიურდა. კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებიდან ჩანს, რომ კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას ებრაული ლიტერატურის მიმართ იჩენდა. საარქივო ფონდის 1387-ე საქმეში დაცულია ცნობები აკრძალული ხელნაწერების შესახებ. აკრძალვები ყველაზე მეტად ებრაული ლიტერატურის ნიმუშებს ეხებოდა, რაც საქართველოსთვის უცხო, მაგრამ რუსეთის იმპერიული პოლიტიკისთვის ებრაელთა დევნისა და „პოგრომების“ ფონზე ამგვარი ქმედება ბუნებრივად აღიქმებოდა (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1387, ფ. 2).

ამავე საარქივო საქმეში არის ცნობა, როგორ კრძალავდა კიევის საცენზურო კომიტეტი მალოროსიის თქმულებებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის

იმპერიის ხელისუფლების მიერ საცენზურო კომიტეტებზე დაკისრებულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას – შეეზღუდა იმპერიაში შემავალი დაპყრობილი ხალხების ეროვნულ-კულტურული მისწრაფებები.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიმართვებისა და ცირკულარების დიდი ნაწილი ეხება იმ სასულიერო ლიტერატურისა და საეკლესიო წესების გავრცელებას ბეჭდვითი პროდუქციის სახით, რომლებიც შემოტანილი იყო ევროპიდან. მათი დიდი ნაწილი იკრძალებოდა, მხოლოდ გამონაკლისის გავრცელებას აძლევდა დასტურს საცენზურო კომიტეტი (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1433, ფ. 15, 17 და სხვ.).

ცენზურა იბრძოდა ***საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველი ლიტერატურის წინააღმდეგ.***

1871-1873 წლებში ნიკო ნიკოლაძის რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „კრებული“, რომელიც განსაკუთრებით ჰყავდა ამოღებული მიზანში ცენზურას. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი უპირველესად თავად რედაქტორი, რევოლუციურ პიროვნებად და ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ პუბლიცისტად ცნობილი, ნიკოლაძე იყო. საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მაქსიმოვიჩი, რომელიც ქართველმა ცენზორმა დიმიტრი ფურცელაძემ ჩაანაცვლა, სასტიკად ებრძოდა ნიკოლაძეს, რომელმაც შვეიცარიიდან ჩამოიტანა საზოგადოება „უღელის“ მიერ გამოცემული ლიტერატურა (სცსა, ფ. 480, აღწ.1, საქმე 142). „დროების“ რედაქტორთან ერთად, 1878 წელს, საცენზურო კომიტეტის დასკვნით, ნიკოლაძეც პასუხისგებაში იქნა მიცემული. ამჯერად მან სცადა თავის მართლება, მაგრამ ფურცელაძემ ეს არ გაითვალისწინა, რის გამოც ნიკოლაძემ იმპერიის მთავარი ცენზორი კავკასიაში დუელში გამოიწვია (სცსა, ფ. 480, აღწ.1, საქმე 325, ფ.1-2).

არც ნიკოლაძისა და არც შემდეგი რედაქტორების დროს ცენზურას ჟურნალის მასალებისადმი მკაცრი პოლიტიკა არ შეურბილებია, განსაკუთრებით იმ მასალების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს ისტორიულ წარსულს, ქართველი ერის ეთნოისტორიულ და კულტურულ ტრადიციებს წარმოაჩენდა.

საცენზურო კომიტეტის საქმე 1416 ეხება ხსენებული ჟურნალიდან ცენზურის მიერ სტატიის ამოღებას. სტატია, სახელწოდებით – „ძველი ქართული ფული“ – ატარებდა მძაფრ პოლიტიკურ კონტექსტს: ქართული ფული იყო ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთავარი სიმბოლო, რომელიც წაშალა რუსეთის იმპერიამ და საქართველოს დაპყრობის შემდეგ ეს ფული საკუთარით ჩაანაცვლა. ამ ვრცელი, ნახევრად სატირული და ნახევრად სერიოზული, თხრობით მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენაზე ავტორი მკითხველს ახსენებდა ძველ დროს, როდესაც ქართული წესები მოქმედებდნენ, ეკლესიაც და ხალხიც ერთად იყო, ყველას ჰქონდა მაღალი მორალური შეგნება და ა. შ. წერილმა, როგორც ჩანს, დააფრთხო ცენზურა და ჟურნალიდან ეს მასალა ამოაღებინა.

ამავე ნომრიდან ამოიღეს ლექსი, რომელშიც რუსული არმიის წესები იყო გაშარჟებული. ეს არმია „თათრის ჯართან“ იყო გაიგივებული, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა ლექსის პოლიტიკურ კონტექსტს. ამიტომაც ის ცენზურამ დააპატიმრა. ლექსი ასე ჟღერდა: ***„შემხვდა სალდათობის კენჭი, / ამას აღარ უნდა ეჭვი, / ხუთშაბათს რომ ხელში მიგდეს, / შაბათს გამიზომეს ბეჭი. / თელავში რომ ჩამიყვანეს, / მიძახიან „ნაპრავასა“, / მე „ნაპრავასი“ რა ვიცი, / გავუსწორდე ამხანაგსა? / ჩაჩნური ჩოხა ჩამაცვეს, / მერმეთ მოკლე ახალუხი, / კაზიონი ჩექმები მაქვს, / ცუდათ გააქვს ბრახა-ბრუხი. / დამასწავლეს „უჩენია“, / „ნაპრავა“ და „ნაკრაული“, /ოთხ წელიწადს მამსახურეს, / გამომიშვეს გატყაული... / არ გითხარ, ძმაო გიორგი, / ნუ მოხვალ თათრის ჯარშია? / რათ შეიწუხე ან თავი, / ან რათ ჩამაგდე ჯავრშია...“*** (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1416, ფურც. 1-2).

რამდენჯერმე ამოიღეს გაზეთ „ცნობის ფურცლიდან“ სტატია რუსი სალდათების უწესო ქცევაზე, რუსული საჯარისო ნაწილების ამორალურ სახეზე (სცსა, ფონდი 480, აღწ. 1, საქმე 1425, ფურც. 6).

ეროვნული და პოლიტიკური კონტექსტი ცენზურისთვის მიუღებელი იყო, თუნდაც ეს სულ მცირე ინფორმაციულ შენიშვნაში ყოფილიყო გამჟღავნებული. მაგალითად, „ცნობის ფურცლიდან“ 1897 წლის 8 იანვარს ამოუღიათ რედაქციის შენიშვნა: *„თბილისის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში კარისკაცი არ უშვებდა სასწავლებელში მისულ ჩოხოსან და ლეჩაქიან მნახველებს, ირწმუნებოდა, რომ წესი იყო ასეთი. სასურველია გავიგოთ მართალია თუ არა ყოველივე ეს და ვისი ბრძანებით მოქმედებს კარისკაცი?“* ეს მცირე შენიშვნა საცენზურო კომიტეტის თანამშრომელმა გაზეთს ამოაღებინა, როგორც ჩანს, მასში ქართული ეთნოისტორიული ტრადიციების შეზღუდვის მცდელობა დაინახა (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 2).

საარქივო ფონდის ამავე საქმეში (საქმე 1425) „ცნობის ფურცელი“ აკრიტიკებდა გაზეთ „კავკაზის“ ერთ პუბლიკაციას ქართული თეატრის საიუბილეო წარმოდგენაზე და საკუთარ აზრს გამოთქვამდა იმ ირონიულ შენიშვნაზე, რაც კავკასიაში რუსული ხელისუფლების ოფიციალურმა ორგანომ გამოთქვა: *„გაზეთი „კავკაზი“ იხსენებდა საიუბილეო წარმოდგენას,* – წერდა „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი და თავის შენიშვნას ათავებდა ასე, – *„სულითა და გულით მივესალმებით ამ დღესასწაულს, გამართულს მოსაგონებლად ქართული თეატრის ნიჭიერი დამაარსებლისა. ჩვენის მხრივ ვუსურვებთ ქართულ დრამატულ ხელოვნებას ზრდასა და აყვავებას, ამასვე ვუსურვებთ ყოველ ნამდვილ ქართულ საქმეს, როდესაც ამ საქმეს ქვეშ არ უძევს სული ტენდენციოსნობისა“* (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425).

„კავკაზის“ ამ სიტყვას „ცნობის ფურცელი“ სამართლიანად გაუღიზიანებია, რადგან კარგად იცნობდა გაზეთის ტენდენციურ პათოსს იმ ყველაფრის მიმართ, რაც ქართველი ხალხისთვის ძვირფასი და შეულეველი იყო.

„ამ სამართლიან სიტყვებს, – იუწყებოდა გაზეთი, – *მოვალეობად მიგვაჩნია დავსძინოთ, რომ ქართველს არავითარი სხვა მისწრაფება არა აქვს და საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, ან მომავალში ჰქონდეს. მისი მუდმივი წადილი იყო და ამის საბუთია თავით ბოლომდე მე-19 საუკუნე, – ძმურად შეკავშირება დიდს ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიასთან; შესვლა იმ დიდებულ ოჯახში, რომელსაც საერთოდ რუსეთი ჰქვიან, ხოლო შესვლა შვილად და არა გერად. ქართველს შეურაცხყოფს, ვინც დასწამებს ორგულობას დიდის რუსეთის იმპერიისადმი. ქართველს შეურაცხყოფს ისიც, ვინც ეტყვის, რომ იგი ქართველი აღარ არის, ან აღარ უნდა იყოს. საქმე მხოლოდ ის არის და არევ-დარევას აზრთა ის ჰბადავს, რომ სიტყვას „ტენდენციას“, სადაც როგორ ეხერხებათ ბევრნი ისე ხსნიან ხოლმე და ხშირად ჰხედავენ ტენდენციას იქაც, სადაც სასიხარულოდ ეხლანდელი „კავკაზი“ არა ჰხედავს“. 1897 წლის 8 იანვარი.“*

მიუხედავად ბოლო სტრიქონში გაზეთის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის სარედაქციო პოლიტიკისადმი გამოხატული ლოიალობისა, სტატია ცენზურას მაინც ამოუღია (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 3).

დედაქალაქის რუსულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები კავკასიელებზე, მათ შორის – ქართველებსა და სომხებზე. კრიტიკა განსაკუთრებით პოლიტიკური ნიშნით კეთდებოდა, ისე იყო წარმოდგენილი საქმე, თითქოს ეს ხალხი დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვოდა და რუსეთისგან გამოყოფას ცდილობდა. ამგვარი რიტორიკა ხელისუფლებისა პასუხობდა იდეოლოგიურ ჩანაფიქრს, რომელსაც შოვინისტური ნაციონალური პოლიტიკა ჰქონდა. ერთა შორის დაპირისპირება და ეროვნულ მისწრაფებათა აღმოფხვრა არარუს ერებში სრულად შეესაბამებოდა იმპერიულ ინტერესებს. მოსკოვის გაზეთმა – „სინ ოტეჩესტვა“ – გამოაქვეყნა წერილი სომხური სასწავლებლების თაობაზე, რომელშიც წამოჭრა საკითხი სომეხთა სეპარატისტული მისწრაფებების შესახებ. *„უკანასკნელ ხანებში* – ეწერა წერილში – *კავკასიაში მცხოვრებ სომხებს აშკარად დაეტყოთ, რომ ისინი სრულებით განცალკევებას ლამობენ რუსეთისაგან“*. ამის დამადასტურებლად გაზეთს მოჰქონდა ფაქტი, მათ მიერ სკოლების დაკეტვისა, რადგან არ დაექვემდებარენ მთავრობის გადაწყვეტილებას – სომხური სკოლები დამორჩილებოდნენ სახალხო განათლების სისტემას. ახლა ისინი ბაქოში თავიანთი დაფინანსებით ხსნიან სასულიერო სასწავლებელსო. „ცნობის ფურცელი“ წერდა, რომ ბაქოში სომეხთა კათალიკოსის კურთხევით მართლაც იხსნებოდა სომხური სასწავლებელი, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავდა სომხურ სეპარატიზმს. მით უმეტეს, ეს ამბავი უმაღლესი მთავრობის ნებართვითაც ხდებოდა. ამიტომ *„არავის აზრად არ უნდა მოსდიოდეს ამის გამო სომხებისთვის ორგულობისა და მთავრობის წინააღმდეგობის დაწამება“,* – სჯიდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“. ეს აზრი სახიფათოდ ჩაუთვლია კავკასიის საცენზურო კომიტეტს და სტატია 1897 წლის 15 იანვარს გაზეთიდან ამოუღია (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 5).

საცენზურო კომიტეტის მიერ განხორციელებულ ცენზურას ბევრ შემთხვევაში ჰქონდა ***სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტიც.*** ერთ-ერთ ამოჭრილ სტატიას სწორედ ამგვარი კონტექსტი განსაზღვრავს. საუბარია თბილისში გამართულ გუბერნატორთა კრებაზე, სადაც ითქვა, რომ ქუთაისის გუბერნიის შემოსავლის 2/3 ხმარდებოდა თბილისის გუბერნიას. ქუთაისის წარმომადგენელმა შალიკოვმა ილაპარაკა, თუ როგორ დაზარალდა გასულ წელს ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობა წყალდიდობითა და სხვა ბუნებრივი მოვლენებით, გამოთქვა აზრი, რომ გუბერნიის შემოსავალი თავად ამ უღარიბეს გუბერნიას უნდა მოხმარებოდა. შალიკოვს მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, რომელთაც თქვეს: *„რისი ღარიბი, იმერეთში ერთ უბრალო გლეხსაც კი ვერ შეხვდებით, რომ მშვენიერი ჩოხა არ ეცვას, სუფთა პერანგი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი არ ჰქონდეს და ფეხებზე წურია (?) მესტებიო“.* ამას სტატიის ავტორი არცოდნას, დიდ ცოდვას უწოდებს, მიიჩნევს, რომ გარეგნობა არაფერ შუაშია და იმერეთზე ღარიბი ხალხი რუსეთის გუბერნიაში მართლაც ცოტააო (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425, ფურც. 11).

ამგვარი შინაარსის მასალისადმი ხელისუფლების ნეგატიური დამოკიდებულება და მიუღებლობა მოწმობს ამ ხელისუფლების ფასადურობასა და სურვილს – აჩვენოს ყველაფერი დიდებულად, დააჯეროს ხალხი იმპერიაში არსებულ საყოველთაო კეთილდღეობაში.

სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი ჰქონდა საცენზურო კომიტეტის მიერ იმგვარი მასალების გაზეთებიდან ამოღების პრაქტიკას, სადაც ჩანდა მკვლელობების, ქურდობა-დაყაჩაღების, სიღარიბის, ხელისუფლების უუნაროობისა და ადამიანთა დაუცველობის შიშველი მაგალითები. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1897 წლის 21 იანვრის ნომრიდან ამოუღიათ ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა თეატრიდან დაბრუნებული თბილისელი მარტოხელა ამიროვის ქვრივის მკვლელობას. ის მეეტლეს მიუყვანია სახლში. მკვლელი ის იყო, თუ სხვა ვინმე, სტატიაში არ ჩანდა. ამავე ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო წერილი მთიულეთის მოსახლეობის მდგომარეობაზე, მათ სიდუხჭირეზე, წერა-კითხვის უცოდინრობაზე და სხვა, რაც ხელისუფლების სისუსტეს ააშკარავებდა. ეს იყო ალბათ გაზეთიდან ამ ინფორმაციის ამოღების მიზეზიც (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425, ფურც. 13-14).

ამგვარი პათოსი ჰქონდა ამავე გაზეთიდან (1897 წ,№83) ამოღებულ ფელეტონს, რომელშიც ჩანს თბილისთან ახლოს მდებარე სოფელ დიღომში არსებული სრული განუკითხაობა. ფელეტონისტი წერს: სოფელ დიღომში, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქთან ახლოა და განათლებით წინ უნდა იყოს წასული, სრული ჩამორჩენაა. მამასახლისად მედუქნე ჰყავთ და თუმცა აქვთ კანცელარია, ყოველგვარი სასოფლო საქმე დუქანში კეთდება. ბეჭედი და დავთრებიც დუქანში უწყვიათ. მოწმობა დამიწერეს დუქანში, ბეჭედიც იქვე დამირტყეს და ნახევარი ხელადა ღვინოც თავის საუზმით იქვე მოგვართვეს. საქმე რომ გაიჩარხა, დახლიდარმა მამა-

სახლის-ხაზეინის ბრძანებით ჩოთქი ამოიღო და ანგარიშში – ესეც ბეჭდის ფულიო – ხუთი მანეთი ჩაუმატაო.

ფელეტონისტი აღშფოთებული იყო იმის გამო, რაც მოხდა და იმაზეც, რომ იგივე მამასახლისი ხელმეორედ აირჩიეს თანამდებობაზე (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 21).

კრიტიკული პათოსის გამო ფელეტონი ცენზურამ ამოჭრა. ასეთივე ბედი ეწია ვრცელ სტატიას – „ქსნის ხეობა“, რომელშიც აღწერილი იყო სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩენილი 25 ათასი კომლით დასახლებული ხეობის გაჭირვებული მდგომარეობა. საცენზურო ფონდის არქივში მოხვედრილ სტატიაში ვკითხულობთ, რომ ქსნის ხეობაში მხოლოდ ერთი ექიმი, გვარად ბროძელი, და ერთი ფერშალი მუშაობდა. თუ ექიმი გამოძახებაზე იყო, ფერშალი ვერ შორდებოდა საავადმყოფოს, რადგან იქვე აფთიაქი იყო, რომელსაც ის მეთვალყურეობდა. ქსნის ხეობის ავადმყოფებს დუშეთის მაზრის ექიმიც ვერ ეხმარებოდა, რადგან მოხუცი იყო, ცხენით სიარული არ შეეძლო, ეტლი არ იშოვებოდა, ურმით კი, სანამ ის მივიდოდა, ავადმყოფის მდგომარეობა უარესდებოდა. *„დარჩა ორი სამხედრო ექიმი,* – წერდა სტატიის ავტორი, – *რომელთა გამოწვევა არც შეგვიძლიან და არც მოვლენ, „ტეტიებთან“ მოსვლას არ კადრულობენ“.* მოაქვს საკუთარი მაგალითი, როგორ დასჭირდა ექიმი და სამხედრო ექიმის გაჭირვებით დაყოლიება დიდი საყვედურებით როგორ შესძლო. მე რომ ეს დამემართა, სხვას რა მოუვაო, – წერს და აჩვენებს, რომ მაზრაში ცნობილი ადამიანი იყო.

ერთი შეხედვით, ამ ინფორმაციებში ჩადებული აზრი ცენზურის ასაკრძალი არ ჩანს, მიუღებელი აქ არაფერია, მაგრამ რუსული ხელისუფლება ამგვარ კრიტიკასაც უფრთხოდა. გაზეთის შინაარსი კი მთლიანად ოპოზიციური და ქართველი ხალხის საჭიროებაზე აგებული იყო (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 22).

სოციალური თემატიკით გაზეთებიდან ამოღებული სტატიებიდან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ფასანაურის გზის მოუწყობლობაზე (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 8), რუსეთ-ოსმალეთის ომის საკითხზე (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 9), „საქართველოს კალენდარში“ ცნობილი ადამიანების გაშარჟებაზე (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 19), ქართველებისა და სომხების დაირისპირებაზე სიღნაღში (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 21), საბავშვო დაავადებებისა და ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის აუცილებლობაზე (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 22), ქალაქ სიღნაღის საქალაქო საბჭოს ხმოსნების არჩევნების გაყალბებაზე (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 24), თავგასული ყაჩაღობის მაგალითებზე, რასაც სოფელ ქვემო თეკლათში ჰქონდა ადგილი (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 26) და სხვ.

საცენზურო კომიტეტის ფონდებში მწვავე სოციალური საკითხების ირგვლივ დაწერილი ბევრი სტატია და ინფორმაციაა, რომლებიც ცენზორების მიერ გაზე-

თებიდან და ჟურნალებიდან იჭრებოდა. ეს ეხებოდა ახალგაზრდების უსაქმურობის, ბანქოსა და ნარდის თამაშით გატაცებას, სმისა და უსაქმურობის ამსახველ მასალებს, თვითმკვლელობის ფაქტებს, რისი მიზეზიც ხშირად სიღარიბე და სოციალური დაუცველობა იყო (სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1425 ფურც. 23).

ცენზურის მიერ ამოღებულ წერილებში არის საუბარი ცხენის ჭირზეც, ვაზის დაავადებაზეც, ძალადობასა და კაცისკვლაზე, რომელიც დაუსჯელი დარჩა და სხვ. ამრიგად, ხელისუფლების საცენზურო პოლიტიკა სოციალური თემატიკასაც აკონტროლებდა, არ აძლევდა ამ დროს ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ პრესას იმის საშუალებას, რომ თავისუფლდ ესაუბრა ყველა იმ მოუგვარებელ პრობლემაზე, რომელიც ქვეყანაში იყო, ცდილობდა შეერბილებინა კრიტიკული პათოსი და ხალხის დამოკიდებულება მის მიმართ.

იდეოლოგიური კონტექსტი ცენზორთა საქმიანობაში

ევროპიდან შემოსულმა ახალმა იდეოლოგიებმა მე-19 საუკუნის ბოლოს და მეოცის დასაწყისში ქართული საზოგადოების განსაკუთრებული პოლარიზაცია გამოიწვია. ამ იდეოლოგიებით განმსჭვალული იყო პრესაც. გამოდიოდა როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი წიგნები, რომელთა შინაარსი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიული ხელისუფლების განწყობებს. ცენზურაც ამ მიმართულებით მუშაობდა და გავრცელების საშუალებას არ აძლევდა ამგვარ ლიტერატურას. განსაკუთრებით საცენზურო პოლიტიკა ამ მიმართულებით რუსეთის პირველი რევოლუციის დროს გამკაცრდა. მაგალითად, ბროშურის – „რა ჭირდება გლეხობას“ – მთარგმნელს, ნ. კ. ბერიძეს, საცენზურო კომიტეტი არა მარტო ნათარგმნ წიგნს უპატიმრებდა, არამედ მას გადასცემდა სამართალდამცავ ორგანოებს და პასუხს ათხოვდა ჩატარებული სამუშაოსთვის (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 98, ფ. 12); ზოგს პასუხი მოეთხოვებოდა ამგვარი, ხელისუფლებისთვის მიუღებელი ლიტერატურის შენახვის, მაღაზიაში შეტანის გამოც.

ცენზურამ დააპატიმრა სოციალისტურ-რევოლუციური შინაარსის ისეთი წიგნები, როგორებიც იყო: „ტაქტიკური საკითხები“ (პ. ი.-ს გამოცემა) და „საყოველთაო გაფიცვა“, რომლებიც გამოიცა გაზეთ „მუშის“ გამომცემელთა ჯგუფის მიერ, „ანარქიზმი და სოციალიზმი“, „ნაციონალური საკითხი, ავტონომია და ფედერაცია“. ეს უკანასკნელი ეკუთვნოდა ნოვოტორჟსკის და ბროშურის 6000 ეგზემპლარი იქნა ცენზურის მიერ ამოღებული (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმეები 104-105). ცენზურამ მთლიანად აკრძალა ანარქისტ კროპოტკინის ნაშრომი – „სახელმწიფო და მისი როლი ისტორიაში“ (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 178), ამავე ავტორის ქართულ ენაზე გამოცემული ბროშურა – „ბუნტისთავის სიტყვები“ (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 498).

სოციალისტური და რევოლუციური იდეოლოგია იმდენად იყო მიუღებელი ხელისუფლებისთვის, რომ ამ სფეროში გამოცემული ყოველი ნაბეჭდი მასალა იკრძალებოდა და მათი გამავრცელებლები სასტიკად ისჯებოდნენ. ამგვარი ლიტერატურა იკრძალებოდა მაშინაც კი, როდესაც უწყინარ თემებს ასახავდა, მაგალითად პროფკავშირების როლს დიდ საწარმოებში, თუნდაც ფრანგი მუშების ბრძოლას, რევოლუციურ ჰიმნს – „მარსელიოზას“ და სხვ.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ რეაქციის პერიოდში აკრძალულ ლიტერატურაში შედიოდა: ბროშურა – „მარსელიოზა“ (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 747); „ისტორიული მატერიალიზმი“ (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 748), შ. გეგელიას ბროშურა – „ჩვენი მტრები და მეგობრები“, 1906 წ. (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 752), ს. ჟორჟოლიანის ნათარგმნი შტრებელის ბროშურა – „რა ჭირდება სოციალ-დემოკრატიას“ (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 753), დ. მესხის – „ვინ ჩაგრავს გლეხობას“ (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 754), ბროშურა „წინ“ („ვპერიოდ“) (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 755), კარლ მარქსის გარდაცვალებიდან 25 წლისთავისადმი გამოცემული ბროშურა (სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 768), კალანდაძის ნათარგმნი კარლ კაუცკის სტატია – „ინტელიგენცია და პროლეტარიატი“ (საქმე 771), ბებელის ბროშურა – „ქალი და სოციალიზმი“(საქმე 773), მ. კონკოლის „1871 წლის კომუნა“ (საქმე 775), გურულ-მეგრელის – „ყოფნის თუ არა მიწები ყველას“ (საქმე 770), ბროშურა – „ცოდნა და რევოლუცია“ ქართულ ენაზე (საქმე 777) და სხვ.

არა მხოლოდ აკრძალვის, არამედ კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ განადგურების ბრძანება გაიცა ისეთ წიგნებზე, როგორიც იყო: ქართულად თარგმნილი კარლ კაუცკის ბროშურა – „რა გზით მიდის საზოგადოების განვითარება“ (საქმე 585), ბატონის (მ. წერეთელი) ბროშურა – „პროტესტანტების პასუხი“ (გაზეთ „მუშის“ გამოცემა, საქმე 586), კირილე ნინიძის ნათარგმნი თ. შიპპელის „მუშათა პროფესიული კავშირები“ (საქმე 587), ქართულად ნათარგმნი ელიზა რეკლიუს ნაშრომი – „ჩემს ძმა გლეხებს“ (საქმე 588), კარლ ლიბკნეხტის – „რაში გვადანაშაულებენ“, ტ. სიამაშვილისეული თარგმანი (საქმე 589) და სხვ.

ყველა ამ აკრძალული ნაშრომის განხილვა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება და ამის საჭიროებაც არაა ამ მცირე ზომის სტატიაში, მაგრამ შევეხებით ერთს, მიხეილ წერეთლის ბროშურას – „პროტესტანტების პასუხი“, რომლის განადგურებაც ცენზურამ გადაწყვიტა. ბროშურის ავტორის მიზანია ანარქისტული იდეოლოგიის პოზიციიდან გააკრიტიკოს და აჩვენოს სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის მანკიერება და ანტიეროვნულობა, საკუთარი იდეოლოგიის პრიმატი. ანარქიზმი სახელმწიფოს მხრიდან სრულიად მიუღებელ იდეოლოგიად ითვლებოდა, სოციალ-დემოკრატიული აზროვნება კი, მიუხედავად მისი სამთავრობო პოლიტიკასთან დაპირისპირებისა, ამ დროის რუსეთის ხელისუფლებაში მაინც ლოიალურად აღიქმებოდა. მიხეილ წერეთელი რადიკალური იყო სოციალ-დემოკ-

რატების პარტიული იდეების შეფასებებში. ის აკრიტიკებდა მათ, თან ანარქისტების იდეებს გადმოსცემდა. მთლიანად ანარქისტული თეორია ხელისუფლების მიერ აღიქმებოდა სახელმწიფოს მიმართ ტერორისტული ინტერესების შემცველ იდეოლოგიად, რაც ამ ბროშურის ნაწყვეტიდანაც შეიძლება დავინახოთ. აკრძალულ ნაშრომში ვკითხულობთ: *„ჩვენი სოციალიზმი ისეთია, როგორც იდეალად ჰქონდათ დასახული საერთაშორისო მუშათა კავშირის წევრებს, – მუშებს: ყველა საწარმოვო იარაღები, – მიწა და სამრეწველო ქარხნები და ფაბრიკები მუშათა თავისუფალ კავშირთა ხელში იქმნება. ეს კავშირები შეეკვრიან ერთმანეთს ფედერატიულად და თავისუფლათ მოაწყობენ წარმოებას. აღარ იქნება აღარც მმართველები და მგლეჯელები, აღარც სახელმწიფო, ე. ი. ჯარი, პოლიცია, მსაჯული, საპყრობილე და ჯალათი, – არამედ თავისუფალი, კომუნისტური წარმოება, თავისუფალი კავშირი მშვენივრად, მეცნიერულად აღზრდილ მწამოებელთა შორის, რომელთაც ძალდატანება და კისერში ცემა არ დასჭირდებათ, რომ ცხოვრების საერთო მიმდინარეობაში მიიღონ გონიერი მონაწილეობა. ეს არის ანარქია, და არა არევ-დარევა, როგორც გეუბნებიან მუდამ თქვენი, «პატიოსანი» და სხვისი აზრის «პატივის მცემელი» ხელმძღვანელი სოც.-დემოკრატები. მოიგონეთ გურიის მოძრაობა. იქ თვითეულ სოფელსა ქონდა თავისი პატარა თავისუფლება: აღარც პოლიციელი, აღარც მღვდელის ბატონობა, – აღარც მემამულისა, აღარც მსაჯულისა, – ყოველივე გაჰქრა. სახელმწიფო უარყოფილ იქმნა. წარმოიდგინეთ, რომ ამგვარად მოაწყეს საქმე ყველა სოფლებმა და მერე შეერთდნენ თავისუფლად. ვსთქვათ, რომ ქალაქებშიდაც იგივე მოახდინეს მუშებმა და ასე, ამგვარად მთელ ქვეყანას, ან მარტო ევროპას მოედო ამგვარი წესი ცხოვრებისა. თვითოეული თემი თავის წარმოების სახსართა მიხედვით თავისუფლად აწარმოებს და იმავე დროს შეკავშირებულია სხვა წარმოებელ თემებთან წარმოებითი კავშირით. მათ შორის მუდმივი დამოკიდებულებაა, მუდმივი ცვლა წარმოებისა, საწარმოო იარაღთა და აგრეთვე აზრთა; მათ შორის ძალ-დატანებითი არ არის რა, არამედ ბუნებრივი, თავისუფალი და მოთხოვნილებათა მიერ გამოწვეული ათასნაირი ურთიერთობანი. – აიღეთ ამგვარად მოწყობილი საზოგადოება და ეს არის ის, რასაც ჩვენ კომუნიზმს ვუწოდებთ“* (საქმე 586).

ეს მსჯელობა საკმარისი იყო იმისთვის, რომ საიმპერიო ხელისუფლებას იმდროინდელ იდეოლოგიათა შორის ანარქიზმი ყველაზე მავნე და საშიშ მოვლენად ჩაეთვალა და მისი განადგურების ბრძანება გაეცა.

ამავე იდეოლოგიას ეკუთვნოდა ცენზურისგან გასანადგურებლად შერჩეული ანარქისტი ავტორების – ელიზე რეკლიუსა (1830-1905) და კროპოტკინის შრომებიც. ფრანგი ანარქისტის, ელიზე რეკლიუს, ცნობილი ნაშრომი – „ანარქია“ – საპროგრამო თხზულებაა, რომელშიც ავტორი სახელმწიფოებრიობის მოსპობისა და ანარქიზმის აუცილებლობის იდეებს ავითარებს. ქართულად ითარგმნა 1906 წელს. რა თქმა უნდა, ცენზურამ ის აკრძალა და ნაბეჭდი ეგზემპლარები გაანადგურა (რეკლიუ, 1906).

ასეთივე ბედი ეწია რუსი ანარქისტის – პეტრე კროპოტკინის (1842-1921) – ნაშრომებსაც. ცენზურა დევნიდა ქართველი ანარქისტების იმ ჯგუფს, რომელიც რუსული ანარქიზმის ფუძემდებელთან იყო დაკავშირებული. პეტრე კროპოტკინი განსაკუთრებით მეგობრობდა ვარლამ ჩერქეზიშვილთან და ამ უკანასკნელის საშუალებით ხდებოდა მისი იდეების გავრცელება საქართველოში. კავკასიის საცენზურო კომიტეტი ამ ფაქტს რეაგირების გარეშე არასოდეს ტოვებდა.

ამრიგად, კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობა, მის მიერ საცენზურო პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებები, ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან ერთად, შეესაბამებოდა საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების განვითარების დინამიკას, ატარებდა სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონტექსტს, იმპერიულ შინაარსსა და ემსახურებოდა მიზანს – ყველა წინააღმდეგობა გადაელახა, შეენარჩუნებინა რეჟიმის მონოლითურობა და სიმტკიცე.

გამოყენებული ლიტერატურა:

რეკლიუ ე. (1906), ანარქია, თბილისი: გამომცემლობა „Books“, 2017;

სცსა (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი)**,** ფონდი 107, აღწ. 3, საქმე 4965, ფ. 10;

სცსა, ფონდი 480, საქმე 31, ფ.7-8;

სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1357, ფურც.12-13;

სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1369, ფურც. 62;

სცსა, საისტორიო არქივი, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 1372, ფურცელი 5-9;

სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 1387, ფურცელი 2;

სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 1400, ფურცელი 71-75;

სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 1416, ფურცელი 1-2;

სცსა, ფონდი 480, აღწერა 1, საქმე 1425, ფურცელი 23;

სცსა, ფონდი 480, აღწერა1, საქმე 1433, ფ. 15, 17 და სხვ.

შარაბიძე თ., კუჭუხიძე გ., ჭუმბურიძე დ. (2023), „ცენზორის ინსტიტუტი XIX საუკუნის 50-70-იანი წლების ქართული გამოცდილების კონტექსტში“, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებული – „სჯანი“, ტ. 24, თბილისი: თსუ გამომცემლობა;

წერეთელი მ. (1906), პასუხი პროტესტანტებს, თბილისი: ელექტრომბეჭდავი „გუტენბერგი“, სახ. თავ.-აზნაურობისა;

ჭუმბურიძე დ. (2024), „კავკასიის საცენზურო კომიტეტის ქართველი ცენზორები (XIX საუკუნე)“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო შრომათა ჟურნალი – „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“, №4, თბილისი: თსუ გამომცემლობა;

ხუნდაძე ტ. (1939), ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბილისი: თბილისის ინსტიტუტის გამომცემლობა.

ანა დოლიძე
Anna Dolidze

კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდში დაცული, დასაბეჭდად აკრძალული, ი. მარუშიძის დოკუმენტური ჟანრის დაუმთავრებელი მოთხრობა – „სოლომონ ლეონიძე“[1]

Unfinished documentary-style story by I. Marushidze titled *"Solomon Leonidze" prohibited from publishing, is preserved in* the archives of the Caucasian Censorship Committee

Annotation

The issue of Georgia's political orientation, which was initially expressed through seeking protection under the Orthodox and powerful Russian Empire and formalized by the Treaty of Georgievsk (1783), has echoed in Georgian literature of the 19th century. As evidence of this, we can cite the dialogue between Ivane Abkhazi and the author in Grigol Orbeliani's prosaic work of the documentary (travelogue) genre, *"My Journey from Tiflis to Petersburg"* (1832), Nikoloz Baratashvili's poem *"The Fate of Kartli"* (1839), and the king's monologue with the widow Keke in Grigol Rcheulishvili's *"The Widow's Lemons"* (1950).

Although the mentioned works of the authors clearly articulate King Erekle's justification for his position, it was precisely *"The Fate of Kartli"* by Baratashvili that became the ideological cornerstone for the national movement of the 1860s, especially for Solomon Leonidze and his wife, Sofia, who held a patriotic stance: *"What are we going through now / To trade our freedom away"* (Baratashvili 1968: 145), *"What honor does the delicate nightingale preserve, / When confined to a cage"* (Baratashvili 1968: 149).

It is interesting to see what position a patriotic Georgian author takes on this issue, exactly a century after the annexation of Georgia, in 1901, whose attitude towards his homeland is evident from the pseudonym he chose – "I. Marushidze". Ioane Marushidze was the ideologist and practical implementer of the unification of Georgia in the 10th century. Two individuals are known under this pseudonym at the turn of the 19th and 20th centuries – Zakaria Chichinadze (1854-1931) and Ioseb Grishashvili (1889-1965).

As 11-year-old Ioseb Grishashvili could not have entered the literary arena yet, we exclude him. For 46-year-old Zakaria Chichinadze, 1901 is a period of creative activity.

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა” № 5, თსუ გამომცემლობა, 2025 წ.

Our opinion is also strengthened by the fact that in 1910 Zakaria Chichinadze published a separate book with the same title – "Solomon Leonidze, Judge or Vice-Chancellor of King Erekle and Solomon, the King of Imereti" (he does not use another form of this surname – "Lionidze"); it is also a known fact that Zakaria collaborated with the publishing houses of all magazines published during this partucular period.

The book *"Solomon Leonidze, Judge or Vice-Chancellor of King Erekle and Solomon, King of Imereti"* provides a comprehensive narrative of Solomon Leonidze's life and work. However, it is not a complete version of the text. On the final page, the author notes: *"A more extensive handwritten work on Solomon Leonidze has been prepared. Since I could not publish it in full due to disagreements, I am printing it as a smaller book. The entire work will consist of six similar books."*

The full version of the work was never published. The material we found in the Censorship Committee archives is not part of the aforementioned book. Zakaria Chichinadze's work is primarily historical, focusing on Solomon's activities, his close ties with Georgian guilds, the introduction of city governance regulations, his efforts to promote trade, and other matters.

The middle section contains the most intriguing material: Solomon's perspective on Russo-Georgian relations, reflected in Leonidze's conversations and advice to King Erekle II and King Giorgi XII. The final section discusses Solomon's contributions in western Georgia, including his role as an advisor to Solomon II.

The censored article from the journal *"Traveler,"* titled *"Solomon Leonidze,"* is presented in the form of a story and depicts a dialogue between Solomon and Erekle. It gives the impression of being incomplete, as it seems to lack an introductory section.

The book and the short story share a similar tone and sentiment, and most importantly, a single theme with identical facts that are understood in precisely the same manner. A comparative analysis of the texts strongly suggests that *I. Marushidze* is indeed Zakaria Chichinadze, who spent years studying and processing the life and work of Solomon Leonidze. Oral tradition serves as the basis for Nikoloz Baratashvili's poem *"The Fate of Kartli"* and Grigol Rcheulishvili's story *"The Widow's Lemons,"* as evidenced by shared vocabulary. From a literary perspective, all the mentioned works are influenced by Baratashvili poem.

საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, რომელიც თავდაპირველად ერთმორწმუნე და ძლიერი რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შესვლაში გამოიხატა და რომელსაც ოფიციალური სახე გეორგიევსკის ტრაქტატმა მისცა (1783 წ.), არაერთხელ გახმიანდა თვით მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ამის დასტურად დავასახელებთ გრიგოლ ორბელიანის პროზაული დოკუმენტური (სამოგზაურო დღიური) ჟანრის თხზულებიდან – „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“(1832 წ.) – ივანე აფხაზისა და ავტორის დიალოგს, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“ (1839 წ.) და გრიგოლ რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონებში“ (1950 წ.) მეფის მონოლოგს ქვრივ კეკესთან. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ ავტორთა თხზულებებში ნათლად გამოიხატა ერეკლე მეფის პოზიციის არგუმენტაცია, 60-იანელების ეროვნული იდეოლოგიის საფუძვლად სწორედ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ იქცა სოლომონ ლეონიძისა და მესი მეუღლე სოფიოს პატრიოტული პოზიციის გამო – „ჯერ სამაგისო რა გვემართება, / რომ განვისყიდოთ თავისუფლება“ (ბარათაშვილი 1968: 145), „რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, / გალიაშია დაყტვევებული“ (ბარათაშვილი 1968: 149).

საინტერესოა, რა პოზიციას იჭერს ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ანექსიიდან ზუსტად საუკუნის გასვლის შემდეგ, 1901 წელს, პატრიოტი ქართველი ავტორი, რომლის სამშობლოსადმი დამოკიდებულება არჩეული ფსევდონიმიდანაც ჩანს – „ი. მარუშიძე“. იოანე მარუშიძე იყო X საუკენეში საქართველოს გაერთიანების იდეოლოგი და საქმის პრაქტიკულად განმხორციელებელიც. ამ ფსევდონიმით XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ორი პიროვნებაა ცნობილი – ზაქარია ჭიჭინაძე (1854-1931) და იოსებ გრიშაშვილი (1889-1965). რადგან 11 წლის იოსებ გრიშაშვილი სამწერლობო ასპარეზზე ჯერ გამოსული ვერ იქნებოდა, ამიტომ მას გამოვრიცხავთ. 46 წლის ზაქარია ჭიჭინაძისთვის კი 1901 წელი შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდია. ჩვენს აზრს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს 1910 წელს ცალკე წიგნად აქვს გამოცემული თხზულება იმავე სათაურით – „სოლომონ ლეონიძე, მსაჯული ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა“ (ის არ ხმარობს ამ გვარის სხვა ფორმას – „ლიონიძეს“); ისიც ცნობილი ფაქტია, რომ ზაქარია ამ პერიოდში გამომავალ ყველა ჟურნალის გამომცემლობასთან თანამშრომლობდა.

წიგნი – „სოლომონ ლეონიძე, მსაჯული ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა“ – წარმოადგენს სოლომონ ლეონიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თავიდან ბოლომდე გადმოცემას, თუმცა ეს არ არის მისი სრული ვარიანტი; ნაშრომის ბოლო გვერდზე ავტორს მითითებული აქვს: *„სოლომონ ლეონიძის შესახებ დამზადებულია ვრცელი ხელთ ნაწერი, რადგან მისი გამოცემა ერთად ვერ მოვახერხე უთანხობის გამო, ამიტომ ასე პატარა წიგნად ვბეჭდავ.*

მთელი წიგნი სულ ექვს ასეთ წიგნათ გამოვა“. ვრცელი ნაშრომი აღარ გამოსულა (შესაძლოა ინახებოდეს ზაქარია ჭიჭინაძის პირად არქივში)

ჩვენ მიერ საცენზურო კომიტეტში ნაპოვნი მასალა არ წარმოადგენს ზემოთ დასახელებული წიგნის ნაწილს. ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომი ისტორიული ხასიათისაა და ძირითადად სოლომონის საქმიანობას ეხება, მის სიახლოვეს ქართველ ამქრებთან, ქალაქის მმართველობის წესების შემოღებას, ვაჭრობის განვითარებისთვის ბრძოლას და ა.შ. შუა ნაწილში ჩართულია ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მასალა – სოლომონის დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან, ასახული ლეონიძის საუბრებითა და რჩევებით ერეკლე II-სა და გიორგი XII-სთან. ბოლო ნაწილში მოთხრობილია სოლომონის მღვაწეობა დასავლეთ საქართველოში და სოლომონ II-სთან მისი მრჩევლობა.

ჟურნალ „მოგზაურის“ აკრძალულ სტატიას, სათაურით „სოლომონ ლეონიძე“, მოთხრობის ფორმა აქვს და წარმოადგენს სოლომონისა და ერეკლეს დიალოგს. შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მას აკლია შესავალი ნაწილი. ტექსტი კონკრეტულად პირდაპირ სოლომონის რჩევით იწყება:

„– *მეფეო, როცა თქვენ სამეფო სახლში ინგლისელებთან დაკავშირებაზედ კრება ჰქმენით და თათბირი გამართეთ, მაშინ მე მოგახსენეთ შემდეგი: – ბატონო მეფეო, განძრახვა თქვენი მეტად მძიმეა, მისი ადვილად განსჯა შეუძლებელია, თქვენ, როგორც მამას, მეფეს, გსურთ თქვენი ერის ბედნიერება, მისი მერმისი ცხოვრება, მაგრამ უწყის ღმერთმა, თუ მერმისი ქართველთა ვითარებას როგორ მომართავს, თქვენ, მეფეო, დუმილი ჰქმენით, წარმოიდგინეთ მომავლის ქართველთა ცხოვრების გეგმა, და იგი გაითვალისწინეთ, იგი აწონ-დაწონეთ და ისე შედით რჩევაში. გაუწყებთ, რომ ასეთს საქმეს დიდი თათბირი სჭირია. <u>ნეტავი შეიძლებოდეს თქვენის ნატვრის შესრულების 40 წლის შემდეგ გაჩვენათ თქვენი ქვეყანა და ერი, თუ იგინი რა მდგომარეობაში იქმნებიან მოთავსებულნი, თქვენი მაქებარნი იქმნებიან, თუ მყვედრებელ-მაგინებელნი.</u> სანატრელია, მეფეო, რომ გარე ერთობის მაგიერ შინაური ერობის აზვავება ვინატროთ, ურჩნი დავიმორჩილოთ, სამეფო საქმეს მაგარი მიმდინარეობა მივსცეთ“.*

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში (შუა, ჩვენთვის საინტერესო ნაწილში) ჯერ დახასიათებულია სოლომონ ლეონიძის პოლიტიკური ხედვა, რომ არ შეიძლება სპარსეთისა და ოსმალეთის უგულებელყოფა რუსეთთან კავშირის გამო, რადგან რუსთა მხრიდან დახმარების მიღებამდე, *„დავიღუპებით, მოვისპობით... სპარსნი გადაგვეკიდებიან უფრო 1783 წ. ეკატერინა იმპერატრიცას მფარველობის გამო“* (ჭიჭინაძე 1910: 19). მეფე ერეკლე ეწინააღმდეგება მას : *„მე გვირგვინოსანი მეფე ვარ და ვერ ვიტვირთებ ჩემს ბეჭედზედ დაწერილი იყოს: – „ფეხთა მტვერი ყეინისა – მეფე ქართლ-კახეთისაო“. რუსნი ქრისტიანები არიან, ამათს მფარველობის ძალით მოვსთხრი სპარსეთსო*“ (იქვე).

ზაქარია ჭიჭინაძე იმასაც აღნიშნავს, რომ ბარათაშვილის პოემაში გადმოცემული დიალოგი მეფესა და სოლომონ მსაჯულს შორის ისტორიული ხასიათისაა და ის მართლაც შედგა მეფის სახლში 1796 წელს. სოლომონს საჯაროდ უთქვამს მეფისთვის, *„ჩვენ მერჯულე ერთა ერთობა არას გვარგებსო, თუ ქვეყნის და ცხოვრების წესებით ერთმანეთს არ ვენათესავებითო“* (იქვე). ის ურჩევს მეფეს, რომ ამ საქმეს მხოლოდ თავისი წადილით ნუ გადაწყვეტს, ჰკითხეთ სხვასაც, განსაკუთრებით იმერეთსო; *„თქვენ ერმა მოგცათ უფლება თვის დასაცველად და არა სხვათა გარდასაცემ-გასაცვლელადო. მეფის გულის თქმა და განძრახვა ერსაც ეკითხვისო“* (იქვე).

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ბარათაშვილის პოემის მხოლოდ პირველი ნაწილია ისტორიული ხასიათის, რადგან მეორე ნაწილში აღწერილი დიალოგი რეალურად ვერ შედგებოდა სოლომონის თავდაპირველი პოზიციის გამო, რადგან ის ტრაქტატის შემდგენელი და სულისჩამდგმელიც კი ყოფილა. ზაქარია ჭიჭინაძე სხვაგვარად ახასიათებს მის პოზიციას და იმასაც დასძენს, რომ მეფესა და სოლომონს შორის უთანხმოება სწორედ ამ საკითხის გამო წარმოქმნილა, მაგრამ შემდგომ, გიორგი XII-ის დროს, როცა აღამაჰმად ხანიც მკვდარი იყო და საქართველოც რუსეთის მფარველობაში შესული, ლეონიძემ გიორგი მეფეს ურჩია, იმპერატორ პავლესთან თხოვნა განეახლებინა, რათა მას დაეცვა საქართველო გარეშე მტრებისაგან. სავარაუდოდ აქედან წამოვიდა ლეონიძის რუსეთის მომხრეობის თვალსაზრისი. როგორც ჩანს და როგორც არის დახასიათებული ლეონიძე ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში, ის საკმაოდ დიდი უნარის პოლიტიკოსია, ვითარებას აფასებს დროის კონკრეტული მომენტიდან გამომდინარე და ფიქრობს არა მხოლოდ აწმყოზე, არამედ მომავალზე. მისი პოზიცია ბეწვის გზაზე სიარულია, იმპერიათა აგრესიიდან გამომძვრენა, რათა ქვეყანამ არ დაკარგოს თვითმყოფადობა და არსებობა შეინარჩუნოს.

ზაქარია ჭიჭინაძე ერეკლესა და სოლომონის დიალოგის აღწერისას ვერ იმოწმებს ისტორიულ საბუთს და ეყრდნობა მხოლოდ ზეპირგადმოცემას, რომელიც მეფის თანამედროვეებს კარგად ახსოვდათ და ასევე გადასცემდნენ შთამომავლობას. ნიკოლოზ ბარათაშვილსაც სწორედ „ამათი მონათხრობიდან უსარგებლნია და დაუწერია „ბედი ქართლისა“, ხოლო გრიგოლ რჩეულიშვილს თავის მოთხრობაში ამ კაცთა მონათხრობიდან გამოუყენებია ერთ-ერთი თათბირის დროს მეფის სიტყვა, რომელიც 1850 წელსაც კარგად ახსოვდათო. აქ ზაქარია ჭიჭინაძე გულისხმობს მეფის მონოლოგს (და არა დიალოგს), რადგან ქვრივი მას უკვე აღარ უსმენს, თავის ფიქრებშია ჩაძირული და მეფეც აღიქვამს, რომ თავის თავს ესაუბრება. ამ ვრცელი მონოლოგიდან მოვიტანთ მხოლოდ მის ბოლო ნაწილს, მეფის ვედრებას ღვთისადმი:

„უზესთაესო არსებავ! ... შენ დააგვირგვინოსანე ეს კავშირი შენის მოწყალებით, თუ რომ კეთილი იყოს. ოჰ, საბრალო საქართველოვ!... <u>ნეტავი ორმოცი წლის</u>

<u>შემდეგ ჩემის სიკვდილისა, კვალად მაჩვენა ანუ გამაგონა შენი მდგომარეობა რუსეთის ხელში, ჩემი მაწყევარი იქმნება თუ მლოცველი ამ ფიქრისათვის...</u> გულთამხილავმა ღმერთმა ხომ იცის, რომ მხოლოდ შენის გედნიერებისათვის დავიწყე რუსეთთან ეს კავშირი და არა ჩემის დიდებისათვის... არ არის იმგვარი მსხვერპლი, რომლის შეწირვაც არ გამოვიმეტო შენს დასამშვიდებლად, შენს გასაგედნიერებელად, უძლურო საქართველო!...“ (რჩეულიშვილი 1984 : 67).

როგორც ვხედავთ, გრიგოლ რჩეულიშვილი იმეორებს იმ სიტყვებს, რომლებიც ი. მარუშიძემ სოლომონ მსაჯულს ათქმევინა – 40 წლის შემდგომ საქართველოს მდგომარეობის შეფასების შესახებ, როცა თვალნათლივ გამოჩნდება მეფის ნაბიჯის სისწორე თუ შეცდომა, მეფის მლოცველი იქნება ერი თუ მაწყევარი.

ზუსტად ასევე გადმოსცემს მეფის სიტყვებს ზაქარია ჭიჭინაძეც თავის წიგნში 1910 წელს, თუმცა აღნიშნავს, რომ ერეკლეს სიტყვა მეფის თანამედროვეთა წყალობით გავრცელდა და სწორედ ამ ზეპირგადმოცემით ისარგებლეს ბარათაშვილმაც და გრიგოლ რჩეულიშვილმაც. მოგვყავს ზაქარია ჭიჭინაძის წიგნიდან მეფის სიტყვები:

„სოლომონ ლეონიძე მყვედრის მე, მყვედრიან სხვანიც. ვითომც მე სხვათა მიკედლებას ჩემის დიდებისათვის ჩავდიოდე, ღმერთია მოწამე, რომ ეს ასე არ არის და მე ვეკედლები სხვათა ჩემის ქვეყნის დიდების და ერის სადღეგრძელოდ. <u>ახ, ნეტავი ჩემის ქვეყნის შეერთების 40 წლის შემდეგ, საფლავიდამ წამომაყენა და მაჩვენა ქართველნი, თუ ჩემი მაწყევარნი იქნებიან, თუ მადლობელნი. მაგრამ ღმერთია მოწამე, რომ მე ამას ჩემის ერის კეთილ დღეობისათვის ჩავდივარ და არა ჩემი დიდებისათვის“</u> (ჭიჭინაძე 1910 : 20).

სავარაუდოა, რომ ზაქარია ჭიჭინაძე ნარკვევში სოლონ ლეონიძეზე დაფიქსირებულ სიტყვებს იყენებს ფსევდონიმით დაწერილ მოთხრობაშიც „სოლომონ ლეონიძე“. ისიც შესაძლებელია, რომ მან ჯერ მოთხრობა დაწერა და შემდეგ ისტორიული ნარკვევი. სამწუხაროდ, მისი აკრძალვის შემდგომ მოთხრობის მეორე ნაწილი ჟურნალ „მოგზაურში“ აღარ დაბეჭდილა, თუმცა პირველ ნაწილს აწერია, რომ „გაგრძელება იქნება“.

ისიც აღსანიშნავია, რომ ცენზურისაგან თავის დასაცავად ი. მარუშიძე ცვლის საქმის ვითარებას იმით, რომ მოთხრობაში რუსეთის მაგივრად ინგლისი შემოჰყავს. სამეფო სახლში ინგლისელებთან დაკავშირებაზეა კრება. საქმის არევ-დარევის მომხრენი სოლომონს იმასაც კი აბრალებენ, რომ თვითონ მას უნდა ინგლისში წასვლა და თავის მოწონებაო. ამ ყოველივემ ის შედეგი გამოიღო, რომ სოლომონი დათანხმდა მეფის გადაწყვეტილებას, „მეტი გზა არ ჰქონდა“. მისი მიზანი ისიც იყო, რომ საქართველოს რუსეთთან კავშირის დოკუმენტი სწორად შედგენილიყო, სწორედ ის ფლობდა იმ იურიდიული „მუხლების“ ცოდნას, რომელთა გამოყენებასაც სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა ესაჭიროებოდა.

მოთხრობაში ამას მოსდევს ერეკლე II-ის საშინაო პოლიტიკის მხილება. იგივე პათოსი მკვეთრადაა გამოხატული ზაქარია ჭიჭინაძის ნარკვევშიც. მოთხრობაში მეფის კრიტიკა ასეა ჩამოყალიბებული: 1) ერეკლემ საქართველოში თავად-აზნაურები ერთი ათად გაამრავლა; 2) შემუსრა მხოლოდ ისინი, ვინც მას ეურჩებოდნენ; 3)ნამდვილი მოღალატეები კი, რომლებიც ხმას არ იღებდნენ და მეფეს ეპირფერებოდნენ, დაინდო; 4) გრიგორიანელებს მისცა თავადიშვილობა და თანაც ყმებად ქართველი გლეხები დაუყენა; 5) აქედან გამომდინარე, გლეხები იცვლიდნენ თავიანთ გვარტომობას და სარწმუნოებას. 6) გარდა ამისა, გლეხები თავადაც *„მირბოდნენ განჯის, ერევნის და სხვა ადგილებში, სადაც იგინი თავიანთ ნებით უკავშირდებოდნენ სხვებს“.*

შედეგად ქართველობა განახევრდა, დიდებულებისათვის კი *„ერის მომავალი ბედნიერება მარტოდ მათ გვარ-შთამოებით მედიდურებაში იფარებოდა და ეს იყო სწორედ მის უბედურებად, რომ მეფე სრულებით ვერ აკვირდებოდა მას და თუ თითო-ოროლა სანდო პატიოსანი პირები ჰყვანდნენ თან შეზრდილნი და ერთგულნი, ხშირად მათაც ეჭვის თვალით უმზერდა, რაც უფრო ხევდა სამეფო საქმის განვითარების ძალას და ზოგიერთ პატიოსან პირთა ნამუსიანს ხალისსაც ცუდად ლახავდა“* (მარუშიძე 1910: სცსა, ფონდი 480-1-1697).

ზაქარია ჭიჭინაძეც წერს ქართველთა განახევრებაზე, ზოგის გასომხებაზე, ზოგის გაფრანგებაზე, საქართველოს დატოვებაზე, ქართველ მოაზროვნეთა მოწინავე ნაწილის დევნაზე და ამის მიზეზად მეფის საშინაო პოლიტიკა მიაჩნია. მეფე თავიდან იცილებდა ისეთ ქვეშევრდომებს, რომლებსაც თავის თანამოაზრედ არ სცნობდა, რის შედეგადაც *„თბილისში ქართველ გამგეთ რიცხვი შემცირდა, თავადიშვილებმა სოფლად იწყეს გადასახლება, ქალაქში კლება, შემცირება და მათ მაგიერ ერეკლე მეფის მეოხებით თბილისში სომხებმა იწყეს გამრავლება და ქალაქის გამგეობის პატრონობა. სომხები მეფე ერეკლეს კარგად ემორჩილებოდნენ; ხოლო ოსტატურათ; ისინი მეფის ყოველ სიტყვას მოწიწებით ისმენდნენ, მიტომაც იყო, რომ მეფე მათ აძლევდა თავადიშვილობას, აზნაურიშვილობას, მოქალაქობას, ანიჭებდა ყოველ ნაირ ღირსებას და ხშირად დიდის უპირატესობითაც მოსავდა“* (ჭიჭინაძე 1910: 10). ზაქარია ჭიჭინაძე იმასაც კი წერს, რომ ბევრმა ბრძენმა ქართველმა ფხიზელი თვალით შეაფასა ეს გარემოება და დარწმუნდა, *„რომ თუ ერეკლე მეფე დარჩებოდა საქართველოში ასეთის ძალით და გამგეობით, რასაც ის ადგა, მაშინ საქართველოს უსათუოდ დაღუპვა მოელოდა, რადგან მისი გამგეობა უმეტეს წილად დაფუძნებული იყო ძალ-მომრეობაზე, დესპოტიზმზე“* (იქვე). 1768 წელს მეფის წინააღმდეგ დაარსდა დასი, რომელიც მიზნად ისახავდა ერეკლეს მოკვლასა და მისი ოჯახის ამოწყვეტას ისე, რომ ერთი კაციც არ უნდა დარჩენილიყო ცოცხალი. შეთქმულები მალევე დაიჭირეს და დასაჯეს. მკაცრმა დასჯამ თავადაზნაურების მომდურებებაც გამოიწვია, რადგან მეფემ *„მათი მონათესავენი დასაჯა. ამან უფრო არივ-დარია ქართველნი. ამ დღიდგან მომზადდა 1795 წლის უბედურება და*

ყველა ის განსაცდელი, რაც კი ამ წლით ჩვენს სამშობლოს მოევლინა“ (ჭიჭინაძე 1910: 11).

როგორც ვხედავთ, წიგნსა და მოთხრობაში მსგავსი პათოსი და განწყობაა და, რაც მთავარია, ერთი თემა, ერთნაირი ფაქტები, აბსოლუტურად ერთნაირადაა გააზრებული. ტექსტების შედარებითი ანალიზი გვარწმუნებს, რომ ი. მარუშიძე მართლაც ზაქარია ჭიჭინაძე უნდა იყოს, რომელიც წლების განმავლობაში სწავლობდა და ამუშავებდა სოლომონ ლეონიძის მოღვაწეობას. ზეპირგადმოცემა უდევს საფუძვლად ნ. ბარათაშვილის პოემასაც „ბედი ქართლისა“ და გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობასაც „ქვრივის ლიმონები“, რასაც მოწმობს მსგავსი ლექსიკა, მხატვრული თვალსაზრისით კი ზემოთჩამოთვლილი ყველა ნაწარმოები განიცდის ბარათაშვილის პოემის ზეგავლენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარათაშვილი ნ. (1968), თხზულებანი, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“;

რჩეულიშვილი გრ. (1984), „ქვრივის ლიმონები“ წიგნიდან „ქართული პროზა“, ტ. VII, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“;

სცსა, ფონდი 480.

ჭიჭინაძე ზ. (1910), „სოლომონ ლეონიძე, მსაჯული ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა“, ტფილისი: ელექტრო-მბეჭდავი „ნადეჟდა“;

გოჩა კუჭუხიძე
Gocha Kuchukhidze

კავკასიის საცენზურო კომიტეტის ძირითადი ტენდენციები XX საუკუნის დასაწყისში[1]

Key Trends of Caucasian Censorship Committee in Early 20th Century

Annotation

Studying of the materials preserved at the National Archive of Georgia provide clear picture of political situation in early 20th century, in the Russian Empire and in Caucasus (our work deals with entire Caucasus, though the main focus was made on Georgia). In the works of the recent years (Certain Trends of Caucasian Censorship Committee /70s of 19th century/; in: Journal of Scientific Works – XIX Century At the Crossroads of Epochs; Publishing House;Tbilisi State University, 2023; On Some Unknown Materials of 1870s and Early 1880s of *Caucasian Censorship Committee* /in: Georgian Source-Studies, XXV, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology; 2023; Caucasian Censorship Committee in 80s-90s of the 19th century /Key Trends/; in: Georgian Source-Studies, XXVI, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology; 2024) we admitted that in 70s and early 80s of 19th century, *Caucasian Censorship Committee* was not excessively strict to the works (fiction, publicistics, science…), which openly expressed the national spirit, particularly love to Georgia and certain part of which was intended to research history and ethnography of Georgia. In that period, the *Committee* mostly restricted publication of the works that dealt with heavy sociopolitical situation in the Empire and that promoted revolutionary ideas. From the second half of mentioned 80s, in Georgian literature, in many cases the national and sociopolitical ideas became closer to one another and the ***Committee*** **became stricter to the national spirit** in the literature, even if the texts subject to consideration by the *Committee,* did not mention the socioeconomic issues, fearing that the national spirit expressed in such works would gradually grow into propaganda of the revolutionary ideas in the later works. *Censorship Committee* looked suspiciously to such publicist works and fiction that express patriotism to Georgia and **frequently prohibited their publication** (the policies were similar in relation to Armenia and Azerbaijan…). As for early 20th century, since then, the social-democratic and revolutionary ideas overwhelmed Georgian literature (this can be said about the art of many

[1] სტატია დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა ჟურნალში „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა" № 5, თსუ გამომცემლობა, 2025 წ.

other Caucasian nations…) and since then *Caucasian Censorship Committee* did not show much care about whether the work was of national character, without any policies or it contained revolutionary ideas, attempting to be stricter and as a result, this institution **prohibited much more frequently** publication of the works that did not contain any revolutionary ideas but rather cared about improvement of the national problems in the country (naturally, fight with the revolutionary ideas was particularly extensive). Strictness showed by the *Committee* can be also evidenced by the fact that in that period, the institution used to apply to the law enforcement authorities, if the suspicious work was accidentally published in the press or as a separate book, the *Committee* applied to the prosecutor's office and the court, against the authors and the publishers. There were also cases, where the *Committee* punished their staff members for the lack of responsibility.

In that period, duties of the *Caucasian Censorship Committee* included also inspection of personal correspondence to the persons inacceptable to the state, frequently, gendarmerie sent to the *Committee* the books to find out, whether one or another book contained the ideas inacceptable for the state… Archive materials clearly show also that from the beginning of 20th century, it is hard for the *Committee* to identify all materials inacceptable for the state; we can also see that many times, the law enforcement authorities blamed the *Committee* for lack of responsibility.

The Archive maintains the materials banned by the censors (poems, stories, plays, publicist works, paintings…), with quite significant creative value. In one of the folders we found caricatures by Oscar Schmerling (1867-1938), mocking at the education system of Russia of that period (author's style and his signature clearly show that these were original pictures of the author). *Caucasian Censorship Committee* has banned publication of these caricatures as evidenced by the censor's postscripts. In the end of our article, we offer the mentioned caricatures.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, საარქივო დოკუმენტები.
Key words: Caucasian Censorship Committee, archival documents.

გასულ წლებში შესრულებულ ნაშრომებში აღნიშნული მქონდა, რომ XIX ს-ის 70-80-იან წლებში, მიხეილ ვორონცოვის მმართველობის დროს, ქართული ეროვნული პრობლემებისადმი შედარებითი დათბობა ხდება, ცენზურა, ცხადია, სრულ ლოიალობას არ იჩენს, მაგრამ მკითხველამდე მაინც აღწევს ილიას, აკაკის, ვაჟას, გოგებაშვილისა და სხვათა ხმა... რადგან სახელმწიფო შიშობს, რომ რევოლუციური იდეები არ გავრცელდეს კავკასიაში, იმ პერიოდში უმთავრესი ყურადღება სოციალური პრობლემების ამსახველი ლიტერატურის აკრძალვისკენ აქვს კავკასიის საცენზურო კომიტეტს მიმართული; 80-იანების ბოლო წლებისა და 90-იანების დასაწყისი ხანიდან ეროვნული და სოციალური პრობლემები ძალზე უახლოვდება ქართულ მწერლობაში ერთმანეთს და კომიტეტი მთლიანად ებრძვის ყველა იმ ლიტერატურას, რომელიც სახელმწიფოს კრიტიკის ნიშნებს შეიცავს (ხსენებული საკითხების შეს. იხ. კუჭუხიძე 2022-2023; კუჭუხიძე 2023; კუჭუხიძე 2024); **XX საუკუნის დასაწყისში დაახლოებით იმავე პოლიტიკას აგრძელებს კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ოღონდ განსხვავება ის არის, რომ, რადგან სახელმწიფოში ძალიან ძლიერდება რევოლუციური იდეები, კომიტეტს ამჯერად უფრო მეტად უწევს ამ იდეებზე კონცენტრირება**, საარქივო მასალების გაცნობა ცხადყოფს, რომ **ძირითადად რევოლუციის მომწოდებელი, მძიმე სოციალური მდგომარეობის ამსახველი ლიტერატურის შეჩერებას ცდილობენ მასში**; ამ პერიოდში შეიმჩნევა ერთი ტენდენცია, – **ხშირია შემთხვევა, როცა კომიტეტი ველარ ახერხებს დასაბეჭდი მასალის აკრძალვას, ჩანს, ზოგჯერ ველარ ასწრებენ ყველა დასაბეჭდი სტატიისა თუ სხვა ლიტერატურულ მასალათა ყურადღებით შემოწმებას, ხშირად ცენზურის ნებართვის გარეშე გამოდის ანტისახელწმიფოებრივი ლიტერატურა და კომიტეტს ისღა დარჩენია, უკვე გამოქვეყნებულ მასალაზე გაამახვილოს ყურადღება და პროკურატურასა და სასამართლოში უჩივლოს ამა თუ იმ ბეჭდვითი ორგანოს რედაქტორს ან მის რომელსამე თანამშრომელს**; ჩანს, ამგვარი მოქმედებით პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობენ და სახელმწიფოსთვის იმის ჩვენება სწადიათ, რომ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას; არქივში გვხვდება დოკუმენტები, რომლებიდანაც ვხედავთ, რომ სამართალდამცავი ორგანო ითხოვს კომიტეტიდან პასუხს, თუ რატომ არ მოითხოვა კომიტეტმა ამა თუ იმ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და ეს უკანასკნელი პასუხობს, რომ კანონის თანახმად ამის უფლება არ აქვს კომიტეტს; ქვეყანაში ერთგვარი დაბნეულობაც იგრძნობა, – ზოგჯერ გუბერნიიდან, ჟანდარმერიიდან ან სხვა უწყებიდან აგზავნიან შეკითხვას კომიტეტში და ითხოვენ განმარტებას, არის თუ არა გამოქვეყნებულ სტატიაში რაიმე ანტისახელმწიფოებრივი; სახელმწიფოში პირადი წერილებიც კონტროლდება; არის შემთხვევები, როცა ჟანდარმერიიდან ეკითხებიან კომიტეტს, რას წარმოადგენს ამა თუ იმ პირთან გაგზავნილი წიგნი, ბროშურა, – არის თუ არა მასში რაიმე საეჭვო; საბაჟოებიდან კი, როგორც გასულ წლებში, ისევ აგზავნიან საეჭვო კორესპონდენციებს (გარდა იმისა, რომ ალექსანდრე III-მ 1881

წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნა მე-3 განყოფილება, ე. წ. „ოხრანკა“, რომელსაც თავის აგენტურასთან ერთად ჰყავდა „პერლუსტრატორები“ /ეს ტრადიცია ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ ალექსანდრე ბენკენდორფმა შემოიღო/, რომელნიც მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ოდესაში, ხარკოვსა და ტფილისში მოქმედებდნენ (ისტორია) და ჩინოვნიკთა და ცნობილ პირთათვის გაგზავნილ წერილებს კითხულობდნენ, ამ მოვალეობის შესრულებას ცენზურის კომიტეტსაც ავალებენ); გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა კომიტეტი რომელსამე რედაქტორს უჩივის, მაგრამ სასამართლო ამართლებს ამ რედაქტორს... სასამართლო ორგანოებში გაგზავნილი განცხადებით ზოგჯერ საკუთარი თანამშრომლის მიმართ მოითხოვს კომიტეტი საქმის აღძრვას იმის გამო, რომ ამ თანამშრომლის უყურადღებობით სახელმწიფოსათვის მიუღებელი მასალა გამოქვეყნდა ბეჭდვით ორგანოში... შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოში საკმაოდ არეული მდგომარეობაა, რაც 1905 წლის შემდეგ განსაკუთრებით ხდება საგრძნობი და ეს ვითარება კავკასიის საცენზურო კომიტეტის მუშაობაზეც ისახება. ცენზურის წესდება, ცხადია, იცვლება, მაგრამ უცვლელი რჩება პირველი თავის მე-6 პარაგრაფი, რომლებიც ცენზორისგან ტექსტში ისეთი ადგილების აღმოჩენას მოითხოვს, მკითხველს თავისებური განმარტების საშუალებას რომ მისცემს და სახელმწიფოსათვის მიუღებელ აზრს დაანახებს მათში; მე-9 პუნქტი განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ცენზურისგან, რათა ხელისუფლების შეურცხყოფა არ აისახოს ტექსტში (წესდება 1929: 6-9).

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ 1902 წლის მასალებიდან ვხედავთ, როგორ ითხოვს ნიკო ნიკოლაძე ჟანდარმერიიდან, მიაწოდონ მისთვის გამოგზავნილი ნაშრომები; ნიკოლაძე განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ იმყოფება, ვერ ვიტყვი, რომ ჟანდარმერიაში ჯერ არ იციან, რას წარმოადგენს მათთვის მიუღებელი პირისათვის გაგზავნილი ლიტერატურა, მაგრამ, ჩანს, ფორმალობაც ასე მოითხოვს და კომიტეტს ეკითხებიან, დასაშვებია თუ არა ნიკოლაძისთვის ამ მასალების გაგზავნა (დასახელებულია ლ. ტოლსტოის “Какова моя Жизнь?” /იგულისხმება ტოლსტოის “Моя жизнь”/, გერცენის “Герцен и Огарев в Швейцарии”, ბაკუნინის “Письма М. А. Бакунина к А. И. Герцену и Н. П. Огареву”, გორკის “Три рассказа” /ალბათ იგულისხმება რომანი “Трое”/, ლენინის ბროშურა “Что делать”, გაზეთები: “Свободное слово” /1897, №1/, „Искра” /1902, № 22 და სხვ. (480-1-1831)... ტოლსტოისა არა, მაგრამ ჟანდარმერიის ყურადღებას, ცხადია, რევოლუციური და სოციალური თემატიკის შემცველი ნაშრომები მიიქცევდა...

1902 წლის 4 მაისით დათარიღებულ ერთ წერილში პეტერბურგის „საზღვარგარეთული ცენზურის ცენტრალურ კომიტეტს“ (“Центральный Комитет Иностранной Цензуры”) კავკასიის კომიტეტიდან ეკითხებიან, შეიძლება თუ არა, გავრცელდეს ღია ბარათები, რომელიც ბერლინშია გამოცემული და რომელზეც გრაფი ტოლსტოი და გორკი არიან გამოსახულნი; 18 მაისს პეტერბურგიდან მოდის

საპასუხო წერილი, რომელშიც ვხედავთ, რომ პასუხის მოცემამდე პეტერბურგში ლ. ტოლსტოის სურათის გაგზავნას ითხოვენ ("Препроводить экземпляры бланков открытых писем Гр. Л-ва Тольстого"); 27 მაისს ცენზურის კომიტეტიდან ტოლსტოისა და ასევე მაქსიმ გორკის სურათებს აგზავნიან; 13 ივნისს პეტერბურგიდან კომიტეტის თავმჯდომარე იტყობინება, რომ მიიღეს ორი ბლანკი და იძლევა განკარგულებას, გრაფ ტოსლტოისა და გორკის სურათის ამსახველი „ბლანკი" არ გავრცელდეს, გრაფ ტოლსტოის სურათის გავრცელების ნებას კი რთავს თავმჯდომარე კომიტეტს (ოღონდ, იმ პირობით, რომ სურათს თან უნდა ახლდეს განმარტებითი მინაწერი /"пояснительная записка"/, თუ ვინ არის გრაფი ტოლსტოი) (480-1-1820)... როგორც ჩანს, ორი ფოტოს საკითხი ყოფილა კავკასიის კომიტეტში გასარკვევი, ერთ ფურცელზე ალბათ ტოლსტოისა და გორკის ფოტოები ერთად იყო დაბეჭდილი, მეორეზე კი მხოლოდ – ტოლსტოისა და ამ ორი მწერლის „ერთობლივი" სურათის გავრცელება აუკრძალავთ პეტერბურგიდან (მაქსიმ გორკის მიმართ ცენზურის უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ იხ. – მასალები)... იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ დროს, 1902 წელს, კავკასიის კომიტეტში (თუ ამ წერილის გაგზავნის ფაქტი კომიტეტში მომუშავე რომელიმე პირის არაკომპეტენტურობისა და, იქნებ, ამა თუ იმ გარემოებით გამოწვეული პირადი ინიციატივით არ მოხდა) ჯერ კარგად არ იცნობენ პროლეტარ მწერალ გორკის, ბოლომდე არ არიან დარწმუნებულნი, დაუშვებელი რომ არის მისი პოპულარიზება.

1902 წელს პეტერბურგის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველო კომიტეტს ქართულად კარნოს თხზულების გამოცემის შესახებ სწერს („საფრანგეთის რევოლუციის ისტორია" /არქივში დაცულ ტექსტშია: «Сочинение Карно "История Французской Революции"»), რომ სპირიდონ ჭელიძეს, რომელსაც, როგორც ჩანს, ხსენებული წიგნის ქართული თარგმანის დაბეჭდვაზე უარის მიღების გამო უჩივლია, განუცხადონ, რომ მისი საჩივარი არ განხილულა ("Гл. Управление уведомляет Ценз. Комитет для обявления Г. Спидирону Челидзе, что жалоба последнего... оставлено без последствия") (480-1-1824) (კომიტეტი ალბათ მოძებნიდა იურიდიულ დასაბუთებას, თუ რა მიზეზით არ ექვემდებარებოდა ჭელიძის საჩივარი განხილვას); საყურადღებოა, რომ ლაზარ-იპოლიტ კარნოს (1753-1823) ხსენებული წიგნის ("La revolution ftançaise, résumé historique") რუსული თარგმანი 1894 წელს პეტერბურგში მეორედ გამოიცა (კარნო 1894); სპირიდონ ჭელიძე ჩივილისას ალბათ იმ ფაქტს ითვალისწინებდა, წიგნის რუსულენოვანი გამოცემები უკვე რომ არსებობდა რუსეთში და იმედოვნებდა, რომ ეს ფაქტი ქართული თარგმანის გამოცემას გააადვილებდა, თუმც XX საუკუნის დასაწყისში განსხვავებული პოლიტიკური ვითარება იდგა, შესაძლო იყო, საფრანგეთის რევოლუციის ისტორიიდან ბევრი რამ გადაეღოთ იმპერიის რევოლუციონერებს და ამ თარგმანის გამოცემა ადვილი უკვე აღარ იქნებოდა. ჩანს, მთავარი სამმართველო და კომიტეტი ცოტა უხერხულ მდგომარეობაშიც ჩავარდნილან, – არ იცოდნენ, როგორ დაესაბუთე-

ბინათ მთარგმნელისთვის, წიგნის დაბეჭდვა იმ პერიოდში დაუშვებელი რომ იყო, ვერც რუსული გამოცემის აკრძალვა ხერხდებოდა და წიგნის ქართულად მთარგმნელი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაუტოვებიათ.

საქაღალდე 480-1-1831-ში (1902 წ.) გვხვდება ცნობა, რომლიდანაც ვხედავთ, რომ ჟანდარმერიის საპოლიციო განყოფილება გაურკვევლობაში აღმოჩენილა და საცენზურო კომიტეტს ეკითხება, – შეიძლება თუ არა, მაღაზიებში გაიყიდოს ადოლფ კოგუტის (გერმანელი მწერლის /1848-1917) წიგნი – "Знаменитие еврей"; ამ წიგნში ებრაული წარმოშობის ცნობილ ადამიანთა ბიოგრაფიები და სურათებია შეტანილი, პოლიტიკური არაფერი არ არის მასში, მაგრამ საცენზურო კომიტეტისაგან ნებართვის გარეშე პასუხისმგებლობის თავზე აღებისა მაინც შეშინებია ჟანდარმერიას (ან ფორმალობა მოითხოვდა კომიტეტიდან ამ საკითხზე პასუხის მიღებას), რომელშიც, ჩანს, გასასინჯად, იქნებ – ვინმეს დასაბეზღებლად, ან სახელმწიფოსათვის ერთგულების საჩვენებლად მიუტანიათ ეს წიგნი ჟანდარმერიაში.

1902 წლის ჟურნალ "Аргонавт"-ში გამოსაქვეყნებლად აკრძალულია სტატია, რომელშიც ლაპარაკია ბენედეტო კროჩეს (1866-1952) წიგნის "Исторический материализм и марксисткая Економия" (СПБ, 1902) და იტალიელი მეცნიერის – ჯინო ლორიას (1852-1954) შესახებ; რეცენზიასა და აკრძალვის დასაბუთებაზე ხელს აწერს პ. კარა-მურზა (480-1-1877).

1903 წლის მასალებში (480-1-1871) გვხდება "Тифлиский Листок"-ში გამოსაქვეყნებლად გაგზავნილი და კომიტეტის მიერ აკრძალული, პოეტური პროზის ფორმით დაწერილი, ლექსი – „ზღურბლი" ("Порог"; ანაბეჭდ ტექსტშია "У Порога"), რომელიც ივან ტურგენევს ეკუთვნის; ეს ლექსი რევოლუციური სულისკვეთებისაა, მასში ახალგაზრდა ქალიშვილი, როგორც ლიტერატურათმცოდნეები განმარტავენ, რევოლუციური მოღვაწეობის დაწყებას აპირებს, ახალი ცხოვრების ზღურბლზე დგას და იდუმალ ხმას, რომელიც ზღურბლის სიღრმეთაგან აფრთხილებს, რომ ზღუბლის გადალახვის შემდეგ სიცივე, შიმშილი, სიძულვილი, დაცინვა, შეურაცხყოფა, ციხე, ავადმყოფობა და სიკვდილის საშიშროებაც კი მოელის, რომ დანაშაულის ჩადენაც მოუწევს მას, პასუხობს, რომ იცის ეს ყველაფერი და მაინც უნდა ზღუბლს იქით გადასვლა; ლახავს იგი ზღუბლს, ქალიშვილის უკან მძიმე ფარდა ეშვება და ამჯერად ორი იდუმალი ხმა მოესმის მას, ერთი ამბობს: „სულელი" ("Дура"), მეორე კი ასეთი სიტყვით ახასიათებს: „წმიდანი" ("Святая"); ანუ, ერთს თუ სისულელედ მიაჩნია რევოლუციონერობა, რომელსაც ადამიანის მკვლელობაც და სიკვდილიც სდევს თან, სხვას წმიდანად მიაჩნია რევოლუციონერი ასული, რომელმაც, შესაძლოა, ადამიანიც მოკლას (არსებობს მოსაზრება, რომ ლექსი ეძღვნება რევოლუციონერ სოფია პეროვსკაიას, რომელიც ალექსანდრე II-ის მკვლელობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა; სხვა მოსაზრებით, ლექსი მიძღვნილია რევოლუციონერ ვერა ზასულიჩისადმი, რომელმაც გენერალ ფიოდორ ტრეპოვს ესროლა და, პეროვსკაიასაგან განსხვავებით, სიკვდილით დას-

ჯას მხოლოდ იმით გადაურჩა და ციხესაც აარიდა თავი, რომ ვერ მოკლა და მხოლოდ დაჭრა გენერალი... /იხ. ტურგენევი 1982: 497); ეს არის მთავარი სათქმელი ამ ლექსისა, რომელიც რუსეთში მწერლის სიცოცხლეში ცენზურასთან დაკავშირებული მიზეზების გამო ლეგალურად ვერ დაიბეჭდა (ტურგენევის დაკრძალვისას, 1883 წელს, პროკლამაციის სახით გავრცელდა იგი და, ამას გარდა, რუსეთში მხოლოდ რამდენიმე პროკლამაციური ეგზემპლარი დაბეჭდეს ამ ლექსისა და ერთიც ჟენევის არალეგარულ ჟურნალ "Вестник Народной Воли"-ში გამოქვეყნდა 1884 წელს; "Порог"-ის ლეგალურად დაბეჭდვა რუსეთის სახელმწიფოში 1905 წლამდე ვერ მოხერხდა)... ლიტერატურათმცოდნეობაში შესწავლილია, თუ როგორ ცდილობდნენ მკითხველამდე ლექსის მიტანას (ტურგენევი, 1982: 493-498; 147) და ამ მხრივ ლიტერატურის ისტორიაში ის ფაქტიც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი, რომ, როგორც ირკვევა, 1903 წელს ტფილისის გაზეთში უცდიათ მისი კანონიერი გზით დაბეჭდვა.

"Тифлиский Листок"-ის 1903 წლის მასალებს შორის (480-1-1871) ყურადღებას იქცევს К.К.-ს ფსევდონიმით დაწერილი რუსულენოვანი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: – იმპერატორმა მაღალმნიშვნელოვანი სიტყვები ბრძანა: – „ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელებს კეთილად მოექეცითო"; მართალია, ომსკელებს მიმართა მან, მაგრამ ომსკში მთელი ჩვენი ქვეყანა იგულისხმებაო.

1904-1905 წწ-ში ძალზე ბევრი სხვადასხვაენოვანი სტატიაა აკრძალული (გაზეთები: „ცნობის ფურცელი" (480-1-1963), „ივერია" (480-1-1964; 480-1-2034),"Новое обозрение" (480-1-1962),"Кавказскии Листок" (480-1-1965; 480-1-1968; 480-1-2033), "Кавказский Край" (480-1-2038), "Кавказ" (480-1-2042),"Телефон" (480-1-1967), „კვალი" და მის დამატება „ჯეჯილი" (480-1-1969), "Мшак" (480-1-2036), "Нор-Дап" (480-1-2046), "Возраждение" (480-1-2047); ჟურნალები: „მოამბე" (480-1-1970), "Дума" (480-1-2043), "Мурч" (480-1-2037), "Арарат" (480-1-2044), "Аршалуис" (480-1-2045) და სხვა მრავალი... როგორც ითქვა, მკაცრად მოწმდება საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ბეჭდური პროდუქცია (480-1-2001; 480-1-2002, 480-1-2003...) და კონტროლდება აქ დასახელებული და სხვა პერიოდიკა (მათი დაწვრილებით განხილვა სტატიის მოცულობის გამო შეუძლებელია)... ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ არქივში დაცულ მასალაზე, რომელშიც გაზეთ „კვალისა" და მისი დამატება – „ჯეჯილის" დახურვის შესახებ არის ბრძანება გაცემული (480-1-1969); „კვალი" ამ დროს მენშევიკური ორგანო იყო და მისი გამოცემის აკრძალვის მიზეზები გასაგებია, რაც შეეხება „ჯეჯილს", იგი საბავშვო ჟურნალი გახლდათ, მაგრამ, როგორც აკრძალულ მასალათა გაცნობა ცხადყოფს, საბავშვო ჟურნალსაც იყენებდნენ რევოლუციურ იდეათა გასავრცელებლად და ამიტომ დაუხურავთ იგი (თუმც 1904 წელს მაინც აღადგინეს ეს ჟურნალი /480-1-1986)...

„ჯეჯილიდან" მოვიყვან 1903 წლის ერთ-ერთ ნომერში დასაბეჭდად მომზადებული ლექსის ფრაგმენტებს; ავტორი ბ. ახოსპირელი (იგივე – ბეგლარ აღაიანი)

ამბობს, რომ «*ბუნება ხარობს, განთიადმა დილა შემოსა, /შორით შორს მოჩანს მდელო ტურფად აყვავებული“,* მაგრამ ამ დილით *„გულსაკლავად გაჰქვითინებს ველში გულბული“*... პოეტი წერს, – ადრე *„მთლად აღგზნებული მივეგებეთ დილის რიჟრაჟსა, /ჩვენც სხვებთან ერთად სისხლ მოცხებულ დროშას გავყევით“,* შემდეგ კი ამგვარად მიმართავს თავის ადრესატს: – შენი ნავი დიდხანს *„ებრძოლა ზღვისა ზვირთებს, ცხოვრებას, შვილო, /და ბოლოს ხმელზე მე გიპოვნე გონ-არეული“... „ეჰ არა, არა... ბრძოლას ქვეყნად რა შეედრება?.. /რომ არ გვებრძოლა, ჩემო კარგო“, ზღვა ჩაგძირავდა“ ... „გედი ხომ გახსოვს? – ჩვენი გედი ტალღამ ჩასძირა... /ისიც თან გვყავდა, ჩვენთან ერთად უნდა ებრძოლა; /გაიძახოდა: „რას ჰქვიაო შიში და ძრწოლა“ /ზვირთმა გაუპო შეუპოვარ ვაჟკაცს გულ-მკერდი“... ოჰ, მეგობარო, გეაჯები, მარად გახსოვდეს, /რომ ცხოველთ შორის მრავალია ადამიანი»...* (480-1-1880) და ასე ცდილობს ლექსის ავტორი, რევოლუციური სულისკვეთებით აღავსოს „ჯეჯილის“ პატარა მკითხველი...

ეს ლექსი გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოსთან“ შეხმიანებას ჰგავს *(„ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული! დაჩუმდით... ყური მიუგდე... არ გესმით, ჰგალობს ბულბული? (...) ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?“),* ოღონდ, „ორბელიანისეული ბულბულის“ გალობა თუ იმაზეც აფიქრებს პოეტს, რად უნდა ადამიანს ადამიანის მოკვლა, ახოსპირელთან რევოლუციური სულისკვეთებით აღსავსე და დროებით ბრძოლის ჟინმინავლებული მგალობელი ჩიტი იხატება...

საბავშვო ჟურნალ „ნაკადულში“ 1905 წელს აკრძალულია ნ.-ურის ლექსი *„პატიმარი“: „საით იყავი, ჩიტო მალხაზო, /და სად რა ნახე გასახარელი?/ მითხარი ჩქარა, ჩემო ლამაზო, /შემომწოლია გულზედ ნაღველი“;* ჩიტს ამ სიტყვებით პატიმარი მიმართავს და 6-სტროფიანი ლექსის ბოლოს ჩიტი ასე მიუგებს მას: *„– არა, ჭაბუკო, – ახლოა წამი, /როდესაც მონა გასწყვეტავს ჯაჭვებს /და ბედნიერი, თავისუფალი /დაუბრუნდება სამშობლოს და ძმებს“* (480-1-2040)...

ზემოხსენებულ საქაღალდეში (480-1-1880; 1903 წ.) დაცული საბუთებიდან, რომელშიც „კვალსა“ და „ჯეჯილში“ დასაბეჭდად გაგზავნილი წერილებია თავმოყრილი, ვხედავთ, რომ სოციალური კუთხიდან ჯაბა (ჯამბაკურ) გურიელის გასაკრიტიკებელი იმ წერილის გამოქვეყნება აუკრძალავს ცენზურას (ცენზორის ვინაობა უცნობია...), რომელშიც ირონიით არის მოხსენიებული გურიელი, – იგი, ვისაც, როგორც წერილის ავტორი იტყობინება, „ივერიაში“ დაუწერია, რომ გურიის გლეხობასა და თავად-აზნაურობას შორის სრული მამა-შვილური ურთიერთობა სუფევს... აქვეა სხვა აკრძალული წერილიც (ცენზორის ვინაობა ამ შემთხვევაშიც გაურკვეველია), რომელშიც ჩვენთვის უცნობი პიროვნება „ივერიის“ კორესპონდენტ სოსო თარხნიშვილს ასე დასხმია თავს:

«მადლობა შენდა „ივერიისავე“ კორესპონდენტო სოსიკო თარხნიშვილო, ვინაითგან ადიდებულმა მტკვარმა თუ (...) იმედი დაუბრუნა საქართველოსათვის

მოჭირნახულეს, არც თქვენ დააკელით და მალე ხუთშაბათს „ივერიის“ ნომერში მოაშველეთ პლებსს სანუგეშო ამბები ჩვენის ძველი ჩვეულების პირმტკიცეთ შენახვისა საქართველოსკენ. თქვენ იწერებით, რომ ზემო ქართლის თავად-აზნაურთ ჭონაზე დაიარეს, კვერცხები ბევრი იშოვეს და ნუნუაცაო. მხოლოთ რომ სავსებით შეესრულებინათ ძველი ჩვეულება, ერთი ცოლ-შვილიანი მასპინძელი ვანო გადრიაშვილი ამ საიქიოსაკენ გაუგზავნიათ. სოფელ ავლევში ძველი ჩვეულების შესასრულებლათ აუნთიათ ჭიაკოკონები, ჭიაკოკონა გახარბებულა და მისწდომია რევაზ ამირეჯიბის სახლს, „გადაუწვავს რვა მოწყობილი ოთახი!“ და მათ შეუსრულებიათ ძველი ჩვეულება. იხარე პლებსო, რამეთუ ცეცხლიც კი ეხმარება ქართველებს ძველი ჩვეულების შესრულებაში! /ძველი ჩვეულება არც ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთ დავიწყებიათ: აქ ერთ მორიგ კრებაზე თ. ღ. დადეშქელიანს წინადადება მიუცია კრებისათვის: „რადგანაც გზები წოდების განურჩევლად ყველასათვის საჭიროა, ამიტომ არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ თოხით და გარით მუშა ხალხს ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინოთო“. /თავადებს უარი უთქვამთ. /ესეც კიდევ ძველი ჩვეულების პირმტკიცეთ შესრულება! /ილოცეთ საქართველოსთვის, გ-ნო პლებსო, მტკვრის პირას“».

ბოლო ორი წინადადება (*„ესეც კიდევ ძველი ჩვეულების პირმტკიცეთ შესრულება!/ ილოცეთ საქართველოსთვის, გ-ნო პლებსო, მტკვირს პირას“*) ცენზორის მიერ გადახაზულია, რადგან, ჩანს, განსაკუთრებულად მიუღებლად და საყურადღებოდ მიუჩნევია ისინი ცენზორს (ამ სიტყვების კითხვისას ისეთი აზრიც იბადება, რომ, შესაძლოა, ბარათაშვილის *„ფიქრნი მტკვირს პირას“* გაახსენდა თარხნიშვილის ოპონენტს, – იქნებ ტრადიციების ამგვარი დაცვა დაინახა მის სიტყვებში: *„უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, /გვესმას მშობლისა“* და ირონიით ამ პოეტზეც მიანიშნა „ივერიის“ კორესპონდენტსა და, საერთოდ, „ივერიის“ „ჩამორჩენილსა“ და სულიერად „პლებეი“ მკითხველს).

წერილიდან ჩანს, მკვეთრად ეროვნული და მხოლოდ სოციალური იდეების მხარდამჭერი მოღვაწეები რომ დაპირისპირებიან ერთმანეთს და ცენზორს ეროვნული ადამიანის მხარე დაუჭერია; ცენზორის მოქმედების მიზეზს ადვილად ვერ ავხსნით, შესაძლოა, ამ კონკრეტულ ადამიანში არსებული ეროვნული პატრიოტიზმი კი არა (რაც არ არის გამოსარიცხი) – არამედ ის გახდა სტატიის აკრძალვის მიზეზი, რომ მხოლოდ ეროვნულ ტრადიციებზე დაწერილი სტატია დაუბეჭდავს „ივერიაში“ თარხნიშვილს და ასეთი მწერლისადმი კი, საცენზურო კომიტეტში მიღებული ადრეული ტრადიციიდან გამომდინარე, არ აქვს ცენზურას უარყოფითი დამოკიდებულება, – მხოლოდ ეროვნულ ტრადიციებზე წერს თარხნიშვილი, სოციალურ სიდუხჭირეს არ ეხება, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულს არაფერს ამბობს და ოპონენტი კი აშკარად სოციალური პოზიციებიდან ესხმის მას თავს, რაც მიუღებელი იქნებოდა ცენზურისათვის და იქნებ ამიტომ აკრძალა ამ ოპონენტის წერილი.

ერთ-ერთ საქაღალდეში შემონახულია ჟურნალ „მოგზაურში“ 1903 წელს დასაბეჭდად გამზადებული და ცენზურის მიერ აკრძალული წერილის ფრაგმენტი (480-1-1822); წერილის სახელია „მუშას“, ხელს აწერს ტ. ართმელიძე (ჩანს, – ტიტე ართმელიძე); მასში ავტორი „ივერიაში“ და სხვა რომელიღაც ბეჭდვით ორგანოში დაბეჭდილ წერილებს ეხმაურება, – მათ, რომლებშიც, როგორც ჩანს, სოციალისტური მიმართულების მქონე ჟურნალ-გაზეთების მიმართ საყვედურია გამოთქმული იმის გამო, რომ ისინი მიწის მეპატრონეებს არ ეხმარებიან, რათა მოსავლის მესამედი მათ მფლობელობაში დარჩეს; *«მე უკვე გავაგზავნე ერთ-ერთ რედაქციაში ვრცელი წერილი სათაურით: „რა გავლენა აქვს მკითხველ საზოგადოებაზე ჩვენი ჟურნალ-გაზეთების გაუთავებელ ლანძღვა-გინებას“»* – წერს ართმელიძე; ავტორი ადრესატს („მუშას“), როგორც ჩანს, იმაში ადანაშაულებს, რომ იგი გლეხთა უფლებების დასაცავად ძალმომრეობით ბრძოლისაკენ მოწოდებას ითხოვს ჟურნალ-გაზეთებისგან და ამიტომ ასე სწერს მას: – ჩვენ შეცდომებიც მოგვდის, მაგრამ ძალადობას არ ვუჭერთ მხარს, *„ძალ- მომრეობით დაწყებული და მოგვარებული საქმე, ადრე თუ გვიან, იმავე ძალ-მომრეობის მსხვერპლი შეიქმნებაო“;* აშკარაა, მიაჩნია, რომ ეკონომიკურად შეჭირვებული ხალხის ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მშვიდობიანი გზებით იბრძვის „მოგზაური“... ჟურნალი „მოგზაური“ დაარსებისას (1901 წ., რედაქტორი – ივანე როსტომაშვილი, – ენციკლოპედისტი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი,) ისტორიის, ეთნოგრაფიის და სხვა მსგავს საკითხებს აშუქებდა, 1905 წლიდან მისი რედაქტორი ფილიპე მახარაძე გახდა და ჟურნალში შემდეგ უკვე ბოლშევიკ-მენშევიკებიც თანამშრომლობდნენ; თუმც მთლიანად მათ ორგანოდ არ ქცეულა იგი; ტიტე ართმელიძე „კვალთანაც“ თანამშრომლობდა, რევოლუციურ მოღვაწეობაშიც იყო ჩართული და, ჩანს, იმედი ჰქონდა, რომ ეს პერიოდიკა ძალადობის პროპაგანდის გარეშე მოაგვარებდა ეკონომიკურად გაჭირვებული ხალხის მძიმე მდგომარეობას... ხსენებული პიროვნების შესახებ ვერ ვიტყვი, რომ რევოლუციური იდეების ბოლომდე მხარდამჭერი გახდა ოდესმე...

ამ საკითხის ძიება შორს წაგვიყვანს, ამჯერად დავძენ, რომ აქ წარმოდგენილი წერილიდანაც ჩანს (მისი მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტებია შემონახული), წმიდად ეროვნული და სოციალური სახის მქონე სფეროები უფროდაუფრო რომ ცალკევდება; არაერთ ბეჭდვით ორგანოში რევოლუციის წინარე პერიოდებში სოციალური და ეროვნული თემატიკა, როგორც ითქვა, ერთმანეთს ხშირად ერწყმის და ზოგიერთი თანამშრომელი, რომელსაც კეთილშობილური იდეები ამოძრავებს, ვერ ერკვევა, რომ ეს ორი სამყარო ეროვნული და სოციალური პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით მოგვარებას ხშირ შემთხვევაში უკვე აღარ ცდილობს და ნელნელა ისეთი პირობები ყალიბდება, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ემტერებიან ისინი ერთიმეორეს.

1903 წელს აუკრძალავთ „ივერიაში“ დასაბეჭდად გამზადებული სტატია, რომლიდანაც იტყობინებიან: *„უცხოეთის დიდს ვაჭრებს 10, 000 მან. გამოუდიათ, რომ მეკენჭენი შეისყიდონ. უნდათ, შავი-ქვის ბატონები თითონ გახდნენ და უკანასკნელი ლუკმა გაუწყვიტონ ჩვენებურ მრეწველებსაო. ოპოზიციას ბელადობენ მხოლოდ უცხოელნი. იმათს ფეხის ხმას ასდევენ ზოგიერთნი ჩვენებურებიც. ერთს ბელადს მიუმართავს ერთის ჩვენებურ ახალგაზრდისათვის, შენ აგირჩევთ სახელით და საქმეს ჩვენ ვაწარმოებთო, მაგრამ იმ ყმაწვილს კინაღამ ხმლით აეკაფა ბელადი ამ კადნიერებისათვის“* (480-1-1875; გვ.1); აქვე აკრძალულია დათიკო გოჯიაშვილის სტატია, რომელშიც ავტორი წერს, რომ თიანეთში 14 წელია, რაც ჯარი დგას, რომ *«თიანელებს „სამკვებრო“ მიწები ჩამოართვეს, უვარგისი ადგილები დაუტოვეს სახნავებად»* და *„თოფის სროლით აწუხებენ“;* შემდეგ ავტორი დასძენს: *«უწინ თიანელებს გარყვნილებისა არაფერი გვეძრახებოდა, ეხლა ზნეობითაც ძალიან დავეცით მეტის-მეტის გარყვნილებისაგან და უფრო კი რაც შარშან თიანეთში „პივნოი“ გააღეს. ხალხში გავრცელდა ვენერიული ავადმყოფობა. საქმე ის არის, რომ ამ სამარცხვინო ხელობისა ხალხს აღარცა რცხვენია და თივიანთ გასამართლებლად მუდამ ამ ერთხელა და ერთხელ გაზეპირებულ სიტყვას გაიძახიას: „რუსობააო“»* (გვ.2)... ამ სტატიებში რევოლუციური არაფერია, თუმც ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობისას ეროვნულ პრობლემებზე გადააქვს სიტყვა ავტორს და მეორე წერილში ზნეობაზე მსჯელობისას, მართალია, ადგილობრივ მოსახლეობას ადანაშაულებს, რადგან მათ თავიანთი სურვილით უღალატეს ზნეობას, მაგრამ უზნეობისკენ მთავარ მბიძგებლებად იმპერიის მიერ თიანეთში ჩაყენებული ჯარი და, საერთოდ, დამპყრობელი გამოჰყავს და ასეთ სტატიას კი უარყოფითად შეხედავდა და მის დაბეჭდვას, ცხადია, არ დაუშვებდა საცენზურო კომიტეტი.

ამავე საქაღალდეში შემონახულია ხელმოუწერელი წერილი, რომელშიც ავტორი ახალციხელ მაჰმადიანთა გადასახლებაზე წერს: *„რუსთა ერთი გემი ყოველ კვირაში ერთხელ მოგზაურობს სათათრეთში“,* იმ გემით მიდიან, მაგრამ *„თათრის მთავრობა თურმე სრულებით უყურადღებოდ სტოვებს მათ. რაც აქედან წაღებული ჰქონიათ ქისტ-ინგუშებს, იქვე გზაში შემოხარჯვიათ და ხელ-ცარიელნი დაბრუნებულან და აქაც არაფერი დახვედრიათ“;* შემდეგ ავტორი დასძენს: *„რამდენიც მე გამოვიკითხე, თურმე ფანატიკოს მოლების ბრალია მათი გადასახლება, რომ სალდათი არ მისცენ რუსის მთავრობას“* (480-1-1875); ამ წერილში თითქოს „ფანატიკოსი მოლები“ არიან მთავარ დამნაშავეებად გამოყვანილნი, მაგრამ უფრო ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა დადანაშაულებული, ფაქტობრივად ნათქვამია, რომ ხელისუფლება არ ზრუნავს თავის ხალხზე, რომ იმ სხვა ქვეყანაში უწყობს ხალხის გადასახლებას ხელს, რომელშიც ასევე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან წასულები და ასეთი სტატიის მიმართაც უარყოფითი დამოკიდებულება რომ გაჩნდებოდა საცენზურო კომიტეტში, ესეც უეჭველია...

სოციალური უკმაყოფილების შესახებ ბეჭდვა და რევოლუციურ იდეათა გავრცელება ძალიან აშინებთ კომიტეტში... ყურადღებას ამ მხრივ უამრავი აკრძალული მასალა იქცევს:

1906 წლის 10 მაისს გაზეთ „შრომაში“ დაბეჭდილა წერილი, რომლითაც სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას სახელმწიფო „დუმას“ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისაკენ მოუწოდებენ; ამის გამო რედაქტორი პასუხისგებაში მიუციათ (ხსენებული პარტია თვითონ უცხადებდა არჩევნებს ბოიკოტს და არჩევნებში მისი მონაწილეობა არც სახელმწიფოს სურდა); ასევე პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან გაზეთ „გლეხის“ რედაქტორები: მიხეილ ადამაშვილი (მიხეილ ჯავახიშვილი) და მისი ფაქტობრივი რედაქტორი სამსონ ფირცხალავა; გასაკვირი არაფერია, – გაზეთი ლიტერატურულ მასალასთან ერთად გლეხთათვის გათავისუფლებისაკენ მომწოდებელ წერილებსაც ბეჭდავდა (ენციკლოპედია: 42)... ხსენებულ საქაღალდეში დაცული მასალებიდან ვხედავთ, რომ პასუხისგებაში არიან მიცემულნი გაზეთების „მუშა“„ტალღა“ და სხვათა რედაქტორები; ჩამოწერილია მათი სია (480-1-2215)...

ერთ-ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ გაზეთ “Кавказская мысль”-ის რედაქტორს – ესაია დოლუხანოვს (Исайя Маркович Долуханов) დაუბეჭდავს წერილი: “Временное затишье”, რომელშიც აღუნიშნავს, ბიუროკრატია ამ მძიმე ვითარების დროს ხან „მარჯვნივ“ დაიწყებს გადახრას, ხან – „მარცხნივ“, რაც „დუმის“ დათხოვნასა და, შესაბამისად, ქვეყანაში თვითნებობის აღორძინებას შეუწყობს ხელსო; საცენზურო კომიტეტს, როგორც ჩანს, გაპარვია ეს წერილი, ახლა თავს იცავს და, სანამ დაადანაშაულებენ, პროკურატურას ასწრებს და თავად სწერს მას, რომ რედაქტორი სამართალში უნდა გადაეცეს (480-1-2218); ხსენებული გაზეთი 1916 წელს დაიხურა და მისი გამოცემა ხსენებული წლის 16 მაისს “Тифлиский Вестник“-ის სახელით განახლდა; ინტერნეტის მასალაში აღნიშნულია, რომ *„გაზეთის გამოცემის შესახებ ინფორმაცია არის 1909 წლის კავკასიის კალენდარში“* (კავკასიური აზრი ა; ასევე – კავკასიური აზრი); როგორც საარქივო მასალიდან ხდება ცხადი, უფრო ადრეული ცნობაც არსებულა ამ გაზეთის შესახებ.

1906 წლის ფურცლებიდან (480-1-2016) ვხედავთ, რომ ტფილისის ერთ-ერთი გუბერნატორი კომიტეტს სწერს: „როგორც მაცნობეს, ამა წლის 16 მარტს გაზეთ “Аршалуис”-ში (სომხ.) დაბეჭდილა წერილი, რომელშიც სახელმწიფო „დუმას“ მიმართ ბოიკოტის გამოცხადებისაკენ მოწოდებაა გამოხატული, გთხოვთ, ამ წერილის რუსული თარგმანი გამომიგზავნოთო“; ჩანს, გაზეთის გამომცემლის – იაკობ მანანდიანის წინააღმდეგ საქმეც აღძრულა, მაგრამ ტფილისის პროკურატურის სასამართლო პალატიდან კომიტეტში გაგზავნილი წერილის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ რედაქტორის მიმართ აღძრული საქმე 16 მაისს დახურულა (გვ. 5)... არჩევნების საყოველთაო ბოიკოტი, ცხადია, მიუღებელი იყო სახელმწიფოსათვის.

საქაღალდე 480-1-2219-ში მოთავსებული ცნობიდან ჩანს, რომ საცენზურო კომიტეტს ტფილისის საოლქო პროკურატურისათვის განცხადებით მიუმართავს და მოუთხოვია, საქმე აღძრულიყო სომხურენოვან გაზეთ "Кайц"-ის („სხივი"; – სომხ.) რედაქტორის – არმაის ერზიკიანცის მიმართ იმის გამო, რომ 1906 წლის 27 აპრილს ხსენებულ გაზეთში დაბეჭდილა სტატია – "По поводу Государственной Думы" (კომიტეტში შესრულებული რუსული თარგმანი), რომელიც, როგორც კომიტეტის წერილშია აღნიშნული, ცდილობს, ხალხი ხელისუფლებისა და „დუმის" წინააღმდეგ განაწყოს ("статья (...) явно возбуждающая население против правительственной власти") და უპატივცემულობა დათესოს მათ მიმართო ("вселить в народ неуважение к ним"); ამ შემთხვევაშიც საფიქრებელია, რომ ახლაც სახელმწიფოს ნებართვის გარეშე დაბეჭდილა სტატია და კომიტეტი ამჯერადაც თვითონ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოს, რათა შემდეგ მას არ დააკისრონ პასუხისმგებლობა; ამ ფაქტებიდანაც ცხადად მოჩანს, რევოლუციის ახლო პერიოდებში თავის მართლებისა და თავდაცვის პოზიციაში მოქცევის საფრთხე ხშირად რომ უწევს კავკასიის საცენზურო კომიტეტს და რომ უჭირს ბეჭდვით საქმეებში რევოლუციურ პროცესებთან გამკლავება... აქ დავძენ, რომ ხსენებული ბოლშევიკური გაზეთი სტეფანე შაუმიანისა (ფსევდონიმები: შურენ, შურენინ, აიაქსი და სხვ.; იხ. შაუმიანი) და სურენ სპანდარიანის რედაქტორობით გამოდიოდა ტფილისში (გაზეთი „კაიცი") და, შესაძლოა, Армайс Ерзикянц-იც ერთ-ერთი რედაქტორის ფსევდონიმია...

ტფილისში 1906 წლის მაისში გამოსულ „ფურცელში" – "Встань Спящий" (480-1-2220) სახელმწიფოსათვის მიუღებელი მასალები დაბეჭდილა (გაზეთის რედაქტორი – სლავა ოსტროვსკაია; ფაქტობრივი რედაქტორი იყო ტფილისის რკინიგზის ეკლესიის მღვდელი იოან ბრიხნიჩევი, რომელმაც შემდეგ ქრისტიანულ სასულიერო მოღვაწეობაზე უარი თქვა და ჯერ სოციალ-დემოკრატი, შემდეგ კი რუსეთის კომუნისტური პარტიის /ბოლშევიკების/ წევრი გახდა); ეს გაზეთი პირველი ნომრის გამოსვლისთანავე ტფილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით დაიხურა (იხ.: გაზეთი „გაიღვიძე მძინარევ!"; გაზეთი „ისევ გძინავთ?"); ჩვენს ხელთ არსებულ ნომერში დაბეჭდილია ვიქტორ ჰიუგოს რევოლუციური სულისკვეთების მქონე ლექსის რუსული თარგმანი; იქვე რედაქტორს გამოქვეყნებული აქვს საკუთარი რუსული ლექსი, რომელსაც ჰქვია "Песня о муше" (სიტყვა „მუშა" რუსულ ლექსში უთარგმნელად შეუტანია) და რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ეზიდება მუშა მძიმე ტვირთს და როგორ მისდევს მას გვერდით ამ ტვირთის პატრონი „ბარინი"... აქვეა ლექსი, რომელშიც 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესებას მოითხოვს ერთ-ერთი ავტორი (იგი ინიციალებით არის დასახელებული – П. Я. გვ. 20).

სახელმწიფოს ყურადღებას განსაკუთრებით ის ფაქტი მიიქცევდა, რომ გაზეთში გაკრიტიკებულია რუსეთის „დუმა" და აღნიშნულია, რომ ხელისუფალნი მხოლოდ თავიანთ მსახურებს უსმენენ, რომ ხალხს არ ადარდებთ, რომ „Государь

запросто принимал таких авантюристов, как Безобразов, который своими темными делами довел нас до войны с Японией"; სტატიაში ნათქვამია, რომ ღმერთს ხალხი მეფის მსახურებად კი არ დაუდგენია, არამედ ხალხის მსახურება დაავალა მეფეს (გვ. 2); შემდეგ მოყვანილია სიტყვები მარკოზ მახარებლის სახარებიდან: "кто хочет быть большим между вами, да будет всем вам слугою; и кто хочет быть первым между вами, да будет всем рабом" („რომელსა უნდეს დიდ ყოფაჲ თქუენ შორის, იყოს თქუენდა მსახურ; და რომელსა უნდეს თქუენ შორის პირველ ყოფაჲ, იყოს ყოველთა მონა" /10:43-44); ამ გაზეთის სხვა სტატიაში (გვ.10) გაკრიტიკებულნი არიან ვიტე და დურნოვო (ტექსტშია "Витте-Дурново"; სერგეი ვიტე 1903-1906 წწ-ში რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, პიოტრ დურნოვო კი 1905 წელს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და სახელმწიფო საბჭოს წევრი გახლდათ; 1906 წლიდან იგი საიდუმლო მრჩეველი გახდა, თუმც იმის გამო, რომ პრემიერ-მინისტრს რევოლუციის წაქეზებაში ადანაშაულებდა, 1906 წლის 22 აპრილს თანამდებობიდან გადააყენეს და სახელმწიფო საბჭოს „სტატს სეკრეტარად" განამწესეს...); სერგეი ვიტე არა – მაგრამ პიოტრ დურნოვო რევოლუციის სასტიკად ჩამხშობ პიროვნებად არის ცნობილი; ვიტე უფრო ლოიალური იყო რევოლუციონერთა მიმართ და მოლაპარაკებას არ გაურბოდა, მაგრამ ბრიხნიჩევი ორივეს ადანაშაულებს იმაში, რომ თავიანთი სისასტიკით უფრო გაამწვავეს მდგომარეობა და სისხლისფრად შემოსეს რევოლუცია ("Витте-Дурново не только не подавили революцию, но сделали ее еще напряженной и окрасили ее в красный цвет")...

ამავე გაზეთში მწვავედ არის გაკრიტიკებული ეპისკოპოსი ანტონი ვოლინელი (Еп. Антоний Волынский; ერისკაცობის გვარია ხრაპოვიცკი; /იხ. ეპისკოპოსი ანტონი), რომელიც, ამ გაზეთის თანახმად, სიკვდილის დასჯის კანონის მომხრე ყოფილა, რის გამოც ყალბ ქრისტიანად და ფარისეველად არის მოხსენიებული წერილში, რომელსაც ხელს აწერს В. Э. (გვ. 12-14).

ეს გაზეთი სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოქცეულა, არის ცნობები, რომ ტფილისში კითხულობდნენ მას (გვ. 42); რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროდან საცენზურო კომიტეტს აცნობებენ, რომ ხალხში ფართოდ ვრცელდება ხსენებული ფურცელი, რომ ბაქოში მოხვედრილა და იქიდან პავლოგრადისა და ეკატერინოსლავის მაზრებში იგზავნება იგი (გვ. 38); შინაგან საქმეთა სამინისტროდან კომიტეტს ეკითხებიან, არის თუ არა საქმე აღძრული ბრიხნიჩევის წინააღმდეგ, იგივე კითხვით მიმართავს კომიტეტს ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი (გვ. 35); ჩანს, კომიტეტში პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებას ისევ ცდილობენ, პასუხად იწერებიან, რომ ჟურნალი (ასეა ხელნაწერში – "журнал") "Встань Спящий" და "Вы еще спите?" (ეს უკანასკნელი გახლავთ "Встань Спящий"-ის აკრძალვის შემდეგ გამოსული გაზეთი, რედაქტორი – ტროფიმოვი) ქალაქ პეტროვსკში დაიბეჭდა და რომ იქვე ბონდარენკოს რედაქტორობით გამოვიდა „Маяк"-ი (ხსენებულ საქაღალდეში ინახება ტფილისში 1906

წლის 11 ივნისს გამოსული გაზეთის მე-5 ნომერი, რომელსაც ორი სათაური აქვს “Вы еще спите?” და “Маяк” (ამის გაზეთის შესახებ ინფორმაციას ოდნავ განსხვავებული სახით გვაწვდის ერთ-ერთი ნაშრომი /იხ.სვენციცკი), ტფილისიდან რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სწერენ, რომ ტფილისში „ჟურნალის“ გამოცემის უფლება 1906 წლის 19 აპრილს ტფილისის გუბერნატორმა გასცა და იქვე აღნიშნულია, რომ, რადგან გაზეთის გამოშვების ადგილად „ტფილისის კანტორა“ და მისი ასეთი მისამართი – “Тифлис, Белинская ул. № 2” არის მითითებული და რადგან ამ მისამართზე ასეთი კანტორა არ მდებარეობს, კომიტეტს არ შეუძლია, პასუხისგებაში მისცეს ბრიხნიჩევი (“Тифлиский Комитет по делам печати на основании действующего закона по печати не имеет возможности привлечь виновных к судебной ответственности”); ეს ყოველივე კომიტეტის იმ გადაუთეთრებელ ხელნაწერში ინახება, რომელიც არ ვიცით, რა სახით გაიგზავნა შემდეგ რუსეთში... როგორც ცნობილია, „მაიაკი“ იაკუტსკში იბეჭდებოდა (გამოცემის ადგილად პეტროვსკის დასახელება ვერ მოიძებნა) (იხ. მაიაკი),“Встань Спящий” და “Вы еще спите?” ტფილისურ გაზეთებად არის ცნობილი (იხ.: გაზეთი „გაიღვიძე მძინარევ!“; გაზეთი „ისევ გძინავთ?“; სვენციცკი) და რატომ უგზავნიან ტფილისის კომიტეტიდან რუსეთის შინაგან სამინისტროს, რომ ეს გაზეთები რუსეთშიც გამოდიოდა, ვერ ვიტყვი; შესაძლოა, უბრალოდ ეშლებათ, ან იქნებ აბნევენ რუსეთის ამ უწყებას... ასეა თუ ისე, შესაძლოა, პასუხისმგებლობას ისევ ირიდებენ თავიდან და რუსეთის ქალაქებს ლამის იქით სდებენ ბრალს ამ ორგანოების პირველად გამოცემაში; არც ის არის გამორიცხული, რომ იმხანად მღვდლად მყოფი ბრიხნიჩევის გასამართლებასაც ერიდებიან, რადგან ამან, შესაძლოა, უფრო გაამწვავოს საქართველოში შექმნილი დაძაბული ვითარება და საქაღალდეში (480-1-2016) დაგროვილი ეს ფურცლები იმიტომაც ბადებს ამდენ სავარაუდო მოსაზრებას... გაზეთი “Встань Спящий”, როგორც ვხედავთ, სახელებს იცვლიდა და ასე გამოდიოდა; ხსენებულთა გარდა, მას რქმევია “Наша мысль”, “Ходите в свете” (სვენციცკი), “Встань и ходи!”; “На кресте” (იხ. „ისევ გძინავთ?“). სახარებისეული და ასევე სახარების ტექსტიდან სათაურებად გამოყენებული სიტყვებიდან ვხედავთ, რომ ამ შემთხვევაში ქრისტიანული პოზიციებიდან დაუწყიათ გამომცემელბს ბრძოლა....

1906 წლის 12 იანვარს ტფილისის გენერალ-მაიორ ტიმოფეევის ბრძანებით ტფილისში გამოცხადებული სამხედრო მდგომარეობის ვადის გასვლამდე („на все время действия в гор. Тифлисе военного положения“) შეუჩერებიათ გამოსვლა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის გაზეთისა „სხივი“, რომლის მე-15 ნომერი, როგორც ცენზურის დადგენილებაშია აღნიშნული, რკინიგზის თანამშრომლებს გაფიცვისაკენ მოუწოდებდა (480-1-2041); მანამდე ამ საქაღალდეში დაცული ცნობებიდან ვხედავთ, თუ როგორ იტყობინებიან კომიტეტიდან, რომ გაეპარათ ხსენებული სტატია და ვხედავთ, რომ სამხედრო მდგომარეობა ყოფილა მაშინ ტფილისში.

გაზეთ “Кавказ”-ის ერთ-ერთ ნომერში აკრძალულია გამოქვეყნება ცნობისა, რომლიდანაც ირკვევა, რომ ქუთაისის ციხეში 2005 წლის 21 ივნისს, 8 საათზე, პატიმრებს ფანჯრები დაუმტვრევიათ, დერეფნებში გამოსულან, გამაფრთხილებელი გასროლის მიუხედავად, არ გაჩერებულან და მაშინ ცეცხლი გაუხსნიათ მათ მიმართ და რამდენიმე პატიმარი დაღუპულა (ტექსტის დაზიანების გამო ვერ ირჩევა 3 თუ – 8), მძიმედ დაჭრილა 3, მსუბუქად კი – 1 (ან – 8; ტექსტი აქაც დაზიანებულია) პატიმარი; ამის შემდეგ პატიმრები დაწყნარებულან (480-1-2041).

1905 წლის გაზეთში, რომლის სახელია “Телефон” და რომელსაც აქვს რუბრიკა “Уголовная Хроника”, აკრძალულია დაბეჭდვა წერილისა, რომელიც იტყობინება, რომ ბაქოში მცხოვრები მარტიროს ჩარუხანიანცი და ხაჩატურ ოვანესიანი ბაქოს ერთ-ერთი „პრისტავის“– კაპიტან მახადბეკოვისა და ბაქოს გუბერნატორ მ. ა. ნაკაშიძის მკვლელობის მცდელობაში დაუდანაშაულებიათ (480-1-2239); ჩანს, ან არასანდო გაზეთად არის “Телефон”-ი მიჩნეული (გადაუმოწმებელი ცნობების გამომქვეყნებლად), ან ქვეყანაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებას ერიდება კომიტეტი ამ შემთხვევაში.

1903 წლის “Кавказский Листок”-ის ერთ-ერთ ნომერში აუკრძალავთ დაბეჭდვა ცნობისა, რომელიც იუწყება, რომ ფაბრიკაში მუშათა გაფიცვებისა და რაიმე მღელვარების დროს ფაბრიკის ინსპექტორი ვალდებულია გამოცხადდეს თანამშრომლებთან და შეარიგოს ისინი (480-1-1879); ამავე წლის “Новое Обозрение”-ში აკრძალულია გამოქვეყნება ცნობისა, რომელიც იუწყება, რომ ბათუმში მუშებს გაფიცვა მოუწყიათ და ვერაფრისთვის მიუღწევიათ (480-1-1874)... “Кавказский Листок”-ი უფრო სანდო გაზეთია და, ჩანს, ამ შემთხვევაში აკრძალვის მიზეზი უფრო ის უნდა იყოს, რომ არ სდომებიათ, გაფიცვებსა და არეულობებზე გაემახვილებინათ მკითხველის ყურადღება...

საქაღალდე 480-1-1874-ში (1903 წ.) “Новое обозрение”-ს მიერ კომიტეტში გაგზავნილი და ცენზორთა მიერ წერილები ფრაგმენტული სახით არის შემორჩენილი, ერთ-ერთ ფურცელზე (ავტორი – Я. Самсонидзе) იკითხება: “причина бесплодия кавказской народной школы обезличение народного учителя”; როცა სახელმწიფო სისტემის კრიტიკას უახლოვდება, ან პირდაპირ უკავშირდება მას, ასეთ დროს, როგორც არაერთგზის ითქვა, ეროვნული პრობლემებზე წერაც საშიში ფაქტად არის მიჩნეული, ასევე – რელიგიურზეც და განათლებაზეც; ზემოთ “Встань Спящий”-ზე საუბრისას ვნახეთ, რომ „ქრისტიანობის“ პოლიტიზება ძალიან აშინებს სახელმწიფოს და ამჯერად ვხედავთ, რომ პოლიტიკასთან განათლების სისტემის დაკავშირებაც აფრთხობს მას; მასწავლებელს პიროვნებად აღარ მიიჩნევენ, სახელმწიფოს ნების მექანიკურ აღმასრულებლად აქციეს მასწავლებელიო, – ჩანს, ეს აზრი ამოუკითხავთ ზემოთ მოყვანილ ციტატაში და აუკრძალავთ სტატია.

მღვდელმსახურთა პოლიტიზების პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა 1903 წლის ქვემოთ წარმოდგენილი საბუთები.

ხსენებული წლის 12 ივნისს მეფისნცვალ გრიგორი გოლიცინის განკარგულების საფუძველზე რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე სომხურ-გრიგორიანულ (და ნაწილობრივ – კათოლიკურსა და მართლმადიდებლურ) ეკლესიებს, სასულიერო სასწავლებლებს უნდა ჩამორთმეოდათ ქონება (ძირითადად – მიწები; საეკლესიო ინვენტარი და მსგავსი სიწმიდეები არ იგულისხმებოდა), ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროების განკარგულებაში გადადიოდა; ყოფილ მიწათმფლობელებს აწ უკვე სახელმწიფო ქონებიდან პროცენტები უნდა მიეღოთ; საქაღალდე 480-1-1908-ში გვხდება ცნობები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ გრიგორიანულ ეკლესიას საკუთრების უფლება უნარჩუნდება (“сохраняя за армяно-григориянскою церковью права собственности”; გვ.1)... მასალებიდან ვგებულობთ, რომ საცენზურო კომიტეტი კრძალავს ისეთი მასალების გამოქვეყნებას, რომლებშიც ამ საკითხებზე იქნება მსჯელობა; კომიტეტის თავმჯდომარე თავის თანამშრომლებს აფრთხილებს, რომ არაკეთილმოსურნე ადამიანები ამ ფაქტს ტენდენციურად გააშუქებენ, რათა სომეხ ხალხში მღელვარება გამოიწვიონ (“Следует, однако, ожидать, что неблагонамеренными лицами эта мера, при всей своей очевидной полезности и целесообразности, будет тенденциозно истольковываться в превратном смысле с целю народить в армянском населении тревогу и смуту”; გვ.2); მიუხედავად მიღებული ზომებისა, არტაშატში, ტფილისში, ბაქოში, ელიზავეტპოლში, შუშაში და სხვაგან გაიმართა დემონსტრაციები; 1903 წლის 14 ოქტომბერს კოჯრის გზაზე პარტია „გნჩაკ“-ის ხელმძღვანელობით მოკვლა სცადეს და დაჭრეს გოლიცინი; შეიქმნა რევოლუციური მდგომარეობა, რამაც 1905 წელს ნიკოლოზ II იძულებული გახადა, გადაეყენებინა გოლიცინი და მის ადგილას დაენიშნა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, რომელმაც 1905 წლის პირველ აგვისტოს მოამზადა ახალი განკარგულება, რასაც ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა (იხ. კანონთა კრებული 1885-1916: 778) და 12 ივნისის განკარგულება ასე გაუქმდა.

გოლიცინის მიერ გამოცემულ განკარგულებასთან ჩანს დაკავშირებული 480-1-2041-ე საქაღალდეში (1905 წ.) შენახული საბუთები, რომლებიდანაც ირკვევა, რომ კომიტეტს გაზეთ „Кавказ”-ისთვის აუკრძალავს დაებეჭდა სტატია, რომელშიც იყო ცნობები იმის შესახებ, რომ ტფილისში გაიხსნა ქართული ეპარქიის სხდომა (“Съезд Духовенства грузинской епархии”) და სხდომაზე, სხვათა შორის, გამოითქვა მოსაზრება (“Съезд между прочим высказался”), რომ ივერიის ეკლესიას ავტოკეფალური უფლებები დაუბრუნდეს და მცხეთა-ივერიის საკათალიკოსო კათოლიკოსის დაქვემდებარების ქვეშ ძველ საზღვრებში აღდგეს (ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში შემავალი ეკლესიების გარდა, ჩამოთვლილია: “часть Батумской области, Черноморская Губерния, Абхазия, Самурзакано и Закатальский округ”); სტატიაში წერებულა, რომ მღვდელმსახურნი მთელი იმ ქონების დაბრუნებას ითხოვენ, რომელიც სახელმწიფო მმართველობაში გადავიდა... აქვე აკრძალულია გამოქ-

ვეყნება შემდეგი ცნობისა: “Вчера съезд обсуждал вопрос о семинарии и церковных школах, мно**гие** высказал**ься** за закритие при нынешних условиях как духовной семинарии, так и церковно приходских школ” (სიტყვები “мно**гие** высказал**ься”** ქართული ენის კალკს ჰგავს; შესაძლოა, ქართველი ეროვნების ადამიანის მიერაც იყოს დაწერილი ეს ჯერ შეუსწორებელი სტატია) (480-1-2041); რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ-ის ომის დროს სახელმწიფომ შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო სამრევლო სკოლების დაფინანსება შეამცირა და არაერთი სკოლა დაიხურა... ცნობილია, რომ ტფილისის სემინარიაში მყოფ ახალგაზრდებს შორის რევოლუციური იდეები ვრცელდებოდა, მასში ქართული ენა არ ისწავლებოდა, ძნელი სათქმელია, რა უფრო იყო მიზეზი (შესაძლოა, – ორივე), მაგრამ ფაქტია, რომ ხსენებულ შეკრებაზე სემინარიისა და სკოლების გაუქმების შესახებ გამოთქმულა აზრი, რომლითაც ამ შემთხვევაში თითქოს სახელმწიფო პოლიტიკას უჭერდნენ სასულიერო პირები მხარს, მაგრამ, შესაძლოა, სხვა მიზეზებიც დაინახეს სამღვდელოების სურვილში, დახურულიყო ასეთი სკოლები და ამ მასალის დაბეჭდვისაგან თავი შეუკავებია კომიტეტს (სამღვდელოების მიერ გამართული სხდომის შესახებ სხვა დოკუმენტებიც არსებობს ეროვნულ არქივში და არ არის შეუძლებელი, საკითხების შესწავლის შემდეგ მომავალში ცალკე, უფრო ვრცელი ნაშრომების, დაწერა გახდეს საჭირო)...

ქართულ ენასთან დაკავშირებით აქვე დავძენ, რომ ასევე მიუღებლად არის მიჩნეული (480-1-1882-ში /1903 წ.) და ცენზორის მიერ გადახაზულია ერთ-ერთი სტატიის სტრიქონები, რომლებშიც წუხილია გამოხატული იმის გამო, რომ მეგრელებს საკუთარ ანბანს უგონებენ, მაშინ, როცა მათი მშობლიური და რელიგიური ენა ქართულია...

1903 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტს მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოდან მეფისნაცვლის თანაშემწე წერს გაზეთების: “Мшак”, “Новое Обозрение”, “Тифлиский Листок”-ის „მავნებლური მიმდინარეობის შესახებ“ (“а вредном направлении”) და კომიტეტის ცენზორებს: მიხაილოვსა და კარახანოვს უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს, რადგან მათ არ გაუთვალისწინებიათ მთავარმართებლის (იგულისხმება გრ. გოლიცინი) მიერ 1899 წელს მიღებული განკარგულება, რომელიც, როგორც ამ საქაღალდეში შენახულ საბუთშია მოყვანილი, ტფილისის პრესისათვის განსაკუთრებული თვალყურის დევნებას გულისხმობს (“в 1899 году Главноначальствующим указано было принять меры к усилению надзора цензуры за Тифлискою прессою”); ამ ცენზორებს ვერ შეუნიშნავთ და პრესაში დაბეჭდილა სახელმწიფოსათვის მიუღებელი წერილები (480-1-1910); ამას გარდა, მთავარმართებელი მთავარი სამმართველოდან კომიტეტში იწერება, რომ 1903 წლის 14 ნოემბერს „მავნებლური მიმდინარეობის გამო“ (“за вредное направление”) ორი თვით აჩერებს გაზეთ “Новое Обозрение”-ს გამოცემას (480-1-1909); 1903 წლის 16 ნოემ-

ბერს დაბეჭდილი წერილის – “Что нам делать”-ის გამო აუკრძალავთ გაზეთი “Мшак”; ნაციონალიზმის ნიშნები დაუნახავთ მასში... (480-1-1903).

რელიგიურ და ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს „ცნობის ფურცელში“ (სოციალ-ფედერალისტთა ორგანო) დასაბეჭდად გამზადებული სტატია (480-1-1872) „უმაღლესი მანისფესტის გამო“ (ავტორი არ ჩანს); მასში ნათქვამია, რომ 26 თებერვალს გამოცხადდა უმაღლესი მანიფესტი, რომლის თანახმად მართლმადიდებლობა მთავარი სარწმუნოებაა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ყველა სარწმუნოების აღმსარებელს უნდა მიეცეს რწმენითი თავისუფლება; შემდეგ წერია, რომ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის უპირატესობის აღიარება ცუდად გაიგო ეკლესიის ზოგიერმა მსახურმა და მათ *„ძალმომრეობით განიზრახეს მართლმადიდებლობის მთავარი უპირატესობის დაცვა“...* თითქოს ლიბერალურ ფასეულობებს იცავს ავტორი, მაგრამ მალე ჩნდება, რომ ეროვნული პრობლემებისათვის საბრძოლველად იყენებს უმაღლეს მანიფესტს და წერს: *„ეს გარემოება ჩვენც, ქართველებსაც, შეგვეხება, რადგან ზოგიერთი პოლიტიკოსების აზრისა და მოქმედების წყალობით ჩვენშიც ჰლამობდნენ ქართული ენის მოსპობას ღვთისმსახურებით და ქართული ეკლესიის მოსპობით“...* ამავე საქაღალდიდან ვხედავთ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო კრებისათვის წარსადგენად სილოვან ხუნდაძეს მოუმზადებია მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია, რომ, მიუხედავად ომებისა, *„მაინც მრავლად იზრდებოდნენ ჩვენს ხალხში სახელოვანი მოაზროვნენი და მწერალნი, როგორც მაგალითად მოსე ხონელი, იოანე შავთელი, სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი, საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვანი და სხვანი“;* შემდეგ სილოვან ხუნდაძე ბრძანებს, რომ ქართველი ხალხის ნიჭიერების მიუხედავად, *„განსაკუთრებით სამეცნიერო ასპარეზზე“* დაქვეითების მიზეზი *„ის გახლავთ, რომ ჩვენი მოზარდი თაობა სწავლას უცხო ენის საშუალებით იწყებს და ბოლომდე ასე განაგრძობს“* (გვ. 12); ფურცელი დაზიანებულია, მაგრამ იკითხება წინადადება, რომელშიც გაკრიტიკებულია სწავლების ე. წ. „მუნჯურ მეთოდზე“ დაყრდნობილი სასკოლო სახელმძღვანელო... ერთ-ერთ ფურცელზე ვკითხულობთ, რომ ქართული ენის სწავლება ხდება მეექვსე გაკვეთილზე, ანუ – მაშინ, როცა ბავშვი უკვე დაღლილია...

ხსენებულ საქაღალდეში (480-1-1872) ყურადღებას იქცევს კარიკატურები, რომლებშიც სწავლების მეთოდებია გაშარჟებული; ერთ-ერთ ნახატს, რომელსაც „მუნჯური მეთოდი“ ჰქვია, ქვემოთ წარწერები აქვს: *„მასწავლებლის გაჭირვება მუნჯურ მეთოდის წყალობით. ბავშებს უნდა აუხსნას: 1.ძაღლის ყეფა; 2.ყირამალა გადასვლა; 3.ტანისამოსის გახდა; 4.დაწოლა; 5.წყლის გადასხმა და 6.თავის ჩამოხჩობა.“;* ნახატზე ჩანან ბავშვები და მასწავლებელი, რომელიც ქართულ ენაზე არ ელაპარაკება ამ ბავშვებს და მუნჯურად უხსნის, თუ როგორ ხდება ეს მოქმედებები და ვხედავთ, რომ მასწავლებელი ოთხზე დგას და, როგორც ჩანს, ძაღლივით იყეფება; სხვა სურათებში კი ყირამალაზე გადადის, ტანისამოსს იხდის, ლოგინში

წევს, სათლით წყალს ასხამს და თვალსაჩინოებისათვის თავსაც იხრჩობს; მეორე ნახატის სახელია – *„მასწავლებელთა კრება ტფილისში“,* მასზე მოჩანან იდეოლოგიურად ერთსახოვანნად შექმნილი პედაგოგები, რომლებიც დირექტორის ხელმძღვანელობით კრებას მართავენ, იქვე ვხედავთ ზურგშექცეულსა და ატირებულ პედაგოგს, რომელიც ალბათ სწავლების სისტემაში შექმნილ მძიმე სიტუაციას აუტირებია; ნახატიდან მოჩანს ჩარაზული კარ-ფანჯრები, რაც იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ მასწავლებლებმა გარესამყაროს მოთხოვნებს ჩამორჩენილან, არ აგებინებენ მათ, რომ სამყაროს მოთხოვნები შეიცვალა... კარიკატურების ავტორია ცნობილი მხატვარი და ფერმწერი, კარიკატურისტი – ოსკარ ივანეს ძე შმერლინგი (1863-1938) (ნახატებზე რამდენიმე ადგილას გარკვევით იკითხება: “**О. И. Ш.линг**”, “**О. И. Шлинг**”... /მის სხვა ცნობილ ნახატებზე არაერთგან გაკეთებული ფაქსიმილე ცხადყოფს, რომ მხატვარი სწორედ ამ და მსგავსი ფორმებით აწერდა ხოლმე ხელს: “**О. Ш-линг**”, “**О. Ш.линг**”, “**О. И. Шлинг**”...); შმერლინგის ხსენებული კარიკატურების გამოქვეყნება აუკრძალავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს, მაგრამ საბედნიეროდ გადარჩა ისინი და ჩვენი კრებულიდან ვთავაზობთ მათ მკითხველს...

ამავე საქაღალდეში გვხვდება გამოსაქვეყნებლად აკრძალული ცნობა (გვ. 12), რომლიდანაც იტყობინებიან, რომ მალე აღდგება დროებით შეჩერებული “Аргонавт”-ი, რომ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდება ის, რომ რედაქტორად ბ-ნი ალ. ყანჩაველის მოწვევას აპირებენ და ხაზინადრად არ. ს. ბაბოვის (არშაკ სერგის ძე ბაბოვი?), ხოლო თანამშრომლებად ვ. ნ. ჩერქეზიშვილის, ლ. ყიფიანისა და სხვათა მოწვევას აპირებენ; გაზეთს მუდმივი კორესპონდენტები ეყოლება პარიზში, ბერლინში, ვენაში, კონსტანტინეპოლში, ლონდონსა და სხვა ქალაქებშიო (480-1-1872)...

ენების საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს საქაღალდე 480-1-1930-ში დაცული ცნობა, რომლიდანაც ვხედავთ, რომ აზერბაიჯანული გაზეთი „შარკი-რუსის“ (“*Şərqi-rus*”/„რუსული აღმოსავლეთი“) რედაქტორი მამედ-აღა შახტანტისკი 1903 წელს ითხოვს, რომ გაზეთში, აზერბაიჯანულის გარდა, სხვა დიალექტებზეც მოათავსოს წერილები; კომიტეტი მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს ატყობინებს, რომ რედაქტორის სურვილია, „ოსმალურ და თათრულ კილოზეც“ (“на османском и татарских наречиях”) მოათავსოს მასალათა ნაწილი; როგორც ვხედავთ, რედაქტორის სდომებია, რომ ოსმალეთის სხვადასხვა დიალექტზე მოსაუბრე ხალხსაც შეძლებოდა მისი გაზეთის ადვილად კითხვა, მაგრამ ეს არ დაუშვიათ და მთავარი სამმართველოდან კომიტეტში აგზავნიან პასუხს, რომლის თანახმად, მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე უნდა დაიბეჭდოს მასალები, რომ აზერბაიჯანულიდან „ლინგვისტური გადახრებიც“ კი დაუშვებელია („не дозволить никаких, даже лингвистических отступлении от азербаиджанского языка“).

საქაღალდეებში გვხდება „ჟურნალისტური გამოძიების“ მსგავსი ქრონიკები, რომელთა დაბეჭდვაც აუკრძალავთ: 1903 წლის “Аргонавт”-ში აკრძალულია გამოქ-

ვეყნება სტატიისა: “загадочная смерть в ст. Тихорей” (ჩანს, “Тихорецкая станция” იგულისხმება), რომელშიც იძიებენ ახალგაზრდა ტატიანა ზოლოტოვას გარდაცვალების ამბავს; ტატიანა ბ-ნ პუსონკისთვის დაშნის და მამაკაცის ძველი ქოლგის მოპარვაში დაუდანაშაულებიათ; როგორც თავად მ. ანდრონიკოვს “С-Петербургский ведомость”-ში დაუწერია, მას მოუნახულებია ტატიანას მშობლები, რომლებსაც უთქვამთ: „ჩვენი შვილი არ მოწაამლულა, იგი მოკლულია, ძალადობის კვალი აღენიშნებოდა, ეჭვი გვაქვს, რომ მოკლეს და შემდეგ კარბონმჟავა ჩაასხეს პირშიო“; მ. ანდრონიკოვის სიტყვით, მშობლები ამბობენ, რომ „უცოდველი არ იყო მათი შვილი, რადგან მას სამი რომანი ჰქონდა, მაგრამ მსუბუქი ყოფაქცევისა არ ყოფილა, მიუხედავად ამისა, სამინისტრო მას „Праститутка“-დ იხსენიებს და გამოძიება ძალიან ზერელედ ჩატარდაო“; ანდრონიკოვის წერილის გამოქვეყნების შემდეგ იუსტიციის სამინისტრო პირობას იძლევა, რომ ყველაფერს გამოიძიებსო, – წერია სტატიაში, რომლის დაბეჭდვაც აუკრძალავთ (480-1-1877).

ამ პერიოდის მასალებში გვხდება აკრძალული უწყებები იმის შესახებ, რომ გელენჯიკელ ვეტარინარ ბ. ვ. იუშკოსთვის ადგილობრივ მღვდელს კათედრიდან შეურაცხყოფა მიუყენებია და საქმის შესასწავლად მალე სასამართლო გაიმართება (მასალის დაბეჭდვა “Тифлиский Листок”-შია აკრძალული; 480-1-1871); 1903 წელს ს. მაჩხანელი გაზეთ “Кавказ”-ს კომიტეტში უჩივის იმის გამო, რომ ამ გაზეთმა დაწერა წერილი, რომლიდანც პარიკმახერი ვართანოვი მაჩხანელს იმის გამო სდებს ბრალს, რომ ეს უკანასკნელი კვირაობით არ ხურავს თავის საპარიკმახეროს და არ აძლევს ვართანოვს საშუალებას, რომ მხოლოდ თვითონ იმუშაოს ყოველ კვირა დღეს; „მე თეატრალური პარიკმახერი ვარ (“театральный парикмахер”), 40-წლიანი გამოცდილება მაქვს, კვირაობით ქალები მეჯლისზე მიდიან, თმას ისწორებენ, ჩემს საპარიკმახეროს ვერ დავხურავო“ – ჩივის მაჩხანელი... ცხადია, ასეთი სახის საბუთები იმ პერიოდში შექმნილი სულიერი და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ბევრს გვეუბნება, მაგრამ ამგვარი ცნობა იმდენია, რომ წინამდებარე სტატიაში ყველა მათგანზე შეუძლებელია საუბარი...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: **XX საუკუნის დასაწყისში კავკასიის საცენზურო კომიტეტის მუშაობის სტილი დაახლოებით ისეთივეა, როგორიც XIX-ის 80-იანი წწ-ის მეორე ნახევრიდან და 90-იანებში იყო: XIX-სის 70-იანი და 80-იანების დასაწყის პერიოდებში დასაბეჭდად გამზადებულ მასალებში სოციალური, რელიგიური და ეროვნული პრობლემები**, წინა წლებისაგან განსხვავებით, **უკვე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაახლოებული და საცენზურო კომიტეტი ყველა იმ სტატიის აკრძალვას ცდილობს, რომლებშიც ხსენებული პრობლემები არის ასახული;** XX საუკუნიდან რევოლუციური იდეები, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განწყობილება მძაფრად ისახება ლიტერატურაში და **ცენზურის მთავარი ყურადღება სწორედ ამგვარი ლიტერატურის აღმოჩენისკენაა მიმართული**.

საარქივო მასალების შემოწმებისას კარგად ჩანს ისიც, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტს **XX საუკუნიდან სულ უფრო უძნელდება მოვალეობის შესრულება, რადგან ან ვეღარ ამოწმებს ყველა საეჭვო ლიტერატურას, ან მისი ნებართვის გარეშე იბეჭდება სახელმწიფოსათვის მიუღებელი წერილები და წიგნები; მრავლად გამოდის არალეგალური ლიტერატურაც**; ცხადია, ეს ყოველივე **რევოლუციური იდეების გაძლიერებითა და**, აქედან გამომდინარე, **სახელმწიფოს გარკვეულწილი დასუსტებით იხსნება.**



ოსკარ შმერლინგი, „მუნჯური მეთოდი“

ოსკარ შმერლინგი, „მასწავლებელთა კრება ტფილისში“

გამოყენებული ლიტერატურა:

გაზეთი „გაიღვიძე მძინარევ!“: http://www.nplg.gov.ge/paperge/en/browse/002124/

გაზეთი „ისევ გძინავთ?“: “Вы еще спите?” http://www.nplg.gov.ge/paperge/en/browse/ 000025/set/

გაზეთი „კაიცი“: Искра (Тифлис, арм. яз.) https://bukvica.org/wiki/%D0%98%D1%81%D0%BA%D1%80%D0%B0_(%D0%A2%D0%B8%D1%84%D0%BB%D0%B8%D1%81,_%D0%B0%D1%80%D0%BC._%D1%8F%D0%B7.)

ენციკლოპედია: ენციკლოპედია „საქართველო“, II, თბილისი: 2012.

ეპისკოპოსი ანტონი: Архиепископ Антоний Волынский. https://ruskline.ru/analitika/2019/09/2019-09-32/arhiepiskop_antonij_volynskij

ისტორია: U/Hitory.ru. https://uhistory.ru/education/military_science/tajnaya-policiya-rossijskoj-imperii-tajnaya-policiya-rossijskoj-imperii.html**კავკასიური აზრი**: Кавказская мысль. Ежедневная общественная, политическая и литературная газета. Тифлис, 1906. http://feb-web.ru/feb/periodic/bb-abc/bb2/bb2-1144.htm

კავკასიური აზრი ა: ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი; თბილისი; 1906. http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/001535/

კანონთა კრებული 1885-1916: Полное собрание законов Российской империи. Собрание 3-е (с 1-го марта 1881 г.). – СПб. : Гос. тип., 1885-1916. http://elib.shpl.ru/ru/nodes/3615-t-25-1905-otd-nie-1-ot-25605-27172-i-dopolneniya-1908№mode/inspect/page/623/zoom/4

კარნო 1894: И. Карно, История Французской Революции, Типография Ю. Н. "Эрлих"; СПБ; 1894. https://www.calameo.com/read/005814963b8cc20d3daff

კუჭუხიძე 2022-2023: კუჭუხიძე, გ. კავკასიის საცენზურო კომიტეტის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ (XIX ს-ის 70-იანი წლები); სამეცნიერო კრებული „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა", №3, თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა: 2023.

კუჭუხიძე 2023: კუჭუხიძე, გ. კავკასიის საცენზურო კომიტეტის 70-იანი წლებისა და 80-იანების დასაწყისის ზოგიერთი უცნობი მასალის შესახებ; ქართული წყაროთმცოდნეობა, XXV, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; თბილისი: 2023.

კუჭუხიძე 2024: კუჭუხიძე, გ. კავკასიის საცენზურო კომიტეტი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში (ძირითადი ტენდენციები); ჟურნალი „ქართული წყაროთმცოდნეობა", XXVI, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; თბილისი: 2024.

მაიაკი: Маяк (Якутск, 1906-1907). https://bukvica.org/wiki/%D0%9C%D0%B0%D1%8F%D0%BA_(%D0%AF%D0%BA%D1%83%D1%82%D1%81%D0%BA,_1906%E2%80%941907)№%D0%91%D0%B8%D0%B1%D0%BB%D0%B8%D0%BE%D0%B3%D1%80%D0%B0%D1%84%D0%B8%D1%87%D0%B5%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D1%81%D0%BF%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BA%D0%B0

მასალები: Материалы по царской цензуре о заграничных изданиях сочинений М. Горького и иностранной литературе о нем; Материалы и исследования; Издание Академии Наук СССР, М-Л., 1941. http://az.lib.ru/g/gorxkij_m/text_1916_tzenzura.shtml

სვენციცკი: Протоиерей Валентин Свенцицкий, Собрание сочинений в 4-х том. Москва; Даръ, 2010; История нашей газеты. https://azbyka.ru/otechnik/Valentin_Sventsitskij/stati-ocherki-kritika/18

ტურგენევი 1982: Тургенев, И. С. Сочинения, Х, "Наука", М. 1982. https://rvb.ru/turgenev/tocvol_10.htm

შაუმიანი: Степан Шаумян / Stefan Shaumyan. Люди. https://www.peoples.ru/state/statesmen/shaumyan/

წესდება 1929: Устав о цензуре, Типография Департамента народного просвещения; Санкт-Петербург: 1828. https://www.prlib.ru/item/459989

თამარ შარაბიძე, გოჩა კუჭუხიძე, დოდო ჭუმბურიძე
Tamar Sharabidze, Gocha Kuchukhidze, Dodo Chumburidze

ცენზორის ინსტიტუტი XIX საუკუნის 50-70-იანი წლების ქართული გამოცდილების კონტექსტში[1]

Censor Institute in the context of the Georgian experience of the 50s-70s of the 19th century

Annotation

Russia's censorship policy in the Caucasus is part of the imperial-colonial goals that the highest authorities of this country had towards the people of the Caucasus. Specifically, the censorship policy of the empire in Georgia fought against the idea of the national identity of the Georgian people and the restoration of an independent Georgian state, and the people who dedicatedly fought for the realization of this idea.

The history of Russian censorship in the Caucasus and Georgia officially begins in the middle of the 19th century, namely, from 1848, when the Caucasus Censorship Committee was established, which was the official institution implementing Russia's chauvinist-colonial policy in the Caucasus and Georgia in particular. However, the pre-history of Russian censorship is longer and more loaded with imperial content, because its goal was much more difficult, namely: the abolition of the Georgian kingdom-principalities, the incorporation of all of Georgia into the imperial space, the Russification of the country.

When we get acquainted with a lot of materials that reflect the intelligence activities of people with special tasks sent to Georgia by the Russian government, starting from Peter the Great, ending with the activities of people sent by the emperors Paul and Alexander, we realize that controlling the current events in our country was a priority of the Russian government's foreign policy.

Russia's censorship policy controlled everything that the empire needed to preserve the conquered country, to study the moods and aspirations of all its citizens, to punish those who dared to turn to the past, to completely assimilate the population and to kill forever the idea of independence in the people.

Some time before the conquest of Georgia, the officials sent on a special mission got to know the local political, economic and cultural situation, created the ground for the conquest of the country, and after the conquest, the committees with the chief rulers had a special task of studying the mood of the population and the thought of the creative elite

[1] სტატიის მოკლე ვარიანტი დაიბეჭდა ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჟურნალში «სჯანი“, № 24, 2024 წ.

(Kovalensky, Knoring, Musin-Pushkin, etc.). The information obtained as a result of this control was sent to the ruler of the Caucasus, who in turn reported this information to the highest authority, the emperor himself. The multi-volume set of acts compiled by the Caucasus Archaeological Commission is full of such information.

Before the conquest of the Kingdom of Kartl-Kakheti, the so-called duty of "Chief Censor" was performed by Petre Kovalenski, an official specially sent to Georgia by Emperor Paul I. He recorded the views of interesting political figures, informal settings and thoughts expressed during meetings, and prepared the ground for Russia's conquest of the Caucasus. At the beginning of the 60s of the XIX century, before the release of the Acts, Adolphe Berge published "Councilor of State Petre Kovalensky's Notes on Georgia". It clearly shows how Kovalensky tried to influence the king of Kartli-Kakheti through personal conversations, to confront him with the Caucasian khanates, including those who were in friendly relations with the royal court of Georgia, he organized inspirations by bringing down the division between the kings and princes within Georgia itself, and all this was part of the imperial policy of Russia.

A special conclusion based on complete control over the population led to the creation of the secret police in 1831, which is nothing more than the imposition of complete censorship on the actions and desires of the Georgian people. On May 23, 1831, Adjutant-General Benkendorf was addressed by the governor of the Caucasus, General Ivan Paskevich, and presented the project of creating a secret military police in Transcaucasia, with the center in Tbilisi. It consisted of 29 paragraphs and the establishment of prospective personnel. The project was approved by Emperor Nicholas I on July 7 of the same year. In its very first paragraph, significant words have been stated: "Among the population of Georgia and other provinces of Transcaucasia, which in most cases were subdued by the power of Russian weapons, there are many people who, as a result of wrong thinking, do not look at the Russians as protectors, but as conquerors, and therefore they are hostile to the Russian government" (Acts 1878: 343).

Due to the existing situation, the author of the project proposes to the emperor a number of secret intelligence measures, which will prevent the government from conspiracies, anxiety, etc. Paragraph 8 of the project states that in provinces, regiments, judicial institutions, ports, customs, border quarantines, foreign consulates and generally in places where foreign citizens gather, the secret police was to have their own secret agents; Paragraph 9 states that the postal service should check and monitor suspicious correspondence and possible encrypted information contained therein. Paragraph 10 states that even the clothes and personal belongings of suspicious persons should be secretly searched when crossing the border. Paragraph 19 states that the secret police should always be on the lookout for "people who are free-thinkers and insolent against religion and the government".

Paragraph 24 deals with military units; Secret Service officials were to find out if there were "secret societies among the officers, or parties malicious in their content, or intrigues of any kind, and from whom they originated" (Acts 1878:343-345).

As we can see, the newly formed secret police agency is becoming a very powerful weapon in the hands of the Russian imperial state. Its main purpose was to detect and prevent events similar to the conspiracy of 1832, however, national forces always acted against it, and the secret police could not reveal the conspiracy until December 9, 1832.

Censorship was tightened in 1837, when Russian Emperor Nicholas I arrived in Georgia for the first time. From the memories of Luka Isarlov, an eyewitness of the events, who later became the "fierce censor" of the Caucasus Censorship Committee, it is clear how extensive the censorship was everywhere and on everything, so that this visit could end peacefully. We can consider December 23, 1837 as the beginning of the history of the censorship of the Georgian printed press, when by the order of the Russian emperor, censorship of the books coming out of the printing house was entrusted to the office of the governor of Georgia, and the teachers of Tbilisi gymnasium were appointed as censors.

It is true that official censorship was imposed on print production and it had cruel forms, but due to the fact that a small volume of the printed literature was published in Georgia at that time, publications were monitored by the governor-general of the Caucasus until the end of the 40s. The government did not consider it necessary to establish a special Caucasian censorship committee.

The establishment of the Caucasian Censorship Committee in 1848 had several reasons related to both local and international historical events.

1. The revolutions of 1848 in European countries scared the Russian government. It decided to prevent the possible spread of ideas and literature coming from Europe, especially since involvement in the revolutions earned Russia the name of the "Gendarme of Europe" and undermined its international authority. The desire to prevent possible events forced the imperial authorities to establish the Caucasus Censorship Committee.

2. A lengthy Caucasian war was going on, which threatened the eventual conquest of the Caucasus by the Russian Empire. At such a time, by implementing a strict censorship policy, the imperial government excluded free thought among "foreigners".

3. The establishment of the Caucasus Censorship Committee, we think, was the result of the activity of the liberation movement of the Georgian people, which started immediately after the abolition of the Kingdom of Kartli-Kakheti, did not stop until the 40s and weakened Russia's positions in the Caucasus.

4. We think that the establishment of the censorship committee against the background of the newly introduced Viceroy institution in the Caucasus and its goals prove once again the perfidious nature of the soft power policy of the empire and its loyal Viceroy Mikhail Vorontsov.

Russia could not appear as a complete rejector of liberalism, and on April 18, 1865, Alexander II granted some freedom to the press, which marked the beginning of the reform of censorship. On January 26, 1863, the Ministry of Internal Affairs was assigned the task of monitoring literature and journalism, and it was considered necessary to develop new protective mechanisms in the legislation. A special commission was created, the chairman of which was D. Obolensky, according to whom, the same liberal reforms as in other areas should be reflected in the printing business. In 1863, Obolensky had already developed a project on printing, the main censorship authority became the "Main Department of Printing", and on September 13, 1865, a law was passed, according to which state and academic scientific publications, classical literature texts, and their translations should be exempted from censorship. In the empire, the appropriate policy was carried out towards all the people.

Observing the documents of the Caucasus Censorship Committee allows us to show what the situation was in this regard in the Caucasus, in particular, how the laws were implemented in Georgia.

It was clear to the central government of Russia that it could not suppress the culturally different peoples included in the empire and could not change the identity of the Caucasians by force of arms alone; Therefore, they allowed a certain revival of national culture in relation to Georgia. Such a policy would have preserved Russia's liberal appearance and, obviously, would not endanger the existence of an integral state.

Georgian national figures use the Russian policy of this period and get national affairs in order. From the materials of the 480th fund preserved in the National Archives of Georgia, it is clear that the newly established Caucasus Censorship Committee was less active at the beginning; Its implementation started relatively later, which was caused by the expansion of publications, coverage of political, social and national problems in them. At the same time, it is conceivable that at the beginning the action specifics of the committee were not fully refined yet. Its transition from being under the jurisdiction of the Caucasus Educational District and then the Ministry of Education to the Ministry of Internal Affairs (1863) and then (1867) directly to the Governor of the Caucasus shows that it acquired special state importance.

Since the mid-70s, the committee's field of action has been expanding, if previously three censors and chairmen were in charge, then the number of states increased and control over the publishing activities of Stavropol, Tergi and Kuban provinces was added. In general, observation of the archives of the Caucasus Censorship Committee reveals that special tightening of the printing business in the state began in 1875, which is obviously related to the above-mentioned reform, during which (1874) the activity of the Caucasus Censorship Committee was expanded and its staff increased. It should also be noted that the work with individual nationalities of the Caucasus in the 70s is still in the process of

development, in Georgia there is a period of relative warming in this regard, the study of national history and ethnography is allowed, which the local national forces are taking advantage of and are starting to care for the revival of Georgian culture;

In the 70s, the work of Dimitri Purtseladze, Dimitri Bakradze and activities of others, the names of whom may still be revealed arouses special interest in this regard. Censorship Committee shows special vigilance towards revolutionary persons. Since mid 70s of the 19th century, censorship work becomes relatively stricter. This strictness will increase later.

The materials of the Caucasus Censorship Committee – the committee charter and circulars, the correspondence of the main division of the Viceroy's Chancellery with the committee and the resolutions of the Department of Internal Affairs give us a perfect idea of the management of imperial cultural and educational activities; It sheds light not only on the history of the struggle for freedom of expression, but also helps to determine the main principles and trends of the mechanisms of influencing and manipulating public opinion at the time, which is especially important for us in the context of modern "information wars".

საკვანძო სიტყვები: ცენზურა, ქართული გამოცდილება, საარქივო მასალები, მე-19 საუკუნე

Key words: Censorship, Georgian Experience, archival materials, 19th Century

რუსეთის საცენზურო პოლიტიკა კავკასიაში ნაწილია იმ იმპერიულ-კოლონიური მიზნებისა, რომლებიც ამ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას გააჩნდა კავკასიის ხალხთა მიმართ. კონკრეტულად, საქართველოში იმპერიის საცენზურო პოლიტიკა ებრძოდა ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის იდეას, ამ იდეის განხორციელებისათვის თავდადებულად მებრძოლ ადამიანებს.

რუსული ცენზურის ისტორია კავკასიასა და საქართველოში ოფიციალურად მე-19 საუკუნის შუახანებიდან იწყება, კერძოდ, 1848 წლიდან, როდესაც დაარსდა კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რომელიც იყო რუსეთის შოვინისტურ-კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი სახელისუფლო ინსტიტუტი კავკასიასა და საქართველოში. თუმცა, რუსული ცენზურის წინარეისტორია უფრო ხანგრძლივია და იმპერიული შინაარსით კიდევ უფრო დატვირთული, რადგან მისი მიზანი გაცილებით რთული იყო, კერძოდ: ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება,

მთელი საქართველოს ინკორპორაცია იმპერიულ სივრცეში, მხარის რუსიფიკაცია. როდესაც ვეცნობით უამრავ მასალას, რომელიც საქართველოში რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოგზავნილ სპეციალური დავალებების მქონე პირთა სადაზვერვო საქმიანობას ასახავს, დაწყებული პეტრე დიდიდან, დამთავრებული პავლე და ალექსანდრე იმპერატორების მიერ გამოგზავნილ პირთა საქმიანობით, ვხვდებით, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების გაკონტროლება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენდა.

რუსეთის საცენზურო პოლიტიკა აკონტროლებდა ყველაფერს, რითაც იმპერიას უნდა შეენარჩუნებინა დაპყრობილი ქვეყანა, შეესწავლა მისი ყველა მოქალაქის განწყობა-მისწრაფებები, დაესაჯა ის, ვინც წარსულისკენ მიბრუნებას გაბედავდა, მოეხდინა მოსახლეობის სრული ასიმილაცია და სამუდამოდ ჩაეკლა ხალხში დამოუკიდებლობის იდეა.

საქართველოს დაპყრობამდე რამდენიმე ხნით ადრე სპეციალური მივლინებით წარმოგზავნილი მოხელეები ეცნობოდნენ ადგილობრივ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას, ქმნიდნენ ნიადაგს ქვეყნის დაპყრობისათვის, დაპყრობის შემდეგ კი მთავარმმართებლებთან არსებული კომიტეტები სპეციალური დავალებით სწავლობდნენ მოსახლეობის განწყობასა და შემოქმედებითი ელიტის აზროვნებას (კოვალენსკი, კნორინგი, მუსინ-პუშკინი და სხვ.). ამ კონტროლის შედეგად მიღებული ინფორმაციები მიდიოდა კავკასიის მთავარმართებელთან, ის კი ამ ინფორმაციებს უმაღლეს ხელისუფალს, თავად იმპერატორს, აცნობებდა. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შედგენილი აქტების მრავალტომეული სავსეა ამგვარი ინფორმაციებით.

ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობამდე ე.წ. „მთავარი ცენზორის“ მოვალეობას იმპერატორ პავლე პირველის მიერ საქართველოში სპეციალურად წარმოგზავნილი მოხელე პეტრე კოვალენსკი ასრულებდა. ის იწერდა საინტერესო პოლიტიკური პირების შეხედულებებს, არაოფიციალურ გარემოსა და შეხვედრების დროს გამოთქმულ აზრებს და ამზადებდა ნიადაგს რუსეთისთვის კავკასიის დასაპყრობად. XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, აქტების გამოსვლამდე, ადოლფ ბერჟემ გამოსცა „სტატსკი სოვეტნიკ პეტრე კოვალენსკის ჩანაწერები საქართველოზე“ (Записка статскаго советника Петра Каваленскаго о Грузии) . მასში ნათლად ჩანს, თუ როგორ ცდილობდა კოვალენსკი პირადი საუბრებით ზეგავლენა მოეხდინა ქართლ-კახეთის მეფეზე, დაეპირისპირებინა ის კავკასიის სახანოებთან, მათ შორის იმათთან, ვინც მანამდე მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს სამეფო კართან, ინსპირაციებს აწყობდა თავად საქართველოს შიგნით მეფე-მთავრებს შორის განხეთქილების ჩამოგდებით და ეს ყველაფერი რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ნაწილი იყო (საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 2016: 73-82).

მოსახლეობაზე დამყარებული სრული კონტროლით შედგენილმა სპეციალურმა დასკვნამ განაპირობა 1831 წელს საიდუმლო პოლიციის შექმნა, რაც სხვა არაფერია, თუ არა სრული ცენზურის დაწესება ქართველი ხალხის მოქმედებასა და სურვილებზე.

1831 წლის 23 მაისს გენერალ-ადიუტანტ ბენკენდორფს მიმართა კავკასიის მთავარმართებელმა, გენერალმა ივანე პასკევიჩმა, და წარუდგინა ამიერკავკასიაში, ცენტრით თბილისში, საიდუმლო სამხედრო პოლიციის შექმნის პროექტი. იგი შედგებოდა 29 პარაგრაფისაგან და სავარაუდო შტატების განაწესისგან. პროექტი იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მოიწონა და დაამტკიცა იმავე წლის 7 ივლისს. მის პირველივე პარაგრაფში, საგულისხმო სიტყვებია ნათქვამი: *„საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა პროვინციების მოსახლეობაში, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში რუსული იარაღის ძალით იქნენ დამორჩილებულნი, ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებიც არასწორი აზროვნების შედეგად რუსებს ისე კი არ უყურებენ, როგორც მფარველებს, არამედ როგორც დამპყრობლებს და ამიტომ რუსული მთავრობის მიმართ არაკეთილგანწყობილნი არიან“* (აქტები 1878: 343). ასეთი ვითარების გამო პროექტის ავტორი იმპერატორს სთავაზობს მთელ რიგ სადაზვერვო საიდუმლო ღონისძიებას, რომლებიც მთავრობას თავიდან ააცილებს შეთქმულებებს, შფოთს და ა. შ. პროექტის მე-8 პარაგრაფში ნათქვამია, რომ პროვინციებში, პოლკებში, სასამართლო დაწესებულებებში, პორტებში, საბაჟოებზე, სასაზღვრო კარანტინებზე, უცხოეთის საკონსულოებთან და საერთოდ უცხოელ მოქალაქეთა თავშეყრის ადგილებში საჭიროა, საიდუმლო პოლიციას ჰყავდეს თავისი საიდუმლო აგენტები; მე-9 პარაგრაფში საუბარია იმაზე, რომ საფოსტო უწყება უნდა ამოწმებდეს და აკონტროლებდეს საეჭვო მიმოწერას და იქ არსებულ შესაძლო დაშიფრულ ინფორმაციას. მე-10 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ საეჭვო პირების ტანსაცმელი და პირადი ნივთებიც კი ფარულად უნდა შემოწმდეს საზღვრის გადაკვეთის დროს. მე-19 პარაგრაფში ნათქვამია, რომ საიდუმლო პოლიციას მუდამ მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ჰყავდეს *„ადამიანები, რომლებსაც თავისუფალი აზროვნება და რელიგიისა და მთავრობის წინააღმდეგ თავხედური გამოსვლები ახასიათებთ“.* 24-ე პარაგრაფი ეხება საჯარო ნაწილებს; საიდუმლო უწყების ჩინოვნიკებს დავალება მიეცათ, გამოერკვიათ, ხომ არ იყო *„ოფიცერთა შორის საიდუმლო საზოგადოებები, ან თავისი შინაარსით მავნე პარტიები, ან რაიმე სახის ინტრიგები და ვისგან მომდინარეობდა ისინი“* (აქტები 1878:343-345).

როგორც ვხედავთ, ახლად ჩამოყალიბებული საიდუმლო საპოლიციო უწყება ძალიან მძლავრი იარაღი ხდება რუსული იმპერიული სახელმწიფოს ხელში. მისი მთავარი დანიშნულება კი სწორედ 1832 წლის შეთქმულების მსგავსი მოვლენების გამოვლენა და პრევენცია იყო, თუმცა მის წინააღმდეგ ყოველთვის მოქმედებდნენ ეროვნული ძალები და საიდუმლო პოლიციამ შეთქმულება 1832 წლის 9 დეკემბრამდე ვერ გამოავლინა. არის მოსაზრება, რომ შეთქმულების ყველა დეტალი და

ნიუანსი, თუ ადრე არა, 1831 წ. ივლისიდან მაინც, მთავრობისთვის ცნობილი იყო და თავად იასე ფალავანდიშვილიც საიდუმლო პოლიციამ „ჩანერგა“ შეთქმულებს შორის, რაც დოკუმენტურად არ დასტურდება.

ცენზურა გამკაცრებულია 1837 წელს, როდესაც საქართველოში პირველად ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი. მოვლენების თვითმხილველის, შემდეგში კავკასიის საცენზურო კომიტეტის „მრისხანე ცენზორის“ – ლუკა ისარლოვის – მოგონებებიდან ნათლად ჩანს, თუ რა მასშტაბის იყო ცენზურა ყველგან და ყველაფერზე, რათა მშვიდობიანად ჩამთავრებულიყო ეს ვიზიტი (ისარლოვი 1899: 181-186).

ქართული ბეჭდური პრესის ცენზურის ისტორიის დასაწყისად შეგვიძლია ამავე 1837 წლის 23 დეკემბერი მივიჩნიოთ, როდესაც რუსეთის იმპერატორის ბრძანებით სტამბიდან გამომავალი წიგნების ცენზურა დაევალა საქართველოს მთავარმართებლის უწყებას, ცენზორებად კი თბილისის გიმნაზიის მასწავლებლები დაინიშნენ.

მართალია, ბეჭდვით პროდუქციაზე ოფიციალური ცენზურა დაწესდა და მას სასტიკი ფორმებიც ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ დროს საქართველოში ცოტა გამოდიოდა ნაბეჭდი ლიტერატურა, 40-იანი წლების ბოლომდე გამოცემებს კავკასიის გენერალ-გუბერნატორი ადევნებდა თვალყურს. სპეციალური კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსებას ხელისუფლება საჭიროდ არ თვლიდა.

1848 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, რაც უკავშირდებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ისტორიულ მოვლენებს.

1. 1848 წლების ევროპის ქვეყნებში მომხდარმა რევოლუციებმა შეაშინა რუსეთის ხელისუფლება. მან გადაწყვიტა, ხელი შეეშალა ევროპიდან შემოსული იდეებისა და ლიტერატურის შესაძლო გავრცელებისათვის, მით უმეტეს, რომ რევოლუციებში ჩართვამ რუსეთს „ევროპის ჟანდარმის“ სახელი მოუპოვა და შეარყია მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. შესაძლო მოვლენების თავიდან აცილების სურვილმა აიძულა საიმპერიო ხელისუფლება დაეარსებინა კავკასიის საცენზურო კომიტეტი.

2. მიმდინარეობდა ხანგრძლივი კავკასიური ომი, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის საბოლოოდ დაუფლებას საფრთხეს უქმნიდა. ასეთ დროს მკაცრი საცენზურო პოლიტიკის ამოქმედებით იმპერიული ხელისუფლება გამორიცხავდა „ინოზემცებში“თავისუფალი აზრის დაშვებას.

3. კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსება, ვფიქრობთ, ქართველი ხალხის იმ განმათავისუფელებელი მოძრაობის აქტიურობის შედეგიც იყო, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე დაიწყო, 40-იან წლებამდე არ შეწყვეტილა და საკმაოდ ასუსტებდა რუსეთის პოზიციებს კავკასიაში.

კავკასიაში საცენზურო კომიტეტის მუშაობის შესწავლისას ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ რუსეთის იმპერიაზე დაქვემდებარებულ ეროვნებათა მიმართ გატარებულ ეროვნულ და სოციალურ პოლიტიკაზე. რუსეთის სახელმწიფოში ბევრი ერი და ეროვნება შედიოდა და ყოველ მათგანთან იმპერიას თავისებური მიდგომა ჰქონდა.

პოლონეთში 1863 წლის აჯანყების გამო მკაცრ პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთი: პოლონეთის სამეფო გაუქმდა, რუსეთს შეუერთდა და ვისლისპირეთის მხარე, შემდეგ კი (1875 წ.) პოლონეთის გუბერნია ეწოდა, პოლონური ენა აიკრძალა და მაღალ თანამდებობებზე აქ რუსი ეროვნების მოხელეები ინიშნებოდნენ.

უკრაინის მიმართ დამოკიდებულება ჯერ შედარებით ლოიალური იყო, მაგრამ, რადგან შემდგომ და შემდგომ უკრაინაში ეროვნული მოძრაობა გაძლიერდა, 1863 წელს ჯერ ე. წ. „ვალუევის ცირკულარით“[1] და შემდეგ კი გერმანიის ქალაქ ბად ემსში 1876 წლის 30 მაისს მიღებული განკარგულების ძალით[2] სახელმწიფოს მხრიდან სიმკაცრე დაიწყო, რაც ბეჭდვით სიტყვაზეც აისახა; „მალარასიულ დიალექტზე“ განათლების მიღება აიკრძალა, რადგან, როგორც მიჩნეული იყო, უკრაინელი ხალხი ჰეტმანის მეთაურობით რუსეთისაგან გამოყოფას ცდილობდა. „ვალუევის ცირკულარით“ უკრაინულად დაწერილი მხოლოდ სიტყვაკაზმული ლიტერატურა („изящная литература“) იქნა დაშვებული. ამ განკარგულების თანახმად, თუ სპეციალური ნებართვა არ იქნებოდა გაცემული, უცხო ენიდან უკრაინულზე თარგმნა იკრძალებოდა, არ შეიძლებოდა საზღვარგარეთიდან უკრაინულად დაწერილი წიგნების შემოტანა, დაუშვებელი იყო უკრაინული კონცერტების ჩატარება, აკრძალეს უკრაინულ ენაზე დაწყებითი სწავლება (480-1-268). მხატვრული ლიტერატურის გამოცემა მხოლოდ 1881 წელს დაუშვეს, რაშიც პარიზში 1878 წელს გამართული ლიტერატურის საერთაშორისო კონგრესზე (მისი ოფიციალური თავმჯდომარე ვიქტორ ჰიუგო იყო) ბად ემსში მიღებული განკარგულების გაკრიტიკებამაც შეიტანა წვლილი. როგორც მიჩნეულია, სწორედ ხსენებულმა განკარგულებებმა შეუწყო ხელი იმას, რომ უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა და მისმა ცენტრმა დასავლეთ უკრაინაში გადაინაცვლა (ვერნადსკი 2006: 347-369).

ალექსანდრე II[3] შედარებითი ლიბერალიზმითაა ცნობილი, თუმც ეს არის პიროვნება, რომლის დროსაც ეროვნულ ენებზე სწავლება ლიტვასა და ბელორუსიაშიც დაუშვებლად იქნა მიჩნეული. ამგვარი პოლიტიკა, ცხადია, ზემოხსენებულ 1863 წლის აჯანყებას მოჰყვა, რომელმაც პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა და ბელორუსია მოიცვა.

[1] პ.ვალუევი – რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი

[2] ეს განკარგულება ისტორიაში „ემსკი უკაზის“ სახელით არის შესული.

[3] ალექსანდრე II – იმპერატორობის წწ. – 1855-1881.

ებრაელთა მიმართ დამოკიდებულება ამ დროს შედარებით ლოიალური გახდა. ალექსანდრე II-ის დროს რუსებთან ებრაელი ხალხის დაახლოებას ცდილობდნენ, ებრაელთა გაუცხოებას ხელს უშლიდნენ. 1859 და 1880 წწ-ის განკარგულებებით ებრაელებს ნება მიეცათ, რუსეთის ნებისმიერ ადგილას დასახლებულიყვნენ. თუმც ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ მათ სრული ოფიციალური თავისუფლება მოიპოვეს – 1873 წელს ებრაული სკოლები, რომლებიც 1844 წელს გაიხსნა, დაიხურა, მაღალ თანამდებობებზე ებრაული ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნა არ ხდებოდა (480-1-32).

შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისი იყო ფინეთთან დამოკიდებულება, – ნიკოლოზ I-ის დროიდან მოყოლებული მის ავტონომიას უჭერდნენ მხარს; ფინეთს ჰყავდა საკუთარი ჯარი, ჰქონდა ეროვნული ვალუტა, განათლებას ამ ქვეყანაში ფინურ ენაზე იღებდნენ.

ლიბერალიზმის სრულად უარმყოფელად ვერ წარმოჩნდებოდა რუსეთი და 1865 წლის 18 აპრილს ალექსანდრე II-მ, როგორც აღნიშნავენ ხოლმე, გაითვალისწინა „სახელმწიფო საბჭოს“ აზრი და გარკვეულწილი თავისუფლება მიანიჭა ბეჭდვით საქმეს, რაც საცენზურო საქმის რეფორმის დასაწყისი გახდა. 1863 წლის 26 იანვარს ლიტერატურისა და ჟურნალისტიკისათვის თვალ-ყურის დევნება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა და კანონმდებლობაში ახალი დაცვითი მექანიზების შემუშავება მიიჩნიეს საჭიროდ. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის თავმჯდომარის, დ. ობოლენსკის, აღნიშვნით, ბეჭდვით საქმეშიც უნდა ასახულიყო ისეთივე ლიბერალური რეფორმები, როგორც ეს სხვა სფეროებში მოხდა. 1863 წელს ობოლენსკის უკვე შემუშავებული ჰქონდა პროექტი ბეჭდვითი საქმის შესახებ, ცენზურირების მთავარი ინსტანცია „ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველო“ („Главное управление по делам печати“) გახდა და 1865 წლის 13 სექტემბერს მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმად, ცენზურისაგან უნდა გათავისუფლებულიყო სახელმწიფო და აკადემიური სამეცნიერო გამოცემები, კლასიკური ლიტერატურის ტექსტები, მათი თარგმანები[1]. როგორც უკვე ითქვა, იმპერიაში ყველა ხალხის მიმართ შესაბამისი პოლიტიკა ტარდებოდა. კავკასიის საცენზურო კომიტეტის დოკუმენტებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, წარმოვაჩინოთ, თუ როგორი ვითარება იყო ამ მხრივ კავკასიაში, კერძოდ, როგორ სრულდებოდა კანონები საქართველოში.

ცნობილია, რომ კავკასიაში ადგილობრივი მთის ხალხებს ტრადიციათა შენარჩუნებაში ხელს არ უშლიდნენ, მაგრამ დაპყრობის შემდეგ აქ ჯარს აყენებდნენ; ხდებოდა ხალხთა გასახლებები. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ იმპერია ვერც ქართულ კულტურას აკრძალავდა, ამიტომ აქ გამოუშვა პიროვნება, რომელიც

[1] ამ საკითხებზე იხ. მაკუშინი 2010: 94-104; პეტრუშევა 1990: 27-34; როზენბერგი, იაკუშინი 1905; ჩერნუხა 1988.

ხალხში სიმპათიას დაიმსახურებდა და არც იმას დაუშვებდა, რომ ეროვნული კულტურის აღორძინებას საშიში ფორმები მიეღო. საქართველოში (ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები) მიხეილ ვორონცოვისეული „დათბობის პოლიტიკა“ იმპერიის სწორედ ამ მრავალეროვნული პოლიტიკის კავკასიური ნაწილი იყო და მიზნად ისახავდა, საქართველოში პოლონეთის მსგავსი მოვლენები არ განმეორებულიყო. დაახლოებით იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ სომხეთისა (ერევნის გუბერნია) და აზერბაიჯანის (ელისავეტპოლის /განჯა/ და ბაქოს გუბერნიები) მიმართ.

1844 წელს კავკასიის მთავარმართებლად მიხეილ ვორონცოვის დანიშვნას მართლაც მოჰყვა კავკასიის რეგიონში კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული შედარებით ლოიალური პოლიტიკა; როგორც ხშირად აღნიშნავენ, ეროვნული კულტურის აღორძინების დაწყება. თუმცა შემდგომ და შემდგომ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მეტი სიფხიზლე გახდა საჭირო, რათა ზღვარი არ დარღვეულიყო და იმპერიას გარკვეული სახის საფრთხეები არ შექმნოდა. კავკასიაში რუსეთის პოლიტიკა კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსებამდე, ამ კომიტეტის დაარსება და მანამდე კი მთავარმართებლად ვორონცოვის გამოგზავნის ფაქტები ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის გასაგები იყო, რომ მხოლოდ იარაღის ძალით ვერ დაიხლოვებდა იმპერიაში შემავალ, კულტურათა მხრივ სრულიად განსხვავებულ ხალხებს, ვერ გაასლავურებდა კავკასიელთა იდენტობას; რომც ჰქონოდა ამის სურვილი, წმიდად სლავურ კულტურას ვერ შეიტანდა მათში და ეს თანამედროვეობისაგან კულტურულადაც ძალიან დააცილებდა სახელმწიფოს. კავკასიასთან, კერძოდ, საქართველოსთან დაკავშირებით, ისეთი ეროვნული კულტურის გარკვეულწილი აღორძინება დაუშვეს, რომელიც ხალხის საკუთარი სახის შენარჩუნებასაც შეუწყობდა ხელს და ევროპულთან დაახლოებულ რუსულ კულტურასთანაც მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული; ამგვარი პოლიტიკა ლიბერალურ სახესაც გაუძლიერებდა რუსეთს და, ცხადია, ერთიანი სახელმწიფოს არსებობას საშიშროებას არ შექმნიდა.

ქართველი ეროვნული მოღვაწეები სათავისოდ იყენებენ რუსეთის ამ პერიოდის პოლიტიკას და ეროვნულ საქმეებს აკეთებენ. ოფიციალური განათლება რუსულენოვანია, მაგრამ, რადგან აკრძალული არ არის, უფრო და უფრო მეტი გამოდის ქართული გამოცემები, იქმნება ქართული თეატრალური დასი[1], არსდება „საადგილ-მამულო ბანკი“, რომელიც ეროვნულ საქმეებს აკეთებს, შემდეგ (1879 წ.) – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რაც, ფაქ-

[1] ქართული თეატრი შეიქმნა 1851 წელს, ხოლო „ქართული დრამატული საზოგადოება _1879 წელს.

ტობრივად, ერთგვარი „განათლების სამინისტროა“. ქართული ენის, საქართველოს ისტორიის სწავლება შეზღუდულია, მაგრამ მთლიანად არ წყდება[1] .

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 480-ე ფონდის[2] მასალებიდან ირკვევა, რომ ახლად დაარსებული კავკასიის საცენზურო კომიტეტი დასაწყისში არცთუ დიდ აქტიურობას იჩენდა; მისი ამოქმედება შედარებით მოგვიანებით დაიწყო, რაც გამოიწვია გამოცემათა გაფართოებამ, მათში პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული პრობლემების გაშუქებამ. ამასთან, საფიქრებელია, რომ დასაწყისში კომიტეტის სამოქმედო სპეციფიკაც ჯერ არ იყო სრულყოფილად დახვეწილი. კავკასიის სასწავლო ოლქისა და შემდგომ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებიდან მისი გადასვლა შინაგან საქმეთა სამინისტროსა (1863 წ.) და შემდეგ (1867 წ.) უშუალოდ კავკასიის მთავარმართებლის დაქვემდებარებაში ცხადყოფს, რომ მან განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობა შეიძინა.

70-იანი წლების შუა ხანებიდან უფრო და უფრო ფართოვდება კომიტეტის სამოქმედო ასპარეზი, – თუ ადრე სამი ცენზორი და თავმჯდომარე უძღვებოდნენ საქმეებს, შემდგომ შტატები იზრდება და ემატება სტავროპოლის, თერგისა და ყუბანის გუბერნიების საგამომცემლო საქმიანობისადმი კონტროლიც.

კომიტეტის საარქივო მასალების გაცნობიდან ცხადი ხდება, რომ დასაწყისში ეს ორგანო ძირითადად ამა თუ იმ გამომცემლისთვის გამოცემის ნების დართვითა და საზღვარგარეთიდან შემოტანილი მასალების კონტროლით არის არის დაკავებული. კავკასიის საცენზურო კომიტეტში ყოველწლიურად დგება ჟურნალი, რომელშიც ზუსტადაა აღრიცხული განსახილველად შემოსული ნაბეჭდი თუ ხელნაწერი წიგნებისა და ნებისმიერი სახის გამოცემების სია. სიას თან ახლავს ამონაწერი, როდის და რომელი ცენზორების თანდასწრებით მოხდა საკითხის განხილვა, ასევე ახლავს რეზოლუციები, რომლებიც იწყება შემდეგი ფრაზებით: „Уведомить“, „Обявить“, „Хранить удержанния экземпляры“, „Книги видать“, „возвратить“ და ა.შ. ყველაფერი ბრძანებით კილოში.

მომავალი რედაქტორები კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიისგან იღებენ ნებართვას ნებისმიერი სახის პერიოდული ორგანოს გამოცემაზე, პირობას დებენ, რომ შეასრულებენ ბეჭდვითი სიტყვის ყველა კანონს; თხოვნასთან ერთად ისინი წარმოადგენენ პერიოდული ორგანოს (ჟურნალის ან გაზეთის) პროგრამას (იხ. საქმე 480-1-61, 480-1-110). თხოვნა, პროგრამა და ასევე სხვა საბუთები შეაქვთ მეფისნაცვლის კანცელარიაში. აღსანიშნავია, რომ ყოველ თხოვნას პროგრამასთან ერთად ახლავს რედაქტორის პირადობის დოკუმენტები (ატესტატი, პირადობის ან წარმო-

[1] ქართული ენა და საქართველოს ისტორია ისწავლება ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში, გორის საოსტატო სემინარიაში, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში, 1879 წელს გახსნილ ქართულ „სათავადაზნაურო სკოლაში“ და სხვ.

[2] საქართველოს ეროვნული არქივის 480-ე ფონდში დაცულია კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალები დღიდან მისი დაარსებისა მის ლიკვიდაციამდე.

მავლობის მოწმობა) და ხშირად ცნობა იმის შესახებ, რომ პიროვნებას (მომავალ რედაქტორს) გაკეთებული აქვს ჩუტყვავილის ვაქცინაცია. კანცელარია დოკუმენტებს აგზავნის საცენზურო კომიტეტში ასევე თხოვნით, რომელიც ბოლოვდება კანცელარიის უფროსის შემდეგი სიტყვებით, რომ ყველაფერი შემოწმდეს ცენზურის წესდების მიხედვით და მოხსენდეს მის უდიდებულესობას. ცენზორის ჩანაწერების საფუძველზე ნებართვას ან თხოვნაზე უარყოფით პასუხს ასევე კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამართველოს კანცელარია იძლევა. მისი ბიუროკრატიული აპარატი ამ ნებართვას ან უარს უგზავნის კვლავ კავკასიის საცენზურო კომიტეტს. მასში საუბარია, როდის წარდგა საქმე საცენზურო კომიტეტში და რის საფუძველზე მიიღო „დიდებული კნიაზის, მეფისნაცვლის“ ნებართვა ან უარი. ყველა დოკუმენტში ჩანს გადამეტებული პატივისცემის გამოხატვა მეფისნაცვლისადმი და სხვა მაღალი თანამდებობის პირებისადმი; აგრეთვე ნებართვის მიღების შემთხვევაში აუცილებლად მიეთითება რედაქტორს, რომ ზუსტად იმოქმედოს ცენზურის წესდების მიხედვით. კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის პასუხთან ერთად ზემოთჩამთვლილ დოკუმენტებს კავკასიის საცენზურო კომიტეტი უგზავნის ადრესატს, რედაქტორს. დოკუმენტებს თან ახლავს საცენზურო კომიტეტის თანამშრომლის წერილი, რომ საბუთებს პირადად აბარებს მას, რაზედაც ადრესატი ხელს აწერს და ამოწმებს, რომ ზემოთჩამოთვლილი მიიღო (480-1-10). სახეზეა ბიუროკრატიული აპარატის საქმიანობის უაღრესად მოქნილი სისტემა, რომელიც თავიდან ბოლომდე აკონტროლებს არა მარტო ბეჭდვით საქმეს, არამედ ადამიანებსაც, რედაქტორებსაც. ცენზორის გრიფით „საიდუმლო“ წერილებში თავიდან ბოლომდე შესწავლილია, გაშიფრულია რედაქტორის პიროვნება, როგორ სწავლობდა ის სასწავლებელში, რა ქულები ჰქონდა მიღებული სხვადასხვა საგანში, რამდენად „გონებაგახსნილი“ და, რაც მთავარია, კანონმორჩილი იყო (480-1-131). ცენზორთა საიდუმლო ანალიზებში ხშირად გაკრიტიკებულია პერიოდული ორგანოს მიმართულება, ეჭვქვეშ არის დაყენებული მისი სარგებლიანობა. ცენზორი ობიექტურად მიუთითებს ხოლმე, რომ პროგრამა საცენზურო დებულებას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ რედაქტორს არა აქვს მითითებული, რა იგულისხმება სიტყვებში – „და სხვა სტატიები“. საცენზურო კომიტეტი ითხოვს რედაქტორისგან ყველა დეტალის გახსნას, რომ „სხვა სტატიებში“ რაიმე არ გაიპაროს იმპერიისთვის არასასურველი, ხოლო მეფისნაცვლის კანცელარიას იმასაც კი ატყობინებს, რომ შენიშვნების გაცნობის შემდეგ ესა და ეს რედაქტორი ნაწყენი დარჩენილა (480-1-111); რედაქტორები ხშირად ითხოვენ დაწუნებული პროგრამის შეცვლაზე ნებართვას. მათი თხოვნა ხელახლა გადის იმ ბიუროკრატიულ გრძელ გზას, რომელიც ზემოთ აღვწერეთ (480-1-111). მათ თხოვნას თან ახლავს ახალი პროგრამებიც, რომლებშიც გათვალისწინებულია ცენზურის მიერ მითითებული შენიშვნები.

უაღრესი სიფრთხილის მიუხედავად, ცენზორებს მაინც მოსდით შეცდომები. მათ სთხოვენ ახსნა-განმარტებას, თუ როგორ მოხვდა მსგავსი შინაარსის წერილი

გაზეთში, როგორ მიიღო ნებართვა. „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ უფროსს მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამართველოს უფროსის წინაშე უხდება ცენზორის დაცვა, რომ ეს მას სპეციალურად არ გაუკეთებია და თანაც საცენზურო წესდება არ ყოფილა დარღვეული. მის პასუხს თან ერთვის ცენზორის ახსნა-განმარტებითი წერილებიც (480-1-112).

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ერთ-ერთი რედაქტორობის მსურველის, ვარძელოვის, მეფისნაცვლის კანცელარიაში შეტანილი თხოვნა ბაქოში სომხურ ენაზე ყოველთვიური ჟურნალის – «Аршалуись» / „ცისკარი“ / – გამოცემის თაობაზე (480-1-131, საქმე №63). მეფისნაცვლის კანცელარიამ დაავალა საცენზურო კომიტეტს, განეხილა ვარძელოვის თხოვნა, ჟურნალის პროგრამა და მოახსენებინა ამის შესახებ ბატონ სტატსკი-სეკრეტარ ბარონ ნიკოლაისთვის.

საქმეში დევს ცენზორის დასკვნა, რომელშიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმპერიის მიზნების წარმოსაჩენად. დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია საკითხზე, რომ ბაქოს მხარის კეთილდღეობა დამოკიდებულია რუსეთთან მის შეკავშირებაზე, ამ მხარეში „რუსული ელემენტის“ გავრცელებაზე, მხარის განათლებაზე რუსული ენის დამკვიდრებით. ცენზორის თქმით, ეს ჭეშმარიტება უკვე ცნობილია არა მხოლოდ მაღალ, არამედ საშუალო ფენის დიდი ნაწილისათვის, რომელიც არა მხოლოდ ლაპარაკობს, არამედ წერს კიდეც რუსულად; ადგილობრივთა უფრო მეტად განვითარებისათვის საჭიროა ჟურნალები და გაზეთები ადგილობრივ ენებზეც, მაგრამ მკითხველთა და პრესის გამომწერთა რაოდენობა პროვინციებში დიდი არ არის, რაც ნათლად ჩანს წაუკითხავი მასალებიდან (გაუყიდავი ჟურნალ-გაზეთებიდან). ცენზორი აღნიშნავს, რომ ამ მხარეში (კერძოდ, ბაქოში) ყველაზე დიდი მოთხოვნაა გაზეთ „მშაკზე“ (500 ცალი), რამაც ბიძგი მისცა მცხოვრებლებს სომხურ ენაზე მსგავსი ადგილობრივი ჟურნალის გამოცემისა. ცენზორის აზრით, ეს ჟურნალი „რუსულ ელემენტს“ შეიტანს მხარეში. მისთვის გასაგებია, რომ ადგილობრივი პერიოდული გამოცემების გაზრდა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის (**იმპერიისთვის** – კომენტარი ჩვენია), ამიტომ მათ (პერიოდულმა გამოცემებმა) თავიანთი ხარჯით უნდა იარსებონ, მაგრამ სასურველია, რომ ამ გამოცემათა რედაქტორები იყვნენ მეტნაკლებად საფუძვლიანად განვითარებულნი და კეთილგანწყობილი ადამიანები (რა თქმა უნდა, **იმპერიისადმი**_ კომენტარი ჩვენია). ამიერკავკასიის მხარეებში, სადაც ნაკლებად განვითარებულია რუსული ენა, რასაკვირველია, მოიძებნება ადგილობრივი ჟურნალების მკითხველები, მაგრამ ჩვენი მიზანი რუსული ენის გავრცელებაა, _წერს ცენზორი (და არა ადგილობრივთა ხელშეწყობა – კომენტარი ჩვენია). ამ მხრივ (რუსული ენის ათვისების თვალსაზრისით – კომენტარი ჩვენია) ადგილობრივები ვითარდებიან, მაგრამ მაინც გონებრივად ჩამორჩენილნი არიან; ეს ჟურნალიც სწორედ მათი განვითარებისთვის იქმნება. ცენზორის აზრით, პროვინციებში განათლების დაბალი მაჩვენებლის გამო ადგილობრივ გამოცემებს უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია,

ვიდრე თბილისში, რადგან აქაურ (თბილისელ) რედაქტორთა გონებრივი და მორალური ღირსებები გაცილებით მეტია. მისივე თქმით, ცენზორი ადგილობრივ გამოცემათა მიმართ უნდა იყოს უფრო მეტად ყურადღებიანი და მკაცრი.

ამ ზოგად ანალიზს, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს იმპერიის მიზნებს ადგილობრივ გამოცემებთან მიმართებაში, მოსდევს რედაქტორის პიროვნებისა და მისი საქმიანობის დაწვრილებითი ანალიზი. ცენზორი წერს:

„ვარძელოვის თხოვნაზე ვიტყვით შემდეგს:

1) „ვარძელოვის ფორმულიარული სიიდან ჩანს, რომ ის ძალიან ახალგაზრდაა. მისი განათლება შემოიფარგლება სასულიერო კურსისა და მის შემდგომ – კლასიკური გიმნაზიის დამთავრებით (1869 წელს). ნოვოროსიისკის უნივერსიტეტიდან ის გამოირიცხა სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო. მისი ასაკი და არასაკმარისი განათლება არ გვაძლევს გარანტიას, რომ ის ჟურნალის კარგი რედაქტორი იქნება. ნდობას არ იმსახურებს მისი კეთილგანწყობაც. სომხურ სასწავლებელში სწავლების დროს ის არ გამოირჩეოდა „კეთილი მიმართულებით“. აქედან გამომდინარე, საცენზურო კომიტეტს მისი დანიშვნა ჟურნალის რედაქტორად მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ამიტომ ავალებს ბაქოს გუბერნატორს, ამ თანამდებობისათვის შეარჩიოს უფრო შესაფერისი კანდიდატურა, ვიდრე ვარძელოვია.

2) ჟურნალის გამოსვლის შემთხვევაში, სტატიები უნდა გამოიგზავნოს თბილისში საცენზუროდ.

3) თუ აირჩევა რედაქტორი და გაზეთი გამოვა, ყველა სტატია გაზეთის გამოსვლამდე სამი დღით ადრე უნდა იყოს საცენზურო კომიტეტში. სტატიების გადასინჯვის შემდეგ დადგენილი ტექსტები უკან გადაიგზავნება. დაბეჭდვის შემდეგ ყველა წიგნი (ნომერი) უნდა წარმოადგინონ საცენზურო კომიტეტში, რათა ზუსტად შემოწმდეს ეგზემპლიართა რაოდენობა და ამის შემდეგ მიეცეს გამოსვლის ბილეთი (ნებართვა). ვალდებულება იმისა, რომ ჟურნალი არ გამოიცემა ბილეთის (ანუ ნებართვის) მიღებამდე, ეკისრება გუბერნატორს (მას ევალება ტიპოგრაფიის /სტამბის/ კონტროლი მე-100 პუნქტის მე-3 დანართის – გვ.5, ტ. XIV – საფუძველზე).

თუ გუბერნატრი აუხსნის გამომცემელს ამ მკაცრ მოთხოვნებს, მხოლოდ მაშინ შეეძლება კომიტეტს, დაეთანხმოს ბაქოს გუბერნატორს თხოვნაზე. მას თავის მხრივ შეუძლია ნდობით აღჭურვილ პირს ანდოს კოპიო საცენზურო კომიტეტში გასაგზავნად, მასვე მიეცემა თანხმობის ბილეთი წიგნის გამოსაცემად. კომიტეტის გადაწყვეტილებით ჟურნალის ცენზურის გავლა ბაქოში არ შეიძლება, რადგან რუსულენოვან გაზეთს – „ბაქოს ფურცელი“ – ეტყობა გუბერნიის არასაკმარისი ცენზურა; მეორეც, უფრო ძნელია, ყურადღება მიაქციო ისეთ ჟურნალს, რომლის ენა არ ესმის არც გუბერნატორს და არც მის ქვეშევრდომთა დიდ ნაწილს.

ვარძელაძის თხოვნაში მითითებულია, რომ სურთ ჟურნალის 2000 ეგზემპლიარად გამოცემა, რაც, ცენზორის თქმით, უაზრობაა, რადგან გამოცემის გაყიდვა

კანონით ნებადართულია განსაზღვრულ ვადებში. რაც შეეხება პროგრამას, მასში არ არის არანაირი წინააღმდეგობა საცენზურო კანონთან“ (თარგმანი ჩვენია).

როგორც ვხედავთ, საცენზურო კომიტეტი „პროვინციული“ გაზეთის რედაქტორებს ძალიან მკაცრ შეზღუდვებს უწესებს. რაც უფრო მოშორებულია მხარე ცენტრისგან, ცენზურის შეზღუდვა მით უფრო მკაცრდება. სხვა მოთხოვნებია იმპერიის ცენტრალურ ქალაქებში – მოსკოვსა და პეტერბურგში – და სხვა მოთხოვნებია შემოერთებულ პროვინციებში. რადგან თბილისი შემოერთებული პროვინციების – ამიერკავკასიის – ცენტრია, მას უპირატესობა აქვს ბაქოსთან შედარებით (ეს უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ ცენზურა თბილისში უკეთ აკონტროლებს პერიოდულ გამოცემებს). პრესის ბიოროკრატიული სისტემა პროვინციაში (კავკასიაში) შემდეგნაირად გამოიყურება: რედაქტორი თხოვნით მიმართავს გუბერნატორს, გუბერნატორი მის თხოვნას ამატებს თავის თხოვნას და აცნობებს მეფისნაცვლის კანცელარიას. ეს უკანასკნელი ყველა დოკუმენტს უგზავნის პროვინციის (კავკასიის) საცენზურო კომიტეტს. საცენზურო კომიტეტი სწავლობს დოკუმენტებს, რამდენად ექვემდებარება ისინი ცენზურის მოთხოვნებს და პასუხს ცენზორის დასკვნით უგზავნის მეფისნაცვლის კანცელარიას, მეფისნაცვლის კანცელარია ატყობინებს გუბერნატორს და ა.შ.

გარდა ბიუროკრატიისა, საცენზურო კომიტეტი ისეთ მოთხოვნებს უყენებს გამომცემელს, რომ მათი შესრულება თითქმის შეუძლებელია: ყველა მასალა სამი დღით ადრე უნდა იყოს საცენზურო კომიტეტში (თბილისში) პროვინციიდან ჩამოტანილი გუბერნატორის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ, მან უნდა მიიღოს თანხმობის ბილეთი, სასწრაფოდ ჩაიტანოს გადაკეთებული მასალა პროვინციაში, ამ კერძო შემთხვევაში – ბაქოში, იქ დაიბეჭდოს და შემდეგ ყველა ეგზემპლიარი ისევ უნდა ჩამოიტანონ თბილისში რაოდენობის დასადასტურებლად და ეგზემპლიართა ზუსტ თანხვედრაში დასარწმუნებლად, შემდეგ კი უკან წაიღონ ბაქოში გასაყიდად. და ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს მე-19 საუკუნის ტრანსპორტის საშუალებით.

იმპერია არ მალავს, რომ უპირატესობა რუსულენოვან პრესას უნდა მიენიჭოს და საერთოდ პრესა უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ დაპყრობილ ხალხებში „რუსული ელემენტი“ შეიტანოს. რუსული პრესა ადვილად საკონტროლოცაა, ადგილობრივ პრესაში კი კონტროლის ბარიერს სწორედ ენა ქმნის. ამიტომ თუ დასაშვებია რუსულენოვანი ჟურნალის – „ბაქოს ფურცელი“ – ცენზურის გავლა ბაქოში, სომხურენოვანი გაზეთი აუცილებლად თბილისში უნდა შემოწმდეს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ცენზორი დაწვრილებით სწავლობს რედაქტორის ვინაობას როგორც მისი საბუთების მეშვეობით, ასევე – სხვა გზებითაც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვარძელოვის ფორმულიარში არ იქნებოდა მითითებული, ის კეთილსაიმედო იყო თუ არა. ადვილად მისახვედრია, რომ „კეთილსაიმედოობა“ ნიშნავს მორჩილებას, რომელსაც, გონიერებასთან ერთად, იჩენს

თბილისში გამოსული პრესის რედაქტორთა უმრავლესობა. „კეთილსაიმედოობას“ ასაკი და გამოცდილებაც განსაზღვრავს.

მასალათა გაცნობა იმასაც გვიჩვენებს, რომ, გარდა ბეჭდური მასალის გამოცემის ნებართვებისა, საკმაოდ მძიმე სამუშაოს ავალებენ საცენზურო კომიტეტს. ძალიან აქტიურობენ საბაჟოები, კომიტეტს უგზავნიან საზღვარგარეთიდან შემოსულ ლიტერატურასა და მის სიას; აგრეთვე – სურათებს, გეოგრაფიულ რუკებს, ხატებს, ნოტების ფურცლებს და ა.შ. ითხოვენ ამ ლიტერატურის შემოწმებას, რომელიც მრავალრიცხოვანია და რომლის რაოდენობა შემდგომ და შემდგომ უფრო იზრდება. შემოწმება მკაცრ კონტროლს ექვემდებარება, ვერცერთი ადრესატი ვერ იღებს გზავნილს საცენზურო კომიტეტის ნებართვის გარეშე, საბაჟო პუნქტებიდან ასეთი მასალის (ბეჭდურის) გადაგზავნა ხდება პირდაპირ საცენზურო კომიტეტში, კონტროლის გავლის შემდეგ კი ეგზავნებათ ადრესატებს, რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ მიღებას. იმპერია აკონტროლებს არა მარტო იმას, თუ რა ლიტერატურა შემოდის ქვეყანაში, არამედ იმასაც, თუ სად იგზავნება და ვინ იბარებს.

როგორც იგრძნობა, არაერთ საბაჟოში მიაჩნიათ, რომ ამით სახელმწიფოს წინაშე თავს გამოიჩენენ და ზედმეტადაც აქტიურობენ; თუმცა არაკომპეტენტურობის გამო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაც აშინებთ. შესამოწმებლად გაგზავნილ სიებში ხშირად ვხვდებით ისეთ წიგნებს, რომლებიც, როგორც მათი დასახელებებიდან ჩანს, იმპერიისათვის არავითარ პოლიტიკურ საფრთხეს არ შეიცავს (480, 1, 40/ 1869 წ., 480, 1, 215/ 1875 წ....); მაგ., სიებშია ფრანგული ენის სახელმძღვანელო, გეოგრაფიულ ატლასები, სურათები, ნახატები, ნოტების ფურცლები (70-იანი წწ-ის დასაწყისიდანვე დიდი რაოდენობით გვხვდება ფრანგული, გერმანული, საზღვარგარეთის რუსული ლიტერატურა და შემდგომ, მით უმეტეს, უამრავი შემოდის ევროპული წიგნები, ბროშურები და ა. შ.). კომიტეტი ერთი განყოფილებიდან მეორეში აგზავნის უწყებებს იმის შესახებ, რომ ამა და ამ საბაჟოდან მიღებულია შესამოწმებელი ლიტერატურის სია. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საბაჟოდან გაგზავნილი, ისე კომიტეტის მიერ სხვადასხვა ინსტანციაში გადაგზავნილი საბუთების უმეტესობა იმდენად გაკრული ხელითაა ნაწერი, რომ ხშირ შემთხვევაში მათი წაკითხვა ისევე, როგორც ცენზორთა ხელმოწერების, უმეტესწილად შეუძლებელია. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ, ჩანს, საბაჟოებში განსაკუთრებით უჭირთ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შესული ლიტერატურის რაობის დადგენა; საბაჟოს წარმომადგენლები იხატავენ ასოებს და ასეთი სახით გზავნიან კომიტეტში, მაგრამ ხშირად იმდენად არასწორად არის „გადახატული“ეს ასოები, რომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ამოკითხვას თუ შეძლებდა კომიტეტში მომუშავე სპეციალისტი.

საბაჟოებიდან გაგზავნილ წიგნებთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: კომიტეტის არსებობის პირველ ხანებში თუ ძირითადად მრავალრიცხოვან სიებს უგზავნიან მას (მაგალითად, 1873 წელს 602 წიგნია დასახელებული, უმეტესად –

ფრანგულენოვანი, მათ შორის – სასკოლო სახელმძღვანელოები და მსგავსნი (480, 141...), სხვა შემთხვევაში წიგნებისა და ბროშურების 1100 სათაურია ჩამოწერილი (480, 1, 141...); როგორც ჩანს, რაც დრო გადის, სულ უფრო უჭირთ გამოცემების სათითაოდ აღნუსხვა. მართალია, სიების შედგენა გრძელდება (480-1-214; 215; 216...), მაგრამ მატულობს შემთხვევები, როცა მხოლოდ ყუთების რაოდენობასღა ასახელებენ (480-1-32; 143, 218...) და იმასაც ატყობინებენ კომიტეტს, თუ რამდენი ფუნტი ლიტერატურაა საბაჟოში შეჩერებული და მათ შემოწმებას ითხოვენ (480-1-145; 216...). შეიძლება ითქვას, რომ არაერთ შემთხვევაში საცენზურო კომიტეტში გარკვეულწილად ბიუროკრატიის საშუალებით იცავენ ამგვარი შრომისგან თავს, – სანამ შემოწმება მოხდება, იწერება საბუთები, რომ საბაჟოებიდან მიღებულია ესა თუ ის სია, რომ ამდენსა და ამდენს იწონის იქ გაჩერებული ყუთები და სხვადასხვა...

აღსანიშნავია, რომ საქართველო ასრულებს ტრანზიტორი ქვეყნის როლსაც. ტრანზიტით შემოსული წიგნები მოწმდება კავკასიის საცენზურო კომიტეტში და შემდეგ იგზავნება დანიშნულებისამებრ რუსეთსა და კავკასიაში.

XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის მმართველობაში მოქცეული ერების (კერძოდ, კავკასიის ოლქის) პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონტროლის მექანიზმების გამოვლენის ერთ-ერთი მხარეა იმპერიაში უცხოეთიდან შემოსული ლიტერატურისადმი განსაკუთრებული მიდგომა, მათი თარგმნა და შემოწმება იმ კუთხით, ხომ არ შეიცავს იმპერიისათვის საშიშ ინფორმაციას. ასეთი მნიშვნელოვანი საქმე იმპერიაში არ წყდება პროვინციის, ე.ი. „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“, დონეზე, შექმნილია „უცხოური ცენზურის“ სამმართველო, რომელიც მდებარეობს პეტერბურგში, მას „პეტერბურგის ცენზურასაც“ უწოდებენ. სწორედ ეს საცენზურო კომიტეტი ადგენს იმპერიაში შემოსული უცხოური ლიტერატურის დასაშვებ და აკრძალულ საალფაბეტო სიებს და თვეში ორჯერ აგზავნის პროვინციების საცენზურო განყოფილებებში. კავკასიის საცენზურო კომიტეტი ნებისმიერი უცხოური მასალის დაბეჭდვისათვის ნებართვის გასაცემად ხელმძღვანელობს უცხოური ცენზურის საალფაბეტო სიებით. გარდა ამისა, პროვინციაში საზღვარგარეთიდან შემოსული მასალა შეიძლება მოხვდეს საფოსტო გზითაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავკასიის ოლქში შემოსული ბეჭდვითი სიტყვის ნებისმიერი მასალა მანამ, სანამ ადრესატამდე მივა, საბაჟოდან პირდაპირ ხვდება „კავკასიის საცენზურო კომიტეტში“, იქ ხდება მისი თარგმნა, შემოწმება და შემდეგ ადრესატთან გაგზავნა ან მასალის „დაპატიმრება“, ე.ი. უარის მიღება, რომ საბაჟომ ადრესატს გადასცეს. ასეთი ლიტერატურა ნადგურდება. აკრძალული ლიტერატურის სიები ეგზავნებათ გუბერნატორებს და მათვე ევალებათ საგანგებო მოხელეთა მეშვეობით შეამოწმონ ბიბლიოთეკები, სამკითხველო დარბაზები და წიგნების მაღაზიები, ხომ არ იყენებენ ასეთი სახის მასალას და მოახდინონ მათი კომფისკაცია.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებიდან ირკვევა, რომ ამგვარი სახის ლიტერატურა მაინც აღწევდა პროვინციებში ისე, რომ არ ხვდებოდა „უცხოური ცენზურის“ პეტერბურგის განყოფილებაში, ხოლო ადგილობრივი ცენზურა შიდა შემოწმების საფუძველზე, თუკი მასში იმპერიისთვის მავნებელ აზრს ვერ დაინახავდა, აძლევდა თანხმობის ბილეთს, რაც ნიშნავდა იმას, რომ მისი დაბეჭდვა შეიძლებოდა. კავკასიის საცენზურო კომიტეტში მოიპოვება არაერთი საქმე, რომელშიც კომიტეტის ზემდგომი ორგანო – კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო – მკაცრად აფრთხილებს ცენზორებს, რომ დაუშვებელია მისცენ ნებართვა ისეთი სტატიის თარგმნასა და დაბეჭდვას, რომელიც პეტერბურგის საალფაბეტო სიებში (არც ნებადართულსა და არც აკრძალულში) არ მოხვედრილა. შიდა ცენზურის მიუხედავად, პროვინციის საცენზურო კომიტეტმა არ უნდა მიიღოს რაიმე სახის გადაწყვეტილება, გარდა მისი აკრძალვისა; ასევე არ შეიძლებოდა იმ მასალის დაბეჭდვაზე ნებართვაც, რომელიც საბოჭოს გზით არ არის შემოსული იმპერიაში.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალები – კომიტეტის წესდება და ცირკულიარები, ასევე მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამმართველოს მიმოწერა კომიტეტთან და შინაგან საქმეთა სამმართველოს დადგენილებები სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის იმპერიული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის შესახებ; ნათელს ჰფენს არა მარტო სიტყვის გამოხატვის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას, არამედ ხელს უწყობს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და მანიპულირების იმდროინდელი მექანიზმების ძირითადი პრინციპებისა და ტენდენციების დადგენას, რაც თანამედროვე ,,ინფორმაციული ომების“ კონტექსტის გათვალიწინებით ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

1869 წელს ცენზორების ორი კატეგორია ჰყავთ: ერთია აღმოსავლური ენების სპეციალისტი და მეორე – რუსულისა და ევროპული ენებისა (აღმოსავლურში, როგორც ჩანს, არაბულის, სპარსულის, თურქულ-აზერბაიჯანულის გარდა, კავკასიურ ენათა სპეციალისტებიც იგულისხმებიან); განსაზღვრულია მათი ხელფასების რაოდენობაც. როგორც ირკვევა, კავკასიის საცენზურო კომიტეტს ისეთი თანამშრომლებიც ჰყავს, რომლებიც კომიტეტში არ მუშაობენ ცენზორებად, მაგრამ გარედან ასრულებენ ამ მოვალეობას. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ გიმნაზიის პედაგოგს სთხოვენ მასალის შემოწმებას, ან როცა გიმნაზიის დირექტორის რეკომენდაციაა საჭირო, რათა ამა თუ იმ პედაგოგმა ცენზორის მოვალეობა შეასრულოს (480-1-50);

კომიტეტის საარქივო ფონდებში დაცულია იმპერატორის, გუბერნატორის ბრძანებები, ოფიციალური სახის განკარგულებები; არის საბუთები მოსამართლედ ამა თუ იმ პიროვნების დანიშვნის შესახებ, შიდა ბრძანებები მივლინებაში კომიტეტის თანამშრომლის გაშვების, სამკურნალოდ მისი წასვლისა და მოვალეობის

შემსრულებლად ამა თუ იმ პირის დანიშვნის თაობაზე (იმპერატორის, გუბერნატორისა და მსგავსი მაღალი რანგის საბუთები ბეჭდური სახით ინახება); საცენზურო კომიტეტში თავმოყრილია წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდომათა ოქმები (480, 1, 55; – 393-გვერდიანი საქაღალდე), ოფიციალური სახის ცნობები იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ პიროვნებას პენსია დაენიშნა (480-1-52; 77; 163...), რომ მის მოვალეობას ახალი ცენზორი შეასრულებს (480-1-53), რომ ერთ-ერთი თანამშრომელი დააჯილდოვეს (480-1-233) და რომელიღაც მათგანი კი შვებულებაში მიდის (480-1-50; 480-1-162); გვხვდება ბრძანებები, რომლებითაც ოფიციალურ ინსტანციებს ევალებათ, რომ პეტერბურგში სახელმწიფო პრესას შეატყობინონ, თუ რა მნიშვნელოვანი ფაქტები ხდება კავკასიის ამა თუ იმ რეგიონში, რათა პრესამ ასახოს ეს მოვლენები; არქივში დაცულია ინსტრუქციები, რომლებიც ადგილობრივ პერიოდიკას ავალებს, ცენტრალური პრესიდან გადმობეჭდონ ოფიციალური ცნობები და ა.შ.

კავკასიის საცენზურო კომიტეტში მუდმივ შედის განცხადებები, რომ ჟურნალის ან წიგნის გამოცემას ითხოვენ გამომცემლები; დგება ვრცელი სიები იმ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნებისა, რომლებიც გამოვიდა ამა თუ იმ რეგიონში. მათში აღნუსხულია ათასობით წიგნი, ბროშურა და გაზეთი[1]; სიები გამოცემებისა, რომლებიც სხვადასხვა უწყებას გადაეგზავნა შესასწავლად[2] . არქივში გვხვდება უამრავი სია, რომელშიც ჩამოწერილია, თუ რა ლიტერატურას მიეცა გამოქვეყნების ნებართვა[3]. წლის ბოლოს ანგარიშებში წარმოდგენილია გამოცემები, რომლებიც საცენზურო კომიტეტის ნებართვით დაიბეჭდა... ფაქტიურად ყველაფერი, რაც ამ წლებში ოფიციალურად არის გამოსული, აღნუსხულია სიებში. ხშირია შემთხვევა, როცა ირკვევა, რომ მასალა არ გაუგზავნია ჟურნალს ან გაზეთს საცენზუროდ, ისე დაუბეჭდავს იგი და ამის გამო სასამართლოში საქმის აღძვრას ითხოვს კომიტეტი; საერთოდ, არცთუ ცოტაა შემთხვევა, როცა მიაჩნიათ, რომ სამართალში უნდა მიეცეს ესა თუ ის პირი...

რედაქტორები ზოგჯერ ითხოვენ განმარტებას, თუ რატომ არ გასცა ამა თუ იმ წერილზე კომიტეტმა გამოქვეყნების უფლება, სურთ მასალის დაბეჭდვა... პასუხები თითქოს დასაბუთებულია, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ხელნაწერი დასაბუთებაა ჩვენ წინაშე, რომლის წაკითხვა, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი იქნებოდა რედაქტორისთვის, რადგან ზედმეტად გაკრული ხელითაა დაწერილი.

კომიტეტს ხშირად რომელიმე სახელმწიფო უწყებიდანაც უჩივიან და პასუხს სთხოვენ, – მაგ., გაზეთ „კავკაზის“ 1877 წლის ივნისის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულა მცდარი ცნობა საქართველოში „კნიაზ მიხაილ ნიკოლაევიჩის“ ჩამობრძანების თაობაზე; მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს გამგებელი კომიტეტის

[1] იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საქმე 480-1-204.

[2] იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საქმე 480-1-165.

[3] იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საქმე 480-1-22,34,40...

თავმჯდომარე „დმიტრი პეტროვიჩს“ (იგულისხმება დიმიტრი ფურცელაძე) პასუხს სთხოვს, თუ როგორ გაიპარა ცნობა საქართველოში ამ პიროვნების ჩამოსვლის შესახებ, „დმიტრი პეტროვიჩი“ საპასუხო წერილში სრულიად თავდაჯერებულად და თამამად წერს, რომ გაზეთმა ეს ცნობა ტფილისის გუბერნატორისგან მიიღო და კანონის საფუძველზე გაზეთს ევალებოდა, ცენზურის გარეშე გამოექვეყნებინა იგი (480-1-155).

გამომცემლობა ზოგჯერ ძალზე გაღიზიანებული უჩივის ამა თუ იმ ცენზორს და კანონდარღვევაში ადანაშაულებს მას. მაგალითად, „Тифлиский Вестник“-ის რედაქტორი – თავადი კონსტანტინ ბებუთოვი („Князь Бебутов“) – კომიტეტის წინაშე უკმაყოფილებას გამოთქვამს ცენზორზე, რომელსაც კანონი დაურღვევია და ერთ-ერთი ნომრიდან ამოუღია საეჭვოდ მიჩნეული წინადადებები იმის ნაცვლად, რომ „განსაკუთრებულ უწყებათათვის“ („особым ведомствам“) გადაეგზავნა წერილი; ამასთან, ორ ადგილას სამი წერტილი წაუშლია (როგორც ჩანს, ეს სამი წერტილი იმაზე მიანიშნებდა, რომ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის თქმა უნდოდა, მაგრამ გახსნილად არ თქვა იგი სტატიის ავტორმა). რედაქტორი მოითხოვს, რომ სტატიის მთლიანად დაბეჭდვის ნებართვა გასცეს კომიტეტმა (480-1-168); შემდეგ გვხდება წერილი, რომელშიც უკვე თავად მეფისნაცვალთან ჩივის კონსტანტინე ბებუთოვი იმის გამო, რომ ცენზორმა მაქსიმოვიჩმა თავის განმარტებით წერილში „არაკეთილსინდისიერი“ („недобросовестный“) უწოდა ბებუთოვს და მის სამართალში გადაცემას მოითხოვს (480-1-168). არის შემთხვევა, როცა რედაქტორი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს ცენზორს, რომელმაც ამ გაზეთის რედაქციისათვის მიუღებელი სტატიის დაბეჭდვის უფლება მისცა სხვა გაზეთს (480- 1-161).

ამა თუ იმ სახის საჩივარი კომიტეტის მიმართ სხვაც ბევრია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის შემთხვევები, როცა ცენზორის ნებართვის გარეშე იბეჭდება სტატიები, ან ზოგიერთი ფრაზა, და შემდეგ ამის გამო პასუხს სთხოვენ საცენზურო კომიტეტს. მაგ., 1875 წელს „ტიფლისკი ვესტნიკის“ №89-ში დაბეჭდილა სტატია, რომელშიც ასეთი ფრაზა გაპარულა: *„ხელისუფალნი კი არ წყვეტენ საქმეს, არამედ ხალხი წყვეტს“ („не государи решают дело, а народ“).* კომიტეტში მისულია ტფილისის გუბერნატორის რამდენიმე წერილი, იქ გამართულა სხდომა, მოუსმენიათ ცენზორ მელიქ მეგრაიდოვისთვის, საქმის ვითარება შეუსწავლიათ და გაურკვევიათ, რომ ეს ფრაზა ცენზორს არ დაუშვია, დამნაშავეებად ტიპოგრაფიის მფლობელები: ჩანცევი და კ-ო მიუჩნევიათ და გადაწყვეტილება მიუღიათ, საქმის კურსში ჩაეყენებინათ გუბერნატორი; ამ ყველაფრის შესახებ სხდომის ოქმი იტყობინება (480- 1-198); თურქი კონსული კომიტეტში გაგზავნილი წერილით უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კომიტეტმა მისთვის მისაწოდებელი „La Turgiue“-ის 1875 წლის თებერვლის ნომერი შეაჩერა (480-1-217) და ა.შ.

კომიტეტის საქმეებში ინახება ისეთი სახის განკარგულებები, რომლებიც განმარტავს, თუ როგორ უნდა დაიბეჭდოს სტატიები იმპერატორის გვარის მქონე პიროვნებათა შესახებ. ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო მიმართავს გუბერნატორებს (19 მაისი, 1873 წ. № 2947), რომ *„ყველა ნაწარმოები და სტატია, როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი, რომლებშიც აღწერილია იმპერატორის ან მისი ოჯახის წევრების მოქმედება ან გადმოცემულია რაიმე გამონათქვამი, ან მოყვანილია მათდამი მიმართვა; აგრეთვე სტატიები, რომლებიც შეიცავს მათ შესახებ რაიმე მონათხრობსა და ანალიზს, ყველა, გამონაკლისის გარეშე, უნდა დაიბეჭდოს საიმპერატორო კარის მინისტრის ნებართვით... არანაირი გადმობეჭდილი სტატია, რომელიც ეხება საიმპერატორო ოჯახის წევრებს, არ უნდა დაიშვას საცენზურო ნებართვით საიმპერატორო კარის მინისტრის ხელახალი ნებართვის გარეშე. გამონაკლისი იქნება ის სტატიები, რომლებიც დაიბეჭდა „სახელმწიფო უწყებანიში“ და „რუსულ ინვალიდში“* (480-1-152). ამ პერიოდული ორგანოებიდან გადმობეჭდილი სტატიები შეიძლება ხელახლა დაიბეჭდოს საიმპერატორო კარის მინისტრთან შეუთანხმებლად. მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი საცენზურო კომიტეტს ერთ-ერთ წერილში (1874 წ.) ატყობინებს, რომ ამ გვარის მქონე პირთა მიერ რომელიმე ღონისძიებაზე ზეპირად წარმოთქმული სიტყვის დაბეჭდვა, ხსენებულ წელს მიღებული კანონის თანახმად, იმპერატორის სასახლის მინისტრის თანხმობით უნდა ხდებოდეს. მიუხედავად ამ კანონის არსებობისა, გაზეთ „Тифлиский Вестник“-ს 13 აპრილის 39-ე ნომერში (1874) საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოების სხდომაზე მთავარმართებლის მიერ წარმოთქმული სიტყვა ასეთი ნებართვის გარეშე დაუბეჭდავს (მისი სახელი, როგორც ჩანს, მეფისნაცვალთან დაკავშირებული იმდროინდელი ეტიკეტის გამო, ნახსენები არ არის, წერია მხოლოდ – „Государь Великий Князь (...) Наместник“... ცხადია, ეს დღეს ეტიკეტის დარღვევაში არ ჩაითვლება და შეიძლება ითქვას, რომ აქ მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი იგულისხმება (480-1-167).

კომიტეტის ხელში გადის ყველა ეროვნული გამოცემა. მაგ., 1870 და სხვა წლების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ კომიტეტმა ნება გასცა და გამოიცა „ცისკრის“ („Заря“), „დროების“ („Время“) შემდგომი ნომრები. ანგარიშებში, როგორც სხვა დროს, ამ წელსაც არის დასახელებული სხვა ქართული გამოცემებიც: და მრავალთა შორის – საფოს ლირიკული ოპერა, ქართული და რუსული ენების თვითშემსწავლელი, ქართული „სასოფლო გაზეთი“ („Сельская жизнь“) და სხვ.; გამოცემათა შორის დასახელებულია ასევე – „გურამოვის“ *დავითიანი* („Давитиани Гурамова“) (480-1-75) (ეს დავით გურამიშვილის „დავითიანის“ პირველი გამოცემაა).

კავკასიის საცენზურო კომიტეტი თანამშრომლობს სხვა ქალაქთა ცენზორებთანაც. მაგ., ერთი პიესა – „განდგომილი“ („Отщепенец“) ოდესელი ცენზორისთვის გაუგზავნიათ. იგი იწერება, რომ მისი გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რადგან პიესაში გატარებულია აზრი, რომ ებრაელმა მართლმადიდებლობა არ

უნდა მიიღოს, ებრაული მოსახლეობა რუსეთში ისედაც ჩაკეტილია და ეს პიესა ჩაკეტილობას უფრო გააღრმავებსო (480_1-32). ჩანს, ოდესელი ცენზორის გამოცდილების გაზიარება დასჭირვებიათ, როცა ებრაულ საკითხს ეხებოდა საქმე და მანაც კოლეგიალურად გაუზიარა კავკასიის კომიტეტს ეს გამოცდილება. მისი ცენზურა მთლიანად ეხმაურება ზემოხსენებულ სახელმწიფო გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, ებრაელი ხალხი არ უნდა განცალკევდეს.

1879 წლის 20 დეკემბრიდან კავკასიის მეფის ნაცვლის განკარგულებით „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობას დაემატა დრამატურგიული ცენზურა. კომიტეტი განიხილავდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ნებას რთავდა ან კრძალავდა კავკასიის მხარეში მათ სცენაზე დადგმას, აკონტროლებდა სცენაზე მის შესრულებას, მსახიობთა წარმოთქმული ტექსტების სრულ შესაბამისობას ცენზურის მიერ ნებადართულ ტექსტთან, მსახიობთა რეპლიკების კილოსა და მათ მიმიკებს ყველა სპექტაკლის დროს, ყველა აფიშას. დრამატურგიული ცენზურა ვრცელდებოდა არა მხოლოდ თეატრში დადგმულ სპექტაკლებსა და მათ ტექსტებსა თუ შესრულებაზე, არამედ სახალხო ღონისძიებებზეც, რომლებიც შეიძლებოდა მოწყობილიყო ოჯახებში ან ქუჩებში. კავკასიის საცენზურო კომიტეტის ნებართვის შემდგომ აუცილებელი იყო ყველა სპექტაკლსა თუ ღონისძიებას დასწრებოდა პოლიციის წარმომადგენელი, მათთვის გამოეყოთ სპეციალურად ადგილები (480-1-31).

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტიც: პიესა, რომელიც იდგმება სატახტო ქალაქების – მოსკოვისა და პეტერბურგის – თეატრებში, ცენზურის უფლების გარეშე არ შეიძლება დაიდგას „პროვინციათა“ სცენებზე. მან ხელახლა უნდა მიიღოს თანხმობის ბილეთი, კავკასიის საცენზურო კომიტეტში ხელახლა უნდა შევიდეს განსახილველად ტექსტი 2 ეგზემპლიარად, რადგან სხვადასხვა მიდგომა ესაჭიროებათ დედაქალაქებსა და „პროვინციებს“.

მასალებში გვხვდება აკრძალვები, რომლებიც მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოდან იგზავნება (ამ უწყების საშუალებით უშუალოდ არის საცენზურო კომიტეტი მთავარმართებელთან / მეფისნაცვალთან / დაკავშირებული), ხელს აწერს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სენატორი, „სტატს-სეკრეტარი“, „კნიაზი“ „ბაგრატიონ-მუხრანსკი“. 1874 წელს აუკრძალავთ 14 რუსულენოვანი პიესა, მათ შორის: „Прометей или ужасные убийства; Елена в Трое; Рахел дочь благородного еврея; Риголетто или геройская корона и шутовская погремушка (перевод с итальянского)“. აკრძალვის მიზეზი იმით არის ახსნილი, რომ ეს პიესები გამოსაქვეყნებლად უხერხულადაა მიჩნეული („признанные к представлению неудобными“) და, საინტერესოა, რომ გაცემულია განკარგულება, რომლის თანახმად, ამ აკრძალვის შესახებ შეტყობინებები ტფილისის თეატრალურ და კავკასიის საცენზურო კომიტეტს, ასევე, ამიერკავკასიის მთიანსა და შავიზღვისპირეთის ოლქებს უნდა გაეგ-

ზავნოს (480-1-192) (სავარაუდოდ ეს პიესები რუსულენოვან პრესაში უკვე აუცილებლად დაბეჭდილია).

კომიტეტის მხრიდან, რასაკვირველია, შემოწმება სჭირდება საეკლესიო ლიტერატურას. მაგალითად, 1869 წელს ეგზარხოს ევსევის[1] შეუმოწმებია 74 ქართული ხელნაწერი, რომელიც მოხსენიებულია როგორც „Проповеди Эпископа Гавриила“ და მისი დაბეჭდვის ნებართვაც გაუცია (480-1-37); ცხადია, გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებია აქ ნაგულისხმები; 1871 წელს იგივე ეგზარხოსი კომიტეტს სწერს, რომ ქართულ ენაზე შეიძლება დაიბეჭდოს წიგნი – „Краткое объяснение Божественной литургии священника Востокова“; აქვეა სომხური კალენდრის დაბეჭდვის ნებართვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მასში არაფერია ისეთი, სომხურ საეკლესიო კანონმდებლობას რომ ეწინააღმდეგებოდეს (480-1-83).

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ბეჭდვით სფეროში თავისუფლება ქართველებისთვის რელიგიური კუთხით უფრო მეტადაა შეზღუდული, ვიდრე კავკასიაში მცხოვრები სხვა ხალხებისათვის. როგორც იმდროინდელი მოღვაწეები, უპირველესად კი იაკობ გოგებაშვილი და განათლების სხვა მესვეურები, ჩივიან თავინთ მრავალრიცხოვან წერილებში, განსაკუთრებული წნეხის ქვეშაა ქართული მართლმადიდებლობა. მაჰმადიანები, კათოლიკეები, იუდეველები და სომხეთის ქრისტიანები შედარებით თავისუფალნი არიან თავიანთი რელიგიის პოპულარიზაციის საქმეში. მათ შეუძლიათ, საზღვარგარეთიდან ლიტერატურის გამოწერა, მიღება, დაბეჭდვა და გავრცელება. ეს ყოველივე კი ეკრძალებათ ქართველ ქრისტიანებს, რადგან ისინი მართლმადიდებლები არიან, მართლმადიდებლური ლიტერატურა კი არსებობს რუსულ ენაზე და აღარაა საჭიროება მისი ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემისა.

რელიგიური ლიტერატურის დაბეჭდვისათვის საცენზურო კომიტეტი ხშირად მიმართავს საქართველოს საეგზარქოსოს, რომლის წარმომადგენელიც განიხილავს რელიგიური შინაარსის ტექსტებს იმისდა მიხედვით, ხომ არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლური ეკლესიის არსს. ხშირად საეგზარქოსო ქართული ხელნაწერების ცენზორად იყენებს თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორს, გიორგი ხელაძეს (480-1-137).

სომხური საეკლესიო მასალის დაბეჭდვისათვის, *თუ რაიმე განსაკუთრებული საჭიროება არ არსებობს,* სომხური სასულიერო იერარქიისაგან იღებენ ნებართვას. რადგან სომხური ეკლესია სომეხთა კათოლიკოსს ემორჩილება და არა – ეგზარხოსს. სომეხთა კათალიკოსს აქვს თავისი სტამბა (ეჩმიაძინის) და მეფისნაცვლის კანცელარიიდან მიღებული ნებართვაც, ბეჭდოს სომხურ ენაზე სასულიერო შინაარსის ლიტერატურა ცენზურის გარეშე. კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმეებში (480-1-174) ინახება კომიტეტის მიმართვა მისი უდიდებულესობა, კავკასიის

[1] იგულისხმება 1858-1877 წწ-ში საქართველოს ეგზარხოსი /ერისკაცობაში ალექსი ალექსის ძე ოლინსკი.

მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსისადმი სომხეთის კათალიკოს-პატრიარქის თხოვნის შესახებ. ეს უკანასკნელი კავკასიის საცენზურო კომიტეტს სთხოვს ნებართვას, რომ სომხურ ენაზე წიგნების გამოცემას თავად გაუწიოს ზედამხედველობა. ის აღნიშნავს, რომ მსგავსი სახის ნებართვა მას მინიჭებული აქვს მთავარმართებლისაგან ეჩმიაძინის სტამბაში ჟურნალ „არარატის“ გამოცემაზე. ეს ჟურნალი გამოდის 1868 წლიდან პატრიარქის პასუხისმგებლობით, საცენზურო კომიტეტის შემოწმების გარეშე. საქმეში დევს მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამმართველოს უფროსის, ბარონ ნიკოლაის, ნებართვა. მას მიზანშეწონილად მიაჩნია, სომხური რელიგიური ლიტერატურის შემოწმების მთლიანად ჩამოშორება კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობიდან (1874 წ.).

საცენზურო კომიტეტში ინახება სომხურ ენაზე სომხური გამომცემლობის მეპატრონის შემდეგი შინაარსის წერილიც. ის საცენზურო კომიტეტს უგზავნის საეკლესიო კალენდარს, რომელშიც მთელი წლის დღესასწაულების თარიღებია აღნიშნული და ითხოვს მიეცეს ნება, რომ დროის მოგების მიზნით მანამ დაიწყოს ბეჭდვა, სანამ სასულიერო ხელმძღვანელობა შეამოწმებდეს ამ კალენდარს (480-1-32).

რელიგიური სექტების მიმართ სახელმწიფოს აქვს მკაცრი მოთხოვნა, მათი ლოცვებისა და ღვთისმსახურების წიგნების დაბეჭდვა აკრძალულია (480-1-136).

კომიტეტი სპეციალურ მოთხოვნას იმუშავებს პრესაში არმიის მოქმედებების შესახებ დასაბეჭდი სტატიების შესახებაც. 1875 წელს მთავარი სამმართველოს უფროსი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია, გაზეთმა „კავკაზმა“ სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე დაბეჭდოს სტატიები, რომლებიც კავკასიის არმიის მოქმედებას, მის განკარგულებებსა და კავკასიის სხვა სამხედრო საკითხებს ეხება (480-1-197).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1875 წელს მთავარი სამმართველო საცენზურო კომიტეტს სწერს, რომ საჭიროა კომიტეტმა ტფილისში გამომავალი გაზეთების ცენზურირებისთვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია შეადგინოს; კომიტეტს შეახსენებენ, რომ ოფიციალური პირის შეურაცხყოფა დაუშვებელია; ამ საბუთში ვკითხულობთ, რომ მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ინება, რამდენიმე მოსაზრება გამოეთქვა („изволил высказать некоторые мысли“), მაგ., მასში ნათქვამია, რომ რედაქციათა შორის გაუგებრობის ჩამოვარდნის დროს კომიტეტმა 1868 წლის 137-ე მუხლის შესაბამისად უნდა იმოქმედოს (480-1-220); იმავე წელს მთავარი სამმართველოდან იტყობინებიან, რომ დაუშვებელია, ზოგი ჩინოვნიკი მივლინებაში წასვლის წინ ავანსებს რომ ითხოვს (480-1-219). იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამუშაო დეტალები ბოლომდე ჯერაც არ არის დახვეწილი.

ფონდის მასალებში (480-1-221) (1874 წ.) იმპერატორის მანიფესტთან ერთად დაცულია თანამდებობის პირთა დანიშვნის საბუთები, მათ შორის – ცნობა იმის შესახებ, რომ საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებ-

ლად დაინიშნა ზემოხსენებული დიმიტრი ფურცელაძე (ცნობილი მეცნიერი, ავტორი ნაშრომებისა: „ქართული საეკლესიო გუჯრები“, „სათავადაზნაურო გუჯრები“, „საგლეხო გუჯრები“, „კახეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი“, „ბოდბის მონასტრის აღწერა“, „დღესასწაულნი საქართველოს ეკლესიისა“, „ანდერძი ანტონ კათალიკოსისა“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით“... დ. ფურცელაძე იყო სასულიერო სემინარიის პროფესორი, მთიელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, კავკასიის მეფისნაცვლის მრჩეველი, კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საქმეთა გამგებელი და სხვ. იგი სახელმწიფო მოხელეც არის, ისტორიკოსიც, ქართულ მწერლობას იცნობს, ჩანს, ენდობიან, მისაღებად მიაჩნიათ მისი კანდიდატურა და მალე კომიტეტის თავმჯდომარედაც ნიშნავენ; აღნიშნულია ხელფასიც (480-1-228); 221-ე საქაღალდეში ვხვდებით აგრეთვე ბრძანებას იმის შესახებ, რომ „სტასკი სოვეტნიკი“ ბაქრაძე მთავარ სამმართველოსთან არსებული *არქეოგრაფიული კომისიის* მუდმივ წევრად ინიშნება.

ფონდის მასალებში (480-1-226) გვხვდება დ. ბაქრაძის წერილი (1875 წლის 7 თებერვალი), რომლითაც იგი „ალექსანდრ პეტროვიჩ მაქსიმოვიჩს“ სთხოვს, რომ კომიტეტის თავმჯდომარესთან (ე. ი. დიმიტრი ფურცელაძესთან) გაუწიოს შუამდგომლობა კომიტეტში მუშაობის დაწყების ნებაზე; აქვეა გაურკვეველად ხელმოწერილი შუამდგომლობა კომისიის წარმომადგენლისა („представитель комисии“) იმის თაობაზე, რომ შუამდგომლობის ავტორი ვერავითარ ხელისშემშლელ ფაქტორს ვერ ხედავს და დ. ბაქრაძეს უმცროსი ცენზორის თანამდებობაზე ნიშნავენ. შემდეგ კი არის ახალი შუამდომლობა, რომ დიმიტრი ბაქრაძე „რუსული და ევროპული ენების უფროს ცენზორად“ დაინიშნოს („старшим цензором русского и европоейских языков“) (480-1-226); მანამდე გვხვდება ცნობა (1873 წ.), რომელიც მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზეა დაწერილი კომიტეტს ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ (ხელმოწერა არ იკითხება); იგი აღნიშავს, რომ კომიტეტს თანამშრომლები არ ჰყოფნის და რომ ერთი ადამიანისთვის ძალიან ძნელია ამ საქმის გაძღოლა, – „ხსენებულ თანამდებობაზე 23 წელი მუშაობდა დიდი ავტორიტეტის მქონე ცენზორი კაიტმაზოვი, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა ადგილობრივ მწერალთა შორისო“ („У туземных писателей“) – და მთავარი სამმართველოს უფროსს სთხოვს, რომ ადგილობრივ და აღმოსავლურ ენათა მცოდნე უმცროსი ცენზორის ადგილზე მიიღონ სრულიად სანდო („вполне благонадежный“) პიროვნება, „კოლეჟსკი სოვეტნიკი“ ბაქრაძე, რომელიც ამ სპეციალობის მქონე ცენზორს დახმარებას გაუწევს. აღნიშნულია, რომ ბაქრაძე კაიტმაზოვს (ხსენებული ცენზორის მიწვევით) არაერთხელ მიხმარებია მუშაობაში და რომ იგი ქართული ენის ცენზორის მოვალეობას ასრულებდა ხოლმე. წერილის ავტორი დასძენს, რომ ბაქრაძეს განათლება სასულიერო აკადემიაში აქვს მიღებული და იგი აქ ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ მწერლად არის მიჩნეული და დიდი ავტორიტეტითა და

პატივისცემით სარგებლობს მათ შორის („он считается здесь одним из лучших грузинских писателей и пользуется между ними большим авторитетом и уважением“). როგორც მთავარი სამმართველოს უფროსი წერს: „ბაქრაძემ განმიცხადა, რომ მზად არის, თავისი თავისუფალი დრო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ქართულ ენაზე არსებული თხზულებების ცენზურირებას მოახმაროს, მით უმეტეს, რომ ეს მისგან დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს, რამდენადაც თავისთვისაც კითხულობს ყველაფერს, რაც ამ ენაზე იწერებაო; გამომდინარე აქედან, ვშუამდგომლობ, რომ „კოლეჟსკი სოვეტკინკმა“, ბატონმა ბაქრაძემ ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე არსებული გამოცემების ცენზურირებაში დახმარება გასწიოსო“ (480-1-160).

კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ცხადია, *მხოლოდ ამკრძალავი დაწესებულება არ არის*, – იგი *გამოცემების ნებადამრთველიც გახლავთ* და ცენზორებს და, მით უმეტეს, მის ხელმძღვანელს ამ წლებში დიდი ეროვნული საქმის ფრთხილად კეთების საშუალება ეძლევათ, რაც საკმაოდ დიდ რისკთანაც არის დაკავშირებული, რადგან, მიუხედავად ვორონცოვისდროინდელი შედარებითი „დათბობის“ პოლიტიკისა, როგორც ითქვა, ზედმეტის კეთების უფლებას არ იძლევიან.

ამ საბუთებში საინტერესო ისტორია იკვეთება და ქართველ პატრიოტთა განსაკუთრებული მოღვაწეობის კვალიც ჩნდება. 70-იანი წლების დიდძალი საბუთების გაცნობისას არ არსებობს არცერთი ცნობა, რომლიდანაც დავინახავთ, რომ ცნობილ ქართველ ისტორიკოსს – დ. ბაქრაძეს უარყოფითი შეფასება დაეწეროს რაიმე ეროვნული მასალის შესახებ*;* სამაგიეროდ გვხვდება ვრცელი სიები დასაბეჭდად მიზანშეწონილი წიგნებისა, რომელთა შორის, ცხადია, ძალიან ბევრია ისეთი, რომელიც საქართველოს ეხება და გასაგებია, რომ *ამ ნაშრომებზე დაბეჭდვის ნებართვას უმეტესწილად დ. ბაქრაძე აწერდა ხელს* (რადგან ეს იყო მისი პირდაპირი მოვალეობა). ცენზორთა გვარები, როგორც ამა თუ იმ წერილის დადებითად შემფასებლისა, უმეტეს შემთხვევაში არ ჩანს, დ. ბაქრაძის, როგორც კონკრეტული წიგნის მიმართ დადებითად განწყობილი ცენზორის გვარი, ჯერჯერობით შეგვხვდა მხოლოდ ერთხელ, – 1876 წელს მისთვის საცენზუროდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები გადაუციათ და მას გაუცია დაბეჭდვის ნება (480-1-265); ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის 1876 წელს გამოცემული კრებული; არაა შეუძლებელი, რომ გახმაურებული სახელის მქონე პოეტის შემოქმედების მთლიანად წარმოჩენის წინ მისი შემოქმედების ცენზურირება სადღაც მაინც საჭიროდ მიუჩნევიათ და დიმიტრი ბაქრაძემ წარმატებით გაართვა ამ საქმეს თავი (ბარათაშვილის შემოქმედებაში, ამ მხრივ, შესაძლოა, „ბედი ქართლისა“ იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის საკითხებს ეხება ეს პოემა); საერთოდ, *ეროვნულ საქმიანობაში დიმიტრი ფურცელაძის განსაკუთრებული როლი იკვეთება როგორც დიმიტრი ბაქრაძის ხელშემწყობისა .* დ. ფურცელაძე ასევე ისტორიკოსია და ჩვენ წინაშე ვლინდება პიროვნება, რომელიც ცდილობს, საქართველოს ისტორიის შესწავლასა და ქართული მწერლობის აღორძინე-

ბას ხელი შეეწყოს და ისეთი ადამიანები მიიზიდოს ცენზურირების საქმეში, რომლებიც ასეთი ფასეული წიგნების გამოცემის საქმეში გვერდით დაუდგებიან და მათი დამსახურება სათანადო დაფასებას საჭიროებას. ვფიქრობ, *კავკასიის საცენზურო კომიტეტში დიმიტრი ფურცელაძის და სხვა ადამიანების გავლენით 70-იან წლებში მოქმედებას იწყებს ქართული კულტურის აღორძინებისათვის ხელშემწყობი პატრიოტული ჯგუფი* და, მიუხედავად იმისა, რომ იქნებ ზოგი არც იწონებდა საცენზურო კომიტეტში დ. ბაქრაძის და შემდგომ სხვა ეროვნულ მოღვაწეთა მუშაობის ფაქტს, ამგვარ მოღვაწეებსაც უნდა ვუმადლოდეთ, რომ ისტორიოგრაფიამ და მწერლობამ მე-19 საუკუნეში ამგვარ სიმაღლეებს მიაღწია, – *მათი ხელმოწერით იბეჭდებოდა ქართული პატრიოტული წიგნები, სხვაგვარად ისინი დღის სინათლეს ვერ იხილავდა.* ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: დ. ბაქრაძეს დიდი თანამდებობა არ უკავია (ჯერ უმცროსი ცენზორია, შემდეგ უფროს ცენზორად გადაჰყავთ), მიუხედავად ამისა, „ჩინებულ-გულმოდგინე სამსახურისთვის“ („за отлично-усердную службу“) 1876 წელს მას 300 რუბლით აჯილდოებენ; ჯერ მისი ბიოგრაფიული ცნობებია ჩამოწერილი, შემდეგ კი კომიტეტიდან მთავარ სამმართველოში სწერენ, რომ დიმიტრი ბაქრაძემ (რატომღაც მოხსენიებულია ოდნავ არქაიზებული ფორმით როგორც Дмитрий Бакрадзе, Сын Захарьева) არაოფიციალურ ცენზორად მუშაობა 1871 წელს დაიწყო და შემდეგ კი გვხვდება ბრძანება, რომლის თანახმად, ხელმწიფე იმპერატორი მას 1876 წლის 20 დეკემბერს დიდი „კნიაზის“, კავკასიის მთავარმართებლის შუამდგომლობითა და კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოწმობით სხვასთან ერთად აჯილდოებს დ. ბაქრაძეს (480-1-281). ცხადი ხდება, რომ რიგითი ცენზორის ასეთი მაღალი რანგის დაჯილდოებაში უშუალოდ დიმიტრი ფურცელაძის ხელი ურევია, მისი შუამდგომლობაა აქ მთავარი (პირდაპირ, სრულიად გარკვევით წერია ჯილდოს მიცემის შესახებ კომიტეტის თანხმობის შესახებ), რადგან მეფისნაცვალი კომიტეტის თავმჯდომარის გარეშე არ გაწევდა ასეთ შუამდგომლობას მისთვის იქნებ სრულიად უცნობი და უმნიშვნელო თანამდებობის მქონე პირის მიმართ. 1871 წელს მუშაობაზე იმიტომ ჩანს ყურადღება გამახვილებული, რომ პირადად დ. ფურცელაძის პროტეჟედ არ იქნას დ. ბაქრაძე მიჩნეული და გადაწყვეტილების სამართლიანობაში ეჭვი არავინ შეიტანოს. ცხადია, 300 რუბლი ამ შემთხვევაში ბევრს არაფერს ნიშნავს, – მთავარია, რომ ნდობა ძალიან უძლიერდება დ. ბაქრაძეს და მხოლოდ ეროვნულ საქმეს რომ აკეთებს და სხვაგვარი ქმედება რომ არ ჩანს საქმეებში, *ეს დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია.* ჩანს, *დ. ფურცელაძის ხელშეწყობით* ეროვნულ საქმეთა საკეთებლად რომელიღაც ჯგუფი იწყებს საცენზურო კომიტეტში მოქმედებას; თუ შეიძლება ასე ითქვას, შეპარებულები არიან ისინი კომიტეტში, საკმაოდ სარისკო საქმეს აკეთებენ და მათი ამ ღვაწლის დავიწყება არაფრით არ შეიძლება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დ. ბაქრაძეს დიდი შრომა მოუწევდა იმის-

თვის, რომ ესა თუ ის მასალა „გაეპარებინა“ დასაბეჭდად და ზოგჯერ, შესაძლოა, ავტორისეული სათქმელის შეფარვის მიზნით რაიმეს შეცვლა მოეთხოვა მისგან...

თუმც, ცხადია, ყველა პრობლემის გადამწყვეტად არ გვევლინება ეს ჯგუფი; რევოლუციური იდეების მიმართ მისი დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია. მაგ., ხსენებული პერიოდის კავკასიის საცენზურო კომიტეტში არიან თანამშრომლები, რომლებიც ძალზე უნდობლად უყურებენ ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძეს და გამოცემებს, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული.

1875 წლის 9 სექტემბერს ნ. ნიკოლაძეს კომიტეტისგან მოუთხოვია, რომ 1877 წლის პირველი იანვრიდან გამოეცა კრებული „Капризы Пера“; როგორც კომიტეტის საბუთშია აღნიშნული, ნიკოლაძეს ჰქონია სურვილი, კვირაში ერთხელ გამოსულიყო ეს კრებული, რომლის ფასი 20 კაპიკი იქნებოდა (წელიწადში – 4-დან 6 რუბლამდე) და ჩანცევის ტიპოგრაფიაში დაიბეჭდებოდა; იქვე აღნიშნულია, რომ ნიკოლაძე ითხოვს, ნება მიეცეს, კრებულში მხოლოდ საკუთარი ნაშრომები მოათავსოს და წერია, რომ 1870 წელს მან უკვე გამოთქვა სურვილი, გამოეცა პერიოდიკა „Обзор“. ნ. ნიკოლაძის თხოვნასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში კომიტეტიდან გაგზავნილია თავმჯდომარის შეტყობინება იმის შესახებ, რომ 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ნიკოლაძე პეტერბურგის არეულობაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მისდამი მოწყალება მაინც იქნა გამოცხადებული და 1864 წელს საზღვარგარეთ წასვლის ნება მიეცა; აღნიშნულია, რომ იგი ჟენევაში რუს ემიგრანტებთან (განსაკუთრებით ელპიდინთან) სხვადასხვა „ჭუჭყიანი“ („грязных“) პოლიტიკური ბროშურებითა და შემდეგ კი რევოლუციური ხასიათის მქონე ფურცლებით („листов“) იყო დაკავებული, რომ ჟენევაში ფსევდონიმით Никифор Г ანტისამთავრობო ბროშურა – „Правительство и молодое поколение“ – გამოსცა და, აქედან გამომდინარე, დიდმა თავადმა, მეფისნაცვალმა, შეუძლებლად მიიჩნია, რაიმე სახის გამომცემლურ საქმიანობასთან მისი დაშვება და ამასთან მთავარი სამმართველოს უფროსმა მოითხოვა, რომ კომიტეტმა ფხიზლად ადევნოს თვალი ნიკოლაძეს, რათა მან რაიმე სახის უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ლიტერატურულ ჟურნალებსა და გაზეთებზე; ბოლოს წერია, რომ ახალი აკრძალვის შემთხვევაში იგი წამებული გმირის მანტიაში გაეხვევა („Новый отказ придал бы ему несвойственное значение опасного героя-страдальца“), მას უნდა, რომ სახელი შეუცვალოს გამოცემას (რომელიც ადრე უკვე აეკრძალა) და ძველი საქმეები განაგრძოს, ამიტომ, თუ დიდი თავადი მეფისნაცვალი ნებას დართავს, შეიძლება მივცეთ უფლება, რომ გამოსცეს კრებული, რომელიც საცენზურო მოთხოვნებს დამორჩილებული იქნება და სახელად „Капризы Пера“ კი არა, არამედ „Наблюдатель“ დაერქმევაო; ბოლოში, ამჯერად უკვე 1876 წლით დათარიღებულ უწყებაში (დიდხანს ულოდინებიათ ნიკო ნიკოლაძე, სანამ ოფიციალურ პასუხს გასცემდნენ), რომელიც მთავარი სამმართველოდან არის

კომიტეტში გაგზავნილი, ვკითხულობთ, რომ „მისმა ბრწყინვალებამ“ (ე. ი. მეფის-ნაცვალმა) ნიკოლაძის თხოვნის დაკმაყოფილება „არ ინება“ (480-1-232).

კომიტეტისათვის ცნობილია, რომ ნიკოლაძე აქტიურად თანამშრომლობდა ციურიხში ქართველ სტუდენტთა მიერ დაარსებულ საზოგადოება „უღელთან“. 1873 წელს ტფილისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსი (წერილს ხელს ჟანდარმერიის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ს. ესაძე აწერს) საცენზურო კომიტეტს, პირადად „ალეკსანდრ პეტროვიჩს“ ატყობინებს, რომ ნიკოლაძემ სცადა, ციურიხიდან შემოეტანა 47 დასახელების აკრძალული წიგნი და ბროშურა, აგრეთვე საზოგადოება „უღელის“ („Ярмо“) მიერ 1873 წლის 12 მარტს გამართული სხდომის ქართულენოვანი ოქმები და ითხოვს, ამ ოქმების ასლები რუსულ თარგმანთან ერთად ჟანდარმერიაში გაუგზავნონ; ჟანდარმერიის წარმომადგენლის აღნიშვნით, „მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ“ ყოფილ სტუდენტ ნიკოლაძეს ციურიხიდან შემოუტანია ლითოგრაფიული დანადგარი და ხსენებული წარმომადგენელი ითხოვს აცნობონ, კონკრეტულად რისთვის გამოიყენება ეს დანადგარი (480-1-142).

მასალებიდან ვხედავთ, რომ ნიკო ნიკოლაძე მაინც არ ნებდება და ხალხისათვის რევოლუციური იდეების მიწოდების სხვადასხვა გზას ეძებს. საარქივო ფონდის (480- 1-300) საქმეში ვკითხულობთ, რომ ცნობილ ქართველ ეროვნულ მოღვაწე არისტო ქუთათელაძეს[1] 1877 წელს საცენზურო კომიტეტისათვის უთხოვია ნებართვა, გამოეცა კრებული სახელით „Физиономия войны“, – მასში მხოლოდ ერთი ავტორის სტატიები იქნება დაბეჭდილი და, თუ ამისი საჭიროება იარსებებს, ავტორის ვინაობასაც შეგატყობინებთო; საბუთებიდან ჩანს, მისთვის სტატიების ავტორის ვინაობის დასახელება მოუთხოვიათ და ქუთათელაძესაც განუცხადებია, რომ ავტორი ნ. ნიკოლაძეა. ის არწმუნებს კომიტეტს, რომ გაუგებრობა აღარ მოხდება და ნიკოლაძის სტატიები საცენზურო კომიტეტის ან მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ ჯერ კიდევ მათი კორექტირებისას იქნება განხილული; აგრეთვე პირობას დებს, რომ მომავალში მისი (ნ. ნიკოლაძის), როგორც ავტორის, გვარის მოხსენიება არ დაავიწყდება. კრებულის სათაური „Физиономия войны“ /„ომის ფიზიონომია“ (ისევე, როგორც „Капризы Пера“ / „კალმის ახირებანი“) ნ. ნიკოლაძის მოფიქრებულს ჰგავს.

ნ. ნიკოლაძის შესახებ არქივში იძებნება ამ პერიოდის სხვა ვრცელი მასალებიც. საქაღალდეში 480-1-232 დაცულია კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ნიკოლაძის შესახებ დაწერილი წერილი, რომელშიც *თითქოსდა სასხვათაშორისოდ* იმაზეცაა მსჯელობა, რომ შესასწავლია, რამდენად ახდენს მოსახლეობაზე ლიტერატურული სახის გაზეთები ზეგავლენას. ჩანს, გასაგები

[1] არისტო ქუთათელაძე – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი გორის, შემდეგ – ხონის სემინარიებში, ტფილისის სასწავლო ინსტიტუტის თანამშრომელი; ავტორი ნაშრომებისა: „პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა“, „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“, „სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის“, „საზოგადო გეოგრაფია“, „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან“, „არხეოლოგიური მოგზაურობა“, „სოფელი მარტყოფი და ხელთუქმნელი ღვთაების ისტორია“ და სხვ.

ხდება, რომ თანდათან საშიშ ფორმებს იღებს მხატვრულ ლიტერატურაში გამოთქმული იდეები, შიშობენ, რომ მასში სახელმწიფოსათვის საშიში რევოლუციური აზრებიც გაიპარება, კავკასიის საცენზურო კომიტეტს კი რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადამიანების მიმართ განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა ევალება.

ამრიგად, 70-იან წლებში ბიუროკრატია ძალიან ძლიერია საცენზურო კომიტეტში. საბაჟოებიდან შესული თუ ადგილობრივი პერიოდიკისა და იმგვარი წიგნების გაცნობა ევალებათ, რომლებიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ არიან პიროვნებები, რომელთაც ნდობით არ ეკიდებიან და მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული.

ასევე ყურადღებას იმსახურებს არქივში დაცული საბუთები იმის თაობაზე, რომ სომხურ გაზეთებში – „Мшак“ („Работник“), „Надз“ („Опыт“), „Арарат“ – გადაჭარბებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ვაჭრობაში სომხური მოსახლეობის როლს, რომ ეს ყველაზე მეტად ამ გაზეთებისთვისაა დამახასიათებელი; მთავარ დამნაშავედ კი ამ საქმეში „ტიფლისკი ვესტნიკია“ გამოყვანილი, მასთან ერთად კრიტიკულად არის განხილული გაზეთი „კავკაზი“. წერილში ვკითხულობთ, რომ „ტიფლისკი ვესტნიკმა“ „კავკაზზე“ მეტ წარმატებასაც კი მიაღწია და ეს მაშინ, როცა მას არც მეწინავე სტატიები აქვს, არც ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკა და არც მთავარ საკითხებს ეხება (იგულისხმება ოფიციალური პოლიტიკური ხასიათის წერილები); „ტიფლისკი ვესტნიკი“ სკანდალურ წერილებს იბეჭდავს სხვა გაზეთებიდან, არ შეუძლია, რომ ამ მხარეში რუსული სიტყვა და რუსული აზრი წამოსწიოს წინ; წერია, რომ იგი ფაქტიურად ცარიელი ფურცელია, მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და დადანაშაულებულ სომხური ინფორმაციის გავრცელებასა და მისი სხვა გაზეთებისათვის მიწოდებაში. შემდეგ მოყვანილია მაგალითი, – მაშინ, როცა რუსეთის საზოგადოებრივი ყურადღება აღმოსავლეთის საკითხებმა მიიპყრო, სომხურ ლიტერატურაში მხოლოდ იმგვარი სახით ჰპოვა ამ საკითხებმა გამოხმაურება, რომ თურქეთის სომხეთზე დაბეჭდეს სტატიებიო; ტფილისურმა რუსულმა გაზეთებმა კი ასეთ დროს იმაზე მეტი ვერაფერი დაინახეს აღსანიშნავი, რომ ალექსანდროვის ბაღში სლავიანთა სარგებლობისათვის სეირნობა გაიმართა და მაზრიდან შემოწირულობები გამოიგზავნაო. ბოლოს არის დასკვნა, რომლიდანაც ზუსტად ვერ ირკვევა, ითხოვს, თუ არა თავმჯდომარე (ხსენებული წერილის ავტორი) ამ გაზეთის დახურვას და ახლის დაარსებას, მაგრამ წინადადება ისეა დაწერილი, რომ, გასაგები იყოს, – თუ განახლება არ მოხდა გაზეთისა, მის დახურვას წინ არაფერი დაუდგება. წერილში ვკითხულობთ, რომ „ყველა ამ მდგომარეობის შეჯამებას საცენზურო კომიტეტი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ რუსულ ენაზე ახალი პერიოდული გამოცემა არის საჭირო“.

„ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორი ბებუთოვი (გაზეთის ადმინისტრატორი დ. ერისტოვია; ტიპოგრაფია – ჩანცევისა), იძლევა ახსნა-განმარტებას იმის შესახებ,

თუ როგორ მოხდა, რომ 1876 წლის 144-ე ნომერში ცენზურის გარეშე დაიბეჭდა მასალები და აქვე საუბარია იმის თაობაზე, რომ მომავალში გაშუქდება მხარის ლიტერატურულ-პოლიტიკური ცხოვრება (480-1-236). ეს არის გამოპასუხება კომიტეტის თავმჯდომარის კრიტიკაზე.

წარმოდგენილი საქმიდან ჩანს, რომ თავმჯდომარე გონიერი პოლიტიკოსი და დიპლომატია, იგი იმ გარემოებაზე აკეთებს ძირითად აქცენტს, რომ რუსულ პოლიტიკას კარგად არ აშუქებს „ტიფლისკი ვესტნიკი“ და ამით ხელს უწყობს იმგვარი ტენდენციის გაძლიერებას, რომ სხვა გამოცემებმაც მხოლოდ ერთი ეროვნების მოსახლეობის სავაჭრო თუ სხვა სახის საქმიანობაზე გაამახვილონ ძირითადი ყურადღება და საქართველოს ცხოვრებაში მხოლოდ არასერიოზული საქმიანობის შესახებ წერონ, როგორიცაა, მაგალითად, ალექსანდროვის ბაღში სეირნობა. კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე იქვე სლავიანთა სარგებლობას ახსენებს, რაც კარგად მეტყველებს მის პიროვნებაზე (ცხადია, დიმიტრი ფურცელაძეზეა საუბარი) და იმდროინდელი სახელმწიფო იდეოლოგიის თავისებურებებზეც იძლევა მსჯელობის ძალზე ფართო კონტექსტში განვრცობის საშუალებას.

„ტიფლისკი ვესტნიკის“ საქმეებში უშუალოდ მეფისნაცვალია ჩართული. საქაღალდე 480-1-240-ში დაცულია 1876 წელს კომიტეტის თავმჯდომარესთან გაგზავნილი ანგარიში იმის თაობაზე, რომ შეჩერდა იმ ყველაფრის ბეჭდვა, რაც მეფისნაცვალმა აკრძალა; იქვე, როგორც ჩანს, იმისათვის, რომ პრესაში განხორციელებულმა ცვლილებებმა განსაკუთრებული რეზონანსი არ შეიძინოს, აქცენტი კონკრეტულ წერილებზეა გადატანილი. შემდეგ ვხედავთ, რომ შეტევა ამ გაზეთზე ისევ გრძელდება. კომიტეტში მოუწვევიათ კრება, რომლზეც აღუნიშნავთ, რომ „ტიფლისკი ვესტნიკი“ კორექტირებულ მასალას გვიან აგზავნის კომიტეტში და წინადადება მიუციათ მისთვის, რომ დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდე მოასწროს მასალის გაგზავნა (480-1-251); გაზეთს შეურაცხყოფისათვის უჩივის რომელიღაც „ნადზორნი სოვეტნიკი“ და ერთ-ერთი გიმნაზიის დირექტორიც (480-1-252); გუბერნატორი კი უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ხსენებულ გაზეთში ცენზურის გარეშე იბეჭდება მასალები (480-1-253).

1876 წელს მეფისნაცვალს კომიტეტიდან ატყობინებენ, რომ „ტიფლისკი ვესტნიკმა“ შეცვალა სარედაქციო პოლიტიკა, რომ იგი ხსენებული წლის პირველი იანვრიდან ყოველდღიურად გამოდის, (საქაღალდეში – 480-1-201 – დაცულია ბებუთოვის თხოვნა გაზეთის გამოცემის ნებართვაზე და თავად ნებართვა); აქვე წერია, რომ გაზეთი გადავიდა „კალმის ამხანაგობის“ („Товарищество по пере“) ერისტოვისა და „К-о“-ს მფლობელობაში და, გამომდინარე აქედან, კანონის შესაბამისად, ღირებულების გაზრდის უფლებაც მიეცა; მთელმა რედაქციამ ისურვა ცვლილება, – ამიერიდან გააშუქოს ყველა მოვლენა; ძველი შეცდომები ფულადი პრობლემებით ახსნა; დადო პირობა, რომ გამონახავს საკუთარ გზას, ასახავს კანონებში მომხდარ ცვლილებებს, ოფიციალურ ბრძანებებს, კავკასიის ყოფით ამბებს, ცნობებს ვაჭრობის შესახებ; აქვე ნათქვამია, რომ *გააშუქებს ისტორიას, რომელიც მოგონე-*

გებში და არქივებშია შემონახული, რუსულ ქრონიკებს, რუსული განათლების საკითხებს, უცხოურ ამბებს, დაბეჭდავს ფელეტონებსაც. საქმეში დევს მითითებები – რუსეთიდან „დიმიტრი პეტროვიჩის“ (ფურცელაძის) სახელზე გამოგზავნილი; როგორც ჩანს, ამ და სხვა მითითებათა საფუძველზე კომიტეტში თვითონვე შეუდგენიათ სახელმძღვანელო გეგმა, რომლის თანახმად, გაზეთმა მიმდინარე ყოველდღიური მოვლენები, კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები უნდა განიხილოს, წერია, რომ უნდა შეეხოს *ეთნოგრაფიას, კულტურას,* ეკონომიკას, *კავკასიის ისტორიას,* ამასთან დაკავშირებით *დაბეჭდოს არქივებიდან ამონაწერები, ხანში შესულთა მოგონებები,* აქვე აღნიშნულია, რომ საჭიროა რუსეთში მიმდინარე მოვლენები გააშუქოს, რუსული და უცხოური პრესიდან პოლიტიკური ცნობები გადაბეჭდოს და სხვა; შემორჩენილია კომიტეტში დაწერილი ის სახელმძღვნელო ხელნაწერი, რომელიც შემდგომში ალბათ დაზუსტდა; ფურცელი გადასათეთრებელია, რამდენიმე ადგილას წითელი ფანქრით არის გადახაზული; (480-1-258); *შესწორება კომიტეტის მაღალი თანამდებობის პირის მიერ უნდა იყოს გაკეთებული (საფიქრებელია, რომ დიმიტრი ფურცელაძეა ეს პიროვნება).* აქვე უნდა ითქვას, რომ 1876 წელს უკვე გამკაცრებულია ბეჭდვით სიტყვასთან დამოკიდებულება. მაგ., 1877 წელს ფოთის საბაჟოდან იწერებიან, რომ შეასრულებენ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 3 მაისს გაცემულ განკარგულებას და შიდა მიმოწერის ასლებს საცენზურო კომიტეტს გადაუგზავნიან (480-1-299);

საერთოდ, კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სახელმწიფოში ბეჭდვითი საქმის მიმართ განსაკუთრებული გამკაცრება 1875 წლიდან იწყება, რაც, ცხადია, იმ ზემოხსენებულ რეფორმასთანაც არის კავშირში, რომლის დროსაც (1874 წ.) გაფართოვდა კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობა და მისი საშტატო შემდგენლობა გაიზარდა.

გამკაცრებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია 480-1-298 საქაღალდეში დაცული ცნობები (მათი ნაწილი დაკარგულია), – კავკასიის საცენზურო კომიტეტს „სამხედრო ცენზურიდან“ („Военная Цензура“) 1879 წლის 6, ასევე 15 ივნისს, ატყობინებენ, რომ გაზეთებში სამხედრო ცენზურის გვერდის ავლით არ უნდა დაიბეჭდოს ისეთი სტატიები, ტელეგრამები, რომლებიც სამხედრო საკითხებს ეხება. გაზეთებს მხოლოდ იმ გამოცემიდან ეძლევათ მასალის გადაბეჭდვის უფლება, რომელსაც „სამხედრო ცენზურისაგან“ აქვს ნებართვა მიღებული; 1880 წლის 8 ივლისს გუბერნიის უფროსთან შინაგან საქმეთა სამინისტროს ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველოდან გამოგზავნილია კონფიდენციალური წერილი (წერილს აწერია „Конфиденцияльно“), რომელშიც გუბერნატორს აფრთხილებენ, რომ არ დაიბეჭდოს სტატიები, რომლებიდანაც გამოჩნდება, რომ ჩინეთის საზღვრებთან, ამურის-პირეთში, მდებარე დამცავი ძალები სუსტია... ამ საბუთების ნაწილი, როგორც ითქვა, არ არის შემონახული, რაც, შესაძლოა, შემთხვევითი არც იყოს...

წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, კავკასიის საცენზურო კომიტეტის მუშაობის თავისებურებათა შესახებ შემოვიფარგლებით მოკლე დასკვნებით:

დასაწყისში კომიტეტის მუშაობა განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩევა, რაც იმ ფაქტით უნდა იყოს გამოწვეული, რომ სამოქმედო გეგმები ჯერაც არ არის ბოლომდე დახვეწილი; ამ პერიოდში უფრო აქტიურობენ გარედან, რითაც საბაჟოები სხვებზე მეტად გამოირჩევიან; კომიტეტში ძლიერია ბიუროკრატია; კავკასიის ცალკეულ ეროვნებებთან მუშაობა 70-იან წლებში, ჩანს, ჯერაც დამუშავების პროცესშია, საქართველოში ამ მხრივ შედარებითი დათბობის პერიოდი დგას, დაშვებულია ეროვნული ისტორიის, ეთნოგრაფიის შესწავლა, რითაც სარგებლობენ ადგილობრივი ეროვნული ძალები და ქართული კულტურის აღორძინებისათვის იწყებენ ზრუნვას; 70-იან წლებში ამ მიმართებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიმიტრი ფურცელაძის, დიმიტრი ბაქრაძისა და სხვათა მოღვაწეობა, რომელთა შორის მყოფთა არაერთი სახელი ალბათ ჯერაც გამოსავლენია. საცენზურო კომიტეტი განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენს რევოლუციურად განწყობილ პირთა მიმართ. XIX ს-ის 70-იანი წლების შუალედიდან საცენზურო მუშაობა შედარებით მკაცრდება. ეს სიმკაცრე შემდგომში განსაკუთრებით სიძლიერეს მიაღწევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

აქტები 1878: Акты Собранные Кавказского Авхеографической Комиссией, т. VII (б) , под редакцией А. Берже, Тифлис, 1878.

ვერნადსკი 2006: Вернадский, Г. "Считаю себя украинцем и русским одновременно" (Ab Imperio, 2006, №4)

მაკუშინი 2010: Макушин Л. Закон о печати 6 апреля 1865 г. // Известия Уральского государственного университета. 2010. № 1 (71);

პეტრუშევა 1990: Патрушева Н. Учреждение Главного управления по делам печати (1865 г.) и начало его деятельности, Книжное дело в России во второй половине XIX – начале XX в. Вып. 4. Л., 1989.

როზენბერგი, იაკუშინი 1905: Розенберг В. Якушкин В. Е. Русская печать и цензура в прошлом и настоящем. М., 1905.

საქართველოს ეროვნული არქივის მასალები, ფონდი 480 (1848-1918 წწ.).

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 2016: დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით)“, წიგნი II, თბილისი: „მერიდიანი “, 2016.

ფირსოვი 2000: Фирсов В. Государственное законодательное регулирование деятельности библиотек. Глава 2. СПб., 2000;

ჩერნუხა 1988: Чернуха В. Правительственная политика в отношении печати, 60-е –70-е годы XIX века. Л., 1988.

თამარ ციციშვილი
Tamar Tsitsishvili

ზოგიერთი საკითხი რუსეთის იმპერიულიცენზურის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში
(I ნაწილი)

Some Issues from the History of Russian Imperial Censorship in XIX Century Georgia
(Part I)

Annotation

Studying the activities of the Caucasian Censorship Committee in 19th century Georgia allows us to objectively assess the culture control management system in the country conquered by the Russian Empire. The goal of the colonial oppression of the Russian Empire was to suppress the Georgian consciousness and "national opinion". It was officially forbidden to mention the name of Georgia in public since the 80s. In 1885, the Caucasian Censorship Committee made an amendment to Iakob Gogebashvili's "Bunebis Kari" by writing "Tbilisi and Kutaisi Governorates" everywhere instead of Georgia. It was unacceptable for the imperial censorship to write about the existing negative situation and unbearable conditions related to the teaching of the Georgian language in educational institutions. Many examples can be given when in different parts of Georgia, by the decree of the synod and exarchs, the teaching of the Georgian language was completely prohibited and these hours were devoted to Russian language lessons. For example, according to the decree of Yanovsky, according to the circular issued in 1885, teaching in the Russian language from the elementary grades in all types of schools became mandatory. The Georgian language was banished and considered an optional subject. "Teaching the mother tongue has officially been declared a family affair." This method of teaching was called the "mute teaching" method, which mutilated the mind and soul of Georgians, stifled thought and language. The empire insisted in every possible way that in the villages of Samegrelo, Ajara and Svaneti, instead of Georgian, education would be in Megrelian and Svani languages. Magrelians and Svans were declared as separate nationalities. The Russian Empire tried not only to "create" an alphabet for the Megrelian based on the Russian language, but also to make liturgy and scriptures in the Megrelian language. The Muslim Georgians who returned to their native Georgia after the collapse of the empire were called Turks. According to the decree of the Minister of Education of the Empire,

Dulyanov, Georgians allegedly "observed in separatism" had to leave the educational system. The special aggressiveness of the imperial censorship in Georgia regarding the Georgian language is understandable, because if Georgians would forget their native language and history, the empire would easily achieve its goal, the Georgian nation would gradually lose its identity and become old. The report talks about the activities of the censorship committee related to the suppression of the Georgian language and the materials banned by them, which will help us evaluate the mechanisms of Russian imperial censorship management and manipulation in Ceorgia.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, იმპერიული ცენზურა, განათლება, რელიგია

Key words: Caucasus Censorship Committee, Imperial censorship, education, religion

XIX საუკუნის რუსეთის იმპერიაში დგება დრო, როდესაც თვითმყრობელობამ მწვავედ იგრძნო ცენზურის სპეციალური ინსტიტუტის არსებობის საჭიროება. ამ ვითარების გამომწვევი მიზეზი იყო, რომ გაიზარდა არა მარტო ინფორმაციის მოცულობა, არამედ მნიშვნელოვნად მოიმატა ინფორმაციის მომხმარებელი აუდიტორიის რაოდენობამაც. ცენზურა იმპერიული ძალაუფლებისათვის ერთგვარ ფილტრაციის ორგანოდ ყალიბდება, რომელიც სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს. ის ხდება ბარიერი მისთვის „უცხო დესტრუქციული“ ძალებისათვის. იმპერიის მკაცრ დამპყრობლურ პოლიტიკის „წარმატებით“ გატარებაში ცენზურა პოლიციასა და ჟანდარმერიას გვერდით უდგას. ცენზურის გარეშე იმპერიული სახელმწიფოს ფუნქციონირება უკვე შეუძლებელია. ის ცარიზმისათვის იმპერიაში ოპოზიციის მართვის სადამსჯელო ინსტიტუტად იქცა. ცენზურას მკაცრი კონტროლი უნდა დაეწესებინა სოციო-პოლიტიკურ და ნაციონალურ-კულტურული სივრცისათვის. როგორც მეცნიერები ფიქრობენ, სამთავრობო აპარატის სტრუქტურაში მსგავსი მნიშვნელოვანი მარეგულირებელი და სადამსჯელო ინსტრუმენტის არსებობა საშუალებას გვაძლევს ცენზურა კულტურულ და ისტორიულ მოვლენად მივიჩნიოთ. თანდათან ხდება ცენზურის ინსტიტუციონალიზაცია. XIX საუკუნიდან რუსეთის მთავრობასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ისტორიაში თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება, კერძოდ, ცენზურა იურიდიულ და პროფესიულ ხასიათს იძენს. მისი ფუნქციები თანდათან ფართოვდება და პოლიტიკური სიტუაციებიდან გამომდინარე მოიცავს – კონტროლის

რეგულირებას, მისთვის არასასურველი ინფორმაციის მკაცრ დაცვას, მიუღებელი აზრებისა და ცნობების გავრცელების აკრძალვას, სანქციების გამოყენებასა და რეპრესიებს. ცენზურის მოვალეობაა მკაცრად გააკონტროლოს ტექსტი, ქვეტექსტი, სიმბოლო, ფარული მინიშნება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც იმპერიული მთავრობა საფრთხის შემცველად ჩათვლიდა. ცენზურის კვლევის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ცენზურის ამოცანები შეიძლება ხასიათდებოდეს „შეინახე და კვლავ შეინახეს“ პრინციპით. როგორც ცნობილია, ცენზურა იყო წინასწარი და შემდგომი. წინასწარი ცენზურა, შინაარსიდან გამომდინარე, თავიდანვე ამოწმებდა და კრძალავდა საცენზურო კომიტეტში შემავალ ნებისმიერ მასალას, ან ნებართვას იძლეოდა მათ დაშვებაზე. შემდგომი ცენზურა კი, თუ ადგილი ექნებოდა რაიმე სახის მასალის „გაპარვას“, სანქციებსა და შემზღუდავ ღონისძიებებს აწესებდა. ლიტერატურა და პერიოდული პრესა განსაკუთრებულ ცენზურას ემორჩილებოდა. მეფის რუსეთის ხელისუფლებამ კარგად გააცნობიერა საზოგადოებრივ აზრზე პრესის „ძალაუფლების“ და გავლენის უნიკალური მნიშვნელობა, რადგან პრესას მკითხველების დიდი წრე ჰყავდა, ამიტომ, ბუნებრივია, საზოგადოებრივ აზრზე უფრო სწრაფი და ძლიერი გავლენის მოხდენა შეეძლო. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა და თავისუფალი სიტყვა ხშირ შემთხვევაში მთავრობის ოპოზიციურ ინსტიტუტებად ყალიბდებოდა. სწორედ ამიტომ პრესას ეკრძალებოდა ნებისმიერი ცნობის გამოქვეყნება, რომელიც იმპერიაში პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს, გამოსვლებსა თუ ნებისმიერი სახის „მღელვარებას“ აშუქებდა. ამავდროულად მთავრობას უნდა სცოდნოდა, რას ფიქრობს ხალხი. იმპერიულმა ცენზურამ დამრღვევთა (ვისაც ის ჩათვლიდა) დასასჯელად სპეციალური წარმომადგენლობები შექმნა. დარღვევები, მაგალითად კანონისა და ხელისუფლების წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი კომენტარები, მოწოდებები, რომლებიც მიმართული იყო მოსახლეობის სხვადასხვა ფენასა და კლასს შორის მტრობის გაღვივებისაკენ, მთავრობის წარმომადგენლებზე, მაღალ სამხედრო ან სასულიერო პირებზე პატივისა და ღირსების საზიანო ინფორმაციის გამჟღავნება, დაუმორჩილებლობისაკენ მოწოდება ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით, ან დიდი ფულადი ჯარიმებით. რედაქციები და გამომცემლობები, რომლებიც ამგვარ პუბლიკაციებს გამოაქვეყნებდნენ, შეიძლება სულაც დაეხურათ ან შეეჩერებინათ მათი საქმიანობა. ცენზურის უფლება დარჩა – საეკლესიო განყოფილებას, აკადემიებსა და უნივერსიტეტებს, ზოგადად ადმინისტრაციულ, ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებს. 1873 წლიდან იწყება პერიოდული გამოცემების რედაქტორებისათვის თემებისა და „იმ მოვლენების სიების“ გაგზავნა, რომელთა გამოქვეყნება და განხილვა მთავრობამ არასასურველად მიიჩნია. 1882 წლიდან ნებისმიერი არასასურველი ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა სენატს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის და საჯარო განათლების მინისტრებს, სინოდის მთავარ კრებასაც შეეძლო. 1897 წლიდან შეუძლებელი გახდა ხელისუფლების ორგანოების თან-

ხმობის გარეშე გამოსაქვეყნებელი მასალის ერთი გამომცემლობიდან მეორეზე გადაცემა. ცენზურა განსახილველ ტექსტებს ახალ-ახალი მოთხოვნების შესაბამისად განიხილავდა. ცენზორის ნებართვა დამოკიდებული იყო სხვადასხვა ფაქტორზე – თავად ცენზორზე, მის პიროვნებაზე, კომპეტენციაზე. ხანდახან მართლაც შეიძლება ცენზორს რამე გამორჩენოდა, ანდა, იყო შემთხვევებიც, როდესაც მისი მოსყიდვაც ხდებოდა. ცნობილია, რომ ტექსტის დასაბლოკად ცენზორი არარსებულ იმპერატორის ბრძანებასაც იშველიებდა. საცენზურო კომიტეტის შემადგენლობაც არ იყო „ერთგვაროვანი, პერსონალი შედგებოდა როგორც „პროფესიონალი ცენზორებისაგან“, ვინც ჩვეულებრივ ბიუროკრატიულ ფუნქციებს ასრულებდა, ასევე ლიტერატორი და მწერალი ცენზორებისგანაც, რომლებიც მწერლისთვის ყოვლად მიუღებელ და შეუფერებელ ადგილზე მსახურობდნენ. უნდა ითქვას, რომ ყველა დროს იყვნენ მწერლები და მოაზროვნეები, რომელთაც ინტელექტისა და ნიჭის ნაკლებობაში ვერ „დაადანაშაულებდი“, მაგრამ მათ გამართლებულად მიაჩნდათ ცენზურის არსებობა. ყველასათვის ცნობილი იყო მაგალითად მწერალ ივანე გონჩაროვის შემთხვევა. ავტორი „ობლომოვისა“ გარკვეული პერიოდი თავად გახლდათ ცენზორი და სხვის ტექსტებს „ამახინჯებდა“ განსხვავებით რაფიელ ერისთავისაგან, რომელსაც ვუმადლით ყაზბეგის, მამია გურიელის გამოცემებს, სხვა მრავალი ეროვნული ინტერესის დაცვასა და ხელშეწყობას. გავიხსენოთ თუნდაც „ივერიაში“ 1896 წელს დაბეჭდილი ფელეტონი „სურათები მოსწავლეთა ცხოვრებიდან“, რომლის გამოც ილია ჭავჭავაძეს მითითება მიეცა, ხოლო რაფიელ ერისთავს კი საცენზურო კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა. რად ღირს მისი სიტყვები, ალექსანდრე ჯაბადარისათვის ნათქვამი, არ ვიცი ცენზორად რამდენ ხანს ვიმუშავებ და სანამ აქ ვარ, თუ რაიმე გაქვს საეჭვო დასაბეჭდად, სასწრაფოდ მოიტანეთო.

საქართველოში კოლონიურმა ჩაგვრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკიდურეს ზღვარს მიაღწია. 1882 წლიდან ოფიციალურად აიკრძალა საქართველოს სახელის საჯაროდ ხსენება. 1885 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტმა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ შესწორება შეიტანა, საქართველოს ნაცვლად ყველგან „ტბილისისა და ქუთაისის გუბერნიები“ ჩაწერა. გოგებაშვილმა ორგზის შეიტანა საპროტესტო განცხადება საცენზურო კომიტეტში, მაგარამ ამაოდ. იმპერია აიძულებდა ქართველობას ენით, გონებითა და გრძნობით რუსი გამხდარიყო (ციციშვილი 2022). იმპერიული ცენზურა სასტიკად ებრძოდა და სდევნიდა ყოველივე ქართულს – ეკლესიას, მწერლობას, თეატრს, პრესას და ზოგადად ქართულ სიტყვას. საგანმანათლებლო სისტემიდან და საჯარო დაწესებულებებიდან მთლიანად განიდევნა ქართული ენა. რუსეთის იმპერიის კოლონიური ჩაგვრის მიზანი იყო დაეთრგუნა იმპერიაში შემევალი ხალხის ცნობიერება და „ეროვნული აზრი“, მაშინ გაადვილდებოდა ამ ერების რუსიფიკაცია. რუსიფიკაცია გახლდათ ოფიციალური ორგანოების მიერ, ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებე-

ბის ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავდა, როგორც ენობრივი, ისე კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისით, მის ტერტორიაზე მაცხოვრებელი ხალხის რუსიფიკაციის პროცესს. ცარიზმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ეს პროცესი აბსოლუტურად მიზანმიმართული ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული პოლიტიკაა. რუსიფიკაციის პროცესი დაპყრობილ ტერიტორიებზე ერთი სქემით, მაგრამ მაინც განსხვავებულად მიმდინარეობდა და ჰქონდა სხვადასხვა სიღრმისა და ხანგრძლიობის შედეგები. რუსიფიაკაცია იყო ეკონომიური, დემოგრაფიული, საგანმანთლებლო ხასიათის და ა.შ. რუსული ენის, ლიტერატურის და ისტორიის საფუძველზე უნდა აგებულიყო მთლიანი საგანმანათლებლო სისტემა. სამწუხაროდ, ამ კუთხით მცირე ერები უფრო დაუცველები იყვნენ. ბრიტანელი მეცნიერი ჯეფრი ჰოსკინგი შენიშნავდა, რომ რუსიფიკაცია რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ნაწილი იყო, რადგან მან ხელი შეუწყო ძალუფლების ცენტრალიზაციას და ადგილობრივებისათვის „პრივილიგიების აღმოფხვრას“. მეცნიერის გააზრებით, რუსიფიკაციის მიზანი იყო იმპერიაში შემავალი ყველა ხალხისათვის რუსეთის წარსულის, მისი ტრადიციებისადმი კუთვნილების განცდის ჩანერგვა.

საქართველოს საზღვრებში, როგორც კი „უცხო ჯარი“ ჩადგა, რუსეთის იმპერიამ გადაწყვიტა, უძველესი კულტურის ხალხი სხვა ნიადაგზე „აღმოცენებული განათლების სისტემისათვის“ იძულებით დაემორჩილებინა. იმპერიული ცენზურის, როგორც რეპრესიული აპარატის მცდელობას, უმოწყალოდ დაემახინჯებინა ქართული პრესა და მხატვრული ტექსტები, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ქართველმა კლასიკოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა გამოუცხადეს. მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა, ქართველები მაინც ახერხებდნენ „უკიდურესობამდე შევიწროებული“ პრესისა და ეროვნული საზოგადოებების დახმარებით (წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული დრამატული საზოგადოება, სათავადაზნაურო ბანკები) ქართველი ხალხი ეროვნული გადაგვარებისაგან ეხსნათ. ქართველი მწერლები და ჟურნალის რედაქტორები გზა-კვალს უბნევდნენ, როგორც მაშინ წერდნენ, ეზოპეს ენით, ალეგორიულობით, საოცარი მოქნილობით, ხან პირდაპირ და ხან „ნართაულად“, ებრძოდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და უმოწყალოდ დაჩეხილ-დასახიჩრებული წერილები მაინც იბეჭდებოდა. საქართველოსათვის ეს მძიმესი პერიოდი საცენზურო „ტერორის“ ეპოქად არის შეფასებული. რაც შეეხება რუსულ პრესას, იქ ქართველებზე დაბეჭდილი ცილისმწამებლური სტატიები ცენზურას არ გადიოდა. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ „სოვრემენი ვესტნიკი“, რომელიც ასაბუთებდა, რომ ქართველი ერი დაბერდა, დაკნინდა, გადაგვარდა ზნეობრივად და მორალურად, გამოიფიტა და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ცივილიზებულ სამყაროსთან. XII საუკუნეც კი ქართველი ერისათვის მორალური გახრწნისა და გადაგვარების ეპოქა ყოფილა. ილია ჭავჭავაძე ამგვარი ტიპის წერილებზე წერდა, სხვა ქვეყანაში ასეთი რამ რომ გაბედოს გაზეთმა, მკითხველი შეუთვლის, რომ – „შენმა სუნმა ამამყრალა და აწი ჩემსას არ

გაიჭაჭანოო“. საგულისხმოა, რომ საცენზურო კომიტეტი თავის დოკუმენტებში ასაბუთებდა, რომ ქართველები – „ყაჩაღები, ველურები – რეფორმების ღირსიც არ არიანო“. სამთავრობო დოკუმენტებში ქართველებს ყოველთვის „ტუზემცებს“ უწოდებენ და არა მარტო ქართველები, სომხები, აზერბაიჯანლები, ჩრდილო კავკასიელებიც – ყველა კავკასიელ ტუზემცებად მოიხსენიებოდნენ. მაგალითად, ტუზემცებთან დაკავშირებულ ნიკო ნიკოლაძის საპასუხო წერილს ცენზურა კრძალავს. ერთ-ერთი შავრაზმელი ჟურნალისტი წერდა, რომ ნიკოლაძე ამახინჯებდა მის სიტყვებს, კერძოდ, მე ვწერ, რომ „დობლესტნაია (სახელოვანი, გმირული – თ.ც.) რუსკაია არმია“ ყოველთვის საოცარი ბრძოლის მაგალითებს აჩვენებს, მე არ ვუარყოფ, რომ თქვენც ქართველ ტუზემცებს (იგულისხმება ხანდახან) შეგძლებიათ ბრძოლაო (ბუნებრივია, ის დიდ სხვაობას ხედავს – სად „დობლესტნაია რუსკაია არმია“ და სად ქართველი ტუზემცები). იმპერიის მსახური ჟურნალისტი ვერ იგებს, რამ აღაშფოთა ნიკოლაძე. იმპერიული სასულიერო ცენზურა 80-იანი წლებიდან არა მარტო კრძალავდა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას, არამედ უკრძალავდა ქართველ სასულიერო პირებს ნათლობისას და საეკლესიო ჩანაწერებში ქართული სახელების შეტანასა და ქართველ წმინდანთა სახელების დარქმევასაც კი, რადგან ისინი წარმართულ სახელებად მიიჩნეოდა. უკიდურესი მდგომარეობა იყო სასწავლო საგანმანათლებლო სისტემაშიც.

რუსიფიკაციის პოლიტიკა, ბუნებრივია, ქართულ თეატრსაც შეეხო. სცენიდან წარმოთქმული თითოეული თავისუფლი სიტყვა სასტიკად იდევნებოდა. როგორც ილია ზუსტად აღნიშნავს, ქართულ თეატრს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თეატრი იყო ქართული ენის გადამრჩენი და დამცველი. ილიას აზრით, როდესაც ქართული ენა და არა მარტო ენა, არამედ ყოველივე ქართული იდევნებოდა, სწორედ თეატრში პოულობდა ის თავშესაფარს. სცენა უნდა გადაქცეულიყო ეროვნული კულტურისა და თვითმყოფადობის მგზნებარე ტრიბუნად. სწორედ ამიტომ თეატრალური ცენზურა მკაცრ ზედამზედველობას უწევდა და აკონტროლებდა ქართულ სცენას. გრაფმა სოლოგუბმა მეფისნაცვალთან უჯაშუშა ქართულ თეატრს. მისი სიტყვების მოყვანაც საკმარისია, რომ წარმოვიდგინოთ იმპერიული ცენზურის პოზიცია ქართული თეატრის მიმართ, ქართული თეატრი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, – წერდა ის, – თუ მთავრობა მოისურვებს უბრალო ხალხზე ზემოქმედების მოხდენას ნაციონალური ტრუპის მეშვეობით. მაშინ ქართული თეატრი მიიღებს მაღალ პოლიციურ დანიშნულებას <...> ფაშებისა და ხანების დაცინვა (იგულისხმება ქართული სცენიდან-თ.ც.), როგორი სახითაც არ უნდა იყოს, მაინც მთავრობის დაცინვაა და ამიტომაც სასტიკად უნდა აიკრძა-

ლოს. ქართული თეატრი უნდა მოიშალოს და მის ნაცვლად დაარსდეს ქართული ბალაგანი, სადაც მიმასები და ჯამბაზები მიიღებენ მთავარ მონაწილეობას[1].

როგორია იმპერიის დამოკიდებულება ქართულიმ ენის მიმართ? აქვე დავძენთ, რომ იმპერიის მიერ შუღლის დათესვის პოლიტიკა გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. იმპერია ერთმანეთს უპირისპირებდა ქრისტიანსა და მუსულმანს, მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებს, არბევდა და აწიოკებდა ებრაელებს. განსაკუთრებული აგრესია ქართულ ენასთან დაკავშირებით გასაგებიცაა, რადგან თუ ქართველი მშობლიურ ენასა და ისტორიას დაივიწყებდა, იმპერია თავის მზაკვრულ გეგემებს შესრულებულად ჩათვლიდა. ცარიზმი ქართული ენის დისკრიმინაციისათვის ყოველნაირ ხერხს მიმართავდა, ახალისებდა მოსახლეობას, რომ სამეგრელოს, აჭარისა და სვანეთის სოფლებში ქართული ენის ნაცვლად სწავლება მეგრულად და სვანურად ყოფილიყო. იმპერია მეგრელებს, სვანებს, აჭარლებს ცალკე ეროვნებად აღიარებდა, ხოლო მუსულმან ქართველებს, ვინც სამშობლოს დაუბრუნდა, თურქებად აცხადებდა და ამტკიცებდა, რომ ეს „ნაცუმცირესობათა დაცვის მიზნით“ ხდებოდა. რუსეთის იმპერია განუწყვეტელ მცდელობაში იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხე ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა. იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მიზანი გახლდათ სწორედ ამ გზით ქართველი ერი „დაენაწევრებინა“, რაც შემდგომ დაეხმარებოდა ცარიზმს, რომ ქართველებს თავიანთი იდენტობა თანდათან დაეკარგათ და ადვილად მომხდარიყო საქართველოს რუსიფიკაცია. ქართული ენა კი ქართველი ერისათვის „უკანასკნელი თავშესაფარი“ იყო. *„პირველი ნიშანი ერის ვინაობისა ენაა,* – წერდა ილია, – *ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეაფარა თავი“.*

იმპერიული მთავრობა აპირებდა, რომ რუსულ ენაზე დაყრდნობით მეგრელებისათვის არა მარტო ანბანი „შეექმნა“, არამედ წირვა-ლოცვაც და საღვთო წერილიც მეგრულ ენაზე ეთარგმნათ. იმპერიის განათლების მინისტრის დულიანოვის განკარგულებით, ვითომდა „სეპარატიზმში შემჩნეულ“ ქართველობას, ვინც ამ საბედისწერო ვითარებას წინ აღუდგებოდა, საგანათლებლო სისტემა უნდა დაეტოვებინა. 80-იან წლებში რუსეთის იმპერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც მეგრული და სვანური ქართულ ენასთან სრულიად შორს მდგარ ენებად გამოაცხადა. მეგრელებისათვის ცალკე ანბანი და დაწყებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელოები უნდა შექმნილიყო. 1885 წლის ბრძანებით მიხედვით კი, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა აიკრძალა და სწავლებაც შესაბამისად დაწყებით კლასებში მეგრულად უნდა დაეწყოთ (შემდგომ, ბუნებრივია, რუსულად გაგრძელდებოდა – თ. ც.). რუსულ ენაზე დაყრდნობით ანბანიც იქმნება[2] და

[1] აქვე დავძენთ, რომ ცენზურა კრძალავდა, იმპერიული თეატრებში მისი უდიდებულესობის სამსახურში მყოფი „ერთგული მსახიობების“ პრესაში განსჯას (თ.ც.).

[2] (იხ. თინათინ ბოლქვაძე. „კვლავ მეგრული „კუდიანი“ ანბანის შესახებ“ https://dspace.tsu.ge/server/api/core/ bitstreams/1a443823-2230-4cd0-b787-3587986735a4/content).

საღვთო წიგნების თარგმანიც სცადეს, მაგრამ მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღების მცდელობა ჩაიშალა. იგივე ვითარებაა სვანური ენის მიმართაც. მეგრული ანბანის შესაქმნელად შეირჩა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტიდან ალექსი ნიკოლოზის ძე გრენი, „მეგრული ანბანის გამოცემისას, მე ამასთანავე მხედველობაში მქონდა, – წერდა გრენი, – თუმცა არაპირდაპირ, როგორმე ნაციონალური ბრძოლისათვის გამომეწვია მეგრელები, რომელნიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან ითელებიან. ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი, ნაციონალური ალფაბეტის ქონების გარეშე, რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში ქართველი და ბოლოს, უალფაბეტოთ შეუძლებელია რაიმე მეცნიერება, ცივილიზაციის 15 რაიმე ნაპერწკალიც კი“. ცნობილია, რომ თადა აშორდიამ 1889 წელს რუსული ანბანის მიხედვით შექმნა მეგრული ანბანი. გასაგებია, რა ძალებიც იდგა თადა აშორდიას უკან. ქართველმა ხალხმა და სამღვდელოების „შეკრებულებამაც“ სასტიკად დაგმო ეს მახინჯი მცდელობა. რუსეთის იმპერია კვლავ განაგრძობს თავის ქმედებას და 1892 წელს უკვე ლევიცკი მეგრული სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოს ადგენს, ისევ მეგრული ანბანის საფუძველზე. ლევიცკისთან დაკავშირებით იხილეთ ფელეტონი „პედაგოგიური საკვირველებანი“ („ივერია“. 1802, N 22). ილიას სასტიკ აღშფოთებას იწვევდა ყოველივე ქართულის წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის მხრიდან მიზანმიმართული მტრული ქმედებები. ილია გორის საოსტატო სემინარიის გამგეობასთან დაკავშირებით წერდა: *„სემინარიაში, სადაც უმრავლესობა ქართველები არიან, ქართლელს, გურულს, იმერელს, ფშაველს ქართველებად არ ცნობენ. ჩვენ ამაზე უნდა ვიცინოთ თუ ვიტიროთ“* (ჭავჭავაძე 1941).

მაგალითად საცენზურო კომიტეტის მასალებში (480-1-1340) გვხვდება „ჯეჯილში“ 1896 წელს დასაბეჭდად მომზადებული და შემდეგ აკრძალული სტატია კ. დოდაშვილისა. კ. დოდაშვილი წერილში აღშფოთებული წერს, რომ „ერთ-ერთმა იმპერიულმა კანცელარიამ“ (არ წერენ რომელი – თ.ც.) ბრძანება გამოსცა, რომ მეგრული ამიერიდან განცალკავებულად მდგომ ენად ირიცხება. ამ ბრძანებულებით *„დიდებული, განვითარებული და თვის ეროვნული კულტურის სიმძლავრის გამომხატველი მეგრული ენა სასაცილოა, რომ ირიცხებოდეს, მეგრელებისათვის უვარგის, გამოუსადეგარ ქართულ ენასთან, იმ მანძილზე მდგრად, რა მანძილზედ თურმე ყოფილა რუსულისაგან პოლონური და ჩეხური“*, – წერს ავტორი. მისი მიზანია, რომ მეგრული დაშორდეს ქართულს, რომლის ღვიძლი ძმაც არის. დოდაშვილისათვის სასტიკად მიუღებელია მეგრულის ქართულისგან შორს მდგომ ენად მიჩნევა. მისი აზრით, ეს გაუგონარი ამბავია: *„ენას, რომელსაც თავის განვითარებაში მაღალ ფორმაციამდე კიდეც მიუღწევია, ამიტომაც უნდა ითარგმნოს ამ დიად ენაზედ ღვთის მსახურება მართმადიდებელი ეკლესიისა და მოსწყდეს ამერით ვარსკვლავი ცისა საქრისტიანოსა და დასდგინდეს ეკლესია სამეგრელოსი განცალ-*

კავებით საქართველოს ეკლესიისაგან, რომელთანაც ათთხუთმეტი საუკუნე მონებრივი დამოკიდებულება აქუნდეს, ისმინეთ, მონანო მომავლისა სამეგრელოს ეკლესიისთანო". კ. დოდაშვილი წუხს, რომ „უადგილობის გამო ვეღარ ახერხებს წერილის გაგრძელებას". წერილი ტიპური ნიმუშია, თუ როგორ მეთოდურად ცდილობს იმპერია არარუს ხალხთა დევნა-შევიწროებას, მათთვის ისტორიისა და წარსულის დავიწყებას. ცენზურა, იმპერიის პოლიციური აპარატი, კრძალავს მსგავსი სახის წერილებს. აქვე დავძენთ, რომ კ. დოდაშვილი წერილში მეგრულის მიმართ არაკორექტულ გამონათქვამებსაც ხმარობს.

1893 წელს აიკრძალა ფრონელის (ალექსანდრე ყიფშიძე) სტატია, რომელიც „ივერიაში" უნდა დაბეჭდილიყო (480-1 -1190). წერილი მეტად მტკივნეულ საკითხს ეხება, კერძოდ, იმპერიული ცენზურა უკრძალავს ქართველებს, რომ მეტრიკისა და „აღსარების წიგნები" ქართულ ენაზე შედგეს. ცენზურა ქართულ ენაზე შედგენილ ამ ცნობებს კანონიერი საბუთის მნიშვნელობას არ ანიჭებს, რადგან იმპერიის შეხედულების თანახმად, ტუზემცების ქართულად დაწერილ ამ დოკუმენტებს კანონიერი ძალა არ ჰქონდა, ხოლო ქართველ წმინდადნთა სახელები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმართულად მიიჩნეოდა. თექვსმეტი საუკუნეა, – წერს ფრონელი, – რაც ქართველები განათლდენ და მას შემდეგ ყველაფერი ქართულ ენაზე იწერებოდა. რაღა ახლა, XIX საუკუნეში, დაკარგა ქართულმა ძალა?! ფრონელი აღშფოთებას ვერ მალავს, რომ უარყოფილია არა მარტო ქართული ენა, არამედ საქართველოს წმინდანთა, წამებულთა და მოციქულთა სწორთა მოღვაწეობა. ფრონელის წერილის ტონი საკმაოდ კრიტიკულია[1].

ცენზურისაგან ნებადაურთავია წერილები, რომლებიც სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებში ქართული ენისა და რწმენის საკითხებს ეხება. ქართულ მართლმადიდებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი რუსულთან შედარებით წინ არ უნდა წამოიწიოს. 1882 წელს „დროებაში" არ გაუშვეს სტატია, რომელშიც საუბარია, რომ ქართული ენის მასწავლებელმა ქრისტიანობის გავრცე-

[1] სიწმინდეებთან დაკავშირებით მოგვყავს „კვალში" დასაბეჭდად გამზადებული და აკრძალული პასუხი გიორგი წერეთლისა გრაფინია უვაროვასადმი. გიორგი წერეთელი წერს, რომ იმპერატორის ბრძანებით, თუ საქართველოს ტერიტორიაზე ომი ატყდა, მაშინ ეკლესიებიდან და მონასტრებიდან ჩვენი განძი და სიწმინდეები ყველაფერი რუსეთში უნდა გადაიტანონ, რაც გიორგი წერეთელისათვის სასტიკად მიუღებელია. საუკუნეების განმავლობაში ძნელბედობის ჟამს ქართველებმა მოახერხეს თავიანთი სიწმინდეების გადამალვა და დაცვა, დღეს არავის აქვს ნება, შეეხოს ჩვენს განძს, – წერს იგი. ვინმე გრაფინია უვაროვა კი საქართველოს სიწმინდეებთან დაკავშირებით წერდა, რომ სამართლიანი იქნებოდა, რომ ნიკორწმინდის (და არამარტო ნიკორწმინდის) გამოსასვენებელი ჯვარი და იქ დაცული სიწმინდეები რუსეთის არქეოლოგიურ საზოგადოებას გადასცემოდა. 1905 წელს ასევე იკრძალება ქრისტეფორე ციცქიშვილის (მომავალი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1927-1932 წლები) მიმართვა მთავარმართებლის თანაშემწე სულთან კრიმ გირეისათვის, რომ მან ზემდგომ ორგანოებს პეტიცია გადასცეს, სადაც დიდძალ ქართულ საეკლესიო ქონების დაბრუნებაზეა საუბარი. კრიმ გირეის აზრით, ეს საკითხი თითქმის შეუძლებელი გადასაწყვეტია, რადგან მიწის ნაკვეთები სხვებზეა (იგულისხმება რუსები) უკვე გაფორმებული და ეს მათი საკუთრებაა (480-1 2033).

ლებასთან დაკავშირებით ბავშვებს აუხსნა: საქართველო მეოთხე საუკუნეში გაქრისტიანდა, ხოლო რუსეთმა ქრისტიანობა მეათე საუკუნეში მიიღოო (480-1-1190). რუსი ეგზარხოსები სასტიკად ილაშქრებდნენ ამგვარი ინფორმაციის წინააღმდეგ, არსად არ უნდა აღნიშნულიყო, რომ ქრისტიანობა საქართველოში ბევრად უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე რუსეთში.

1896 წელს აიკრძალა „ივერიაში“ დასაბეჭდად პავლე ლომთაძის „წერილი ალაგირიდგან“ (480-1-1340), რომელშიც საუბარია, რომ ალაგირის მოსახლეობა – 100 კომლი ქართველები – მოკლებული არიან თავიანთ ენაზე წირვა-ლოცვას. ხალხი წუხს, რომ წირვა-ლოცვის დროს არცერთი სიტყვა არ ესმის, მღვდელი ოსია და ქართული არ იცის. ხალხის თხოვნას ყურადღება მიაქცია ეპისკოპოსმა ვლადიმერმა და ბრძანა, რომ წირვა-ლოცვა და ზიარება „მხოლოდ და მხოლოდ დიდი მარხვის მეხუთე კვირაში ქართულად ყოფილიყო“. დაინიშნა ქართველი მღვდელიც – ნესტორ ბაკურაძე. მან თავისი მადლიანი სიტყვით ხალხს სამშობლოსა და ეკლესიის მიმართ გრძნობა გაუღვივა. ეკლესიაში ქართულად იგალობეს. ხალხი ეკლესიიდან ცრემლმორეული გამოდიოდა. ზოგიერთ „ვაჟბატონს“ ეს არ ესიამოვნა. ატეხეს ერთი ამბავი, რომ წირვა-ლოცვა ქართულად არ ყოფილიყო. საბოლოოდ ქართველი მღვდელი შეავიწროვეს, ეკლესიის ფანჯრები დაამტვრიეს და დიდი ხმაური ატეხეს. ოსი მღვდელი ნესტორ ბაკურაძეს „გადარეული“ მივარდა და აუკრძალა ქართულად წირვა. სამწუხაროდ, ქართველები ამას უკვე მრავალი წელი ითმენენ, – წერს ავტორი. იმპერიის ბრძანებებს, ნებას რომ არ რთავავენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართულად წირვა-ლოცვასა და გალობას, ადგილობრივი მოსახლეობის ჩივილს, რომ დიდ დღესასწაულებზეც კი ეკლესიაში არ იმართება მსახურება ქართულად, ხალხს კი რუსული არ ესმის – ამგვარი ტიპის უამრავ დოკუმენტს წავაწყდებით საცენზურო კომიტეტის მასალებში[1]. ქართველი სასუ-

[1] საინტერესოა მარიამ სიდამონ-ერისთავის წერილი ქართულ სამოსთან დაკავშირებით. ის „ჯეჯილში“ უნდა დაბეჭდილიყო და აიკრძალა “(480-1-1340). ავტორი გულიწყრომას გამოთქვამს, რომ ქართული სამოსისა და ლეჩაქის გამო საზოგადოება ურიგოდ ექცევა. მარიამ სიდამონ-ერისთავი მიიჩნევს, რომ დღევანდელ საქართველოში „დედათა მანდილზე პატივი აიყარა, რადგან დრომოჭმულად მიაჩნიათ“. ის რამდენიმე შემთხვევას იხსენებს, რომელიც ძველი ქართული ტანსაცმლის ტარების გამო შეხვდა. კერძოდ, როდესაც სიონში წირვაზე დასასწრებლად მივიდა, გოროდოვოიმ გააჩერა და არ უშვებდა. „ის მოვისროლე, – წერს მარიამ სიდამონ-ერისთავი, მაგრამ ეკლესიაში მუჯლუგუნები მკრეს, პოლიციის მოხელე იქვე იდგა, მივმართე, მაგრამ არც გამეპასუხა“. შემდგომ მან ნაცნობ პოლიციელს მოჰკრა თვალი, რომელმაც იკითხა, რაში იყო საქმე. რუსმა პოლიციელმა შეხედა და დაცინვით უპასუხა: „ОДНА КЕКЕЛКА ПОХОЖА НА ДРУГУЮ“. კონკაში რომ ავედი, კონდუქტორი იღრიჯებოდა, ისიც დამცინავად მელაპარაკა, ევროპულად გამოწყობილებს კი პატივით ეგებებოდა და ეუბნებოდა: „извольте билет“. რახან ლეჩაქით დავდივარ, ყველას უსწავლელი ვგონივარ, ვითომც ლეჩაქი სწავლა-განათლების მაჩვენებელია. ისე ნუ გავიხდით საქმეს, რომ შეიძლება შვილიშვილები სურათებს ეძებდნენ, როგორ ეცვათ უწინდელ ქართველ ქალებსო, – გულისტკივილით ამთავრებს წერილს მარიამ სიდამონ-ერისთავი.

ასევე ტიპური მაგალითია თავად ამირეჯიბის შემთხვევა. წერილი „Новое Обозрение“-მ დაბლოკა (480-1-2031). 1905 წ. გორში ხანშიშესული თავადი ამირეჯიბი გვიან სახლში ბრუნდებოდა, როდესაც ის რუსმა ნასვამმა პოლიციელმა გააჩერა, მას ქართველი თავადიშვილი რატომღაც თვალში არ

ლიერო პირები შეუპოვრად იბრძოდნენ ამ მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთის სინოდის მსგავს ანტიქართულ ქმედებებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა და არაერთი ქართველი სამღვდელო პირი, ვინც ხმა აიმაღლა, სასტიკად დაისაჯა.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში (480-1-1776) მასალებში ვხვდებით აკრძალულ წერილს, რომელიც 1902 „ივერიაში“ უნდა დაბეჭდილიყო. წერილი მეტად საჭირბოროტო საკითხებს ეძღვნება. კერძოდ, საქართველოში სასამართლოებში მოსამართლეებად და სასამართლოს თანამშრომლებად ჩამოსული რუსები ინიშნებიან, ვინც ქართული ენა არ იცის, მკვიდრ მოსახლეობას კი ნებას არ რთავენ. ძალზედ ხშირ შემთხვევაში ბოროტმოქმედებას ხალხის ზნე-ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება და მოსახლეობის ხასიათი განსაზღვრავს. ადგილობრივებმა ეს გარემოებები კარგად იციან და უკეთ შეუძლიათ შეასრულონ ეს პასუხსაგები სამუშაო, ვიდრე ჩამოსულმა რუსებმა. სასამართლოს მთარგმნელზე ადამიანების ბედია დამოკიდებული. წერილში ავტორი ითხოვს, რომ საქართველოში მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლებისათვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულო გახდეს. აქვე დავძენთ, რომ რუსეთის იმპერიას ამ ძალზედ სერიოზული საკითხისათვის ყურადღება არც მანამდე და არც შემდგომ მიუქცევია.

იმავე საქაღალდეში „დროებაში“ დასაბეჭდად შესული უსათაურო წერილია. ხელმოწერით ი. წ. ჩვენი აზრით, ის ილია წინამძღვრიშვილს უნდა ეკუთვნოდეს. სტატიაში ქართველებზე და სომხებზეა საუბარი. ეს ერები ისტორიულად უხსოვარი დროიდან ერთად მოდიან, „ერთმანეთის მეზობლად იდგნენ და ერთი ტანჯვა და სევდა აწუხებდათ“. ავტორის მიზანია, რომ ამ ორ ხალხს შორის მეგობრობა სუფევდეს. *„ამ ბრუნდე კვალის შეცვლა განათლების მიზანია. ქართველთა და სომეხთა ბედნიერება კიდევ ორივე ხალხის ძმობასა და დაახლოებას მოითხოვს, რადგანაც ერთი და იგივე ვითარებით და გარემოებით არიან დაკავშირებულნი“*, – წერს წინამძღვრიშვილი. ცენზორი სასტიკად აღუშფოთებია სტატიის შინაარს, მან არა მარტო წერილის გამოქვეყნება შეაჩერა, არამედ სტატია შავი ხაზებით გადახაზა. რუსული კოლონიური რეჟიმი ცდილობდა იმპერიაში შემავალი ერები ერთმანეთზე გადაემტერებინა, რადგან მისი მმართველობის პრინციპი იყო – გათიშე და იბატონე. წერილის პათოსი კავკასიაში ქართველებისა და სომხების დაახლოება, რუსეთის იმპერიის გეგმებში კატეგორიულად არ შედიოდა.

მოუვიდა. უხეშად მიმართა და დაინტრესდა, სად მიდიოდა. ამირეჯიბმა მხოლოდ იკითხა, თუ რატომ არ აძლევდნენ ნებას თავისი გზით წასულიყო. მორიგე პოლიციელმა ძალის გამოყენებით თავადი განყოფილებაში გადაიყვანა. ამირეჯიბის გადაწყვეტილებას, რომ საჩივარი დაეწერა, პოლიციელის მხრიდან მოხუცზე სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა მოჰყვა. ჯანმრთელობაშერყეული ამირეჯიბი შემთხვევით გადარჩა, რადგან გაირკვა, რომ ის გიორგიევსკის ორდენის კავალერი იყო. მე შენაირ ქართველებს კიდევ ბევრს მოვკლავ, იცოდეთ, – იგინებოდა და ღრილებდა ქართველების მისამართით რუსი პოლიციელი.

ცენზურის საქმიანობას, ქართველი ერისთვის დამღუპავ იმპერიულ პოლიტიკას წინ ქართველი ხალხი აღუდგა. მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა, XIX საუკუნე ქართველი ხალხისათვის ეროვნული იდეის, პიროვნებისა და აზროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის ხანაა. რუსეთის იმპერიის მცდელობა საქართველოს რუსიფიკაციისა მარცხით დასრულდა. XIX საუკუნის საქართველოში კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში კულტურის კონტროლის მართვის სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

შარაბიძე, თ., ციციშვილი, თ. ქართული დრამატურგია. ქრესტომათია. ნაცნობი და უცნობი ტექსტები. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი: გამ. თსუ, 2023.

შარაბიძე, თ., კუჭუხიძე, გ., ჭუმბურიძე, დ. ცენზორის ინსტიტუტი XIX საუკუნის 50-70-იანი წლების ქართული გამოცდილების კონტექსტში, ჟურ. „სჯანი“, 2023, N24

ციციშვილი, თ. ქართული ხალხოსნური მწერლობა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკული აზრი. წიგნში „მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში“. თბილისი: „მწიგნობარი“, 2022.

ბოლქვაძე, თ. „კვლავ მეგრული „კუდიანი“ ანბანის შესახებ“. https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/1a443823-2230-4cd0-b787-3587986735a4/content .

თამარ ციციშვილი
Tamar Tsitsishvili

ზოგიერთი საკითხი რუსეთის იმპერიულიცენზურის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში
(II ნაწილი)

Some Issues from the History of Russian Imperial Censorship in XIX Century Georgia
(Part II)

Annotation

In Georgia, imperial censorship most aggressively targeted the field of education. The goal of Tsarism was the complete discreditation of the Georgian language, specifically the eradication of Georgian language, literature, history, and culture. The empire sought to sever the various regions of Georgia from one another and aimed for the total Russification of all the peoples under its rule. This process entailed instilling a sense of belonging to Russia, its past, and its traditions. The entire imperial educational system, both secular and religious, was to be built on the foundation of the Russian language, literature, and history. Native students were gradually to be prepared for "assimilation into the Russian language and culture." Russian education was considered the "powerful weapon" that would help sever Georgians from their national culture. The imperial official Yanovsky spared no effort in his campaign against the Georgian language and culture. In 1881, he devised an educational plan mandating that instruction in all types of schools, starting from the primary grades, be conducted in Russian. According to Yanovsky's 1885 circular, Georgian was entirely eliminated from educational institutions, and the teaching of the native language was officially declared a private family matter. The materials preserved in the archives of the Caucasian Censorship Committee are sufficient to fully understand the Russian Empire's language and educational policies in Georgia. Despite severe restrictions, Georgian literature, the press, theater, the Society for the Spreading of Literacy, and all Georgian cultural and educational organizations stood in defiance of the "reactionary rampage" of Russian imperial censorship.

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, იმპერიული ცენზურა, განათლება, რელიგია.

Key words: Caucasus Censorship Committee, Imperial censorship, education, religion.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიაში ცენზურას სრულად ემორჩილებოდა როგორც საერო, ისე სასულიერო სფერო, რამაც უდიდესი შესაძლებლობა მისცა ცენზურას სრულად „დაემორჩილებინა“ მთავრობისათვის მიუღებელი ნებისმიერი ინფორმაციის წყარო. ცარიზმი ყოველნაირად ხელს უწყობდა „ძალაუფლების ორგანოსათვის“ კომფორტული პირობების შექმნას. ცენზურა საკანონმდებლო გზით ცდილობდა გაეძლერებინა თავისი უწყებრივი სტატუსი, შეევსო რიგები მორჩილი ადამიანებით, გაეზარდა მათი მატერიალური მხარდაჭერა. XIX საუკუნეში იმპერიული ცენზურის მხრიდან კულტურაზე განსაკუთრებული კონტროლი საზოგადოებაში სოციო-კულტურული აქტივობების ზრდამ განაპირობა. კულტურა კი, თავის მხრივ, ყოველნაირი საშუალებით ცდილობდა მაკოტროლებელი ორგანოსათვის გვერდის ავლას. ამ კუთხით იმპერიაში შემავალი მცირე ერები უფრო დაუცველები აღმოჩნდნენ. როგორც ცნობილია, 80-იანი წლებიდან ოფიციალურად იკრძალება საქართველოს სახელის საჯაროდ ხსენება. 1885 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტმა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ შესწორება შეიტანა, საქართველოს ნაცვლად ყველგან „ტბილისისა და ქუთაისის გუბერნიები“ ჩაწერეს. გოგებაშვილმა საპროტესტო განცხადება საცენზურო კომიტეტში ორგზის შეიტანა, მაგრამ ამაოდ. საქართველოსათვის XIX საუკუნე და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი საცენზურო „ტერორის“ ეპოქად არის შეფასებული. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, მიუხედავად უდიდესი დაბრკოლებებისა, წინ აღუდგნენ რუსულ, იმპერიულ შოვინიზმს. ისინი ცდილობდნენ მხატვრული ტექსტებისა და პრესის დახმარებით ქართული ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, „დააარსეს და ქვეყნის სამსახურში ჩააყენეს სამეურნეო, კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებები“. ცენზურისადმი ქართველი მოღვაწეების დამოკიდებულების საჩვენებლად მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს. ილია ცენზურის მძვინვარებაზე წერდა, რომ ცენზორებს სუნის აღება სცოდნიათო, *„პირს წყლით გივსებენ, ნაღველს და სულს არ ამოგათქმევინებენ და თუ ამოგათქმევინებენ, ისე ბუნდოვნად და არეულად, გაკვრით-გადაკვრით, რომ არამც თუ კაცი, თვითონ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს“.* აკაკიმ ცენზორს ტვინმეისტერი დაარქვა – „ჩემს სიცოცხლეში ცხადად თუ სიზმრად, ერთი რამ უფრო მაფრთხობდა ყველაზე და საფლავშიც ქარცეცხლად მიმყვება, მე ვამბობ ცენზურა“_ და ეს სტრიქონებიც მიუძღვნა: *„ჩემს ბატონს ეს ეწყინება (იგულისხმება ცენზორი), / უნდა ჩავყლაპო სიტყვები ძალით“* („ცისკარი“. 1864. N 10). ნიკოლოზ ღოღობერიძე კირილე ლორთქიფანიძეს აფრთხილებდა: წერის დროს ცენზურა იქონიე მხედველობაშიო. სერგეი მესხი კირილე ლორთქიფანიძესთან ჩიოდა: შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გვავიწროებს ცენზურა, რაც რუსეთში იბეჭდება, იმის მეოთხედსაც არ გვაბეჭდინებენ. გიორგი წერეთელი კირილე ლორთქიფანიძეს ურჩევდა: ძალიან გეხვეწები, აზრები დაფარო, რომ ბეც ყაითმაზოვს (ცენზორი) თვალებში არ შეეჩხიროს, თორემ უეჭველად ამოგშლის. ნიკო ავალიშვილი იგონებდა: *„იმ დროს ცენზურა მძვინვარებდა*

ჩვენში და ეს ბევრ მწერალს უშლიდა მკაფიო აზრის გამოთქმას, ბევრი წერილი მეტადრე საჟურნალო, წითელი მელნით დაუნდობლად მახინჯდებოდა ან სულაც ესალმებოდა ქვეყანას“. პეტრე უმიკაშვილის შეხედულებით: ის ქვეყანა, სადაც აზრი ცენზურას ემოჩილება, რასაკვირველია პირჩაკეტილია, <...> ლიტერატურის და მწერლობის შევიწროება და დასჯა მოწინავე ადამიანებს აიძულებს საიდუმლო სტამბები გამართონ და ლიტერატურა კონტრაბანდით შემოიტანონ. სტეფანე ჭრელაშვილი გულისტკივილით წერდა, რომ ჩვენში ძალიან ძვირად იპოვნით მკითხველს, ჩვენში ყველაზე ერთგულად და ყურადღებით მხოლოდ პატივცემული ცენზორები კითხულობენო. იმ ხანებში ხუმრობით ამბობდნენ, რომ ცენზორები ყველა მწერლის მაგიდასთან იყვნენ ატუზულები. ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითების მოყვანაც კი საკმარისია, რომ წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობაში იყო საქართველო რუსეთის იმპერიული ცენზურის წნეხქვეშ[1], ეს იქნებოდა პოლიტიკური, ეკონომიური, სასულიერო, საერო, სამხედრო, კულტურის სფეროები, ებრაელთა საქმეები, ნებისმიერი მღელვარებები, ვითარება ციხეებსა თუ ჯარის ნაწილებში, მისალოცი ბარათებიც კი. მოწმდება ფარმაცევტული სახის განცხადებები და იმ პერიოდში გავრცელებული ინფექციური და ვენერიული დავადებების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, პრესაში მკურნალობასთან დაკავშირებული ექიმების განცხადებები არ იბეჭდება, თუ ის საცენზურო კომიტეტში არ იყო შესწავლილი. სასტიკად იკრძალება სექტების შესახებ ჟურნალ-გაზეთებში შემოსული წერილები. ცენზორები შავი ან წითელი ფანქრით მთლიანად ხაზავდნენ ან ფურცლებს ერთმანეთზე აწებებდნენ, როდესაც, მათი აზრით, იმპერიისათვის მიუღებელ მხატვრულ ტექსტებთან და სხვა საფრთხის შემცველ ინფორმაციასთან ჰქონდათ საქმე[2].

---

[1] საცენზურო აპარატის მუშაობისადმი მიძღვნილ ჩვენს კვლევებში, თითოეული ავტორის წერილში კარგად ჩანს ცენზურის მხრიდან როგორ მასშტაბურ აკრძალვებს ჰქონდა ადგილი.

[2] აკრძალვები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ სხვადასხვაგვარია, მაგალითად ცენზორი არ უშვებს მოკლე ინფორმაციას, რომელშიც საუბარია, რომ გუნერნატორი კრძალავს ედისონის აპარატმიმეოგრაფს. ეს მოწყობილობა საბეჭდ მანქანას – რემინგტონს უერთდებოდა და ძალიან სწრაფად აკოპირებდა. თუ მას ვინმე შეიძენდა, მაღაზიის მფლობელს ვინაობა პოლიციისათვის სასწრაფოთ უნდა შეეტყობინებინა. იკრძალება კორესპონდენცია, რომელშიც გრამოფონების სააქციო საზოგადოება ცენზორის ნებართვას ითხოვს, რომ გრამაფონის ჩვეულებრივი ფირფიტები დაბეჭდონ რუსულად და ტუზემცურ (ანუ ქართულ) ენაზე. პრესაში იბლოკება ნებისმიერი ინფორმაცია „დაცემული“ ანუ მეძავი ქალების შესახებ. მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გადაწყვიტა დახმარებოდა „დაცემულ“ ქალებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დახმარება საქველმოქმედო ხასიათის იყო, ეს ამბავი ცენზურის აზრით, პრესაში არ უნდა გაჟღერებულიყო; აგრეთვე, კორესპონდენციები, სადაც ვენერიულ დაავადებათა მატებაზეა საუბარი, საკითხზე, რომელსაც თვით მთავარმართებელი არღუთინსკ-დოლგორუკიც შეუშფოთებია (ეს ცნობა „ივერიაში“ უნდა წასულიყო). ასევე იკრძალება სტატია, რომ თავადაზნაურთა ოჯახში ძიძად აიყვანეს ქალი, ვისაც ორი პატარა გოგონასთვის უნდა მოევლო, მაგრამ ძიძა ცნობილი მეძავი აღმოჩნდა. წერილი, რომელიც აფრთხილებდა ახალგაზრდა ქალებს, „ფხიზლად ყოფილიყვნენ“, ცენზურამ არ გაახმაურა, კერძოდ, ახალგაზრდა მამაკაცები ხშირად თავს კომოვიაჟერებად ასაღებდნენ, თითქოსდა კონსტანტინოპოლიდან იყვნენ ჩამოსულები და მდიდარ საქმროებად მოჰქონდათ თავი. ისინი საცოლეებად ეძებდნენ ახალგაზრდა, ლამაზ, „დაბალი სოციუმიდან გამოსულ“ გოგოებს, კონსტანტინოპოლში საქორწილო მოგზაურობაში მიჰყავდათ, იქ ვითომცდა „მდიდარ ნათესავებს“ აცნობდნენ და სულ მოკლე დროში ყმაწვილი ქალები ჰა-

საცენზურო კომიტეტის მასალებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ცენზორს არ სურს გამოჩენა და მისი ხელმოწერა ისე გაკვრითაა შესრულებული, რომ მას ვერავინ ამოიკითხავს. გვხვდება ისეთი ფაქტებიც, როდესაც მასალა სრულად იკრძალება, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ იგივე მასალა შეუცვლელად დაუბრკოლებლად მიდის. ალბათ ასეთ შემთხვევებში ცენზორებად სხვადასხვა პიროვნება გვევლინებოდა. ზოგიერთი ცენზორის მხრიდან ხანდახან თვალის დახუჭვასაც ჰქონდა ადგილი (იხ. წინა მასალები).

საქართველოში იმპერიული ცენზურა ყველაზე აგრესიულად მაინც სწავლა-განათლების სფეროს ებრძოდა. ცარიზმის მიზანი იყო ქართული ენის სრული დისკრედიტიზაცია, კერძოდ, ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის მოსპობა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერთმანეთთან დაპირისპირება. მეგრული ანბანის შემქნელი ალექსანდრ გრენი წერდა: *„თუმცა არაპირდაპირ, როგორმე ნაციონალური ბრძოლისათვის მინდოდა გამომეწვია მეგრელები, რომელნიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან ითელებიან. და მართლაც, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი ნაციონალური ალფაბეტის ქონების გარეშე, რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში ქართველი“.* გრენი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ნამდვილ რევოლუციურ კომიტეტს ეძახდა და წერდა, რომ ის ძალიან უშლიდა ხელს, რადგან მისი ერთ-ერთი წევრი, აკაკი წერეთელი, მუდმივად საპროპაგანდოდ სამეგრელოში დაეხეტებოდა. იმპერია ცდილობდა მასში შემავალი ყველა ხალხის სრულ რუსიფიკაციას, რაც გულისხმობდა რუსეთის, მისი წარსულის, მისი ტრადიციებისადმი კუთვნილების განცდის ჩანერგვას. რუსული ენის, ლიტერატურის და ისტორიის საფუძველზე უნდა აგებულიყო იმპერიის მთლიანი საგანმანათლებლო სისტემა (იხ. თ. ციციშვილი). საერო და სასულიერო სასწავლებლებს ტუზემცები ნელ-ნელა უნდა შეემზადებინა „რუსულ ენასა და კულტურასთან შესადუღებლად“. სწორედ რუსული განათლება იყო ის „მძლავრი იარაღი, რომელიც დაეხმარებოდათ, ლახვარი ჩაეცათ და მოეწყვიტათ ქართველები ეროვნული კულტურისაგან“. ცარიზმის ერთგული მოხელის, რეაქციონერ კირილე იანოვსკის (კავკასიის სასწავლო ოლქის

რამხანებში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. გვხდება ამ ტიპის აკრძალვაც, საპარიკმახეროებში თუ ვინმე მოითხოვდა ულვაშისა და წვერის გაპარსვას, ანდა კაცი, რომლის სურვილიც იყო თმის შეღებვა, მისი ვინაობა სასწრაფოდ პოლიციისათვის უნდა შეეტყობინებინათ, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ის რიგითი მოქალაქე იქნებოდა თუ გენერლის ფორმაში სამხედრო პირი (ეს შეტყობინებაც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო). ერთ-ერთ აკრძალულ კორესპონდენციაში წერდნენ, რომ გამოჩნდა ახალი სექტა, რომლის წევრებსაც სწამდათ, რომ ზეცაში სახედრებზე ამხედრებულები შევიდოდნენ, ამიტომაც ასრულებდნენ რიტუალს, ქალები ღამ-ღამობით, გათენებამდე ქმრებს ზურგზე გადაასხდებოდნენ ხოლმე. ხშირად გვხვდება ყოვლად გაუგებარი მიზნით რესტორნების პრეისკურანტების აკრძალვებიც. იბლოკება წერილები ცნობილ ყაჩაღობებთან დაკავშირებით. კონტროლდება თვითმკვლელობების შესახებ ინფორმაციები, არ უშვებენ ფასების ზრდასთან დაკავშირებულ კორესპონდენციებს.

მზრუნველი 1878-1902 წ.წ.) აზრით, ხელისუფლებას დაეხმარებოდა, ყოლოდა სულით და გონებით გადაგვარებული, ტახტის ერთგულებით და სიყვარულით განწყობილი მონა-ქვეშევრდომები. სწორედ ეს გახლდათ იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მთავარი მიზანი. რუსეთის კოლონიურ გეგმებზე ჯერ კიდევ 1827 წელს მინისტრმა კანკრინმა მოახსენა იმპერატორს, რომ უსაფუძვლო არ იქნება და შეიძლება ამიერკავკასიის პროვინციები წოდებულ იქნას ჩვენ მიერ კოლონიებად, რაც მათ მოუტანთ მეტად მნიშვნელოვან წარმატებასო. იანოვსკიმ ძალ-ღონე არ დაიშურა ქართული კულტურისა და ენის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან 1881 წელს სასწავლო გეგმა შეადგინა, რომლის მიხედვით, ყველა ტიპის სკოლებში დაწყებითი კლასებიდან სწავლება რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო. დედაენის სწავლებას მხოლოდ დაწყებით კლასებში, პირველსა და ნაწილობრივ მეორეში უმნიშვნელო საათები ეთმობოდა და ისიც სპეციალურად მხოლოდ ყველა გაკვეთილის შემდეგ, როდესაც ბავშვი უკვე გადაღლილი იყო. ქართული ენა განიდევნა და არასავალდებულო საგნად ჩაითვალა[1]. იანოვსკის ჩანაფიქრით, ადგილობრივი უვიცი ტომები (ანუ ქართველები) რუსული განათლების წყალობით რუსულ ცივილიზაციაში განმტკიცდებოდნენ, დაივიწყებდნენ რა ყოველივე ეროვნულს. 1885 წელს გამოსული იანოვსკის ცირკულარის მიხედვით, ქართული უკვე სრულად განიდევნა სასწავლო დაწესებულებებიდან, „დედაენის სწავლება ოფიციალურად საოჯახო საქმედ გამოცხადდა“.

რუსმა ეგზარხოსებმაც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენისა და ძველი ენების გაკვეთილებისათვის განსაზღვრული საათები ჯერ შეამცირეს და საბოლოოდ ეს დრო მთლიანად რუსული ენის სწავლებას დაუთმეს[2]. ეგზარხოსი პავლე (საქართველოს ეგზარხოსი 1882-1887 წლებში)[3] ამასაც არ დაჯერდა და მისი განკარგულებით სასულიერო სემინარიაში

---

[1] ცნობილი ქართველი მოღვაწე და პედაგოგი პეტრე უმიკაშვილი არასავალდებულო საგნის მასწავლებლად გამოცხადდა და მას, როგორც სხვა ქართული ენის პედაგოგებს, ნება არ ჰქოდა პენსია მიეღო და პედსაბჭოს სხდომებს დასწრებოდა (თ.ც.).

[2] ეგზარხოსი იოანიკე რუდნევი, როდესაც საქართველოდან რუსეთში გადაიყვანეს, ჯვრის უღელტეხილზე შეჩერდა, მობრუნდა საქართველოსკენ, პირჯვარი გადაიწერა და თქვა: გმადლობ, შენ ყოვლად წმინდა ქალწულო, რომ შესაძლებლობა მომეცი, ამ ველურებს ცოცხლად გადავრჩენოდიო. მთავარეპისკოპოსი ნიკანორი იოანიკე რუდნევთან ჩიოდა: ქართველებს არ აქვთ განსჯის უნარი, გონებაჩლუნგები არიან, მაგრამ რასაც დაიჩემებენ, აღარ გადათქვამენ, კაცის მოკვლა არაფრად უღირთ, ნათესაობას მე-14 თაობამდე თვლიან, თუმცა ხანჯალი რომ ჩასცენ ღვიძლ ძმას, მათთვის ძნელი არ არის; შმაგი ხალხია, ოდნავ აღელვებაზე წონასწორობას კარგავენ და ხანჯალს იძრობენო. მსგავსი სიტყვების თქმა სხვა ეგზარხოსებიც არ ერიდებოდნენ.

[3] ეს ის ეგზარხოსი პავლე ლებედევია, ვინც ქართველი ერი დაწყევლა. 1886 წელს სასულიერო სემინარიის სტუდენტმა იოსებ ლაღიაშვილმა კიბეებზე ამავალი ქართველთ-მოძულე რექტორი ჩუდეცკი ხანჯლით მოკლა. საქართველოს იმდროინდელმა ეგზარხოსმა პავლე ლებედევმა ჩუდეცკის პანაშვიდზე ალექსანდრე ნეველის ლავრაში შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „დაიწყევლოს სამუდამოდ შენი მკვლელიცა და ის ოჯახიც, რომელმაც გშობა, დაიწყევლოს ის წრე და ის ერი, რომელმაც დაბადა და ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა იგი“. მას დიმიტრი ყიფიანმა ღირსეული პასუხი გასცა, რის გამოც ის რუსეთში გადაასახლეს და შემდგომ სიცოცხლეს გამოასალმეს. შიო არაგვის-

ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლებაც აკრძალა. მაგალითად, პროსემინარიაში მასწავლებელმა ნათიევმა ქართული სიტყვების რუსული ასოებით წერაც შემოიღო. პატარა ქართველი მოსწავლე, ვინც პირველად სკოლაში შედიოდა, მხოლოდ მშობლიური ენა იცოდა და, ბუნებრივია, წერა-კითხვა ქართულადვე უნდა დაეწყო. ის უცხო, რუსულ ენაზე ვერც გაკვეთილებს მოამზადებდა და ვერც გაუგებარ ტექსტებს დაიზეპირებდა. ილია წერდა, რომ სანამ ბავშვს ჯერ დედაენა არ შეუთვისებია, რუსულ ენაზე სწავლებას ვერ შესძლებსო. *„უდედაენოდ ბავშვის გონების გახსნა შეუძლებელია, მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, არამედ, გონების დაჩაგვრის, გონების დახშობის, დათრგუნვის“* (ილია ჭავჭავაძე, „დროება.“ 1881: N 33). ძალზედ ხშირად რუსი პედაგოგები პატარა მოსწავლეებს, ვინც ჯერ რუსული არ იცოდა, ხელით ეხებოდნენ, ფიზიკურად უსწორდებოდნენ და მათ მშობლიურ ქართულ ენას შეურაცხყოფდნენ. საცენზურო კომიტეტში აკრძალული სტატიების ავტორები ამ „ჭეშმარიტ უსამართლობაზე აღშფოთებას“ ვერ მალავენ. მათი აზრით, ამგვარი სწავლის მეთოდი დაუშვებველი იყო. იანოვსკის განკარგულებით ქართველ პედაგოგებს სასწავლებლებიდან ათავისუფლებენ, ხოლო მოსწავლეებს ყველა საგანს უკვე რუსი მასწავლებლები ასწავლიდნენ. მათ ქართული საერთოდ არ ესმოდათ, იანოვსკის ამ „მუნჯური მეთოდის“ შემოღებამ მძიმე მდგომარეობაში ჩაყარა არამარტო ქართველი პედაგოგები, არამედ ქართულის არმცოდნე რუსებიც[1]. იაკობ გოგებაშვილი წერდა, რომ მუნჯ მასწავლებლებს „შესაძლებლობა არ ექნებათ ერთი გასაგები სიტყვა მაინც უთხრან თავიანთ მოსწავლეებს“. 1883 წლის განათლების მინისტრ დულიანოვის ინსტრუქციით, სეპარატიზმში შემჩნეულ ქართველ პედაგოგებს სკოლა უნდა დაეტოვებინათ. ისინი, როგორც მაშინ ქართულ პრესაში წერდნენ, უწიგნური რუსი მასწავლებლებით ჩაანაცვლეს. იანოვსკის სურვილი იყო, ჩაეკლა ქართული „პედაგოგიური აზროვნება“, რის საშუალებითაც სკოლა „ადგილობრივი ანუ ქართული ცივილიზაციის დამთრგუნავი“ გახდებოდა. იანოვსკის მარჯვენა ხელი ლევიცკი (ეს ის ლევიცკია, რომელმაც მეგრული სკოლებისათვის სახელმძღვანელოც კი შეადგინა იხ. თ.ც.) ქართველ პედაგოგებს უჩიოდა, რომ ისინი ახალგაზრდობას დიდი სიყვარულით ასწავლიდნენ ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, გეოგრაფიას. ეს კი ნაციონალურ იარაღად იქცეოდა და რუსული კულტურის საზი-

---

პირელი სწორედ ამ პერიოდში სწავლობდა და იხსენებდა, რომ ჩუდეცკის ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი, ამავე დროს ეგზარხოს პავლეს საყვარელი იყო. როდესაც ქუჩაში ხმაური შეწყდებოდა, ეგზარხოსის კარეტა ჩუდეცკის ბინას მოადგებოდა და ჩუდეცკისაც თავისი ლამაზი ცოლი უნდა ჩაესვა და ეახლებინა ეგზარხოსისათვის. თუ რა ხდებოდა იმის გულში, არავინ იცოდა, ჩუდეცკი თავის გულის ვარამს ჩვენს ზურგზედ იქარვებდაო. შემდგომში, როდესაც ლებედევი საქართველოდან რუსეთში გადაიყვანეს, მან ჩუდეცკის ცოლი თან წაიყვანა და ერთ-ერთი კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის დირექტორად დანიშნა.

[1] ცნობის ფურცელში“ ცენზურამ აკრძალა ოსკარ შმერლინგის კარიკატურები. „მუნჯური ენის“ მასწავლებელი უენოდ – ხელების, ფეხების, სხეულის დახმარებით ასწავლის ბავშვებს ტანსაცმლის გახდას, დაწოლას, დაბანას. კარიკატურები დაბეჭდა ა. იოვიძემ. „საისტორიო მოამბე“. ტ. 5.

ანოდ იმუშავებდა, რადგან ქართველი ისტორიული პირები გმირებად, ნაციონალური თვითარსებობისათვის მებრძოლებად წარმოდგებოდნენ, ხოლო დიდი რუსი ხალხის ისტორია ამ დროს გაფერმკრთალდებოდა, გაღატაკდებოდა და შემავიწროებლად წარმოჩნდებოდა. თანაც ამ საგნების სწავლებას შესაძლოა ტუზემცთა „ტომობრივი განცალკავება გამოეწვია“. რუსული მეცნიერება კარგად დაგვანახებს, რას წარმოადგენს მასთან შედარებით ქართული ბაქიაობაო, – წერდა ლევიცკი. მოგვყავს ამონარიდი ცნობილი პედაგოგის იერემია გულისაშვილის მოგონებებიდან. 80-იან წლებში ის ხონის სემინარიის მოსწავლეა. სემინარიის დირექტორი სტრელეცკი რუსის მოხელე, მეფის ტახტის ერთგული, კვაზიპატრიოტი და უაღრესად რუსიფიკატორი იყო; რომ შესძლებოდა საქართველოს გარუსება ერთ დღეს, თვალს არ დაახამხამებდა, არ შედრკებოდა. ვიწრო შოვინისტი მოხელე მომულე ყველა არა რუსისა, პატარა ერის წარმომადგენლებს ყოველ ნაბიჯზე დაგვცინოდა, გვამცირებდა. ერთხელაც, როდესაც გოგოლის „სტაროსვეტსკიე პამეშჩიკებს“ ვარჩევდით, მე ვთქვი, რომ ჩვენ ილიასაც აქვს ეგეთი ნაწარმოები „კაცია-ადამიანი“-მეთქი. როგორ, შენ ვიღაც ილია, ერთი მუჭა ხალხის ვითომცდა მწერალი დიდ რუს მწერლ გოგოლს დაუპირისპირეო. მომდგა და აღარაფერი შემარჩინა, არც მე და არც ჩვენ სათაყვანებელ ილიას. კრილოვის ხსენებაზე ჩვენი სულხან-საბა ორბელიანი ვახსენე, სულ გადაირია. ძნელი წარმოსადგენია, რა დაემართა მას, როდესაც „სლოვო ო პოლკუ იგორევა“-ს ხსენებაზე მე დიდი რიხით ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“ ვახსენე. აქ კი სტრელეცკი თითს მოკაკვავს მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ სიბრაზისაგან სახე დაებრიცა, გაყვითლდა, გამწვანდა, დაიწყო გველივით სისინი, კბილებს აღრჭენდა, პირზე რაც მოადგა მომაყარა <...>. სტრელეცკის მიზანი იყო არ განვითარებულიყავით, ნაკლები გვეკითხა, რომ მეფის ტახტის საზიანოდ მუშაობის სურვილი არ აღგვძროდა, – იგონებდა იერემია გულისაშვილი. სტრელეცკი მუდმივად ჩიოდა, რომ ველური ქართველები რუსეთის იპერიამ გაგზარდათ, ფული დაგახარჯათ, თქვენ კი უმადური მგლებივით განზე იყურებითო.

ნებადაურთავია აგრეთვე კორესპონდენციები, სადაც ძალზედ ხშირად საუბარია იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სასწავლო დაწესებულებებში იყო გამეფებული. ცენზურისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო სასწავლო დაწესებებულებში არსებული ნეგატიური მდგომარეობის ჩვენება და ამგვარი კორესპონდენციები, რომელსაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა, ყველგან მკაცრად იბლოკება. წერილების ავტორების აზრით, აუცილებელი იყო, არა მარტო სასწავლო დაწესებულებების გაზრდა, არამედ მასწავლებლების კვალიფიკაციისათვის დიდი ყურადღების მიქცევა და პედაგოგებისათვის ხელფასების მომატება. ცენზურა ყოველნაირად ცდილობდა სასწავლო დაწესებულებებში არსებული ნაკლის დაფარვას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომელიც აჩვენებს იმ ეპოქის საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ მდგომარეობას. 1882 წლის „დროების“ 19 მარტის ნომერში აიკრძალა შემდეგი შინაარსის წერილი, რომელიც,

ალბათ, რედაქციას ეკუთვნის. სტატია ხელმოუწერელია. თბილისის სასულიერო სემინარიის შეგირდმა, სემინარიის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელ ბ. სტეპანოვს ქვით თავი გაუტეხა. რედაქციის აზრით, მართალია, სემინარია ქალაქის შუაგულში არის განთავსებული, მაგრამ სპეციალურად ძალიან მაღალი ზღუდით არის გარშემორტყმული. წესითა და რიგით იქ მამაშვილური დამოკიდებულება უნდა სუფევდეს, როდესაც მგელი და ცხვარი ერთად სძოვს, მაგრამ დიდი ხანია მასწავლებლები და შეგირდები ორ დაპირისპირებულ, მტრულ ბანაკად არიან დაყოფილნი. შეგირდი მაჭავარიანი, ვინც ეს ქმედება ჩაიდინა, როდესაც პოლიციაში მიიყვანეს, იყო დამშეული და „ძონძებში“ გამოწყობილი. ბავშვს ემჩნეოდა, რომ ის მოძალადე არ იყო. წარმოიდგინეთ, რა დიდი უნდა ყოფილიყო მაჭავარიანის ბოღმა და უიმედობა, რომ მან არც თავი დაზოგა და არც სხვა. რედაქცია იმედოვნებს, რომ ეგზარხოსი პავლე დაადგენს იმ მიზეზს, რამაც ყმაწვილი გაამწარა (ფონდი 480-1 547). ეგზარხოს ქართველმოძულე პავლე ლებედევს არც უფიქრია ქართველი ახალგაზრდებისათვის სპეციალურად შექმნილი გაუსაძლისი პირობების გაუმჯობესება, ის ყოველნაირად ხელს უწყობდა ქართველი შეგირდების ჩაგვრას.

„დროებაშივე“ ცენზურამ აკრძალა სტატია, სადაც საუბარია თელავში ორკლასიან ქალთა სომხური სასაწავლებლის მასწავლებელ ქალზე, რომელიც სასწავლებელში კი არა, „ტრახტირშიც“ კი არ შეიშვება. კაცებს ედევნება, მუდმივად ნასვამია და ბავშვებს ყურში უხამს სიტყვებს ჩასჩურჩულებს (480-1 547) .

„ივერიაში“ (26 ნოემბერი 1885 წ.) არ უშვებენ წერილს – „ფიქრები და შენიშვნები სამრევლო სკოლების შესახებ“, ავტორი მანელი. ცენზორის მიერ შავი ფანქრით ის ადგილებია გადახაზული, რომელიც სასწავლო დაწესებულებებში არებული ნაკლოვანების მხილებას ეხება (ფონდი 480-1 655). „დროებაში“ არ გასულა სტატია (15 იანვარი 1882წ) ხონისა და ალექსანდროვის სემინარიებში გამეფებულ მძიმე მდგომარეობაზე. ხონის საოსტატო სემინარიის მოწაფეებმა ერთი ნაჭერი პურისათვის იჩხუბეს და ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. სტატიიდან ჩანს, რომ სემინარიელები ნახევრად მშივრები არიან. „დროებაშივე“ აიკრძალა მეორე კორესპონდეცია – ალექსანდროვის სემინარიის შეგირდებმა მაზრის ინსპექტორ ილია შენკოს მიმართეს დირექტორი ბ. კოლოვიჩის ყოვლად უღირს საქციელთან დაკავშირებით. დირექტორი მათ უკადრისი სიტყვებით ლანძღავდა, ურიგოდ ეპყრობოდა, მუშტებს უშენდა და მუჯლუგუნებს ურტყამდა[1].

1890 წ. „თეატრში“ იბლოკება სტატია „ქართული ქრისტიანული საზოგადოების შესახებ“. ავტორი იმ ნაკლოვანებებზე მსჯელობს, რომლებიც მთელი ქვეყნის სასულიერო სასწავლებლებშია გამეფებული. სასწავლებლებში განათლების დონე დაბალია, რადგან საგნებს რუსი პედაგოგები ასწავლიან, ვინც ქართული არ იცის.

[1] საგულისხმოა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსწავლეებს არაერთხელ გამოუთქვამთ პროტესტი სწავლების მახიჯი სისტემის მიმართ.

მცირეწლოვან მოსწავლეებს კი რუსული არ ესმით, ამიტომ მუნჯური სწავლების სისტემაა გამეფებული. მაჰმადიანებით დასახლებულ რეგიონებში განათლებას საერთოდ არ ექცევა ყურადღება. ავტორის აზრით, აუცილებელია სასწავლო დაწესებულებების გაზრდა, მასწავლებლების კვალიფიკაციისათვის დიდი ყურადღების მიქცევა და პედაგოგებისათვის ხელფასების მომატება, რომ ისინი უფრო დაინტერესებულები იყვნენ და მოსწავლეებს შესაფერისი ცოდნა მისცენ (ფონდი 480-1 995).

მსგავს პრობლემასთან დაკავშირებით 1899 წ. აკრძალეს „ივერიაში“ დასაბეჭდი გ. წყალტუბოელის წერილი „მასწავლებელთა განათლების შესახებ“. წყალტუბოელი შეწუხებულია, რომ განსაკუთრებით საქართველოში (განსხვავებით რუსეთისაგან, თუმცა იქაც არ არის სახარბიელო ვითარება-თ.ც.) მასწავლებლებად ინიშნება ყველა, ვისაც ამის სურვილი გააჩნია. ზოგიერთი პირდაპირ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იწყებს მუშაობას, თუმცა არავითარი პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნია. საკმარისია მასწავლებელს ჰქონდეს დიპლომი ან რაიმე ტიპის მოწმობა. სწორედ ასეთი პედაგოგები გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებელში იწყებენ მუშაობას. ისინი მშვენივრად გრძნობენ თავიანთ გასაჭირს და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ უმეცრება და გამოუცდელობა დაფარონ. სამწუხაროდ, მოსწავლეებიც კარგად ხედავენ, რომ საქმე ცუდად მიდის. პედაგოგები გულის ჯავრს მოსწავლეებზე იყრიან ცუდი ნიშნების დაწერით, დასჯითა და უკადრისი სიტყვების სროლით. ბევრი ყმაწვილი ხდება მსხვერპლი ამგვარი უსამართლობისა, მოსწავლეები, პირიქით, თავიანთ წარუმატებლობას მასწავლებელს აბრალებენ. ამას ყურადღებას არავინ აქცევს. მასწავლებლები იმდენად დაკავებული არიან, რომ დრო არ რჩებათ პედაგოგიური ლიტერატურა იკითხონ, ან გამოცდილი მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს დაესწრონ. არც ხელფასი და არც ჯილდო არ არსებობს, რომ პედაგოგები უზრუნველყოს. ამიტომაც მასწავლებლობა არ არის მოთხოვნადი პროფესია. ძვირფასი დრო კი იკარგება. რუსეთში უშინსკის სურვილი იყო, დაეარსებინა საოსტატო ინსტიტუტები, ანდა უნივერსიტეტებში პედაგოგიური ფაკულტეტები გაეხსნა. მას ყურადღება არავინ მიაქცია, თუმცა რუსეთში ნელ-ნელა ცდილობენ, რომ შეცდომა გამოასწორონ და საოასტატო ინსტიტუტები დააარსონ. ჩვენთან ამ მხრივ მძიმე მდგომარეობააო, – წერს წყალტუბოელი. ავტორი ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე რჩევას იძლევა. კერძოდ, რომ უნივერსიტეტებთან დაარსდეს პედაგოგიური ფაკულტეტები, ან გაიხსნას სპეციალური საპედაგოგო ინსტიტუტები, სადაც მასწავლებლობის კანდიდატები ცნობილი პროფესორების ხელმძღვანელობით მოემზადებიან. მათ თეორიულად უნდა შეისწავლონ ყველა ის საგანი, რომლის ცოდნაც აუცილებელია და გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით იმ საგნებში ივარჯიშონ, რომლის სწავლებასაც იკისრებენ. გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებს არც სასულიერო სემინარიები ჩამორჩებიან. სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულებიც პედაგოგი-

ური საქმიანობისათვის საოცრად მოუმზადებელი არიან. ისინიც გრძნობენ თავიანთ გამოუცდელობას. ბევრი თავს ანებებს პედაგოგიურ საქმიანობასა და სოფლებში მღვდლობას არჩევეს. ასეთი ვითარება იქმნება, როდესაც სემინარიებში ან ძალიან გამოუცდელი პედაგოგები ასწავლიან, ანდა მოხუცები, ვისაც უკვე ძალ-ღონე არ შესწევს ამ მოვალეობის შესასრულებლად. ამიტომაც მოსწავლეებზე მათი გავლენა თვალსაჩინო არ არის. განათლების დონის ასამაღლებლად აუცილებელია პედაგოგებისათვის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება (480-1 1507).

ცენზორი არ უშვებს სტატიას, რომელიც გაზ. „Кавказ“-ში უნდა გამოქვეყნდეს. სტატია მასწავლებლებს ეძღვნება. ის ხელმოუწერელია და, ალბათ, რედაქციას ეკუთვნის. რედაქცია წუხილს გამოთქვამს, რომ მასწავლებლებს ძალზედ დაბალი ხელფასები აქვთ და, ბუნებრივია, ეს ვითარება სასწავლებლებში სწავლების ხარისხზე მოქმედებს, თანაც პედაგოგებს უნივერსიტეტის დიპლომი ანდა განათლების „მაღალი დონის დოკუმენტის“ წარდგენა სჭირდებათ. თუ სახელმწიფოსგან სათანადო, ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა ამ საკითხს, ეს პრობლემა სავალალო შედეგებს გამოიწვევს (480-1-594).

საცენზურო კომიტეტი მსგავსი ტიპის უმარავ, მისთვის მიუღებელ წერილს „ატუსაღებდა“, რომლებშიც განათლების სისტემაში სასულიერო ან საერო პირების მექრთამეობასა და თავგასულობაზე იყო საუბარი. რუსული იმპერიული ცენზურის „რეაქციულ თარეშს“ წინ ქართული მწერლობა, პრესა, თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ყველა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია აღუდგა. მიუხედავად უმძიმესი შეზღუდვებისა, რუსულმა იმპერიამ ვერ შესძლო საქართველოს გარუსება, ქართველი კაცის გადაგვარება, ქართული ენის „წაშლა“.

თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი, ანა დოლიძე
Tamar Sharabidze, Tamar Tsitsishvili, Anna Dolidze

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიზნები და ამოცანები
(მხატვრულ ტექსტან ცენზურის მიმართების კრიტერიუმები)

The Goals and Objectives of the Caucasus Censorship Committee
(Criteria for Applying Censorship to Literary Texts)

Annotation

The Caucasus Censorship Committee, from the day of its establishment (December 18, 1848) until its renaming (on October 24, 1905, the censorship committees of the Russian Empire were renamed as "Printing Affairs Committees") and beyond, served as one of the primary mechanisms for maintaining the empire. It was closely connected to various administrative and punitive bodies of Tsarism. The purpose of the Caucasus Censorship Committee was to control printed material, recognizing the immense influence the written word has on society and its readers. From the empire's perspective and philosophy, strict control over printed materials was deemed essential. The structure of the imperial mechanism can be visualized as follows: the Emperor (the sole ruler at the head of the empire), the Governor-General or Viceroy (the representative of the Russian Empire in a specific region, with authority over all institutions in the area), the Viceroy's Chancellery, the Ministry of Internal Affairs, the Governor, the Vice-Governor, the Caucasus Censorship Committee, the police, the judiciary, customs offices, printing houses, libraries and reading rooms, bookstores, theaters, writers or publicists, and finally, the readers (or audience).

The primary directives for control originated from the Emperor. Secondary authority alternated between the Viceroy's Chancellery and the Ministry of Internal Affairs. For any printed material to be published (books, brochures, articles, journals, or other types of printed matter), approval had to be sought from the Governor. The Governor would then forward the request, along with additional materials (e.g., in the case of a journal, the editor's personal information and program), to the Caucasus Censorship Committee. This committee operated based on the statutes on "Printing Affairs," prepared by the Viceroy's Chancellery on the Emperor's orders, supplemented by circulars. The censor would review the submitted material and provide their opinion (whether publication should be permitted or prohibited), sending their decision back to the Viceroy's Chancellery, which would, in turn, respond to the Governor's request. Additionally, alphabetical lists of prohibited and permitted literature were compiled and sent monthly, in

several copies, to all censorship committees across the empire. These lists were periodically updated and republished with additional entries. The Caucasus Censorship Committee takes measures to ensure that prohibited publications or banned foreign literature do not inadvertently reach readers or appear for sale. To achieve this, it utilizes various means to make these restrictions public: the prohibitions are sent to local police and governors, who are obligated to monitor compliance. Additionally, bans are disseminated through the main printing office's journal, “Book Chronicle”, which publishes both an "Alphabetical List of Prohibited Books" and an "Alphabetical List of Works Reviewed (and Prohibited) by Foreign Censorship." The frequency of these publications underscores the vigilance of censorship to ensure that the imperial dictatorship's laws are upheld. Prohibitions are quickly communicated to bookstore owners, public libraries, reading rooms, distributors, and sales supervisors. The police periodically inspect these lower levels of distribution, conducting searches, confiscating banned literature, and destroying it. If prohibited materials are discovered in an institution, the establishment's owner is referred to the courts. This system forms an extensive mechanism of imperial dictatorship, overseen by the Minister of Internal Affairs.

The Caucasus Censorship Committee also maintains active engagement with customs authorities. Notably, Georgia serves as a transit country, and books entering Georgia's customs points via transit are inspected by the committee before being forwarded to their destinations in Russia and the Caucasus. Customs officials send all forms of printed materials (including drawings, maps, sheet music, and photographs) to the censorship committee, and parcels are not delivered to their owners until approval is granted. The review process can be quite lengthy.

The committee also maintains a journal where all printed or handwritten books and publications submitted for review are meticulously recorded. Each entry includes extracts noting when the review took place, in the presence of which censors, and the accompanying resolutions.

Permission for any periodical publication is granted by the Censorship Committee in accordance with censorship laws, but it also aligns with the empire's objectives, specifically promoting the "Russian element" and advancing regional education through the adoption of the Russian language. While the development of journals and newspapers in local languages is considered necessary for the progress of local populations, the empire does not favor the expansion of such publications. These periodicals are required to operate at their own expense, and their editors are expected to be relatively educated and "well-disposed" (Authors note: naturally, toward the empire). Additionally, censorship for local publications, particularly in the provinces, is stricter and more meticulous.

Beyond printed material, the Caucasus Censorship Committee also evaluates educational curricula, as these programs form the foundation for developing textbooks.

Religious materials are reviewed in collaboration with the highest religious authorities of the respective faiths, who provide conclusions on the appropriateness of the content. The Georgian Orthodox Church is an exception, as it is overseen by a Russian exarch who does not know the Georgian language. Consequently, Georgian-language religious materials are reviewed by a teacher specifically appointed for this purpose by the theological seminary. This underscores the unequal treatment of Georgians and other ethnic groups in religious matters, a topic frequently discussed in the Georgian press.

Later, the Censorship Committee established separate branches for specific areas, such as medical, military, and theatrical censorship. Military matters were subject to particularly strict scrutiny, with bans on publishing information about troop movements unless officially announced by the government. Medical, artistic, and musical fields also faced rigorous censorship.

Publications about the conditions of theological schools, the harsh economic circumstances and oppression in certain regions, unlawful court decisions, revolutionary activities, unrest at universities or other higher institutions, interethnic conflicts, sexual freedom, or suicide were prohibited. Additionally, information about members of the imperial family could not be published without renewed approval from the Minister of the Imperial Court. Insulting an official was punishable by holding the newspaper editor personally accountable under Article 68 of the Censorship Committee's statute. From July 9, 1896, the publication of any information regarding the appointment or transfer of state officials was banned in local periodicals.

It is noteworthy that from 1848 until the 1960s and 70s, the materials related to literary works stored in the Caucasian Censorship Committee's archive are very limited, mainly consisting of the committee’s documents, including permits, prohibitions, and customs records for incoming materials. However, starting from the 1970s, alongside the activation of the press and theater, the archive began to hold records of materials that were submitted for review. The 1980s and 1990s stand out for a particular surge in activity.

Although theatrical censorship as a specific field was separated starting in 1879, it was based on the censorship law for dramatic works passed by the State Council on April 6, 1865, which stipulated that all dramatic works intended for performance in theaters must be sent to the Main Department of Printing Affairs for review. The performances of plays approved by censorship were required to be staged according to the censored copies, under the personal responsibility of the theater owner; it was the duty of the police to monitor their accurate execution (including gestures) and prevent any “cynical tricks” during the performance (a special box should be allocated for the police in the theater). The law on dramatic works did not allow any exceptions for clubs, as public gatherings in capitals or provinces attracted far larger audiences than theaters. Therefore, the staging of

plays in such venues without dramatic censorship was not permitted. The dramatic censorship system also maintained lists of approved, banned, and temporarily banned plays, which were sent to theater owners and police departments to control the stage performances. In the case of violations, a legal case would be initiated in court.

We were particularly interested in the materials banned by censorship, which include some of the finest examples of both literary and journalistic works. The Caucasian Censorship Committee's archive, organized by years and periodical publications, holds the banned works from the 1880s, which include both literary and journalistic pieces. Their analysis reveals the themes that particularly concerned the Tsarist regime. We also came across dramaturgical texts that were either banned by censorship or altered with red ink. Some of these works are by well-known authors and are still not included in the collected works of their writings today. These texts, in their restored form, are gradually being published by us in an anthology entitled "Banned Materials of the Caucasian Censorship Committee."

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, მიზნები, ამოცანები საარქივო მასალები

Key words: Caucasus Censorship Committee, goals, objectives, archival materials

კავკასიის საცენზურო კომიტეტი დღიდან თავისი დაარსებისა (1848 წლის 18 დეკემბერი) მისთვის სახელის შეცვლამდე[1] და შემდგომაც წარმოადგენდა იმპერიის შენარჩუნების მექანიზმის ერთ-ერთ მთავარ რგოლს, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებული იყო ცარიზმის სხვადასხვა სახელისუფლებო თუ სადამსჯელო ორგანოებთან. საქმე ისაა, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტი შეიქმნა ბეჭდვითი სიტყვის გასაკონტროლებლად; ბეჭდვით სიტყვას კი უდიდესი ძალა აქვს საზოგადოებაზე, მკითხველზე. ამიტომაც იმპერიის აზრითა და სულისკვეთებით, მას აუცილებლად ესაჭიროება მკაცრი კონტროლი. იმპერიული მექანიზმის ჯაჭვი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: იმპერატორი (იმპერიის სათავეში მდგომი ერთპიროვნული მმართველი), მთავარმართებელი ან მეფისნაცვალი[2] (რუსეთის იმპერიის რომელიმე მხარის მმართველი, რომელსაც მისთვის რწმუნებულ

[1] 1905 წლის 24 ოქტომბრიდან რუსეთის იმპერიის საცენზურო კომიტეტებს გადაუკეთდათ სახელი და დაერქვათ „ბეჭდვითი საქმის კომიტეტები."

[2] 1844 წლიდან საქართველოში მთავარმართებელი შეიცვალა მეფისნაცვლით.

მხარეში ემორჩილება ყველა უწყება), მეფისნაცვლის კანცელარია, შინაგან საქმეთა სამინისტრო, გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, კავკასიის საცენზურო კომიტეტი, პოლიცია, სასამართლო, საბაჟო პუნქტები, სტამბები, ბიბლიოთეკები და სამკითხველო დარბაზები, წიგნის მაღაზიები, თეატრი, მწერალი ან პუბლიცისტი და ბოლოს – მკითხველი (მაყურებელი).

კონტროლის უპირველესი დირექტივები იმპერატორისაგან მოდის. მეორე ადგილზე მონაცვლეობით დგას მეფისნაცვლის კანცელარია და შინაგან საქმეთა სამინისტრო[1]. ნებისმიერი ბეჭდვითი სიტყვის გამოსაქვეყნებლად (წიგნი, ბროშურა, სტატია, ჟურნალი თუ სხვა სახის ბეჭდვითი მასალა) უნდა მიემართოს გუბერნატორს. გუბერნატორის შუამდგომლობა დამატებით მასალებთან ერთად (ჟურნალის შემთხვევაში – რედაქტორის პირადი მონაცემები და პროგრამა) იგზავნება კავკასიის საცენზურო კომიტეტში, რომელიც ხელმძღვანელობს იმპერატორის ბრძანების საფუძველზე მეფისნაცვლის კანცელარიის მიერ შედგენილი წესდებით „ბეჭდვითი საქმის შესახებ“ და მასზე დამატებული ცირკულიარებით. ცენზორი განიხილავს კომიტეტში შემოსულ მასალას და წერს მასზე თავის აზრს (უნდა მიეცეს დაბეჭდვის ნებართვა თუ აიკრძალოს), აგზავნის ისევ მეფისნაცვლის კანცელარიაში, რომელიც პასუხობს ადრესატს (გებერნატორს) შუამდგომლობაზე. პარალელურად დგება ალფაბეტური სიები აკრძალული და ნებადართული ლიტერატურისა, რომლებიც ეგზავნება იმპერიაში არსებულ ყველა საცენზურო კომიტეტს ყოველთვიურად რამდენიმე ეგზემპლიარად, გარკვეული დროის შემდეგ ეს სიები დამატებული ჩამონათვლით ივსება და ხელახლა იბეჭდება.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი ზრუნავს იმის თაობაზე, რომ აკრძალული გამოცემა ან აკრძალული უცხოური ლიტერატურა შემთხვევით არ გაიყიდოს და არ მივიდეს მკითხველამდე, ამიტომ ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ ეს ინფორმაცია გახდეს საჯარო: აკრძალვა ეგზავნება ადგილობრივ პოლიციასა და გუბერნატორებს, რომლებიც ვალდებულნი არიან, თვალყური ადევნონ, რამდენად სრულდება იგი. ასევე აკრძალვა ვრცელდება ბეჭდვითი საქმის მთავარი სამართველოს ჟურნალ „წიგნის ქრონიკის“ მეშვეობით, რომელშიც იბეჭდება როგორც „აკრძალული წიგნების ანბანური ჩამონათვალი», ასევე – „უცხოური ცენზურის მიერ განხილული (აკრძალული) ნაწარმოებების ანბანური სიები“. ეს სიები წელიწადში მრავალჯერ გამოიცემა: „აკრძალული გამოცემების ანბანური ჩამონათვალი» – 50-ჯერ წელიწადში, ხოლო „უცხოური ცენზურის მიერ განხილული ნაწარმოებების ანბანური სიები“ – 12-ჯერ. გამოცემათა სიხშირე მიგვითეთებს ცენზურის სიფხიზ-

[1] კავკასიის საცენზურო კომიტეტი თავდაპირველად სასწავლო ოლქის დაქვემდებარებაში იყო, 1860 წლიდან კი გადავიდა ჯერ სახალხო განათლების სამინისტროს, ხოლო 1863 წლიდან – შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. 1867 წლიდან კი შევიდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამართველოს შემადგენლობაში.

ლეზე, რათა არ დაირღვეს იმპერიული დიქტატურის კანონი, აკრძალვა სწრაფად მივიდეს მაღაზიათა მფლობელებთან, სახალხო ბიბლიოთეკებსა და სამკითხველო დარბაზებში, გამავრცელებელ პირებთან და გაყიდვების ზედამხედველებთან. პერიოდულად ამ ქვედა რგოლებს აკონტროლებს პოლიცია, აწარმოებს ჩხრეკას, აკრძალულ ლიტერატურას იღებს მოხმარებიდან და ანადგურებს, ხოლო იმ დაწესებულების მფლობელს, სადაც ამგვარი ლიტერატურა აღმოჩნდება, სასამართლოში გადასცემს. ეს მთელი მექანიზმია იმპერიული დიქტატურისა, რომელსაც ხელმძღვანელოს შინაგან საქმეთა მინისტრი (480 -1-, საქმე № 114). მაგალითისთვის მოგვყავს ერთი საქმე 480-1-135. 1873 წლის 11 დეკემბერს თბილისის გუბერნატორი მიმართავს „კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომ თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს უცნობებია მისთვის, რომ ივანოვის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩხრეკის დროს აღმოჩნდა ზოგიერთი გაყიდვიდან ამოღებული წიგნი, მათ შორისა, ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ?“. საგანგებო დავალებათა მოხელე ვიზგალოვს[1] დაევალა დაევალა ბიბლიოთეკიდან წიგნის ამოღება და განადგურება. გუბერნატორი კითხულობს, სად უნდა მოხდეს კონფისკაციით ამოღებული წიგნების განადგურება, ადგილზე თუ კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ რაიმე დაწესებულებაში.

კავკასიის საცენზურო კომიტეტს ინტენსიური ურთიერთობა აქვს საბაჟოებთან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველო ასრულებს ტრანზიტორი ქვეყნის როლს. ამიტომ ტრანზიტით საქართველოს საბაჟოებში შემოსული წიგნები მოწმდება კავკასიის საცენზურო კომიტეტში და შემდეგ იგზავნება დანიშნულებისამებრ რუსეთსა და კავკასიაში. საბაჟოები ყველა სახის ბეჭდურ პროდუქციას (მათ შორის – ნახატებს, ნახაზებს, რუკებს, ნოტების ფურცლებს, სურათებს, მისალოც ბარათებს) აგზავნიან საცენზურო კომიტეტში და სანამ არ მიიღებენ ნებართვას, ამანათი მფლობელთან არ მიაქვთ. ეს ნებართვა კი უმთავრესად დიდი ხნით იგვიანებს, რადგან საცენზურო კომიტეტი ვერ ახერხებს უზღვავი მასალის წაკითხვასა და შემოწმებას, მფლობელები კი საბაჟოებს სთხოვენ პასუხს; თავის მხრივ საბაჟოები თხოვნით მიმართავენ საცენზურო კომიტეტს, რომ ესა და ეს მასალა შეამოწმონ და გადმოუგზავნონ უკან. კანონი შერბილდა უცხო ქვეყნების კონსულებისათვის 1879 წლიდან. მათ ნება დაერთოთ, საცენზურო კონტროლის გარეშე მიეღოთ უცხოეთიდან გამოწერილი ლიტერატურა (480-1-3910).

კავკასიის საცენზურო კომიტეტში წარმოებს ჟურნალი, რომელშიც ზუსტად არის აღრიცხული განსახილველად შემოსული ნაბეჭდი თუ ხელნაწერი წიგნებისა და ნებისმიერი სახის გამოცემების სია. სიას თან ახლავს ამონაწერი, როდის და რომელი ცენზორების თანდასწრებით მოხდა საკითხის განხილვა, ასევე ახლავს

[1] საქმიდან ჩანს, რომ საგანგებო დავალებათა მოხელე ვიზგალოვს ევალება წიგნების ჯიხურების, სტამბებისა და იმ დაწესებულებების კონტროლი, რომლებიც აწარმოებენ და ყიდიან ბეჭდვით პროდუქციას.

რეზოლუციები, რომლრებიც იწყება შემდეგი ფრაზებით: „Уведомить“, „Обявить“, „Хранить удержанния экземпляры“, „Книги видать“, „возвратить“ და ა.შ., ყველაფერი ბრძანებით კილოში (480-1-45).

იმპერია აკონტროლებს არა მარტო იმას, თუ რა იბეჭდება, არამედ იმასაც, თუ სად იგზავნება და ვინ იბარებს. არაერთ საქმეში (480-1-114) დევს საბუთები, თუ სად არის გაგზავნილი დაბეჭდილი ან საბაჟოდან შემოსული წიგნები და ვინ ჩაიბარა ისინი (მიმღებთა ხელმოწერით).

ნებისმიერ პერიოდულ გამოცემაზე ნებართვას გასცემს საცენზურო კომიტეტი საცენზურო კანონის შესაბამისად, მაგრამ ის აუცილებლად ითვალისწინებს იმპერიის მიზანებსაც, რაც თვალნათლივ გამოჩნდა ბაქოში სომხურ ენაზე ყოველთვიური ჟურნალის – «Аршалуись» / „ცისკარი“ / – გამოცემის თაობაზე ერთ-ერთი ცენზორის მიერ დაწერილ დასკვნაში (480-1-131, საქმე№63). ცენზორი ყურადღებას ამახვილებს საკითხზე, რომ ბაქოს მხარის კეთილდღეობა დამოკიდებულია რუსეთთან მის შეკავშირებაზე, ამ მხარეში „რუსული ელემენტის“ გავრცელებაზე, მხარის განათლებაზე რუსული ენის დამკვიდრებით. მისი სიტყვებით, ეს ჭეშმარიტება უკვე ცნობილია არა მხოლოდ მაღალი, არამედ საშუალო ფენის დიდი ნაწილისათვის, რომელიც არა მხოლოდ ლაპარაკობს, არამედ წერს კიდეც რუსულად. ადგილობრივთა[1] უფრო მეტად განვითარებისათვის საჭიროა ჟურნალები და გაზეთები ადგილობრივ ენებზეც, მაგრამ ასეთ მკითხველთა და პრესის გამომწერთა რაოდენობა დიდი არ არის, რაც ნათლად ჩანს წაუკითხავი მასალიდან. ზემოთაღნიშნული ჟურნალი, ცენზორის აზრით, „რუსულ ელემენტს“ შეიტანს მხარეში. ის არც იმ ფაქტს უარყოფს, რომ ადგილობრივი პერიოდული გამოცემების გაზრდა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის იმპერიისთვის, ამიტომ მათ თავიანთი ხარჯით უნდა იარსებონ, მაგრამ სასურველია, რომ რედაქტორები იყვნენ „საფუძვლიანად განვითარებულნი“ (რუსულ კულტურასთან ინტეგრირებულნი) და „კეთილგანწყობილნი“ (რა თქმა უნდა, იმპერიისადმი_ კომენტარები ჩვენია). ამიერკავკასიის მხარეებში, სადაც ნაკლებად განვითარებულია რუსული ენა, რასაკვირველია, მოიძებნება ადგილობრივი ჟურნალების მკითხველები, მაგრამ იმპერიის მიზანი რუსული ენის გავრცელებაა (და არა ადგილობრივთა ხელშეწყობა – კომენტარი ჩვენია). ცენზორის აზრით, ამ მხრივ (რუსული ენის ათვისების თვალსაზრისით) ადგილობრივები ნამდვილად ვითარდებიან, მაგრამ მაინც გონებრივად ჩამორჩენილნი არიან. მშობლიურ ენებზე გამოცემული ჟურნალებიც სწორედ მათი განვითარებისთვის იქმნება. მაგრამ ასეთ საქმეში საჭიროა სიფრთხილეც: პროვინციებში, განათლების დაბალი მაჩვენებლის გამო, მასობრივ ადგილობრივ გამოცემებს უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე თბილისში. თბილისი გუბერნიის ცენ-

[1] საცენზურო კომიტეტის სხვადასხვა ცირკულარში კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობა (მათ შორის – ქართველები) ყოველთვის ტუზემცებად მოიხსენიება.

ტრია; აქაურ რედაქტორთა გონებრივი და მორალური ღირსებები გაცილებით მეტია; ცენტრში ადვილია კონტროლიც. სხვა ადგილობრივ გამოცემათა მიმართ (პროვინციებში) კი ცენზორი გაცილებით ყურადღებიანი და მკაცრი უნდა იყოს. ადვილი მისახვედრია, რომ „კეთილგანწყობილება“ ნიშნავს მორჩილებას, რომელსაც, გონიერებასთან ერთად, იჩენს თბილისში გამოსული პრესის რედაქტორთა უმრავლესობა, რადგან მათი მიზანი ჟურნალის გადარჩენაა დახურვისაგან (კომენტარი ჩვენია). საცენზურო კომიტეტი რედაქტორებს იმპერიისადმი „სანდოობით“ ამოწმებდა. ნებისმიერი ტიპის გამოცემის რედაქტორის დანიშვნა ან შეცვლა საცენზურო კომიტეტის პრეროგატივა იყო. ჟურნალ-გაზეთების რედაქტორობის მსურველთა განცხადებები არაერთხელ მოწმდებოდა, რის გამოც მათ ხანგრძლივი ლოდინი უწევდათ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტში ბეჭდვითი სიტყვის გარდა, განიხილებოდა სასწავლო პროგრამებიც, რადგან სწორედ ეს პროგრამები ედებოდა საფუძვლად სახელმძღვანელოების შექმნას. 480-1-62 საქმის დოკუმენტების მიხედვით, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს კავკასიის საცენზურო კომიტეტში შემოაქვს განსახილველად ხაზვის, ხატვისა და სუფთა წერის პროგრამები (1870 წ. 20 მარტი). ცარიზმის რუსიფიკატორული პოზიცია განსაუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს საგანმანათლებლო დაწესებულებში. ქართულ ენას დაწყებით კლასებში უმნიშვნელო საათები ეთმობოდა, რუსულ ენას კი გაბატონებული პოზიცია ეკავა. უკიდურესად მძიმე იყო იმ პატარა ბავშვების მდგომარეობა, რომლებიც გიმნაზიაში იწყებდნენ სწავლას და რუსული არ ესმოდათ. იმპერიის მსახურები საცენზურო კომიტეტის დახმარებით ცდილობდნენ, რომ მეგრელები, სვანები და აჭარლები ცალკე ეროვნებად გამოეცხადებინათ, მათთვის ცალკე შეექმნათ ანბანები.

თავდაპირველად კავკასიის საცენზურო კომიტეტში არსებობდა ორი შტატი (დასავლური და აღმოსავლური ენების ცენზორებისა), რელიგიურ მასალას უგზავნიდნენ შესაბამისი რელიგიის უმაღლეს საღვთისმსახურო პირს და მისგან იღებდნენ დასკვნას მასალის ვარგისიანობის შესახებ. რადგან ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას რუსი ეროვნების ეგზარხოსი განაგებდა, რომელმაც ქართული არ იცოდა, ქართულენოვანი რელიგიური მასალის შესამოწმებლად მიმართავდნენ სასულიერო სემინარიას, რომელსაც ამ საქმისთვის გამოყოფილი ჰყავდა სემინარიის მასწავლებელი. ძირითადად გვხვდება სასულიერო მოღვაწის – გიორგი ხელიძის – რეცენზიები. აღსანიშნავია, რომ ქართველ მართლმადიდებლებს ის ფაქტი, რომ მათი რელიგიური საკითხების გადაწყვეტა ეროვნებით რუს ეგზარხოსს ევალებოდა, სხვა ერებთან შედარებით დაჩაგრულ მდგომარეობაში აყენებდა. ამის შესახებ არაერთხელ გამოუთქვამთ წუხილი ქართულ პუბლიცისტიკაში. ქართველ და სხვა ეროვნების ხალხთა არათანაბარი პირობები სასულიერო საკითხში ნათლად წარმოჩნდება 480-ე ფონდის მასალებიდანაც. 480-1-174 საქმის მიხედვით,

სრულიად სომხეთის კათალიკოს-პატრიარქს ეძლევა სომხურ ენაზე სასულიერი წიგნების ბეჭდვის უფლება: კავკასიის საცენზურო კომიტეტი მიმართავს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს სომხეთის კათალიკოს-პატრიარქის თხოვნის შესახებ. ეს უკანასკნელი კავკასიის საცენზურო კომიტეტს სთხოვს ნებართვას, რომ სომხურ ენაზე წიგნების გამოცემას თავად გაუწიოს ზედამხედველობა. ის აღნიშნავს, რომ მსგავსი სახის ნებართვა მას მინიჭებული აქვს მთავარმართებლისაგან ეჩმიაძინის სტამბაში ჟურნალ „არარატის“ გამოცემაზე. ეს ჟურნალი გამოდის 1868 წლიდან პატრიარქის პასუხისმგებლობით, საცენზურო კომიტეტის შემოწმების გარეშე. მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამმართველოს უფროსს, ბარონ ნიკოლაის, მიზანშეწონილად მიაჩნია სომხური რელიგიური ლიტერატურის შემოწმების მთლიანად ჩამოშორება კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობიდან და სომხეთის კათალიკოს-პატრიარქისთვის ჩაბარება. მსგავსი უფლებები ჰქონდათ სხვა რელიგიის (კათოლიკური, მაჰმადიანური) მსახურებსაც, ქართული ეკლესია კი აღარ არსებობდა სწორედ მართლმადიდებლობის გამო.

სასულიერო სემინარიებიც მთლიანად ეგზარხოსებს ემორჩილებოდა. ჩვენ ხელთ გვაქვს უამრავი მასალა, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა უმძიმეს მდგომარეობაში იყვნენ ქართველი სემინარიელები. ეგზარხოსმა პავლემ აკრძალა თბილისის სემინარიებში ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურის სწავლება. იაკობ გოგებაშვილი მასზე წერდა: „ეგზარხოსმა პავლემ ისე ცხადად გამოავლინა თავის ტომობრივი ერთგულება, რომ ქართველ საზოგადოებაში საყოველთაო განცვიფრება და გულისწყრომა გამოიწვიაო“ (გოგებაშვილი 1952: 455). საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, პროვინციებში, სადაც არ ესმოდათ რუსული ენა, წირვა-ლოცვა რუსულად მიმდინარეობდა. ქართველი მღვდლების თხოვნას, რომ წირვა ქართულ ენაზე ჩატარებულიყო დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე მაინც, ეგზარხოსები და საცენზურო კომიტეტი უარყოფითად პასუხობდა.

მოგვიანებით საცენზურო კომიტეტში შტატები გაიზარდა: იყვნენ უფროსი და უმცროსი ცენზორები, აგრეთვე – საცენზუროდ მოწვეული მასწავლებლები; გამოიყო ცალკე მიმართულებებიც: სამედიცინო, ფარმაცევტული, სამხედრო, თეატრალური და ა. შ. იქმნებოდა ცირკულარები საპარიკმახეროებისთვისაც კი[1]. მკაცრი ცენზურა არსებობდა სამხედრო საქმეში (არ შეიძლებოდა სამხედრო ნაწილების გადაადგილების შესახებ ცნობების მიწოდება, გარდა მთავრობის ოფიციალური განცხადებებისა)[2], სამედიცონო სფეროშიც (ექიმის განცხადებას თან უნდა დართვოდა მისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი)[3], სამხატვრო და სამუ-

[1] ერთი პერიოდი კაცებისათვის წვერ-ულვაშის გაპარსვაც იკრძალებოდა.

[2] იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, 480-ე ფონდის მასალები: 480-1-262,

[3] 1885 წ. ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო მიმართავს გუბერნიების ხელმძღვანელებს, თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს გაზეთებში სამედიცინო სახის განცხადებებს. სამედიცინო საბჭომ საჭიროდ მიიჩნია შემდეგი: ა) განცხადების გამომქვეყნებელმა ექიმებმა უნდა მიუთითონ გვარი, სპეციალობა, სწავლების ხარისხი, მისამართი და ავადმყოფების მიღების საათები. ბ) მკურნალობის

სიკო ხელოვნებაშიც[1]. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო დადგენილება გამოფენის მოწყობის წესების შესახებ (№1234), რომელიც ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ 1885 წლის 9 აპრილს გადაუგზავნა გუბერნიის ხელმძღვანელებს. დადგენილების მიხედვით: 1) გამოფენის საჯარო მოწყობის ნებართვა უნდა გასცეს ადგილობრივმა მთავრობამ: ე.ი. გენერალ-გუბერნატორმა, გუბერნატორმა, ქალაქისა თუ სამხარეო მმართველობამ (რომელსაც მიეკუთვნება ადგილი, სადაც გამოფენა უნდა ჩატარდეს); 2) სწორად და მკაცრად შეფასდეს საჯაროდ გამოსატანი ნამუშევრები; გამოფენათა ორგანიზატორებმა აუცილებელია წინასწარ გადაუგზავნონ მთავრობას გამოსაფენი ნამუშევრების მიმოხილა. 3) თუ საგამოფენო ექსპონატებში აღმოჩნდება ისეთი ნამუშევარი, რომელიც მიჩნეულია მავნებლურად, მასში ასახული ტენდენციებიდან გამომდინარე, მაშინ ასეთი ნამუშევარი გამოფენის გახსნამდე უნდა იქნას ამოღებული და „მოშორებული დამთვალიერებლისგან“; 4) გამოფენათა წინასწარი მიმოხილა უნდა მოამზადონ ცენზორებმა (480-1-682).

აკრძალული იყო სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობაზე სტატიის გამოქვეყნება, აგრეთვე – ამა თუ იმ კუთხეში ხალხის მძიმე ეკონომიკურ ყოფასა[2] და ჩაგვრაზე[3], სასამართლოს არაკანონიერ გადაწყვეტილებებზე, რევოლუციურ[4] ან სხვა სახის მღელვარებებზე უნივერსიტეტებსა და უმაღლეს დაწესებულებებში[5],

---

ნებისმიერი სახით ქება აკრძალულია. გ) სტამბებს ეკრძალებათ ზემოთწარმოდგენილი ტიპის განცხადებების დაბეჭდვა ადგილობრივი სამედიცინო სამმართველოს ნებართვის გარეშე. სამედიცინო საბჭოს ეს დადგენილება დამტკიცებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ (480-1-682).

[1] 1985 წელს აიკრძალა პირველი ხარისხის აკადემიის პენსიონერი მხატვრის, გორსკის, ნახატის – „კუდეიარის მესამე გამოცდა“ (ივანე მრისხანეს დრო) – სამხატვრო აკადემიისა და სხვა გამოფენებზე ჩვენება, აიკრძალა მისი ასლის გავრცელებაც (480-1-682).

[2] 1874 წლის 11 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა გუბერნატორებს, რომ არ დაეშვათ გამოსაქვეყნებლად ისეთი სტატიები, რომლებშიც საუბარი იქნებოდა გუბერნიებში მოუსავლიანობისა და შიმშილის შესახებ (480-1-178). 1899 წლის 12 აპრილის დოკუმენტით (საქმე № 5084) პრესაში არ შეიძლება აისახოს ინფორმაცია ხოლერისა და შავი ჭირის ეპიდემიის შესახებ (480-1-1556). დაუშვებელია გამოქვეყნდეს მასალები ციხეებში არსებულ გაუსაძლის მდგომარეობაზე იქ გავრცელებულ სნეულებებზე.

[3] შინაგან საქმეთა სამინისტრო კრძალავს არა მხოლოდ მსჯელობას, არამედ ყოველგვარ ცნობებსაც გლეხთა ბატონყმობისაგან განთავისუფლების 25 წლისთავთან დაკავშირებით (480-1-682). 480-1-1992 საქმეში დევს სეფისპირელის სტატია „ხმა გურიიდან, რომელშიც აღწერილია გურული გლეხის გაჭირვებული ცხოვრება და შედარებულია ინგლისელი მშრომელის ცხოვრებასთან. სტატია დაბეჭდილია „ივერიაში“ 1905 წელს, რის გამოც რედაქტორს გაფრთხილება მიეცა.

[4] იკრძალება მარქსის „ეკონომიკური სწავლება“ (Экономические ученье), აგრეთვე მარქსის ბიოგრაფიის დაბეჭდვაც (480-1-1316); კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო პასუხს სთხოვს კსკ-ს იმის თაობაზე, თუ რატომ გასცა უფლება «თბილისის უწყებანის“ 67-ე ნომერში ამერიკულ გაზეთ „ნიუ-ორკის“ მაცნედან“ გადმოთარგმნილი სტატიის დაბეჭდვისა (480-1-182). იკრძალება რევოლუციური შინაარსის ბროშურები 480-1-268, საქმე № 2119); ნიკო ნიკოლაძის საქმე სასამართლოშია გადაცემული 1879 წლის გაზეთ „ობზორში“ (№ 350) ორი სტატიის გამო, რომლებშიც სახელმწიფო გადატრიალებაზეა საუბარი.

[5] იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, 480-ე ფონდის მასალები: (480-1-157), (480-1-1556, საქმე №2036, 1899წ. 18 მარტი). ბიბლიოთეკებიდან ამოღებულ უნდა იქნას წიგნი სათაურით „Марсельцы», რომელიც წარმოადგენს საფრანგეთის რევოლუციის დროების ამსახველ მოთხრობას (1903 წ.) (480-1-1997).

ეროვნებათშორის კონფლიქტზე[1], თავისუფალ სექსუალურ თემებზე[2], სუიციდზე (480-1-1425) წერა. იმპერატორის ოჯახის წევრებზე და იმპერიის ფარგლებში მათ გადაადგილებაზე ინფორმაციის მიწოდება არ შეიძლებოდა საიმპერატორო კარის მინისტრის ხელახალი ნებართვის გარეშე (480-1-152). ერთ-ერთ საქმეში (480-1-1556, საქმე № 2748) წარმოდგენილია სია იმ პირებისა, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის სამეფო კარის წევრებად. თანამდებობის პირის შეურაცხყოფისათვის ისჯებოდა პირდაპირ გაზეთის რედაქტორი საცენზურო კომიტეტის წესდების 68-ე მუხლით (480-1-674); 1896 წლის 9 ივლისიდან ადგილობრივ პერიოდულ პრესაში იკრძალება სახელმწიფო პირთა დანიშვნებისა და მათი გადაადგილების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის ბეჭდვა (480-1-1617).

ასეთი სახის აკრძალვები იმდენია, რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით გვინდა აღვნიშნოთ, ყველაზე მკაცრად და დაკვირვებით ცენზურა მხატვრულ სიტყვას აკონტროლდებოდა.

აღსანიშნავია, რომ 1848 წლიდან 60-70-იან წლებამდე კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივში შენახული მხატვრული სიტყვის მასალები ძალიან მცირეა, ძირითადად კომიტეტის დოკუმენტებია, მათ შორის ნებართვები ან აკრძალვები, საბაჟოდან შემოსული მასალის აღრიცხვები. 70-იანი წლებიდან კი, პრესისა და თეატრის გააქტიურებასთან ერთად, არქივში შემონახულია განსახილველად შემოსული მასალების პირები. განსაკუთრებული აღმავლობით გამოირჩევა 80-90-იანი წლები, შემოდის უამრავი შუამდგომლობა ამა თუ იმ გაზეთის გახსნისა, თავად ავტორებს შემოაქვთ თეატრალურ ცენზურაში თავიანთი თუ სხვისი ხელით 3 ეგზემპლიარად გადაწერილი პიესები ნებართვის მისაღებად; შემონახულია მთელი რიგი გაზეთებიდან ამოღებული მასალა.

თეატრალური ცენზურა ეფუძნება 1865 წლის 6 აპრილს სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ საცენზურო კანონს დრამატურგიული ნაწარმოებების შესახებ, რომლის მიხედვითაც (480-1-31): 1) თეატრში დასადგმელად გამიზნული ყველა დრამატურგიული ნაწარმოები (თუნდაც უკვე დადგმული მოსკოვისა და პეტერბურგის თეატრის სცენებზე)[3] უნდა გადაიგზავნოს გადასასინჯად ბეჭდვითი

[1] კავკასიის საცენზურო კომიტეტი კრძალავდა ებრაულ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებს ეროვნებათშორისი კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, სინამდვილეში თავად უწყობდა ხელს ამ კონფლიქტს, რაც კარგად გამოჩნდა 480-ე ფონდის მასალებში (480-1-32), (480-1-136), (480-1-1694), (480-1-1696); იკრძალება „მალარასიულ დიალექტზე“ მხატვრული ნაწარმოებებისა და თარგმანის დაბეჭდვა მთელი იმპერიის ფარგლებში (480-1-268, საქმე 3570, 1876 წ. 23 ივნისი); 1885 წელს კსკ-ში განსახილველად შესულ გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან ამოღებულია სიტყვები – „საქართველო“ და „ქართველები“. მის მაგივრად მითითებულია „ტფილისის გუბერნია“ და იმერეთი (480-1- 684).

[2] შინაგან საქმეთა სამინისტრომ აკრძალა მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ ნებადართული და უკვე დაბეჭდილი ლ. მარტინოს (ფრანგულიდან ჟარნოვსკის მიერ ნათარგმნი) ბროშურის – „ონანიზნი, საფიზმი და სოდომია ქალებში“ – საჯაროდ გავრცელება (480-1-682).

[3] მოსკოვისა და პეტერბურგის სამეფო თეატრებში უკვე დადგმული სპექტაკლების დადგმის უფლება არა აქვთ პროვინციის ადგილობრივ თეატრებს ხელახალი ცენზურის გავლის გარეშე.

საქმის მთავარ სამართველოში; 2) ადგილობრივმა პოლიციამ არ უნდა დაუშვას დასადგმელად ისეთი პიესები, რომლებიც, თუმცა იყო დაბეჭდილი სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში, მაგრამ არ იყო წარმოდგენილი სცენაზე დადგმისათვის ნებართვის მისაღებად; 3) ყველა აფიშა და განცხადება დაბეჭდვისთანავე უნდა გადაიგზავნოს ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოში; 4) ცენზურის მიერ შემოწმებული პიესების დადგმა უნდა მოდხეს აუცილებლად საცენზურო ეგზემპლიარების მიხედვით თეატრის მფლობელის პირადი პასუხისმგებლობით; 5) პიესებიდან, ბალეტებიდან და პანტომიმებიდან შესრულებული ლიბრეტო, ტექსტები და კუპლეტები, რომლებსაც შეასრულებენ როგორც გარეუბნებში, ასევე შიგ ქალაქში გამართულ დღესასწაულებზე, წინასწარ უნდა წარმოადგინონ დრამატურგიული ნაწარმოებების ცენზურაში განსახილველად; 6) პოლიციის მოვალეობაა, თვალყური ადევნოს მათ ზუსტ შესრულებას და არ დაუშვას „ცინიკური ხრიკები“ წარმოდგენის დროს.

1865 წლის 6 აპრილის (თავი V, გვ. 31) საცენზურო კანონის მიხედვით (480-1-262): 1. დრამატურგიული თხზულებები ნებადართულია თეატრებში დასადგმელად მხოლოდ სპეციალური დრამატურგიული ცენზურის მუშაკთა ნებართვით. ნებართვის გარეშე სცენაზე რაიმეს დადგმა არ შეიძლება; 2. კანონი დრამატურგიული ნაწარმოებების შესახებ არ უშვებს არანაირ გამონაკლისს კლუბებისათვის, რადგანაც დედაქალაქებისა თუ პროვინციების საზოგადოებრივ თავყრილობებზე გაცილებით მეტი მაყურებელი იყრის თავს, ვიდრე თეატრში. ამიტომ პიესათა დადგმა ასეთ ადგილებში დრამატურგიული ცენზურის გარეშე დაუშვებელია; 3. კლუბებსა და საზოგადოებრივ ადგილებში სპექტაკლის დადგმა უნდა ითვალისწინებდეს სამ პირობას: ა) კლუბებსა და თავშეყრის ადგილებში სპექტაკლის დასადგმელად ორგანიზატორებმა უნდა გამოითხოვონ ნებართვა ადგილობრივი პოლიციისგან; ბ) კლუბებისა და თავყრილობათა სცენებზე არაფრით არ შეიძლება იმ პიესათა დადგმა, რომლებიც ნებადართული არ არის დრამატურგიული ცენზურის მიერ; არ შეიძლება გადახვევა ცენზურის მიერ დადგენილი ტექსტიდან; გ) ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს ან სასწავლო ოლქის რწმუნებულის ხელახალი ნებართვის გარეშე აკრძალულია სცენაზე დაბეჭდილი ან ადრე ნებადართული მოთხრობების, ლექსების, კუპლეტებისა და ა.შ. მხატვრული კითხვა; დ) ყოველ სპექტაკლზე პოლიციისთვის გამოყოფილი უნდა იყოს სავარძელი, რათა მას შეეძლოს სცენის თვალყურისდევნება. ე) ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს დროულად უნდა გაეგზავნოს იმ პიესათა აფიშები, რომლებიც კლუბების სცენაზე უნდა დაიდგას. 4. ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში პოლიციამ საქმე უნდა აღძრას სასამართლოში. 5. სტამბებს ევალებათ, რომ აფიშებზე აუცილებლად იყო მიწერილი (დაბეჭდილი) მათი თანმიმდევრული ნომრები. პოლიციის ხელმძღვანელებმა დაბეჭდვისთანავე დაუყოვნებლივ უნდა წარადგინონ აფიშები მთავარ სამართველოში, თანმხლები საბუთების გარეშე, მხოლოდ წარწერით კონვერტებ-

ზე: „ამა და ამ პოლიცმეისტერისგან ან პოლიციის ოფიცრისაგან აფიშა №...“, კონვერტზე მითითებული ნომერი და აფიშის ნომერი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს (ამ ნომრებით მთავარი სამმართველო აღმოაჩენდა არალეგალურად დაბეჭდილ აფიშებს).

როგორც ვხედავთ, ცენზურა მკაცრს კონტროლს აწესებს სცენაზე, რადგან კარგად იცის, რომ სცენიდან გაჟღერებული სიტყვა გაცილებით სწრაფად და ეფექტურად მოქმედებს მაყურებელზე, იწვევს მის დაუფარავ რეაქციას.

1869 წლის 11 დეკემბერს კავკასიის საცენზურო კომიტეტში კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარი სამართველოს კანცელარიიდან შემოდის წერილი დრამატული ნაწარმოებების სიების შესახებ. წერილი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ წარმოაჩენს ბიუროკრატიული რეჟიმის მთელ სირთულეს, რაც მდგომარეობს შემდეგში: საცენზურო კომიტეტი თავად უგზავნის მთავარ სამართველოს შემოწმებულ მასალას თავისი კომენტარებით, მთავარი სამართველო კი წყვეტს, რა უნდა იყოს დადგმული, რა – არა, და რა არის დასაშვები შემდგომში დასადგმელად, რა თქმა უნდა, თუ ავტორი მასში ცენზურის მიერ მითითებულ შესწორებებს შეიტანს. ამის შემდეგ მეფისნაცვლის სამმართველო ადგენს სიებს და კვლავ საცენზურო კომიტეტს უგზავნის, რათა ამ უკანასკნელმა გადააგზავნოს თეატრის მფლობელებთან და პოლიციის განყოფილებებში (480-1-32).

ჩვენ განსაკუთრებით დაგვაინტერესა ცენზურის მიერ აკრძალულმა მასალამ, რომელშიც შედის მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვის საუკეთესო ნიმუშები. გვინდა აქვე გავაანალიზოთ ის აქცენტები, რომელთაც განსაკუთრებით უფრთხოდა ცარიზმი. კავკასიის საცენზურო კომიტეტში წლებისა და პერიოდული გამოცემების მიხედვით XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ერთადაა თავმოყრილი აკრძალული თხზულებები, როგორც მხატვრული, ასევე პუბლიცისტური. ერთ-ერთ საქმეში (480-1-718) დევს გაზეთი „თეატრის“ აკრძალული სტატიები – „Со статьями для газеты „Театрь» запрещенными цензурою для напечатания и отправляемым на предварительное заключение духовной цензуры, попечителя учебнаго округа и.о.р. 29 Января, 1886 г.“ ამ საქმეში შედის უცნობი ავტორის („კლდე-კანელის“ ფსევდონიმით) ორი ლექსი – „ვპოვე ტაძარი“ და „ღმრთის-შობელს“, რომლებიც ვფიქრობთ, რომ ნ. ბარათაშვილის მიბაძვას წარმოადგენს[1]. ასევე აკრძალულია ბაჩანა რაზიკაშვილის „სიმღერა“ (მისი მეორე ვარიანტიც „ხელოვნური პოეზია“), ვაჟა-ფშაველას „სიმღერა“ („დაე აყროლდეს სოფელი“), კორესპონდენციები სასულიერო სემინარიასა და ბანკზე, სტატია თეატრზე. ამ უკანასკნელში გაჟღერებულია აზრი, რომ პოლიცმეისტერი ხელს უშლის უკვე დადგმული სპექტაკლების ხელმეორედ წარმოდგენას სცენაზე, რის გამოც აღორძინებული თეატრი მთავარმართებელს

[1] ლექსთა ავტორის შესახებ არსებობს სხვა აზრიც, გამოთქმული გოჩა კუჭუხიძის მიერ. იხ. გ. კუჭუხიძის სტატია «ვინ იმალება კლდე-კანელის ფსევდონიმის მიღმა“, ჟურ. „განთიადი“; 3-4; 2024., გვ. 172-181.

მიმართავს თხოვნით. სტატიაში აღნიშნულია, რომ ქართული თეატრის ალფა-ბეტური სია 80 პიესას მოიცავს მაშინ, როდესაც 200 პიესა არსებობს. ისინი არ არის შეტანილი სიაში და, რაც შეტანილია, ისიც ორფოგრაფიული შეცდომებითა და ავ-ტორთა არასწორი მითითებით. სტატიების აკრძალვის მიზეზი ერთი მხრივ გასა-გებია, რადგან სემინარიის ამბების გაშუქება იკრძალება, ბანკსა და თეატრზე და-წერილ სტატიებშიც უკმამაყოფილებაა გამოხატული მთავრობის მიმართ, რაც შე-ეხება მხატვრულ ტექსტებს, მათში არაფერია ისეთი, რომ აკრძალვას ექვემდებარე-ბოდეს. კლდე-კანელის პირველ ლექსში „ვპოვე ტაძარი“ გამოთქმულია დიდი პე-სიმიზმი ცხოვრების ამაოებისა და რწმენის დაკარგვის გამო – წმინდა ტაძარი „მგესლავთა“ თავშესაფრად არის ქცეული; იგივე ტენდენცია იკვეთება ლექსში „ღმრთის-შობელს“, *„შავთა დროთ ლტოლვამ შემუსრა და შესვარა“, „მოსრა რწმე-ნა“;* ვაჟა-ფშაველას ლექსში „დაე აყროლდეს სოფელი“ სატრფოს სიკვდილზე და მცონარის (გველის) მიერ მისი ლამაზი სხეულის განადგურებაზეა საუბარი. ჩანს, ცენზორს ასეთი რელიგიური პესიმიზმი გამოსაქვეყნებლად არასასურველად მი-უჩნევია და ამიტომაც გადაუგზავნია სასულიერო ცენზურისათვის. გარდა ამისა, ცენზორები ნებისმიერ პესიმისტურ განწყობილებაში ხედავენ საქართველოს და-მოუკიდებლობით გამოწვეულ სევდა-მწუხარებას და მხატვრული ტექსტის ალე-გორიულობას (რისი მაგალითიც უნდა იყოს ბაჩანას „სიმღერა“ („ვინა თქვა საქარ-თველოზე“). ფრაზები – „ხელნი მოვკიდოთ აბჯარსა“, „წავიდეთ მტერზე რისხ-ვითა“, „დაე, სულ გავწყდეთ ნუგეშისთ“ – ცენზურამ იმპერიისათვის სახიფათოდ ჩათვალა). ცენზურის სიფრთხილის გამო ზარალდებოდა ქართველ მწერალთა როგორც საუკეთესო, ასევე მხატვრულად ნაკლებად ღირებული ნაწარმოებები.

480-1-1669 საქმეში, რომელიც წარმოადგენს ივანე ხახუტაშვილის ლექსების გამოცემას ზ. ჭიჭინაძის მიერ (1900 წ.), ცენზორის მიერ გადაშლილია პატრიოტუ-ლი შინაარსის ლექსები. 480-1-664; 480-1-1340 მასალებში შესული ლექსებიდან ამოღებულია პატრიოტული შინაარსის სტროფები ან მთლიანად აკრძალულია[1].

„ცნობის ფურცელში“ (1901 წ.), მართალია, მხატვრული შემოქმედება არ იბეჭ-დება, მაგრამ აკრძალულია მთელი რიგი პუბლიცისტური სტატიები. ესენია: 1. „კლას-თა ბრძოლა“ – ავტორი არ აწერია (მიმოხილულია მსოფლიოს ამბები); 2. სატირუ-ლი სტატია უსათაუროდ თავადაზნაურობის წარმომადგენლებზე; 3. უსათაურო კორესპონდენცია ბაქოს ნავთობის მოპოვებაზე, მუშათა ინტერესების გაუთვალის-წინებლობაზე, მათ ჩაგვრაზე; 4. „გურია“ – ავტორი ი. ანტონაშვილი (შეეხება გლე-ხის ჩაგვრაზე მიწის გადასახადის გამო); 5. კორესპონდენცია ოზურგეთის ქალაქის თავის არჩევაზე, დარღვევებზე არჩევნების დროს; 6. მუშათა უკმაყოფილება გან-ჯაში ხელფასის გაუცემლობის გამო; 7. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება არჩევნების ჩატარების წესების შესახებ; 8. ინფორმაცია ტყვიით მოკლული კადეტ-

[1] აკრძალულია დუტუ მეგრელის ლექსი „გმირი დედა“

თა კორპუსის მასწავლებლის შესახებ; 9. სამრევლო სკოლების გაუქმების შესახებ იმერეთ-გურია-სამეგრელოს რეგიონში (წერილი ქუთაისიდან. ხელს აწერს ნინი.); 10. სტატია რომში მუშათა საპირველმაისო მოძრაობაზე; 11. საინფორმაციო წერილი ქუთაისის თავად-აზნაურთა კრებაზე; 12. სტატია იმის შესახებ, რომ კავკასიის პრესა დუმს სწავლების პროცესის უმაქნისობაზე; 13. „პროვინცია“, ავტორი მიხ. გაჩეჩილაძე. მასში აღწერილია არეულობა ქუთაისის თეატრში, პოლიციის მიერ ხალხის დაშლის მცდელობა; 14. ფოთის ნავსადგურის ამბები. ნიკოლაძე დიდი მთავრის სადღეგრძელოს სვამს; 15. სწავლა-განათლების რეფორმის გამო. ქართული საზოგადოება მხილებულია გაუბედაობაში, თავისი ინტერესების უგულებელყოფაში; 16. „ჩვენი შინაური საქმეები“ (ოზურგეთის თვითმმართველობის შესახებ); 17. ადელხანოვის ქარხნის მუშის, მიხეილ ოქრუაშვილის, ცემა ყაზახების მიერ (უსამართლობაზე არ იყო რეაგირება); 18. მუშათა საზოგადოებების მიერ სამედიატორო სასამართლოსადმი მიმმართვა; 19. ქუთათური საქმეები. იმერეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევა (აირჩიეს თავ. ლორთქიფანიძე). პროტესტი მისი არჩევის გამო; 20. ოსმალეთში მცხოვრებ სომეხთა ჩაგვრის შესახებ; 21. არჩილ ჯორჯაძე – „ეროვნული დემოკრატიზმი“; 22. ირონია რუსებზე (ავტორი არ არის მიწერილი, არც სათაური); 23. უსათაურო სტატია, რომელშიც დაფიქსირებულია რუსული პრესის მიერ აღიარებული საქართველოს ანექსიის ფაქტი და რუსთა მიერ ქართველთა წყენინების მაგალითები; 24. „გრუზინის“ დადანაშაულება იმ აზრის გამო, რომ რუსეთმა ქართველებს თავისუფლება წაართვეს; 25. ცნობა დიდი მთავრების ბორჯომიდან პეტერბურგში გამგზავრების შესახებ; 26. სტატია პაპის მკვლელობის მცდელობაზე; 27. ინფორმაცია დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასულის ბორჯომიდან თბილისში გამგზავრებისა და თბილისში მისი საქმიანობის შესახებ; 28. მსოფლიო აჯანყებების ამბები – პორტუგალია, ესპანეთი; 29. თანამდებობის პირთა (თანამდებობებზე) გადაადგილების შესახებ; 30. მუშების გაფიცვის შესახებ საზღვარგარეთ, მუშათა შრომის დაუცველობა; 31. შემწეობა სოფიო ჯანდიერის დასახმარებლად; 32. აკრძალულია ნახატი (შესრულებული ფანქრით, გრაფიკა). О. Ш-ТЬ სავარაუდოდ ავტორის ინიციალებია; 33. ამერიკის პრეზიდენტის მკვლელის დახვრეტის ამბავი; 34. შიმშილი სიღნაღის მაზრაში. ავტორი ტრიფონ ჯამოპოვი (გვარი ზუსტად არ იკითხება). სტატიაში შედის შეგონება, რომ „ეს ჭუჭყიანი ხალხი ჩვენი გამომკვებია, მისი ესრეთი გაჭირვება ჩვენი გაჭირვებაცაა და მწუხარებაც“; 35. ლექსები ბუდაზე (მერეჟსკოვსკიდან), ხელს აწერს „ოსიკო“; 36. ქუთაისში შავი ჭირის წინააღმდეგ ზომების მიღება; 37. ჩხუბი განათლებულ საზოგადოებაში ქეიფის დროს ერთი და იმავე კაცის სადღეგრძელოს მრავალჯერ შესმის გამო და ა.შ.

ჩვენ სრულად წარმოვადგინეთ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1901 წლის აკრძალული სტატიების თემატიკა. სტატიის დასაწყისში ჩამოთვლილი აკრძალვებიდან გამომდინარე, ნათელია, რატომაც არ იბეჭდება ისინი, მაგრამ დასანანია, რომ მათ

შორის გვხვდება ისეთი მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, როგორებიცაა არჩილ ჯორჯაძის სტატია – „ეროვნული დემოკრატიზმი“; უსათაურო წერილი რუსული პრესის მიერ აღიარებული საქართველოს ანექსიის ფაქტის შესახებ და ინფორმაცია სათაურით „პროვინცია“. ეს სტატიები უაღრესად მნიშვნელოვანია სხვადასხვა კუთხით. არჩილ ჯორჯაძის სტატიაში წარმოჩნდება ღრმა ფისოფიური მსჯელობა და ეროვნული ტენდენციები, რადგან პირდაპირ ისმება საკითხი – რაში მდგომარეობს ეროვნული დემოკრატიზმის განსხვავება ბურჟუაზიული და სოციალური დემოკრატიზმისაგან, რა ქმნის მის განსაკუთრებულ ხასიათს, რა პირობებში და რა ნიადაგზე აღმოცენდა იგი? მეორე სტატია მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისით. მასში დაფიქსირდა რუსთა მიერ საქართველოს ანექსიის აღიარების ფაქტი, რომელსაც დღემდე უარყოფს რუსეთის მთავრობა. მესამე სტატიაში, მართალია, მშრალი ფაქტებია მოყვანილი პოლიციის მიერ ქუთაისის თეატრის მაყურებელთა დარბევისა, მაგრამ ჩვენი გამოკვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ მასში აღწერილია ქართველი საზოგადოების პროტესტი ებრაელთა ჩაგვრის წინააღმდეგ, ქართველი ხალხის ბრძოლა ანტისემიტიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ[1].

ზოგად აკრძალვებთან თანხვედრაშია 1901 წლის გაზეთ „ივერიის“ აკრძალული წერილების თემატიკაც, მასში შემოდის სასულიერო სემინარიისა და თელავის წმ. ნინოს პროგიმნაზიის ამბები, მასწავლებელთა უუფლებო მდგომარეობა და ცუდი ხელფასი, სუიციდი, პოლიციის უკანონო ქმედება, ესპანეთისა და საფრანგეთის მუშათა გაფიცვები და ა.შ. მასალის მიმოხილვიდან ჩანს, რომ იკრძალება სტატიები რუსი ეროვნების მასწავლებლების მხრიდან ქართველ ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების შესახებ.

1901 წლის ჟურნალ „მოგზაურის“ აკრძალულ სტატიებში შედის თხზულება სოლომონ ლეონიძეზე, რომლის ავტორის ფსევდონიმია ი. მარუშიძე (480-1-1697). მასში ასახულია საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, იგივე პრობლემა, რაც დგას ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“, ოღონდ რუსეთის მაგივრად იმპერიად ინგლისია გამოყვანილი. ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ ტექსტები: ჟურნალ „მოგზაურის“ თხზულება „სოლომონ ლეონიძე“, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა’, გრ. რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონებიდან“ მონაკვეთი და ზ. ჭიჭინაძის წიგნი – „სოლომონ ლეონიძე, მსაჯული ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა“. შედარებითი ანალიზის საფუძველზე მივიღეთ შემდეგი დასკვნა, რომ ჟურნალ „მოგზაურში“ წარმოდგენილი თხზულების ავტორი უნდა იყოს ზაქარია ჭიჭინაძე (მასზე მიგვითითებს ავტორის ფსევდონიმიც), რადგან ორივე ტექსტში ერთი თემა და ერთნაირი ფაქტები აბსოლუტურად ერთნაირადაა გააზრებული. ზაქარია ჭიჭინაძე წლების

[1] იხ. „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“ № 5, თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ მასალებში ასახული ებრაელთა დისკრიმინაციის პროცესი და ქართული საზოგადოების მიერ „ებრაელთა გამოსარჩლების“ ფაქტი“.

განმავლობაში სწავლობდა და ზეპირგადმოცემათა საფუძველზე ამუშავებდა სოლომონ ლეონიძის მოღვაწეობას. ზეპირგადმოცემა უდევს საფუძვლად ნ. ბარათაშვილის პოემასაც „ბედი ქართლისა“ და გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობასაც „ქვრივის ლიმონები“, რასაც მოწმობს ამ ტექსტების საერთო ლექსიკაც და ერთნაირი ფაქტების დამოწმება, მხატვრული თვალსაზრისით კი ზემოთჩამოთვლილი ყველა ნაწარმოები განიცდის ბარათაშვილის პოემის პატრიოტულ ზეგავლენას[1]. ცხადია, ასეთ პატრიოტულ მოთხრობას, რაც არ უნდა შეცვლილიყო რუსეთი ინგლისით და გაკრიტიკებულიყო ერეკლე II-ის პოლიტიკა ცენზურა აკრძალავდა. ქართველმა მკითხველმა ვეღარ იხილა ქართველი ავტორის პოზიცია, გამოთქმული საქართველოს ანექსიიდან ზუსტად საუკუნის გასვლის შემდგომ (1901 წ.).

პუბლიცისტური სტატიებისა და მხატვრული თხზულებების გარდა, წავაწყდით ისეთ დრამატურგიულ ტექსტებსაც, რომლებიც აკრძალულია ცენზურის მიერ, ან გადაკეთებული წითელი ფანქრით. ზოგიერთი მათგანი ცნობილ მწერლებს ეკუთვნის და დღესაც არ არის შეტანილი მათი თხზულებების გამოცემებში. ეს ტექსტები აღდგენილი სახით ნელ-ნელა გამოიცემა ჩვენ მიერ კრებულის სახით, რომლის სახელწოდება იქნება – „კავკასიის საცენზურო კომიტეტის აკრძალული პიესები“.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს ეროვნული არქივის მასალები, ფონდი 480 (1848-1918 წწ.).

გოგებაშვილი 1952: გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ.1, ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი: 1952.

[1] იხ. იხ. „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“ №5, ანა დოლიძე, „კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდში დაცული, დასაბეჭდად აკრძალული, ი. მარუშიძის დოკუმენტური ჟანრის დაუმთავრებელი მოთხრობა – „სოლომონ ლეონიძე“.

ძირითადი დასკვნები

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ფუნდამენტური კვლევების, 2021 წლის კონკურსში გაიმარჯვებული პროექტის _ „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ XIX საუკუნის საქართველოში და რუსეთის იმპერიული მმართველობის მექანიზმები“ (FR-21-8335) _ ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ (ფონდი 480) მასალების (3986 საქმის) ნახვა, წაკითხვა და მთავარი ინფორმაციის ამოღება, მასალების საფუძველზე წამოჭრილი ცალკეული საკითხების კვლევა, დამატებითი ისტორიული და ლიტერატურული მასალების მოძიება სამეცნიერო ნაშრომის სრულყოფისათვის. ნაშრომის საბოლოო, განზოგადებული მიზანი კი ამგვარად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ – საცენზურო კომიტეტის გავლენის შესწავლა ისეთ სფეროზე, რომელსაც ეროვნული კულტურა ეწოდება; რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში საზოგადოებრივ აზრზე პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონტროლის ზემოქმედებისა და მანიპულირების პრიორიტეტების დადგენა; ჩასწორებული და აკრძალული ტექსტების რეკონსტრუქცია და აუთენტური მასალის ქართული ლიტერატურისათვის დაბრუნება.

კვლევის მეთოდები, რომლებიც ჩვენ გამოვიყენეთ, ფაქტობრივ ინოვაციურია, ითვალისწინებს ინტერდისციპლინარულ მიდგომასა და ამოცანის მიზნებიდან გამომდინარე სხვადასხვა მეთოდოლოგიური კომპონენტის გამოყენებას. **სტრუქტურულ-ფუნქციონალური** ანალიზის მეთოდით გადავამუშავეთ მოპოვებული მასალა და სისტემატიზაციაში მოვიყვანეთ, რამაც საშუალება მოგვცა იმპერიის მმართველობის ერთ-ერთი ორგანიზაციის (კსკ-ის) საქმიანობა გაგვეაზრებინა სოციალურ-ისტორიულ კონტექსტსა და დიაქრონულ ჭრილში, განგვესაზღვრა კსკ-ის ადგილი ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში. **დესკრიპციული ანალიზის** მეთოდოლოგიამ და პოსტკოლონიური თეორიის პრინციპების გათვალისწინებამ საშუალება მოგვცა, დაგვედგინა კოლონიური ცენზურის პრიორიტეტები. **კონცეპტუალური ანალიზის** მეთოდი დაგვეხმარა, შეგვეფასებინა როგორც „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობა, ასევე საანალიზო ქართული ლიტერატურულ-პუბლიცისტური მასალა. **კომპარატივისტული და ტექსტოლოგიური ანალიზის** მეთოდით განვახორციელეთ აუთენტური ხელნაწერებისა და გამოქვეყნებული ტექსტების შეჯერება, დავადგინეთ მათი შეცვლის მიზნები, რაც აისახა თამარ შარაბიძის, თამარ ციციშვილისა და ანა დოლიძის ერთობლიც სტატიაში _ „კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიზნები და ამოცანები (მხატვრულ ტექსტთან ცენზურის მიმართების კრიტერიუმები)“. **კულტუროლოგიურ-ჰერმენევტიკულმა** მეთოდმა ხელი შეგვიწყო „შენიღბულ ტექსტებში“ ქვეტექსტების არსებობის დადგენაში, მათი დეკოდირების მეშვეობით საკვლევი ობიექტის მრავალმხრივ ანალიზსა და შესაბამისი დასკვნების განზოგადებაში.

კვლევის შედეგები აისახა თითოეულ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომლებიც მოკლედ, დასკვნების სახით, ამგვარად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. ცენზორთა და რედაქტორთა ურთიერთდამოკიდებულება ცალმხრივია. ცენზორი მხედველობაში არ იღებს რედაქტორის ახსნა-განმარტებას და საცენზურო კანონის მიხედვით (ზოგჯერ თავისი შეხედულებისამებრ) წყვეტს ნებისმიერი შინაარსის ბეჭდვითი პროდუქციის ბედს. რედაქტორის მოთხოვნას, დაუსაბუთონ აკრძალვის მიზეზი, ცენზორი აძლევს ძირითადად მშრალ განმარტებას, ანდა უსაბუთებს ისეთი კალიგრაფიით, რომლის გარჩევასაც სავარაუდოდ რედაქტორი ვერ მოახერხებდა (მისი წაკითხვა შეუძლებელია).
2. პოლიტიკური სანდოობა განსაზღვრავს ნებართვის მოპოვებას ბეჭდვითი ორგანოს გახსნისა თუ რედაქტორ-გამომცემლის სტატუსის მიღებას.
3. კავკასიის ოლქში შემოსული ბეჭდვითი სიტყვის ნებისმიერი მასალა ადრესატთან მისვლამდე, საბაჟოდან პირდაპირ „კავკასიის საცენზურო კომიტეტში“ იგზავნება, სადაც მას თარგმნიან, ამოწმებენ და შემდეგ აგზავნიან ადრესატთან; თუ მასალა თავისი არსით და იდეით მიუღებელია ტოტალიტარული პოლიტიკური მოდელისათვის, მაშინ მას „აპატიმრებენ“, ანუ კრძალავენ ადრესატისათვის მის გადაცემას.
4. დგება „უცხოური ცენზურის მიერ განხილულ ნაწარმოებთა ანბანური სიები“, რომლებიც გამოცემულია უცხოური ცენზურის ცენტრალური კომიტეტის მიერ და დარიგებულია გუბერნიის უფროსებთან. მათში ცალკეა გამოყოფილი უცხოეთიდან შემოსული აკრძალული წიგნების სია და მითითებულია, რომ ამ წიგნების გაყიდვა, შენახვა და გავრცელება აკრძალულია; კავკასიის საცენზურო კომიტეტი ვალდებულია საბაჟოებიდან შემოსული მასალა გადაამოწმოს, განხილულია თუ არა პეტერბურგის საზღვარგარეთის საცენზურო კომიტეტის მიერ, დაშვებულია თუ აკრძალული მისი გამოქვეყნება და შენახვა.
5. საცენზურო კომიტეტი ამოწმებს ნახატებსა და სურათებსაც, რომლებიც იგზავნება უცხოეთიდან. ასევე: რუკებს, ნოტებს, ფოტოებს, ხელნაწერებს.
6. „უცხოური ცენზურა“ წარმოადგენს რუსეთის საცენზურო კომიტეტის ერთ-ერთ ცენტრალურ განყოფილებას, ის მდებარეობს პეტერბურგში და მას პეტერბურგის უცხოურ საცენზურო კომიტეტად მოიხსენიებენ. პეტერბურგის საცენზურო კომიტეტი უგზავნის კავკასიის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს იმ წიგნების ჩამონათვალს, რომელთა შემოტანაც რუსეთში აკრძალულია.
7. 1879 წლიდან „კავკასიის საცენზურო კომიტეტში“ ცალკე განყოფილებად ყალიბდება დრამატურგიული ცენზურა, თუმცა მანამდეც კომიტეტი განიხილავდა დრამატურგიულ ნაწარმოებებს, ნებას რთავდა ან კრძა-

ლავდა კავკასიის მხარეში მათ სცენაზე დადგმას, ყველა სპექტაკლის დროს აკონტროლებდა სცენაზე მათ შესრულებას, მსახიობთა წარმოთქმული ტექსტების სრულ შესაბამისობას ცენზურის მიერ ნებადართულ ტექსტთან, მსახიობთა რეპლიკების კილოსა და მიმიკებს, ყველა აფიშას. დრამატურგიული ცენზურის ცალკე გამოყოფის შემდგომ გაძლიერდა ნებისმიერი სასცენო დადგმის კონტროლი, მათ შორის _ სახალხო წარმოდგენების. კონტროლში აქტიურადაა ჩართული პოლიციაც.

8. დრამატურგიული ცენზურის მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ცენზურა ტექსტიდან შლის იმპერიისათვის საშიშ ფრაზებს ხალხთა თავისუფლებაზე, რევოლუცირ იდეებზე, ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, ბატონის მიერ გლეხთა სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე და ა. შ.

9. იმპერიული მთავრობა აღვივებდა ადგილობრივ მოსახლეობასა და ებრაელთა შორის კონფლიქტს, რისთვისაც ყველა გზას იყენებდა, მათ შორის, თეატრალურ წარმოდგენასაც.

10. ქართული პრესის აკრძალული მასალა საშუალებას გვაძლევს, თვალყური ვადევნოთ არა მხოლოდ იმპერიული ცენზურის მიმართებას ბეჭდვითი საქმისადმი, არამედ ქართული ჟურნალ-გაზეთების პოლიტიკასაც – სხვადასხვა გზით, ხან შენიღბულად, ხანაც მთავრობის გამართლებით მაინც მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია იზოლაციაში მყოფ მკითხველს და თუ საკუთარ ინტერპრეტაციას ვერ შესთავაზებს, განსასჯელად მას მიანდოს.

11. კავკასიის ცალკეულ ეროვნებებთან მუშაობა 70-იან წლების დასაწყისში ჯერაც დამუშავების პროცესშია, საქართველოში ამ მხრივ შედარებითი დათბობის პერიოდი დგას, დაშვებულია ეროვნული ისტორიის, ეთნოგრაფიის შესწავლა, რითაც სარგებლობენ ადგილობრივი ეროვნული ძალები და ქართული კულტურის აღორძნებისათვის იწყებენ ზრუნვას; ამ მიმართებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიმიტრი ფურცელაძის, დიმიტრი ბაქრაძისა და სხვათა მოღვაწეობა. საცენზურო კომიტეტს განსაკუთრებული სიფხიზლე რევოლუციურად განწყობილ პირთა მიმართ ევალება. XIX ს-ის 70-იანი წლების შუალედიდან საცენზურო მუშაობა შედარებით მკაცრდება. ეს სიმკაცრე შემდგომში განსაკუთრებით სიძლიერეს აღწევს.

12. 80-იანი წლებიდან კომიტეტი სულ უფრო აქტიურდება და ამკაცრებს კანონებს. სიმკაცრის გაძლიერების მიზეზი გავრცელებული ეროვნული და რევოლუციური იდეებია.

13. ყველა იმპერატორი, რაც არ უნდა რეფორმატორობით გამოირჩეოდეს (მაგ., ალექსანდრე II) რუსულ პოლიტიკას დაპყრობილ ხალხთა მიმართ

ერთნაირ მიზანს უსახავს. ამიტომაც ეს პოლიტიკა კავკასიელ ხალხთა მიმართ არასდროს რბილდება.

14. ეროვნული იდენტობის მთავარ გამოხატულებას _ მშობლიურ ენას _ ცენზურა ისეთივე ბრძოლას უცხადებს, როგორც თავად ქართველობას: ქართველებად არ თვლიან დასავლეთ საქართველოს მკვიდრ ქართველებს. ქუთაისს სამეგრელოს დედაქალაქად, აქაური ხალხის ენად კი მეგრულს მოიხსენიებენ.
15. 80-იანი წლებიდან ოფიციალურად იკრძალება საქართველოს სახელის საჯაროდ ხსენება. 1885 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტმა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ შესწორება შეიტანა, საქართველოს ნაცვლად ყველგან „ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები“ ჩაწერეს. გოგებაშვილმა საპროტესტო განცხადება საცენზურო კომიტეტში ორგზის შეიტანა, მაგრამ ამაოდ. საქართველოსათვის XIX საუკუნე და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი საცენზურო „ტერორის“ ეპოქად არის შეფასებული.
16. იმპერიული ცენზურა ყველაზე აგრესიულად მაინც სწავლა-განათლების სფეროს ებრძოდა. ცარიზმის მიზანი იყო ქართული ენის სრული დისკრედიტიზაცია, კერძოდ, ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის მოსპობა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერთმანეთთან დაპირისპირება.
17. რუსმა ეგზარხოსებმაც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენისა და ძველი ენების გაკვეთილებისათვის განსაზღვრული საათები ჯერ შეამცირეს, შემდეგ კი მათი დრო მთლიანად რუსული ენის სწავლებას დაუთმეს.
18. ცენზურა კრძალავს იმ კორესპონდენციებს, რომლებშიც საუბარია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სასწავლო დაწესებულებებში გამეფებულ ნაკლოვანებებზე.
19. ქართული სახელმწიფოსა და მისი მეფის დამსახურებაზე წერა იმპერიულ იდეოლოგიას ეწინააღმდეგება, ის საყოველთაოდ ავრცელებს აზრს, რომ ქართველმა მეფეებმა ვერ მოუარეს ქვეყანას და ის რუსეთს გადასცეს, რომელმაც მას მშვიდობიანი ცხოვრება და განვითარება მოუტანა.
20. ცენზურა იბრძოდა ***საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველი ლიტერატურის წინააღმდეგ.***
21. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მედიაგარემოზე თვალის მიდევნებამ ნათლად გამოკვეთა რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის სადამსჯელო ხასიათი. ცარისტულმა რეჟიმმა საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოპოვებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ მექანიზმად კავკასიის საცენ-

ზურო კომიტეტი გამოიყენა _ ცენზურის ქვეშ მოაქცია მთელი ქართული მწერლობა და საგამომცემლო საქმე.

22. კავკასიის საცენზურო კომიტეტის, როგორც რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ძლიერი ინსტიტუტის, მიზანი იყო გაეკონტროლებინა და შეეზღუდა თავისუფალი აზრი, არ მიეცა საშუალება კავკასიაში მცხოვრები ერებისათვის, ხელი შეეშალათ დაპყრობილ ხალხთა სრული ასიმილაციის პროცესისათვის; არ მიეცა საშუალება ებრძოლათ ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

23. კომიტეტი მოქმედებდა პოლიტიკური საფრთხეების შესაბამისად: როდესაც საერთაშორისო და ადგილობრიოვი მოვლენები იძაბებოდა, კომიტეტის საცენზურო პოლიტიკაც მკაცრდებოდა, იკრძალებოდა ცალკეული გამოცემები, ჟურნალ-გაზეთები, სრული კონტროლი წესდებოდა შემოტანილ ლიტერატურასა და სხვადასხვა კულტურულ არტეფაგებზე (ხატები, ქანდაკებები, მხატვრობის ნიმუშები, არამართლმადიდებლური შინაარსის საეკლესიო ლიტერატურა და ნივთები და ა. შ.). განსაკუთრებული მკაცრი პოლიტიკა ტარდებოდა კულტურულად უფრო დაწინაურებული ხალხის მიმართ. ამ ვითარებაში საქართველო სარგებლობდა საცენზურო კომიტეტის გამორჩეული „ყურადღებით“.

24. საცენზურო კომიტეტს მხარდაჭერა ჰქონდა არა მარტო სამოქალაქო უწყებების, არამედ საქართველოს საეგზარქოსოს მხრიდანაც. საცენზურო პოლიტიკაში საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა რელიგიური ნიშნით ნაბეჭდი ლიტერატურისა თუ საეკლესიო ნივთების აკრძალვას. ეს ეხებოდა არა მარტო არაქრისტიანულ, არამედ მართლმადიდებლური ხასიათის სასულიერო ლიტერატურას.

25. ცენზურა კრძალავს წერილებს, რომლებიც სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებში ქართული ენისა და რწმენის საკითხებს ეხება. ქართულ მართლმადიდებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი რუსულთან შედარებით წინ არ უნდა წამოიწიოს.

26. ევროპიდან შემოსულმა ახალმა იდეოლოგიებმა მე-19 საუკუნის ბოლოს და მეოცის დასაწყისში ქართული საზოგადოების განსაკუთრებული პოლარიზაცია გამოიწვია. ამ იდეოლოგიებით განმსჭვალული იყო პრესაც. გამოდიოდა როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი წიგნები, რომელთა შინაარსი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიული ხელისუფლების განწყობებს. ცენზურაც ამ მიმართულებით მუშაობდა და გავრცელების საშუალებას არ აძლევდა ამგვარ ლიტერატურას.

27. კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობა, მის მიერ საცენზურო პოლიტიკაში მიღებული გადაწყ-

ვეტილებები, ქვყანაში არსებულ ვითარებასთან ერთად, შეესაბამებოდა საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების განვითარების დინამიკას, ატარებდა სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონტექსტს, იმპერიულ შინაარსსა და ემსახურებოდა მიზანს _ ყველა წინააღმდეგობა გადაელახა, შეენარჩუნებინა რეჟიმის მონოლითურობა და სიმტკიცე.

28. საარქივო მასალების შემოწმებისას კარგად ჩანს ისიც, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტს **XX საუკუნიდან სულ უფრო უძნელდება მოვალეობის შესრულება, რადგან ან ვეღარ ამოწმებს ყველა „საეჭვო“ ლიტერატურას, ან მისი ნებართვის გარეშე იბეჭდება სახელმწიფოსათვის მიუღებელი წერილები და წიგნები; მრავლად გამოდის არალეგალური ლიტერატურაც**; ცხადია, ეს ყოველივე **რევოლუციური იდეების გაძლიერებითა და**, აქედან გამომდინარე, **სახელმწიფოს გარკვეულწილი დასუსტებით აიხსნება.**

29. საცენზურო კომიტეტის კადრები განსაკუთრებული ყურადღებით ირჩეოდა. შტატების ეთნიკურ შემადგენლობაზე დაკვირვებით, ქართველები აქ იშვიათად ხვდებოდნენ, თუმცა ძირითადი შესამოწმებელი მასალები ქართულენოვანი იყო. განსაკუთრებით ეს კომიტეტის დაარსების ადრეულ ეტაპზე შეინიშნება. თავმჯდომარეებად, მცირე გამონაკლისს გარდა, ძირითადად რუსი ეროვნების ადამიანები იყვნენ. კომიტეტის მუშაობა გააქტიურა საქართველოში განმათავისუფლებელი იდეების გავრცელების ახალმა მასშტაბმა, 60-იანელთა ნაციონალური პროექტის განხორციელებისათვის საზოგადოების აქტიურმა ბრძოლამ.

30. კავკასიის საცენზურო კომიტეტი დღიდან თავისი დაარსებისა (1848 წლის 18 დეკემბერი) მისთვის სახელის შეცვლამდე და შემდგომაც წარმოადგენდა იმპერიის შენარჩუნების მექანიზმის ერთ-ერთ მთავარ რგოლს, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებული იყო ცარიზმის სხვადასხვა სახელისუფლებო თუ სადამსჯელო ორგანოსთან. კავკასიის საცენზურო კომიტეტის მთავარი მიზანი ბეჭდვითი სიტყვის გაკონტროლებაა; რადგან მას უდიდესი ძალა აქვს საზოგადოებაზე, მკითხველზე.

31. რუსული იმპერიული ცენზურის „რეაქციულ თარეშს“ წინ ქართული მწერლობა, პრესა, თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ყველა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია აღუდგა. მიუხედავად უმძიმესი შეზღუდვებისა, რუსულმა იმპერიამ ვერ შესძლო საქართველოს გარუსება, ქართველი კაცის გადაგვარება, ქართული ენის „წაშლა“.

კვლევის შედეგებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა ქართულ სალიტერატურო და საისტორიო საზოგადოებაში. „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობის

სისტემური და ინტერდისციპლინარული შესწავლა ახალი სიტყვაა ქართველოლოგიის სფეროში. ამგვარი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა და სხვა ქვეყნებშიც მსგავსი საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი. ამიტომაც კვლევა უაღრესად საინტერესო გამოდგა როგორც ქართველი მეცნიერებისათვის, ასევე _ უცხოელებისათვის; განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელთათვის, ზოგადად ცენზურის (სხვადასხვა დროისა და ქვეყნის) პრინციპების მკვლევართათვის.

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის საბოლოო შედეგი – მონოგრაფია – „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ (1848-1906), რომელსაც ერთვის ვრცელი ანოტაციები ინგლისურ ენაზე, სრულყოფს და შეავსებს დასავლეთში არსებულ წარმოდგენებს რუსული იმპერიული ცენზურის შესახებ, ქართულ სამეცნიერო სივრცეში კი უკვე შემოვიდა სრულიად ახალი მასალა, რომელიც ცენზურის მიერ იყო აკრძალული.

ფაქტობრივად, ჰუმანიტარულ სფეროში შეიქმნა სრულიად ახალი მიმართულება „ქართული ცენზურის ისტორია“, რომელიც დაიწყო „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ მუშაობის შესწავლით და გაგრძელდება „ბეჭდვითი საქმის თბილისის კომიტეტისა“ (1906-1918) და მთავლიტის (1921 წლიდან) საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციისა და შეცვლილ-შენიღბული ტექსტების ასევე საფუძვლიანი ანალიზით.

ფონდისთვის სამომავლო რეკომენდაცია იქნება, ხელი შეუწყოს ამ ახალი, ინტერდისციპლინარული დარგის კვლევას ახალი პროექტებით, რათა ახლო მომავალში ცენზურა, როგორც საგანი, კულტურის ერთ-ერთი სფერო, შევიდეს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულების პროგრამებში. ჩვენი პროექტის ფარგლებში უკვე მოხდა ახალგაზრდა მეცნიერის ამ დარგის სპეციალისტად ჩამოყალიბება.

Main Conclusions

The project *"The Caucasus Censorship Committee in 19th-Century Georgia and the Mechanisms of Russian Imperial Rule"* (FR-21-8335), which won the 2021 Fundamental Research Competition of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, had as one of its main objectives the examination, reading, and extraction of key information from the materials (3,986 files) of the *Caucasus Censorship Committee* (Fund 480) preserved in the National Archives of Georgia. Additional goals included researching specific issues raised by these materials, gathering supplementary historical and literary sources to enhance the scientific study, and producing a comprehensive scholarly work. The overarching goal of the research can be formulated as follows: to study the influence of the *Caucasus Censorship Committee* on a sphere known as national culture; to determine the priorities of political-ideological control and manipulation of public opinion exercised by the Russian Empire in Georgia; and to reconstruct censored and banned texts, thereby restoring authentic materials to Georgian literature.

The research methods we employed are essentially innovative, incorporating an interdisciplinary approach and the use of various methodological components based on the study's objectives. Structural-functional analysis, descriptive analysis, conceptual analysis, comparative and textological analysis, as well as the cultural-hermeneutic method, helped us identify the presence of subtexts in "concealed texts." Through their decoding, we were able to conduct a multifaceted analysis of the research subject and generalize the relevant conclusions.

The research findings are reflected in each published article and can be summarized in the following conclusions:

1. The relationship between censors and editors is one-sided. The censor disregards the editor's explanations and, according to censorship laws, decides the fate of any printed material. The censor's justifications were written in such a calligraphy that the editor could not decipher them.
2. Political reliability determines who should be appointed as an editor and which newspapers or journals can be published.
3. Any printed material entering the Caucasus region is sent directly from customs to the *Caucasus Censorship Committee*, where it is translated, examined, and then forwarded to the recipient. If deemed unacceptable, the material is confiscated.
4. Alphabetical lists of works reviewed by *foreign censorship* are compiled. These lists specifically highlight banned books arriving from abroad, indicating that their sale, possession, and distribution are prohibited.

5. The *Censorship Committee* also inspects paintings and images sent from abroad, as well as maps, musical notes, photographs, and manuscripts.
6. *Foreign censorship* is one of the central departments of the Russian Censorship Committee, located in St. Petersburg.
7. From 1879, a separate division for *dramatic censorship* was established within the *Caucasus Censorship Committee*. This division authorized or banned the staging of plays in the Caucasus region. Every performance was monitored to ensure that stage execution and actors' spoken lines strictly adhered to the approved text. Censorship also controlled actors' intonation, gestures, and all playbills.
8. A review of censorship materials reveals that censors removed phrases deemed dangerous or unacceptable to the empire – particularly those concerning national independence and social issues.
9. The imperial government fostered conflict between the local population and Jewish communities.
10. The prohibited content in the Georgian press allows us to track the political stance of Georgian newspapers and journals. Despite censorship, editors attempted to covertly convey certain information to readers.
11. From the mid-1870s, censorship measures became increasingly strict, reaching their peak severity later. The primary reason for this intensification was the rise of national and social ideas.
12. Censorship targeted the Georgian language – the main expression of national identity – just as aggressively as it targeted Georgian identity itself. Western Georgians were not even considered true Georgians, and censorship sought to deepen the division between Eastern and Western Georgia.
13. From the 1880s, the public mention of Georgia's name was officially prohibited. Instead of "Georgia," the terms "Tiflis and Kutaisi Governorates" were used everywhere. The 19th century, particularly its second half, is regarded as an era of censorship "terror" for Georgia.
14. Imperial censorship was most aggressively directed at the field of education. The goal of Tsarism was the complete discrediting of the Georgian language, specifically the eradication of the Georgian language, literature, history, and culture.
15. Russian exarchs first reduced the hours allocated for Georgian and ancient language lessons in religious schools and later completely replaced them with Russian language instruction.
16. Correspondences discussing deficiencies in educational institutions were banned.

17. Writing about the achievements of the Georgian state and its kings contradicted imperial ideology. Russian imperial censorship widely propagated the idea that Georgian kings had failed to govern the country and had handed it over to Russia, which, in turn, brought it peace and development.
18. Censorship actively fought against literature depicting Georgia's historical past.
19. Observing the Georgian media landscape of the second half of the 19th century clearly revealed the punitive nature of Russian imperialist policy.
20. The goal of the Caucasus Censorship Committee, one of the strongest institutions of the Russian imperial state, was to control and suppress free thought, preventing efforts to preserve national identity and restore lost statehood.
21. The Censorship Committee was supported not only by civil authorities but also by the Georgian Exarchate.
22. The practical activities carried out by the Caucasus Censorship Committee and the censorship policies it implemented had social, political, and ideological contexts, serving the imperial objective of overcoming all opposition and maintaining the regime's monolithic nature and stability.
23. The personnel of the Censorship Committee were selected with particular scrutiny. Analyzing the ethnic composition of the staff, Georgians were rarely present, while the majority of personnel were of Russian nationality.
24. The "reactionary rampage" of Russian imperial censorship was met with resistance from Georgian literature, the press, theater, the Society for the Spread of Literacy, and all Georgian cultural and educational organizations. Despite severe restrictions, the Russian Empire was unable to Russify Georgia, assimilate the Georgian people, or erase the Georgian language.
25. The research findings received widespread recognition in the Georgian literary and historical community. The systematic and interdisciplinary study of the activities of the "Caucasus Censorship Committee" represents a new contribution to the field of Kartvelology. Such research had never been conducted in Georgia before, making it highly interesting not only for Georgian scholars but also for foreign researchers, particularly those studying the cultural heritage of post-Soviet and Eastern European countries, as well as censorship in general.

At this stage, the final outcome of our research– the monograph *The Caucasus Censorship Committee (1848-1906)*, which includes extensive annotations in English – enhances and supplements existing Western perspectives on Russian imperial censorship. In the Georgian academic sphere, entirely new material has now been introduced, material that had previously been banned by censorship. In fact, a completely new field within the humanities, *the history of Georgian censorship*, has been established. This field began with the study of the *Caucasus Censorship Committee* and will continue with a thorough

analysis of the documentation and altered or concealed texts related to the activities of the *Tbilisi Committee for Printing Affairs* (1906–1918) and *Mlavlit* (from 1921 onward). A future recommendation for the foundation would be to support this new interdisciplinary field through further research projects, so that in the near future, censorship – as a subject and as a branch of culture – can be incorporated into the curricula of various educational institutions. Within the framework of our project, a young scholar has already been trained and established as a specialist in this field.